




766 | 2
1975

ქართველობის
მავალთავი

IV



საქართველოს სსრ მთხოვნებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ქ. თბილის სახლობის ხალხაზორთა ინსტიტუტი
ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМ. К. С. КЕКЕЛИДЗЕ





МРАВАЛТАВИ

Историко-филологические разыскания

IV

Издательство «Мецниереба»
ТБИЛИСИ · 1975



| V

13221

Համովցյալլուն «մշկնոյնեց»
Թէ՛լուն . 1975

4Γ+8Γ
 499.962.1+899.962.1.09
 8 90

„მრავალოავ 1V“-ში შესულია პ. კეკელიძის სახელობის
 ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი ფონდების შესწავლის შე-
 დეგები: ფოლილებიურ-კოდიფილებიურ ხასიათის ძიებანი (მცი-
 რე მოცულობის ტექსტებითურთ ქართულ, არაბულ, თურქულ,
 სომხურ ენებზე) და ნარკვევები ძველი ქართული ენის ლტე-
 რატურისა და კულტურის საკთხებზე. კრებულს ერთვის კრიტი-
 კა-ბიბლიოგრაფიისა და საინფორმაციო განყოფილება.

სარედაქციო კოლეგია: ც. აბულაძე, ც. კახაბრიშვილი (მდივანი),
 ქ. მეტრეველი (მთავარი რედაქტორი), ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ე. ხოშტარია,
 ნ. ჯანაშვილი.

ტომის რედაქტორი ე. მეტრეველი.

გ 70202
 M 607 (03)-75 107—75 ④ გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.



 ე. მეტრეველი

ԾԱՀԱ ՖԱՆՏՈՅՑ

ՅԱՅՈՒ, ՀԱՑՊԱԼՇՈՒՏԱ ԴԱ ՎԲԹԱՎԲՈՒՆՈՒ ՌԹԵՏԱՅԹԱ ՑՈՒԱՐԾՈՒՑՈՒՄՆԵՐ

Յանու, լածսպալճուս և յ. Ռ. յիմօածնու յահուլու ռտետացքն եղլու Յոկեցատ տանալը ռուլուլու — XII և. մովուրուլուս ու XIII և. գամլեցու եղլնաֆերենքն ։ Յատ Մորուս սեցառեա մեռուու օտեցու թլեթիս սացահաւու- ծելու ։ Ամ ռտետացտա մեսաբէրուլ-ստուլուսիւրու անլութու ահենս մատ շրտու- յրտմօմահուենքն ։ Սամոց եղլնաֆերենքուս մեսաբէրունքու անլութու սացումցուլու յա- յուտեցուլու ժակցուն, հոմ լածսպալճուս և յիմօածնու ռտետացքն մեսա- բէրունքուս սացումցուլու յացու ծինանուրուլու մեսաբէրուս մոյր Շերմցուլու յանու ռտետացտ, օմ յանսեցացքն ։ հոմ յիմօածնու ռտետացտ մոմեաթացու ուցքն յա- նու ռտետացտ Յուն, լածսպալճուս եղլնաֆերենքուս ուեւարու սահցեցլուն յանու ռտետացտ, հոցուրու նոմշունտ, ուշու օցենքն յահուլու եղլնաֆերենքն յացր- ուցումցու մուրուցքն և մատու Շերմցու յինու տալ լույսաւուլ յոմեցունիցքն ։

յանու ռտետացտ (A 1335), XII—XIII և-ու յուր-յուրու սույուլուրու եղլ- նաֆերենք, յագաբէրունքուս կրմնանուրունուն, հոմանս, „տամար մեցուս մլուպ- յացլու“ ուրցանց եղլու, յալուցրագուլու նուսերունտ ։ ռտետացտ ըյշմէտիս տելաց սացուլուսեմու լունքենքու Շեմցուլու յաճանֆերենքու անցուրուն: „սապուարու- նու, յշի-արս, հաստա վիմունքուս ամուս սահարցենքու յատահունքա յանմահուրուս սիշ- մունքու յշունքուս և արա ուտմչուլունքու կըոնու Շեցուլա սուրպուտա ամ յիմ- ունքուս ամուս սահարցենքու անց անցուրմունքուսա, արամեց յայ սացանուր ոյացն յու- ցուլու, համեռու յուցուլուց յահուլուն սահարցենքու, մտաշմունքու ալֆերունուն և յամուսիւլուն, լուրսուս մամուս յուրցու տարցենուն, սայցլուսումա սա- հարցենուսա, հոմել մտաշմունքու ոյամահուեն, ալֆերունուն արուան և արա մուսա, հոմելու ուտ յուրցու տարցեն և նուսա մունքեար ոյու ուրց- նուս սացաս, արամեց մուսա յահուրմունքուսա ։ և մաս նուսա տան յուրու- նու նուլուլուց յանց յէնս ։ ամ, յացունք, հոմել ուտմչուլունքու յուտմէ յացուրուս մաս Մոնա Շեցուլա սուրպուսա յոնա անցուրմուսա, յուլու միշերունուս- յան յանմունքա ։ եռու ինունտա ամատ Մոնա յամտա ուու մոլուաֆերենտա Մոնուս, ծերու ზայերու մո- րա- ա- ա- ա- ա-

1 յ լ. թ ա վ ա ց ա ր ո ւ ն ո, լածսպալճուս ռտետացտ, եղլնաֆերենտա ունսրութիւն Յումից, V, տէ., 1963, ց. 145, 160.

2 եղլնաֆերենքուս օլուրունքուսաւուս օւ. սայահուցուլուս սակելմիշուր մունքունքուս յահուլու եղլնաֆերենտա ալֆերունքուս (A յուլույուս), IV, Շեագցուն յիհունուն Մահանդեմ, տէ., 1954, ց. 407—410.

რილისა წმიდისა მის სახარებისათვს, და პოა ღიღსა წიგნის საცავსა შინა და აღისეთ სიხარულითა, და მიერ გარდმოუწერა შატბერდელსა ხუცესსა სტეფანეს. და აღმო-რამ-ვიდა რომანის, მე კელ-ყვავ, ცოდვილმან იოვანე, აღწერად, რამეთუ აღრითავან სწყუროდა სულსა ჩემსა მოგვბად წმიდისა სახარებისა. აშ, ვინცა სწერდეთ, ვითა აქა პპორთ, ეგრე დაწერეთ, წენტილითა და პატივთა ზედა მეორითა სიტყვთა, რამეთუ ანდერძი, ვითა აქა სწერია, ესრე პოვნილ არს ნუსხისა“ (266v).

ანდერძითან ჩანს, რომ უკვე ვანის ოთხთავის გადაწერის დროისათვის გიორგი მთაწმიდლისეული ითხთავის ტექსტი გადამწერთაგან იმდენად შეცვლილი ყოფილა, რომ იოვანეს სპეციალურად დაუძებნია სანდო დედანი. ვანის ოთხთავის დედანი გადმოუწერია შატბერდელ ხუცესს სტეფანეს მთაწმიდას, ვინმე ზაქარიას მიერ მიყვალეული გიორგი მთაწმიდლის მიერ აღწერილი ცალიდან³.

ლაბძყალდის ოთხთავი დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუშეუმში. ღ. ბაქრაძე და ა. ხახანშვილი ხელნაწერს XI ს-ით ათარიღებენ, პ. უფაროვა — XIII ს-ით, ექ. თაყაიშვილი — XII—XIII ს-ით, ელ. მაჭავარიანი — 1259—1270 წწ⁴. ლაბძყალდის ოთხთავს არ ახლავს გადამწერის ანდერძი. ა. ხახანშვილისა და ექ. თაყაიშვილის აზრით, ხელნაწერი გადაწერილია ბერების — იოვანესა და სკმერინის. მიერ, რომლებიც იხსენიებიან იოვანეს სახარების ბოლოს გადამწერის ხელით დართულ მინაწერში: „წმიდაო ღმრთისაო, ვინცა მიემთხვენთ წმიდასა ამას სახარებასა, ლოცვა-ყვავ მდაბალთა მონაზონთა იოვანესა და სკმერინისთვს“ (257v). ამ ვარაუდის გაზიარება ჭირს, რადგან ხელნაწერი თავიდან ბოლომდე ერთი ხელითა ნაწერი. მათეს თავის ბოლოს ხელნაწერს ერთვის აგრეთვე გადამწერის ხელით, სინგურით შესრულებული სხვა მინაწერიც: „ქრისტე, შეიწყალე სული ჩემ ცოდვილისა სტეფანესი“ (78r). ვინ არის სტეფანე ან რა დამოკიდებულება აქვს ხელნაწერთან, მინაწერიდან არ ჩანს. ჩვეულებრივ კი ამგვარ მინაწერებს გადამწერნი ურთავენ ხოლმ.

ეჩმიაძინის ქართული ოთხთავი (Rt XIX № 1) ხელის მიხედვით დგება ლაბძყალდისა და ვანის ოთხთავებთან. ტექსტს არ ახლავს გადამწერის ანდერძ-მთაწმინდები.

რადგან ეს სამი ოთხთავი თანადროულია და შემკულობის მხრივაც ერთმანეთშე ღმიმუშიდებული, სანტერერსო იყო მათი ტექსტობრივი შედარება. მით უმეტეს, რომ ვანის ოთხთავის დედანი სტეფანეს გადამწერილი ნუსხა ყოფილა, სტეფანე მოხსენიებული ლაბძყალდის ოთხთავის მინაწერშიც. ქვემოთ მოგვავს შედარების შედეგად გამოვლენილი სხვაობანი. ლაბძყალდის ოთხთავის ალსანიშნავად ვიყენებთ L ლიტერს, ვანის ოთხთავისთვის — v, ეჩმიაძინის ოთხთავისთვის — E.

³ ამასთან დაკავშირებით იხ. ი ღ ი ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული აღმომზ., თბ., 1973, გვ. 368—369, ტაბ. 111 და 112.

⁴ Д. Бакрадзе, Сванетия, Записки Картго, VI, 1861, стр. 98—99; А. Хахаишвили, О сванетских рукописных евангелиях и надписях, Материалы по археологии Кавказа, 1904; П. Уварова, Сванетия, МАК, X; ექ. თა კ ა მ შ ვ ი ლ ი ა რ ქ ე ლ ლ ვ ი რ ი ე ქ ს ე დ ი რ ი ლ ე ნ ტ ე მ ს ტ ვ ა ნ ტ მ ი 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 398—403; ელ. მ კ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ლატსყალდის ოთხთავი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბ., 1963, გვ. 137—161.

L

VE

მეტია ლაბსყალდის ოთხთავში

იცნეს იგი 40va.
 მღველთ-მოძღვართა მათ 73rb.

დღისა შისთვის მესამისა 80va.

ყავთ უკუც აწ ნაყოფი 139ra.
 იაკობისა, ელისა 140rb.
 და მოვიდა 163va.
 წინაშე მთავართა 168va.
 და ხელვიდეს 199ra.

აშენ, ამენ გეტყვა თქუენ 239vb.

იცნეს 42vb, 43ra, გ. XIV, 35.
 მღველთ-მოძღვართა 74rb, 74vb გ.
 XXVII, 6.
 დღისათვის მესამისა 80vb, 81rb მარ-
 კოზის თავების ზანდუქი, თავი 6%.
 ყავთ უკუც ნაყოფი 139va ლ. III, 8.
 ელისა 140vb ლ. III, 23.
 მოვიდა 166rb ლ. X, 33.
 მთავართა 171vb ლ. XII, 11.
 ხელვიდეს 205rb, 205va ლ. XXIII,
 49.
 აშენ გეტყვა თქუენ 247ra, 247vb ი.
 XIII, 20.

მეტია ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავში

თავ(ნ)ი მათეს (მარქოზის, ლუკას,
 იოვანეს) სახარებისანი 3r, 79r,
 127r, 203r.

მარილი 15va.
 მარგალიტა 20vb.

მას უამსა 47ra.

იხილა 57va.
 მუქლი ცვიდ 78rb.

გუამი 12vb.

აპეიდით კაცთა 128va.

იხილა 163va.
 ალდეგ, წარვედ 181va.

დაღგა 184vb.
 ქუეყანის-მოქმედთა 188rb.

შეუდგა 197vb.
 მოვიდეს 212va.
 მსახურებდეს 237rb.

ეს თავები არს მათეს (მარქოზის,
 ლუკას, იოვანეს) სახარებისად V 5r,
 79v, 127r, 209r; E 5r, 80r, 127r,
 209r.

მარილი იგი 16vb, 16rb გ. V, 13.
 მარგალიტა თქუენსა 22ra გ. VII,
 6.

მას უამსა შინა 48vb, 49ra გ. XVIII,
 1.

იხილა მუნ 59rb, 59vb გ. XXII, 11.
 მუქლი ცვიდ, ბერძულად თავნი ტმ
 79rb, 79vb მათეს თავის ბოლოს.
 გუამი იგი 124vb, 125 rb მარქ. XV,
 45.

რამთუ აპეიდით კაცთა 128va ლუ-
 კას თავების ზანდუქი, თავი 6%.

და იხილა 166rb ლ. X, 32.
 ალდეგ და წარვედ 186rb ლ. XVII,
 19.

და დაღგა 189vb ლ. XVIII, 40.
 ქუეყანის-მოქმედთა მათ 193vb,
 193va, ლ. XX, 14.

შეუდგა მას 204ra ლ. XXIII, 26.
 მოვიდეს იგი 218vb, 219ra ი. IV, 25.
 მე მმსახურებდეს 244va, 245ra ი.
 XII, 26.

გ ა ღ ა ს მ ა

უფროსს მისა 28vb.
 ჩემთვს კაცთა 102rb.
 სიყუარულსა ზედა ჩემსა 243rb.

მისა უფროსს 30rb, 30vb მ. X, 28.
 კაცთა ჩემთვს 101vb მარკ. VIII, 27.
 სიყუარულსა ჩემსა ზედა 251ra,
 252rb ი. XV, 9.

შევემოთ მოგვაქვს განსხვავებანი, რომლებშიც თავმოყრილია ლექსიკურად,
 ან ერთი ლექსიკური ერთეულის გრამატიკულად განსხვავებული ფორმები.

თავ(6)ი მათეს (მარკოზის, ლუკას,
 ოვანესი) სახარებისანი 3r, 79r, 127r
 203r.

ესე თავები არს მათეს (მარკოზის,
 ლუკას, ოვანესი) სახარებისაა V 5r,
 79v, 127r, 209r; E 5r, 80r, 127r,
 209r.

აღვიდა... ლოცვად 40ra.

აღვიდა... ილოცვიდა 42ra, 42va მ.
 XIV, 23.

უნებლიერთვა 47rb.
 შეიძინო 48ra.
 ეტყოლეს 54rb.
 დაემტკიცოს 54vb.
 არნ 61ra.
 აქამომდე 63rb.
 ალოცვიდა 70vb.
 გულისჯმა-ჰყვენით 89vb.

უნებლიალდა 49rb, 49va მ. XVIII, 7.
 შეიძინებ 50ra, 50rb მ. XVIII, 15.
 ეტყოლდა 56rb, 65va მ. XXI, 11.
 დამტკიცე 56va, 57ra მ. XXI, 16.
 არიან 62vb, 63ra მ. XXIII, 25.
 აქამდე 65ra, 65rb მ. XXIV, 21.
 ილოცა 72ra, 72va მ. XXVI, 44.
 გულისჯმა-ჰყვენით 89va, 89rb მარკ.
 IV, 13.

დაღგიან 90ra მარკ. IV, 21.
 აშრობ 93vb.
 აქუს 96vb.
 ვლენ 98va.
 ახილნა 102ra.
 არა 110rb.
 მოძლურებასა მას მისსა 111rb.

დაღგიან 90ra მარკ. IV, 21.
 აშრობებ 93rb მარკ. V, 35.
 აქუნ 96rb, 96ra მარკ. VI, 34.
 ვლენან 98ra მარკ. VII, 5.
 ალიბილნა 101ra, 101va მარკ. VIII, 24.
 არლა 109vb მარკ. XI, 2.
 მოძლურებასა ზედა მისსა 110vb,
 111ra მარკ. XI, 18.

იქმნეს 117ra.
 თაყუანის-სცემდეს 123 rb.

იქმნას 116vb, 117ra მარკ. XIII, 30.
 თაყუანის-სცემედ 123rb, 123va
 მარკ. XV, 19.

გარდამოწედინ 123vb.

- გარდამოწედ 123vb, 124rb მარკ.
 XV, 30.

შეაყენე 127va ლუკას თავების ზან-

დლუკი, თავი ი3.

პრქუა... ლევის მეზუშრესა 127va

ლუკას თავების ზანდლუკი, თავი ით.
 ხარ 127vb ლუკას თავების ზანდლუკი,
 თავი კ3.

ხარ 127vb.

იშ-ლმს 128rb ლუკას თავების ზან-
 დლუკი, თავი ჴა.

იშ-ლიმდ 128rb.

ხარ 129vb.

უწოდო 131vb.

ვიდრე გამოცხადებად მისა 135rb.

კუმილეასა 135vb.

იყვენით 148va.

არამედ 156vb.

იცითა 161ra.

განვისხმ 165rb.

საფლავთა მათთა 167rb.

შევიტიბო 169ra.

ცხოვნებულნი 173ra.

გოდლისა 175vb.

ექმნეთ 179ra.

ეგრეთვე 180ra.

უფროოს 184vb.

ესრეთ 186va.

ჰეშმარიტად 189ra.

იქორწიებოდიან 189va.

უწყოდეთ 192ra.

პრქუა 193rb.

სიტყუანი ეს 200 rb.

სიყუდილად 214 ra.

პირველ 228vb.

მოვიდეს 230vb.

მსახურებდეს 237rb.

ცეტყოდე 238va.

ინაკით მსხდომარეთაგანმან 240rb.

მამამანცა 249vb.

ვიეთნი 255rb.

აღდგა რაა 256vb.

არ მოგვაქვს ე და შ-ს ან ს და შ-ს მონაცემეობის ნიმუშები, რადგან ამ მხრივ არაერთგვარობა ერთი ხელნაშერის ფარგლებშივე გვხვდება.

ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავებში, განსხვავებით ლაბსყალდის ოთხთავისაგან, კიდეზე გატანილია ტექსტთან დაკავშირებული მინაშერები.

I. მათეს XIV თავის 36-ე მუხლი ლაბსყალდის ოთხთავში ასეა შარ-მოგვენილი: „ხოლო დღისა მისთვს და უამისა არაფინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, არცა ძემან, გარნა მამამან მხოლომან“ (64rb). ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავებში ეს მუხლი ასე იკითხება: „ხოლო დღისა მისთვს და უამისა არაფინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, გარნა მამამან მხოლომან“ (VE 66ra). კი-

ხარა 129vb ლუკას თავების ზანდუ-
კი, თავი ქ.

უწოდი 131vb, 132ra ლ. I, 13.

ვიდრე გამოცხადებადმდე მისა 135va ლ. I, 80.

საჯუმილავსა 136ra ლ. II, 8.

იყვნეთ 150ra, 149vb ლ. VI, 35.

გარნა 159ra, 159rb ლ. VIII, 50.

იცით 163va ლ. IX, 55.

განასხამ 168rb ლ. XI, 18.

საფლავთა მათ 170va ლ. XI, 48.

შევერიბო 172rb ლ. XII, 17.

ცხორებულნი 176vb ლ. XIII, 23.

გოდლი 179vb ლ. XIV, 28.

იქმნეთ 183va ლ. XVI, 12.

ეგრევე 184va ლ. XVI, 25.

უფროოსად 189vb ლ. XVIII, 39.

ესრე 192ra, 191vb ლ. XIX, 31.

ჰეშმარიტსა 194rb ლ. XX, 21.

იქორწიებოდიან 195ra ლ. XX, 35.

უწყოდით 197va ლ. XXI, 30.

თქუა 199rb, 199ra ლ. XXII, 19.

სიტყუანი ეს 206vb, ლ. XXIV, 17.

სიყუდიდ 220rb, 220va ი. IV, 47.

პირველ 235va, 236ra ი. IX, 17.

მოვიდეს 237va, 238ra, ი. X, 10.

მსახურებდეს 244va, 245ra ი. XII, 26.

ციტყოდე 245vb, 246rb ი. XII, 49.

ინაკით მგდომარეთაგანმან 247va,

248rb ი. XIII, 28.

მამამან 250rb ი. XIV, 23.

ვიეთნიმე 263va, 264vb ი. XX, 23.

აღ-რა-დვა 265rb, 266vb ი. XXI, 14.

დეზე ვარსკვლავით გატანილია „არცა ძემან“ და მიწერილია შენიშვნა: „ესე სიტყუა სამთა ბერძულთა სახარებათა არა ეჭვრა, არცა მე დავჭერე“.

II. „და მეყსეულად შევიდა იესუ ნავა მოწაფეთა მისთა თან და წარვიდა აღგილთა მავდალოსათა“ L 101rb მარკ. VIII, 10. ეს მუხლი ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავებშიც ასე იკითხება, მხოლოდ „მავდალოსათას“ შესატყვისად კიდეზე გატანილია „დალმანუთასათა“ VE 100va.

III. „უადვილეს არს მანქანისა საბელი ჸურელსა ნემსისასა განსლვად“ L 184ra, V 189ra, E 188vb ლ. XVIII, 25. ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავებში „მანქანისას“ შესატყვისად კიდეზე გატანილია „აქლემისა“.

IV. „იუდა ისკარიოტელი“ L 27rb მ. X, 4. ვანის ოთხთავში მხოლოდ „ისკარიოტელია“ შეტანილი, გამოტოვებული „იუდას“ ნაცვლად წერტილებია დასმული (28va). ეჩმიაძინის ოთხთავში კი „იუდაც“ წერია და ნიშანიც გადატანილია (29ra). ჩვეულებრივ, ეჩმიაძინის ოთხთავში ზედმიწევნითაა გამეორებული ვანის ოთხთავის ყველა მინიშნება. შესაძლოა, ამ შემთხვევაში გადამწერს მექანიკურად წასცდა სახელი.

ზემოთ მოტანილი ნიმუშებიდან ჩანს, რომ ლაბსყალდის ოთხთავის განსხვავებული წაკითხვების საპირისპირო, ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავები ყოველთვის ერთად დგას. მეტიც, ვანის ოთხთავის ტექსტში ჩართული ნიშნებინ თუ კიდეზე გატანილი მინაწერები მეორება ეჩმიაძინის ოთხთავშიც. მხოლოდ რამდენმე შემთხვევა დაიძება, როდესაც ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავები სხვაობენ:

V

1. პირით გამომავალი 43vb.
2. ქლიტენი სასუფეველისა ცათამ-სანი 46rb.
3. ღაუკურდებოდა 83va.
4. შემოსეს 95vb.
5. მათ შინა 176ra.
6. არნ 236va.

ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავთა ასეთი თანხვედრა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ვანის ოთხთავი არის დედანი ეჩმიაძინის ოთხთავისა, მით უმეტეს, რომ ეჩმიაძინის ოთხთავის მხატვრობასაც საფუძვლად ვანის ოთხთავის მხატვრობა დასდებია. რაც შეეხება ვანისა და ლაბსყალდის ოთხთავებს, ზემოთ მოტანილი ნიმუშებიდან ჩანს, რომ მათი ტექსტები არ არის ერთმანეთისგან მომდინარე.

საგანგებოდ შევხერდებით ზემოთ აღნიშნულ კიდეზე გატანილ მინაწერებზე. ამასთან დაკავშირებით გადავათვალიერეთ XI—XVIII სს-ის ოთხთავები, რომელთაც ან გიორგი მთაწმიდლის ანდერძი ახლავს, ან აღმწერელთა მიერ მიჩნეულია გიორგი მთაწმიდლის რეაზუიისად — სულ ოთხმოცამდე ხელნაწერი.

I. მათეს XXIV თავის 36-ე მუხლში „არცა ძემან“, ჩვეულებრივ, შეტანილია ოთხთავის ძირითად ტექსტში. კიდეზე მიწერილი სათანადო შენიშვნით,

- ## E
- პირით გამავალი 43vb მ. XV, 11. კლიტენი სასუფეველისანი ცათამ-სანი 46vb მ. XVI, 19. განუკურდებოდა 83va მარკ. I, 27. მოსეს 95vb მარკ. VI, 29. მას შინა 176ra ლ. XIII, 14. არს 237ra ი. IX, 31.

⁵ შდრ. ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავებში 97rb, 103vb, 171va და ა. შ.

კანისა და ეჩმიაძინის ოთხთავებს გარდა, მხოლოდ სამ ხელნაწერშია: Q 883-ში, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებშია დაცული, და კალვი-სისა და ართვინის ოთხთავებში, რომლებიც ცნობილია ექ. თაყაიშვილისა და ნ. მარის აღწერილობებით.

Q 883 ხელნაწერს გადამშერის ანდერძი არ ახლავს, ხელის მიხედვით დათარიღებულია XII—XIII ს-ით, ერთვის გიორგი მთაწმილელის ანდერძი ე. წ. A რედაქციისა, რომლის მიხედვით გიორგი მთაწმილელი ოთხთავის მთარ- გმნელადა აღიარებულია. ხელნაწერის 32v-ზე, მათეს XXIV თავის 36-ე მუხ- ლის გასწავრით, კიდევ უმნიშვნელა: „არცა ძეგან კიდევგად ეწერა დედასაცა“.

კალვისის თოხთავი, ექ. თაყაიშვილის დათარიღებით, ანაუაღრეს XIII ს-ისა, ახლავს მხოლოდ გორგო მთაშმიდლის ანდერძი, რომელიც აღწერილობაში გადმოწერილი არ არის. ჩვენთვის საინტერესო აღგილის შესახებ აღწერილობაში აღნიშნულია: „ერთს ადგილს აშიაზე უწერია „არცა ძემა“, და ამ სიტყვებს, რომელიც ტექსტში არა შეტანილი, შეინშვნა აქვთ: „სამთა სახარებათა შინა არა ეწერა ბერძულთა და არცა მე დავსწერ, მთაშმიდელი იტყვის“.

ართვინის ოთხთავს არ ახლავს გადაწყვერის ანდერბ-შინაწყერები, პალეოგ-
ანტიული მონაცემებით ნ. მარი ხელნაწყერს XI—XII ს-ით თარიღდებს⁸. აღ-
წერილობაზე მოტანილია ჩვენთვის საინტერესო ცნობაც: ხელნაწყერის მერვე
რევულის 7r-ზე ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნაა: „არცა ძემან — ესე
სიტყვაა სამთა ბერძოლთა სახარებათა არა ეწერა, არცა მე დაწყერე“.

გადასინჯულ ოთხთავთა შორის გამოჩენდა სამი ხელნაწერი: H 2070 (XI—XII ს.), H 1782 (XII—XIII ს.) და S 2546 (XVIII ს.), რომელებშიც „არცა ძემან“ არც ძირითად ტექსტშია ჩაწერილი და არც კიდევე გატანილი: „ხოლო დღისა მისოვს და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, გარ-ნა მამამან (+ჩემან S 2546) მხოლომან“ (H 2070—88vb, H 1782—44rb, S 2546—43v), ხოლო A 99 ხელნაწერში (XIII ს.) „არცა ძემან“ ტექსტში ჩა-მატებულია გადამწერის ხელით იმავე შელნით, რომლითაც ოთხთავია გადა-წერილი. როგორც ჩანს, გადამწერს შემთხვევით გამორჩენილი სიტყვები თა-ვადე შეუნიშნავს და ჩაუმატებდა კიდეც (73rb).

ასეთი შენავია, რომ ეს ფრაზა მეორედება მარკოზის XIII თავის 32-ე
მუხლშიც: „ხოლო დღისა მისთვის და ეძმისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა
დათა შინა, არცა ქვამინ, არამედ მამამან“. ამ მუხლთან კომენტარი არ შეგვე-
ვიდრობ.

7 ე. თაყაიშვილი, ორქოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938, გვ. 35—36.

⁸ Н. Я. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, С.-Петербург, 1911, стр. 189—190.

II. მარკოზის VIII თავის მე-10 მუხლში „მაგდალომასათას“ შესატყვისად „დალმანუთამასათა“ კიდეზე გატანილი შეგვეცდა მხოლოდ ორ ხელნაშერში:
 A 845 (XI ს. II ნახ.)—124rb და H 1453 (XII—XIII ს.)—99va.

A 845 ხელნაშერშე დართული ანდერძიდან ცნობილია, რომ ოთხთავი გადაიწერა „შავსა მთასა, უდაბნოსა ლერწმისქვევისასა... კელითა უბადრუკისა და მწარედ ცოდვილისა შავზაქარიასითა“. ანდერძის ბოლოს საგულისხმო ცნობაა მოტანილი ნუსხის „დედაზეც“: „ნიკოლაოს ხუცესსა მიეცინ ღმერთმან სასყიდელი და მადლი ჩემისა კეთილისათვე და წყალობისა, მისითა დედითა დავწერე, რომელი მას დავწერა გიორგი მთაწმიდელისა სახარებისავან, რომელი გიორგი მთაწმიდელსა ბერძულთა სახარებათადა შეემოწმა მესამედ, ორჯელ პირველ შეემოწმა. ღმერთმან მიეცინ სასყიდელი სულსა მისსა შრომისათვეს, ამენ“ (305va—306rb). ხელნაშერს არ ერთვის გიორგი მთაწმიდლის ანდერძი, მაგრამ გადამწერის ანდერძის მიხედვით, გიორგი მთაწმიდელი ქართული ოთხთავის ტექსტის ბერძულთან შემმოწმებელ-შემჭერებელი ჩანს. რაც შეეხება H 1453 ხელნაშერს, ე.წ. ყანჩაეთის ოთხთავს, მას გიორგი მთაწმიდლის ანდერძი არ ახლავს.

ოთხთავის ნუსხათა უმრავლესობაში ამ მუხლში „მაგდალომასათა“ იყოთხება. „მაგდალომასათა“ ნაცვლად „დალმანუთისათა“ შეგვეცდა შემდეგ ხელნაშერებში: A 516 (XII ს. დასასრ.)—108ra, A 498 (XIII ს.)—109ra, A 357 (XIII ს.)—94rb, S 3472 (XIII—XIV ს.)—68vb, A 213 (XIV ს.)—38rb, H 2806 (1543 წ.)—125rb, „დალმანუთასათა“—S 2546 (XVIII ს.), 69ra.

ამ მუხლში ორივე — „მაგდალომასათა და დალმანუთამასათა“ შეგვეცდა შემდეგ ნუსხებში: H 325 (XII ს.)—68va, Q 900 (XII—XIII ს.)—86vb, „მაგდალომასათა დალმანომასათა“—A 499 (XIII ს.) 100vb, „მაგდალომასათა დალმანომასათა“—A 281 (XIII ს.) 61va, „მაგდალომასათა და დალმანუთისათა“—A 585 (XIV ს.) 88vb⁹, A 449—63va, ხელნაშერი XII ს.-ისაა, მაგრამ ნაკლულია. ნაკლული ნაწილი, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო მუხლიც, აღდგენილია XVI ს.-ის ხელით; „მაგდალომასათა და ალმწუთასათა“—H 315 (XVII ს.), 60vb.

ზოგ ნუსხაში „მაგდალო“ და „დალმანუთი“ ერთად რომ გვხვდება, ხომ არ მიანიშნებს იჩაზე, რომ რომელიმე გადამწერმა კიდეზე გატანილი ვარიანტი ტექსტში შეიტანა, შემდეგ კი ეს მუხლი ამ სახით განმეორდა.

„მაგდალო“ ოთხთავის ტექსტში სხვაგანაცაა, კერძოდ, მათეს XV თავის 39-ე მუხლში: „აღვიდა იესუ ნავსა და მოვიდა საზღვართა მაგდალომასათა“. ამ მუხლთან მინაშერი არ შეგვეცელრია.

III. ლუკას XVIII თავის 25-ე მუხლში „მანქანისა საბელი“ კიდეზე ვარიანტით „ექლემი“ ოთხ ხელნაშერში: A 845 (XI ს. II ნახ.)—218yb, H 1453 (XII—XIII ს.)—170va, Q 883 (XII—XIII ს.)—99va, H 1791 (1213—1216 წწ.)—113va. ნუსხათა უმრავლესობაში ეს მუხლი მინაშერის გარეშეა, ხოლო სამ ნუსხაში ამგვარად იყოთხება: „უადვილეს არს აქლემი კურელსა ნემსისა განსლევად, ვალრე მდიდარი შესლოვად სასუფეველსა ღმრთისასა“ A 449 (XIII ს.)—195vb, H 2806 (1543 წ.)—234ra, A 992 (XVI—XVII ს.)—159vb.

⁹ კვადრატულ ფრჩხილებში ჩატერილი ასოები ხელნაშერში ამოშლილია, მაგრამ ნაკლები რეზენტება.

ეს ფრაზა ოთხთავის ტექსტში სხვაგანაც გვხვდება: მათე XIX, 24 გვ. 10 მარკოზ X, 25, მაგრამ ამ ვარიანტის მიწერის საჭიროება აღარ ჩანს, რადგან „აქლემი“ ძირითად ტექსტშია შეტანილი.

IV. მათეს X თავის მე-4 მუხლში „იუდა ოსკარიოტელის“ გასწროვ, ვანის ოთხთავის გარდა, არც ერთ ოთხთავში არ შეგვხვედრია რაიმე მინტერი, ყველაგან „იუდა“ ძირითად ტექსტშია შეტანილი. თვით ეჩმიაძინის ოთხთავშიც კა, რომელიც პირია ვანისა, „იუდა“ ტექსტშია ჩაწერილი.

ამრიგად, სამივე მინაშერი დართული აქვს მხოლოდ ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავებს. „არცა ძემან“ და „აქლემი“ კიდევ გატანილია Q 883-ში, „დალ-მანუთი“ და „აქლემი“—A 845-სა და H 1453-ში, მხოლოდ „არცა ძემან“—კალკოსისა და ართვინის ოთხთავებში, მხოლოდ „აქლემი“—H 1791-ში. რაიმე კანონმიტომიერება არ შეინიშნება გიორგი მთაწმიდლის A და B რედაქციის ანდერძის ჩატარებელ ნუსხათა შორის¹⁰.

აღსანაშნავია ის გარემოება, რომ კომენტარები ერთის ადრინდელ ნუსხებს: A 845-ს (XI ს. II ნახ.), ართვინის ოთხთავს (XI—XII ს.), Q 883-ს, H 1453-ს, ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავებს (XII—XIII ს.), H 1791-სა (1213—1216 წწ.) და კალკოსის ოთხთავს (XIII ს.). ზემოთ ჩამოთვლილ ნუსხათავან თრს, A 845-სა და ვანის ოთხთავს, დედნად სანდო ნუსხები დასდებით: A 845 ხელნაშერის გადამწერს შევ ზაქარიას დედნად ნიკოლაოს ხუცესის ნუსხა აულია, ხოლო ნიკოლაოსს, თავის მხრივ, გიორგი მთაწმიდლის სახარება ჰქონია ხელთ, რომელიც ამ უკანასკნელს სამჭერ შეუდარებია ბერძნულთან — ორჯერ პირველად და მესამედ, როგორც ჩანს, საბოლოოდ (A 845, 305va—305hb). ვანის ოთხთავის გადამწერს იოვანესაც საგულდაგულოდ უძებნია დედანი. ამ მიზნით ბერი ზექარია მთაწმიდლას წასულა, იქ უნახავს გიორგი მთაწმიდლის ნუსხის პირი, შატბერდელი ხუცესის სტეფანეს გადმოწერილი, და რომანას აუტანია. ეს ნუსხა დასდებია დედნად ვანის ოთხთავს.

ანგარიშგასაწევია კიდევ გატანილი განმარტებანიც. მათეს XXIV თავის 36-ე მუხლის გასწროვ ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავებში მიწერილია: „არცა ძემან—ესე სიტყუად სამთა ბერძულთა სახარებათა არა ეწერა, არცა მე დავწერე“. Q 883-ში: „არცა ძემან კიდევნად ეწერა დედასაცა“. კალკოსის ოთხთავში: „არცა ძემან სამთა სახარებათა შინა არა ეწერა ბერძულთა და არცა მე დავწერე, მთაწმიდელი იტყვის“. ართვინის ოთხთავში: „არცა ძემან — ესე სიტყუად სამთა ბერძულთა სახარებათა არა ეწერა, არცა მე დავწერე“.

ის ფაქტი, რომ ეს მინაშერები მხოლოდ ადრეულ ნუსხებში შეგვხდა, აგრეთვე ის გარემოება, რომ ამ ნუსხათავან თრისთვის საგანგებოდ გიორგი მთაწმიდლისეული ნუსხის პირი უძებნიათ დედნად და ბოლოს, ერთ-ერთ მთავანთან მიწერილი შენიშვნები გვავრცელებინებს, რომ მათი ავტორი გიორგი მთაწმიდელია. ხოლო ეს მინაშერები რომ ასე გავრცელებულ გორგი მთაწმიდლის რედაქციის ნუსხათავან მხოლოდ რამდენიმეს ერთის, იმით ხომ არ უნდა აიხსნას, რომ შემდეგდროინდელ გადამწერებს კიდევ გატანილი

10 ქართულის მსგავს განსხვავებულ წართხვებს უჩენებს ბერძნული ოთხთავის ხელნაშერებიც მათეს XXIV, 36-სა და მარკოზის VIII, 10-ში (Cod. Novum Testamentum, graec. et latine, apparatu critico instructum edidit, Augustinus Merk S. J., editio nona Romae, 1964).

ვარიანტები ან ძირითად ტექსტში შექმნდათ, ან გადაწყვეტილი დროს გამოიყენდნენ ხელმე.

კიდევ გატანილ მინაწერთა მიხედვითაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ვანისა და ეჩმიაძინის ოთხთავები ერთად დგება. რაც შექება ლაპსუალდის ოთხთავს, ამ მინაწერთაგან მხოლოდ პირველი — „არა ძემან“ გვხვდება ტექსტში, ხოლ სხვები არც ტექსტშია შეტანილი და არც კიდევ ზეა დართული.

Ц. А. ЧАНКИЕВА

О ВЗАИМООТНОШЕНИИ ВАНСКОГО, ЛАБСКАЛДСКОГО И ЕЧМИАДЗИНСКОГО ЧЕТВЕРОГЛАВОВ

(Резюме)

Ванский, Лабскалдский и Ечмиадзинский четвероглавы датируются XII—XIII в. В научной литературе принято мнение, согласно которому мастер Ечмиадзинского четвероглава копирует Ванскую рукопись, а художник Лабскалдской рукописи хотя и пользуется Ванским кодексом, но творчески перерабатывает его.

Не лишено интереса и текстуальное сопоставление этих рукописей, тем более, что подлинник Ванского четвероглава переписан Степаном, Степан упоминается и в приписке Лабскалдского четвероглава. Текстуальное изучение выяснило, что Ванский четвероглав является подлинником Ечмиадзинского четвероглава, а текст Лабскалдской рукописи стоит отдельно.

В статье рассматриваются приписки, связанные с текстом (Мат. XXIV, 36, Марк VIII, 10, Лука XVIII, 25). С этой целью пересмотрены четвероглавы XI—XVIII вв., данные которых предоставляют возможность заключить, что автором этих комментариев является Георгий Мтацминдели — переводчик и редактор грузинского текста четвероглава.

ელენი გაფავარიანი

გადამდებარება და მხატვარს შორის ურთიერთობის განათლების
საკითხისათვის ხელნაწერი იგინის მხატვრული კომპოზიციის
შექმნის დროს

ხელნაშერი წიგნის „შესატულებლად, ანუ როგორც ივ. ჭავახიშვილი უწოდებს წიგნის „შემზადებისათვის“ საჭირო საქმიანობა მეტად რთულსა და დახელოვნებულ ოსტატობას მოითხოვდა. ამ თანამიმდევრულ შრომით პროცესებში, როგორიცაა ეტრატის შექმნა, გადაწერა, მოხატვა, აკინძეა, შემოსვა და მოჰყედვა—გადამწერსა და მთატვარს განსაზღვრული ფუნქციები ეყისრებოდათ.

ქართული მოხატული ხელნაწერების შესრულება მდგრადარი მასალა გამოავლინა შრომის პროცესში გადამწერისა და მხატვრის ურთიერთობის გასარკვევად. ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორი იყო მათ შორის შრომის განაწილების პრინციპი, მათ როლი ხელნაწერი წიგნის დეკორაციული სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების დროს.

ქართულ მოხატულ ხელნაშერთა მხატვრული და პალეოგრაფიული თავისებურებების შესწავლა საშუალებას გვაძლევს მთელ რიგ შემთხვევაში გადამწერი და მხატვარი ერთ პირვენებად მივიჩნიოთ და როცა ანდერძ-მინაწერებში ცნობილი გადამწერის სახელი, შესაძლებლობა გვეძლევა გამოვავლინოთ ქართული წიგნის ხელოვანთა სახელები.

ა) გადამწერისა და მხატვრის ფუნქციები
ხელნაწერი წიგნის მხატვრული კომპოზიციის
ჩამოყალიბების პერიოდში.

ხელნაწერი წიგნის ხელოვნების განვითარების აღრეულ ერამშე, კერძოდ V—VIII ს. შესახებ მსჯელობა გვიჩდება მოუხატვი ნიმუშების მიხედვით. მდგრად, აქ ვეხებით მხოლოდ გადამწერის უზნებელებს და ვარკევთ, თუ რა მხატვრული ელემენტი შეაქვს მას ხელნაწერი წიგნის კომპიზიციური გადაწყვეტის ღრის (ნიმუშებად დავასახელებთ პალიმფსისტებს A—89, A—844 და ხანმეტ ლექციონალს) (ტაბ. VIII).



მრგვლოვანით; დაწერილი სტრიქონები აღიქმის როგორც ორნამენტი, კუთხის მარტინი და მთლიანი დაწერილობა მხატვრულ შთაბეჭდილებას ტოვებს. მშვენივრად დამუშავებული ეტრატის მოყვითალო ფონს გადამშერი უხამებს ყავის-ფერ მელანს და როცა ცალკეული არის მოხაზულობაში კამის მსუბუქი მოსმით ყავისფერი მელანი ოქროსფერში გადადის, ამით თითქოს ირლვევა ფერადების გარეშე დატვებული ხელნაწერი ფურცლების მონოქრომულობა. დაბოლოს, მუხლების აღსანიშნავად გადამშერი იყენებს ტექსტის მელნითვე გამოხატულ მთავრულ ასოებს — ე. წ. მარტივი აგებულების საზედაო ასოებს, რაც ამ ეტაპზე დეკორაციული მორთულობის ერთადერთი ელემენტია. ასოები ერთმანეთისაგან გარეული ინტერგალებითაა დაშორებული და დაწერილი სვეტის ვერტიკალიდან ყოველთვის გამოწეულია მარცხნივ. საზედაო ასოები აწესრიგებენ პორიზონტალებას და ვერტიკალებს შორის თანაფართობას, რაც კომპოზიციის გამომსახულობას უწყობს ხელს. პროპორციულობის მხრივ სასიამოვნო შეფარდებაა. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის ხელოვნების განვითარების ამ აღრეულ ეტაპზე გამოკვეთილი ხელნაწერი ფურცლების ამგვარი დეკორაციული გადაწყვეტა შემდგომ საუკუნეებშიც საფუძვლად უდევს ცალკეული გვერდის მხატვრულ კომპოზიციას.

შუასაუკუნეების ხელნაწერი წიგნის მხატვრობის აღრეულ ნიმუშს აღი-შის ოთხთავი წარმოადგენს (იგი შესრულებულია 897 წ. შატეკერდში) და ამისთანავე უნდა აღინიშნოს, რომ იგი ერთადერთი მოხატული ხელნაწერია, რომელმაც IX საუკუნიდან ჩვენამდე მოაღწია. აღიშის ოთხთავში მთელი მხატვრობა — მახარებელთა მინიატურები, კაბარები და კიბორიუმის გამოსახულება — თავმოყრილია ხელნაწერის დასაწყისში, ხოლო ტექსტი კვლავიდებურად დატვებულია მორთულობის გარეშე. სახარების თავები ერთმანეთისაგან არ არის გამოყოფილი რაიმე მხატვრული ელემენტით, ერთი მთლიანი, გამოტული ტექსტია. ამდენად გადაწერილ ტექსტსა და მხატვრობას შორის, ანუ გადაწერისა და მხატვრის საქმიანობას შორის გარეული ზღვარი ჩანს.

X ს. მხატვრულ ხელნაწერებში, სადაც უკვე მიმდინარეობს საერთო დეკორაციული სისტემის თანადაონობითი ჩამოყალიბების პროცესი, გადამშერი ანგარიშს უწევს ტექსტის აგებულებას, ტექსტის შინაარსობრივ მხარეს უფარდებს წიგნის მხატვრულ არქიტექტონიკას. მაგ. ჯრუშის 1 ოთხთავში (H—1660) ეს მიღწეულია შემდეგი საშუალებებით: 1. მახარებელთა მინიატურები და ერთვის სახარების ტექსტს და 2. თითოეული თავი იწყება ახალი ფურცლიდან და გამოყოფილია სინგურით შესრულებული სათაურით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის სხვა მოხატულ ოთხთავებში, მართალია, მახარებელთა მინიატურები ჯერ კიდევ ხელნაწერს თავში დაერთვის (A—98, A—40, S—391), მაგრამ ცალკეული თავი ერთმანეთისაგან ყველგან გამიჯნულია მხატვრულად. ზოგიერთ ხელნაწერში თავის დასაწყისი მხოლოდ სინგურით შესრულებული სათაურითაა აღნიშნული (H—1660, A—1453, S—391), ზოგჯერ კი თითოეული თავი შემუშავებულია ორნამენტული დეკორით; ტექსტს აგვირგვინებს ფერადოვანი თავსამკაული, ხოლო მუხლები გამოყოფილია მხატვრული საზედაო ასოებით (S—425, S—405). ხშირად გადამშერი ტექსტის ბოლოსაც დეკორატიულად ამთავრებს: სოლისებურად განალაგებს სტრიქონებს (H—1660, S—405), ან სტრიქონების თავისუფალ ადგილებს ავსებს მხატვრულად განლაგებული წერტილებითა და ტალღოვანი ხაზებით.



ამ პერიოდში გადამწერი ქმნის ხელოვნებითი დამწერლობის პირველი უძრავი ელემენტებს. იგი სწერს საზედაო ასოებიდან დეკორაციულ დეტალებს. გრაფიკულ საზედაო ასოებს უნდღებათ ხევულები, ასოს ასწორივ ხაზებ აღნიშნება ზიგზაგები და სხვ. X ს. მეორე ნახევარში კი სახეებით ჩამოყალიბებულ მხატვრულ საზედაო ასოებთან გვაქვს საქმე (S—425, S—405, H—1346).

პირველი ფერადოვანი მახვილი, რომელიც გადამწერს შეაქვს ტექსტში, სინგურის სალებავია! სინგურით იგი ასრულებს სათაურებს, გრაფიკულ საზედაო ასოებს, ცალკეულ აღნიშვნებს ტექსტში. სინგური ერთგვარად ამახვილებს მყითხველის ყურადღებას ტექსტის მნიშვნელოვან აღგილებზე. იგი მეტად ულერადი სალებავია, ხელნაწერის ფურცლებს ანიჭებს მხატვრულ ღირსებებს. საყურადღებოა, რომ ოქრო ძირითადად სინგურის სარჩულზეა დაფერილი.

ფერადოვანი მახვილების სახით სინგურის სალებავი ფართო გამოყენებას პოლილობს ასევე ორნამეტულ მხატვრობასა და მინიატურების კოლორისტულ ვამსაზი. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ე. წ. „ხალხური“ წარმომავლობის ხელნაწერებში, რომელთა მოხატულობა გადამწერის მიერაა შესრულებულ.


ამათან დაკავშირებით ერთი სანკრეტო გარემობაა აღსანიშნავი: მახატვებლები — სახეობის ტექსტის ატორები — მინიატურაზე წარმოდგენილი ირინ გადამწერის როლში. მახატვებლებს მულებზე შედეს წიგნი, საღაც ხშირად ტექსტის წერა შკვ დაწერებულია, სამუშაო მერხე გადამზადია, ნიმუშის სახით გრავირი და მოთავსებულია წიგნის შესამნელდ საჭირო სამუშაო იარაღები: სახანი, ფრაგმა, მარტივლა, ღანა, მოკავებული დანა ყალიბის გასათველად, თუმც და სხვ. (ტაბ. VI). ამ იარაღების გვერდით ორთვალიან სამელებში ყოველთვის მოთავსებულია შკვ და წითელი მელანი წოვეგრ მათ გვერდით ოქროს სალებავი არის მოცემილი. ხშირად სინგური ჩასხულია სინგარაში, რომელიც მოხანს სამუშაო მერხის გადგმული კარაბინა (A—496). ყველა ეს სამუშაო იარაღი თვის მხრივ წიგნის ოსტატთა განსაკულობაზე მითითებს.

გრუპის I ოთხთავი პირველი დასურათებული ხელნაწერია, საღაც ტექსტი და მინიატურები, ამ შემთხვევაში მახატვებლები, შესაბამისობაშია მოყვანილი. თითოეული მათგანი გამოისახულია ცალკეული სახატვების წინ, რითაც ანგარიში ეწერა ოთხთავის სტრუქტურას, მის შედეგინილობას. მარჯობი, ლუკასა და იოანესთან შემსვედრ ფურცელზე შეთავსებულია განკურნების ერთერთი კომპონიცია, ხოლო მათესთან — ლეთისტშიბელი ყრმითურთ. ცხადად ჩანს, რომ მინიატურები ტექსტიში შემდგენა ჩატარულია. თევდორე „კამარათა-

¹ 864 წლის სინტ მრავალ უთავის ტექსტში უკვ ჩანს სანკურა (Н. Я. Марр. Описание рузвинских рукописей Синайского монастыря. М.—Л., 1940, стр. 1).

სინგური მეტად ძირითადი და ძნელად მისამიებელი საღებავია. იგი შედგება ერცხლის წყლისა და გოგირდის ნერტისაგან და გეგვება ბუნებაში თვითნაბადი მინერალის — სინგურის სახით. სინგური და სინგური, როგორც აღსანიშნავს სულხან-საბა რჩელიანი, წითელი სახატვავი, ერცხლის წყალთა და გოგირდთა ცეცხლში გამოაღმონებ (იბ. სიტყვის კონა, 1949, 318 ვ). ამ საღებავის შემსახვების წესი მოცემულია კატანგის ქიმიის წიგნში, იბ. S—3721, 7v. სინგურის იყენებდნენ ევფიმეტელი ასტრები ფართული აკლდმების მოსახტავად, იგი ერთ-ერთ გარეულებული საღებავი იყენებულ სამყაროში. პლინიუსის ცნობით არსებობდა სინგურის შეიღიმდე სახობა, სახელწოდებაზი კი შეტრეული იყო მათ მოპოვების ადგილის მიხედვით. ერთ-ერთი ამ საბალოთაგანი არსებობდა კოლხეთში (А. В. Виннер. Материалы и техника монументально-декоративной живописи. Москва, 1953, стр. 55—56). შესაძლებელია ამით იმსანს ასეთი სიუცვე სინგურის გამოყენებისა ქართულ ხელნაწერთა მხატვრობაში.

3 თევა დახატულია ვატეანგის ქმითის წიგნში (S—3721, ვგ. 54) და მითოებულია როგორც არაროს გასარინალებელი იარაღი. (ტაბ. VI).





მშერალმა“ ისინი დამოუკიდებლად შეასრულა: ფურცლები მეორე მხატვრული დაუწერებლია და ჩემულებრივ პაგინაციაში არ არის გათვალისწინებული. მხატვრობა ანდერძების მიხედვით ტექსტის გადაწერის 4 წლის შემდეგაც შესრულებული (940 წ.).

ქართულ ხელნაწერებში, სადაც ტექსტი შემკულია ორნამენტული დეკორით, გადამწერი მუშაობის პროცესში არა მარტო ტოვებს თავისუფალ ადგილებს მოსახატვად, არამედ განსაზღვრავს მათ ფორმატსაც: მაგ., თავსამკაული ერთ შემთხვევაში სწორაზოვანი ზოლია, ხოლო შეორე შემთხვევაში მას ასო II-ს მოხატულობა აქვს; ზოგჯერ იგი აგვირგვინებს მხოლოდ სვეტის ერთ მხარეს, ან ტექსტის მთელ სიგანეზეა გაშლილი. მინიატურებით დასურათებულ ხელნაწერებშიც (იმ შემთხვევაში, როცა მინიატურები თვით ტექსტშია ჩართული) გადამწერი არა მარტო ტოვებს თავისუფალ ადგილებს მოსახატვად, არამედ განსაზღვრავს მინიატურების ფორმატსაც: იგი იყონოვრაფიული კომპოზიციის შესაბამისად ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სასურათო სიბრტყეზე მოქმედება იშლება სიგანეზე (მაგ. ხარება, შობა), თუ სიმაღლეზე (მაგ. ამაღლება, ჭვარცმა); ეს კი გადამწერისაგან უკვე მოითხოვდა იყონოვრაფიული ნორმების ზუსტ კოდნას. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვადამწერს დიდი როლი განეკუთვნება არა მარტო ცალკეული გვერდის კომპოზიციური გადამწერის დროს, არამედ ხელნაწერის მხატვრული არქიტექტორნიკის შექმნაში. ტექსტის შინაარსის შესაბამისად გადამწერი იყალიბებს წიგნის საერთო დეკორაციულ სისტემას, ცალკეული მხატვრული ელემენტებისათვის ტოვებს ადგილს. ამასთანავე, დასურათებული ტექსტის გადამწერის დროს იგი განსაზღვრავს საილუსტრაციო ციკლსა და იყონოვრაფიული სქემის შესაბამისად მინიატურების ფორმატსაც.

თუ ვავითვალისწინებთ გადამწერის ამ ზემოთ აღნიშნულ ფუნქციებს, ისმის საკითხი, ხომ არ ასრულებს ამ საქმიანობას ერთდროულად წერაშიც და მხატვრობაშიც განსწავლული პირი? როგორც ცნობილია, კულტურულ-საგანგმანათლებლო საქმიანობისათვის ძველ ქართველ მწიგნობრებს რამდენიმე ხელობის შესწავლა უხდებოდათ⁴. XIV ს. ლარგვისის მოღვაწე ევგაროზ ბანდაისძე, როგორც თვითონ აღნიშნავს ერთ-ერთ ანდერძში (A—575, გვ. 311), შესანიშნავად იყო დაუფლებული წიგნის შემზადებისათვის საჭირო ყველა საქმიანობას. მათ შორის აღნიშნულია წერისა და მხატვრობის ხელვებაც.

ამით სრულიადაც არ ვინდა იმის თქმა, რომ გადამწერი და მხატვარი ყოველთვის ერთი პირი, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ხშირია შემთხვევები, როცა ვადამწერი თვითონ ასრულებს ხელნაწერის მორთულობას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მოვლენა, როგორც მხატვრული მასალა ვვიჩვენებს, უმთავრესად გარკვეული ჭარმომავლობის ხელნაწერებში შეინიშნება და ამა თუ იმ ქრონოლოგიურ პერიოდში მეტ-ნაკლებად იჩენს თავს.

⁴ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კრები, I, თბილისი, 1962, გვ. 41.



საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთის
მუზეუმი

ბ) გადამწერისა და მხატვრის იდენტიფიკაციის
საკითხისათვის.

ხელნაწერი წიგნის შესასრულებლად ჩატარებულ სამუშაოთაგან ზოგი-ერთი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ შრომით პროცესს წარმოადგენდა. მაგ, ეტრატის „შემზადება და „დაკანონება“ სრულიად გამიჯნული იყო გადამწერისა და მხატვრის უფრნეციებისაგან. ასევე, წიგნის აენძვა თუ შეკედევა სრულდებოდა მაშინ, როცა გადაწერა და მოხატვა დამთავრებული იყო. წიგნის შექმნისათვის საჭირო ამ შრომით პროცესებში ყველაზე მეტად გადამწერისა და მხატვრის საქმიანობა უკავშირდება ერთმანეთს. მართალია, მთელ რიგ ხელნაწერებში აშკარად შეიძინება, რომ მხატვრობა შესრულებულია ტექსტი-საგან დამოუკიდებლად ცალკე უზრცლებზე, როგორც ეს აღიშისა და ჭრუჭის 1 ოთხთავების მაგლითებზე დავინხეთ, მაგრამ ხშირად ხელნაწერს მხატვრობა ტექსტთან ისეთ მჭიდრო ურთიერთობაშია, რომ მნელია გავმიგნოთ გადამწერისა და მხატვრის საქმიანობა.

ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრული და პალეოგრაფიული თავისებურებების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს მთელ რიგ შემთხვევებში გადამწერი და მხატვარი ერთ პიროვნებად მიეკინოთ; და როცა ანდერძ-მინაწერებში ცნობილია გადამწერის სახელი, შესაძლებლობა გვაქვს გამოვავლინოთ ქართული ხელნაწერი წიგნის მომხატველის სახელიც.

ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში იშვიათადაა მითითებული მხატვართა სახელები, ისევე, როგორც იშვიათია ხელოვნების სხვა დარგის მუშაქთა — ოქრომჭედლების, ხუროთმოძღვრების ან მხატვართა სახელების მოხსენიება. ხელნაწერი წიგნის მომხატველები თვის სახელს თვავმდაბლობისა და მოქრძალების გამო ხშირად შიფრავთ გამოხატავდნენ: კრიპტოგრამულად ან აქსოვდნენ ორნამენტულ ნახატში. IX—XV სს. ქართულ ხელნაწერებში მხოლოდ რამდენიმე ანდერძი შეიძლება დაგასახელოთ, სადაც მითითებულია წიგნის მომხატველი:

ჭრუჭის 1 ოთხთავის (H—1660) თავფურცელზე (ტაბ. IV, სურ. 1) ჭვრის გამოსახულების ზევით (1v) მოთავსებულია ასომთავრულით შესრულებული მინაწერები. ჭვრის მარცხნივ ასეთი წარწერაა: „ერონიკონი იყო რჩ, ქ'ე, შ'ე ამ ათ კამარათა მწერალი ით'ე“; მარჭვნივ კი მიწერილია: „ქ'ე შეიწყალე თევდორე“⁵. ეს წარწერა იყითხება სარკეში, მარჯვნიდან მარცხნივ. ტერმინი „მწერალი“ ამ შემთხვევაში „მხატვრის“ მნიშვნელობითაა ნახმარი, ხოლო, რადგან ხელნაწერის მხატვრობა — მახატებელთა გამოსახულებანი და განკურნების სცენები — კამარებშია მოთავსებული, ამიტომ თევდორე მხატვარი ანდერძში თავის თავს „კამარათამწერალი“ უწოდებს.

⁵ ქართულ ხელნაწერებში ხშირია დაუმთავრებელი მინიატურები, ან მოსახატვად განკუთხილი შეუცხოებლი აღვილები (A—37, H—397, S—3702). ზოგიერთ შემთხვევაში მინიატურებისათვის წინასწარ გაეთებულია განმარტებითი წარწერები (A—1124, Q—103).

⁶ ვ. ბერძენი, დევლი ქართველი ხუროთმოძღვრები, თბ., 1956, გვ. 6; ნ. ჩოფიკა უვალი, ქართული კოსტიუმი, თბ., 1964, გვ. 7.

⁷ ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ., 1945, გვ. 17—32.



ქრუჭის II ოთხთავის ერთ-ერთ მინიატურაში (180v) ქრისტეს საკვამოდ მართვა
ლის ზურგზე ჩაქსოვილი წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „ქ რ ი ს ტ ე, შ ე-
ი წ ყ ა ლ ე მ ი ქ ა ე ლ დ ა დ ა ი ც ე ვ ე“ წარწერა მცირე ზომის ასოები-
თაა შესრულებული და მცენი გასახრევითი იმავე ფრერის მელნით ფაქტზე და-
დახატული ორნამეტისაგან. ს. ბარნაველი წარწერაში მოხსენიებულ მიქაელს
ხელნაწერის მოხატულობის ერთი ნაწილის შემსრულებლად მიიჩნევენ.

XIII ს. ოთხთავში (A—496) მათვს სახარების თავსამეაულის გასწერივ
სტრინგებული მთავრული ასოებით (ტაბ. VI, სურ. 2) შესრულებულია წარ-
წერა: „მ ა თ ე მ ხ ა ტ ვ ა რ ი“.

XII—XIII სს. კანის ოთხთავის (A—1335) მომხატველად დასახელებუ-
ლია ბერძენი ოსტატი მიქაელ კორესელი. ტექსტის ბოლოს გადამწერის
ითანეს ანდერძის ვევრდით მოთავსებულია ოქროსთმუქრალ მიქაელ კორესე-
ლის ანდერძი ბერძნულ ენაზე: „ქ. ოქროთი მოიწერა ეს წიგნი
მიქაელ ოქროთმწერლის კორეს სელის მიერ რ“.

XIII ს. იერაშის ოთხთავში ითანეს თავსამეაულის გრეხილ ორნამენტში
ჯერადი სახებავებით ჩაქსოვილია (ტაბ. IV, სურ. 2) მხატვარ ითანას ანდერძი:
„ქ (რის ტ) ე, ძ ე ო დ ა ს ი ტ ყ უ ა თ ღ (მ რ თ) ი ს ა თ, შ ე უ ნ დ ვ ე ნ
ც (რ ი ა) დ ც ო დ ვ ი ლ ს ა ა მ ა ს ს ა მ თ ქ მ ე დ ს ა ი თ ნ ა ს“ (191r).
როგორც ჩანს, ითანა არის მითითებული თავსამეაულისა და ასევე ამ თავსამ-
ეაულის სტრილში მოხატული სხვა ორნამენტული მორთულობის შემსრულე-
ბელი¹⁰.

XIV ს. ხელნაწერში (H—2125) კამარის ქვემოთ მინაწერია: „ეს ე ო თ ხ-
ნი მ ა ს ა რ ე ბ ე ლ ნ ი დ ა ზ ე მ თ მ ა რ ა ნ ი დ ა ი ხ ა ტ ნ ე ს
კ ე ლ ი თ ა ა ვ გ ა რ თ ზ ბ ა ნ დ ა ს ძ ი ს ხ თ ა, შ ე ნ დ ო ბ ა ყ ა გ თ“ (3v).
ავგაროზ ბანდაისძე აღნიშნული ოთხთავის მორთულობის — კამარებისა და
მახარებელთა გამოსახულებების მომხატველია.

XI ს. ხელნაწერში (A—845) ჩართულია მახარებელთა გამოსახულებე-
ბი, რომლებიც შესრულებულია XV ს. ანანია მხატვრის მიერ. მინიატურების
მეორე მხარეს (ვr, 157r) მოთავსებულია მხატვრის ანდერძი: „პატრინისა
ათაბაგ ამინსპასალარისა ყუარყუარეს ქეთა პატრინისა ბაალურს ცოდვანი
მთანი შეუნდენეს ღმერთმან. და მათსა მმასა პატრინისა ქაიხოსროს შეუნდ-
ენეს ღმერთმან, და მ.თ ს ა მ თ ნ ა ს ა დ ა ა მ ი ს ა მ ხ ა ტ ვ ა რ ს ა ა ნ ა-
ნ ი ა ს შ ე უ ნ დ ვ ე ს ღმერთმან“.

გვიანი ხანის მხატვრებიდან შეეგიძლია დავისახელოთ მამუკა თავიქარა-
შვილი (H—599), მიქელი (A—30, A—31, A—32), ნიკოლოზ სიონის ღევა-
ნონი (A—347, A—1454), გერონტი (A—1083), დავით ეგნატეს-ძე თუმანი-
შვილი (H—382), მღვდელი ალექსი ბაქრაძე (Q—356), საყვარელ ნაშიძე Q—
5), გორგი ოქრომქედლიშვილი (S—1289), ალექსი მესხიშვილი (S—1096,
H—1666, H—2077, S—4748) და სხვ.

8 ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ქრუჭის მეორე კოდექსის ორი წარწერა, საქ. სსრ მეცნ. აკად.
მომზე, XXI, № 5, 1958, გვ. 637.

9 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები, მიმო-
ხილვები, ტ. II, 1951, გვ. 455.

10 ე ლ. გ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ითან გადამწერი — იენშის ოთხთავის ორნამენტული მხატ-
ვრობის შემსრულებელი, ძეგლის მეცნარი, № 36, გვ. 16.

* * *

ცნობები იმის შესახებ, რომ გადამწერი ხელნაწერის მომხატველოცაა, ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ძალიან იშვიათია. ამის რამდენი-მე მაგალითი შეიძლება დაგვასახელოთ: იენაშის ოთხთავში იონა რეთ შემთხ-ვევაში დასახელებულია როგორც გადამწერი, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც „მოქმედი“, ანუ მხატვარი. ავგაროზ ბანდაისე, როგორც ანდერძე-ბიდანაა ცნობილი, გადამწერიც იყო და მხატვარიც. მან გადაწერა საცმაოდ სქელტანიანი წიგნი პარაკლიტონი (A—575) და მოხატა გიორგი თაბაურის მიერ გადაწერილი ოთხთავი (H—2125) კამარებითა და მახარებელთა გამო-სახულებებით. დავით თუმანიშვილი მიუთითებს, რომ მის მიერაა გადაწერი-ლი და მოხატული ლეიილ-მაჯნუნიანი (H—397), „მხოლოდ ეს შევმატებ წიგ-ნისა ამას მე, გადამწერმან ამისმან. წამეოთხველთათვს სასიმოვნოდ და შეუ-წერებლად ლექსთაგან წაჟითხვაში სახენი და მოქმედებანი ლეიილ-მაჯნუნიანი წიგ-ნისა ან სანი გამოვხატე“ (57v) — ვეითხულობთ ანდერძში.

გადამწერისა და მხატვრის იღენტიფიკაციის საშუალებას ძირითადად საილუსტრაციო მასალა იძლევთ. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, რო-ცა ხელნაწერის მხატვრობა (ოჩაამერტება და მინიატურები) მტკრცედაა და-კავშირებული ტექსტთან, ან როცა გადამწერის ანდერძი მხატვრულად უკავ-შირდება შემკულობას. მთელ რიგ ხელნაწერში გვერდის მხატვრული კომი-ზიცია — თავსამკაულები, საზედაო ასოები და ტექსტი ერთანანბაზა გააზრე-ბული: ორნამენტები ტექსტის არეშია შეკრილი, სტრიქნები შემოწერენ მათ საერთო მონახას (H—2211, S—425, A—138, A—28, იენაშის ოთხთავი და სხვ.). ნახატი შესრულებულია ტექსტის მელნით და შეფერადებულია სინგუ-რით (A—35, A—281, A—1453, A—922, S—4980, A—495 და სხვ.). ხშირად ტექსტში ცალკეული სიტყვები და სტრიქნები დაწერილია იმავე სალება-ვით, რითაც ნახატია შეფერილი. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ გადამ-წერი ტექსტის მორთულობას ოვითონ ასრულებდა. განსაკუთრებით მდიდარ მასალას გვაწვდიან ამ მხრივ საზედაო ასოები. დეკორის სხვა ელემენტებისა-გან განსხვავდებით, მათ ტექსტთან უშუალო კავშირი აქვთ და ამდენად მათ შო-რის პალეოგრაფიული მსგავსება-განსხვავების შემჩნევაც აღვილია. ზოგჯერ ინიციალებში შესრულების განსხვავებული სტილი შეინიშნება, რაც შესა-ლებლობას გვაძლევს ერთ ხელნაწერში სხვადასხვა გადამწერთა ხელი დავად-გინოთ. S—425, A—87, H—1669 ხელნაწერებში გადამწერი თვითონვე ამ-კობს მის მიერ გადაწერილ ტექსტს. მაგ, მიქეიუ მოღრევილის საგალობელთა კრებულში (S—425) რამდენიმე გადამწერის ხელს გამოიჩინევთ. კრებულის შემდგენლად და ერთ-ერთ გადამწერად მიქეალ მოღრეკილი ითვლება!! უნდა ალინიშნოს, რომ მიქეალის შეტად მტკიცე და ზუსტი კალიგრაფიული ხელით დაწერილ ტექსტს შეესაბამება ასევე დახვეწილი ოსტატობით შესრულებუ-ლი საზედაო ასოები და თავბოლოსამკაულები, ხოლო სხვა, უფრო მდარე ხე-ლით გადაწერილი ტექსტის საზედაო ასოები, მართალია, მიქელის მხატვრო-ბის მიბაძეოთა შესრულებული, მაგრამ გაცილებით დაბალ მხატვრულ დონე-ზე დგას.

II პ. ინგოროვა, თხ., კრებული III, გვ. 434—440; ე. მეტრივალი, ძლის-პირნი, 1971, გვ. 0105.



ტექსტია და მინიატურებს შორის კომპოზიციური კავშირი შეინიშნება მოქეის 1300 წლით დათარიღილებულ ოთხთავში (Q—902), XV ს. ლარგვისის ზატიქში (A—25). მინიატურები აქ ანგარიშს უწევენ ტექსტისა და საზედაო ასოების მოხაზულობას. მათი შეხვედრის ადგილის მინიატურა ხშირად კუთხით არის ამოკვეთილი. X ს. წყაროსთავის ოთხთავში (A—98) მოხარებელთა მინიატურები, H—1346 ხელნაწერში ითანა ღვთისებრებულის გამოხატულება ან თავაქარშვილისეულ ვეფხისტყაოსნის (H—599) კომპოზიციები მხატვრულად უკავშირდებიან ტექსტს. გამოსახულებანი შესრულებულია ტექსტის მელნით და აქაიქ შეფერილია სინგურითა და ყვითელი საღებავით. მას შედეგად ამ ზემოაღნიშნულ ხელნაწერთა გადამწერებს — ეფრემს¹² (Q—902), ბარაბას (A—25), გაბრიელს (A—98), საბა კუტს (H—1346) და მამუქას (H—599) — ხელნაწერის მოხატულობის შემსრულებლად მივიჩნევთ.

გადამწერისა და მხატვრის იდენტიფიკაცია შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როცა გადამწერის ანდერტი მხატვრულად და კომპოზიციურად უკავშირდება ტექსტის მორთულობას. ზოგჯერ ანდერტი შესრულებულია ფერადებით და ისეა ჩაქსოვილი ნახატში, რომ ძნელად გამოირჩევა მისგან. XIII ს. ლაცურულის ოთხთავში მათე მახარებლის ტექსტის ბოლოს მოთავსებულია გადამწერის სტეფანეს ანდერტი „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ს(ულ)ი ჩემი ცოდვილის სტეფანესი“ (78r), რომელიც შესრულებულია შინდისფერი საღებავით. იგივე სალებავი გამოყენებულია ხელნაწერის მხატვრობაშიც. განსაკუთრებით ეს თვალსაჩინოა სახარების თავების ჩამოთვლელი ნუსხების გრაფიკულ თავსამყაულებში, სადაც ორნამენტული ნახატი და ფონი შინდისფერითა შესრულებულია. ინგანის ოთხთავში ითანა გადამწერის ანდერტ-მინაწერები შინაარწით, მხატვრულად და კომპოზიციურად დავაუმინდებულია ორნამენტულ მხატვრობასთან. ისინი (ტაბ. III) ჩაქსოვილია თავსართებსა და საზედაო ასოებში და შესრულებულია იმავე ფერადებით — მწვანე, წითელი, შავი და ოქროთი, ჭითაც ორნამენტული ნახატია დაფერილი.

ხშირად გადამწერი ანდერტს ასრულებს ტექსტის მელნით და მას უკავშირებს ორნამენტულ ნახატს, რომლის კონტურები ტექსტის მელნითვეა შესრულებული (A—136, A—397, H—1741, H—1667, S—391 ხელნაწერები). A—136 ხელნაწერის პირველ ფურცელზე გამოხატული ჭვარი (იგი მხოლოდ ძეა-იქ შეფერილია სინგურით), დეკორატიული ჩარჩო და გრძელის ანდერტი: „ლოცვა ყავ ფ(რია)დ ცოდვილისა გლას გ რ ი გ თ ლ ი ს თ (კ)ს“ შესრულებულია ტექსტის მელნით (ტაბ. IV, სურ. 1). მთელი გვერდი მხატვრულ ერთანანბაშია წარმოლენილი. ჭვრის ქვემთ მოთავსებულ ანდერტს თან სდევს ორნამენტულ ნახატში გამოყენებული დეტალები. აასლოგიურ შემთხვევას ადგილი აქვს H—1741 ხელნაწერში, სადაც გადამწერი მიქელი ასევე მოხატველად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მისი ანდერტი „მწირი გლას მიქელ შეიწყალე“ ასევე უკავშირდება ჭვრის გამოსახულებას. S—391 ხელნაწერის ნუსხრით გადაწერილ ტექსტში (ტაბ. IV, სურ. 4) გადამწერის ასენის ანდერტი: „ა რ ს(ე)ნ ი, ო(ფა ლ)ო, შ(ე) ი წ ყ ა ლ)ე“ უკავშირდება მოხატულ საზედაო ასო „დონს“ (170r). ინიციალი შედგმულია პოსტამენტზე, რომელიც მდიდრულად

12 ნ. კონდაკოვი მიუთითებს, რომ ეფრემი მომსატველიცაა, მაგრამ არ ასპუთებს. Н. Кондаков и Д. Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб. 1890, стр. 76—79.



შემოსილ ხელს უჭირავს. ანდერძიც და საზედაო ასოს მოხაზულობაც ტექსტური განვითარებულია. A—397 ხელნაწერში მოხაზული კვრის პერიოდის ტექსტის მელნითა შესრულებული. A—397 ხელნაწერში (ტაბ. IV, სურ. 3) სახელი „და ვითი“ კვრის გამოხატულება და თავსამყაულთა კონტურული ნახატი ამავე ტექსტის მელნითა შესრულებული. ამ მელნითვე ტექსტში მრავლადაა გრაფიკული ტიპის საზედაო ასოების. ერთ-ერთ მათგანს ახლაც წვეროსანი კაცის თავი. გადამწერის ხელით შესრულებული განმარტებითი წარწერა მიუთითებს, რომ ნახატი შინაარსის ილუსტრირებას წარმოადგენს. შინაარსის ასეთი ერთდროული ილუსტრირება შეინიშნება ინგაშის ოთხთავშიც, სადაც საზედაო ასოს სახით წარმოადგენილი შემართული გველის გამოსახულება სახარების ტექსტს ასურათებს (195v); ან ფსალმუნის ტექსტი, სადაც ლაპარაკია ვეზაპზე (ფსალ. 103), ჩაწერილია ლუკას სახარების თავსამყაულში, ერძოდ, ნახევრადწრიული ზოლით გამოხატულ ვეზაპის გამოსახულებაში (125r). ცხადია, რომ გადამწერმა წერის პროცესში გაიაზრა შინაარსი და იქვე გამონატა იგი. (ტაბ. II, სურ. 2).

ჯრუჭის II ოთხთავში (H—1667) ქრისტეს სავარძლის ორნამენტში მოთავსებულია მიქაელის ანდერძი: „ქრისტე, შეიწყალე მი ქაელ და დაიცეი“ (180v). ს. ბარნაველი მიქაელს ხელნაწერის ერთ-ერთ მომხატველად მიიჩნევს¹³. ილია აბულაძის აზრით, მიქაელი გადამწერი უნდა ყოფილიყო, რადგან ანდერძში არავითარი მინიშნება არ არის მხატვრობაზე და შინაარსითაც იგი გადამწერისა. მინაწერის მხატვრულ-კომპოზიციური ერთიანობა, ერთი მხრივ, ტექსტთან, ხოლო, მეორე მხრივ, მინიატურის ნახატთან, მიგვითოთებს იმაზე, რომ მიქაელი გადამწერიც იყო და მხატვარიც¹⁴. ანდერძი შესრულებულია ყვითელ ფონზე ტექსტის შელნით და ტექსტის მსგავსი ხელით. ამავე მელნით შესრულებულია ქრისტეს სავარძლის მოხაზულობაც.

ჯრუჭის II ოთხთავში ტექსტსა და მხატვრობას შორის მჭიდრო კავშირი სხვა შემთხვევებშიც ჩანს: მინიატურები არღვევენ ტექსტის ჩარჩოებს და დაწერილი სვეტის არეში იჭრებიან. იოანეს სახარების დასწყისში წარმოდგენილი მოხაზული საზედაო ასო „მ“ (201r) თავსამყაულის ორნამენტულ სიბრტყეს ნახევრადწრიულად ამოკვეთს. აქარაა ტექსტისა და მხატვრობის ერთანი კომპოზიციური ჩანაიფერი. ს. ბარნაველი მიქაელს მიიჩნევს ასევე ფერადებით დაუფერვები ინიციალების ოსტატად. საფიქრებელია, რომ მიქაელის მიერ შესრულებულია მხატვრული საზედაო ასოებიც, რომელიც ავებულია ამ დაუფერვები ინიციალების ჩინჩხზე (ამ საზედაო ასოებში ქართველი ოსტატის მიერ ასომთავრული დაწერილობის ბუნება შესანიშნავად არის გახსნილი) და სხვა ორნამენტული შესრულობაც (თავსამყაულები და კამარები), რომელიც საზედაო ასოებთან სტილისტურ ერთიანობას იჩინს.

ორ და ზოგჯერ რამდენიმე ხელნაწერს შორის მხატვრული და პალეოგრაფიული მსგავსებანი იმ შემთხვევაში, როცა თითოეულის მხატვრობა გადამწერის მიერაა შესრულებული, შესაძლებლობას გვაძლევს ეს ხელნაწერები ერთი პირის მიერ გადამწერილად და მოხაზულად მი-

13 ს. ბარნაველი, ჯრუჭი II კოდექსის ორი წარწერა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXI, № 5, 1958, გვ. 637.

14 უნდა აღინიშნოს, რომ შინაარსი მიქაელის ანდერძის ანალოგიურია ჯრუჭი I (H—1660) ოთხთავის მხატვრის — თევდორეს მინაწერი (iv), ინგაშის ოთხთავის მომხატველის ონის ერთ-ერთი ანდერძი (188v) და სხვ.



ვიჩნიოთ. მაგ., XIII ს. ხელნაწერები H—1870 და A—18 მსგავსი თავისებულების ულებითაა შემკული. თითოეული მათგანის თავსამკაულები კი გადამწერის მიერაა შესრულებული. ორივე ხელნაწერში გადამწერად დასახელებულია გიორგი. ხელის იდენტურობა მიგვითოთხს, რომ გიორგი ორივე ხელნაწერის გადამწერი და ორნამენტების მომხატველიც ყოფილა. ეს ხელნაწერები მორთულია ასევე მახარებელთა მინიატურებით, მხოლოდ H—1870 ხელნაწერში მახარებლის გამოსახულება (ექვემდებარებულია მხოლოდ იოანეს მინიატურა) განსხვავდება თავისამკაულთა სტილისაგან და იგი სხვა, პროფესიონალი ისტატის ნახელავია; A—18 ოთხთავში კი მახარებლებს თვითონ გიორგი ასრულებს. გამოსახულებანი ტექსტის ბოლოსაა მიხატული და თავსამკაულთა სტილს შეესაბამება: ნახატი რამდენადმე დაუდევრად, ტექსტის მელნითაა შესრულებული და შეფერადებულია სინგურით. მაგრამ უეპველია, რომ გიორგის ნიმუშად H—1870 ხელნაწერის მინიატურები გამოიყენა, რადგან ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს მახარებლის მინიატურის ორიგინალურ კომპოზიციურ გადაწყვეტასთან. მახარებლები წარმოდგენილი არაან ჩატრის გარეშე ნეიტრალურ ფონზე: სავარძელი და სამუშაო მერჩი გაერთიანებულია ფერადოვანი ზოლების სახით.

XI ს. რამდენიმე ხელნაწერის (მცირე სეინაქსარი A—648¹⁵, ორი ნუსხა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებისა A—1¹⁶, A—92¹⁷ და ორი ხელნაწერი მცირე სჯულის კანონისა A—96¹⁸ და S—143¹⁹) პალეოგრაფიული და მხატვრული თავისებურებების შესწავლის საფუძველზე, ასევე ანდრეა-მინაწერების გათვალისწინების შედეგად გვაღრკვით, რომ ამ ხელნაწერებს (ტაბ. I) ერთი საერთო მთარგმნელი, გადამწერი, მომგებელი და დეკორატორი ჰყავს (მხოლოდ A—96 ხელნაწერს სხვა დაჩვენეთ ჰყავს). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ხელნაწერთაგან ზოგიერთი, მაგ., S—143, A—1 და A—648 ერთმანეთთან დაკავშირებულია მომგებელის მიხედვით (ი. აბულაძე მათ ათარილებს მომგებელის მიხედვით), A—1 და S—143 — მხატვრული სტილის მიხედვით (რ. შეერლინგი მათ კონსტანტინოპოლის სკოლის ნიმუშებად მიიჩნევს), ხოლო S—143 და A—96 — მთარგმნელისა და შინაარსის მიხედვით (ელ. გუნდშვილი).

¹⁵ ფ. ჯორდანია, Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. II, Тб., 1902, стр. 132—133; ილ. აბულაძე, ძველი ქართული წერის ნიმუშები, თბ., 1973, გვ. 356. კ. კეკელიძე, Иерусалимский канониэр, Тифлис, 1912, стр. 297—310; დ. Бакрадзе и И. Кондаков, Опись Памятников в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб., 1870, стр. 166—170. გ. Алибегашвили, художественный принцип иллюстрирования грузинской книги XI—Нач. XII вв. Тб., 1973.

¹⁶ რ. შეერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, თბ., 1940, გვ. 47, ფ. ჯორდანია, Опись, 1903, т. I, стр. 1; ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, თბ., 1973, გვ. 356; ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ისტატია, თბ., 1947, გვ. 34.

¹⁷ ფ. ჯორდანია, Опись, 1903, т. I, стр. 43—94; ილ. აბულაძე, ძველი ქართული წერის ნიმუშები, თბ., 1973, გვ. 354.

¹⁸ ფ. ჯორდანია, Опись, 1903, т. I, стр. 114—115; ვ. გიუნაშვილი, მცირე სჯულის კანონი, თბ., 1972, გვ. 14; ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ისტატია, თბ., 1967, გვ. 36—37.

¹⁹ საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნ. ინსტ. აღწ. ს—1, გვ. 152—154, ილ. აბულაძე, ძველი ქართული წერის ნიმუშები, თბ., 1973, გვ. 357; ელ. გიუნაშვილი, მცირე სჯულის კანონი, თბ., 1972, გვ. 14.

№	მთარგმნელი	გადამწერი	წელი	გადაწერის აღგაცლი	დამკვეთი
A-92 გრიგოლ ლვისმეტ- ყველის თხზულება	ექვთიმე 106 v, 144 v, 165 v, 182 v, 196 r.	ზაქარია შირდა- ტისძე 106 v, 182 v, 165 v, 255 r ზაქარია, არქენი და ბასილი 284 v ბასილი 360 v	[1028]	მთაწმიდა ლვისმეტ- ლის მონას- ტერი 284 v	ზაქარია მამაღმთავარი 284 v, 360 v
A-648 სვინაქსარი	[ექვთიმე]	ბასილი ეტრატად 72 r	1030 72 r	კონსტანტი- ნოპოლი 72 r	ზაქარია ვალაშ- კერტელი 10 r ზაქარია ივერიე- ლი 71 v
A-1 გრიგოლ ლვისმეტ- ყველის თხზულება	ექვთიმე 75 r, 95 r, 124v, 149r, 175 v და სხვ.	ბასილი უცბად მჩხრეკალი 75 r, 95 r, 124v, 149 r, 175 v, 257 r, 373 v, 496 v, 552 v, 700 v, 794 v	1031 (იბ. A-16, 279 r)	კონსტანტი- ნოპოლი	ზაქარია მამაღ- მთავარი ბანელი სვინგლოზი 75v, 95 r, 124v, 149r, 175 v, 257 r, 373 v, 496 v, 552 v, 700 v, 794 v.
A-96 მცირე სჭულის კანონი	ექვთიმე 99v	ბასილი უცბად მწერალი ეტრ(ა)- ტია 72 v ბასი- ლი ეტრატ(ა)ი მალუშისძე 182 v	1031 182 v	კონსტანტი- ნოპოლი ხორას მონასტერი 182 v	გრიგოლ მთაწმი- ლელი 99 v, 182 v
S-143 მცირე სჭუ- ლის კანონი	ექვთიმე 9r, 133 v, 163v	ბასილი 176 v	—	—	ზაქარია მამაღ- მთავარი 16v, 118 v, 148 r, 163 v, 166 r, 169 v. წმიდა ზაქარია მამაღ- მთავარი ვალაშ- კერტელი 94 r

ტაბ. I. XI ს. მოხატული ხელნწერები



ზემოაღნიშნული ხუთი ხელნაწერი გავაერთიანეთ როგორც მხატვრულია და, ასევე ხელის მიხედვით²⁰. უპირველეს ყოვლისა, შევნიშნეთ, რომელიც კეული ხელნაწერის მხატვრობა მჭიდრო კავშირს ამჟღავნებს ტექსტთან და რომ ეს კავშირი — ტექსტის დეკორაციული მორთვა — თითქმის ანალოგიურადა გადაწყვეტილი ამ ხელნაწერებში. ამასთანავე, ხელის მიხედვით ისინი იდენტურნი არინ: ხელი მტკიცე, თანაბარია. თვით მანძილი დაკანონილ სტრიქონებს შორის თითქმის ერთმანეთს ემთხვევა. ამდენად თითოეულ მათგანში გადამწერად დასახელებული ბასილი ერთი და იგივე პირია, ხოლო რამდენადაც ეს ხელნაწერები ერთმანეთს მხატვრულადაც უკავშირდებიან, ბასილი დეკორაციული მოხატულობის შემსრულებლად უნდა მივიჩინოთ.

ხუთივე ხელნაწერი (ტაბ. VII) მოხატულია. სეინაქსარი დასურათებულია მინიატურებით (ტაბ. IX), ხოლო დანარჩენება კი შემკულია თავსამკაულებით. მათი მოხატულობის სპეციფიკა კი თვით შინაარსმა განსაზღვრა. სჭულის კანონების (A—96 და S—143) და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი (A—1 და A—92) ცალკეული თავებისაგან შედგება და მათი მორთულობის პრინციპები ერთნაირადა გადაწყვეტილია: თავები შემკულია თავსართებით, რომელთაც ახლავთ ასომთავრულით სინგურით შესრულებული ვრცელი სათაურები (სათაური ზოგჯერ მთელ გვერდს იყავებს ის. A—96, 1r; A—1, 599r, 701r), სეინაქსარი კი დასურათებულია წმინდანთა გამოსახულებებითა და ახალი აღთქმის კომპოზიციებით. მინიატურები ძირითადად ტექსტშია ჩართული.

ცალკეული ხელნაწერის ფარგლებში ტექსტისა და მხატვრობის მჭიდრო კავშირი გამოიხატება შემდეგში: ტექსტში ხშირად გვხედება ასომთავრულით დაწერილი სტრიქონები ან სტრიქონები, რომლებიც წითელი საღებავითა შესრულებულია. ეს ფერი გამოყენებულია სათაურებშიც და მხატვრობაშიც — საზედო ასოებსა და ორნამენტებში (ასომთავრულით დაწერილი სათაურები და სიტყვები ტექსტში ერთი ხელითა შესრულებული).

საინტერესოა, რომ ზოგჯერ ისტატი ტექსტსა და ორნამენტებში ერთდროულად ხშირობს ორი ფერის წითელს: შინდისფერსა და სინგურს. ტექსტისა და მხატვრობის ურთიერთკავშირი ასევე თავს იჩენს ცალკეული თავის კომპიზიციურ გადაწყვეტაში. თავსამკაულების, სათაურებისა და საზედო ასოების მხატვრული ერთიანობა შიგვითითებს, რომ იგი ერთი პირის მიერაა ჩაფიქრებული. იგივე ითქმის სეინაქსარის მინიატურებში, რომლებიც ტექსტთან მხატვრულ ერთიანობაშია გააზრებული. გადამწერის სწრაფვა ტექსტის დეკორაციული გადაწყვეტისაჲენ ნათლად ჩანს სხვა მომენტებშიც: გადამწერი ტექსტის ბოლოს სოლისებურად ამთავრებს (A—1, 124v, 257v, 597v, 700v; A—92, 306v); სეინაქსარში, საღაც წმინდანთა სახელებია ჩამოთვლილი, რამდენიმე „წ“ ასო ერთ საზედო ასოდ არის გრაფიკულად გაერთიანებული და შერწყმული. ის, რომ ბასილი მხატვარია, ამას შემდეგი გარემოებაც აღასტურებს: A—92 ხელნაწერში მხოლოდ ბასილის მიერ გადაწერილი თავებია მოხატული, ხოლო ხელნაწერის სხვა გადამწერი — ზაქარია — თავის

²⁰ A—92 ხელნაწერს რამდენიმე გადამწერი ჰყავს: ზაქარია, არსენი და ბასილი. ხელნაწერის პირველ ნაწილს ზაქარია გადაწერს, შეუ ნაწილს ზაქარია, არსენი და ბასილი ასრულებს, ხოლო 285r-დან საკუთრივ ბასილის მიერ გადაწერილი თავებია მოხატული, ხოლო ხელნაწერის სხვა გადამწერი — ზაქარია — თავის

ანდერში, როგორც ჩანს, ბასილს მიმართავს: „თავები დამიტეობია. ოქტომბერი თა დასკ“ 189v. (მნაშერი მოგვაწოდა თ. ბრეგაძემ).

ცალკეულ ხელნაშერთა შორის მხატვრულ თავისებურებათა მსგავსება კი, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ხელნაშერთა ფურცლების დეკორაციულ მორთულობაში. ოსტატის აქვს თავისი მხატვრული მიზანდასახულობა, რაც ამ ცალკეულ ხელნაშერთა მსგავსებას განაპირობებს. შეიძლება ჩამოვთვალოთ მთელი რიგი დამახასიათებელი ნიშნებისა, რომლებიც ამ ხელნაშერებში ვლინდება, რადგან ოსტატის მხატვრულ ჩანაფიქრში ყოველთვის სპეციფიკური მომენტები აღინიშნება. იგი ძირითადად მქობს თავების დასაწყისს. ზოგჯერ ეს შემცირდა გამოხატულია თავსართებით, ზოგჯერ კი მხოლოდ სინგურით ასომთავრულით შესრულებული სათაურით აღინიშნება. ტექსტისა და საბაურის დასაწყისს თან ახლავს საზედაო ასო, რომელიც შესრულებულია სინგურითე და ხშირად დაფერილია ოქროთი. თავსამეტაულებს უფრო ხშირად ასო Π-ს მოხაზულობა აქვს. ამასთანავე გრხვდება სწორხაზოვანი და იშვიათად ოთხეუთხა ფორმის თავსამეტაულები. ოსტატი ტექსტის ფერადოვან მხარეს დიდ ყურადღებას აქცევს. ყავისფერი მელნით ნუსხურით შესრულებულ სტრიქონებში ჩართული სინგურით ასომთავრულით ნაწერი სიტყვები ტექსტის ფურცლებს განსაკუთრებულ მხატვრულ ეფექტს ანიჭებს. ამ მხრივ გამოიჩინა სეინაქსარის დეკორაციული მორთულობა, სადაც ტექსტის მხატვრულ ფერადოვან სახეს მინიატურების ჩართვაც აძიებებს.

ტექსტის მელნით ან სინგურით გრაფიკულად გამოხატული საზედაო ასოები, რომლებიც ზოგჯერ ოქროთია დაფერილი, მსგავსი მოხაზულობისაა და ერთი და იგივე დეკორაციული დეტალებით აღინიშნება (ტაბ. VII). ჰორიზონტალურ ხაზებს ტუშაწვეროვანი დაბოლოება აქვთ, ასწვრივი ხაზი ზოგჯერ შეუძინებელი ზიგზაგს ქმნის, ასო A-ს კაუჭი ფოთლოვანი განშტოებებისაა და სხვ. საზედაო ასოებთან, მუხლებთან, რეცულებრივ პაგინაციასთან წარმოდგენილი არიან ჯვაროვანი ან ვარსკვლავისებური დაწინწელული დეკორაციული ელემენტები.

ხელნაშერთა შემცულობის სტილისტური ანალიზი ცხადყოფს, რომ შესრულების ტექნიკით, ფერადოვანი გამითა და ორნამეტანტული ნახატით ისნი ერთ მხატვრულ სკოლას მიეკუთვნებიან. ოსტატი იყენებს მრავალშრიან საუკერძო ტექნიკას, ინტენსიურ გაუმჭვირეალ ფერებს. ორნამეტანტულ ნახატს შეადგენს წრეების, რიგი. წრეები, რომლებშიც ჩახატულია ყვავილები, ერთმანეთთან დაკავშირებულია სტილიზებული მცნარეული განშტოებებით. ოქრო გამოყენებულია საზედაო ასოების, სათაურის ასოებისა და ორნამეტანტული ფონისათვის. იგი ყოველთვის წითელ სარჩევლზეა დაფერილი. მხატვრული თავისებურებებით ყველა ისნი კონსტანტინოპოლიტი სკოლას უკავშირდებიან. ანდერძებშიც გადაწერის ადგილად დასახელებულია კონსტანტინოპოლი, ხორას მონასტერი. თვით A—92 ხელნაშერი, რომელიც ბასილმა ათონზე შეასრულა, მხატვრობით კონსტანტინოპოლში გადაწერილ ხელნაშერებს უკავშირდება. ერთ-ერთი თავსამეტაულის ჯვრებისაგან შედგენილ ნახატობას ვანის ოთხთავის A—1335 (მოხაზულია კონსტანტინოპოლში ბერძენი ოსტატის მიერ) კამარაში ვხვდებით.

ეს ხელნაშერები არა მარტო პალეოგრაფიულად და მხატვრულად, არამედ ანდერძებითაც (შეინარჩითა და კომპოზიციური განლაგებით) უკავშირდებიან ერთმანეთს. ანდერძი ყოველთვის თავის ბოლოსაა მიწერილი ტექსტის

შელნით, იგი შესრულებულია ტექსტის ხელით, მხოლოდ უფრო წვრილად შესრული ხურით. მხატვრული და პალეოგრაფიული თავისებურებების შეპირისპირება ანდერძებში აღნიშნულ ცნობებთან საშუალებას იძლევა ხელნაწერის შექმნასთან დაკავშირებული პირების შესახებ ცნობები უფრო სრულად წარმოვადგინოთ. ჩეენ შევადარეთ და შინაარსობრივად გავაერთიანეთ ყველა ანდერძი, ტაბულაზე წარმოვადგინოთ მნიშვნელოვანი ცნობები და ყოველ ანდერძს მიფლოთთეთ სათანადო გვერდები.

A—1, A—92, A—96, A—648, S—143 ხელნაწერები მხოლოდ ეჭვთიმე მთაწმიდელის თარგმანებს შეიცავენ. ყველა ხელნაწერი, გარდა ერთსა (A—96 ხელნაწერის მომგებელი გრიგოლ მთაწმიდელი), დაკვეთილია ზაქარია ვალაშვირტელის მიერ და გადაწერილია ბასილის ხელით. როგორც ცნობილია, მთარგმნელიც და დამკვეთნიც ათონის მთაზე მოღვაწეები არიან, ხელნაწერები კი კონსტანტინოპოლიში²¹ შესრულებული (ერთ შემთხვევაში მითოთებულია ხორას მონასტერი). იბ. A—96, 182v). მხოლოდ A—92 ხელნაწერი ათონშე, ლოთისმობრის მონასტერშია გადაწერილი.

ანდერძებში ბასილი თავის თავს უწოდებს „უცბად მწერალს, გლახაკს“ (A—96, 72v), „ულირსა და ფრიად ცოდვილს“ (A—1, 175v) ან „უცბად მჩხეკალს“ (A—96, 182v) და A—1 ხელნაწერის მინაწერები). მეტად საყურადღებოა, რომ რამდენიმე დაგილის ბასილი ერთი და იგივე ეპითეტით იხსენიება: „ბასილი ეტრატა“ (A—648, 72r), „ეტრატი(ა)ი მალუშის-ძე“ (A—96, 182v) და „ბასილი ეტრ(ა)ტაი“ (A—96, 72v). ამ ეპითეტით ეტრატზე ანუ როგორც საბა ვანმარტავს, „ტყაყას ქალალზე“ მწერალი უნდა ფულისხმებოდეს. „ეტრატს, — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, — გადაწერობის განვითარებისა და მწიგნობრობა-განათლებისათვის დიდი მნიშვნელობა პერნდა, რადგან მისი მოქნილობა და გამძლეობა სწრაფ წერასა და გავრცელებას ხელს უწყობდა და აადვილებდა“²². ბასილი, როგორც ჩანს, მართლაც კარგად ყოფილი განსწავლული ამ საქმეში. ყველა ჩვენს ხელთ არსებული ხელნაწერი ეტრატზე შესრულებული და ისინი მოკლე დროშია გადაწერილი და მოხატული. ამდენად, ანდერძებში აღნიშნული ეპითეტი „ეტრატა“ მიუთავებს, რომ ბასილი მაღ უშის ძე ტყაყაზე დახელოვნებული მწერალი ყოფილა. შესაძლოა ეს ტერმინი ტყაყის დამაზადებელსაც გულისმობას.

ხელნაწერთა ანდერძებში დაცული ცნობების შეჯრების შედეგად შესაძლებელია უფრო მეტად დაზუსტდეს მათი გადაწერის დროც. რამდენიმე ხელნაწერში პირდაპირა მითითებული ქორინიკონი (A—648, A—1, A—96). ეს ხელნაწერები თარიღდებიან 1030—31 წლებით. რაც შეეხება S—143 ხელნაწერებს, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, თარიღდება მისი დამკვეთის — ზაქარია ვალაშვირტელის მიხედვით. A—92 ხელნაწერიც ამ გზით უნდა დათარიღდეს. ამ ხელნაწერში მრავალ აღილას მიქალ ხუცესის მინაწერებია, სადაც მიქალი მოხსენიებულია როგორც დამკვეთი (165 v).

²¹ აღსანიშნავია, რომ გაიან ალიბეგაშვილს ნაშრომში მინიატურების მხატვრული ანალიზის საფუძველზე მითითებული სეინაქსარის (A—648) ოსტატი ბერძნული ორიგინალით სარეცეპტოდა, რასაც ზემოთ აღნიშნული მინაწერებიც დასტურებენ. იბ. Г. Алибегашвили. Художественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги XI—нач. XIII в. Тбилиси, 1973.

²² ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1940, გვ. 34.

203г, 234г და სხვ.). ეს მინიჭერები შემოგდროობულია: ისინი სტრიქონები მორჩილია ჩაწერილი და ტექსტისგან გასხვავებული ხელითა შესრულებული არიან, როდესაც ზაქარია მამადმთავარი თვით გადაწეროთა ანდერძებშია მოხ-სენი განვითარებული (284v, 360v). ხელნაწერის დასახურსტებლად შეიძლება დაგვეხმა-როს ერთი ცნობა A—92 ხელნაწერის ანდერძიდან, საღაც მითითებულია, რომ აღნიშნული ხელნაწერი გადაწერილია ექვთიმეს სიცოცხლეში, 1028 წლის და, მაშასაღმე, იგიც თანადროული ყოფილა დანარჩენი ხელნაწერე-ბისა.

რაც შევხება ზაქარია გალაშვილტელს, იგი ანდერძებში მრავალფერ იხსენიება. მის მიერ დაკვეთოლია A—1, A—648, A—92 და S—143 ხელნაწერ-რეპი. თავი რომ მოვუყაროთ ხელნაწერთა ანდერძებში მითითებულ ცნობებს მისი წარმოშობისა და მოღვაწეობის შესახებ (ტაბ. I), ასეთ სურათს ვღებულოთ: იგი ყოფილია „წმიდა მამაღმთავარი, ზაქარია გალაშვილტელი, ბანალი სვინგელოზი“; ბერძნულ ენაზე დაწერილ სვინაქარის 12 სტრუქტონიან ლექტში იგი იცერივლადაც ოწოდება (A—648, 71v)²³. საყურადღებოა მავე ხელნაწერის ბოლოს დართული ანდერძი (72v), რომელიც საინტერესო ცნობას იძლევა მისი მოღვაწეობის აღვილის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძეს ეს ანდერძი არ ჰისჩია ხელნაწერის თანადროულად, როგონ მისი აზრით ზაქარიას შესხებ 1022 წლის შემდეგ ცნობა არ მოგვეპოვება²⁴.

ანდერძი ხელნაშეკრის თანადროულია. იგი ბასილის ხელითაა დაწერილი, მაგრამ თხრობა მიმდინარეობს მომგებელის, ზაქარია ვალაშეკრტელის პირით (ზაქარია მიუთითებს, რომ ხელნაშერი ღმწერილია „ჩელითა შეიღისა ბასილი ეტრატასითა“). მათ თარიღი მხარს უჭერს ისიც, რომ A—1 ხელნაშეკრის ანდერძის მიხედვით ზაქარია 1031 წელს ცოცხალი ჩანს (ეს ანდერძი შემოგვინახა XVIII ს. ხელნაშერმა A—16, 279г, რომელიც A—1-ის პირად არის მინიჭული). სვინაქსარის ამ ანდერძში მითითებულია, რომ ხელნაშეკრის შესრულების დროს, ე. ი. 1030 წელს, ზაქარია პილურის მონასტერში „მწირად“ ყოფილა დამკერდებული.

ამრიგად, ამ მეტად სინტერესოსო ხელნაწერთა ანდერბ-მანაწერების, პალეოგრაფიული ნიშნებისა და მხატვრული თავისებურებების გაფალისწინების შედეგად გამოიყო ერთი ჯგუფი XI ს. პირველი ნახევრის ხელნაწერებისა, რომლებიც კოსტანტინოპოლის, კერძოდ, ხორეს მონასტრის მხატვრულ სკოლის უკავშირდება. მათი გადამზერი ბასილი შესანიშნავად ყოფილა დაუფლებული ხელნაწერი წიგნის მხატვრულ ხელოვნებას და ამ სკოლის მხატვრულ ტრადიციებს. მთარგმნელი (ექვიმებ მთაწმინდელი) და დამკვეთი (გრიგოლ მთაწმინდელი და ზაქარია გალაშეერტელი) ათონშე მოღვაწეობი არიან. ეს გარემოება კი მიუთითებს იმაზე, რომ ათონისა და კონსტანტინოპოლის ქართულ მწიგნობრულ კერძებს შორის მეტირო ურთიერთობა არსებობდა. კ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ ათონის ივერიის ლავრის აღმოცენებასთან



(X ს. ბოლო) დაკავშირებულია ქართველთა საეკლესიო ცხოვრებაში შემთხვევაში რუნება იერუსალიმის ტრადიციებიდან კონსტანტინოპოლისაკენ. XI ს. პირველ მესამედში ამ ხელნაწერთა აღმოცენება ამის ნათელ დაღასტურებას წარმოადგენს.

* * *

იმ გადამწერთა შორის, რომელიც ასრულებენ ხელნაწერის მოხატვულობას, გამოვარჩევთ მხატვარ-დეკორატორებს და მხატვარ-მინიატურისტებს. გადამწერი-დეკორატორი ძირითად ასრულებს ორნამენტულ მორთულობას, რაც ტექსტთან უშუალო კავშირშია: თავსამკაულებს, საზედაო ასოებს, კამარებს, ხოლო გადამწერი-მინიატურისტი კი ძირითადად ფერმწერი ისტარია.

როგორც ცნობილია, ქართული ხელნაწერი წიგნის საფერწერო ტექნიკაში ორი მიმღინარეობა ისახება: გრაფიკული და ცხველსატული²⁵. გრაფიკული სტილი ე. წ. ხალხური წარმომავლობის ხელნაწერებში ვითარდება და უნდა აღინიშნოს, რომ გადამწერისა და მხატვრის იდენტიფიკაცია ძირითადად ამ „ხალხური“ წარმომავლობის ხელნაწერებში შეიმჩნევა.

ვ გადამწერი-დეკორატორი ორნამენტული მორთულობის შექმნის დროს იყენებს ქვაზე ჭრის ნიმუშებს (ურბნისის ოთხთავი A—28), ძვირფას ნაქარგობას (იერაშის ოთხთავის მხატვარი იონა ერთ-ერთ მინაწერში თავის შემოქმედებას ადარებს სტავრას ანუ ოქრომკედით ნაქსოვს). იგი მხატვრობაში აკვარელისებრ სალებავებს ხმარობს, განსაზღვრული ფერების პალიტრას იძლევა, ვარა ად იყენებს სინგურს ან ანგარიშებისა და მახარებელთა მინიატურებში. ნახატში ხშირად დაუფერავი ეტრატიც ღებულობს მონაწილეობას. ოქრო აქი იშვიათად გვხვდება: გრაფიკული წესით შესრულებული ორნამენტული ნახატი დამტკიცებულ რექტოს კონტურს ვერ ვაჟება. იოანე ტატარელი (ურბნისის ოთხთავი, A—28), იონა (იერაშის ოთხთავი) გადამწერი-დეკორატორები არიან.

რომ გადავხედოთ გადამწერის მიერ შესრულებულ ხელნაწერებს, ისტარების უმრავლესობა დეკორატორები, ანუ ტექსტთან დაკავშირებული ორნამენტული მორთულობის შემსრულებლებია (უნდა აღინიშნოს, რომ „ხალხური“ წარმომავლობის ხელნაწერები უმთავრესად შემკულია მახარებელთა ვამოსახულებებით, კამარებით, თავსამკაულებითა და საზედაო ასოებით), ხოლო გადამწერი-მინიატურისტები იშვიათად გვხვდება. იხ. ეფრემი მოქვეის ოთხთავიდან (Q—902), ბარანაბა ლარგვისის ზატიკიდან (A—25), მამუკა თავაჭარაშვილი ლევან დალიანისეული ვეფხისტყაოსნიდან (H—599) და სხვ.

ზოგჯერ გადამწერი მარტივად ამკობდა ტექსტს. მთელ რიგ ხელნაწერებში (A—495, H—1791, A—194, A—499) თავსამკაული წარმოდგენილია (ტაბ. V). გრეხილი იორნამენტული ზოლის სახით. ნახატი რამდენადმე დაუდევარია. იგი შექმნილია სინგურითა და ტექსტის მელნით. ამ შემთხვევაში ნათელია, რომ გადამწერი თვითონ, ყოველგვარი განსწავლულობის გარეშე, ამკობდა ხელნაწერს, ხოლო, როცა გადამწერის მიერ შესრულებული მხატვრობა მაღალ პროფესიულ დონეზე დგას, ცხადია, რომ გადამწერი მხატვრობის ქელს არის დაუფლებული, მას მხატვრობაში სპეციალური განათლება აქვს მიღე-

25 სამეცნიერო ლიტერატურაში ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული წერის განვითარებით ტერმინებით აღინიშნება. იხ. Д. Гордеев. Миниатюры древне-грузинских лицевых рукописей Сионского древнехранилища, Агс вып. 2—3, стр. 8; რ. შეკრლინი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, თბ., 1940, გვ. 20.

ბული. იონა, ეფრემი ან ბარნაბა, მსგავსად ავგაროზ ბანდაისძისა, ერთნაცხადისად იყო დაბატულოვნებული წერაშიც და მხატვრობაშიც.

ხელნაწერის მოხატულობას ერთი და ზოგჯერ რამდენიმე მხატვარი ასრულებდა. მაგ., ჭრუჭის 1 ოთხავის (H—1660), ასტრონომიული ტრაქტა-ტის A—65, გრავოლ ღვთისმეტყველის თხზულების (A—109), მოკვის ოთხავის (Q—902), ლარგვისის ზატიკის (A—25), დავითნების (H—75, H—1665) ხელნაწერთა მოხატულობა ერთი ოსტატის მიერაა შესრულებული, ხოლო გელათის (Q—908), ჭრუჭის II (H—1667) ოთხავებისა და შემოქმედის გულაში (Q—103) ერთხე მეტი ოსტატის ხელი ჩანს.

მრავალი მინიატურით დასურათებულ ხელნაწერებში, როდესაც კომპოზიციები ტექსტშია ჩართული და ისინი რამდენიმე ოსტატის მიერაა შესრულებული, გადამწერსა და მხატვრებს შორის და თვით მხატვრებს შორის. შრომის განწილების პროცესთან გვაქვს საქმე.

ივ. გავახიშვილი, როდესაც ეხება გადამწერთა შორის შრომის მოწესრიგების საკითხს, აღნიშნავს, რომ „სათითაო გადამწერელთა გარდა ჯგუფობრივი გადამწერლობაც იცოდნენ“ და რომ „ერთი გადამწერი გადამწერის ხელმძღვანელი და უფროსი უნდა ყოფილიყო“²⁶. შესაძლებელია მხატვრებს შორისაც შრომის განაწილების ამგვარი სისტემა არსებობდა. ერთ-ერთი მხატვარი ღიკორატული კომპოზიციის მომწესრიგებელი და მოხატვის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, იგი ამავე დროს გადამწერიც იყო. სავსებით დასაშვებია, რომ ჭრუჭის II ოთხავში ხელნაწერის მხატვრული კომპოზიცია მიქაელის ჩანაფიქრი იყო, რომ მას უხდებოდა ტექსტსა და მინიატურებს შორის თანაფარდობის მოწესრიგება. გადამწერს დროს იგი ტოვებდა მინიატურებისათვის ადგილს და უნაწილებდა მინიატურებს ცალკეულ მხატვრებს. ამავე დროს თვითონ ღვთილობდა მონაწილეობას ხელნაწერის მოხატვაში. გელათის, ჭრუჭის II²⁷ ოთხავებში სხვადასხვა ოსტატის ხელი ენაცვლება ერთმანეთს და ამდენად ძნელია მხატვრებს შორის მინიატურების განაწილებაში რამებ კანონზომიერების დაღვენა. მხატვრული მასალიდან არ ჩანს, რომ მინიატურების განაწილება ხდებოდა რვეულების მიხედვით, ან ის, რომ გარევეული კომპოზიციური ციკლი, მაგ., ქრისტეს ცნებანი ან ქრისტეს ცოლნებანი, ერთი ოსტატის მიერ იყოს შესრულებული. როგორც ჩანს, არსებობდა შეიძლო კონტრა — ერთობანი გეოგრაფიული გარებო, სადაც ოსტატებს უხდებოდათ მუშაობა. გადამწერი წერდა და იქვე უნაწილებდა ხელნაწერის ფურცლებს მხატვრებს.

მოხატულ ქართულ ხელნაწერებში არის შემთხვევები, როცა ხელნაწერის მოხატულობაზე მუშაობს ორი ოსტატი: მხატვარი-დეკორატორი და მხატვარი-მინიატურისტი და როცა პირველი მათგანი გადამწერი და ამდენად ხელნაწერის მხატვრული კომპოზიციის მომწესრიგებელიყაა. მაგ., იენაშის ოთხავში იონა გადამწერს ეკუთვნის ტექსტის მხატვრულ კომპოზიციი. ივ. ამავე დროს ასრულებს ორნამენტულ შემკულობას, ხოლო მახარებელთა მინიატურებსა და კამარებში ჩართული გამოსახულებები სტილისტურად განსხვავდება ორნამენტული დეკორისაგან (აქ შეინიშნება ოქროს სიჭარბეც) და

26 ი.ვ. გავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია. 1940, გვ. 55, 56.

27 რ. შეკრლინგი ჭრუჭის II ოთხავში 4 ძრითადი მხატვრის ხელს გამოარჩეს. ის „ჭრუჭის მეორე კოდექსის (H—1667) ოსტატები“, თექსისგან ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიისა, თბ., 1958.



✓ ამდენად ისინი სხვა ოსტატს — თევდორე ოქრომთმწერალს — ეკუფრიშვალი ლუკას სახარების ბოლოს ერთ-ერთ მოხატულ საზედაო ასო „დ“-ში არასაკუთრივ მხატვრის ანდერძის (ტაბ. III) მოცემულია: ტექსტის მელნით საზედაო ასოში ჩაწერილია იონას ანდერძი: „ე(რისტ)ე, შ(ეიშვალ)ე იონა“, ხოლო ინიციალის ოქრომელნით დაფურილი კონტურის გაგრძელებაზე მრავალწერტილით ოქრომელნითვე მითითებულია „ე(რისტ)ე, შ(ეიშვალ)ე თევდორე“. ოქრომთმწერალი თევდორე არა მარტო მინიატურებს ასრულებს, არამედ მან იონას ორნამენტული ნახატი იქნოთ დაფურა, რითაც სტილისტურად გაართიანა ხელნაწერი, მიანიჭა მას საერთო საზედო იერი. ანალოგიურ შემთხვევის ადგილი აქვს XIII ს. ხელნაწერაში (A—18), სადაც ორნამენტულ მხატვრობას, კერძოდ, თავსამიკაულებს გადამწერი ასრულებს, ხოლო მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებული მახატებლის მინიატურა სხვა ოსტატს მიეკუთვნება. შესაძლებელია, პროფესიონალურ ისტატი ასრულებდა ხელნაწერის ყველა მინიატურისათვის საერთო მონახაზს, რომლის საღებავებით დაფურებას ბოლომდე ვერ ასწრებდა და სხვა ოსტატი, უკვე ინდივიდუალურ სტილში, ანთავრებდა მათ.

მხატვრებს შორის შრომის განაწილება ცნობილია ქართული კედლის მხატვრობაში. ზოგჯერ განკარგებენ ძირითად ოსტატს, რომელსაც მოწიაფეები ჰყავს. მაგ., უბისის ეკლესის (XIV ს.) საიდუმლო სერობის წარწერაში მოხ-სენებული დამიანე მხატვარი მოხატულობის ხელმძღვანელადაა მიჩნეული, ფრესკების ნაწილი კი მისი მოწაფის მერადა შესრულებული²⁸. მცხოვრის სვა-ტიცხოვლის შიგნით მდებარე „სკეტის“ კედლები (XVII ს.) გრიგოლ გულგა-ვარაშვილმა თანამემწევების დახმარებით მოხატა²⁹.

როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, საქართველოში აღრეული ხანიდანეთ ცნობილია მხატვართა უფროსის თანამდებობა. 1939 წლს სამ-თავროს ნეკროპოლში ნამონე ეპიტაფიაში მოხსენიებული ავტელი აქოლისი ხუროთმოძღვარი და მხატვართუშუცესი („არქიზოგრაფოს“) იყო³⁰. როგორც ჩანს, სოციალური დიფერენციაცია მხატვრებს შორისაც არსებობდა. მაგ., სვანეთის XI ს. ფრესკების შემსრულებელი თევდორე თავის თავს „მეფის მხატვარს“ უწოდებს.

მხატვრის ხელობის აღსანიშნავად ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში სხვადასხვა ტერმინი იხმარებოდა. ზოგჯერ მხატვრის ცნებას ტერმინი „მწერალი“ გამოხატავდა. მაგ., ჭრუჭის 1 ოთხთავის მოხსენიებულს თევდორეს „ეპიტაფითმწერალი“ ეწოდება (H—1660, 1). X ს. სვანურ მრავალთავში (A—19) ფრესკების შემსრულებელთ „ტაძრის მწერალი“ ეწოდება. XII ს. ვანის ოთხთავის ფრესკები ისტატი „ოქრომთმწერლად“ (χρυსტერაზა) იხსენიება (A—1335, 275v). ხელოვანისა და შემოქმედისათვის, იქნებოდა ეს მოქანდაკე თუ მხატვარი, ტერმინი „მოქმედიც“ იხმარებოდა. იქნაშის ოთხთავში იონა მხატვარი თავის თავს „მოქმედს“ უწოდებს. „მოქმედად“ იწოდება აგრეთვე დავით კურაბალტის ფვარის ცნობილი ოსტატი პათო. ავგაროზ ბანდასძის (XIV ს.) ანდერძში წიგნის შემთხვებასთან დაკავშირებულ სხვა ხელობებთან ერთად, როგორიცაა ხუცურის წერა, ეტრატის შემ-

28 ფ. ა მ ა რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, უბისი, თბ., 1929, გვ. 30.

29 გ. ბ ე რ ი ძ ე, ძეველ ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 77.

30 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, მცხოვრისა-სამთავროს ახლადამოჩენილი ბერძნული წარწერა, საქ. სსრ მეცნ. აკად. მომზე, ტ. VI, № 6, 1943.



A - 135

ნუგ. 1



A - 840



ნუგ. 2

თავ. II

სურ. 1. საშტარო საქართველოში გადაწერილ ხელნაწერით სახელით ასოები.
სურ. 2. იოანე მიხეილების თავსამკულები 191 გვ. ჩაწერილი თონას ანდრიაზ, იუნიშეს როსხვავე, XIII ს.



79v

„Ելքուց յաք. Ֆէդոր այս
ծավալ ուստ ծմնօտք ողպափ
տու պիտի ցինանեւ; Միշ
մկան չ դմինեւ գծեւ և
ուրդը առ ժուեւ ի ի սինեւ.
մն; Կիտուեւ մտնեն շում
լուղինեւ զշտ. համարու
մարտմնինեւ ու թ բ խափի
ծվեւ ըրմանց նկնօտք;”

195v



94v



128v




188v



160v


ଏହା ଅଧିକ କଷତିମର୍ଦ୍ଦ ଯାହା ଜଳଗୁରୁଣାଳିବା

A-136 bujh. 1



A-496 bujh. 2

fi-397
bujh. 3



S-391
bujh. 4







A - 1459




H - 1791



A - 18






S-3721, 54 ვ.




ჯევჭის II
ოთხთვი
H-1667,
123v

თეგა ვაჲთანგ VI ქიმიის წმინდან
ლუკა მახარებელი ჯრუჭის II ოთხთვიდან





*
*
*
*
*
*
*
*
*
*


A - 96




A - 96



A - 92



A - 648



S - 143

O
G
C

ЗС.ВІДСЕЧІ ЧІДІ
ЗС.ВІДСЕЧІ ВСЬ.ЗО.
ЗС.ВІДСЕЧІ

САМОСТОЯНИЕ ОДИНОЧНЫХ ТЕКСТОВ СОСУДОВЫХ АДДРЕСОВ

ГУЛАДІРВСО ХІЛОНІ
ЧІССІСІЛІДСО ВІСІС
ДАССІСІЛІДСО

Слово архидиакона
Дорджея атаса жасы
боярлардың жасын
жасын атасын
тапсатып жасын
тапсатып жасын
тапсатып жасын

	δG	$\delta \Delta H_f$	$\delta \Delta S_f$	$\delta \Delta U_f$
$\delta \Delta H_f$				
$\delta \Delta S_f$				
$\delta \Delta U_f$				

УСЕСАДВ ЧОРЫМ
ЗИФОУРЫГ СОЛЯ
РД БЕЧЧОУСЧИ ДАС
ДСН ДАС СИНОГОУ
БЕССАСАИ УПИМ
ОССИРЧИ УРЫМ
ВСЕСОЧОУСОУС
ДСНОУМН СИБАД
ОССИРЧОУДР ЗО
ФОУРЧОУРЧ ФОС
ЧИ ВСЕСТЫСИГІ
ВСЕСИЕ ФРОУСІ
ДЕНКОУ ТРУБО СИ
БОЧІ

Саідъ тутъ ѿбѣ
Дасѣрѣ Ту оѣмъ
Чисо юѣзжасы
Исѹстѹ сиѣхъ
Софьї Симеонидъ
Епігуменъ ѿбѣ
Софьї Григориј
и ѿбѣ

1. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10.



ΚΩΝΣΤΑΝΤΙΝΟΥ ΚΑΙ ΜΑΡΙΑΣ :

ზადება, წიგნის შემოსვა, მხატვრობაც ხელობად (კულად) არის ოლიარებული. მოგვიანო ხანაში მინიატურისტი-მხატვარი „კელოანის“ ტექმინით იხსენიება (H—716, A—1114).

IX—XV სს. ხელნაწერთა საილუსტრაციო მასალის შესწავლაშ მიგვითთა, რომ მრავალი მოხატული ხელნაწერი გადამწერის მიერაა შესრულებული და, როგორც აღვნიშნეთ, ეს მოვლენა ძირითადად „ხალხური“ წარმომავლობის ხელნაწერებში შეინიშნება. ამ მხატვრულ ტრადიციას ჯერ კიდევ ტაო-კლარჯეთის სამწიფონბრო სკოლამ მისცა დასაბამი (ტაბ. II, სურ. 1) და ქართველი ოსტატები ყოველთვის მტკიცდა იცავდნენ მას.

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება, განსაკუთრებით XI და XIII ს. პირველ ნახევარში, ხელს უწყობდა ხელოვნების ყველა დარგის და მათ შორის ხელნაწერი წიგნის მხატვრობის განვითარებას როგორც საქართველოს, ასევე სახლვარგარეთულ საგანმანათლებლო კერებში. ამ პერიოდს მიეკუთვნება სწორედ საზემით ტიპის მდიდრულად მორთული ხელნაწერებიც (იხ. ქრუჭი II, გველათის ოთხთავები), სადაც ნათლად ჩანს მხატვრებს შორის შრომის განწილება. მაგრამ ამ ხელნაწერთა პარალელურად ყოველთვის ვხვდებით „ხალხური“ წარმომავლობის ხელნაწერებს. ამ ტიპის ხელნაწერები განსაკუთრებით გამრავლდა XIII ს. მეორე ნახევარსა და XIV—XV სს. ამის მიზეზი ქვეყნის შიგნით შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება იყო. ქვეყნის ეკონომიკურმა სიტუაციამ თავი იჩინა კულტურულ სფეროშიც. საერთო ვითარება ხელს არ უწყობდა სამონასტრო საქმიანობის გზმლას. მაგრამ შემოქმედებითი მუშაობა ხალხურ წრეებში არ უწყვეტილა. ამ პერიოდის თითქმის ყველა ხელნაწერი „ხალხური“ წარმომავლობისაა. ხალხური წრიდან გამოსული გადამწერი თვითონვე ასრულებდა ხელნაწერის მხატვრობას.

ამრიგად, IX—XIV სს. ხელნაწერი წიგნის მხატვრული და პალეოგრაფიული თავისებურებების შესწავლის შედეგად გაირკა შუასაუკუნეების წიგნის შემსრულებელთა — გადამწერსა და მხატვარს შორის შრომის განწილების საყითხი, რამაც საშუალება მოგვცა მთელ რიგ შემთხვევაში მხატვარი და გადამწერი ერთ პიროვნებად მიგვეჩნია. გადამწერისა და მხატვრის იდენტიფიკაციის საფუძველზე ქართველ თსტატთა გალერეას შეემარა მრავალი, დღემდე უცნობი მხატვრის სახელი³¹.

Е. М. МАЧАВАРИАНИ

К ВОПРОСУ О РАЗДЕЛЕНИИ ТРУДА МЕЖДУ ПЕРЕПИСЧИКОМ И ХУДОЖНИКОМ ПРИ СОЗДАНИИ ХУДОЖЕСТВЕННОЙ КОМПОЗИЦИИ РУКОПИСИ

(Р е з ю м е)

В создании декоративного оформления древне-грузинской рукописной книги (особенно в композиционном построении отдельных страниц рукописи) важная роль принадлежит переписчику. Согласно его вкусам происходит распределение колонн на страницах текста, подбор чернил, применение киновари. Переписывая текст, он оставляет от-

³¹ ტაბულება შესრულებულია ვეტორის მიერ.

дельные места для орнаментального оформления и для сюжетных композиций, впоследствии выполнявшихся художником.

В процессе изучения художественного украшения грузинской рукописной книги накопился интересный материал, давший в свою очередь возможность особо разрешить вопрос об идентификации переписчика с художником. Тесная связь орнаментального декора (заставок и художественных инициалов) с текстом в ряде рукописей несомненно указывает на то, что переписывание и оформление текста производилось одним и тем же лицом. Рукописи, украшение которых исполнено самим же переписчиком, встречаются на протяжении веков, но большая их часть принадлежит XIII—XIV векам.

Идентификация переписчика с художником возможна при следующих обстоятельствах: 1. композиционное решение украшения страницы в целом продумано одним и тем же лицом, миниатюра и текст, или же заставка, инициал и текст тесно связаны друг с другом, 2) контуры рисунка выполнены чернилами, 3) мастер применяет в тексте или в записях краски, употребляемые в украшении (в большинстве случаев красные, синие и зеленые).

Среди переписчиков, выполнивших украшение, мы выделяем художников-декораторов (напр. А-28, А-496, С-425). Изученный нами материал показывает, что декораторами большей частью были переписчики. Они заимствуют разные орнаментальные мотивы золотого шитья, каменной или деревянной резьбы; в технике живописи употребляют акварельные краски, применяют графическую манеру письма.

Отождествление переписчика и художника дает нам возможность выявить мастеров-художников средневекового грузинского книжного искусства.

ლილი ათანდონავილი

შართული პრიპტოგრამების გამოცავა

ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია ქართული ზეპირსიტყვიერების შესანიშნავი ნიმუშები, მათ შორის ქართული გამოცანების კრებულები. ჩვენი ყურადღება მიექცია იმ გამოცანებმა, რომელიც ამოხსნა კრიპტოგრამებით აქვთ მიწერილი, რაც ერთგვარად ართულებს გამოცანების ამოცნობას. ამ რიგის გამოცანებისათვის პირველად მიუგნია თ. ეორდანის ერთ კრებულში (A—1164, 1 v), რომელიც დავით რექტორს გადაუწერია. აქ მოთავსებულია ორი „ამიცანა“, რომელიც კრიპტოგრამებით იხსნება! კრიპტოგრამები გაშიფრა თ. ეორდანიამ (A—1164, 55r). ამ კრებულს გარდა, ასეთი კრიპტოგრამების გამოცანები დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის კიდევ ორ ნუსხაში. ესენია: S—1582² და H—1050³.

S—1582 ხელნაწერი XIX ს-ის I მეოთხედისა ჩამს⁴, H—1050 XIX ს-ის I ნახევრისა. ორივე ხელნაწერში გამოცანები ამოხსნილია კრიპტოგრამებით. H—1050 ხელნაწერის კრიპტოგრამები სათვალავადი სისტემისა, S—1582 ხელნაწერის კრიპტოგრამები კი — პირობითი ნიშნების სისტემისა. H—1050 ხელნაწერში რამდენიმე ადგილს სხვა ხელით კრიპტოგრამასთან ერთად მიწერილია ამოხსნაც.

S—1582 და H—1050 ხელნაწერებში გამოცანების ტექსტი ერთნაირია, მაგრამ დასტურდება გარევეული ვარიანტული კითხვა-სხვაობები. ორივე ხელნაწერის მსგავსი გამოცანები შევუჭრეთ ერთმანეთს და დავადგინეთ ტექსტი. შეგვხდა გრეთვე ისეთი კრიპტოგრამებიანი გამოცანებიც, რომელიც მხოლოდ B-ში დასტურდება, ანდა პირექით. ხელნაწერებში გამოცანების თანამდევრობა განსხვავდებულია. ჩვენ S—1582 ხელნაწერის ტექსტი აიღილეთ ძირითადად, ვინაიდან იგი უფრო ძევლია. გამოცანათა თანამდევრობასაც S—1582 ხელნაწერის მიხედვით ვიცავთ. S—1582 ხელნაწერის ტექსტს აღნიშნავთ A ლიტერით, H—1050-ისას —B-თი.

S—1582 ხელნაწერი, რომელშიც XVIII—XIX საუკუნეებში დადაწერილი ხელნაწერებია შეკინძული. ხელნაწერი ზაზა გაბაშვილის ოჯა-

¹ გ. მიქაელ, ქართული ხელნაწერების შესწავლა და აღწერა, 1957, გვ. 10—17.

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. III, 1963, გვ. 41.

³ გ. მიქაელ, დასახ. ნაშრომი; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H, ტ. III, 1948, გვ. 49.

⁴ S—1582 ხელნაწერში ჩვენთვის საინტერესო გამოცანები მოთავსებულია 39v—42გ-ზე. ამ ფურცლების ცვირნიშნავია 1796 წ. (ფო. 40, 41). ამიტომ გამოცანებისა და კრიპტოგრამების თარიღი XIX ს-ის დასტყისი უნდა იყოს.



ხის საკუთრება უნდა იყოს, რასაც აღასტურებს შემდეგი მინაწერი: „აწელი მიმდინარე გაბაშვილის ზაზისია“ (32r). გარდა ამისა, ხელნაწერში უმცირესი ანგარიში „ანგარიში ზაზი გაბაოვის ასულის მაისი გამოცანა ანგარიში“ (1v—6r)⁵. „ანგარიშის“ ბოლოს მიწერილია: „გასრულდა მაის სათვამი, ღმერთო, აცხონე“ (5v).

ამრიგად, S—1582 ხელნაწერი ზაზი გაბაშვილის ოფახის საკუთრება ყოფილა. საფიქრებელია, რომ იგი ამ ოფახში შეუკინძევთ ცალკეული ხელნაწერების ფრაგმენტებიდან, მაია გაბაშვილს კი თავისი „ანგარიშებით“ შეუვსია.

S—1582 ხელნაწერში ზემოთ მოხსენებული კრიპტოგრამების გარდა გვხდება პირობითი ნიშნების სისტემის იმავე სახეობით ნაწერი ერთი კრიპტოგრამა, რომელიც წარწერილია 39v-ზე „გამოცანების“ დასაწყისში, ფურცლის ზედა კიდეზე:

ჭრუყა 2v ყურა უკურ უკურ უკურ უკურ

კრიპტოგრამა ასე გავხსენით:

მაიავ და ვარდ-ბულ ბულ თქმაო.

საფიქრებელია, რომ კრიპტოგრამები მოხსენებული მაია — მაია გაბაშვილია, ზაზი გაბაშვილის ასული. ამას გვავარაუდებინებს ის ფაქტი, რომ ხელნაწერი S—1582 ზაზი გაბაშვილის ოფახში ინახებოდა ერთ ხასს. S—1582 ხელნაწერის კრიპტოგრამებიანი გამოცანების უცნობ ავტორს, ჩანს, მაია გაბაშვილისთვის შეუდგენია ამ სახით გამოცნები. ამაზე მიანიშევბს ზემოაღნიშნული კრიპტოგრამა, რომელიც მას სათაურად წაუმძლვარებია გამოცანებისათვის: „მაიავ და ვარდ-ბულბულ თქმაო“.

ამავე უცნობი ავტორისა ჩანს ერთი გამოცანაც, რომელიც მიწერილია ხელნაწერთა ინსტიტუტის მეორე ნუსხაზე: — S—1613. ხელნაწერი კრებულია, გადაწერილია 1726 წელს. 174-ე გვერდზე, ფურცლის ზედა კიდეზე მიწერილია ოსტრიქონიანი გამოცანა:

„სახო მაქვს ავეთ-ავეთი, ხურო კაქაშის ნაგები,
შიგ ვზიდახ, ამონიძახ, კარი არა მაქვს სალები“.

ამ გამოცანას მოჰყვება კრიპტოგრამა:

უკურ უკურ უკურ უკურ უკურ

ამოხსნა: „ჩემო მაიავ, ასე დაწერე“.

⁵ სათაურში სიტყვები „ზაზი გაბაოვის ასულის მაისი“ დაწერილია მაია გაბაშვილის ხელით, ხოლო დანარჩენი სიტყვები: „თქმული... გამოცანა ანგარიში“ და ავტორები „ანგარიშების“ ტექსტის ნაშილი (1v—3r, 3r-ზე ფურცლის ნახვიარი) დაწერილია სხვა ხელით.

⁶ კრიპტოგრამა ამოხსნა და გამოქვეყნა გ. მიქაელ ქართული კრიპტოგრაფია. უურნ. დროშა, 1953, № 6.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს ორსტრიქონიანი ტექსტი ხელის მიხედვით ემსაცემია S—1582 ხელნაწერის გამოცანების ტექსტს. კვიფრობთ, რომ S—1613 ხელნაწერის ორსტრიქონიანი გამოცანისა და S—1582 ხელნაწერის გამოცანების გადამწერი ერთი და იგივე პირია.

S—1613 ხელნაწერის კრიპტოგრამაში მოხსენებული მაიც უნდა იყოს მაია გაბაშვილი. ამას პირველ რიგში მინაშენებს S—1582-ის გამოცანებისა და S—1613 ხელნაწერის ორსტრიქონიანი გამოცანის ტექსტის ხელის იგვეობა და, ამასთანავე, ორივე კრიპტოგრამაში პირობითი ნიშნების სისტემის მსგავსი სახეობის ანბანის გამოყენება. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ S—1582 და S—1613 ხელნაწერთა კრიპტოგრამები ხელით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. S—1613 ხელნაწერის კრიპტოგრამა უფრო მრგვალი ასოგბითაა ნაწერი. იგი შესრულებული უნდა იყოს იმ პირის მიერ, რომელსაც ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ ნუსხაზე (H—2295) მიუწერია კრიპტოგრამა და ზმა. ამ ხელნაწერის ზმასა და კრიპტოგრამაშიც მოხსენებულია მაიც. ხელნაწერის ზედა საცავი უფროლის ტ-ზე ანრეური სისტემის კრიპტოგრამა მოთავსებული:

თფაშმჩეფე იფშვ[ურქ წრეა] არ რაჩ
აქშ იფშბ ლწრბ [რგრებ] არ ბმჭრძესშ,
ურ დმრძრებ გრგვეჩშრ ბგრეპჩე წრარ
ჩქრბდფ დერძბრ ურ ტრძჩტჩშდფ.

კრიპტოგრამა ასე გავხსენით:

„ხელმწიფე ჩემო, [დაო მანა], რა არის, რომ ჩემს ძმას [აოროს] (?) არ სწყალობთ და უწყალოს ტანჯვითა სტანჯავ.
მარა ავასხე უფალსა და განიკითხეა.“

კრიპტოგრამა დაზიანებულია. მასში ამოშლილია სიტყვები „ურქ წრეა“ და „რგრებ“, რომელთა ამოკითხეა მოხერხდა კ. კეცელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოლაბორატორიაში ულტრააისფერი სხივების დახმარებით. ეს სიტყვები კრიპტოგრამაში კავებში მოვათავეთ. „ურქ წრეა“ ასე იხსენება: „დაო მანა“. კრიპტოგრამის ავტორს ის აღმნიშვნელი ჩ-ს ნაცვლად შეცდომით ჩაუწერია ჭ, რაც ნიშნავს ნ-ს. ამასთანავე, ბოლო ას ა აღარ შეცვლია შესაბამისი რ-თი. მაშასადამე, აქ უნდა გვქონდეს „მაია“.

კრიპტოგრამა ამოხსნა და გამოაქვეყნა გ. მიქაელი, მაგრამ გამოცემულ კრიპტოგრამაში არ გვხვდება „ურქ წრეა“ და „რგრებ“ სიტყვები, თუმცა გ. მიქაელის „ურქ წრეა“ სიტყვების აღგილსა აღდგენილი აქვს ამოხსნაში „მაია“. გარდა ამისა, კრიპტოგრამაში იყითხება სიტყვა „ლწრბ“ (=ძმას), გ. მიქაელის მის ნაცვლად ამოუკითხავს „ლწრბ“ (=ზმას). შინაარსობრივი ჩანს „ძმას“ (ლწრბ), გინაიდან კრიპტოგრამაში საუბარია აღმიანის ტანჯვაზე: „რა არის რომ,—წერს კრიპტოგრამის ავტორი,—ჩემს ძმას... არ სწყალობთ და უწყალოს ტანჯვითა სტანჯავ“. „ლწრბ“ (=ძმას) სიტყვის შემდგომ ამოშლილი სიტყვის აღგილსა გ. მიქაელის აღდგენილი აქვს „მაიას“. კრიპტოგრამას იგი ასე კითხულობს: „ხელმწიფე ჩემო (მაია) რა არის რომ ჩემს ზმას (მაიას) არ სწყალობთ და უწყალოს ტანჯვითა სტანჯავ. მარა ავასხე უფალსა და განიკითხე“. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ულტრააისფერი სხივების დამარებით ამ აღგილს ამოვიკითხეთ „რგრებ“, რაც შეიძლება

⁷ გ. მიქაელი, ქართული კრიპტოგრაფია, ურნ. ღრმშ, 1953, № 6.

ასე გაეხსნათ: ოოროს (?). მართალია, ამ საყუთარი სახელის მნიშვნელობა არ არის ნათელი, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ სიტუაცია „მაიას“, რომელიც კრიპტოგრამულად იწერება „წრჩიჩბ“, კრიპტოგრამაში ამ ადგილის არ დასტურდება.

H—2295 ხელნაწერის საცავი ფურცლის V-ზე მოთავსებულია ზმია, რომელშიც იხსენიება მაია:

„ჩემდა შეყალბად ქმაია, თუცა მასმინ ქმაია:
ბეჭე გარდეფენდეს თმაია, გვერეტდე უმა შენი ქმაია:
მიირთუ ჩემ მიერ ზმაია, მაჩვენენ შეცა სმაია:
მოგიძლენი მცირსა ვითრათს, მე მონა თქვენი უმაია“:

ზმასა და კრიპტოგრამაში მოხსენებული მაიაც ზაზა გაბაშვილის ასული გვევნია. ამ ხელნაწერის მაია რომ ზაზა გაბაშვილის ასული უნდა იყოს, ამას ადასტურებს შემდეგი:

H—2295 ხელნაწერის კრიპტოგრამაში, როგორც ვთქვით, მისი ვეტორი გმართაძეს მაიას: ხელნაწერი ჩემო, დაა მაია, რატომ არ სწყალობთ ჩემს ძმას⁸ და უწყალოს ტანჯეოთ სტანჯაო; იქვე კრიპტოგრამის ავტორი ზმიაც მიუძღვნის მაიას. როგორც ჩანს, აქ მაიას სატრაფიალო ამბებია დაფარულად და ზმით გამოცემული. ამას მხარს უჭერს აგრეთვე შემდეგი გარემოებაც: S—1582 კრებულში, რომელიც მაია გაბაშვილის ოჯახის კუთვნილება ყოფილა, გარდა მაიას ანბათქების (1v—5v), მაიას ხელითვე დაწერილია ფურცლები 15v—18v. 16r—17v-ზე მოთავსებულია ლექსი: „განშორება ირთა მიჯნურთა ურთიერთისაგან“ და 17v—18v-ზე: „ჩახრისული(!) მუხანბაზი, თემული გარსე[ვან] ყორლა[ნოვის] მ[იგ] რ“.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ლექსი „განშორება ირთა მიჯნურთა ურთიერთისაგან“:

„ვაი, რად დავკარგე ძეირქასი ლალი,
სისხლის ცრემლი მდის, არ შრება თვალი...“

ცნობილია ამ ლექსის რამდენიმე ვარიანტი: S—3192 ბ; H—559ა; H—823ა; H—2692; H—2817⁹. ეს ხელნაწერებიც მე-19 ს-შია გადაწერილი, მაგრამ S—1582 ხელნაწერის მაია გაბაშვილისული ვარიანტი მათზე უფრო ადრეულია. ამ ხელნაწერებში ეს ლექსი ნაკლულია; შედარებით უფრო სრულია იგი H—2817 ხელნაწერში.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ ლექსის ბოლო სტროფში, რომელიც მხოლოდ მიასეულ ხელნაწერშია (S—1582) დაცული. ამ სტროფში მისი ვეტორი მიუთოებს წელსა და დღეს, როდესაც სატრაფის მოაშორეს.

„ობებრევის თოთხეტს შაფათ შევს დღესა
შე მიაშორეს მნათობა მზესა.
წელსა თოასა რეა ას ში ოცდევრთსა,
სანართალსა ესთხოვ მოწყოლეს ღმერთსა“.

საფიქრებელია, რომ ეს სტროფი მაია გაბაშვილს ეკუთვნის, ვინაიდან იგი მხოლოდ მიასეულ ნუსხაშია დაცული და არ გვხვდება არც ერთ სხვა ვარიანტში, ყველაზე სრულ H—2817-შიც კი.

⁸ კრიპტოგრამაში სახელი გადაშლილია, აღმათ მისი დავკარვის მიზნით.

⁹ ხელნაწერებზე მიეცითთა ხელნაწერთა ინსტრუმენტის მცენიერმა თანამშრომელმა ია განვითარებენ.



შესაძლებელია, მაია გაბაშვილმა თავისი მძიმე სულიერი მდგომარეობა
ამ ლექსით გადმოსცა, იგი იყოს მისი ავტორი, მაგრამ სათაურში არ დაასა-
ხელა თავისი თავი, როგორც ავტორი, დამალი რა თავისი სატრანსლო ამ-
ბავი.

ამრიგად, S—1582 ხელნაწერის კრიპტოგრამებიანი გამოცანები და S—
1613 ხელნაწერის ორსტრიქონიანი გამოცანა ეკუთვნის ერთ პირს. ისინი
მაიასადმია მიღენილი, მაგრამ საიდუმლოდ, მიზარვით, ჩასაც გამოცანებს
წამდლეარებულა კრიპტოგრამა „მაავ და ვარდ-ბულბულ თქმაო“ მიგვანაშ-
ნებს. მეორეს მხრივ, კრიპტოგრამები (S—1613 და H—2295 ხელნაწერისა)
და ზმა (H—2295 ხელნაწერში) ამეღავნებენ ამ საიდუმლოს — მაის სატრ-
ფიალო ამბავს. საყურადღებო ჩანს აგრეთვე მაია გაბაშვილის ლექსიც, რო-
მელიც ერთგვარად ნათელს ჰქონის კრიპტოგრამებში მიმაღლულ ამბებს.

გამოცანა

მე დავიბადე უდედოთ მამის ჩემითგან შობითა,

მევე ვშე ჩემი მეუღლე, ცოლად მყავს თანა ხმობითა.

ცოლმა ჩემმან შვა ასული, რომელს ვაღიდებ მკობითა,
და ასულმან მამაჩემი შვა, თქვენ დარღვევეთ ბრძნობითა.

A—39v.

[...] აღ გ უ ა უ ა

რ მ რ ა ა უ ა

ა მ ო ხ ს ნ ა : [ა ღ] ა მ და ე ვ ა ს მ შ ი ბ ე ლ ი კ რ ი ს ტ ე ვ ე

ა ჩ ჩ ი ნ ე მ ა

მამამან სახლი¹ ამიგო², კმკლუცი ბანის ბანითა,
გრძელი³ და ცამდის⁴ მაღალი, სიგრძე⁵ და მისის განითა.

შევალ⁶, გამოვალ⁷ სიცილით, სიმღერით ბანის-ბანითა⁸.

და ის დამიქცია⁹ სატანძ, ვარ მას უკან[ი]თ¹⁰ ნანითა¹¹.

A—39v, B—8r*.

1. საჯლი A. 2 ააგო B. 3 გძელი A. 4 ცამდინ A. 5 სიგდე A. 6 შაველ
- B. 7 გამოველ B. 8 ბანი-ბანითა A. 9 დამიქცივა B. 10 უკანა B. 11 ნანვი-თა B.

[...] გ ა ი ძ უ

ა მ ო ხ ს ნ ა : A—[...] მოთხე. B—სამოთხე.

2147965

სიბრძნემან თავი თვისისა სახლი იშენა ქებული,

მას ქევშა სვეტი შეუდგა, შვიდი ტურფა და ქ[ე]ბული,

* პირობითი ნიშნების სისტემის კრიპტოგრამები A ხელნაწერისა, საფალავადი სისტე-
მისა — B-სი.

მან დაკლა თვისი საკლავი და არვინ იყო ვნებული.
და რა უყო ტაქტა ლვინო, ჩეენთვის ყო განმზადებული.

A—39v.

f~v
ქუჩები ამოხსნა: წ~ა საიდუმლო.
[d]vaw

ხემშიცეთა, დიდებულთა მუდამ ახლავს, მითთან არის.
რა ახსნიან ლხინსა თვისსა, შესაქცევლათ მითთან არის.
კეთილისა და ბოროტესა ანბავს გეტყვის, შენთან არის.
და თუ უბრძანებ, სხვაგან წავა, თუ არა ღ[ə], შენთან არის.

A—39v.

f~vɔɪʃv ამოხსნა: წიგნი.

რა¹ დაგიჭდება ვეზირად, გასწავებს² ცოდნის მცნებასა.
თუ გმოარჩევ³ აწ მისგან⁴, გამცნებს⁵ ღმრთის⁶ სათნებასა.
გმოციქულებს⁷ უტყურად, არ ერიდება კრებასა.
და საღ რომ⁸ უბრძანებ⁹, მსწრაფლ¹⁰ წავა¹¹, ვერვინ იყალრებს ვნებასა.
A—39v, B—10r.

1 რომ B. 2 გასწავებსთ B. 3 გამაირჩევ A. 4 ამისგან B. 5 გაცნობს A.
6 ღმრთის B. 7 გმოციქულებს B. 8 საღ რომ] როს A. 9 უბრძანებ A. 10
სწრაფად A. 11 წავა]რბის A.

f~vɔɪʃv
ამოხსნა: AB—წიგნი.
ყ1354

მტერია ყოვლის სულისა¹, მუდამად დაუცხრომელი.
მოვა ანაზდად, უჩინრად. ვერა ვცნობთ², არის რომელი.
ვერცა ვცნობთ³ ქვეყნად⁴ მავალად⁵, ვერცა თუ ქვესქნელს⁶
მძრომელი.
და ნათელს წაგვართმევს⁷, ბნელს მოგვცემს⁸, არს⁹ მუდამი¹⁰ ამის¹¹
მშრომელი.

A—39v—40r, B—9v.

1 კაცისა B. 2 სცნობს B. 3 სცნობთ B. 4 ქვეყანაზედა B. 5 მაქლავად
B. 6 ვერცა თუ ქვესქნელს] თუ არის B. 7. წაართმევს B. 8 მისცემს B. 9
არის B. 10 მუდამ—B. 11 ამისი B.

ერისთავი

ამოხსნა: AB—სიკლილი.

21264131

სამლოცვით გასწავლული, საეროთგან² საქებარი³.

რა რომ ნახევნ, იამებათ, ყოველთა⁴ უნდათ საუბარი.

უფეხოა⁵, მსწრაფლად⁶ დადის, ყველას ანბის⁷ მოუბარი⁸.

და თუ უბრძანებდ⁹, ფიცხად¹⁰ წივა, მოირბინოს მთა და ბარი¹¹.

A—40r, B—7v.

1 საღმრთოდ B. 2 საეროდგან B. 3 საქებელი B. 4 ყოველთ B. 5 უფეხოა] უფრთოთ B. 6 მსწაფრათ A.—B. 7 დადის... ანბის] დარბის ყოველგან ყოვლის ქვეყნის B. 8. მაუბარი B. 9 უბრძანებ A. 10 ფიცხად] მსწრაფლად B. 11 მოირბინოს... ბარი] ყველას ანბის მოუბარი A.

ტითონი

ამოხსნა: AB—წიგნი.

41351

გულტებილობს!, ენა შაქარობს!¹, მას ტანი აქეს სინაზისა.

უფერადო² სანახავი, ბრწყინვალება არ აქვს მზისა.

სურნელზედან სახლსა აგებს, საჭირეტელად³ მაზელ⁴ ზისა.

და ხმა გამოდის უსულოსინ, ამას ბრძანებნ, ეს რა ზისა.

A—40r, B—7v.

1 გული ტებილობს B. 1a. შაქრობ B. 2 უფერო და B. 3 საჭირეტელათ A. 4. მასე A. 5 უსულისა A. 6~ბძანებ მისსა A.

2312312

ამოხსნა: AB—ბულბული.

2432431

ვერცხლით მოჭედილ¹ სახლსა ზის, არ გარდახდების² ხისასა.

არც არას ვეტყვის³ ტყუილსა, არცა⁴ საწყენსა⁵ ლვთისასა.

შორით გამოსცემს სიბრძნესა⁶, საქმეს გასწავებს ლვთისასა⁷.

და ქლებულია სიბრძნესა, ვინც რომ⁸ ვერა⁹ სცნობს მისასა¹⁰.

A—40r, B—9v.

1. მოჭედილს B. 2 ჩამოხდების B. 3 მეტყვის B. 4 არც არას B. 5 საწყენს B. 6 საქმესა B. 7 საქმეს... ლვთისასა] ამბავს გაცნობებს დღისასა B. 8 რომ—B. 9 ვერასა B. 10 ამისსა B.

ე უ ი ს

ამოხსნა: A—სათი, B—საათი.

21191

ერთი რამ უცხო, უსულო სიბრძნეს იძახის, მიკვირსა¹.
 სახლი აქვს წყობით² ნაშენი³, ხორას გამოცლა⁴ უჭირსა⁵.
 სიბრძნეს გამოსცემს იქიდამ, სოფელს⁶ შენახვა უჭირსა⁷.
 და ვინც⁸ რომ ამას კარგად⁹ ჩსნის¹⁰, მას სიბრძნე აღარ უჭირსა¹¹.

A—40r, B—7v.

1 მიკვირსო B. 2 უცხოდ B. 3 ნაგები B. 4 ხორას გამოცლა] კარშა
 გამოსუტლა B. 5 უჭირსო B. 6 სოფელსა B. 7 უჭირსო B. 8 ვინცა B. 9
 გარდა B. 10 ახსნის B. 11 უჭირსო B.

ე უ ი ს

ამოხსნა: A—სათი, B—საათი.

21191

ავდექ¹ და ტყესა მივმართე, იქით მოვიღე სახმარი.
 ზღვით გამოვიღე სიმტკიცე, მე შევქმენ² კაცთა სახმარი.
 ოთხ³ ფეხსა დავენაძლევე⁴, მან მომცან ძალი სახმარი.
 და ჯორზედან შევსვი ხუთი ძმა, ვალაპარაკე⁵ გამხმარი.

A—40rv, B—7v.

1 აქსდეგ B. 2 შევქენ A. 3 ოთხს B. 4 დავენაძლევი A. 5 მამცა A. 6
 ვალაცარაკე A.

ჰუ მუკუ

ამოხსნა: A—ხუთძალი, B—ჩინგური.

175.3411

ბაღჩასა¹ შეველ², ყვავილი სხვას³ ყვავილებზე⁴ ხანობდა.
 გარს ევლონ⁵ ზღუდე მაგარი, ზოგნ წითელ, ზოგი მწვანობდა.
 შიგ მარგალიტად⁶ წყობილი, ძოწობით გაილალოდა⁸.
 და ვინც⁹ რომ ხელს¹⁰ ყოფდა¹¹ მოწყვეტად¹², არავინ დაინანდა.

A—40v, B—8v.

1 ბაბჩასა A, ბაღჩაში B. 2 შაველ A. 3 სხუა B. 4 ყუავილზედა B. 5
 ერტყა B. 6 ძოწ B. 7 მარგალიტა A, მარგარიტი B. 8. გაილებოდა B. 9
 ვინც B. 10 ხელი B. 11 ჰყოს B. 12 მოწყვეტა A, დაპერიფო B.

უ უ ა მ უ კ უ

ამოხსნა: AB—ბროჭული.

21745431

ნადირი რამე მინახავსა, არ ეშინიან კაცისა.
უზომო არის სიღიღით, ნუკრი არ არის კაცისა.

ყვავილოვნობა² უშვენის, არცა³ მიწისა, არც ხისა.

და ვერც დასძრავს თოვლთა⁴ ყინელი⁵ და ვერცა⁶ წვიმა გარეცხსა⁷.

A—40v, B—9v.

- 1 მინახამს A. 2 ყვავილთ ოყნობა B. 3 არც B. 4 თოვლი B. 5 ყინული
B. 6 ვერც B. 7 გარეცხისა B.

უკუკუ

ამოხსნა: AB—ვეფხი.

65561

ერთი რამე¹ სულიერი² მინდორს³ გავა მქალივითა⁴.

მსხვილი წვრილში⁵ გაერევა, ხმას⁶ გაიღებს⁷ ზარივითა.

ას მწვევთ⁸ მარგე⁹ არის, საცვეთია¹⁰ ნარივითა¹¹.

და ზოგსა დღესა არ იჭმება, ზოგს იჭმება მხალევითა^{*}.

A—40v, B—9r.

- 1 რამ B. 2 სულის საონი B. 3 მინდორ B. 4 მკელობითა B. 5 მწვრილ-
ში A, ~ წვლილი მსხვილში B. 6 ხმა B. 7 გამოვა B. 8 მწვავთ B. 9 მარამ B.
10 საცვეთიან B. 11 ნალიავითა B.

ლტ-უ-უ

ამოხსნა: AB—ცხვარი.

2661ii

* B-ში III და IV სტრიქონი გადაადგილებულია.

იღგა¹ ნარინჯი, თურინჯი და ბალ-ბროწეულ²-ბიანი,
ის ფერი და ზანძანი და ვარდი ბულბულიანი³.

ტურფად იმღერდა⁴ ბულბული და იადონი⁵ ხმიანი.

და მათი შვენება, სიტურფე და ფეროვნება მზიანი⁶.

A—40v, B—8v.

- 1 აღგა B. 2 და ბალ-ბროწეულ] ბროწეული და B. 3 ის ფერი... ბულ-
ბულიანი] ვარდი ზამბანი სუმბული და იადონიანი B. 4 ყიოდა A. 5 იადონ
A. 6 მათი შვენება.... მზიანი] ყოველს კაცთათვს მაშინა ბალის კარია ღიანი B.

თ-ს-ს-კუკუ

ამოხსნა: AB—გაზაფხული.

317156431

* A-ში III და IV სტრიქონი გადაადგილებულია.

დედასა შვილი წაართვეს¹, ნორჩი, ახალი შობილი.
 სხვათა გაზარდეს ძუძუთი², სხვათა³ ნაყოფთა⁴ შობილი.
 სად მიიყვანეს⁵, იქ დახვდა⁶, იყო⁷ მისივე⁸ შობილი.
 და ამისი ახსნა ძნელია, თუ არ კაცია⁹ ცნობილი.

A—40v, B—8v.

1 წართვეს A. 2 ძიძითა B. 3 სხვისა B. 4 ნაურთა B. 5 მიყვანეს A.
 6 დახვდა B. 7 შეიქნა B. 8 მისი B. 9 არის კაცი B.

[...] აღ დუ კუ კუ

ა მოხსნა: A — [...] ამყენი, B — ნამყენი.

ტ 148551

ერთი რამ არის უსულო, არ შეიწყნარებს გარესა.
 არც სიბრწყინვალე მხეს უგავს, არც თხუთმეტის დღის მთვარესა.
 მარჩენელია ყველასი, რომ დაუშვენებს არესა.

და უმისოდ ვერვინ იცოცხლებს, მდიდარი ვერცვინ მდარესა.
 A—41r.

ჭ 772

ა მოხსნა: ხელი.

ერთი რამე სულიერი¹ მინდორს დავა² მწყრალივითა³.
 თავი აქვს და ხეს მიუგავს მას მიღამო კლდესავითა⁴.
 წყალთა დუღს და ცეცხლთა კრთება⁵, გაჭრება შეაგსავითა.
 და მე მინახავს⁶, თავადები მას დასდევდენ⁷ ყმასავითა.

A—41r, B—8r.

1 სურიელი A. 2 არის B. 3 წყრალივითა B. 4 თავი აქვს... კლდესავითა]
 შეშა აქუს და ცეცხლზედ ფრთხება, მფრთხალი არის თხასავითა B. 5 წყალთა
 დუღს და ცეცხლთა კრთება] საღაც კაცსა დაინახავს B. 6 მინახამს A. 7~
 მას მოსდევდნენ თავადები B.

2772

ა მოხსნა: A — ირემი, B — კუდლელი.

ტ 447531

ერთი რამ არის ასეთი უჩინარი და ხლმიანი.
 ზოგასა და ხმელსა ის ბრუნავს, როს მოუნდება ტრიალნი.
 ზოგჯერ ვინატრით მოსვლასა, ზოგჯერ უქნია ზიანი.

და რა მოვა, არ დაბრუნდება, რომ სახში დაკვდეს ხლმიანი.

A—41r.

[ჩ]ურ

ამოხსნა: [ქ] არი.

რა არს ასეთი კელმქლავი, არ შეიღებოს ინითა.
 არცა სჭიმს მარილიანსა!, არც² დაითრობა ღვინითა.
 დაიარება, დაეძებს მისი პატრონი³ სინითა.

და თავს ქანი, მისი⁴ სახელი⁵, ბოლო მოეღოს ინითა.

A—41r, B—9v.

1 მარილიანს A. 2 არცა B. 3 ~ პატრონი მისი B. 4 მისი] უზის B. 5 სა-
 ხელად B.

[ჩ]არ

ამოხსნა: AB—ქორი.

ჭ. ჭ. ჭ.

ცუდი სიცოცხლით მყოფელი, მზეს ვერ გაიცდის თვალითა.
 ხან მიწაშიგან მუშაობს, თვისით ხერხით და ძალითა.
 თუ ქვეყნად გამოახლდება, სიცოცხლე წუთ ერთ წამითა.
 და არც სახლს ეწყობა ხისასა, არცა დაუღამს ჩალითა.

A—41r.

[...] იძუგ

ამოხსნა: [...] თ ძალი.

ერთი რამ არის ასეთი, უმწარესია ნაღვლისა.
 ერთს ლუკმას მშრალსა ჩაჰყლაბამს, მეორეს პირს ანაღვლებსა.
 მესამეზედ რომ წაღვება, ფიცხლავ პირიდამ ასხამსა.

და ვისაც ნანთხევი მოხვდება, მას უფრო და[ა]ნაღვლებსა.
 A—41rv.

ი აზუ

ამოხსნა: თოფი.

უსახოდ¹ მგზავსი² ქედისა, მოსაგონებლად³ ძნელია.
 ასე მორჩილობს პატრონსა, იყოს მართ ვითა მელია⁴.

ვის დაემტეროს, უთუოდ⁵ არსე მისი⁶ სისხლის მღვრელია.

და მკვდარი, ცოცხალი ერთ ფასად მრავლად არს მოსათვლელია⁸.

A—41v, B—8r.

1 სასახოთ A. 2 მსგავსი B. 3 მოსაგონებელად B. 4 შელია B. 5 უთუ-
 როდ B. 6 იყოს B. 7 მის B. 8 დასათუშელია B.

ერიყა

ამოხსნა: AB—სპილო.

28137

გარი არის ერთგან ყრილი, სულ სასროლად მომართული.

მათ სახლი უთქვს², ცოტა ხულა³, არ ფიცრული⁴, არ მორთული⁵.

კეთილ⁶ საქმეს მუშაკობენ საღმრთოობით⁷ წარმართული.

და ის გამოსცნობს⁸ ამას, რომე⁹ ვის მცნება აქვს გამართული.

A—41v, B—7v.

1 მათ+ხომ B. 2 უდგას B. 3 ხულა—B. 4 ფირცული A. 5 ჩართული
A. 6 კეთილს B. 7 სამღოობით A. 8 გამოიცნობს B. 9 რომ B.

უაჭარა

ამოხსნა: AB—ფუტკარი.

54321ii

უცხო რამ გამოკრთებოდა, დღისით და ღამით შორადო.

საზარელია ასეთი, არ შეიტყობის სწორადო.

თვალი დაგრჩების ნახვითა, კორცი შეიქნა ორადო.

და დავლონდი იმის ცნობასა, სიტყვა შემექნა ორადო.

A—41v.

უკურა

ამოხსნა: ელვა. კრიბლოგრამა ორჯერაა მიწერილი.

ორი რამ დიდი ჭარბაყი ანათებს დიდსა მთავითა.

ერთად აჩხევენ ორნივე, შავი ცხენია ზღვა ვითა.

სლევენ, ვერ მოეწევიან, იგ ერთმანეთსა ნავითა

და ერთად ვერ შეიყრებიან ი[. . .] მოყვარენია ვითა.

A—41v.

[.] გონი ზურუბ

ამოხსნა: [...] დნი დანამე.

უ

აღმოცენდების¹ ზურმუხტი, მერმე მარგალიტს უდარი².

სულთ³ მცოცხლებელი⁴, კორცი მზდელი, ვისაც არა აქვს სუდარი⁵
ბრძანება არის ღვთისაგან⁶, კაცთავის ნავსაყუდარი⁷.

და ვანც⁸ ვერ მიხვდება⁹ ცნობასა¹⁰, იგი იქნება¹¹ უგარი.

A—41v—42r, B—8v.

(-) 72

„მოხსნა: A—[...] რი, B—პური.

841

ხე არის ერთი უფლისა, კარგ ნაყოფს გამოიღებსა.

დღეს შამატებს და სულს ულხენს, ვინც რომ კეთილად იღებსა.

ქრისტეს მოსავნი მას ესვენ, ვინც რომ ნათელსა იღებსა.

ლა სამღლოთ სრულია, საერთოდ — ვისაც აქვს, ბევრს აიღებსა.

A-421.

七-七

ამონესნა: ზური.

მრავლად დუხშირი, შვენებით კაცს ემგზავსების საჭითა.

არცა გეწვევა, არც გიწვევს, მუღონია უნდეს მახითა.

კაცი ყავს შემასმენელი, ზაფორიანობის საჭითა.

და ჩაც სჭირდა, ყველა მართლად ვთქვი, ერთი არ მითქვამს ჩმახითა.

A-42r.

222pmw

ამონესნა: მიმინდ.

¹ ერთ ² გამოცანას გიანბობ, ³ უცხო ⁴ რამ ⁵ გაგიკვირდება.

აპუხტინ რამე მინახამს, პზისაგან ცრემლი დინდება?

⁸ ხანდიხან⁹ ღია¹⁰ კარგია, ხანდიხან¹⁰ უკუწმბილდება.

და დიდებულთა და მცირეთგან მას კოცნა არ ასცილდება!!.

A—42r, B—9v.

1 ერთს B. 2 უცხოსა B. 3 რომ B. 4 გამკვირდება B. 5 აპრენტი B. 6 შეისიან B. 7 სდუნებდა B. 8 ხანდახან B. 9 დია] ლქინად B. 10 ხანდიხან] და ხან კი B. 11 მოცცილდება B.

[...] ۷۸۹۱۲

ချမှတ်ပြန်: A=[...], B=ထုတေသန

8131751

ერთსა სანახავს გაპეტიონდნენ¹ ჰევიანები² და ბრძენები³.
ერთობზე უცხოა⁴ სავარრეტლალ⁵ და ზღინა⁶ უცხო სულები⁷.



ფერი მიუგავს ლალებსა, ყვითელს იაგუნდს გულები⁹.
 და ზურმუხტის ფერი ფურცელი, მას გარეშემო¹⁰ თხზულები¹¹ არის
 A—42r, B—8v.

1 სანახავს გაპევირდნენ] რასმე მოგახსენებ A. 2 ჰკვიანური A. 3 ბრძე-
 ნია B. 4 ერთობ] ერთი რომ B. 5 უცხო B. 6 სავერეტი A. 7 და ზდინან]
 მას ახდის B. 8 სუნია B. 9 გულია B. 10 გარე A. 11 თხზულია B. შემოსო-
 დულები A.

ყუური ამოხსნა: AB—გარდი.

6114j

გამოცანას¹ მოგახსენება², არც კარგია³, არცა³ ავი⁴.
 ვთქვათ⁵ თუ საჭმელად⁶ კარგია, არც კარგია⁷, არც⁸ ავი⁹.
 მეცა¹⁰ მიყვირს მისი საჭმე, რასთვის აქვს ეს იგავი¹¹.

და ამის¹² მეტად ვის გინახამთ¹³ გარეთ ხორცი¹⁴, შიგნით ტყავი¹⁵.
 A—42r, B—8v.

1 ერთს გამოცანას B. 1a გიანბობ B. 2 კარგია] ავი და B. 3 არც B. 4
 ავი] კარგია B. 5 ვსთქვათ B. 6 საჭმელათ A. 7 კარგია] ავი B. 8 არცა B. 9
 ვარგია B. 10 მეც B. 11 იგავია B. 12 ამას B. 13 გინახავსთ B. 14 ხორც B.
 15 ტყავია B.

3/392

ამოხსნა: AB—კუჭი.

245i

ქ. კაცი ყანასა სთესვიდა ბრძენი, გულისა ხმიერი.
 გუთანი ქონდა ჩალისა და ხარი ამის ძლიერი.
 გვერთ ედვა თოვლის ნაკვეთი და შავი კუპრის მიერი.
 და მით უნდა ღმერთსა ესვიდეს ყოველი ადამიერი.

A—40r.

f. 201jru ამოხსნა: წიგნი. ეს სტროფი მიწერილია ფურცლის
 კიდეზე.

ქ. ამიცანა ნათქვამი ბრძენთაგან გამოსახვისა.
 შიგა ზის იგი ელვარე, სახლი აქვს თქვენის სახისა.
 მნათობთა შესამკობელი, მშენერისა სახისა.
 პირისპირ ნახვა იმისა, რა ერთმანეთი ნახისა*.

A—40 r.

გამოცანა ნათქუამია ბრძენთაგან გამოსახისა.
 მშენერელთა შემამკობელი, შეენიერისა სახისა.
 პირდაპირ პირის შემყრელი, იმებისთ რა ნახისა.
 ამის გამომცნობელი კაცი მე ძვირად ნახისა.

B—9 r.

537

ამოხსნა: AB—სარეკ.

21125

თქმას ლექსისას ეს ზნედა სჭირს, სიტყვას უცხოს შემოიყვანს,
 თვალის მზერით კვერცხს გამოსტეხს, მართვეს ასე გამოიყვანს.
 თქმულა ფრინვლად, ვერა ფრინავს, თავსა ნავარდს ვერა იყვანს.
 თქმულსა ამას ვინ ვერ ახსნით, გიჩუჩუნებს, კაცო, გიყვანს.

B—2r.

213163541

ამოხსნა: სილაქლემა.

რვა მეცე ერთად მინახავს ერთ ალაგს შემოკრებული.
 ალაფს იღებენ ყოველნი, ჯარით, ყმით გამრავლებული.
 ზოგი ფრულსა პერებს, ზოგი თეთრს, ზოგი ხმალდავადებული.
 უერთმანერთოდ არ ვარგა, თუ ერთი არის კლებული.

B—7v.

5141121

ამოხსნა: ჭალრაკი.

ერთი რამე მოგახსენო ამისთანა საკვირველი.
Интерес к проблемам перевода и к семантике слова проявляется у Ефрема очень рельефно. Ефрем понимает значение перевода непосредственно с языка оригинала; он же и пишет о том, что соблюдать абсолютную точность при переводе невозможно, однако, чтобы читатель знал, где именно он отступает от буквального значения слова, он делает в тексте соответствующую пометку. Нередко указывает Ефрем и происхождение того или иного слова; в большинстве случаев это слова греческие или древнееврейские. Так, в своем словаре он, объясняя слово «Христос», упоминает греческие и древнееврейские формы слов, обозначающих «помазанника». При этом рассуждения эти имеют характер не только богословский, но и лингвистический: «Грузины употребляют много слов, взятых из еврейского и греческого. Поэтому людям иезнающим нелегко отличить чужие, греческие слова от еврейских. Мы же берем из еврейского языка те же слова, которые заимствованы греками, а из греческого еще много других слов, одно из которых — имя Христа». Однако, эллинизированная форма еврейского эквивалента этого слова — «Мессия» (в грузинском написании — месиа), заставляет предполагать, что взято оно Ефремом не непосредственно из еврейского языка, а из греческих же источников.

В своем «Введении» Ефрем касается и вопроса о форме перевода Псалтыри на грузинский язык. Отмечая, что древнееврейский оригинал написан поэтическим размером «с нужным количеством слогов», Ефрем далее продолжает: «Однако, переводчики не смогли сохранить в переводах на другие языки количество слогов», то есть стихотворную форму оригинала. Только лишь «жалкий Аполлинарий перевел Псалтырь на греческий язык так, что смысла в переводе не осталось... и в каждом стихе было двенадцать слогов, не больше и не меньше». Ефрем имеет в виду Аполлинария Лаодикийского, который перевел текст Книги псалмов гекзаметром. Сочинение это успехом не пользовалось и было почти полностью забыто после смерти Аполлинария (ум. в 390 г.)¹³. Факт знакомства Ефрема с этим переводом лишний раз свидетельствует о его глубокой эрудиции и о знании греческих литературных традиций.

Не лишено интереса это последнее замечание Ефрема и при определении форм развития грузинской поэзии. В грузинской литературе высказано мнение, что древнегрузинские версии Псалтыри, также как

¹³ G. Krumbacker, Geschichte der byzantinischen Literatur, 1970, v. II, str. 654.

и перевод Георгия Афонского (цитируемый Ефремом в своем «Толковании», а также известный в многочисленных более поздних списках¹⁴) в своем постишном делении соответствуют еврейскому, что и дает повод говорить о поэтической форме как старых, так и афонской версий грузинской Псалтыри¹⁵. Изучение текста всех версий грузинской Псалтыри, показывает несостоятельность подобного предположения. В грузинских версиях Псалтыри имеются две различные системы постишного деления: в древнегрузинских — деление, называемое «грузинским» и близкое к т. н. «константинопольскому», в переводе же Георгия — деление, почти абсолютно совпадающее с т. н. «иерусалимской» системой. Во всех грузинских версиях текст является прозаическим в отношении размера, хотя и приближается по своей структуре и по стилистическим особенностям к ритмической прозе.

Ефрем, хорошо знавший духовную поэзию своего времени и сам бывший автором нескольких произведений этого жанра, дает точное определение характера переводов Псалтыри на другие языки; с его сведениями безусловно следует считаться при изучении этого важнейшего памятника древнегрузинской переводной литературы.

¹⁴ Древнегрузинские редакции Псалтыри по рукописям X—XIII вв., издала М. Шанидзе: Памятники древнегрузинского языка, II, Тб., 1960, (на груз. языке)

¹⁵ П. Игороква, Сочинения, т. III — Древнегрузинская поэзия V—Х вв. стр. 175 (на груз. языке).

ნიკოლოზ ჯანაშვილი

„შუშანიგის ფამილის ანტონის შუშანიგის დადაკვირვების შესახებ“ ანტონის შუშანიგის დადაკვირვების შესახებ

იაკობ ხუცესის „წამებად შუშანიგისი დედოფლისად“ უძველესი ქართული ლატერატურული ძეგლია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. მაგრამ ეს არ არის მისი არც ერთადერთი და არც უმთავრესი ლირსება. მისი უმთავრესი ლირსება ისაა, რომ იგი არის ჰერმანიტად ბრწყნალე ლატერატურული ნაწარმოები. იაკობი არახევულებრივი ნიტით დაჭილდოებული შეერალია, საოცარი უნარით — არა მარტო თვითონ დაინახოს, არამედ სხვასაც დაანახოს ის, რასაც აღწერს. მართლაც, „წამების“ მკითხველი ცხადად ხედავს ყოველივე დეტალს მასში აღწერილი ამბებისა. თხზულება გვაოცებს თავისი კლასიკურად სადა და გამომხატველი ენით, გულწრფელობითა და უშუალობით, ცხოვრებისეული სიმართლით. „წამების“ გმირების ხელშესახებად ცოცხალი ადამიანები არიან, ამგვეყნიური ვნებებითა და მისწრანებებით. შეიძლება ითქვას, რომ „შუშანიგის წამება“ საესებით რეალისტური ნაწარმოებია, ღრმად ფსიქოლოგიური და ცოცხალი. მაგრამ იგი გამიზნული იყო როგორც აგიოგრაფიული ნაწარმოები, ეს კი მას სულ სხვას აყისრებდა. აგიოგრაფიული ნაწარმოებისთვის მთავარი ის კი არ იყო, რომ დაეხატა ცოცხალი ადამიანი, თავისი განცდებითა და ტკივილებით, არამედ ეჩვენებინა შმინდანი, სწორუსპოვარი და თავდადებული დამცველი ქრისტიანობისა. ამ ეანრის ნაწარმოების გმირი უეკველი მაგალითი უნდა ყოფილიყო ყველა მორწმუნისათვის; მაგალითი უყოფანო, უდრეკი ადამიანისა, რომელიც თუ კი გამოამეღავნებდა რაიმე მერყეობას, მხოლოდ უმნიშვნელოს, და ისიც უმთავრესად თავისი მოლვაშეობის აღრინდელ პერიოდში, როდესაც ჭერ კიდევ მთლად განმტკიცებული არ იყო ქრისტიანულ სარწმუნოებაში. თავისი მეღარი, მტკიცებუნება ამ ეანრის ნაწარმოების გმირს უნდა გამოეჩინა ბნელი ძალების განმასახიერებელ პერსონაჟებთან ბრძოლში.

მედვნიდ ყველა ის საუკეთესო თვისება, რომელიც გააჩნია, დღევანდელი მკითხველის თვალსაზრისით, „შუშანიგის წამებას“, მის წინააღმდეგ ლაპარაკობს, როგორც აგიოგრაფიულ ნაწარმოებზე. იაკობის უდიდესმა ლიტერატურულმა ტალანტმა მისი თხზულება გაიყვანა აგიოგრაფიული უანრის ვიწრო საზღვრებიდან და დაარღვევინა მი უანრის პირობითობა. შიუხედავად იმისა, რომ „შუშანიგის წამება“ ფორმალურად სასულიერო მწერლობას განეკუთვნება, შეიძლება ითქვას, რომ იგი ფაქტობრივ საერთო ნაწარმოებია, რის გამოც მთლად მისაღები არ იქნებოდა სასულიერო წრეებისათვის. საფიქრებელია, რომ „შუშანიგის წამების“, გადამუშავების (აგიოგრაფიული ეანრის მოთხოვნათა შესაფერისად) საჭიროება იმთვითვე წარმოიშვა. ამისი ორაპირდაპირი მოწმობა შეიძლება იყოს ის, რომ „მოქცევად ქართლისად“-



ში და ჭუანშერთან შუშანიკის წამების სრულიად განსხვავებული რედაქტორი იყო, თუ რედაქტორი უნდა იყოს წარმოდგენილი. ეს საკითხი მეტად სპეციალური ტერიტორია, მაგრამ უადგილობის გამო მას აქ ვერ შევეხებით.

გვაძეს პირდაპირი მოწმობაც იმისა, რომ იყობის თხზულება გადამუშავებას მოითხოვდა საეკლესიო მიზნების შესაბამისად. ეს, პირველ რიგში, არის „წამების“ სომხური ვერსია, რომელიც სწორედ ასეთ გადამუშავებას წარმოადგენს. მასში ცოტა რამ არის დარჩენილი იმ ცხოვრებისეული რეალიებიდან, რომლებიც ასე უხევადაა ქართულ ვერსიაში. სომხური ვერსია წმინდა აგიოგრაფიული ნაწარმოებია. წინამდებარე წერილის მიზანი და ფარგლები გვაიძლებს ამჟამად თავი შევიყავოთ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით მსჯელობისაგან.

„შუშანიკის წამების“ აგიოგრაფიული გადამუშავების ნიმუშია, აგრეთვე, „წამების“ ის რედაქცია, რომელიც წარმოდგენილია ანტონ I-ის „მარტირიკში“. ჩენს სამეცნიერო ლიტერატურაში ანტონის ნამუშევარი ასეა შეფასებული: „დიდი რამ მაინცადამაინც შუშანიკის მარტვილობისათვის (იაკობის ნაწარმოებისათვის) მას არ შეუძნნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინტერესს მოკლებული არა ივი, თუნდ იმ მხრით, თუ როგორ ესმის მას წამების ესა-თუ-ის ადგილი, ესა-თუ-ის სიტყვა“! როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს შეფასება ზედმეტად მეტარია, ხოლო შუშანიკის წამების ანტონისეული რედაქცია სხვა თვალსაზრისითაც იწვევს ჩენს ინტერესს.

„შუშანიკის წამების“ ანტონისეული გადამუშავება ორშერივ არის საყრადღებო. როგორც ითქვა, იაკობის ნაწარმოები ვერ ჩაითვლება წმინდა აგიოგრაფიულ თხზულებად. უკეთესია, ამ თვალსაზრისით ყველაზე კარგი შემფასებელი და კრიტიკოსი სწორედ ანტონ კათალიკოსი უნდა ყოფილიყო, გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე და მასთან ერთად დიდად ნიჭიერი და განათლებული ლიტერატორი. იმის მიხედვით, თუ რა დაუმატა, რა დააკლო, ან რა შეცვალა ანტონმა „წამებაში“, შევიძლია ვიმსჯელოთ თუ რა აქლდა, ან რა არ სჭირდებოდა მას, როგორც აგიოგრაფიულ ნაწარმოებს ანტონის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, ანტონისეული გადამუშავება კარგად გვიჩვენებს თვით ანტონს, როგორც რედაქტორსა და ლიტერატურულ მოღვაწეს.

შეიძლებოდა გვეთიქრა, რომ „წამების“ ანტონისეული გადამუშავება მოითხოვა არა უანრის კანონებმა, არამედ დრომ. „წამების“ დაწერილიან ანტონის ეპოქამდე ხომ ცამეტი საუკუნე გავიდა. მაგრამ „შუშანიკის წამების“ ტექსტზე ანტონის მიერ ჩატარებული სამუშაოს შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ უნდა იყოს. ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ ანტონის მიერ „წამების“ ტექსტში შეტანილი ცვლილებების მიზნიცა და მიზანიც.

როგორც ითქვა, იაკობ ხუცესის თხზულების ანტონისეული გადამუშავება წარმოდგენილია ამ შესანიშნავი მოღვაწის აგიოგრაფიულ კრებულში „მარტირიკა“, რომელიც შედგება ოცი ნარკვევის, ანუ „სიტყუისაგან“. მათგან ჩეილმეტი შეეხება ქართველ, ხოლო სამი სომეხ წმინდანებს (თუ შუშანიკს, წარმოშობით სომეხს, ქართველ წმინდანად ჩავთვლით წამების ადგილის, ქართლის, მიხედვით).

¹ იაკობ ხუცესი, მარტირობად შუშანიკის, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გმირკულება, ვარიანტები, ლექსიკონი და სამიეცლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფ., 1938, გვ. 07.



ჩვენთვის ცნობილია „მარტირიკის“ თოთხმეტი ხელნაწერი, მათგან უძრავია და² სრულია, შეიღი კ. „მარტირიკის“ შემოკლება-გამოკრებას ან გადაწყვ-შავებას წარმოადგენს. მეორე გვაფის ორი ხელნაწერისგან³ მოღწეულია მხოლოდ მცირედენი ფრაგმენტები, რომლებშიც შესანიერი წამების ამ-ბავი საერთოდ არ შემორჩენილა.

როდის დაიწერა „მარტირიკა“?

ეკად. კ. კეკელიძე „მარტირიკის“ დაწერას 1769 წ. ათარილებდა. ამას-თან დაკავშირებით გვინდა წარმოვადგინოთ ზოგიერთი მცირე დაკვირვება.

„მარტირიკის“ დაწერის თარიღზე ჩამიმდინარე ცნობა არ მოიპოვება. მისი უძრელესი ხელნაწერი (თუმცა არა ავტოგრაფული) უნდა იყოს ხელნაწერი S—1272, რომლის დაწერის თარიღი მიჩნევულია 1768 წ.⁴ ამის გამო შეიძლებოდა მიგველო, რომ „მარტირიკა“ კიდევ უფრო ადრე დაიწერა, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახეთ, ეს სკიონი მთლად ასე ცხადი არაა და იგი დაზუსტებას მოითხოვს.

პირველ ყოვლისა, შევნიშნეთ, რომ წიგნი გადაწერილია არა მხოლოდ ერთი გადაწერის, ტრიფილეს, მიერ, როგორც ეს ნათქვამია „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“⁵, არამედ სამისა. წიგნი შედგება სულ 828 გვერდისაგან (საჩრევიანად). მათგან პირველი 626 გვერდი (ე. ი. უდიდესი ნაწილი) გადაწერილია ერთი გადამწერის, გვერდები 627—736 მეორის, ხო-ლო 737—828 მესამე გადამწერის მიერ.

„მარტირიკის“ პირველ „სიტყუას“, ქეთვენის წამებას, ასეთი მინაწერი ერთია: „სრულ იქმა წელსა განკორციელებითგან სიტყუასა ღმრთისა 1768. თუმცი იკვლომებერსა 31, ტრიფილესგან“ (S—1272, გვ. 44). უპირესია, ტრიფილე უნდა იყოს ანტონის მოწაფე და დაახლოებული პირი ტრი-ფილე არქიმანდრიტი. ამ მინაწერიდან იჩვევა, რომ ტრიფილეს გადა-უწერია წიგნის მხოლოდ პირველი ნაწილი. ვინ გადაწერა დანარჩენი ორი, უცნობია, რადგან ამ მწერალთა არავითარი მინაწერი არ არსებობს.

ზემომოტანილი მინაწერიდან ჩანს, რომ პირველი „სიტყუას“ (ანუ პირ-ველი 44 გვერდის) გადაწერა ტრიფილეს დაუმთავრებია 1768 წ. 31 ოქ-ტრიმბერს. ტრიფილეს მინაწერი გაუკეთებია მომდევნო, ლუარსაბის ცხოვრების აღმწერი, „სიტყუას“ შემდგაუ 105 გვერდზე. აქ „სრულ ქმნის“ თარიღიად აღნიშნულია იმავე წლის 22 ნოემბერი. მეტი თარიღი არა გვხვდება. როგორც ჩანს, ტრიფილე წერდა ძალიან ნელა, დღეში სამ გვერდზე ნაკლებს (22 დღეში მას მხოლოდ 61 გვერდი გადაუწერია). თუ იგი შემდგომშიც ასეთი

² საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუ-ტის ხელნაწერები: S—1272 (ამ ხელნაწერის თარიღზე ცოტა ქვემოთ გვიჩვენდა ცალკე შექვე-ლობა), Q—78 (1769 წ.), S—2988 (1790 წ.), S—3638 (1799 წ.), A—1484 (1806 წ.), H—907 (1821 წ.), H—990 (XIX ს.).

³ იმავე ინსტიტუტის ხელნაწერები: H—975 (1775 წ.), Q—11 (1787 წ.), Q—12 (1796 წ.), H—178 (XVIII—XIX სს.), Q—304 (XVIII—XIX სს.), Q—764 (1845 წ.), H—2854 (1859 წ.).

⁴ Q—12 და Q—304.

⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი პირველი, ძველი მწერ-ლობა, თბ., 1960, გვ. 381.

6 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გა-მარტირებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. II, თბ., 1961, გვ. 132.

⁷ იქვე.



ტემპით გააგრძელებდა წერას, ნოემბრის უკანასკნელ კვირასა და დეკემბერის ში კიდევ 100—120 გვერდის, ანუ სამი-ოთხი „სიტყუშის“ (არჩილის, შუმანის კის, აბიბოს ნეკრესელისა და რეფენის შესახებ) გადაწერას მოასწრებდა. მაშასადამე, შეიძლება ვითიქროთ, რომ 1768 წ. გადაიწერა S—1272-ის და-ახლოებით პირველი 200—220 გვერდი, ანუ მეოთხედი (ვიმეორებთ, თუ ტრიფილეს წერის ტემპი შემდგომშიც ისევე ნელი იყო, როგორც დასაწყის-ში), ხოლო დანარჩენი კი 1769 წელს.

ახლა ისმის კითხვა, როდისლა დაწერა თვით „მარტიორიკა“? რაღაც მი-სი გადაწერა დაწყებული 1768 წ. ოქტომბერში, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ დროისთვის იგი უკვე დაწერილი იყო. მაგრამ გასათვალისწინებელია შემდეგიც: როგორც უკვე ითქვა, ტრიფილეს ძალზე ნელა უწერია, დღეში სამ გვერდზე ნაკლები. რატომ წერდა იგი ასე ნელა? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თვით ანტონს ჭრ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული „მარტიორიკაზე“ მუშაობა და ტრიფილე მას, ასე ვთქვათ, ფეხდაფეხ მისდევდა? ამ ვა-რაუდის სასაჩვენებლოდ ლაპარაკობს შემდეგიც:

ყოველი „სიტყუშა“ იწყება ახალი გვერდიდან და ყოველ მათგანს თავში დატოვებული აქვს ადგილი სათაურისთვის⁸. სამივე გადამწერს ყველა სათა-ურისთვის თანაბარი აფგილი დაუტოვებია. რაღაც სათაურები სხვადასხვა სიგრძისაა, ზოგი მათგანი გაჭირვებით ეტევა დატოვებულ ადგილზე, ზოგი კი კარგად ვერც ავსებს მას. შეიძლება ვიფაროთ, რომ გადამწერებს ხელთ არ ჰქონდათ სათაურების ტექსტი და მიტომაც ვერ ითვალისწინებდნენ რამდენი ადგილი უნდა დაეტოვებინათ ყოველი მათგანისათვის.

„მარტიორიკის“ სხვა ხელნაწერებში სათაურებისთვის დატოვებულია უკ-ვე იმდენი ადგილი, რამდენსაც მოითხოვს სათაურის სიგრძე.

რაღაც სათაურები და ტექსტი სხვადასხვა დაწერლობითა შესრულე-ბული (სათაურები მთავრულით, ტექსტი მხედრულით), მათი ხელის შედარე-ბა ძნელდება, მაგრამ მანც შესაძლებელია (მთავრული ასოები გვხვდება ტექსტშიც). ეს შედარება საშუალებას გვაძლევს საჭაო დაბეჭითებით ვამტ-კიცოთ, რომ სათაურების ხელი არ ემთხვევა არც ტრიფილესას და არც მე-ორე გადამწერისას.

ყოველი „სიტყუშა“ პირველ გვერდზე ტექსტის ქვემოთ მხედრულით მი-წერილია იამბიკოები, რომელიც საჭაოდ ვიწროდ არიან ამ ადგილას. ჩანს, წიგნის გადაწერისას მათთვის ადგილი დატოვებული არ ყოფილა. ეს გვა-ფიქრებინებს, რომ მათი შეტანა „მარტიორიკაში“ თავიდან არც ყოფილა გან-ზრახული.

ზოგი იამბიკო აქროსტიჩულია. გამოყოფილი ასოები მთავრულია. იამ-ბიკოების ხელის შედარება სათაურებთან და ტექსტთან გვიჩვენებს, რომ იამბიკოთა მთავრული ასოები ემთხვევა სათაურებისას, მხედრული კი აშ-კარად განსხვავდება ტრიფილესა და მეორე გადამწერის ხელისგან და ძალი-ან წააგავს მესამისას (ორნავ მასზე გაკრულია).

როგორც ჩანს, სათაურები და იამბიკოები ჩაუწერია მესამე გადამწერს უკვე მას შემდეგ. რაც დამთავრებულა მოელი წიგნის გადაწერა.

⁸ გამონაკლისია „სიტყუშა“ აბიბოს ნეკრესელზე. ჩანს, გადამწერს დაივიწყდა ადგილის დატოვება სათაურისთვის და ამიტომ იგი წინა (177) გვერდზე, რომელზედაც მთავრება „სიტყუშა“ შეუანიჭება.

სხვა ხელნაწერებში იამბიკოები ბევრად უფრო კარგადაა ჩაწერილი მათ შემცირებული მიზე აღგილას (ტექსტის ქვემოთ), ან სხვაგან (ცალკე გვერდზე, ტექსტის წინ, სათაურის შემდეგ).

„მარტირიკის“ თექსტში „სიტყუას“ პარალელი ექვებნება ანტონის „წყობილსიტყვაობაში“. ამ „სიტყუათა“ იამბიკოებიც იქიდანაა აღებული. ოღონდ „მარტირიკიში“ თითო სტროფია, ის დროს, როდესაც შესაბამის სიუზეტზე „წყობილსიტყვაობაში“ რამდენიმეა, ოთხ „სიტყუას“ პარალელი არა აქვთ „წყობილსიტყვაობაში“. საიდანაა აღებული მათი იამბიკოები, ჩვენთვის უცნობია. სპეციალურად „მარტირიკისათვის“ ხომ არ არიან ისინი დაწერილი?

„მარტირიკის“ ყოველი „სიტყუას“ სათაურის ქვეშ მიწერილია „სიტყუას“ რიგითი ნომერი: „სიტყუა პირველი“, „სიტყუა მეორე“ და ა. შ. ეს ნუმერაცია S—1272-ში დაწერილია მთავრულითა და იმავე ხელით, როგორც თვით სათაური, მაგრამ აშკარად განსხვავებული მელნით. როგორც ჩანს, ნუმერაცია ჩაუწერიათ გველაზე გვიან: ჯერ გადაიწერა ტექსტი, მერე ჩაიწერა სათაურები და იამბიკოები და ბოლოს ნუმერაცია. S—1272-ში აბბოს ნეკარეცლის წამებას, რომელიც რიგით მეხუთე, მისდევს რაცდენის, შემდეგ კი ნეოფიტეს წამებანი. რაცდენის წამება ამ ხელნაწერში აღნიშნულია მეშვიდედ, ნეოფიტესი კი მეექვეცდ. ჩანს, ავტორს (რედაქტორს?) გადაუწყვეტია ამ წამებათა აღვილებს შეცვლა. მართლაც, ყველა სხვა ხელნაწერში ჯერ ნეოფიტეს წამებაა, შემდეგ კი რაცდენისა. ნუმერაციაც სათანადოა. S—1272-ის გადამწერს საერთოდ გამორჩენია დაივით და კონსტანტინეს წამების ღანმრთვა და მისი ნომერი მომდევნო „სიტყუასთვის“ მიუკუთვნებია. ეს შეცდომა გრძელდება კიდევ ოთხი „სიტყუას“ მანძილზე, რომელთა ნუმერაცია ერთით ნაკლებია, ვიდრე ფაქტური. ეს შეცდომა, ალბათ, რაცდენისა და ნეოფიტეს შემოხსენებულმა არათანამიმდევრულმა ღანმრთვამ გამოიწვია. სხვა ხელნაწერებში ღანმრთვა გასწორებულია.

S—1272-ს ქრონოლოგიურად მისდევს Q—78. მას წამდლევარებული აქვს თავფურცელი, რომელზედაც მოცემულია „მარტირიკის“ სრული და საქმიანდ ვრცელი სათაური: „სადიდებელად ცხოველს-მყოფელია თანა არსისა, და განუყოფელია საშებისა, მამისა, და მას, და სულისა წმიდისა. ანტონისგან არხიერებისპონსისა ყოველია ზემოსა საქართულომასა დავითიან ბაგრატოვანის ქმნილი. წიგნი მარტირიკა. შესხმა, და ისტორია ქრისტესთვს ენებულთა მოწამეთა ქართულობა, და სხუათა. დროსა ყოველად ბრწყინვალისა, უკეთილ-შასურისასა, და უმაღლესისა ირაკლი მეორისა მეფისა ყოვლისა ზემოსა საქართულომასასა. ხოლო მამათ-მთავრობისა თვისისასა. წელსა და-საბამითგან სოფლისა 7278. კორციელად შობითგან სიტყვასა ღმრთისა 1769. თავტესა მეათერთმეტესა, რიცხვსა 19“. S—1272-ს არც თავფურცელი აქვს და არც ეს თარიღები. „მარტირიკის“ ყველა სხვა სრული ხელნაწერი იმეორებს Q—78-ის თავფურცელს (ოღონდ მცირეოდენი შემოკლებით) და თარიღებს. საფიქრებელია, რომ ა. კეკელიძე ამ თავფურცელის მიხედვით მიიჩნევდა და „მარტირიკის“ დაწერის თარიღად 1769 წელს.

Q—78-ს წამდლევარებული აქვს იამბიკოდ დაწერილი ვრცელი წინასიტყვაობა ანტონის მოწამების გაიოს არხიდაქონისა და გავრიილისა. ეს წინასიტყვაობაც არის ყველა შემდგომი დროის ნუსხაში.



როგორც ჩანს, Q—78 მიჩნეული იყო, ასე ვთქვათ, ოფიციალურ წესის დაცვა
აღსანიშვნებია, რომ იგი ერთადერთი წესსურად დაწერილი პირია „მარტინი-
კისა“ და ამასთან საუკეთესოც, ჭეშმარიტად კალიგრაფიულად შესრულებული.

რაც შეეხება თვით ტექსტს „მარტინიკისა“, იგი ყველა სრულ ხელნაწერ-
ში ერთნაირადაა წარმოდგენილი.

ყველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი: S—
1272-ში წარმოდგენილია „მარტინიკის“ საბოლოო ტექსტი. მაგრამ მუშაობა
ამის შემდეგაც გრძელდებოდა. კერძოდ, შემუშავდა თავფურცელი, დაწერა
წინასიტყვაობა, ცალკეულ ასიტყუათა“ სათაურები, შეირჩა იამბიკები, ჩა-
ტარდა გარეკვეული სარედაქციო სამუშაო. ზოგი რამ ამ სამუშაოდან შეუს-
რულებით ანტონის მოწაფეებს, ძირითადი კი, ცხადია, თვით ანტონს უნდა
გვეკვეთებინა. ამრიგად, 1768 წ. ბოლოსა და 1769 წ. ანტონს უმუშავია „მარ-
ტინიკის“ საბოლოო რედაქციაზე.

ახლა გადავიდეთ საკუთრივ „შუშანიკის წამების“ ანტონისეული რედაქ-
ციის განხილვაზე. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა ჩვენ „მარტინი-
კის“ საბოლოო, ოფიციალურ რედაქციად მივიჩნიეთ Q—78, მაგრამ მსჯე-
ლობისას დაიკმინებთ S—1272-ს. ამის უფლებას გვაძლევს ის, რომ, რო-
გორც ითქვა, თვით ტექსტი ამ ხელნაწერებში განხსნებული არაა.

შუშანიკის წამება მეოთხე მოთხერობაა „მარტინიკისა“. S—1272-ში მას
უჭირავს 140—177 გვერდები. მისი სათაური ასეთია: „შესხმა და მოთხერო-
ბა ღუაწლთა წმიდისა დიდისა მოწამისა რათა დელფილისა სუსანაასა,
ზეღ-შოდებით შუშანიკისა. ქმნილი ანტონისგან არჩევისკონბოსისა ყოვლისა
ზემომასა საქართულომასა დავითან ბაგრატოვანისა“ (S—1272, გვ. 140).

როგორც ითქვა, ძევე როგორც ყველა სხვა „ასიტყუას“, შუშანიკის წა-
მების ამბავსაც ერთი სტროფი იამბიკესი, ამოლებული „წყობილ-
სიტყვაობიდან“ (სხვათა შორის, იქ შუშანიკზე ოთხი სტროფია):

„ღუაწლის სადენით სადა შევითა სიძე,
შტილსა რათამცა განიხილნეს ხილნარნი,
მიეცი მუნ შენ ეტლად ამინადაბის,
დასჯდომელად ღმერთ მთავრობითისა ღმრთის,
შუშანიკ სძლია სიძისა საყუარელი“ (S—1272, გვ. 140).

ანტონის წყაროებშე უნდა ითქვას შემდეგი: როგორც სავსებით სამართ-
ლიანად ანიშნა თვის ღრობები ი. აბულაძემ, ანტონის მთავარი წყარო
იყობის ტექსტი⁹, რომელსაც იგი ძირითადად მიჰყვება. ხან სიტყვასიტყვით
იმეორებს მას, ხან ციტტები მოაქეს მისგან, თუმცა ალაგ-ალაგ მნიშვნე-
ლოვნად ასხვაფერებს, რაზედაც ქვემოთ იქნება ლაპარაკი. ი. აბულაძემ აღ-
ნიშნა ისიც, რომ იყობის ცნობები ანტონს შეუსია „ქართლის ცხოვრების“
(კერძოდ ჭუანშერის, ნ. გ.) ცნობებით¹⁰. ქვემოთ თავ-თავის ადგილის ვუწევ-

⁹ ი. აბულაძე, იყობ ხუცესი, მარტილობა შუშანიკისი, გვ. 07.

¹⁰ იქვე. სხვათა შორის, ანტონი ერთგან ამბობს: „მომზრახობენ ვასენისთვის ძებული
ისტორიკოსნი ჩეტინი, ვთარმედ უარის ყოფადმდე ქრისტეს ღმრთისა უკეთურვე იყო გო-
ნებითა უღმრთო ვასექენ. ხოლო პნედვიდა რა წმიდა იგი ცოლი მისი უკეთურ სახესა მას
ქმარისა თვალს, ილოცვება თუცა, და სხაუთაც ეველტებინ ღლობუად, ჩათა წყალობითა
ოვსითა პსკვალოს ღმერთმა (ქმარი მისი) უგუნურებისა მისგან უღმრთოებითისა, და ჰემანი
მის შორის ვონიერებად ქრისტეს მიმართ“ (S—1272, გვ. 149). მოტანილი ადგილი თითქმის

ნებთ ჭუანშერის რომელი ცნობები აქვს გამოყენებული მას. ანტონს უსახელდავითია გებლია სომხური წყაროებითაც: „უშებულ ვართ ისტორიული სომებთა და სათთოშომისაგან მეტაფრასისა მათისა, თქმულისათვის წმიდისა სუსანნამასა“ (S—1272, გვ. 145). ი. აბულაძის სიტყვით „ეს წყაროები ზაფ-მათორდ“-ამდის მიღის ყველა, რომელიც მის მიერ დასახელებული „სათუუოო მატაფრასი“ უნდა იყოს „¹¹“. „სათთოშომ მეტაფრასი“, ალბათ, მართლაც ზაფ-მათორდ-ია, ისტორიკონი სომებთანი „კი, ვფიქრობთ, უკვე სხვა წყაროს უნდა გულისხმობდეს, თუმცა ჯერჯერობით არ ჩანს, კერძოდ, რომელს. განსვენებული მყვლევარის აზრით, ანტონი არ იცონდა „წამების“ მოკლე რედაქციას, არც ქართულსა და არც სომხურს¹².

რას წარმოადგენს ანტონისეული გადამუშავება „შუშანიკის წამებისა“ და რას ისახავდა იგი მიზანდ?

სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, ორიოდე სიტყვა საკუთრივ იყობის „შუშანიკის წამებაზე“. იაკობი მოვითხრობს მხოლოდ შუშანიკის წამების ამბავს, დაწყებულს გამაზდებებული ვარსების სპარსეთიდან დაბრუნების მომენტიდან და დამთავრებულს შუშანიკის დასაფლავებით. არაფერი არაა ნათქვამი არც იმაზე, თუ რა მოუვიდა ვარსების შუშანიკის გარდაცვალების შემდეგ, დაისაჭა თუ არა იგი შუშანიკის წამებისათვის. ტექსტში გვხვდება მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი ადგილები, რომლებიც დამატებით გარკვევას შოთხოვენ. თხელულება, როგორც უკვე ითქვა, ფაქტობრივ საგებით რეალისტური ნაწარმოებია და აგიოგრაფიულ უანრში ვერ ეტევა. მთავარი მოქმედი პირები ცოცხალი ადამიანები არიან დადებითი და უარყოფითი თვისებებით. ისინი წარმოადგენენ რთულ და არა სწორხაზოვან ხასიათებს. შუშანიკი, რომლის წამება აღწერილია მორწმუნეთათვის სამაგალითოდ, ყოველთვის არ იქცევა ისე, როგორც ეს ნამდვილ წმინდას შეცვერის. მეორე მხრივ, ვარსები, შუშანიკის ანტიპოდი, უარყოფითი გმირი და ბნელი ძალების განმასხიერებელი, ხანდახან სახესბით ადამიანურ თვისებებს ამჟღვნებს.

იაკობის „შუშანიკის წამების“ გადამუშავებისას ანტონი, როგორც ჩანს, ისახავდა ორ მიზანს: პირველი, გაესწორებინა ის წალი, რაც, ანტონის შესედულებით, ჰქონდა ლიტერატურული თვალსაზრისით იაკობის თხზულებას, და მეორე, გაემართა იგი აგიოგრაფიული უანრის მოთხოვნების შესაბამისად.

ვნახოთ ახლა, რა გააქცა ანტონმა ამ მხრივ.

ჯერ განვიხილოთ ის ცელილებები, რომლებიც ანტონმა შეიტანა იყონის ტექსტში წმინდა ლიტერატურული, როგორც ჩენ გვვინია, მიზნებით.

პირველ ყოვლისა, ალანიშნავია, რომ ანტონმა გაასწორა, უფრო ზუსტად, შეცვალა „წამების“ ზოგიერთი პერსონაჟის სახელი. „წამების“ მთავარი მოქმედი პირის სახელი „შუშანიკ“, რომელიც ამ ფორმითა ცნობილი

სიტყვასიტყვით არის ამოღებული იაკობის ტექსტიდან (ძევლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 11, სტრ. 11—14. შემდგომში ტექსტშივე მიღუთითებთ ამ გამოცემიდან ციტირებული ადგილების ვერდესა და სტრიქონის გამოცემის დაუსახელებლად). ამიტომ გაუმინდარია, რატომ იმოშებს აქ ანტონი „ძალის ისტორიკონსებს“.

¹¹ ი. აბულაძე, იაკობ ხუცესი, მარტვლობას შუშანიკისა, გვ. 07.

¹² იქვე.



„წამების“ ყველა ხელნაწერიდან და სხვაგან ყველგან, სადაც კი იგი იგივენამდებოდა: „ენისაებრ მათისა (ე. ი. სომხებისა, ნ. ქ.) სახელ პსლებენ შუშანნა“-ო, მმარბს იგი (S—1272, გვ. 145) და თვითონ წერს „სუსანნას“. ვარსკენ პიტიაშვის კარის ეპისკოპოსი „წამების“ უმრავლეს ხელნაწერში მოხსენიებულია როგორც „აფოც“. ერთ ხელნაწერში („წამების“ უძეველესი ხელნაწერი, ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდი № 95, XI ს.) იგი იხსენიება „აფუტ“-ად. ანტონი ცვლის მის სახელს „აფოტ“-ად და უკავშირებს ბერძნულ ფოტიუსს: „...მივიდა ვარსკენ ეკალე-სიად, და ეპისკოპოსა მის ქალაქისა, და სახლისა თვისისასა სახელით აფოტს, (ესე იგი ფოტის) ეტყოდა...“ (S—1272, გვ. 160). ვარსკენი „წამების“ ხელნაწერებში იხსენიება სამარიალი: „ვასქენ“ (უმრავლესობაში), „ვაქსენ“ და „ვარსქენ“. ანტონი ირჩევს „ვასქენ“ ფორმას. ამაში ის, აღბათ, ანგარიშს უწევდა ჯუაშერსაც, რომელთნაც, აგრეთვე, „ვასქენია“¹³. ეპისკოპოსთა თავი სამეცნილი ანტონთან იშორდება სამოილად (S—1272, გვ. 173).

საინტერესოა, რომ იაკობის „ქართლი“ ანტონი შეუცვლია „საქართველოთი“. იაკობთან ვკითხულობთ, სპარსეთიდან წამოსული ვარსკენი „მოი-წია იგი საზღვაოთა ქართლისათა, ქუყანასა მას ჰერეთისასა...“ (12. 10). ანტონთან იგივე ადგილი ასეა: „წარმოსრულმან სპარსეთით ს ა ქართლ უ-ლოდ ვასქენ, და მახლობელ ქმნილმან სამთავროსა თვისისად“... (S—1272, გვ. 150).

აქვე შეიძლება ითქვას, რომ, როგორც თავის დროზე მიუთითა ი. აბულაძემ, პირველმა ანტონმა აღნიშნა, რომ „შუშანიების წამების“ ავტორია იაკობ ხუცესი¹⁴.

ზოგადი ხასიათის ცვლილებებიდან, რომლებიც ანტონი შეუტანია იაკობის ტექსტში, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ იაკობისეული პირები პირით თხრობა მას შეუცვლია მესამე პირით. ამის მიზეზი ადვილად მისახედრია: იაკობი შუშანიების წამებას ვეიამბობს როგორც თანამედროვე და მონაწილე, ანტონი კი ვადმოგვცემს შორეულ ეპოქაში მომხდარ ამბაეს.

ახლა კერძო ხასიათის ცვლილებებზე.

იაკობის „შუშანიების წამების“ არსებული ტექსტი იშევება ფრაზით: „და აწ დამტკიცებულად გითხრა ოქუენ აღსასრული წმიდასა და სანატრელისა შუშანიების“ (11. 3—5). ფრაზა ტოვებს შთაბეჭდილებას თითქოს მას წინ რაღაც აკლია. ამ შთაბეჭდილებას აღლიერებს მეორე ფრაზა, რომელიც მოდის ორიოდე წინადაღების შემდეგ: და „ცოლად მისა (ე. ი. ვარსკენისა, ნ. ქ.) იყო ასული ვარდანისი, სომეხთა სპამეტისა, რომლისათვე ესე მიწვერე თქუენდა, მამისაგან სახელით ვარდან და სიყუარულით სახელი მისი შუშანიკ, მოშიში ღმრთისამ, ვითა ა ც-ი გი ვ თ ქ უ თ, სიყრმითგან თვისით“ (11. 7—10). იაკობის სიტყვებიდან ისე ჩანს, რომ შუშანიების სიყრმეში ღმრთისმოყვარებაზე მას უკვე ჰქინია ლაპარაკი. მაგრამ „წამების“ არსებულ ტექსტში ეს ადგილი არ არის. ამავე დროს „წამების“ ტექსტიდან არ იგრძნობა, რომ მას დასაწყისი აკლდეს. საბოლოოდ მკითხველი მაინც გაურჩეველობაშია. აკლია თუ არა დასაწყისი „შუშანიების წამებას“? ანტონს არ გამოჰ

¹³ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაზბეგიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1, 1955, გვ. 216.

¹⁴ ი. ა ბ უ ლ ა ქ ე, იაკობ ხუცესი, მარტვლობა შუშანიების, გვ. 07.

პარვია მხედველობიდან ეს გარემოება. მას გამოუტოვებია გაურკვევლობრივი გამომწვევი პარველიცე ფრაზა „წამებისა“. გამორთვა შან, აგრეთვე, ასევე გაურკვეველი „ვითარცა იგი ვთქვთ“. სამაგიროდ შუშანიკის წამების აღწერას ანტონნა წარუმძღვარა ჯერ გრელი, განყენებული და ძნელადგასაგები შესავალი, შემდეგ კი საემაოდ დაწერილებითი ცნობები შუშანიკის წარმომავლობაზე და ცხოვრების აღრინდელ პერიოდზე. ამით მან თითქოს შეავსო „წამების“ დასაწყისი ნაწილის შესაძლებელი დანაკლისი.

შუშანიკის წარმომავლობაზე ლაპარაკისას ანტონი დამატებით იძლევა ცნობას იმაზე, რომ შუშანიკის მამა, ვარდანი, იყო სომხეთის ცნობილი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწის საპაკ კათალიკოსის შეილიშვილი და მადლენა მას პართული წარმომავლობაც ქვერნია (საპაკ კათალიკოსი სომხეთის განმანათლებელ გრიგორის, წარმომავლობით პართულის, შთამომავალი იყო). „...ნათესავთაგან პართთა მომზრახობენ, რეცა ასულისაგან ისაა დიდისა სომხეთა მიმამთავრისა“—ო (S—1272, გვ. 145) გადმოგვცემს ანტონი ვარდანზე. შესაძლებელია, სწორედ ეს ცნობა ქვერნდა ანტონს აღებული მის მიერ სტენგბულ „ისტორიკოსთაგან სომეხთასა“.

ანტონს იქვე შეუტანია ერთი, მართლმადიდებელთათვის მეტად მნიშვნელოვანი, ცნობაც. რათა ქართველ, დასაქართოდ მართლმადიდებელ მექინელისთვის შუშანიკის სარწმუნოებრივი მრწამის საეჭვო არ გამხდარიყო, ანტონი შუშანიკის მამაზე უმატებს ცნობას — „ხოლო ესე ვარდან იყო უწინარეს სომხეთაგან განყოფისა წმიდასაგან კრებისა ხალკედონისა“—ო (S—1272, გვ. 145), ე. ი. ვარდანიცა და შუშანიკიც მართლმადიდებელი იყვნენ, რაც სწორია, ყოველ შემთხვევაში იმ თვალსაზრისით, რომ „წამების“ ეპოქაში სომხერი და ქართული ეკლესიები ერთ სარწმუნოებრივ მრწამსზე იღვნენ და, მაშასადამე, ვარდანსაც ქართველთაგან განსხვავებული მრწამის არ ექნებოდა.

შემდეგ ანტონი მოკლედ გვიმპობს შუშანიკის აღზრდაზე: მშობლებმა „აღწავლეს საღმრთო პსკული, და განგებულებანი საცხოვრებელნი. და შესაბამ ჩინებულებისა მათისა ზრდიდეს მდიდართა მიერ ნივთთა სამისელთა, და საგებელთა, და საქაულთა ქრიფასთა“ (S—1272, გვ. 145—146).

ასე აღზრდილი შუშანიე „დროიდ სძლობისა მიოწეოდა ქალი ნარნარი“. იგი გამზდარა „ქალწული მორცხვ, ყრმაა მიმადლებული, ჭაბუკა სათნოებათა სიმღიდორითა, და სიბრძნითა, რომელიცა კეთილმსახურებითა განკარგა მან, შემქული.

სამალი სიბრძნისა შემეცველი კეთილგონიერებათა, და შენებათა ქრისტესთა თვესა შორის თვესა დამცუტილი, მიეთხოვა განზრახეთა მშობელთათა ვასქენს ვისტე მთავარსა რანისა და ჰერთისასა, რომელი არს ნაწილი მამულისა ჩეტინისა, და დედა შეილთა იქმნა“ (S—1272, გვ. 146). შემდეგ ანტონი ზოგადად ლაპარაკობს შუშანიკის ლირსებებზე და ლმრთისმოყვარებაზე.

15 აქ გვხსენდება X ს. სომები ისტორიკოსი უხტანეს ი, რომელიც თვეის წიგნში „სომეხთაგან ქართველთა განყოფის ისტორია“, შუშანიკზე ლაპარაკისას უვამცნობს, რომ იგი ეწია „ქრისტის მსახურებისა და წრფელისა ალსარებისათვს“. როგორც თვეის დროშე შეინწყა ი. აბულაძე, უხტანის შუშანის უყურებს ვითარცა იმ წრფელი, კეშმარიტი აღსარებისათვის თვადადებულს, რომელსაც აღვნენ სომები ქართველებისაგან განსხვავებით (ი. აბულაძე, იაკობ ხუცისი, მარტივობა შუშანიკი, გვ. 044).



აქ ჩვენს ყურადღებას, პირველ რიგში, იქცევს ანტონის ცნობა, მარტინ გარსევნი იყო რანისა და პერეთის მთავარი. რანთა დელფილიდ არას მოხსენიებული შეუშანიერი ანტონისეული რედაციის სათაურშიც. საიდანა აქც აღებული ანტონის ცნობა? იაკობთან ვარსევნი ვეოლოდ პირიაშად იხსენიება, ისე რომ არა ნათევამი, თუ რომელ ქუეყანს განაგებდა იგი. ვიცით მხოლოდ, რომ ვარსევნის სამფლობელოს ცენტრი ცურტავია. ერთგან იაკობი პერეთსაც ახსენებს: „სპარსეთიდან სამშობლოში მომავალ ვარსევნზე იაკობი ამბობს: „ვითარცა მოწია იგი საზღვართა ქართლისათა ქუეყანისა მას პერეთისასაც, კუცა აფრინა ცურტავშიო. იქნება შთაბეჭდილება, რომ ვარსევნის სამფლობელო პერეთი იყო. მართლაც, ამ ადგილზე დაყრდნობით ერთ დროს ვარსევნი პერეთის მთავრად იყო მიჩნეული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში¹⁶. ჩანს, ასევე გაუგია ეს ადგილი, თავის დროზე, ანტონისაც. ამ ადგილიდან უნდა მომდინარეობდეს მის მიერ ვარსევნის მიჩნევა პერეთის მთავრად.

რაც შეხება რანს, ამ ქუეყნის ერისთავად ვარსევნი იხსენიება ჯუანშერთან. ჯუანშერის თანახმად ვარსევნი იყო სომხითის მთავართა შეილი, რომელმაც მაზდეანობის აღიარების სანაცვლოდ სპარსეთის შაპისაგან მიიღო რანის ერისთავობა. ამასთან ჯუანშერის მოთხრობიდან ჩანს, რომ რანი იყო დამოკიდებელი ერთეული, რომელიც არ შედიოდა ქართლში. სხვათა შორის, ამას შემდგომში გაიმორებს გახშტი ბატონიშვილიც¹⁷.

ამრიგად, ანტონს შეუერთებია იაკობისა და ჯუანშერის ცნობები: პერეთის მთავრად ვარსევნის იგი მიიჩნევს იაკობის, რანის მთავრად კი ჯუანშერის მიხედვით. მაგრამ, რათა მკითხველმა არ ითქვეს, რომ შუშანიერის წამება მონდა რაშიც, ე. ი. ქართლის ფარგლებს გარეთ, როგორც ეს არის ჯუანშერთან, ანტონი ერთგვარად ეკამათება და ასწორებს უკანასკნელს და მიითხველს უსნის, რომ რანი და პერეთი „არს ნაწილი მამულისა ჩრდინისა“—ო. როგორც ვხდეთ, ანტონი დიდი დაკვირვებით ატარებს თავის სამუშაოს.

აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც იაკობის თანახმად, ციხეში მყოფ შუშანიკის სანახავად მიღიოდნენ „აზნურნი დიდ-დიდნი და ზეპურნ დედნი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“ (27.22—23), ანტონი წერს, შუშანიერის სანახავად „არათუ რანით და პერეთით, არამედ ქართლისანიცა“ მიღიოდნენ (S—1272, გვ. 173), ე. ი. არა მარტო რანით და პერეთით, არამედ საერთოდ ქართლიდან.

რა თქმა უნდა, უკვე სულ სხვა საყითხია, რამდენად მართალია ანტონი, როდესაც რანს ქართლის ნაწილად მიიჩნევს.

დანარჩენი ცნობები სხვაგან არსად არ ვკვედება. ამასთან მათ არა აქვთ რაიმე კონკრეტული ხასიათი (გარდა იმ ცნობისა, რომ შუშანიკი შობლების განზრახვით მისმოვდა ვარსევნს) და თვით ანტონის შეთხულად მიგვაჩნია. ჩანს, შუშანიერის მიღალი წარმოშობიდან გამომდინარე, ანტონმა დასკვნა, და საესებით სამართლიანადაც, რომ იგი კარგ აღზრდას მიიღებდა

¹⁶ იხ. მაგ. ივ. გავაძი შვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951, გვ. 208—209. ამ საყითხზე არსებოლი ლიტერატურის ქრიტიკული განხილვა იხ. თ. პაპუა შვილის წიგნში „პერეთის სტორიოს საყითხები“, თბ., 1970, გვ. 102—105.

¹⁷ ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახტე შტრი, აღწერა სამეცნიერო ლექციას, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხნიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 118.

და ფუფუნებაში გაიზრდებოდა. ხოლო შუშანიკი რომ სათნოებით აღსაცემ უნდა ყოფილიყო, ეს ხომ ისედაც ცხადი იყო! მხოლოდ ერთ რამეში, შესაძლებელია, შეცდა ანტონი. შუშანიკის მამა, ვარდან მამიკონიანი 451 წ. დაიღუპა ირანელებთან ბრძოლაში. ამდღნად შუშანიკის გათხოვებისას იგი, შეიძლება, ცოტაალი არ ყოფილიყო, თუმცა არც ეს შესაძლებლობაა სავსებით გამორიცხული.

„წამების“ მეორე ფრაზა ასე იყითხება: „იყო მერვესა წელსა [მრ...] სპარსთა მეფისასა კარგად სამეფოდ წარიმართა გარსენ პიტიაში“ (11. 5—6). აღვილი მისახედრია, რომ კვადრატულ ფრჩხილებში ჩამოული „მრ“ თავის დროზე აღნიშნავდა სპარსთა მეფის სახელს. მაგრამ ამჟამად იგი არ იყოთხება არც ერთ ხელნაშერში, თვით უძველეს A—95—შიც კი. არ არის იგი „წამების“ ძელსომხურ თარგანშიც. ჩანს, მეფის სახელი დაკარგული ძალიან აღრევე. რადგან ტექსტში არ იხსენიება, რომელი მეფის მერვე წელს შავიღა ვარსექნი ირანში, ცხადია, წელის აღნიშვნა აზრს კარგავს. ანტონს ეს არ გამორჩენია. იგი ამგვარად ასწორებს ფრაზას: „წარვიდა მთავარი იგი რანისა ვასქნ მიზეზითა მისდა მიწოდებისათა სპარსთა მეფისად“ (S—1272, გვ. 143).

ჩანს, ანტონს ზედმეტად, შუშანიკის წამების აბისთვის არაარსებითად, ჩაუთვლია და გამოუტოვებია იყობის ტექსტის ზოგიერთი აღვილი. გამეორებები რომ არ მოგვიყიდეს, ყველა ასეთ ადგილს ერთად დავასახელებთ.

ანტონს გამოუტოვებია მაღალი პათოსთა და ლამაზად თქმული ფრაზა: „ხოლო ამის უბადრესისა და სამგზის საშყალობელისა ვარსექნისი ვითარებე ვინ თქუს ყოვლად განწირულისა, ვითარ-იგი განაგდო სანატორელი სასოებად ქრისტიანი?! ანუ ვინ არა სტიროდის მას, რომელსა არცა ჭირი ეხილება, არცა შიში, არცა მახვლი, არცა პყრობილებაა ქრისტიანული?!“ (11.15—19).

ანტონს გამოუტოვებია ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ ვარსექნის დესპანის ჩამოსვლისას აფიცი და იაკობი სხვაგან იყვნენ (13. 10—20). ჩანს, ანტონს გაქიანურებულად მოჩენებია და შეუმოკლებია დიალოგი სასახლილან წასულ შუშანიკისა და მის სანახავად მისულ იაკობს შორის (გამოტოვებულია შუშანიკის სიტყვები „რაასა მკითხავ ამას“, იაკობის შეკითხვა „მტკოცედ სდგაა?“ (14.4—6), აგრეთვე იაკობის გატრთხილება, ვარსექნი გვემასა და ტანჯვაში ჩაგადებსო (14.7—8), რაც შუშანიკის ორ ფრაზას შორისაა. ამიტომ ფრაზები ანტონს შეუერთებია).

შუშანიკის სასახლეში დასაბრუნებლად ვარსენმა გაგზავნა მასთან თავისი ძმა ჭოვიკი, მისი ცოლი და ეპისკოპოსი აფოცი. მათზე დიდი შთავეჭილება მოუხდენია შუშანიკის მტკიცე პასუსს: „და ვითარცა ესმა ესე მისგან, ცრემლობენ ყოველნი. და გოგიკ აღ და და ცრე მლით გარე გან ვიდა. ხოლო წმიდამან შუშანიკ ჭრება ეპისკოპოსსა: „ვითარ შეტყვ მე დაგერებად ჩემდა, რამეთუ მან ღმერთი უვარ-ყო?!“ ხოლო გოგიკ ევე დრებოდა და ეტყოდა ას: „და ჩუენი ჩარ შენ“ და სხვ. (16. 1—5). როგორც ვხედავთ, იაკობი ჭრ ამბობს ცრემლმორეული ჭოვიკი გარეთ გავიდათ, შემდეგ კი ისე ჩართავს მას საუბარში, რომ სპეციალურად არ აღნიშნავს მის უკან შემობრუნებას. ჩვენთვის ეს მშვენიერი მაგალითია იაკობის გასაოცარი ოსტატობისა, მაგრამ ანტონს ასეთი ხერხი, ჩანს, მიუღებლად მიაჩნდა: მკითხველს რომ არავითარი გაუგებრობა არ შეექმნეს, მას გამოუტოვებია სიტყვები ჭოვიკის გარეთ გასცლაზე.



Առաջ զբարձր անդամներ գալությունը պահպանվելու համար կատարվել է առաջին անգամ 1920 թվականի մայիսի 2-ին՝ Հայաստանի ժողովական կուսակցությունների միջև պատճենական համաձայնագրությունում, որի համար առաջին անգամ առաջարկ է առաջարկվել 1918 թվականի հունվարի 28-ին Հայաստանի ժողովական կուսակցությունների միջև պատճենական համաձայնագրությունում:

უფრო ქვემოთ განსქენის სიტყვებიდან — „დღეს მე და ჭოჭი და ცოლ-მან მისმან ერთად პური კვემოთ, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლეოდ ჩეუნ თანა შემოსელაზ“ (16. 21—22) — ანტონს გამოტოვებული აქვს ფრაზის მეორე ხასევარი („ხოლო სხუასა...“). ფრაზის დასაწყისი — „და ვითარება მცირედ და-სე-სცხრა გულის წყრომისაგან, მოვიდა“ — გამოტოვებული აქვს ანტონს იმ ძაღილოს, სადაც იაკობი გაღმოგვცემს სპარსელის შუამდგრომლობას გარსქე-ნის შინაშე შუშანიის განთავისუფლებაზე ბორკილებისაგან (17.17). ანტონი მოკლედ ამბობს: „...რომლისთვის ეველრებოდა ას სპარსი“ და ა. შ. (S—1272, გვ. 158). ნაცემ შუშანითან იაკობის საუბრის აღწერაში ანტონს გა-მოუტოვებია: „ხოლო წმიდამან შუშანი მრქეუა მე: „ნუ სტირ ჩემთვს, რა-მეთუ დასაბამ სიხარულისა ქმნა ჩემდა ღამშ ეს“ (18. 9—11). სხვა კუპი-ურებზე მა აღიღოთანან ცალკე გვევჩება ლაპარაკი უფრო ქვემოთ.

იყობი გვამბობს, რომ ჰონებთან ბრძოლიდან დაბრუნებული ვარს-
ქენი მისულა ეკლესიაში და ღმრთის გმბას მოჰკოლია. „ხოლო ხუცესმან
ერთმან ჰერუა მას: „უფალო, რამას ეგრე იქმ და იტყვ ეგრეთ ბოროტსა და
ფერნებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიქს ჩისტე ეტყვ?“ ხოლო მან უხეთ-
ქნა კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა და მან ვერლარა იყადრა სიტყუად“
(19. 21—24). ანტონი მოკლედ გადმოგცემს ამ ეპიზოდს: „და ჰგეტმეთაც
ვინე ხუცესი ეკლესიისა—ო (S—1272, გვ. 161).

ვარსექნის ბრძანებით შუშანიკის სამასჯერ დაატყეს კვერთხი. ანტონს გამოტოვებული აქვს შუშანიკის ყველრებით მიმართვა ვარსექნისადმი: „მა-შინ-ღა პრეზუა წმიდამან შუშანიკ ურჩულოსა ვარსექნს: „უბალოო, შენ-ღა თავი თვის არა შეიწყალე და განსდევ ღმრთისაგან, შენ მეტაც შემოწყალეა?“ (20. 6—8). გამოტოვებია ანტონს, აგრეთვე, ცნობილი ადგილი, სადაც მო-თხრობილია, როგორ ვერ დამათავრა ვარსექნისაგან შეშინებულმა დაკვან-მა სიტყვა და მხოლოდ „მტკი...“ მოასწორო ეფექთი (20. 13—17). შუშანიკის ცი-სეში შეკვენის აღწერაში ანტონს გამოტოვებული აქვს შემდეგი: „და ვითარ-ცა იძილა პიტიისშემან ამბობი იგი და ტირილი მამათამ და დედათამ, მოხუ-ცებულთა და ყრმათა, მეკედრ მიმოდასლევინ და მეორ ჰყოფნ მათ უკველ-თა. და ვითარცა მიიწინეს ვიდსა მას ციხისასა, პრეზუა პიტიაშვან წმიდამა შუშანიკს: „შენდა ეგდენ ყოფად არს ფერწითა შენით სლვაც, რამეთუ ცო-ცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხა გამოგოლონ“ (21. 3—8). გამოტოვებულია, აგრეთვე, მცველის სიტყვები შუშანიკის სანახავად ციხეში მისულ იკვიბის მიმართ — „და მრჩუა მე: „რავამს ღლამდეს, მოვედ შენ ხოლო მარტომ“ (22. 1—2), ხოლო ცოტა ჭვევით — „ხოლო მცველმან მან მრჩუა მე: „ეს-ღა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ“ (22. 7—8).

ანტონის გამოტოვებული აქვს იაკობის მიერ შუშანიკთან ციხეში ერთ-

ერთი მისცლის აღწერა: „და მე მივედ და ვიხილე წმიდად შუშანიკ დამტკბელი და დაბუშებული ტირილითა. და ჩამორთუ მოეძღუანა წმიდასა მას ეპისკოპოსა საზრდელი, და ვითარ ფრიად ვაძულე, მცირედ ოდენ გემოს ინილა და ეპმადლობდით ღმერთსა“ (23. 22—25).

შემდეგ ანტონს გამოუტოვებით შედარებით დიდი ნაწყვეტი, რომელიც გაღმოგვეუმს იაკობის ჩქევას შუშანიკისადმი, ზედმეტად ნუ გაიტანვა თავს, რადგან ვერ გაუტლებ და ველაზ შეძლებ კეთილ საქმეთა გაკეთებას (24. 27—28). გამოტოვებულია, აგრეთვე, შუშანიკის მიერ მასზე დახვეული მატლების ჩვენება იყობისთვის, ამ უკანასკნელის მწუხარება ამის გამო და მისი დატუქსეა შუშანიკისგან (25. 23—31).

ანტონი ამოკლებს შუშანიკისა და მის სანახავად ციხეში მისული ჭოჭიკის დიალოგს. გამოტოვებს შუშანიკის და ჭოჭიკის რამდენიმე ფრაზას, აერთყებს სსვებს. გამოტოვებულია შემდეგი: „ხოლო წმიდამან შუშანიკ პრექუა მას: „თუ შენ სხვად სახედ ყრმებრ არარა ჰქმენ, ღმერთმან მოგორევებს შენ“. და ჭოჭიკ პრექუა: „მაგის სახისათვა მოვედ მე შენდა, ჩამთ, რომელი-იგი არ არა არამე სათონ იყოს ღმრთისა, არა ვემნე“. წმიდამან შუშანიკ პრექუა: „უსურით ეჯო ევრეთ ჟყო შენ, უკუდავ შეგმნე მე მაგით სიტყვთა და ლმერ-თმან შესძინენ დღეთა ცხორებისა შენისათა“.

და მერმე ვითარ შეატყუა ჭოჭიკ, ვითარმედ მას დღესა განვალს წმიდად იგი კორტკა ამთაგან, პრექუა...“ (26. 13—20).

შუშანიკის მიერ ჭოჭიკისა და მისი ოჯახის კურთხევის აღწერაში ანტონს გამოუტოვებია შუშანიკის სიტყვები „ღმერთმან მიგიტევენინ, რომელ-რა-იგი ჰყავთ“ (27. 9), გამოტოვებულია იაკობის ცნობა იოვანე ეპისკოპოსზე, რომ იგი იყო სამოველ ეპისკოპოსთა თავის „მოყუასი“ (27. 18), იოანესა და აფოცის შედარება დაუღლვილ ხარებთან („იოანე და აფოც, ვი-თარტკა ჭართა მქნეთა დაუღლვილთა ზესკნელისა მის ფასისათა“ (28. 20—21), აქე-იქ ზოგიერთი სიტყვა. დაბოლოს, ანტონს გამოუტოვებია იაკობის ტექსტის ბოლო: „და დავითის ქარითა მთ ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ძესა ჩესასა უფალსა ჩუქუმსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით, რომელი ყოვლითა ყოველ თა ნინართ შემცლებელ არს და განამჯნენის მამანიცა და დედანიცა და თუმთა მათ თვით იგი ძლიერებისა ძლევას მოქმედლის ყოველთა, რომელი ეძიებენ მას ერთითა გულითა.

XK. და არს დასაბამი ტანგვათა მათ წმიდისა შუშანიკისთან თთუესა პ-ნისისასა, მეტევესა თოვესასა და დღესა ოთხშაბათსა, და მეორედ გუემაგ მისი შემდომად აღსუბისა ზატიქა, დღესა ორშბათსა, და კუალად ტანგვად ვარდობისა თთუესა ათცერამეტსა, და აღსრულება მისი თთუესა ოკონ-ბერსა ათწერმეტსა საქსენებელსა წმიდათა მთ და სანატრელთა მოწამეთა კოშმან და დამიანჭსთა. და დღე ხუთშაბათი იყო, რომელსა განვაჭესთ საჯ-სენებელი წმიდისა შუშანიკისი საღიღებელად და საქებელად ღმრთისა, მა-მისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომლისა შუშენის დიღებამ უკუნითი უკუ-ნისამდე, ამცნ“ (28. 26—29.6).

აქედან ანტონს დაუტოვებია მხოლოდ შუშანიკის გარდაცვალების დღე: „აღესრულა უკუშ მოწმე, და საძალი ქრისტესა შუშანიკ, თოტესა ოკონ-ბერსა ათწერმეტსა“... (S—1272, გვ. 176). ანტონის მოქმედების მოტივი ცხადია: მას გაორტოვებული აქეს იაკობის ზოგადი სიტყვები ღმრთის საღი-ღებლად, შუშანიკის ტანგვათა დღეების დასახელება ძველი ქართული კა-

ლენდრით, რაც ანტონს, ჩანს, თავის თანამედროვეთათვის გაუგებრად მიაწერა შუშანიკის მოსახსენებელ დღედ კვირის დღის დაწესება, რაღაც ანტონი დგომიში ასეთად უკვე კალენდრის დღე იყო დანიშნული. ანტონს დაუზოვებია მხოლოდ შუშანიკის ალსასრულის ახალი კალენდრით დამახელება.

ზემოთ აღნიშნებო ერთი ადგილი, სადაც ანტონს შეუსწორებია იყობის არსებული ტექსტი (სპარსეთის შაპის ზეობის წლის ამოღება). ანტონს გაუსწორებია კიდევ ერთი ადგილი:

იყობი გვიამბობს, რომ ვარსკენის გმაზღვანების გამო „განიხარა მეფე მან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისა“ (12. 7—8). ფრაზა აშეარად გაუგებრია. ვისი ასული „ბრძანა ცოლად მისა“? თუ საუთრო, უნდა ყოფილიყო „ასული თვისი“. თუ სხვა მეფისა, უნდა დასახელებული ყოფილიყო ეს მეფე. ასეთი უზუსტობა თქმისა სრულიად მოულონელია ბრწყინვალე სტილისტისა და მოქალაულე იყობისაგან, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი იყობს არც უნდა ეკუთვნოდეს და მერმინდელი ჩანართი უნდა იყოს, ოღონდ გაკეთებული აღრევე, რადგან ეს ფრაზა მოიპოვება უძველეს ქართულ ხელაწერშიცა და სომხურ თარგმანშიც (ამ უკანასკნელში ნათვამია, თითქოს მეფემ ვარსკენს თავისი სიღედრი შერთო ცოლად). მართლაც, ტექსტის ანალიზი საშუალებას იძლევა დაბეჭითებით ითქვას, რომ ვარსკენს მეორე ცოლი, ყოველ შემთხვევაში შუშანიკის წამების პერიოდში, ამ ჰეოლია. თუმცა ანტონი არ უარყოფს ამ ცნობას, მაგრამ ცდილობს გამართოს ფრაზა: მისი თქმით, მეფემ ვარსკენს „მიუბონა ცოლად ასული ანუ თვისი, და ანუ პირებულ მისა ყოფილისა ვისხე სპარსთა მეფისა“ (S—1272, გვ. 149), ე. ი. ცოლად შერთო თავისი, თუ მასზე აღრე ყოფილი რომელიდაც სპარსთა მეფის ასულიო.

, იყობის ტექსტის შემოკლებასთან ერთად, ანტონი ჩანართებსაც აკეთებს. პირებელ რიგში, ესაა უამრავი ციტატი ბიბლიიდან, რომელთაც თითქმის მუდამ ახლაցს მითითება იმისა, თუ საიდანაა ციტატი მიღებული. გაეთხებული აქვს, აგრეთვე, ანტონს ჩანართები დიდაგრიუმის ხსიათის საკუთარი შეჯელობებით. ზოგიერთ შემთხვევაში ანტონი ცდილობს უფრო შხატვრული გახადოს თხრობა. ყველა ამ ჩანართის ჩევნება შორის წავიყვანდა, ამასთან მათ არცა აქვთ ასებითი მნიშვნელობა ჩევნი მიზნისათვის. მაგრამ ორიოდე ადგილს მაინც მოვიტან.

იყობი უმატებს მთელ აზაცს სერობის დროს ნაცემი შუშანიკის აღწერით: „იყოფლა წმიდა იგი საყორბილესა შინა წყუდებული ქრისტესთვს, რომლისად ცხოვრება იყო ქრისტე, და სიკუდილი შესძინელ. განმუშავებული კორცა შინა ტკრთვთა საწერტელთა მათ უფლისა იესუსთა, რამეთუ ყოვლად შეტნიერი პირი მისი ყურადღებისცემითა ვნებული, და მგილთა მიერ ქურჭუნვილი, ყურადღებისცემულთა მათ ღაწუთა იესუსთა ცხოვლად დაპატიჟდა, და სხეული მისი თრეული და გზშმული, თვს შორის ცხოველ-შყოფელთა მათ წყლულთა სირთა ღმრთით მამაკაცისა სიტყვათა წარმოადგენდა“ (S—1272, გვ. 158).

ანტონს 28 სტრიქონი ჩამოატებია ციხეში მოთავსებული შუშანიკის ქებითა და მოწამეობრივი ქცევის აღწერით. მათ შორის ასეთი მაღალმხატვრული სტრიქონებიცა: „მაშინ სანატრელი სხალი ქრისტესი, რომლისა ღაწუნი ყურადღებისცემითა განშულებულ იყუნეს ვითარცა გზრიტისანი, და ქედი გაჭვთა ვითარცა ძერფასთა სპეკალთა მიერ მომჭვილითა ფარლულითა, ქმნი-


ლებასა ოქრომასასა ემპისგავსებოდა. და სხეული მისი წულილად დასხმულა
ვეცხლსა ყოვლად წმიდათა ასოთა წყლულებითა“ (S—1272, გვ. 162). სხვათა
შორის, ანტონი თვითონვე ზუსტად მიუთითებს თავისი მეტაფორების
პირველწყაროს — „სახარებას“.

ჩამატებული აქვს ანტონის, აგრეთვე, 9 სტრიქონი, სადაც ვადმოცემუ-
ლია შუშანიკის მწერასრული ვარსკენის გამზიდვანების გამო (S—1272, გვ.
151).

ხანდახან ანტონი ერთი-ორი სიტყვით დღილობს უფრო ფერადოვნად
დახატოს სურათი: სასახლეში დაბრუნებულ შუშანიქე იაკობი ამბობს: „და
რაყამს შევიდა იგი ტაძარშა მას, არა დაჭდა იგი თვისს მას გალიაკა, არამედ
სენაკსა შინა მცირესა“ (16. 14—16). ანტონი ოდნავ ასხვაფერებს: „ხოლო
რაყამს იგი შევიდა პალატად, არა თუ პორტი ირდა გარდა ბულსა მას
ადგილსა დაჭდა საწოლსა შინა თვესა, არამედ მცირესა სენაკსა შინა“ (S—
1272, გვ. 156).

ციხეში შუშანიკისა და ჭოჭიკის საუბრის აღწერისას იაკობი გადმოგვ-
ცემს: „ხოლო ჭოჭიკ მსწრაფულ აღდგა ზე, პირველთა მათ უწესოთა საქმეთა
ალიარებდა და ეველტონი“ (26. 10—11). ანტონი აძლიერებს სცენას:
„დავარდა ჟუშუშ ჭოჭიკ წინაშე წმიდისა და ვედრებითა იტყოდა მისდა“ (S—
1272, გვ. 171).

აქა-იქ ანტონის სხვა სტილისტური ცვლილებებიც შეაქვს. მაგალითად,
პირდაპირი თქმა არიბად გადაეჭვს (ვარსკენის დესპანის სიტყვები „ვარსკენ
უვარ-ყო კეშმარიტი ღმერთი“... (12. 21—22), შუშანიკის მოთქმა ვარსკენის
განდგომის გამო — „საწყალობელ იქმნა“... (12. 24—26) და სხვ.

იაკობის თხზულება ისე თავდება, რომ მეტობელმა არ იცის, რა მოჰკვა
შუშანიის წმებას, დაისჯა თუ არა ვარსკენი, აქვეყნადაც სძლია თუ არა
ბოროტს კეთილმა. ამაზე ცნობა ჭუანშერთან მოიპოვება.

ჭუანშერის თანახმად, შუშანიკის წამება მომხდარა მეცე ბაკურის ღროს,
რომელსაც სიკვდილით დაუსჯა ვარსკენი, ხოლო შუშანიკის ცხედარი ცურ-
ტაში გადაუსვენებია (რადგან, როგორც ითქვა, ჭუანშერს ვარსკენ რანს
მთავრად მიიჩნდა, მისი გაგებით წამებაც რანში უნდა მომხდარიყო¹⁸). ან-
ტონის თითქმის სიტყვასიტყვით მოჰყავს ჭუანშერის ცნობა ვარსკენის დასჯა-
ზე: „მპსმერელმან ვნებათა და სიეტდილისა სანატრელისა სუსანნასა მე-
ფემან აფხაზთა და ქართველთამან ბაკურ, შეჰერიბნა ლაშქარინი თვალი ფა-
რულად, და განიმედულა ვასქენს ზედა: ხოლო დროსა მას ვასქენ მდგომარე
იყო კიდესა მტკურისასა, სადა იგი შთავარდების მტკურარსა შინა მდინარე
ანაკურტისა, და ზედა დაესხა ვასქენს, და შეიძირა იგი და მრავალ-დაწყლუ-
ლი მახულითა ვასქენ მოჰყიდა ძელსა ზედა“. შემდეგ ანტონი აგრძელებს:
„იტყვს ძუშლი უწუშ მატიანე ჩუენი, ვითარმედ „მეცემან ბაკურ წარმოისტ-
ნა ნაწილი წმიდისა სუსანნასი, დიდითა პატივითა ცორტაქს“. ხოლო მე-
ცემონებ გითარმედ ეკელესია იგი სადაც იტყუს ხუცესი იაკობ დაფლუასა
წმიდისა სუსანნასა არს ცორტაქს“ (S—1272, გვ. 176). შემდეგ ჭუანშერი
გვიამბობს, რომ როდესაც სპარსეთის მეცემ გაიგო ვარსკენის მოკვლის ამბა-
ვი, აპატია ეს ბაკურს, რადგან ეშინდა ქართველები ბერძენთა მხარეზე არ
გადავიდნენ. ჭუანშერის მოთხოვნის ეს ნაწილი ანტონის აღარ მოაქვს.

18 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 216.



როგორც ვხედავთ, ანტონი არ უჭერებს ჭუანშერს, რომლის თანაბეჭდი შეუძლია მარტივი ცურტავში ბაჟურს გადაუსვენება. ანტონი აღნიშვნას, რომ შეისი აზრით შუშანიკი იმთავოთვე ცურტავში დაიმარხა, რაც ჩანს იაკობის თხზულებიდან. სანავიროდ ანტონი იმეორებს ჭუანშერის ცნობას, თითქოს შუშანიკის წამება მეფე ბაჟურის დროს მომხდარიყო, რაც უხეში შეცდომაა.

ეს ადგილი კარგად გვიჩვენებს ანტონის მეთოდს: რომ ის უკრიტიკოდ არ უდგება თავის წყაროებს, თუნდაც ისეთ ავტორიტეტულს, როგორიცაა „ქართლის ცხოვრება“, ასუ, ანტონის სიტყვით, „ძეგლი მატიან ჩუენი“.

დასასრულ, ალსანიშვანია, რომ ანტონის იაკობის ტექსტი რამდენადმე ენობრივადაც გადაუმუშავება. ერთი მხრივ, თავისი ენობრივი პოზიციის შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, ლექსიური განახლების მიზნით. რათა მისი თანამედროვე მკითხველისთვის უფრო გასაგები გაეხადა ტექსტი, მან შეცვალა, ან გამოტოვა ზოგი სიტყვა, რომელიც მას, როგორც ჩანს, მოძეველუბულად, ან გაუგებრად მიაჩნდა (ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა ლაბარაკა იმ შემთხვევაში, როდესაც ანტონმა გამოტოვა ძეგლი ქართული კალენდრით აღნიშნული დღეები). იაკობთან სასახლის მინშვნელობით მოხსენიებულ ტაძრის ნაცვლად, ანტონი წერს „ბალატი“ (S—1272, გვ. გვ. 151, 156, 161); „პიტიაზშ“ ცვლის „მთავრით“ (S—1272, გვ. გვ. 146, 148 და სხვ); „უკამურას“ ნაცვლად წერს „შიშუშლითა ფერებითა“ (S—1272, გვ. 162), „კურშერის“ მაგივრად — „ვეცხლს“ (S—1272, გვ. 164). „განბორების სალმობა“ შეცვლილი აქვს „შედება კეთროვნებისა“-თი (S—1272, გვ. 166). „გირგაი ერთი მუელი“ გაღმიცემულია როგორც „ნივთი ფრიად უნდოო ძეგლი რამდე“ (S—1272, გვ. 169), კილიკი, როგორც „ფიჩ ბალნისა“ (იქვე), ხოლო თხრამლი, როგორც „შალალნი“ (S—1272, გვ. 170). ანტონის ზოგან საერთოდ გამოიუტოვებია სიტყვები, რომელებიც თანამედროვეთათვის, აღბათ, გაუგებრად მიაჩნდა, მაგ., „სენაკანი“, „კიქნაუხტი“, „კუბასტი“.

იაკობი ამბობს, რომ ვარსექნი ჰონებთან ლამრად წავიდაო. ანტონს, ეტყობა, მიაჩნდა, რომ მისმა მკითხველმა არ იცოდა, ვინ იყვნენ ჰონები, ამიტომ მათი სენება საერთოდ გამოიუტოვებია: „...მთავარმან მან გასქნენ უღმრთობან განამედრა რომელსამე ნათესავსა ზედა“-თ (S—1272, გვ. 160). იაკობისეულ „ჩირს“ ანტონი უმატებს, „რომელიმე ადგილი დროსა მას სახელითა ამით იზედშოდებოდენ“-თ (S—1272, გვ. 168).

ზემოთ აღნიშნული იყო უკველა ის ცვლილება, რომელიც ანტონს შეუტანია შუშანიკის „წამების“ ტექსტში, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, წმინდა ლიტერატურული მოსაზრებებით. აღრიცხული არ იყო მხოლოდ მის მიერ ჩართული რავალრიცხვანი ციტატები ბიბლიიდან და რამდენმე ზოგადი ხასიათის ჩინართი, რომელიც წარმოადგენს ანტონის მსჯელობას ეთიურ და სარწმუნოებრივ საკითხებზე, აგრეთვე შუშანიკის ქებას ზოგადი ფრაზებით, კონკრეტული შინაარსის გარეშე.

ამრიგად, „შუშანიკის წამების“ ანტონის მიერ ლიტერატურული გადამუშავება გამოიხატა შემდეგში: ანტონმა გაასწორა მოქმედ პირთა სახელები, წამებას წარუმდლვარა ვრცელი შესავალი, დაუმატა დასაწყისი, საღაც გაღმოცემულია შუშანიკის წარმომავლობა და აღზრდა, დაუმატა დასასრული, სადაც მოთხოვნილია ვარსექნის სიკვდილით დასხა. ანტონმა გაასწორა ტექსტის უზუსტობანი, თუ დროთა განმავლობაში გაჩენილი გაუგებრობანი, გამოტოვა მისი აზრით არაარსებითი, ან გაუგებარი ადგილები. ჩართო ციტა-

ტები „ბიბლიიდან“, საკუთარი მსჯელობანი, შეეცალა მხატვრულად გაემდგენ მარტინ ქართველი რებინა ტექსტი და შეცვალა ან გამოტოვა არქაული და გაუგებარი სიტყვები.

როგორც ვხედავთ, ანტონ საკმაოდ ბევრი გაცემუშავების მიზნით მაგრამ, როგორც ზევით უკვე ითქვა, ანტონ ჰქონია მეორე, შესაძლებელია, უფრო მნიშვნელოვანი, მიზანიც — გადაემუშავებინა „წამება“ შინაარსობრივად, ასე ვთქვათ, იდე-ური თვალსაზრისით, გაემართა იგი როგორც აგონგრაფიული ნაწარმოები.

ზემოთ ჩვენ უკვე გვტონდა შემთხვევა აღვენიშნა ისიც, რომ „შუშანიკის წამებაში“ არის ზოგი რამ ისეთი, რაც შეუფრებელი უნდა ყოფილიყო წმინდა და აგონგრაფიული ნაწარმოებისათვის. შეშანიკი იქცევა როგორც ჩვეულებრივი ცოცხალი ადამიანი, იჩენს გაუმართლებელ თავშეუკავებლობას, მერყეობას, სერთოდ ისეთ ადამიანურ თვისებებს, რომლებიც არ შეპოვერის ნამდგილ, ორთოდოქსალურ წმინდნის. მეორე მხრივ, ვარსკენი, რომელსაც აგონგრაფიული უანრი აქისრებდა საშინელი მტარვალის როლს, აგრეთვე, ყოველთვის არ იქცევა ამ როლის შესაბამისად. მის ქცევასა თუ სიტყვაში ხანდახან ჩანს საესპით ადამიანური გრძნობები, სიბრალულიც კი შუშანიკის მიმართ. ცხადია, ეს არ უნდა გამოჰქმაროდა ისეთ დაკვირვებულ მეთხელს, როგორიც იყო ანტონი. მართლაც, მან შენიშნა ყველა, ან თითქმის ყველა ასეთი ადგილი და გაასწორა ისინი. მისი რედაქციის შემდეგ შუშანიკი იქცა ნამდვილ წმინდანად, ვარსკენი კი იმ მტარვალად, რომელიც უნდა ყოფილიყო უანრის კანონების მიხედვით. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ხელახლა გადავიყითხოთ ორივე, იაკობისა და ანტონის, ტექსტი. ვეცდებით ვაჩვენოთ ყველა ის უმთავრესი ცვლილება, რომელიც ამ თვალსაზრისით შეუტანია ანტონს იყობის ტექსტში.

იაკობი გვიამბობს, რომ სპარსეთიდან დაბრუნებულმა ვარსკენმა მეორე დღესვე დაიბარა თავისთან სამღვდელოება: „და ხვალისა დღე ვითარ აღდგა პატიახში, გვწოდა ჩუენ ხუცესთა და მივედით. და სიხარულით შეგვმთხვენა და გურქუა ჩუენ: „ამ ნურას მერიდებით მე და ნუცალა გძაგ“. და ჩუენ მიუგეთ და ვარქუათ: „წარწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუშმიდენ“. მაშინ და იწყო სიტყუად“ (14. 24—28) და მოიკითხა, რატომ წავიდა ჩემგან ჩემი ცოლი და ა. შ.

ერთი შეხედვით უცნაური სიტუაციაა: ქრისტიანობისგან გამდგარი მთავრისა და საშინელი მტარვალისგან პირველ რიგში მოსალოდნელი იყო, რომ თავის სამთავროში დაბრუნებისთანავე იგი ყოველგვარ კაეშირს გაწყვეტდა მის ნეირ უარყოფილი სარწმუნოების მიმღევრებთან, მეაცრ რეპრესიებს მიმართავდა ამ სარწმუნოების მესეცეურთა თუ მსახურთა, ე. ი. სამღვდელოების წინააღმდეგ და შეეცდებოდა თავისი ახალი სარწმუნოების გავრცელებას. ვარსკენმა კი ყოველივე ამის აბსოლუტურად საწინააღმდეგო რამ გააკეთა. ჩამოსვლის მეორე დღესვე, როგორც კი ადგა, თავისთან მიიწვია ეს სამღვდელოება, გულითადად, „სიხარულით“, მიიღო იგი და სპეციალურად გააფრთხილა, ნურც მომერიდებით და ნურც შემიძლებოთ! რაშია საქმე?

ვარსკენის ეს თითქოსდა გაუგებარი მოქმედება, უეპევილია, ისნება იმით, რომ მისთვის ქრისტიანობის უარყოფა, ეტყობა, იყო მხოლოდ პოლიტიკური ქმრი, პოლიტიკური და არა სარწმუნოებრივი მიზნებით ნაკარისხვი. როგორც ჩანს, ვარსკენმა სწორედ იმისთვის დაიბარა თავისთან ხუცესები, რომ აეხსნა, ან ეგრძნობინებინა მათვის საქმის ნამდვილი ვითარება და ეჩვენები-

ნა, რომ, მიუხედავად მის მიერ მაზღვანობის გარეგნული აღიარებისა, შესინა ნამდგრილი დამოკიდებულება ეკლესიასთან არ იცვლებოდა. ეტყობა, ქვემდებნები ქვემა მიაღწია თავის მიზანს და დააჯერა სუცესები თავის გულშრფებისაში. სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა, როგორ დათანხმდნენ ქრისტიანი მღვდლები მოციქულებად წასულიყვნენ შუშანიქთან, რათა იგი დაბრუნებოდა თავის გამაზღვანებულ ქმარს.

სხვათა შორის, ამ ნაწყვეტში ყურადღებას იქცევს სუცესთა თამამი პასუხიც — „შენი თავიც დაღუპე და ჩვენც დავღვლუპეო“, საიდანაც ჩანს, რომ ისინი საქმაოდ თავისუფლად ელაპარაკებოდნენ ვარსკენს და არც შიში ჰქონიათ მისი.

მაგრამ, რაც მთავარია, მოტანილი ადგილი გვიჩენებს, რომ ვარსკენი სრულებითაც არ ყოფილა ქრისტიანობის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი. ეს კი სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენს მას და არა ისე, როგორც განკუთვნილი იყო მისთვის უანრის კანონებთ. როგორც ჩანს, ანტონი მშვენიერად ხვდება ყოველივე ამას. ტექსტის არასასურველი გავების თავიღან ასაცილებლად, მას გამოუტოვებია ციტირებული ადგილი და მოკლედ ამბობს: „მისადა მისდა ვასქენ კაცთა სამღადელოთა, და შესწორალნა მათ მიერ სუსანნასა მიმართ სანატრელისა“ (S—1272, გვ. 153) და შემდეგ როგორც იაკობთან.

სუცესთა მოციქულობას შედეგი არ მოჰყოლია, შუშანიკი სასახლეში არ დაბრუნდა. მაშინ ვარსკენმა მასთან გაგზავნა თავისი ძმა, რძალი და სასახლის ეპისკოპოსი (!). იყობი გვიამბობს: „და ვითარ მიიჩინეს და შევიდეს წინაშე დედოფლისა და მრავალ სა და სა კე რე ბე ლ ს ა ს ი ტ უ ც ა ს ა ე ტ-ყ თ დ ე ს მას, მაშინ წმიდამან შუშანიკ ჰრეუა მათ: „კაცნ ბრძენნო, თქუნ კეთილ დ ი ტ უ ც თ, გარნა ნუ დავიჩერების, თუმცა მე მისა ცოლად-და ვიყავ. მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჰეშმარიტი აღიაროს, და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად?...“ (15. 18—23). აქ ყურადღებას იქცევს ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები: ჯოვიკი, მისი ცოლი და, რაც განსაკუთრებით მინშვენელოვანია, ეპისკოპოსი აფოცი პოლუბენ „მრავალ დასაჯერებელ სიტყვას“ რათა შუშანიკი დაბრუნნონ ქრისტეს უარ-მყოფელ ვარსკენთან! მაშასადამე, მათ მართლაც ჰქონდათ სათქმელი რაღაც, რაც სულ სხვაგვარად სსნიდა ვარსკენის მოქმედებას. აკი თვით შუშანიკიც აღსატურებს ამას: „კაცნ ბრძენნო, თქუნ კეთილად იტყვათ“ო. ანტონთან ეს ადგილი ასეა: „მისრული დაბად, სადა იყოფოდა წმიდა იგი, შევიდეს წინაშე მისსა, და უწყებულ ჰყუცს სიტყუათა მრავ ვასქენისთა. მშემნელმან მათმან ჩეგვალმან ქრისტესმან მიუგო წყნარად: „ჭ კაცნ ბრძენნო, ვჰვნებდ, ვითარმედ მოაქციოთ იგი ჩემდა აღსარებითა ჰეშმარიტისა ღმრთისათა, გარნა მაიძულებთ მე მოქცევად მისდა?“ (S—1272, გვ. 154—155) და შემდეგ როგორც იაკობთან. როგორც ხედავთ, ანტონს ორივე შემთხვევაში გამოუტოვებია სწორედ ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები, რომლებიც ისევ გვიჩვენებენ, რომ ვარსკენის გამაზღვანებას რაღაცა გამართლება ექენებოდა და თვით მღვდელმსახურთა მხრივაც კი. საინტერესოა, რომ ანტონს ოსტატურად ჩაურთავს მხოლოდ ერთი სიტყვა „წყნარად“ (შუშანიკმა მიუგო წყნარად), რომელიც ხაზს უსეამს შუშანიკის სათონებასა და თავდაშერილობას.

ასეთივე სიფაქიზით აქვს ჩამატებული ანტონს, ცოტა ქვემოთ, ერთი ფრაზა. შუშანიკი ეუბნება ეპისკოპოსს: „ვითარ მეტყვ მე დაჯერებად ჩემდა,



ამეთუ მან ლმერთი უვარ ყო?!” (16. 3—4). ანტონთან ვკითხულობთ: უშავებელი თარმე უკუცი მაწუშე შეერთებად მისთანა, რომელმანცა უარპყო ლმკონის კეშანიტი”, რომლისა მცსმენელი და მნა ეპისკოპოსი იგი” (S—1272, გვ. 155). როგორც ვხედავთ, ანტონმა მთლად შეცვალა ეს ეპიზოდი: თუ იაკობის მიხედვით აფოცი „მრავალ დასაჯერებელ სიტყუას უტყოდა“ შუშანიქს, ანტონით შუშანიქმა ისე შეარცხვინა იგი, რომ გააჩუმა კიდევაც.

განსაკუთრებით სინტერესოა სერობის ეპიზოდი, რომელიც ცნოტრალურია „წამებაში“. ამ დროს ხდება ვარსკენისა და შუშანიქის უშუალო შეგახება და ამის შემდეგ განსაკუთრებით მწვავდება ურთიერთობა მათ შორის.

იაკობი გვამგობს, რომ შუშანიქის სასახლეში დაბრუნების ორი დღის შემდეგ ვარსკენიც ბრუნდება სასახლეში (ცტყობა, ის სადაც სხვაგან იყო წასული) და გადაწყვეტს ერთად ჭამონ პური მან, შუშანიქმა, ჭოჭიერი და ჭოჭიერი ცოლმა, ვტყობა, ვარსკენს შუშანიქთან შერიგება სურს. ჭოჭიერის ცოლი მოუყვანიათ იმისთვის, რათა შუშანიქიც მოსულიყო (“და არავამ შემწუხდა, მოუწოდეს ცოლსა ჭოჭიერისა და ინებეს ერთად პურია ჭამამ, რაათამცა მოყვანეს წმიდად შუშანიქცა” (16. 23—24). ჭოჭიერი და მის ცოლს დიდი თხოვნით და ძალდატანებითაც (“ვითარცა მეტად აძულეს და ძლით”) მოუყვანიათ შუშანიქიც, რომელსაც „ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდა უვლნეს“. მაგრამ შუშანიქმა „გვემოს არარასა იხილა“. მაშინ „ცოლმან ჭოჭიერისან მიართუა ლუნ ჭიქითა და აძულებდა მას, რაათამცა იგი ხოლო შესუა. პრეუა მას წმიდამან შუშანიქ რისხეით: „ოდეს ყოფილ ასე აქამიდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭრი!“ და განყარა კელი და ჭიქია იგი პირსა შეალეწა და ლუნომ იგი დაითხია“ (17. 2—6).

წარმოიდგინონ ახლა რა მოხდა: შუშანიქა ერთი კვრაა თუ მეტი არა, შიმშილობს. იგი საჭმელს არ ეკარება, როგორც ჩას, დესპანისგან ვარსკენის ვანდგომის ამბის გაგების დღიდან. ჭოჭიერი და მისი ცოლი თანაუგრძნობენ მას. ჭოჭიერი იტირებს კიდევაც მისი სიმტკიცის შემყურე. ვახშობისას შუშანიქი არაფრეს არ მიეკარება. ჭოჭიერის ცოლი ამდენი წნის ნაშიმშილევ შუშანიქს ღვინოს მიართმევს ჭიქით და სთხოვს, ეს მაინც დალიოს. შუშანიქი ღვინიან ჭიქას სახეში შეალეწავს, თან თავისი განრისხების მიზეზად ასახელებს ძევლი ჩვეულების, კაცებისა და ქალების ცალ-ცალკე ჭამის წესის დარღვევას. სხვათა შორის, როგორც შემდგომში გამოჩნდება, შუშანიქი სრულებითაც არ იყო ქალსა და კაცს შორის უთანასწორობის მომხრე. სიყვალის წინ იგი იმედით ილაპარაკებს ღმრთის სამსჯავროზე, „სადა არა არს ჩემევად მამაკაცისა და დედაკაცისა“ (26. 130—31). შუშანიქის ქცევა, ჩბილად რომ ვთქვათ, სრულიად მოულოდნებლია და ყოვლად გუმართლებელი ჩვეულებრივი ადამიანისგანაც კი, წმინდანზე რომ აღარა ვთქვათ რა!

ანტონი ამს შშენიგრად ხედავს და მა ამბავს ასე გაღმოგვცემს: ჭოჭიერი და მისი ცოლი ევედრენ შუშანიქს არამ ეჭამა, მაგრამ ის არაფრეს არ გაეკარს. მაშინ „მიართუა უკუცი ცოლმან ჭოჭიერისან ლუნომ წმიდას სასმელითა ჭიქისათა, და ევედრებოდა სმად, და უფროსდა აძულებდა. რომლისათვის მიუგო წმიდამან რისხეთ: არა არს ჩუმულებად ჩუენდა დედათა ჭამათა თანა. და ვითარ იგი განამჩავლა მისდა იძულებად იგი დედაკაცმან მან, მიუღო წმიდამან კელთაგან ჭიქა იგი, და შემუსრა განსრევით“ (S—1272, გვ. 157).



ରୁଗରୁକ୍ତ କ୍ଷେତ୍ରରେ, ଯାହାରେ ତାଙ୍କମାଦ, ଶୁଶ୍ରାନ୍ତିରୀ ରୀସକ୍ରେତ ଉତ୍କର୍ଷ ଅନୁଭବରେ
ଜ୍ଞାପିଲୁ ପ୍ରଳୟ ହେଉଥିବିଲୁ ଏବଂ ମାନ୍ଦିନ୍ତି ଶ୍ରେଣ୍ଟିର କିମିତି ପାଇଁ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ
ବ୍ୟକ୍ତିର ମନେ ବ୍ୟକ୍ତିର ମନେ ଏବଂ ମନେ ପ୍ରଳୟ ହେଉଥିବାକୁ ଶୁଶ୍ରାନ୍ତିରୀ ପାଇଁ
ମେହିକା ଜ୍ଞାପିଲୁ ପ୍ରଳୟ ହେଉଥିବାକୁ ମନେ ପାଇଁ, ଶୁଶ୍ରାନ୍ତିରୀ ରୀସକ୍ରେତ ଶ୍ରେଣ୍ଟିର
ମନେ ଶ୍ରେଣ୍ଟିର ମନେ ଏବଂ ମନେ ପ୍ରଳୟ ହେଉଥିବାକୁ ଶୁଶ୍ରାନ୍ତିରୀ ମନେ
ଶ୍ରେଣ୍ଟିର ମନେ ଏବଂ ମନେ ପ୍ରଳୟ ହେଉଥିବାକୁ ଶୁଶ୍ରାନ୍ତିରୀ ମନେ
ଶୁଶ୍ରାନ୍ତିରୀ ମନେ ଏବଂ ମନେ ପ୍ରଳୟ ହେଉଥିବାକୁ ଶୁଶ୍ରାନ୍ତିରୀ ମନେ

ანტიოქიის ეკულ გადმოცემაში შეუძლიერ ქცევა არსებოთად არის. შეცელილი, ძალზე დ შეტყინებულ-შელამაზე ბულია. აღარავითარი კვალი აღარად დარჩენილი მისი გაუმართლებელი თავშეუკავებლობისაგან.

შემდეგ იყობი ლწერს, როგორ გვემა შუშანიე მისი საქციელით გან-
რისებულმა ვარსკენმა. ეს ამავი ლწერილი აქვს ანტონსაც, ოღონდ, რაღ-
განც შუშანიეს ქცევა სხვადასხვანარიალა გაღმოცემული იყობთან და ან-
ტონთან, ცხადია, ვარსკენის საპასუხო მოქმედებაც სხვადასხვანაირად გამოი-
ყრება. ანტონთან იგი ბევრად შფრო გამუშებულია.

შუშანიკის გვემა ანტონ ზუსტად ისევე აქვს გამოლცემული, როგორც იყკბეს, გამოუტოვებია მხოლოდ ერთი ფრაზა, რაც ძალიან საინტერესოდ გამოიყურება. შუშანიკის გვემის აღწერას იყობი ასე ამთავრებს: „და იგი-ნებდა ვარსკენ თესლტომსა მისა და სახლისა მარჯრებელად სახელსცებდა მას“ (17. 14—15). ე. ი. ვარსკენს უგინებია შუშანიკის თესლტომი, ანუ წინაპრები და, ალბათ, ხალხი, სხერთოდ სომხობა. შუშანიკის ცემის აღწერაში ანტონს მხოლოდ ეს ფრაზა აქვს გამოტოვებული. რათომ?

კრემუნდებით, რომ ანტონი საერთოდ ცდილობდა გამჭვებინა ვარსექნის სახე. მაგრამ ამ შემთხვევაში მან, თავისი ღროის გამოჩენილმა საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, გასაოცარი გამჭრიახობა და სწორედ რომ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი შილგომა გამოამჟღავნა. ჩანს, ანტონი არ უნდოდა ვარსექნის მოქმედებისათვის ეროვნული ელევარი მიეცა და სწორედ ამიტომაც გამოტოვა ფრაზა შუშანიკის „თესლ-ტომის“ გინებაზე.

ერთი პატარა დეტალიც ანტონის მიერ გამოტოვებულ ფრაზაში არის ასეთი სიტყვებიც — ვარსკენი შუშანიკს „სახლისა მაოქრებელად სახელსდებდათ“. ანტონი ამ სიტყვებსაც გამოტოვებს თესლ-ტომის გინებასთან ერთად. შემთხვევითია, თუ არა ეს? ვოიქტომო, არა. ცოტა აღრე „სახლზე“ უკვე იყო ლაპარაკი. ვარსკენისგან გაგზავნილი ჭოკიდ ევედრება შუშანიკს „დაა ჩუ-ენი ხარ შენ, ნუ წარსწყმედ სახლსა ამას სადედოფლოსა“ (16.5). ანტონი ერთი შეხედვით შეუმჩნევლად, მაგრამ სინამდვილეში არსებოთად ასწორებს ამ აღილს: „საყურადღელო სძალო, და ამ ჩემო, ნუ წარსწყმედ თავსა შენსა პალატისავან შენისა სამეუფლოსა“ (S—1272, გვ. 155. სხვათა შორის, „შუ-შენიკის წამების“ ყველა ნელნაწერში, უკეცლესის გარდა, „სახლსა ამას სა-დედოფლოსა“—ს ნაცვლად არის „სახლსა ამას სამეუფლოსა“, ან „სამეუფლოსა“, რაც უფრო წწორი უნდა იყოს. თუ ამასაც გავითვალისწინებო, ანტონისეული ტექსტის სიახლოეს იაკობის ტექსტთან კიდევ უფრო მეტი იქნება). როგორც ვხედავთ, იაკობის თანახმად, შუშანიკი თავისი საქციელით წარწყმედს, ღუპავს სადედოფლო, სამეფო სახლს. ანტონით კი შუშანიკი თავის თავს წარწყმედს, განაშორებს, სამეფო პალატისაგან. „სახლის“ ღალაპეაზე ლაპარაკა კი-დევ ერთხელ. ვარსკენისავან მიგზავნილი ძუძუსმტე ეუბნება შუშანიკს: „ისმინდ ჩემი და ჩამოვედ ტაძრად, და ნუ ოჯგუბ სახლსა მას თუ იღწასა“ (24. 12—13).

ამ შემთხვევაშიც ეს ფრაზა გამოტოვებულია. ანტონი წერს: „ხოლო შემთხვევაშიც რულმან წილისად კამან მან, მრავალფერითა სიტყვთა იუბნა მისდა“ (S—1272, გვ. 168). ამრიგად, შუშანიკის მიერ სამეფო, ან სადედოფლო „სახლის“ „წარწყმედასა“, თუ „აოხრებაზე“ სამჯერ არის ნათქვამი. სამივეგორ ანტონი კვერცხს უცლის მის ჰდებორებას, ორგვი საერთოდ გმოტოვებს სათვალო აღგილს, ერთხელ კი ისე გადაეკეთებს, რომ შუშანიკის მიერ სახლის წარწყმედა საესებით იყრება. როგორც ჩანს, ანტონს, აქ „სახლი“ ესმის, და სავსებით სამართლიანდ, როგორც „სახლი იგი სამეუფო“, ე. ს. სამეფო სასახლე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ანტონს სამეფო სასახლის წარწყმედა-დაღუპეა ანტისახლმწიფოებრივ მოქმედებად მიაჩნია და ამიტომაც ცდილობს შეარბილოს შუშანიკის მოქმედების, ასე ვთქვათ, ანტისახლმწიფოებრივი (თუ მკითხველს ასე მოეჩვენა) მხარე.

ნაცემი შუშანიკი ვარსკენის ბრძანებით სენაკში შეიყვანეს და მსახური მიუუნეს, რომ არავინ შესულიყო მის სანახავად. ცრთი მცირე დეტალიც: იაკობი ამბობს ვარსკენის ბრძანა შუშანიკის „კრძალულად“ დაცვაო, ანტონი წერს „სიმეაციოთო“, (S—1272, გვ. 158). მეორე დღეს, გათქნებისთანავე („ვითარცა ცისკარ ოდენ იყო“) ვარსკენია მოიკითხა შუშანიკი. მან ჰკითხა მსახურს, „წყლულებისა მისგან ვითარ არს?“ მსახურმა უპასუხა, ვერ გადარჩებაო. მაშინ ვარსკენი შესულა შუშანიკითან, უნახის იგი, „და დაუკვრდა დიდალი იგი სიმივნე მისი“. ჩანს, ვარსკენისთვის მოულოდნელი ყოფილა შუშანიკის მდგომარეობა. მან აქრძალა შუშანიკითან მნახველების შესვლა: „ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა“—(18.2). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვარსკენს შეტკევა კიდევაც თავისი ნამოქმედარისა და არ სურდა სხვასაც ენახა ნაცემი შუშენიკი. ცხადია, შეუსინკერ სანახად მისელა, მისი მდგომარეობით ვაკვირვება, თუ შეწუხება რამდენადმე არბილებს ვარსკენის სატრიკ მოქმედებას. ჩანს, ანტონს ეს არ მოსწომს. ამიტომ მთელი ეს ეპიზოდი ანტონს გამოიუტოვებია.

შემდეგ იაკობი აღწერს, როგორ მოინახულა მან შუშანიკი. იაკობს უთხოვია მცელისთვის: „მე ხოლო მარტო შემიტევე და ვიხილო წყლულება იგი მისი“. ხოლო მან მრჩეა მე: „ნუუკუ ცნას და მოქმედს მე“. და მე ვიჩეუ მას: „უბადრუკო, არა მისი განზრდილი ხარა? და თუცა მოგკლას შენ მისთვეს, რაა არს?“ (18. 4—8). უაღრესად საინტერესო დიალოგია. ირკვევა, რომ შუშანიკის მცელად ვარსკენს დაუყენებია შუშანიკისვე გაშრდილი კაცი, რომელიც იმდენად ყოფილა შუშანიკისგან დავალებული, რომ, იაკობის სიტყვით რომ ვთქვათ, სიცოცხლეც კი არ უნდა დაეშურებინა მისთვის. როგორ მოხდა ეს? ნუთუ ვარსკენშია არ იცოდა, ვის უყენებდა შუშანიკს დარაგად? უნდა ვიფიქროთ, რომ ვარსკენმა ეს საესებით შეგნებულად გააკეთა. ერთი მხრივ, მან ისტიბარი არ გაიტეხა და მკაცრად მოეპყრა შუშანიკს, მეორე მხრივ კი, დარაჭად დაუყენა კაცი, რომელიც ეცდებოლა შუშანიკის მდგომარეობა შეემსუბუქებინა. ასეც მოხდა: ბოლოსღაბოლოს მცელმა შეუშვა შუშანიკითან მისი მოძრვარი.

ეს ეპიზოდიც, ალბათ, როგორც ვარსკენის საქციელის შემამსუბუქებელი გარემოება, ანტონს გამოტოვებული აქვს.

იაკობი გადმოგვცემს, რომ ნაცემი შუშანიკისთვის მას უთქვამს: „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგ პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თვალთა შენთა შთაცუეულ არს, და სალბუნი და წამლი დაგდვა, რა მათ ა, ჰე, ღ ა მ ე

თუ განიკურნო!“ (18. 11—14). გამოტოვებულია ხაზგასმული სიტყვები ბი. როგორც ჩანს, ანტონს მიაჩნია, რომ ამ სიტყვებაში შეიძლება ეჭვი დაბა-დონ მექითხველში, თუ შუშანიკის განკურნება წამლებით ერთ ღამეში შეიძ-ლებოდა, გაზვიადებული ხომ არ არის მისი უწყალოდ ცემის ამბავით.

ქვემოთ იაკობი მშობს: „და მე ვისწრაფლი გამოსლვად“ შუშანიკისგა-ნი (18. 22). იაკობი ჩქარობდა გასვლას, რადგან, ალბათ, რომ ვარსკენი გაიგებდა მის ყოფნას შუშანიკით. ანტონი ხაზს უსვამს ამას და კი-დევ უფრო ცხადს ხდის იაკობის შიშის მიზეზს: „და მერმედა შიშითა მძღვ-რისათა მცირედ უამ მუნ დამზელი, გამოვიდა საპყრობილისაგან წმიდისა“ (S—1272, გვ. 159). ყურადღებს იქცევს ასეთი ნიუანსიც: იაკობით შუშა-ნიკი შეიყვანეს „სენაკში“ და დარაჯად მიუყენეს კაცი, რომელიც ორჯერ იხსენიება როგორც „მსახური“ და ერთხელ „მცველი“. ანტონით კი — შუშა-ნიკი შეიყვანეს „სახლსა მას მცირესა“, რომელსაც შემდევ იგი უწყოდებს „საპ-ყრობილეს“ (ორჯერ), მცველს კი „მონას“ და „მეპყრობილეს“.

მეტად საინტერესო ამბავია აღწერილი ცოტა ქვემოთ. შუშანიკისგან გა-რეთ გასასელელად გამზადებულ იაკობს შუშანიკი მიმართავს: „ხუცეს, მიუძ-ლუანოა სამეკაული ეს მისი? ნუუკუ ითხოვდეს, რამეთუ მე ამას ცხორებასა არღარად მეგვარებისა“. ხოლო მე ვარქუ: „ნუ რას ისწრაფი, იყოს შენ თანა“.

და ჩუღნ-ღა ამას განვიზრახვედით, მოვიდა ყრმად ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?!“ და მე ვარქუ, ვთოაჩმედ: „რავა გინებს?“ და მან მჩქუა: „უწყესს პირიახში“. და მე დამიკურდა, თუ რაცა-მე მიწესს ამას უამსა? და მივისწ-რავე და მივედ. და მან მჩქუა მე: „უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა. და ჩემი სამეკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს, — იპოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ ერთი გა ყო-ველივე, რაცა რა არს“. ხოლო მე მივედ და უთხარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხიარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა და ყოველივე მომიძ-ლუანა და მივართუ პიტიახშა. და მან მიიღო ჩემგან, ალიხილა, და იპოვა ყო-ველი გებულად. და კუალად თქუა: „მერმეცა იპოს ვინმე, რომელმან ესე შეიძიქოს“ (18. 23—19. 9).

მთელი ეს ადგილი ანტონს გადმოცემული აქვს ერთი ფრაზით: „მიუღო წმიდასა უკეთურმან ვასქენ სამეკაული სადელოფლონი“-ო (S—1272, გვ. 159).

რატომ შეამოკლა ანტონმა ეს ადგილი?

პირველ რიგში ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რა იგულისხმება შუშა-ნიკის სამეკაულში. საფიქრებელია, რომ ეს იყო საოჯახო ძვირფასეულობა, რომელიც მემკვიდრეობით გადაღიოდა პიტიახშის მეუღლიდან მეუღლეზე, დედოფლიდან დედოფალზე. შესაძლებელია, იგი ამავე ღრის იყო ხელისუფ-ლების ნიშანიც და არა მხოლოდ სამეკაული. შუშანიკის სიტყვით, ეს იყო ვარ-სქენის სამეკაული („სამეკაული ესე მისი“). ვარსქენიც მას „ჩემ სამეკაულს“ უწყოდებს და ამბობს „ჩემი სამეკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს“-ო. ანტონსაც ასე ესმის, „სამეკაული სადელოფლონი“-ო, ამბობს იგი.

ვნახოთ ასლა რა ირკვევა იაკობის ტექსტის ზემომოტანილი ადგილიდან:

1. შუშანიკს არაერთხელ ჰქონდა განკადებული, რომ იგი არ შეურიგ-დებოდა ვარსქენს: არ ეზიარებოდა „საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისთა“; რომ სიყვალი ერჩივნა მასთან შერიგებას; რომ იგი ოდარ იყო და არც რო-დისმე ისევ გახდებოდა ვარსქენის მეუღლე; რომ სასახლეში დაბრუნება-

მისთვის სასიკვდილოდ წასვლა იყო. ამას მოჰყვა შუშანიკისა და ვარსკენიკის შეგახება სერობაზე და შუშანიკის უწყალლოდ ცემა. და, აი, ყოველივე ამის შემდეგ შუშანიკი მაინც ეკითხება იაკობს, დაუბრუნოს თუ არა ვარსკენს სა-დელფილო სამეჯული, ხოლო როდესაც იაკობი პასუხობს, რა გერჩერებაა, ადვილად თანმიღება და იტოვებს მას. გმოდის, რომ შუშანიკის აღრინდელი განცხადებები არც თუ ისე მტკიცე ყოფილა, რომ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოოდ გადაწყვეტილი ვარსკენთან ურთიერთობის გაწყვეტა.

2. მკითხველმა იცის, რომ ვარსკენმა მკაცრი ბრძანება გასცა შუშანიკ-თან არავინ შესულიყო, მცველმა იაკობი დიდი ხევწნა-მუდარის შემდეგ შე-უშვა, ვარსკენმა რომ გამიგოს, მომკლავსო. თვით იაკობიც ვარსკენის შიშით ჩეარობს შუშანიკის ოთახიდან გარეთ გასვლას. ამ დროს იქ პირდაპირ მივა-ვარსკენისგან გაგზავნილი ყრმა, რომელიც კითხულობს იაკობი მანდ არისო? ირკვევა, რომ იაკობის შუშანიკოთან ყოფნის ამბავი არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა სასახლეში. ამავე დროს ჩანს, რომ ამის გამო არავინ არ დასჭილა. მაშასადამე, იაკობის მიერ დახატული ვითარება, თითქოს ვარსკე-ნის ცველა მსახური ძრწოდა მისი შიშით და თითქოს შუშანიკს დიდი სიმ-კაცრით ყარაულობდნენ, მნიშვნელოვნად გაზირადებული ყოფილა.

3. ზემოთ ნათქვამი იყო, თითქოს შაპმა ვარსკენს მეორე ცოლი შერთო. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ეს სწორი არ უნდა იყოს. იაკობის თანახმად, ვარ-სკენს უთქვამს, კიდევ მოიძებნება ისეთი, ვინც ამ სამკაულს მოიხმარსო.

როგორც ჩანს, ყოველივე ეს შეუძნინევია ანტონსაც და სწორედ ამის გა-მო ამოუგდია მას მთელი ეს ეპიზოდი.

რასაცირკელია, ანტონი ამას ტექსტის უბრალო შემოკლებისთვის არ აკეთებს: იგი იქვე უმატებს იმდენივეს (11 სტრიქონს), ოლონდ შუშანიკის ღვაწლის ქებით.

ზემოთ ვნახეთ, რომ ნაცემი შუშანიკი ვარსკენის ბრძანებით ცალკე სე-ნაში მოუთავსებიათ და მცველიც მიუჩენიათ. თვითონ ვარსკენი პონებთან საომრად წასასვლელად ემზადებოდა. იაკობი შოგვითხრობს: „და ვთარტკა მოიწინეს დიდნა იგი მარხვან, მივიღა ნეტარი იგი შუშანიკი მახლობელად წმიდას ეკლესიასა და იმია მცირც სენაკი და მუნ დაეყუდა. და იყო სენაკა მას მცირც სარკუმელი და დაყო იგი. და იყო იგი ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით.

ჰერქუა ვანშე პიტიაშვისა საკუთარმან მისმან, ვითარმედ: „ამათ წმი-დათა მარხვათა ნურას ეტყვ მას“.

და ვითარ მოიწია აღსებისა რამაბათი და მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან პონთაქასა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა. და აღდგა და მივიდა ეკლე-სიად...“ (19. 10—19).

სად იყო ვარსკენი, როდესაც შუშანიკი წავიდა სასახლიდნ? ვარსკე-ნის „საკუთარის“ სიტყვებიდან ჩანს, რომ დიდმარხების დასაწყისისას და შუ-შანიკის წასელისას ვარსკენი ჯერ კიდევ 'ცურტავში იყო. ვარსკენს მიუღია თავისი საკუთარის ჩევა და არაფერი უთქვამს შუშანიკისთვის, შემდეგ სა-ომრად წასულა. მხოლოდ ომიდან დაბრუნებულს, აღდგომის მეორე დღეს, მიუკითხავს შუშანიკისთვის. გმოდის, რომ სენაკი პატიმრობიდან და თავი-სი მცველისგან შუშანიკი საკმაოდ მაღლ განთავისუფლებულა და სასახლი-დაცაც თავისი სურვილით ვარსკენის ნებართვის გარეშე წასულა. მაშასადა-მე, შუშანიკი არც თუ ისეთი მკაცრი მეოვალურეობის ქვეშ ყოფილა.



ანტონი თავისებურად ასწორებს ამ ადგილს: „პპოვა უკუც წმიდამან ეჭირახაფა ვისუფლებდა საპყრობილისაგან, რამეთუ მთავარმან მან ვასქენ უღმირთმამდებისა განიშველრა რომელსამე ნათესავსა ზედა, და წმიდანიცა ორმეოცნ შემოსრულიყუნეს. მისრულმან წმიდამან სუსანნა მახლობელ ეკლესიისა, პპოვა სენა მცირედ და შევიდა, და მჯდომარებან მას შინა დაუდებით, მარხვთ, და ლოცუთ, და ყოვლითა კრძალულებითა წარვლო ყოველნი დღენი წმიდათა მარხუათანი.

ამათ შინა დასხურა მქედრობაცა, და ბრძოლა, და მთავარი ვასქენ სამთავროლ თვალ უკმინეცა, რომლისაცა გულსა პსთესვიდა ეშმაკი ქრისტიანიდან სუსანნასთვეს. ვინამცა დღესა მეორესა დიდისა დღესასწაულისა ცხოველსმყოფელისა აღდგომისა უფლისა ჩრდილისა იღსუ ქრისტესასა მივიღა ვასქენ ეკლესიად...“ (S—1272, გვ. 160).

ანტონი სპობს იმის ყოველგვარ ნიშანს, რომ შუშანიკი არც თუ ისე მეკაცად იყო დაცული სენაკში. იგი არა მარტო გამოტოვებს ვარსქენის საკუთარის სიტყვებს, საიდანაც ჩანს, რომ შუშანიკის სასახლიდან წასვლისას ვარსქენი ჯერ კადევ იქ იყო, არამედ თავის მხრივ უმატებს, შუშანიკმა იმიტომ მოიპოვა თავისუფლება, რომ ვარსქენი ოშში იყო წასულიო. შესაძლებელია, საკუთარის სიტყვები კიდევ იმიტომაცაა გამოტოვებული, რომ მკითხველს არ დარჩეს შთაბეჭდილება თითქოს შუშანიკს ბევრი თანამგრძნობი ჰყავდა.

ციხეში მოთავსებულ შუშანიკს ვარსქენმა მცველები მიუყენა. იაკობის თანახმად, ვარსქენს გაუზრთხილებია ისინი: „და ესრეთ ეტყოდა მათ: „გეტყა თქუენ, უკუეთ ვინმე შევიდეს მისა, მამაკაცი გინა დედაკაცი, იხილნეთ თავინ თქუენნი, და კოლნი და შევილნი და სახლნი თქუენნი, უბრალომცა ვარ, რაა გიყო თქუენ“ (21. 16—19).

ვარსქენი მეკაცად აფრთხილებს მცველებს, შუშანიკთან არავინ შეუშვათო, მაგრამ თანაც თითქოს ბოდიშობს, თუ ჩემს ბრძანებას დაარღვევთ, დაგსჯითო. აი, მე ვამიტორთხილებიხარ, და მერე ბრალი ნუ დამეცებაო. ანტონს გამოუტოვებია ეს ფრაზა და მოკლე აბბობს: „და ამცნო, რათა მოკლონ სიყმილითა, და არავინ შეუტევონ მუნ შესტლად“ (S—1272, გვ. 164). ჩანს, ანტონს არ უნდა, რომ მეითხელს დარჩეს შთაბეჭდილება, თითქოს ვარსქენსა და მის მსახურებს შორის უბრალო, ასე ვთქვათ, „დამოკრატიული“ ურთიერთობა ყოფილა, რაც, აგრეთვე, რამდენადმე შეარბილებდა ვარსქენის სახეს.

მესამე კვირას ვარსქენი მოიკითხავს შუშანიკს, „აქემომდე ცოცხალდა არსა საწყალობელი იგი?“ (21. 21—22). ანტონს გამოტოვებული იქვს სიტყვა „საწყალობელი“, რომელიც გვიჩვენებს, რომ ვარსქენს თითქოს ებრალებოდა კიდევაც შუშანიკი.

ციხეში იაკობის შუშანიკთან საუბრის ბოლოს ნათქვამია: „და ვიზმენ მისგან და წარვედ სწრაფით ვანად ჩემდა“ (22. 9—10). ისევე, როგორც ზემოთ განხილულ ერთ ადგილს, აქეც ანტონი ცდილობს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ იაკობი ჩეარობს ვარსქენის შიშით. ანტონი იმ შემთხვევაშიც ცოტაოდე ასხვაფერებს ტექსტს: იაკობი „შიშითა მძლავრისათა ვერ დაადგრა მყოვარ“-ო (S—1272, გვ. 165).

ანტონის ტენდენცია ცხადია შემდეგ შემთხვევაშიც: ვარსქენი დაემუქრა შუშანიკს, დაბრუნდი სასახლეში, თუ არა, „ჩირდ წარგვე შენ ანუ კარად კარაულითა“-ო (24. 2—3). ამაზე შუშანიკმა უპასუხა: „უბადოო და უგზ-



ლისტმო, ხოლო მე თუ კარად ანუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ კერძოდ გამოიყენებით თილსა რასმე შევემთხვეო და ბოროტსა მისა განვერე“. და გულსა ეტყოლტ პიტიაბში იგი სიტყვათა მათთვს (ვითარ-იგი პრეზუა მას, ვითარმედ: „ვინ უწყის, თუ კეთილსა რასმე მივემთხვეო“). ვითარმედ: „ნუუკუე მთავართაგან-სა ვისმე ეცოლოს“. და მიერთგან არღარვინ მიავლინა მისა. ხოლო წმიდად შუშანიკ ბოროტთა შათ გუემათა დათმენათათვს იტყოლდა, რამთამცა სათნო ეყო ღმერთსა“ (24. 3—10).

ვარსკენის მუქარას არ შეუშინებია შუშანიკი. იგი პასუხობს, იქნებ ამ ბოროტებას განვშორდე და იქ რამე კეთილი ვნახოო. რას გულისხმობდა შუ-შანიკი ვარსკენმა ეს ისე გაიგო, თითქოს შუშანიკს იმედი ჰქონდა იქ ვინმე მთავარს გაჰყებოლდა ცოლად. მაშასადამე, მყითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ შუშანიკს ჭრაც არ ჰქონდა საბოლოოდ ხელი აღებული აქვეყნიურ სიკეთეზე ზრუნვისაგან, რაც მისაგან მოულოდნელია. ჩანს, ამას გრძნობს თვეთ იაკობიც. მყითხველის ეკვების გასაქარწყლებლად იგი ამგვარად ხსნის შუშანიკის სიტყვებს: შუშანიკი ასე იმიტომ ამბობდა, რომ ვარსკენს იგი და-ეროვებინა ადგილზე, სადაც იგი მეტ წამებას განიცდიდა ღმერთისთვისო. როგორც ჩანს, ანტონს არასაკმარისად მიუჩნევია (და მას ჩვენც დავეთან-მებით ამაში) იაკობისეული ახსნა და მთლად გამოიტოვებია შუშანიკის პა-სუხიცა და ვარსკენის გაეგბაც ამ პასუხისა. მას მხოლოდ იაკობისეული ახ-სნა აქვს ცოტაოდენ განვითარებული: „მაგრა არა თავს ილუა წმიდამან ვი-თარცა ერთგულმან მკევდომან ქრისტემან გმირსული სახელისათვეს ქრის-ტესისა პყრობილებისაგან, და შეერთებად მსახურისა თანა ეშმაკთასა“ (S—1272, გვ. 168).

შემდეგ იაკობი აღწერს ვარსკენის ძუძუსმტეს მისვლას შუშანიკთან. რო-გორც უკვი იყო აღნიშნული, აქ ანტონს გამოტოვებული აქვს მისი სიტყვები სახლის ახხრების შესახებ. ვარსკენის მოთხოვნაზე დაბრუნდეს სასახლეში, შუშანიკი პასუხობს: „არქუ მას ულმრთოსა, ვითარმედ შენ მომქალ და მარქუ მე: ცოცხალითა ფერწითა არა გამოხვდე შენ მაგიერ ციხით. ხოლო აწ, უკუ-ეთუ შემძლებელ ხარ მკუდარსა აღდგინებად, პირველად დედად შენი აღად-გინე, რომელი ურდს დამარხულ არს, გარნა თუ მისა ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა შემძლებელ ხარ განვანებად, გარნა თრევით გან-მითრიო“ (24. 14—19). შუშანიკი ივონებს შემდეგს: როდესაც შუშანიკი ცი-ხეში შეპყავდათ, ვარსკენმა უთხრა მას, ცოცხალი ვეღარ გამოხვალ, თუ არ ოთხმა გამოგიტანოსო. ახლა შუშანიკი უთვლის ვარსკენს, შენ მე მომქალიო, მაგრამ თუ მკვდარის გაცოცხლება შეგიძლია, ჭერ დედაშენი გააცოცხლე, ურდს რომ არის დამარხულიო. ვარსკენის მკვდარი დელის ხსენებას უსიამო გრძნობას იწვევს. ანტონიც სწორებ ამ სიტყვებს გამოტოვებს წინადაღები-დან, რითაც არბილებს შუშანიკის უხეშად ნათქვამს. ანტონის თანახმად შუ-შანიკი პასუხობს: „ესრეთ არქუ ულრმთოსა უფალსა შენსა ვითარმედ შენ უკუ მომქალ მე, და მეტდარსა ესრეთ მარქუ, ვერლარა გამოხვდე ციხით ცო-ცხალი ფერწითა, და აწ ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად მკუდართა, განაღა თრევით განმათრიო“ (S—1272, 168).

შუშანიკის სანახვად ჭოჭიესა და მისი ოჭიხის მისვლისას იაკობი ამბობს, ჭოჭიე „მძლავრ შე-ხოლო-ვიდა“-ო (26. 6—7) შუშანიკთან. ისევე როგორც ზემოთ განხილულ რამდენიმე ადგილას, ანტონი აქაც ცდილობს ცხადი გახა-დოს მყითხველისთვის, თუ რატომ შევიდა ჭოჭიე. „მძლავრ“. „შევიდა

ანტონის ტექსტში კიდევ მოიძებნება ისეთი ადგილები, სადაც ნათლად ჩანს მისი ტენდენცია შეალიაზოს შეუძლიერებელი სახე და უფრო უარყოფითად დახატოს ვარსკენისა. მაგრამ, ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითებიც სავსებით საქმარისია.

ვფიქრობთ, განხილული ადგილებიდან გამოჩნდა, რაოდენ ცოცხალი, რეალური ხსიათები და სიტუაციები აქვს დაბატული იაკობს და რაოდენ არ შეესაბამებიან ისინი ორთოდოქსალურ, თუ შეიძლება ასე ითქვას, აგიოგრაფიულ ნაწარმოებს. შეუმჩნეველი არ დარჩენია ისინ ანტონსაც, რომელსაც კველა ამგვარი ადგილი გაუსწორებია თავისი მიზნის შესაბამისად. ანტონის ნამუშევრის შესწავლა გვიჩვენებს, რომ იგი (ანტონი) გასაოცარი დაკვირვებით კითხულობს ტექსტს, კარგად ესმის და უფიქრდება ყოველი სიტყვის მნიშვნელობას¹⁹. ანტონის მიერ შეტანილ ყოველ ცვლილებას რაღაცა მიზანი აქვს, შემთხვევით და მოუფიქრდებად იგი არაფერს არ აქვთებს. ანტონი წარმოვებიდან როგორც უარტესად დაკვირვებული და პევიანი რედაქტორი, დიდად ნიჭიერი და განათლებული ლიტერატორი. ამასთან ერთად, სწორედ ის ცვლილებები, რომელიც შეუტანია ანტონს, რათა აგიოგრაფიული უანრის ფარგლებში მოქმედია იაკობის თხზულება, გვიჩვენებს, რაოდენ სცილდება ეს უკანასკნელი აღნიშნულ უანრს და რაოდენ ჭეშმარიტად მაღალი ლიტერატურული ღირსებები აქვს გას.

Н. С. ДЖАНАШИА

«МУЧЕНИЧЕСТВО ШУШАНИК» В РЕДАКЦИИ АНТОНА БАГРАТИОНИ

(Резюме)

«Мученичество Шушаник» Якова Цуртавели (V в.) является не только древнейшим дошедшим до нас памятником грузинской литературы, но и замечательным художественным произведением. Хотя оно было написано как агиографическое произведение, но реалистичность характеров действующих лиц, жизненность описанных ситуаций выводят его за узкие границы этого жанра. Можно сказать, что факти-

¹⁹ მხოლოდ ორთხე შემთხვევას ვამჩნევთ ისეთს, როდესაც ანტონს სწორად ვერ ასუგა ტექსტი. ორთხე შემთხვევაში შესაძლებელია დამაშვავ იყოს ამა თვით ანტონი, არამედ ის ხელნაწერი, რომელიც მას ხელთ ჰქონდა. ი ა კ ი ბ ი გვიამბობს: ვარსკენი უთვლის სასახლიდან წასულ შეუძლიერებელი შეუძლიერებელი სახე და... სხუად წარსრულ ხარ“. შეუძლიერებელი პასუხობს: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემკა დავამწე, ხოლო შამანან შეგნიან აღმართნა სამარტვლენი და ეკლესიანი აღმშენია...“ (15. 1—6). ანტონის თანხმად კი შეუძლიერებელი პასუხობს: „მე უკეთ აღმემართე ხატი შენი, და მევე დავამწე, ამაღ რომელ შამანან შეგნიან აღადგინა სამარტვლენი წმიდათანი და აღაშენნა წმიდანი ეკლესიანი...“ (S—1272, გვ. 153—154). აშეარა, რომ ანტონისული გაგება მცდარია შეუძლიერებელი ვარსკენის შეუძლიერებელი შეუძლიერებელი გაგება და მევე დავამწეო. მეორეგან ი ა კ ი ბ ი ვადმოგვეტმს, რომ სასახლეში დაბრუნებულ შეუძლიერებელი თან წაულია „ეკანგველშ თუს და წმიდათა მოწამეთანი“ (S—1272, გვ. 156), რაც აგრეთვე, შეცდომაა, აღათ, გრაფიულ ნიაღავშე წარმომდგრა.



чески «Мученичество Шушаник» является реалистическим произведением. Следует думать, что это обстоятельство снижало его ценность как душеспасительного сочинения, что и вызвало необходимость переработки текста для того, чтобы сделать его более подходящим для церковных целей. Именно такой переработкой является редакция, сделанная выдающимся ученым, писателем и церковным деятелем XVIII в. католикосом Антоном Багратиони (Антон I).

В редакции Антона текст Якова претерпел существенные изменения. Антон дополнил его сведениями о родителях Шушаник, об ее воспитании, о наказании постигшем Варскена после мученичества Шушаник, включил в него цитаты из Библии, собственные рассуждения дидактического характера. Антон переработал образы главных действующих лиц — Шушаник и Варскена. В его редакции они превратились в типичных персонажей житийной литературы: Образ Шушаник — воплощение христианской добродетели, а Варскен превратился в типичного для агиографического жанра отрицательного персонажа — воплощение зла.

Сравнение редакции Антона с текстом Якова еще нагляднее показывает замечательные литературные достоинства второго. В то же время сам Антон предстает перед нами как широкообразованный и способный литератор, исключительно наблюдательный и вдумчивый редактор.

ლილი ქშთათილაძი

დავით რექტორის მუზიკი ანთოლოგია 1821—1823 წწ.

ჩვენამდე დიდი რაოდენობით მოღწეულ ლექსთა კრებულების ნუსხები ერთგვარობას არ ამჟავნებენ არც მასალის სისრულითა და მისი გადმიცემის სისწორით, არც ავტორთა შერჩევითა და არც მათზე მითითების სიზუსტით. ასეთი კრებულები დაცულია სხვადასხვა სიძველეთსაცავებში, როგორც საქართველოში, უმთავრესად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში, ასევე საქართველოს გარეთ, მაგალითად, ლენინგრადის სალიკიონ-შეჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებასა და აღმოსავლეთმიწოდნების ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში.

კრებულები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ავტორთა თხელებებს, სხვადასხვა დროის — XVIII—XIX საუკუნეებისაა. მათში მოთავსებული მასალა ზოგ შემთხვევაში ზეპირად მოსმენილის საფუძველზე ჩაწერილი, ხშირად კი ლექსებისა და სიმღერების მოყვარულობაგან შეკრებილი და გადაწერილი. ცხადია, ლექსთა კრებულების გამრავლებაზე ზრუნავდნენ არა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული კტევგორიის ადამიანები, არამედ ისინი, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ, რათა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა შენახულიყო და არ დაპერგოდა მომავალ თაობებს.

ცალკეული პოეტების ლექსების გამოცემა მოგვიანებით განხორციელდა, მაგალითად: ალექსანდრე ჭავჭავაძისა პირველად დაბიბეჭდა 1881 წ., გრიგორ ორბელიანის — 1873 წ., ნიკოლოზ ბარათაშვილის — 1876 წ., ბესარიონ გაბა-შვილის — 1885 წ. (ზექარია ჭიჭინაძის გამოცემა). მხოლოდ ის გარემოება, რომ ბესიკის სამ გამოცემას¹ დართული ქვეს იშვიათი განყოფილება „სადავნი“, უკვე იმის მანაშენებელია, რომ ხელნაწერ კრებულებში ერთგვარობა არ არის დაცული. სხვადასხვა ნუსხა ერთსა და იმავე ლექსეს ხან ბესარიონ გაბაშვილს მიაწერს, ხან აღმასხან ბატონიშვილს. ზოგი მათგანის ავტორად ერთსა და იმავე ხელნაწერში გამოცხადებულია ბესიკიც, აღმასხანიცა და ლეონ ბატონიშვილიც². ალ. ჭავჭავაძის ლექსები მიეწერება სხვა პოეტებს, სხვებისა — ალექსანდრეს და ა. შ. ცველაზე მეტი არევ-დარევა მაინც ბესიკის სახელთანაა დაკავშირებული. ეს, აღბათ, იმითაა გამოწვეული, რომ იყი იყო XVIII საუკუნის ქართული პოეზიის მამამთავარი, მის ლექსებშე იზრდებოდნენ თაობები, მას ბაძავდნენ, ცდილობდნენ შეეხსიათ ბესიკისებურად, ემლერათ მის ხმაზე. ბესიკი ითვლებოდა მელექსეთბაშად. XVIII ს-ის ერთ-ერთი პოეტი წერდა:

¹ შეორე გამოცემა ს. გორგაძისა, 1912; III და და IV გამოცემა ალ. ბარაშიძისა და ვ. თოფურიასი, 1930, 1961 წწ.

² S-3723.

„...ბესარიონ შეღექვეთბაში ქებასა გვძლვნიდა იმგვარებს,
რუსთველისებრ ხმატებილობით არ აკლებდა არც ერთ გვარებს...“.

ამ ლექსის [ბესიეს ქებას] ავტორი ბესიეს მეღებესთ თავს, უფროსს უწოდებს, მის პანგებს რუსთველისას ადარებს და, ამასთანავე, მოუწოდებს თანამოქალაქეთ:

...ეგზის ქებანი, მისნი მყობანი, ჭერ-გვიცს ხლებანი,
მოედით ყოვლნო შემამეობანი...“³.

ალსანიშვილია ის ვარემოება, რომ ზოგიერთ მცირე მოცულობის კრებულში ლექსებთან შემთხვევლთა გვარები არ არს აღნიშნული. ჩვენის აზრით, ეს მდგომარეობა ნაწილობრივ აისნება იმითაც, რომ ასეთ კრებულთა შემდგენელი დაინტერესებულნი იყვნენ მხოლოდ სასიმღერო ლექსების ტექსტებითა და ხმით. მათი ჩაწერა უმეტესად უხდებოლათ ზეპირგადმოცემით, შესაძლოა სიმღერის დროსაც. რიგ კრებულში თხზულებათა ავტორები დასახელებულნი არიან, მაგრამ ზოგჯერ დაეჭვებით, ან არასწორად. როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვადასხვა ნუსხები ამ მხრივ სხვადასხვაობას ამჟღავნებნ. ეს ეხება უმეტეს შემთხვევებში იმ კრებულებს, რომლებიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, კერძო ხასიათისანი არიან. ამაში ვეღულისხმობათ შემდეგს: პოეზიის ან სიმღერების მოყვარულმა თავისთვის ჩაიწერა ის, რაც მოისმინა და მოეწონა, შექმნა საკითხავი რვეული ან წიგნი საყვარელი ლექსებისა. მაგრამ ჩვენ მოგვებოვება კრებულთა ისეთი ნუსხებიც, რომლებიც სპეციალურად არიან შედგენილნი. ისინი გარდა ზეპირი გადმოცემისა, უმთავრესად ემყარებიან სხვადასხვა ხელნაწერებს. ასეთი კრებულები ხელნაწერ ან თოლოგიებს წარმოადგენენ და მეტ-ნაკლები სისრულით ასახვენ ქართული სიტყვაზემული მშერლობის მემკვიდრეობას. ისინი იყვნენ და არიან წყარის XIX—XX საუკუნეებში განხორციელებული მეცნიერული გამოცემებისა, როგორც იცავა, მაგალითად, არჩილ მეფის, თეიმურაზ I და თეიმურაზ II, ვახტანგ VI, ბესიესა და სხვათა თხზულებანი.

ვიდრე ჩვენი თემის პირდაპირი საგნის განხილვას შევუდგებოდეთ, ეს კი დავით რექტორის სახელით ცნობილი ანთოლოგიაა (S—1511, 1512)⁴, გვინდა მოვიგონოთ თითქმის ამავე ხანის, XIX საუკუნის 20-იანი წლების ხელნაწერი ანთოლოგიის წინასიტყვაობა. მისი ავტორია გრიგორ იოანეს ძე ბაგრატიონი:

„მე, მეფის ძის ძე გრიგორ, დიდის გულსმოდგინებით ვეცადე, რომ შემეკრიბა ძუღლთაგან თქმული მუნასიბი ანუ სიმღერისა ლექსი, ანუ ზმანი, ანუ იამბიკონი, ანუ ოხუნჯობანი. რაიცა ძალმელუა, ვეცადე, ან ვის რა უთქუამს ერთმანეთისათვის ხუმრობა, ოხუნჯობა, მასხარაობა [შეკვრიბე], და თქვენცა გვევდრებით [ზე]კითხულ-მსმენელნო, თუ გაგონებით ანუ იცო-

³ ვორგი ლეონიძე თანამედროვე პოეტის მიერ დაწერილ ამ ლექსს [ბესიეს ქებას]. მნიშვნელოვან ფაქტად მიიჩნევდა ბესიეს დასახასიათებლად და იგი მას განიხილავდა როგორც ანონიმ პოეტისაგან შეთხულს (გ. ლეონიძე, ბესიე, დაბალებიდან 200 წლის ვაზო, 1953, გვ. 100). «ბესიეს ქებას» ავტორია სოლომონ I-ის შვილიშვილი გოგია ბატონშვილი (იხ. ლილი ქუთათელაძე, ბესიეს ზოგიერთი „სადავო“ ლექსის ავტორისთვის, „მნიათობა“, 1958, III, გვ. 113—125).

⁴ შინაარსი იხ. წიგნში „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, კოლექცია S, ტ. II, ვ. მეტრეველის რედაქციით, აღმწერი მ. შანიძე. 1961, გვ. 251—295.

მართვის მინისტრის ბრძანებულება

დედ ლექსნი, ანუ ზმანი, ანუ ოხუნგობა ჩასწეროთ წიგნისა ამას შინა, მისამართის არა დაეკარგოსთ ქართულთა ენა და ლექსის ი ანუ ხუმრობა თვისი; ვინაღან ჩამოთხესლდნენ ქუშყანასა ჩუცნესა უცხო თესლინი, და უცხო თესლ-თა მათ პნევავსთ ახოცა ჩუცნისა მშვენიერისა და ტკბილ-მოხუმარისა ქართულთა სიტყვისა. გინათვან იქნება წიგნსა შინა შთა წერილი, ამისთვის არღო შესაძლებელ არს დაკარგუად ლექსისა, გინა ხუმრობისა, გინა ოხუნგობისა. ამის გამო გთხოვთ გულსმონდგინებით, რათა არა უარბჟყოთ მოხსენება ჩემი და ინებით შარწერა, და უკეთუ ენებოთ... ვისგაცა იყოს ნათქუმი ანუ ნახუმარი, ანუ ნაოხუნგარი, გთხოვთ სახელიცა ამის მოიხსენოთ, ვითარცა არს წიგნისა ამას შინა შარწერილი" (H—2130, 4r).

ამ წინასიტყვაობაში ანუ მიმართვაში მკითხველისადმი გამომუღაენებულია გრიგოლ ბაგრატიონის მიზანი: შეიკრიბოს ქართული ლექსები, ზემობი, ხუმრობანი ანუ მოსწრებული თქმანი, ჩაწეროს ისინი, მკითხველმაც მიუმატოს გაგონილი, მიუწეროს მთხველისა თუ მოქმედის სახელი და როცა წიგნში ჩაწერება, აღარ დაიკარგება.

აქ უკვე თავისებურად დასაბუთებულია ანთოლოგის ტიპის კრებულების შედგენის საჭიროება. მართალია, ამგვარ წინასიტყვაობას ვერ ვპოულობთ დავით რექტორისეულ ანთოლოგიაში, მაგრამ, სანაცვლოდ, მას აქვთ ანდერძი, რომელშიაც ნაწილობრივ ვეცნობით დავითისავან ჩატარებული მუშაობის ხასიათს. ამ ანდერძს განვიხილავთ ქვემოთ.

დავით რექტორისეული ანთოლოგია ორ წიგნადაა შეკრული. ერთში მოქცეულია ეპიკური თხზულებანი (S—1511), მეორეში კი — ლირიკული (S 1512).

დავითს არ ჰქონია განზრახული თავიდანვე ამ ნიშნით დაეყო ქართველმწერალთა თხზულებანი. მას უწერია გამით, როგორც შეხვედრია, როგორც ამა თუ იმ დედნად გამოყენებულ ნუსხას უკარნახია. ანთოლოგის ორ წიგნიდ გაყოფა მომხდარია მისი მთლიანად გადაწერის შემდგომ, თხზულებების უანრობრივი დაყოფის საფუძველზე. ამის ნათელ სურათს იძლევა როგორც გვერდების პაგინაციის დარღვევა, ასევე ტექსტების ნუმერაციისა. ანთოლოგის მასალის გადაღვილებისას არც ერთი მათგანი არ გადაუნომრავთ. მაგალითად, პირველ წიგნში, თეიმურაზ I თხზულებებს: წმიდანთა ქება ანბანედ თქმული („აღამ ვახსენოთ პირველას...“, გვ. 1—8, ტექსტი 1), შვილთა კრებათათვის თქმული („აღვალო პირი, სიბრძნე და ძეირი...“ გვ. 8—13, ტექ. 2). ანბანთქება („ნონ ალვისა, ბანო ბროლ-ვარდი...“ გვ. 13—14. ტექ. 3) მოხდევს 51-ე ნომრით აღრიცხული შავთელის „აბდულ-მესიანი“, რაც ამ წიგნის მასალაა. მაგრამ, რადგან ანთოლოგის ორ წიგნად გაყოფა ზემოთ აღნიშნული პრინციპით მომხდარია, მაშინ გაუგებარია მე-3 ნომრით გაშვებული ტექსტის („ანო ალვისა, ბანო ბროლ-ვარდი“) მოხვედრა ეპიკურ თხზულებათა შემცველ ნუსხაში. საქმე ისაა, რომ აღნიშნული ანბანთქება დაწერილია იმავე ფურცელზე, რომელზედაც მოთავსებულია დასასრული თხზულებისა „შვილთა კრებათათვის“. მაშინადან, თეიმურაზ I ანბანთქება ანთოლოგის პირველ წიგნში (ეპიკურ თხზულებათა კრებულში) დარჩენილა ტექნიკური მიზეზის

5 ქვემოთ S—1511-ს ვუწოდებთ პირველ წიგნს, S—1512-ს მეორეს.

გამო. გვერდების არა თანამიმდევრობა გახსახილებელ ანთოლოგიებში შემჩნეულია ულია ძველადაც, მაგრამ მიჩნეული „არვად“⁶ აღმოჩნდა ანთოლოგიის მასალის უანრობრივი პრინციპით დალაგების შედეგი.

ქვემოთ ვიძლევით გვერდების გადალაგების სურათს თხზულებათა ნაწილობრივი დასახელებით: ანთოლოგიის პირველ წიგნში გვ. 14 გვერდს მისდევს 94-ე. ამ ხარების შემცველ ფურცელებზე მოთავსებული ლექსები გადატანილია მეორე წიგნში. ესენია: ვახტანგ VI, ანბანთქება — მაჯმა („ასრე არის ოლგებული...“ გვ. 15—23, ტექსტი 4); თემიურაზ I, გრემის სასახლეზე („ლერთი ას თავი ყოველთ...“ გვ. 24—25, ტექ. 5); ვახტანგ VI, ანბანთქება („არა ბრძანებ გიორგ დედად...“ გვ. 25, ტექ. 6); ანბანთქება დედოფლის ქეთეონისა („ან — ამას ვსტირი, ბან ბნელსა მფლომი...“ გვ. 25—26, ტექ. 7); თემიურაზ II, შაირი („ჰემნა ლმერთმან ცანი, ქუშყანა...“ გვ. 26—31, ტექ. 8); ანბანთქება, ცხრა ლექსად ნათქვამი ღარიბი („ანო, აღვსთქვი ჩემი ლზინი...“ გვ. 31—32, ტექ. 9). ამავე ციკლის ანბანთქებანი: II („ანო, არ ვიცი რას სევდას...“ გვ. 33—34, ტექ. 10), III („ანო, ასსთა საქებარი...“ გვ. 35—36, ტექ. 11), IV („ანო, აპა ღრო და უძინი...“ გვ. 37—38, ტექ. 12), V („ანო, ალვა დანერგული...“ გვ. 39—40, ტექ. 13); სხვა ანბანთქება ფისტიკაურად თქმული („ან — ამას გეტყვი, ბან — ბაგე ტებილო...“ გვ. 41, ტექ. 14); თემიურაზ I, ანბანთქება ფისტიკაური („ალმართა მშნელმან ჯვარი გოლგოთას...“, გვ. 41—47, ტექ. 15); კვლავ ანბანთქება, ცხრა ლექსად ნათქვამი ღარიბი VI („ანო, აღმოგვარებანისა...“, გვ. 48—49, ტექ. 16) და ა. შ.

119 გვ.-ის შემდეგ კვლავ ნახტომია, მას მოსდევს გვერდი 382. აქედან 453 გვერდამდე დაცულია თანამიმდევრობა. აღნიშნულ გვერდებზე მოთავსებულია ორიმურაზ I-ის ოთხი თხზულება: „შამი-ფარვანიანი“ (ტექ. 211), „ვარდ-ბულბულიანი“ (ტექ. 212). „შედარება გაზაფხულისა და შემოღომისა“ (ტექ. 213), „ქება და მეობა ხელმწიფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარებანისა“ (ტექ. 215). მეხუთე, უკათ, რიგით მეოთხე (ტექ. 214) სეიმონ კობაძის ლექსია. ანთოლოგიის პირველ წიგნში მისი მოხვედრია კვლავ გაუგებრობას გამოიწვევდა მასალის გარევეული პრინციპით გადალაგების მხრივ, რომ საქმე არ გვქონდეს ზემოთ მოყვანილი მაგალითის ანალოგიურ შემთხვევასთან. ეს ლექსი მოთავსებულია იმავე ფურცელის V-ზე, რომლის რზეც დასრულებულია თემიურაზ I „შედარება გაზაფხულისა და შემოღომისა“. აქაც, ტექნიკურად ვერ მოხერხებულა კობაძის ლექსის მეორე წიგნში გადატანა.

მეორე წიგნში 556 გვერდს მოსდევს 859-ე გვერდი. ამ დიდი ხარების შემცველ მონაცემთხე მოთავსებული თხზულებანი პირველ წიგნშია გადაადგილებული, როგორც მისი მასალა. ესენია: 1. ქაიხოსრო ენდრონიკაშვილის „მიკნურთ ბადე“ (ტექ. 235); 2. [იესე ბარათშვილის] „ეშყიზონია“⁷ (ტექ. 236); 3. „ნარგიზოვანი“ (ტექ. 237). 4. ჩახრუხაძის „თამარიანი“ (ტექ. 238);

⁶ „...ზოგა ფურცელი არეულია შეორე შეკრული წიგნის ფურცელებთან... პეტრე უშინაშევილი, 1887 წ.“ (იხ. S.—1511, 1512-ის პასპორტი შედგენილია პ. უმიკაშვილის ხელით, მოთავსებული საცავ ფურცელზე).

⁷ „ეშყიზონის“ აღტორბის შესახებ იხ. გ. მიქა ა. ე., იესე ბარათშვილი, „ძველი ქართული მწერლობის საკოთხები“, კრებული, II, 1964.



5. თეიმურაზ I „ქეთევან დედოფლის წამება“ (ტექ. 239); 6. „სასწაული გარმოშამისა წმიდა გიორგისა“ (ტექ. 240); 7. „ცხოვრება და მოქალაქობა ალექსი კაცისა ღვთისა, ახლად შაირად გარდათარგმნილი... სააჯის იოსებ ტფილელისაგან“ (ტექ. 241); 8. „ქება და წამება წა მარინასი, თემული შაირად“ (ტექ. 242); 9. „ლეილ-მაგნუნიანი“, თეიმურაზ I მიერ სპარსულიდან გადმოღებული... (ტექ. 243); 10. „იოსებ-ზილინანიანი“, თეიმურაზ I მიერ სპარსულიდან გადმოღებული (ტექ. 244). 859—862 გვერდები დაწერლად ყოფილა გაშვებული. პირველ მთაგანზე გვიან შეუტანიათ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ოში საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დალესტნისა და ჩეჩენთა, წელსა 1844-სა... „ძრწოდე კავკასიონ...“

863—1024 გვერდებზე დაწერილი ლექსები: ბესიკის, ოლ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, თექლა ბატონიშვილის, გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილის, პეტრე ლარაძისა და სხვათა, მეორე წიგნშია დატოვებული, ხოლო 1026—1174 გვერდები პირველ წიგნშია შესული, ვინიდან მასზე მოთავსებული თხზულებანი ეპიკურ თხზულებათა კრებულს განეცუონება. ესენია: 1. ბესიკის „რძალ-დედამთილიანი“ (ტექ. 304) და 2. იაკობ შემოქმედელის „მაპმადიანთ და ქრისტიანეთ გაბაასება“ (ტექ. 307). ტექსტი 305 ისევ არ არის შესაბამის წიგნში მოქცეული. იგი წარმოადგენს მზეპაბუკ ორბელიანის ლექსად დაწერილ წერილს დედოფლის დის ანასტასიასადმი და ამ უკანასანერლის ბასუს მზეპაბუკთან. გამართლება ისევ და ისევ ზემოთ მოტანილ მაგალითთა ანალოგიურია: ანნას პასუხი დაწერილია იმ ფურცლებზე, რომლის წ-ზეც იწყება თეიმურაზ II „ხილთა ქება“.

ამრიგად, დავით რექტორის მიერ თანამიმდევრულად დანომრილ ტექსტებსა და გვერდებს, მასალის უანრობრივი გადალავების გამო, ორ წიგნად გაყოფა და აღრიცხვის არევ-დარევა გამოუწვევია.

დავით რექტორი „დიდ ანთოლოგიზე“ მუშაობას შეუდგა გიორგი ევნატეს ძე თუმანიშვილის დავალებით. ამაზე მიგვითოვებს მისიერ ანდერძი:

„მისმა ბრყინუალებამ თავიდან გიორგი ეგნატის ძემან თუმანოვმან და სტატისკის სოვეტინიშვილმან და კავალერმან მიბრძან სხვათა და სხვათა მეშაირე-თავან თემულისა ერთად შეკრება და აღწერა. მეცა ბრძანებისა მისისა მორჩილმან, შრომით და ღვაწლით შეკვერიბი, რომელიც ვპპოვე, და აქა ერთად შევკრიბე, და აღვსწერე; და ამას წიგნსაცა საძიებელი მე გუკეთე, პნენ-ზედ ციდრები დავპასხი. შეირის დაწყებისა სხვა არს და ფურცლის რიცხვი სხვა არს, აღვლ ჰპოებთ.

კეთილშობილი ალექსოვი ალექსის ძე, სიბრძნის მოყუარე და კახეთის სამეცნიერო დავით რეკტორი. თთუცსა ნოემბერსა 16, წელსა 1821, ქ' ს ფთ, ტფილისს“ (გვ. 997).

გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილს ვიცნობთ როგორც პოეტს. მისი სხვა-დასხვა ხმაზე თემული შაირები მოიპოვება XIX ს. ლექსთა კრებულების თითქმის ყველა ნუსხაში, ასც იმის მომასწავებელია, რომ იგი XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში საკმაოდ სახელმოხვე-ჭილია, როგორც სასიმღერო-სატრაფიალო ლექსების მთხველი. ამავე დროს, გ. თუმანიშვილი ყოფილა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის დიდად მოყვარული და თეით შემკრები პოეტურ ნაწარმოებთა.

გრიგოლ ორბელიანის ლექსში „ჭიანური“⁸ („ჭიანურო, მაღლად ლად დაუკარ“) უკანასკნელ სტროფში ვკითხულობთ:

„...მოცე ცუშაკო*, ბულბულად ქებულო,
ჩემს ჭიანურს ალგილი წალკოს ბოლო**,
ეგბ ენმებ მსოფეს: ვი გრიგოლ, საბრალო ხინკი, ხინკიო...“

ამ ლექსის ორი ადგილი: „მოცაკო“ და „წალკოს ბოლო“ კომენტირებულია სქოლიოში: პირველთან მიწერილია: „გიორგი თუმანვი ეგნატეს ძე“. მეორესთან — „წიგნია ლექსისა სახელით „წალკოტი მრავალყვავილოვანი“ (11r).

აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ თვით გრიგოლ ორბელიანი გ. ე. თუმანიშვილს თვლის ქებულ მომღერლად, შაირების მთქმელად და ამსათანავე სხვათა ლექსების დაუცხრომელ შემცემებად. გრ. ორბელიანი თხოვს მას („ქებულ მუშაქს“), რომ ლექსთა კრებულის („წალკოტი მრავალყვავილოვანი“) ბოლოს მის „ჭიანურსაც“ (ლექსებსაც) დაუთმოს ადგილი.

იბადება კითხვა: რისთვის დავალა გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილმა, ქართული სიტყვების მოყვარების მოყვარემ, თვით მოშაორემ და პოეტურ თხზულებითა შემკრებმა, ანთოლოგის შევსება და გადწერა დავით რექტორს?

გიორგი თუმანიშვილმა, ისე როგორც იმდროინდელმა მწიგნობარ-ლიტერატორთა წერემ (მათ შორის ბატონიშვილებმაც), კარგად იცოდა, რომ დავით ალექსის ძე მესხიშვილი, რექტორი თელავის სემინარიისა, იყო მწიგნობარი, სიბრძნის მოყვარე, თვით მოშაორე, პოეტიკის საკითხებისა და ზოგიერთი ლექსის ისტორიის ანუ ობიექტის მცოდნე. მართლაც, დავით რექტორს გადაწერილი აქვს მრავალი თხზულება, სახელმძღვანელო, საბას ლექსიკონი და მათზე, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ჩატარებული აქვს ტექსტოლოგიური და რედაქტორული მუშაობა. იგი გადასაწერ მასალას უჭერებდა სხვა ნუსხებს, ასწორებდა გაუმართავ აღვილებს, განმარტავდა გაუგებარ სიტყვებს. ამასთანავე, დავით რექტორი იყო შესანიშვნავი კალიგრაფი. აი, ასეთი პიროვნება აირჩია გიორგი თუმანიშვილმა ქართული ანთოლოგის შემცირებ-სრულყოფელად და გადამცნუსხევლად.

როგორი ხასიათის რედაქციული მუშაობა ჩატარა დავით რექტორმა 1821—1823 წწ. შედგნილ ანთოლოგიზე და რა იყო მისი წყიროები? მრავალი ლექსთა კრებულის გადასინჯვა მოგვიხდა ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. განსაკუთრებით ერთმა ნუსხამზ მიიქცია ჩენენი ყურადღება მით, რომ მასში მოთავსებული მასალის დიდი ნაწილი (და არა მთლიანად) აღმოჩნდა დავით რექტორის ხელით დაწერილი. რაც მთავრება, შევნიშნეთ, რომ სხეისაგან გადანუსხულსაც სათაურები მიწერილი ან შესწორებულ-შევსებული აქვს დავითის წერილი, გაკრული ხელით (სინგურით). ამ კრებულში მოქეცული მასალა ერთდროულად არ არის გადაწერილი. ერთი ნაწილი (ფფ. 1—103) აღრინდელია, ხოლო მეორე (ფფ. 104—129) უფრო გვიანდელი. ეს უკანასკნელი

⁸ ქ. კმიელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გრიგოლ ორბელიანის პირადი საარქივო ფონდი, ავტორზებული ნუსხა № 57. „ჭიანური“ (გამოცემებში: „სავათანავის მიბაძეა“) აღნიშნული კომენტარებით ის. გრიგოლ ორბელიანი, ლექსები, 1879.

⁹ ქ. კმიელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A-1164. მისი დაწერილებითი შედეგნილობა ის. „საქართველოს სახელმძღვანი მუშაობის ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. IV, 1954“, ლწერა ქ რისტინე შარაშიძე გ. 8.



მთლიანად დავით რექტორის მომსხო, გაკრული ხელითაა ნაწერი სქელ ფრაზი „**საქართველოს მთლიანი მეცნიერებელი სახელმწიფო უნივერსიტეტი**“ ნაწერი ნაწილში (ფფ. 1—103) დავითის ხელს სხვა ხელიც ენაც-გლება. ერთი შეხედვით ეს „სხვა ხელით“ ნაწერიც არ ჩანს ერთნაირი, მაგრამ თუ დავვირვებით გავსინჯავთ, დაგრწმუნდებით, რომ წვრილად დაწერილი: არ-ჩილ მეფის „საქართველოს ზენობანი“ და მისივე „ანბან-ლექსინი“ (91r—94r), და თითქოს მისგან განსხვავებული მსხვილად ნაწერიც (2r—4v, 7r—17v, 21r—29v, 55r—90v) ერთისა და იმავე პირისაა (სხვა არის მხოლოდ 52r—54v-ზე ნაწერი).

შევეცადეთ გამოვერკვია იმ პირის ვინაობა, რომლის ხელი იმ კრებულში ორნაირად გამოიყურება. ჯერ საჭიროა დამტკიცდეს მათი იდენტურობა. გაკრული, წვრილი ხელით ნაწერს (91r—94r) ახასიათებს მორკალული ლ-ასი, ერთებილიანი წ-ილი; ვ-ინს, კ-ანსა და რ-ეს ოდნავ შესამჩნევი ტალღისებური გადაბმებს მსხვილად ნაწერ ტექსტებშიც გხვდებით იშვიათად. ეს სხვადასხვაობა იწვევდა დაუცვებას, მაგრამ დაკვირვებით შესწავლამ გამოარყვია, რომ შემდგომ მორკალული ლ-ასი გადაცემებით სამკბილინად, ტალღისებურად გადაბმული ზემოთ დასახელებული ასოები, ასევე, შევეთრად გამოსახულ სამკბილიან გადაბმად უქცევიათ, ხოლო ერთებილიანი წ-ილი — ობებილიანად. ეს შეიძინება თითქმის პველა გვერდზე და თვით წვრილ ნაწერშიც (იხ. 8r, 9r, 21v, 22r, 23r, 24r, 25r, 26v—27v, 62v, 93r...). გარდა აღნიშნულისა, სხვა ასოების დაწერილობის ურთიერთშედარებამაც დაგვარტმუნა, რომ აქ წარმოდგენილი ორნაირად გამომზირალი ხელიც ერთია და ეკუთვნის დავით რექტორის მამას ა ლ ე ქ-სი მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ს (შდრ. ალექსი მესხიშვილის გადწერილი „ვისრამიანი“ H—716; საბა ლექსიკონი S—4748, ხრონოგრაფი H—1671).

განხილული კრებული ანთოლოგია¹⁰, მხოლოდ არა წინასწარ განზრაბული გეგმით შედგენილი, არამედ ნებისმიერად, სხვადასხვა დროს მოპოვებული მასალისა და გაგონილის საფუძველზე. იმ საქმის განხორციელებას ალექსი მესხიშვილი შედგომია ახალგაზრდა ვაჟის დავითის მონაწილეობით. კრებულში ისეთი მასალაცაა მოთავსებული, რაც სპეციალურად შედგენილი ანთოლოგიისათვის უცხოა, მაგ.: „წიგნი ქორნიკონი ძველისა და ახლისა“, აგრეთვე ცნობები კბილებისა და ლრძილების მკურნალობის შესახებ... ესცე უნდა შიუთითებდეს იმაზე, რომ მამა-შვილს აღნიშნული კრებული შეუდგენია საკუთარი მოთხოვნილებისა და საჭიროების საფუძველზე. ყველა ამის შემდეგ არ შევცდებით, თუ „მცირე ანთოლოგის“ ერთ ნაწილს (ფფ. 1—103) დავათარილებთ XVIII საუკუნის მეორე ნახევრით, ხოლო მეორეს, საკუთრივ დავითის ხელით დაწუსეულს (ფფ. 104—129)—XIX საუკუნის 10-ანი წლებით.

სწორედ ეს კრებული დასდებია საფუძვლად „დიდი ანთოლოგის“ შედგენის. ამას მოწმობს არა მხოლოდ მასალის ერთგვარობა, არამედ მისი განლაგების თანამიმდევრობაც, როცა ამას ხელს არ უშლის უკანასკნელში თხზულებათა უანრობრივი გადალაგება, რაც ეკუთვნის ანთოლოგიის დამკვეთს გ თუმანიშვილს. მაგალითად, „მცირე ანთოლოგის“ პირველ გვერ-

¹⁰ ამ კრებულს (A—1164) ქვემოთ, განსასხვავებლად „დიდი ანთოლოგისაგან“ ვუწოდებთ „მცირე ანთოლოგის“.



დაზე მოთავსებული მასალა: 1. „გარათაშვილს აბაშის შვილებს ორს ძმების შემცირებული შაირი. — წინას შებმაში მოვიდნენ დავით, მერე აბაშია...“; 2. „გოჩის თქმული. — განთქმულა პირველ ბრძენთაგან სიდარბაისლე მესხისა...“; 3. „მაღალაშვილს სალოცუცეს პაპუაზედ თქმული, რომ მისი შვილინი ძიძოშვილინი არიან. — ქალი ლამაზად მორთული...“ — (1r); 4. „საგინაშვილს ველიასაგან თქმული. — თქვენც კარგათ მოგვეხსენებათ წინამძღვრიშვილი მროველი...“; 5. „ამიცანა (აქ კრისტიოგრამულადაა დაწერილი 4 სიტყვა). — „კაცი უასასა ჰსთევიდ ბრძენ და გულისხმიერი...“ (1v); 6. [ერთი სიტყვა კრისტიოგრამულად] „ამიცანა. — მე ერთი რამე მინახავს თლილი წმიდასა ქვისანი...“ მთლიანად, ამავე რიგის დაცვით გადააქვს დავით რექტორს ახალ, „დიდ ანთოლოგიაში“ (გვ. გვ. 367—369). მმ განსხვავებით, რომ უკანასკნელში კრისტიოგრამა გაუშიფრავს (I ამოცანაშია „ქაღალდი“, „საწერელი“. „კალამი“, „დაწერა“, მეორეში — „სათვალე“).

ამ მხრივ დამახასიათებელია განლაგება ანბანთქებებისა, „ცხრა ლექსად ნათქვამი ღარიბი“. „მცირე ანთოლოგიაში“ ხუთი „ანბანთქება, ცხრა ლექსად თქმული...“ მიჰყვება ერთმანეთს, ესენია:

1. „ანო, აღვსთქვი ჩემი ლენინი...“, 2. „ანო, არ ვიცი რას სევდას...“, 3. „ანო, არსთა საქებარი...“, 4. „ანო, აპა ღრო და უამი...“, 5. „ანო, აღვა დანერული...“ ამის შემდეგ მოდის: „სხუა ანბანთქება ფისტიკაურად თქმული. — ან, ამას გეტყვი, ბან, ბაგე ტკბილო...“ და „ანბანთქება პირველის თეიმურაზ მეფის თქმული... — აღმართა მხსნელმან ჯვარი გოლგოთას...“ ამათ მიჰყვება კვლავ „ანბანთქება, ცხრა ლექსად ნათქვამი. — ანო, აღმოვსთქვამ სიტყვასა...“

„მცირე ანთოლოგიაში“, რომელიც დგებოდა მასალის არა წინასწარ შერჩევთა და რედაქტირებით, გასაგებია, რომ ერთი ციკლის ლექსები არ აღმოჩენილიყო ერთად. VI ანბანთქება მშინ ჩაწერა შემდგენელმა, როცა მოიპოვა. „დიდ ანთოლოგიაში“ მმ უკანასკნელის მიღევნება პირველ ხუთ ანბანთქებასთან მოსალოდნელი იყო თუნდაც ტექნიკური რედაქციის თვალსაზრისით, მაგრამ ასეთი რამ არ გაეფთბული. ზუსტად ისევეა გადატანილი „დიდ ანთოლოგიაში“, როგორც „მცირეში“ იყო.

მოყვანილი მაგალითები, რომელთა მსგავსის ჩვენება კიდევ შეიძლებოდა, გვაძლევს უფლებას დავასკენათ: 1821—1823 წლებში ჩამოყალიბებული ანთოლოგის ერთ-ერთი წყარო არის ალექსი და დავით მესხიშვილებისაგან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილი და დავით რექტორისაგან XIX საუკუნის 10-იან წლებში შევსებული „მცირე ანთოლოგია“ (A—1164).

რაკი განსახილველი ანთოლოგის ერთ-ერთი წყარო გამოვლენილია და ხელთა გვაქვს, იბადება კითხები: 1. დავით რექტორს „მცირე ანთოლოგიის“ მასალა მთლიანად გადააქვს „დიდში“, თუ ნაწილობრივ? 2. გადატანილი მასალა უცვლელია თუ შესწორებულ-შევსებული?

„მცირე ანთოლოგიის“ მასალა ასახულია „დიდში“ თითქმის მთლიანად (არ არის გადატანილი, როგორც სკოლის აღინიშნა: „წიგნი ქორონიკონი ძველისა და ახლისა“, კბილებისა და ღრძილების სამკურნალო დარიგებანი და კიდევ რამდენიმე ლექსი...). შედარებითმა შესწავლამ ისიც გამოარვია, რომ „მცირე ანთოლოგიაში“ დავით რექტორს სათაურები უსწორებია და განუვრცია, სახელდობრ, ახალი, „დიდი ანთოლოგიის“ შედგენაზე ოფიციალური დავალების მიღების შემდეგ, მაგალითად, „მცირე ანთოლოგიაშია“: „ანბანთქება წმიდანებზე ბატონის მეფის თეიმურაზისაგან ნათქვამი. — ადამ ვახსე-



ნოთ პირველად...“ ამ სადად და მარტივად დაწერილს დავითი ასწორებს საჭარბელოს
ქვე კიდეზე ურთავს: „იგსეს ძირთაგან აღმოცენებულისა და დავითის რტოდ
აღმოფურჩენილისა და სოლომონის ტომად სიბრძნით საჩინოსა და ღვთის-
შეტაველების მაღლა, ლირს-ქმნილსა, ღვთივევირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა
და თვით კელმწიფის თეიმურაზის მიერ აღმოთქმული წმიდათა ქება ანბან-
ზედ თქმული“. ქვე აღნიშნული აქვს: „თავს ასე უნდა დაწეროს“. მართ-
ლაც, ზუსტად ასევე ეს თხზულება დასათაურებული „დიდ ანთოლოგიაში“.
რედაქციული მუშაობის დროს დავითი ასწორებს „მცირე ანთოლოგიის“
ხარვეზებს, უავტოროდ წარმოდგენილ ანბანთქებებს უძებნის მთხველებს,
მიგალითად:

A—1164

„სხვა ანბანთქება სრული და უნაკ-
ლო“.
აქვე დავითი ურთავს: „თეიმურაზ
ქახ-ბატონისაგან ნაბრძანები, რო-
მელ არს პირველი თეიმურაზ, ენა
რიტორი, საამო სასმენი. — აღმართა
მესნელმან ჯვარი გოლგოთას...“

ზოგჯერ დავითი სარედაქციო ნუსხაში ვერ ახერხებს მისი თვალსაზრი-
სით საქირო დამატებების შეტანას, მაგრამ მას ახორციელებს „დიდ ანთო-
ლოგიაში“; ასე მაგალითად:

A—1164

„ეს ანბანთქება უცხო და ახალშე-
მოლებული და არა ადვილად სათარ-
გმანებელი, ბატონიშვილის ვახტან-
გისაგან თქმული, უფალმან განაძ-
ლიეროს მტერსა ზედა, ამინ. —
ასრე არის აგებული...“

S—1512

„ანბანთქება პირველის თეიმურაზ
მეფის თქმული, რომელი არის ენა
რიტორი. სასმენელად ფრიად საამო
და სასურველი, შაირად. ეს ფისტი-
კატრია. — აღმართა მესნელმან ჯვა-
რი გოლგოთას...“

(ტექ. 15)

S—1512

„ეს ანბანთქება უცხო და ახალშე-
მოლებული და არა ადვილად სათარ-
გმანებელი, შაპნავაზის შვილის ლე-
ვანის ძის, ბატონიშვილის ვახტანგი-
საგან თქმული, რომელი იქმნა შემ-
დგომად მეფედ საქართულოსა ზე-
და, შაირად. მაჯამა —
ასრე არის აგებული...“

არის შემთხვევები, როცა „მცირე ანთოლოგიაში“ თხზულებას სათაური
არა აქვს, მით უმეტეს არ ჩანს ავტორი. ანთოლოგიის რედაქტორების დროს,
დავითი ორივეს აღუდგენს. ასეთ მდგომარეობშია, მაგალითად, ოერმერაზ I
„შეიდთა კრებათათვის“, რომელსაც დავითის ხელით წერილად მიწერილი
აქვს: „ქება და დიდება წმილისა და ერთარსისა სამებისა და ღვთაებისა, ბუ-
ნებით განუყოფელისა, ხოლო გვამებით განყოფილისა, კრებათაგან დამტკი-
ცებული, ლექსად თქმული მეფის, პატრონის თეიმურაზ პირველისაგან“.
„დიდ ანთოლოგიაში“ ეს თხზულება ზუსტად ამ სათაურითაა გადასული,
შეცვლილია მხოლოდ „ლექსად თქმული“ „შაირით თქმულით“ და დამა-
ტებულია: „რომლისა ჰქისნება კურთხევით საუკუნი იყავნ“. კიდევ მაგალითი: ანბანთქებისათვის „ან — ამას ვსტირი, ბან ბნელსა
შედომი...“ დავით რექტორს „დიდ ანთოლოგიაში“ შეტანისას შემთხველიც
უპოვია და ისიც აღუნიშნავს, როდის და რა პირობებში დაწერილა იგი:



„ეს ანბანთქება წმიდისა მოწამის ქეთეონ დედოფლისა განკურთხულის არის ნაბრძნები, ოდეს უსჯულომნ შაპ-აბას პირულმნ შირაშს პყრობილად წარგზავნა. მუნ, პყრობილებაში მწუხარემან პსთქუა ფისტიკაურად. — „ან — ამას ვსტრირი...“ აქ მას ტექსტში შეუცვლია მხოლოდ „გულმდუღალე“ — „გულსა მდუღრად“ და „დაუგული“ — „დადაგულით.“

ამ დამატებით ცნობებს, „მცირე ანთოლოგის“ ადრეულ ნაწილში, სათაურებისათვის განკუთვნილი ადგილები ვერ იტევს და კიდევბზეა გატანილი. დავითის ეს ჩამატებანი „დიდი ანთოლოგის“ შედგენა-გამართვისათვის ჩატარებული მუშაობის დროინდელია (1818—19 წწ.).

დავით რექტორის რედაქციული მუშაობა მრავალ მხარეს ეხება. მაგალითად, თუ ლექსი მეფე პოეტის შეთხულია, ასეთ შემთხვევაში „ნათქვაში შეცვლილია — „ნაბრძნებით“ ან „ეთქვა“ — „ებრძნანა“-თი. (იხ. თეიმურაზ I, „გრემის სასახლეზე“). შემჩერულია უხერხულ გამონათქვამთა გასწორებაც, მით უმეტს, როცა იგი კვლავ მეფის სახელთანაა დაკავშირებული. მაგალითად, „მცირე ანთოლოგიაში“ კითხულობთ: „ეს ანბანთქება ყაფლანიშვილის ვახტანგის ნათქვამია იმერელ მეფის სოლომონის დედის, დედოფლის თამარის ქებად...“ „დიდ ანთოლოგიაში“ „იმერელ მეფის“ შეცვლილია „იმერთა მეფის“. „

აღზევებული ტონი და ეპითეტები მეფეთა მიმართ, ძველი ორთოგრაფიისაკენ მიბრუნება (მაღალი შტილით წერის თვალსაზრისით) კლასიცისტური მიმართულების გავლენაა.

რედაქციული მუშაობის დროს თხზულებათა ავტორებზე მითითებას დავით რექტორი სიფრთხილით ეკიდება. თუ იგი სისწორეში არ არის დარწმუნებული, ვარაუდს გამოთქვამს. „მცირე ანთოლოგიაში“, მაგალითად, შაირს „ჰაერი ცივნამიანი“ უწერს: „ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან მგონია ნათქვამი ყულარალასის ქალს მაიაზედ, სიკვდილის შემდეგ; ჰაზრი იმასა ჰევეს, და საბრალობელი თავის თავს მა ი ა-ი ა ს უძახდა, და ბესარიონი მისი მეომარი იყო და ეს ერთი შირი კრემენჩუქს ეთქვა“. მამა-შეიღის შედგენილ ანთოლოგიაში გამოთქმული ვაროუდი: „მგონია“ „დიდ ანთოლოგიაში“ შეცვლილია უყოყმანო გამოთქმით „არის“: „ესეც ბესარიონ გაბაონისა არის ნათქვამი“ (ექვ სახელი მა ი ა ამოფხეკილია).

დავითი ოჯხშურ, ადრეულ ანთოლოგიაში შეუზღუდვია გამოთქმებში, შეიძლება ითქვას, ენამწარეც კი, მაგალითად, საგინაშვილ გელიასგან თქმულ შაირს —

„ოქვენ კარგად მოგეხსენებათ წინამდებრიშვალი მროველი,
ან გლეხი კაცი ნიკოსიად, ცოლნა იცოდეს ყოველი,
ან ბეზრგანი მდიდარი, კონტრლი და გლოველი,
ან კარგი დარბაისელი მაჩაბლ-წინწყაროელი“ —

დავითი შემდეგ განმარტებას ურთავს: „ერთს წინწყაროელს, ტყვეობილან მოსულს კაცს, მაჩაბლობა მისცეს, ოქრო გამოართვეს იმ კაცს, და მეჭღისში იჯდა ის კაცი თავადებთან. მეფე თეიმურაზმა და მეფე ერეკლემ ბრმა გელისა უთხრეს: ერთი შაირი თქვიო. წამოღვა და ეს შაირი თქვა. წინწყაროელი მეჭღიდან წამოხტა და გაიძცა, ჭერაც მოდის — თქვენც შეგარცხინათ და მაჩაბლობაცაო — მაჩაბლობა მეფე თეიმურაზმა და მეფე იცინეს“. დასაწყისში



აღნიშნა: წინწყაროელ კაცს ოქრო გამოართვეს მაჩაბლობის ბოძებაში ანუ ჩამოვალი და ბოლოში, ვითომ სხვათა შორის დასტინა: „მაჩაბლობა მეფე თემის უზრუნველყოფისადან და მეცე ერეკლემ მისცეს“. ამ საქმაოდ უხერხულ გზონათ გვემოს სრულია და უადგილოდ იქვე მიაბა: „და ბევრი იცინეს“. ოფიციალურ, სხვისა ღავალებით შედეგენილ ანთოლოგიაში ასეთ რამდენ ადგილი არა აქვს. ამოღებულია გამოთქმები: „ოქრო გამოართვეს იმ კაცს“, „წამოხტა და გაიჭირა, ჰერც მოდის“, „თქვენც შეგარცხინათ და მაჩაბლობულია“. გვლიას ნათქვამი შაირის განმარტება, შემოკლებული და სტილისტურად გამართული, „დიდ ანთოლოგიაში“ ასე გამოიყურება: „ერთს წინწყაროელს, ტყვეობიდან მოსულს კაცს, მაჩაბლობა უბოძეს მეფე თემის უზრა და მეფემან ირავლი. ის კაცი მეფის მეჯლისში თავადებთან იჯდა. მეფეთ უბრძანეს გელიას შეირი თქვიო. რა ეს შაირი თქვა, წინწყაროელი წამოხტა და კაზში გაიჭირა“, (გვ. 368).

უალე უნდა შევეხოთ „მცირე ანთოლოგიის“ იმ ნაწილს, რომელიც მთლიანად დავით რექტორის ხელითაა ნაწერი და რომელიც უფრო ვიანდელი, სახელდობრ, XIX საუკუნის 10-იანი წლებისა ჩანს. ამ ნაწილშია: ბესიერის „სევდის ბალს შეველ“, „მე მიგხვდი მაგას შემსა ბრალებსა“, „მე შენი მგონებ“, „ტანა ტატანა“, „მე შენზ ფიქრმა“, აგრეთვე სხვა პოეტების: ალ. ჭავჭავაძის, ქეთევანი, თეკლა და მარიამ ბატონიშვილების, დავით ბატონიშვილის, ელიზბარ გიორგის ძე ერისთავის, მზეჭაბუკ ორბელიანის, ბარამ თუშმალიშვილის, ზაალ თუმანიშვილის, დიმიტრი თუმანიშვილის, მირიან ბატონიშვილის, ვარლამ არხიერისა (ერისთავის) და სხვათა ნაწარმოებები.

ანთოლოგიის ამ მონაცემს ახასიათებს განსხვავებული ორთოგრაფია წინა ნაწილთან შედარებით. უფრო აღრინდელი იცავს ახალ ორთოგრაფიას, ხოლო მეტმინდელი — ძველს ისევე, როგორც 1821—1823 წწ. „დიდი ანთოლოგია“. სათაურები შემდეგ შევსებული და ნაძირები არ არის. ტექსტის დაწყებამდე სათაურს მოსდევს ცნობები პოეტიკიდნ, სალექსო ფორმების განმარტებანი, სახელდობრ: მუხამბაზის, მუსტაფაზის, თამბისისა და სხვ. აქვე მოცემული, თუ ამდენი ტაეპის, შაირის (სტროფის მნიშვნელობით) და მარცვლის შემცველია თითოეული მათგანი. ამასთანავე, ზოგიერთთან ვეცნობით ლექსის ისტორიას, მისი დაწერის დროს, პირობებსა და ობიექტს.

აღსანიშნავია, რომ ეს ლექსები, წარმოდგენილი აქსესუარებითა და ზოგიერთი ლექსის აეტორობაში დაეჭვებით, ისევეა გადასული „დიდ ანთოლოგიაში“, როგორც აქ არის ნაჩერენები (ცსეც მხარს უჭერს ამ ნაწილის გვიანდელობას), იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთი კერძო ხასიათის ფაქტი „დიდი ანთოლოგიისათვის“ დავით რექტორს უფრო დაზუსტებული აქვს, მაგალითად, ბესიერის ლექსის „მე მიგხვდი მაგა შემსა ბრალებსა“ ასეთი სათაური და განმარტება უძღვის: „ესეც ბესარიონ გაბაშვილის საგან არის თქმული მუხამბაზი ხუთ შაირად, თითო შაირი ცხრა ტაეპია და თითო ტაეპი ათა მარცულია. ბესარიონს „ვარდად“ და „იად“ თქმული უყვარდა და „იასაც“ ბესარიონ უყვარდა. როდესაც ბესარიონ მოტყუვდა სხვს შეყვარებით. „იამ“ შეუტყო და თავისითან აღარ გაატარა, მაშინ ჰსოფება: „სევდის ბალს შეველ“. შემდგომად „ბესარიონ თავის დანაშაულს და „იას“ ხალუმთაგან საყვედურს ახლა კიდევ ამ ხუთს მუხამბაზში ამობს. მსმენელნო, თქვენ იგულისხმეთ „ია“ ვინ არის და ან მეორე, ბესარიონისაგან შეყვარებული. მე სახელები არ დაისწერე, არა ჰსკობდა“.



ეს ვრცელი განმარტება ასევეა გადასული „დიდ ანთოლოგიაში“ მცირე განსხვავებით, რომ „ია“ ამოშლილია და მის ნაცვლად ყველგან „ვარდია“ ჩასმული. ბოლოში კი ეს ჩასწორებაც ასეა ახსნილი: „მსმენელნო, თქვენ იგულისხმეთ „ვარდი“ ვინ არის, თორემ ბესარიონ რომ „ვარდს“ ეძახის, ის „ვარდი“ თავისითავს „იას“ უწოდდა...“

ამავე ლექსთან დაკავშირებით ერთი სხვა ხასიათის „რედაქციული მუშაობის“ მაგალითი გვიჩვანოთ: „მცირე ანთოლოგიაში“ ამ მუხამბაზის მე-5 ხანას აკლია მე-7 ტაეპი. მის შესავებად ადგილია დატოვებული. ქვევით, კიდეზე, დავით რექტორი წერს: „აქ რომ ერთი სტრიქონი აკლდა, მე ვპისტვი, თუ გინდა ეს ჩაწერე:“

„აწ შეიწყოლე ანამტინარე“ (106r).

საქმე ისაა, რომ „დიდ ანთოლოგიაში“ მისი „ნათქვამი“ თავის აღილას ჩაუსვამს და არავითარი შენიშვნა არ დაურთავს; დაკლებული ტაეპის ძებნის აღარ შესდგომია და თვითონვე შეუცვია(!). ამ ნუსხით მოსარგებლე დავითის ჩანამატს ბესიკის ვარიანტულ ტაპად მიიჩნევს, თუ „მცირე ანთოლოგია“ არ ექნება ხელთ. ბესიკთან კი ეს ტაეპი ასეთია:

„ადგილი მჭონდა დასაბინარე.“

ნაკლული ლექსტის ამ მეთოდით შევსების სხვა მაგალითებიც გვაძეს: 1. მეექვსე „ანბანთქება, ცხრა ლექსად თქმული ლარიბი“ („ან, აღმოქსთქუამ სიტყვასა“) მამა-შვერს ხელთ პქონიათ ნაკლული და ასევე შეუტანიათ თავის „მცირე ანთოლოგიაში“. დავით „დიდი ანთოლოგიის“ შესავებად და გასამართად შეადგების დროს, როდესაც ადრეულში შესწორებანი და რედაქციული ხასიათის ცვლილებანი შექვენდა, იქვე, ყუის მხარეს, კიდეზე მიუწერია: „დედანში ამის მეტი არ ეწერა „პარმ[დე] ...“, დავაშავე მექრეთქვი და არ შევასრულე]. ვინც იშოვოთ, შეასრულეთ“. (20r). მაგრამ ბოლოს მაინც უხერხულად მიუჩნევია ნაკლული ტექსტის გადატანა სისრულის პრეტენზიის მქონე „დიდ ანთოლოგიაში“ და თვითონვე შეუცვია იგი. საკუთარი ძალით „აღდგენილი“ დანაკლისი დაუწერია ვიწრო ლურჯ ქალალზე და ჩაუკრავს დასახელებული ანბანთქების წინ. ამ შავად ნაწერს და ნასწორებ ტექსტის ქვემოთ მიწერილია აერორის ხელით: „ამ წიგნში რომ არის ოთხში შაირი „შაანამდისინ“ ნათქვამი, ვიღასგანაც ნალაყბი, „უანიდამ“ მოკიდებული „შოემდის“ აკლდა და მე ვპისტვი ეს ხუთი შაირი. როგორიც იყო, მეც მისთანა დაფჩხაბე, კარგი რად უნდა შეთქვა, როგორც ლახანა იყო, იმისთანა ჩამოანა არის. წელსა 1818, დავით რექტორი“ (19v).

ეს თარიღიც იმაზე მიუთითებს, რომ აქ შემდეგ ჩაქრული სხვა ფერისა და ზომის ფურცელი, საკუთარი ჩანამატით, იმ ხანისაა, როცა შან „დიდი ანთოლოგიის“ „შეკრება“ და „დაწერა“ იყიდა.

დავითს თავის ჩანამატი „უანიდამ შოემდე“, რა თქმა უნდა, გადაუტანია „დიდ ანთოლოგიაში“. დასასრულს იგივე შენიშვნა შემოკლებით მოუთავსებია ტექსტის მიღებებით, ფრჩხილებში. ამოუღია გამოთქმა: „როგორც ლახანა იყო, იმისთანა ჩამოანა არის“...

წ. ალ. ჭავჭავაძის ანბანთქებას „ანზე სით მოხვალ“ ჰკლებია „პარდა“ და „მოე“. დავითს თვითონვე შეუცვია დანაკლისი და მინაწერიც დაურთავს კი-

დეზე, თავისი ორი სტროფის ჩასწერივ: „დედანს აკლდა და მე ვსთვეოდ ჰეროინი“ „პარე“ (დავით რექტორი). —

„პაბლიკის პარონს თავი მსვერპლად ვპირი, ვითა ძღვენი,
პაბლიკის პარარად მოვისწრაფლი კარგ მომლენი...
ში შრომა ამაოთა ვპერენ ესერა აწერითა,
შო არ ვემე უსახელო, ხევით მოვე აწერითა...“
(გვ. 280, ტექსტი 146).

3. სხვა ანბანთქებაც (კვლავ „ანზე სით მოხვალ“) შეუვსია დავითის. „ვპერებ დიმიტრი ორბელიანისაგან იყოს თქმული“—, წერს იგი „დიდ ან-თოლოვიაში“ და ს-ზე გალექსილ სტროფს, სინგურით, მსგავსად სათაურისა, უწერს: „დედანში «ანზედ» აკლდა და მე, დავით რექტორმა, ვსთვეო —

„სასირეთს მყოფი სიბაისა მივალ გაჭრილი ავტო, საბას წმიდასა სიმეონ, სურვითა ვაგო ბაგე რა...“ (გვ. 506).

მამასთან ერთად შედგენილ „მცირე ანთოლოგაში“ იგივე შენიშვნა, მიწერილი კიდეზე, ასე გამოიყურება: „ეს 『სანზე』 ალექსის ძის დავითის თქმული, დედანს აკლდა და მე ვპირები“ (96r).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დავითი საკუთრივ შეთხშულით ყველა ლექსის გამარტვას და დანაკლისის შევეცხას არ კისრულობდა, მაგალითად, ლექსის — „პირზედ გაქვს ხალი და შევი თვალი“ — დასაწყისში სინგურით წერს: „ეს არ ვიცი, ვისგან არის თქმული. ჰვაეს უცოდინარი ვინებ შაირობს. არც მესტაზადად ჩანს. არა ჰცოდნია, თითო ტაეპი ზოგი თოთხმეტი, ზოგი თხუთმეტი მარცვალია. მე რად დაუშერე, რადა ვმართო, როგორც მიუცვამს-მოუცვას, მეც ისე დაუშერე. სამი შაირი არის, ორი შაირი აკლია, რომელ არს ათი ტეპი“. ქვემოთ, კიდეზე კი მისივე მითითებაა: „ვინც ნაკლები (ე. ი. დაკლებული, ღ. ქ.) ათი ტაეპი იშოვოთ, დაწერეთ. მგონია სომხის ვისგანმე მიცჟულ-მოცჟულია და აქა-იქ სხევათაგან მოპარული“ (110r). ეს ლექსი მას აღარ გადაუტანია „დიდ ანთოლოგაში“.

ზოგიერთ ლექსთან დაეითი მიუთითებს, რომ იგი გამარტვას საჭიროებს, მაგრამ არ მართავს, ასეთებია:

1. „დ ვ თ ი ს წ ყ ა ლ თ ბ ა ბ ე ბ უ თ თ ვ ი ს მუხამბაზი. —

გული ყოველთვის მიძეგრის, მაგრამ ეამი არ შერება“... მინაშერში ვკითხულობთ: „როგორც ამის მოქმედს ეთვეა, ისე დაგვაწერე, უმართებულო იყო, რომ გვიმერთა“ (S—1512, ტექ. 246).

2. ასევე გაუმართავად თვლის დაკითი მელქუა გულქანოვის ლექსის „წოვედ, ჩემო საყვარელო“. მის შენიშვნაში ნათქვამია: „ვისაც უთქვებს, ას-რე არის დაწერილი, გამართვა უმართებულოა“ (S—1512, ტექ. 250). მაგრამ როცა იგი ბესიეს ლექსს „ბულბულის შურს“, მოთავსებულს სხვა ნუსხაში (S—3723), უწერს კიდეზე: „წამხდარი იყო, გაემართო“, რა თქმა უნდა, ამ ლექსის უხეირობაზე კა არ მიუთითებს, არამედ მის შერყვნაზე, გადამწერის დაუდევრობის ან უვარვისი დედნის შედევალ. ასეთ შემთხვევაში გამართვას დაეით რექტორი „უმართებულოდ“ არ თვლის.

„დიდი ანთოლოგის“ მასალის შემოკრების ღრის დავით რექტორს რომ ხელთ ჰქონია XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის ორი

ათეული წლის მანძილზე შექმნილი მხოლოდ რამდენიმე არასრული ნუსხა-დაგენერაცია მის არა მატრიც ზემოთ მოტანილი მაგალითები მოწმობს (დანაკლისების საკუთარი ტაქტებით შესვება), არამედ ლექსის ობიექტის მცდარად წარმოდგენაც, მაგალითად: დედანში („მცირე ანთოლოგიაში“) შავთელის „აბდულმესინი“ ასევა დასათაურებული: „მეფის არჩილის ქება დავითინ-ბაგრატოვანისა, თქმული ჩახრუხაულად, რომლის პკესნება საუცუნო იყავნ. — სამებით ლმერთმან, არსებით ერთმან“. ასევეა იგი ზუსტად გადატანილი „დიდ ანთოლოგიაში“. „აბდულმესინის“ ავტორისა და მისი ქების ობიექტის მიმართ იაკობ შემოქმედელის მიერ ჩატარებული ოპტაციის შესახებ დავითს შეუტყვია „დიდი ანთოლოგის“ დამთავრების შედევე, რაც უმაღვე გაუსწორებია მისგანვე ახლად დანუსხულში¹¹.

კიდევ მაგალითი: მზეჭაბუკ ორბელიანის ლექსთან „ქობაზე“ ვკითხულობთ: „მზეჭაბუკ ორბელიანისაგან თქმული, როდესაც ანნა დედოფალი დაწვა, მეფის ირაკლის მეუღლე, გიორგიზედ, მაშინ ეს „მზე შინაო“ ითქვა ქობაში მზეჭაბუკისაგან. — აღმყულ სრასა...“

ასევე, ამავე განმარტებით გადააქვს დავითს იგი „დიდ ანთოლოგიაში“. სხვა ნუსხების ჩვენებით მზეჭაბუკ ეს ლექსი დაუწერია ქეთევან ბატონიშვილის, იოანე მუხრან-ბატონის მეუღლისა, და არა მისი მამის პირველი კოლის ანნას ძეობაზე. (S—1516, 1543 და სხვ.; ქეთევან ბატონიშვილის ვაჟსაც გიორგი რქმევია).

ასე წარმოდგა დავით რექტორის მიერ ჩატარებული რედაქციული მუშაობა „დიდი ანთოლოგიის“ მომზადებასთან დაკავშირებით. ეს იყო მამისა და მისგან შეღვენილი „მცირე ანთოლოგის“ მიხედვით. ქვემოთ განვიხილავთ აგრძელებულ დავით რექტორისგან გამოყენებულსა და ნარედაქციებ ნუსხას.

„მცირე ანთოლოგის“ შედგენილობას შევეხეთ „დიდ ანთოლოგიასთან“ მიმართებით, რადგან იგი აღმოჩნდა ერთ-ერთი ძირითადი წყარო ამ უკანასკნელისა, ვერამაულობთ, გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილის მიერ შეკრებილ ლექსთა კრებულთან ერთად (მის ივტოგრაფს ჭერჭერობით ვერ მივაკლიეთ). ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს თვით დავით რექტორის მითითებანი ერთ-ერთ ხელნაწერ კრებულზე, სახელმობრ, დავით ჩუბინაშვილისეულის სახელით ცნობილ ნუსხაზე (S—3723). ეს ხელნაწერი 273 ფურცლის შემცველ, ე. წ. მექანიკურ კრებულს წარმოადგენს. ამგვარი კრებულები პირობით, მექანიკურად იწოდება იმის გამო, რომ მასში შესული მასალა ერთდროულად, ერთი ხელით, ერთსა და იმავე დროისა და ხარისხის ქაღალდზე არ არის დაწერილი. ამ ხელნაწერის შედგენილობაზე ამჯერად არ გვექნება საუბარი, იგი ცალკე კვლევას მოითხოვს. შევეხებით მხოლოდ მის ერთ ნაწილს, მოთავსებულს კრებულის შუაში (ფფ. 100—133). ეს მონაკვეთი ამ კრებულში სხვებშე ქველია, XIX საუკუნის დამდევისა. ერთ ფურცელზე აღმოჩნდა ქაღალდის დამზადების თარიღიც — 1802.

აღნიშნული 33 ფურცელი ნაშთია სხვა დიდი კრებულისა, რომელიც დაშლილა და დანაწევრებულა (ან დაბნეულა). ეს ნაწილი გადაუჩრჩნია ვიღაცას და შეუცერთებია სხვა მასალისათვის. შეიძლება კრებულის მექანიკუ-

¹¹ H—391 (ჩ. ძელი ქართველი მეხოდენი, წიგნი მეორე, 1964. გამოსაცემად მოაწიდა, გმოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაუზოთ ივანე ლოლაშვილმა, გვ. გვ. 27, 30).



რად შემკინდავი მისი მფლობელი დავით ჩუბინაშვილი იყოს. მით უმეტეს შემკინდავი კრებული იხსნება მისი ხელით დაწერილი საქუთარი წერილით, რომლის სათაურია: „შაირობისათვეს, მეფის ძის თემურაზის სტატიისაგან“. აქვე ვნედებით ნაბეჭდ ლექსებსაც, თემურაზ ბატონიშვილის ავტოგრაფსაც... ამ კრებულის ჩვენთვის საინტერესო მონაცემს შემორჩენილი აქვს გარეკანი; მას აწერია: „Грузинские стихи“. იგი გადაუხაზავთ და ნაცვლად მიღწერიათ: „Песни“.. „Семь лет я жил в“ დასათაურებულ ფრაგმენტს შემონახული აქვს ძელი პაგინაციაც. ამჯერად ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ ამ ფრაგმენტის შემცველი კრებული დაშლამდე ხელთა პერინია დავით რექტორის. მასზე აღმოჩინა რედაქტიული მუშაობის კვალი, რაც დავითს უნდა ჩაეტარებინა გიორგი თუმანიშვილისაგან მიღებული დავალების გამო.

„სიმღერების“ ამ კრებულში თითქმის ყველა ლექსი მოშაირეთა დაუსახელებლადაა შეტანილი. თუ კრებულის („Грузинские песни“) დანიშნულებას სასიმღერო ლექსების თავმოყრა შეადგენდა, შესაძლებელია, ნაწილობროვ, ამის გამოც არ ჩაუთვლია საჭიროდ მათ შემკრებსა და ჩამწერს ავტორების ძებნა. თუმცა ზოგიერთ ლექსთან შემდგომ ტექსტისაგან განსხვავებული ხელით მიღწერიათ მთხველთა სახელები და გვარები. „მართული სიმღერების“ ეს ჩაისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელთ პერინია დავით რექტორსაც. მას იგი შეუკერებია ლექსთა სხვა კრებულთან და შაირთა უმეტეს ნაწილთან შეუნიშნავს: „გიორგისაში დაწერილია¹² (101r, 103v, 104v, 105rv, 106rv, 107rv, 109rv, 110r, 111r, 112r, 113rv, 114rv, 115rv, 116r... ან „გიორგისაში დაუწერელია, აქლია ამიტომ და მერე არა არის რა“ (123r), ან კიდევ: „სხვა-ში იხილე, დაწერილია გ[იორგისაში], (124r). ერთგან აღნიშნულია: „დაწერილია გიორგისაში და ჩემშიაც“ (125r). აქ უნდა იგულისხმებოდეს ზემოთ განხილული მამა-შვილის ე. წ. „მცირე ანთოლოგია“). თითქმის ყველა ლექსთანაა შენიშნული „დაწერილია გიორგისაში“ ან „სხვაში იხილე, დაწერილია გიორგისაში“. მაგრამ „გიორგისაში არ არის“, ასეთი მითითება მხოლოდ ერთგან გვხედება (123r). კიდევ ერთი საინტერესო მინაწერი დავით რექტორისა: „გიორგისაში დაწერილია თეთრში“ (130rv), ე. ი. მას ხელთ პერინია გიორგის შეკრებილი ლექსთა კრებულის ორი ცალი — შავი და თეთრი.

ზემოთ მოტანილი მაგალითები დავით რექტორის რედაქციული მუშაობის ერთ მხარეზე მიუთითებს, სახელდობრ, იგი სხვა კრებულებთან შეჯერების შედევრად არკვევს, რა არის „გიორგისაში“ შეტანილი და რა არა, ე. ი. რა მასალით უნდა შეივსოს ანთოლოგია. მეორე მხარე ეხება ისევ და ისევ ლექსების ატორების დადგენას. მაგალითად, ალ. ჭავჭავაძის ლექსთან „ნარგიზოვანს წალკოტს ნარგი“ ვპოულობთ დავითის მეტად მნიშვნელოვან შენიშვნას: „დავესხენ, მაგრამ დაწერა გიორგისაში“, ამ ლექსის მთხველი უცნობი ყოფილა დავითისთვის. როგორც ჩანს, მას იგი უძებნია მის ხელთ არსებულ სხვა კრებულებში, მაგრამ ვერ უპოვია, ამის გამო მიუწერია კიდეზე: „დავესხენ“. ამ მინაწერის მეორე ნაწილი „...მაგრამ დაწერა გიორგისაში“ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ აქამდე ყველგან აღნიშნული იყო ფორმით: „გიორგისაში დაწერილია“, ხოლო ამ ერთადერთ შემთხვევაში შეჯერებისას

¹² ამ საკითხს შეეხო გივა მიქაელე, იხ. მისი: მასალები დავით რექტორის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. „ლიტერატურული ძიებანი“, XII, 1961.



დალგუნილ ფაქტზე მითითებას კი არ იძლევა, როგორიცაა: „დაწერილი არამედ ახლად მომხდარზე“; „დაიწერა“. მართლაც, „დიდ ანთოლოგიაში“ პავჭავაძის აღნიშნული ლექსი („ნარგიზოვანს წალკოტს ნარგი“) უავტოროდაა შეტანილი.

აღნიშნული გვქონდა, რომ „ქართული სიმღერების“ კრებულში დავითზე აღრე სხვას მიუწერია ლექსებთან აგტორების სახელები და გვარები¹³. მაგალითად, ლექსს „დაწვთა ხალინდად ყრილთა“ უწერია: „ალ. ჭავჭავაძი აძის ნათქვამი, შემტარ მუხალიფის ხმაშედ ითქმის“. დავით რექტორი არ ეთანხმება მას, შლის პირველის მითითებას და ასე ასწორებს: „ქვეში და არ დიმან და ისაგან თქმული რასტის უშაჩედ“ (ე. ი. ხმაზე, 117r). კიდევ მაგალითი: „მოლით, მიჯნურნო მსოფლიურნო“ პირველ გამმართავს (გ. ე. თუმანიშვილს) მიაჩინა ბექსარიონ გაბაშვილის ნათქვამ შუსტაზადად. დავით რექტორი კი ასეთ შენიშვნას აკეთებს: „მე ხომ არა მოონია ეს ბესარიონისა იყოს, ესეც ალმასხანისა მგონია“ (122r). ლექსი „როს განვიცადე ბედრეულმა“, პირველის აზრით, ბექსარიონს ეკუთვნის, დავითი აქაც დაეცვებულია, შლის ბექსარიონის სახელს და უწერს: „ალმასხანის ნათქვამი შუსტაზადი“, შემდეგ კი ასწორებს საკუთარ მინაწერსაც: „ლეონ ბატონიშვილისაგან ნათქვამი თახმისი. მაგრამ ამბობენ, ბესარიონისაგან არის თქმულინ“. ეს საკითხი დავითმა საბოლოოდ მიანც ბესიების სასარგებლოდ გადაწყვიტა, იგი „დიდ ანთოლოგიაში“ შეიტანა მისი სახელით.

ლექსს „პირზედ გაქვს ხალი“ პირველი შემვსები ბექსარიონს მიაწერს: დავით რექტორს ეს აზრი საეჭვოდ მიაჩინა: „ეს სხვისგან თქმულია, არ ვიცი, ვის უზევეს“ — წერს იგი და ამასთანავე დასძენს: „გიორგისაში დაუშერელია, აკლია ამიტომ და მერე არა არის რა“. ირკვევა, რომ დავით რექტორი „სიმღერების“ კრებულის დედნად „გიორგისას“ ვარაუდობდა, ამაზე უნდა მიუთითებდეს შენიშვნა: „გიორგისაში დაუშერელია, აკლია ამიტომ...“ (კიდევ სინგურით წარწერილია: „ორი შაირი, ათი ტაპი აკლია“). ეს ის ლექსია, რომელთანაც „მცირე ანთოლოგიაში“ დავითი მკაცრად შენიშვნავდა: „ეს არ ვიცი, ვისგან არის თქმული, ჰგავს უცოდინარი ვინმე შაირობს. მე რად დავშვერე, რადა ვმართო, როგორც მიუცვამს-მოუცვამს, მეც ისე დაუშერე...“.

აღსანიშვნავია, რომ „სიმღერების“ განხილულ ფრაგმენტში სახელი გორგი ყველგან ამოშლილია, შემთხვევით დარჩენილია ორგან (103v და 120r). ტექსტი ამ ნუსხისა დაწერილია მკრთალი მელნით, დავით რექტორის შენიშვნები და მითითებანი — მუქით. ამავე მელნითა ყველგან ამოშლილი სახელი გიორგი, ზოგან სახელის ინიციალი გ-ც კი.

მტკიცება არ ჭირდება იმ ფაქტს, რომ აქ ამოშლილი „გიორგი“ ის გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილია, რომლის „ბრძანებით“ შეკრიბა და გადაწერა დავით რექტორმა კარგად ცნობილი ქართული ანთოლოგია (S—1511, 1512).

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერებზე მუშაობის დროს, ჩენი ყურადღება მიიპყრო ანთოლოგიის ერთმა ნუსხამ (M—5). მასში შესულია: შავთელის „აბდულმესიანი“,

¹³ ეს „სხვა ხელი“ გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილისა აღმოჩნდა. შლ. მის ავტოგრაფს H—469 (ხელთუბნის სამების ეკლესიის ნივთების სია, შედგენილი 1820 წელს).

ჩახრუხაძის „თამარიანი“, ბესიკის, გრიგოლ ბატონიშვილისა (იოანეს ძეს) და სხვა პოეტთა თხზულებანი. აქვე „სასტიკი სიყვარული, მოთხრობა პეტერბურგი, ტარგმნილი რუსულით“, ბოლოს — გამოცანები, სულ 162 ტექსტი.

ეს ანთოლოგია გადაწერილია 1837 წელს სვიმონ ტაბიძის მიერ. აქ ვხედებით ტექსტის ხელით ისეთსავე მინაწერებს, როგორიცა გვაქვს ზემოთ განხილულ, ე. წ. ჩუბინაშვილისეულ ნუსხაში (S—3723, ფფ. 100—133). საქმე ეხება ზოგიერთ ლექსთან გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილის ხელით ავტორთა გვარების მიწერას, რაც ანთოლოგიის შედგენისას არ ყოფილა გათვალისწინებული, თუ ცნობილი; უმთავრესად კი დავით რექტორის მიერ ამ ნუსხაზე ჩედაქციული მუშაობის დროს ნაკეთებ შენიშვნებს: „გიორგისაში წერია...“ და, იგრეთვე მისანევ ავტორების დადგენას. ამ მოსახურების შესამოწმებლად ამოვწერეთ ყოველი მათგანი და შევცდარეთ ხელნაწერთა ინსტიტუტის დასახელებულ ანთოლოგიას. გამოირკვა, რომ შენიშვნა-მითითებანი აქაც გაფეთებულია სწორედ იმ ლექსებთან და იმ სახით, როგორც დ. ჩუბინაშვილისეულ ნუსხაშია.

ლენინგრადული ანთოლოგია ორმხრივ აღმოჩნდა საინტერესო. ერთი — იგი წარმოადგენს ჩუბინაშვილისეული ნუსხის იმდროინდელ პირს, როცა ხელნაწერი დაუშელ-დაუფანტავი ყოფილა; მაშვალია, ამ ნუსხით შეიძლება ხელნაწერთა ინსტიტუტის ჩუბინაშვილისეული ანთოლოგიის პირველ-დელი სახით აღღვენა (მესდველობაში გვაქვს ის ხაწილი, რომელსაც აწერია „Грузинские песни“, ფფ. 100—133). მეორე — ამ ანთოლოგიით დაინტერესებული მარი ბროსე. სწორედ მას გადაუწერინებია იგი სვიმონ ტაბიძისთვის და თვითონვე შეუცვერებია „თეთრითან“ ანუ დედანთან. „თამარიანის“ ბოლოს ვკითხულობთ: „ესე წიგნი შევამოწმე თეთრითასაგან, ბროსე ერთ“ (ხელრთვა დაწერილია ხევულად). გამოირკვა, რომ მარი ბროსეს თავისი, ახლად გადაწერილი ანთოლოგია მთლიანად შეუმოწმებია დედანთან და აღღვენია ის მინაწერები, რომლებიც გამორჩენია გადამწერს. მაგალითად, ლექსს — „გამიფრინდა სიყვარულის ფრინველი“ — დედაში დამშეული ჰქონია თარიღით. სვიმონ ტაბიძეს მისი გადმოლება დაიწყნია, ბროსეს თავისი ხელით მიუწერია კიდეზე: „მარტის კბ, წელსა ჩყდ (73v). მ. ბროსეს ტექსტების შეცვერებისას შეუწინავს, რომ ლექსისათვის „ელვარეს ლაწვას სხივმოფენისა შენის ბაგენი“ გადამწერს დაუკლია ერთი ტაეპი. ესეც თვითონვე ღლუდგენია: „ვითა მღერობდეს (!) ვარდა ბულბული იაღონნა“ (75v). ლექსტიან „მოდით, მიჯნურნო მსოფლიურნო“ ბროსე ასახელებს დენდისეულ რევულსა და გვერდს: „ნახეთ 7 რევულისა მეხუთე გვერდი“; სხვაგან, ამავე თხზულებასთან უთითებს: „ნახ. ვ რა. მეექვსე გვ[ერდი]“.

ანთოლოგიაში მისი მფლობელი საკუთარ შენიშვნებსაც ურთავს. პეტრე ლარაძის მუსტაზალთან: „დამწარდეს უამნი, შემხვდეს ვამნი, საჭამნი“ იგი ასეთ ცნობას იძლევა: „მოკუდა ამ (!) პეტრე 1836-სა, თბილისში“. გარდა ხელისა, მინაწერის ბროსესეულობას ამჟღვნებს ჩვენებითი ნაცვალ-სახელის უაღგილოდ გამოყენება, რაც შეეძლო დაეშვა მხოლოდ უცხოელს.

ბროსესეულ ანთოლოგიისთვის (M—5) დედნად რომ დავით ჩუბინაშვილისეულ ნუსხა ყოფილა გამოყენებული, ამაზე მიუთითებს გადამწერის ანდერძიც: „წიგნი ესე 『თამარიანი』 აღწერილ იქმნა თეთრად დავით ჩუბინო-

ვის დედნისაგან, წელსა ჩყლჲ, ნომბრის 3-სა დღესა მე, სვიმონ ტაბიძე-
მან“... (!).

ეჭეს არ იშვევს ის გარემოება, რომ მ. ბროსე მ., დაინტერესებულმა
საქართველოს ისტორიის საკითხებით, ქართული კულტურით საერთოდ და,
კერძოდ, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობით, მოისურვა საკუთარ მფლ-
ბელობაში პქნოდა ქართული პოეზიის ნიმუშთა კრებული. დედნად ირჩია
ის ნუსხა, რომელშიაც დავთ რექტორის რედაქციული მუშაობა ჩანდა და
რომელიც გიორგი ეგნატეს ძე თუმნიშვილის, ქართულ პოეტურ თხზულება-
თა შემკრების, ავტორის ბულ ცალს წარმოადგენდა. თავისი ანთოლოგია მა-
რა ბროსეს ჩაუსვამს მოყვითალო ტყავის ლამაზ ყდაში და ყუაზე წაუწერი-
ნებია ოქრომელნით: Recueil des poésies géorgiennes.

ანთოლოგის ბოლო დანართისა და სამიმღისათვის

„დიდი ანთოლოგი“ ძირითადად დაწერილია 1816 წელს დამზადებულ
ლურჯ ქაღალდზე (საბიძლები 1820-სა და ნაწილობრივ 1816 წლის ამვე
ფერის ქაღალდზე), ბოლო ნაწილი კი — 1820-სა 1821 წლის თეთრ ქაღალდ-
ზე. თავდაპირველად (ანთოლოგის ორ წიგნად გაყოფამდე) თეთრი ქაღალდი
მხოლოდ ბოლოში უნდა ყოფილიყო გამოყენებული; მასალის ეანრობრივი
პრინციპით გადალაგების დროს კი იგი (თეთრ ქაღალდზე ნაწერი) პირველი
წიგნის ბოლოს მოქცეულა. ამაზე შეუთითებს ანდერძები, რომლებშიც ანთო-
ლოგიის დამთავრების თარიღებია მოცემული:

1. „აღვასწერე ალექსის ძე მან დავით რექტორ მან წელ-
სა ჩყკა ქ'ქს ფია, თუცსა იუნისსა კა“ (იხ. I წიგნი, გვ. 1124).

2. „აღვასწერე ალექსის ძე მან დავით რექტორ მან წელ-
სა ჩყკა ქ'ქს ფია, თუცსა დეკემბერსა ა“ (იქვე, გვ. 1174).

დავით რექტორის მიერ შეკრებილ მასალის ზისგანვე დამატებული თეთ-
რი ქაღალდი მთლიანად არ დასჭირებია.. დაუწერლად გაშეებული ფურცლე-
ბი შემდეგში სხვებს გამოუყენებიათ. 1180—1327 გვერდებზე მოთავსებული
თხზულებები სხვადასხვა დროს სხვადსხვა ხელითა ნაწერი. შედარებით მოგ-
ვიანებით მასში შეუტანიათ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები. უკანასკნელ
გვერდებზე კი — ლუკა ისარლიშვილის ლექსი „ექა, ჩემო ოცნებავ“ და ალ.
ჭავჭავაძისია — „რა ვჰორ, გულო“ (გვ. გვ. 1295—1327). ნიკოლოზ ბარათა-
შვილის ლექსს „შემორამება მთაშმიდაზე“ ბოლოში წვრილად მიწერილი
ექვს ავტორის ფურცლონიმი: „მირიან ივერისა“, ხოლო ლექსთან „ეკა-
ტერინას“ ავტორისებული შენშვინილან (აკინძვისას შემოჭრის შემდეგ) იყი-
თხება: „...რ[უ]ს[ულიდამ] ნათარგმნი თავადის შეკვავაძისაგან“. ამის წინ
(გვ. გვ. 1180—1294) სხვა ხელით შეტანილია სხვადსხვა პირთა ლექსები:
პეტრე ლარაძის, თეიმურაზ I, თეიმურაზ II, ალ. ჭავჭავაძის, ბარამ ბარათა-
შვილის, გრიგოლ, იოანე მუხრან-ბატონის ძის ბაგრატიონისა და დავით რექ-
ტორისა.

ეს ნაწილი დაწერილია 1823 წლის შემდეგ, არა უგვიანეს 1837 წლისა,
იგი ეკუთვნის პეტრე ლარაძე¹⁴, ხელი მისია (შდ. მის „მრავალფერყვავი-
ლოგანს“, S—155).

¹⁴ პეტრე ლარაძე თბილისშია 1819 წელს, იგი აცილებს თავის მეგობარს გიორგი ავა-
ლიშვილს, რომელიც მიემგზავრება უცხოეთში (იხ. ტ. რ. რუსა ძე, ქართული ეპოსი «გარ-



პეტრე ლარაძის ხელით ბოლოში შეტანილი თხზულებები არ უნდობენ მას გავსაცალ.

ანთოლოგის მეორე წიგნს დართული აქვს საძიებელი, შედგენილი დავით რექტორის მიერ. საძიებელში თხზულებებს წინ უზის ტექსტის სათვალავი, ხოლო ბოლოში — გვერდებისა. საძიებლის შემდგენელს სათაური ასოები წინასწარ დაუწერია სინგურით, მხატვრულად. მას მოწმობს ის, რომ ზოგიერთი მათგანისათვის განკუთვნილი არე, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, შეუსებელი დაჩინილა, ასეთებია ც, ი, უ, რ, ტ, ყ, ძ, ჭ, კ, ჰ, პ, შ და ფ. ზოგთან ერთი ან ორი თხზულებაა შეტანილი, გვერდის სამი მეოთხედი ან ნახევარი კი დაუწერლადა გაშეებულა, ასეთებია: ვ, კ, ლ, ნ, ფ, ჩ, ც, წ, ხ.

საძიებელში თხზულებები განლაგებულია ავტორთა სახელებზე, უავტორონი კი — სათაურის ან ლექსის სახელშოდების პირველი ასოს მიხედვით. ავტორთა სახელების თანამიმდევრობა ყოველთვის არ არის დაცული, მაგ., თეიმურაზ I-ს მიმკვება თეკლა ბატონიშვილი, ხოლო შემდეგაა თეიმურაზ II. ესა და ამგვარი გადანაცვლება გამონაკლის შემთხვევას შეადგენს დავით რექტორის საძიებელში. ხოლო აქვე შენიშვნული სხვა ხასიათის არევდარევა არ ეყუთვნის საძიებლის შემდგენელს. მათი ავტორი პეტრე ლარაძეა. მას მოუსურვებდია თავისი ხელით დაწერილი და ანთოლოგიაში ჩატული თხზულებან ასახულიყო საძიებელშიც. ამისათვის მას გამოუყენებია ზემოთ მოხსენებულ სათაურ ასოებთან დაუწერლად, ან ნაწილობრივ შეუსებლად გაშეებული არე.

საძიებელში პეტრე ლარაძის ხელი ჰგავს საძიებლის შემდგენლის ხელს, მაგრამ დაკვირვება მეტავრებს მათ შორის სხვობს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ციფრების დაწერილობაში და მასალის ანბანზე განლაგების ყოველგვარი პრინციპის დაუცველობაში, მაგალითად, „ლ“-ზე დავით რექტორის ხელით შეტანილია მხოლოდ ერთი თხზულება, სახელდობრ „ლეილ-მაჯნუნანი“, რომელსც წინ უზის ტექსტის სათვალავი — 243, ხოლო ბოლოში გვერდისა — 731. პეტრე ლარაძეს აქ შეუტანია თავისი „ლექსნი ძეობის ჩხაზედ თქმული პეტრე ლარაძისაგან“ და ბოლოში მიუწერია 1214 (გვერდის სათვალავი), ხოლო წინ — 244. ეს უკანასკნელი მას, როგორც ჩანს, რიგით ნომრად ჩატულია. დაგით რექტორს კი 244-ით აღრიცხული აქვს „იოსებ-ზილიანანის“ ტექსტი.

ამავე ხასიათის კიდევ ერთი ნიმუში: „ჩ“ სათაურ ასოზე დავითს შეტანილი აქვს: „ჩახრუხას ძისაგან თქმული თამარ მეფის ქება“ (გვ. 629, ტექსტი 230). პეტრეს აქაც მიუწერია თავისი ლექსი სათაურით: „ჩახრუხასულად რეკლ-წყობილნი და შაირნი პეტრე ლარაძისაგან თქმულნი, სპარსეთით გამოყვანისა უამსა მეფის ძის თემულაზისასა...“ (გვ. 1204). დავითისაგან წინა თხზულების ტექსტის აღრიცხვა — 230 მას განუგრძელა და თავისი ლექსის წინ დაუსვამს — 231. ტექსტის ეს სათვალავი დავით რექტორს უზის ალ. ჭავჭავაძის ლექსთან „სხვადასხვა დროისათვე კაცისა“. „კ“ სათაური ასოს სვეტში

დამივალი ხანისა ლოტერატურაში, 1939, გვ. 139); 1820 წელს კი ხვდება მოგზაურობილან დაბრუნებულ გ. ავლიშვილს (იბ. გ ი თ რ გ ი ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, მგზავრობა, ელ. მეტრე-ველის რედაქციით, 1967, გვ. 34).

ანთოლოგის დარღულების დროს (1823 წ.) იგი კალვ თბილისშია, თუ პეტრებურგში მოუდა მისი შეუსება, კიბრეგობით დაუდგენელა.



საძიებლის შემდგენელს, აგრეთვე, ერთი ლექსი აქვს შეტანილი: „პეტრე ლა-
ონელის მგალობლის თქმული ანბანთქება“ (გვ. 82, ტექსტი 45). აქვე პეტრე
ლარაძე თავის თხო ლექსს ათავსებს გვერდების მითითებით, ხოლო მათ ტექ-
სტებს აღარ ნომრავს. როგორც ჩანს, სამი ფურცლის წინ, მისგან რიგოთ სათ-
ვალავად გააზრდებული 231-სა და 244-ის შემდეგ, თხზულების წინ დასმულმა
45-მა გააკვირდა, ვერ გაიგო მისი დანიშნულება და ამიტომ მისგან საძიებელ-
ში შეტანილი მასალის აღრიცხვას თავი დაანება, ამ შემთხვევაშიც და ქვემო-
თაც.

საძიებელში თხზულებათა შეუფერდლად და გამოუყენებლად განლაგე-
ბის კიდევ ერთი ნიმუში: დავით რექტორს „თ“ სათაურ ასოზე გატანილი შა-
სალის ბოლოს მოთავსებული აქვს თემიტრაზ II-ის „ხილთა ქება“. საძიებ-
ლის შემვსებს (3. ლარაძეს) აქვთ, სრულიად გაუგებარი ნიშნის მიხედვით შე-
აქს შემდეგი თხზულებები:

- „თ ჯ წ ნ ი ს ი ყ არიბძს პეტრე ლარაძის მიერ თქმული . . . 1228“.
- „თ ქ მ უ ლ ი მეფის მიერ დიდის თემიტრაზისა 1241“.
- „თ ა ვ ა დ ი ს ი ლექსანდრე ჭავჭავაძის თქმული 1246“.
- „თ ა ხ მ ი ს ი თქმული დავით რექტორისაგან 1289“.

ამ სვეტში პეტრე ლარაძეს თემიტრაზ I თხზულება შეეძლო შეეტანა
ავტორის სახელის ნიშნით და არა სიტყვისა — „თქმული“. იმ წესით, რო-
გორითაც ეს უკანასკნელი და ალ. ჭავჭავაძის ლექსებია წარმოდგენილი პეტ-
რე ლარაძის მიერ, საძიებელი გამოუყენებელია.

პეტრე ლარაძეს საკუთარი ლექსები შეტანილი აქვს „ყ“ სათაური ასოს
სვეტშიც:

- „ყ ა რ ი ბ ი პეტრე ლარაძის მიერ თქმული ხმა ყარიბი 1224“.
- „ყ ა რ ი ბ ი პეტრე ლარაძის მიერ თქმული თექნისი 1226“.

გარდა ამისა, აქ კიდევ მისი თხზი ლექსია მოტანილი „ყარიბის“ ხელმო-
წერით.

სხვებზე რომ არა ითქვას რა, ანთოლოგიის შემვსებს (3. ლარაძეს) საკუ-
თარი ლექსები საძიებელში დაფანტული აქვს სხვადასხვა ასოებზე: თ (თექ-
ნისი...), ლ (ლექსნი...), პ (პეტრე...), ჩ (ჩახრუხაულად რეულ-წყობილი...),
ყ (ყარიბი...).

ამრიგად, „დიდი ანთოლოგიის“ საძიებელში შენიშნული შეუსაბამობა-
ნი, რომლებიც ზოგ შემთხვევაში საძიებლების ყოველგვარი წესის დარღვე-
ვას წარმოადგენს, არ კუთვნის საძიებლების შემდგენელს — დავით რექ-
ტორის.

როგორც ზემოთაც ითქვა, გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილი ცნობილია
როგორც მოშაირე, მაგრამ მას, გარდა ამისა, თანამედროვე საზოგადოებაში
მოპოვებული ჰერნია ვეტორიტეტი და პარიტეტის ცემა. გ. თუმანიშვილს მრავალ
ლექსს უძღვნის პეტრე ლარაძე, მას ურთიერთობა აქვს ბატონიშვილებთან,
დავით რექტორიც მოწინებით მოიხსენის: „მისმა ბრწყინვალებამ თავად-
მან გიორგი ეგნატის ძემან თუმანოვმან და სტატსკის სოვეტინიკმან და კავა-
ლერიძ მიბრძანა სხვათა და სხვათა მეშამრეთაგან თქმულისა ერთად შეკრე-
ბა და ღწევრა. მეცა ბრძანებისა მისისა მოაჩილმან...“ და სხვ.

პლატონ იოსელიანი თავის თხზულებაში „ცხოვრება გიორგი მეცამე-
ტისა“, ახასიათებს რა გიორგი თუმანიშვილს, ეხება ჩვენთვის სინტერესონ სა-
კითხსაც. იგი წერს: „გიორგი თუმანიშვილი, ძე ეგნატი მდივნისა, მოყვარე



მწიგნობრობისა და მწერლობისა. ამან შეკრიბა ერთ წიგნად ლექსინაშვილი და თქმულნი და უწოდა ქართველთა მწერლობისა ამას საუნგესა პატიორსა ალექსანდრე...¹⁵ მივმართოთ განსახილველი ანთოლოგის ნუსხებს (S—1511, 1512). მათვისის პეტრე უმიკაშვილს შეუდგნია პასპორტი და ორივე ნუსხის საცავ ფურცელზე წაუშერია თავისი ხელით. მოვიტან ერთ-ერთ მათვის: «მრავალულერვავილოვანი»¹⁶ ეწოდება წიგნსა ამას. მიხეილ ზაალის ძის ყიფიანისაგან [მოტანილ, ლ. ქ.], თავად თუმანიშვილის ალექსანდრე გიორგის ძის სახლობილიმ გამოგზავნილი. ზოგი ფურცლები არეულია მეორე შეკრული წიგნის ფურცლებთან, რომელსაც ჰქიანან «სხვადასხვა ამბავნი». გადაწერილია დავით რექტორისაგან. პეტრე უმიკაშვილი. 1887 წ.¹⁷.

ასეთივე წარწერა აქვს ანთოლოგის პირველ წიგნსაც, იმ განსხვავებით, რომ მას ეწოდება, როგორც წინა პასპორტშიც იყო აღნიშნული, «სხვადასხვა ამბავნი».

პლატონ იოსელიანის ცნობაში გარკვეულადაა ნათქვამი, რომ გიორგი ეგნატეს ქე თუმანიშვილის მეტ შეკრებილი ქველი შაირები, რომელთაც შემკრებმა უწოდა „მრავალულერვავილოვანი“, ინახება მის ვაჟთან — ალექსანდრესთან („...დღესაც, აქვს იგი შეილსა მისა ღენერალ-მაიორსა ალექსანდრეს...“). ანთოლოგის პასპორტშიც აღნიშნულია, რომ მას ეწოდება «მრავალულერვავილოვანი» და რომ იგი გამოგზავნილია ალექსანდრე გიორგის ძის თუმანიშვილის ოჯახიდან.

აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, ორივე ცნობა ეხება ერთსა და და იმავე ნუსხებს სახელწოდებით «მრავალულერვავილოვანი» და «სხვადასხვა ამბავნი».

მოცულმინოთ პლატონ იოსელიანის მეორე ცნობასაც:

„...ეს ლექსები შეკრებილია ქართული სიტყვიერების მოყვარის, განსვენებული სტატსეი სოვეტინიკის თავადი გ. ე. თუმანიშვილის შრომის შედევრად. ეს არის ანთოლოგია, რომელიც დაწერილი მეფე ირაკლი მეორის დროინდელი თელავის სემინარიის რექტორის დავით ალექსანდრის ხელით. ის დაწერილია 1820 წელს და არსებობს მხოლოდ ერთ ცალად“¹⁷.

ახლა, როდესაც ჩევნოვის გარკვეულია, რომ განსახილველი, ე. წ. „დღი ანთოლოგია“ შეასო და რედაქციულად საქმაოდ თავისებურად გამართა დავით რექტორმა, ვერ დავუგერებთ ვერც პლატონ იოსელიანს და ვერც პეტრე უმიკაშვილს, რომ თითქოს დავით რექტორი მხოლოდ „დაწერი“ (გადამწერი) იყო მისი. მაგრამ ისიც უკველია, რომ მას ხელთ პქონია გიორგი თუმანიშვილის კრებულიცა და ამ უკანასნელიდან მომზინარე ნუსხაც (S—3723-ის ფრაგმენტი, ნაშილი დიდი კრებულისა). მაგრამ ვიდრე არ ვიძოოვთ გიორგის ხელნაწერის „შავი“ ან „თეთრი“, ან ორივე ერთად, არ შეგვიძლია ვადაწყვეტით ვთქვათ, ვისი მასალა ჭარბობს ანთოლოგიაში, ვინ არის შემ-

¹⁵ პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი შეცამეტისა, 1936, გვ. 264.

¹⁶ პ. უმიკაშვილს გამარვია შეცდომა. „მრავალულერვავილოვანი“ ეწოდება პეტრე ლარაძის ლექსითა კრებულს, გიორგისას კი — „მრავალულერვავილოვანი“. ასევე აწერია ყუაზეც (წიგნი მეორე, S—1512).

¹⁷ Пл. Иоселиани, Описание города Душета, Тифлисской губернии, 1860, გვ. 65—66; გ. მიქაელის დასახულებული გამკვევა.

დგნილი: გიორგი თუმანიშვილი, როგორც ძველად მიაჩნდათ, თუ დავით რექტორი მისგან, როგორც ამჟამადაა მიღებული.

ჩვენის აზრით, ეს საჭირო საკითხი ასე გამოიყურება: გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილმა დაუკვეთა ნაცად რექტორსა და იშვიათ კალიგრაფს მისგან შეკრებილი შაირების შევსება, მოშაირეთა სახელების დაზუსტება და გადაწერა (შესაძლებელია, რაიმე სახის ანაზღაურებითაც კი). დამკვეთმა შესრულებული სამუშაო, უყოფმანოდ, თავისად მიიჩნია; დაპყო ივი უანრობრივად¹⁸, ერთ წიგნში მოათვასა ეპიური თხზულებანი, მეორეში — ლირიკული. პირველს უწოდა „სხვადასხვა ამბავნი“, ხოლო მეორეს — „მრავალყვავილოვანი“¹⁹, მოსალოდნელია ბერძნული „ანთოლეგოს“ (ანთოლოგია) ანალიგითაც: ანთოს — ყვავილი; ლოგო — ვაგროვებ. ორივე ჩასმევინა ტყავის ყდაში და ყუაზედაც წააწერინა მისგანვე შერქმეული სახელშოდებანი.

Л. И. КУТАТЕЛАДЗЕ

АНТОЛОГИЯ РЕКТОРА ДАВИДА

(Резюме)

Антология, составленная в 1821—1823 гг., приписываемая Давиду Алекси-Месхишвили (Давиду Ректору) состоит из двух книг, в одну включены произведения поэтические, во вторую — эпические. Распределение материалов Антологии по жанрам, безусловно, произошло после ее завершения, о чем свидетельствует перетасовка различных частей сборника и смешение пагинации страниц. Составление и переноска Антологии было поручено Д. Алекси-Месхишвили Георгием Игнатовичем Туманишвили. Для выполнения предложенной работы Давид Алекси-Месхишвили использует разные списки стихотворных сборников. Основным источником для сборника Давида послужила Антология, составленная его отцом Алексием Месхишвили во второй половине XVIII в., а также сборник стихов и песен, собранных Георгием Туманишвили.

При составлении Антологии Д. Алекси-Месхишвили провел кропотливую редакторскую работу; им сверены тексты разных списков, установлено авторство анонимных стихов, составлен указатель и т. д.

¹⁸ გამორიცებულია ამ „დაყოფის“ მიწერა დავით რექტორისათვის. ასეთ შემთხვევაში ივი არ დაუშვებდა გვერდებისა და ტექსტების საოვალების არევას და უფერებად გადამზადა მათ.

¹⁹ შესაძლებელია, პეტრე ლარაძემ თავისი ლექსების კრებულს „მრავალუერყვავილოვანი“ (S—155) უწოდა თავისი მეგობრის გ. ე. თუმანიშვილის მაგალითით.

მარა გამაცავილი

„ვის ო რამინ“ — პართული რომანი

ფახტედდინ გორგანელის თხზულება „ვის ო რამინ“ სპარსული კლასიკური მწერლობის ერთი ბრძყინვალე ქეგლია. პოემა აგებულია ანტიკური ხანის ირანულ სიუეტზე. ირანისტიკში დღემდე გრძელდება დავა იმის შესახებ, რა ირითადად რომელი კულტურის პროდუქტია უნდა ჩაითვალოს თხზულება: ძველი პართული, სასანური თუ ისლამური კულტურისა. ვერც იმაში შეთანხმებულან საბოლოოდ მყვლევარნი: გამოგონილი ამბავი უდევს საფუძვლად ნაწარმოებს თუ ისტორიული სინამდვილე.

დანიელი მეცნიერის არტურ ქრისტენსნის აზრით, „ვის ო რამინ“ არ წარმოადგენს ისტორიული ხასიათის გალექსილ ნაწარმოებს. იგი შეოხეცული ეპოზეა (pure fiction)¹. დაახლოებით ამავე აზრისაა ირანის ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სადეყ ჰედაიათი: „Тема „Вис о Рамин“ выбрана очень смело и очевидно, поэтому герои этого произведения вымышленные лица. Они не такие, как в сказаниях, но и не сообразуются с историей“².

გამოთქმულია საწინააღმდევო მოსახრებაც, რომ შესაძლოა პოემა ისტორიულ ფაქტზეც იყოს დამყარებული³. თვით ფახტედდინ გორგანელის სიტყვით, ეს ამბავი ლიტერატურული ფორმით არსებობდა „ფაზლავის“ ენაზე, რომელიც მისი დროისათვის უკვე გაუგებარი იყო ბევრისათვის. ის ნაწილი, რომელიც „6 ბრძენს“ (ექვე შემკრებს) მიეწერება, პროზით იყო შესრულებული. გურგანი არც ძევლი ამბავს ახალ სპარსულზე გამლექსავთა არსებობას გამორიცხავს. ესაა, რასაც მოგვითხრობს თავისი პოემის შესახებ ფახტედდინ გორგანელი. ისტულების დასაწყისში გადმოცემულ ამ ცნობას ეწინააღმდევება იტალო პიცის თავისთვის საეჭვო არგუმენტი იმის შესახებ, რომ პოემის ჩანაციქრი სახალხო მთქმელის ნაწარმოებს უყრდნობა, რომ სწორედ იგია თხზულების ავტორი და არავითარი ძველი მოდელი არ უნდა არსებობდეს⁴. ფ. გაბრიელის მიხედვით, „პირველივე სტრიქონების კოლორიტი და ფუნქცია მიგვანიშნებს თხზულების წარმოშობას: ამ ბებიც და მოდელიც

¹ A. Christsen. Les Gesles des Rois dans les traditions de l' Iran antique. Paris, 1936, 61.

² Д. С. Комиссаров — Садек Хедаят исследователь и переводчик, Иран, Сборник статей, М., 1963, стр. 205.

³ The Encyclopaedia of Islam, New edition, V. 11, C—G, Leiden—London, 1965, 142—143.

⁴ J. Pizzi. Storia della Poesia persiana, II, 88.

а д л ю а с л ѿ б о д д а «^и» (ხაზი ჩევნია — მ. გ.). ჩ. შტაკელბერგი ფიქრობს: რომ პოემის ფაბულა ინდოეთიდანაა შემოტკრილი, ხოლო მოქმედების დრო და ყოფითი ამბები სასანელთა ირანს ასახიერებს. სასანურ ეპოქას მიაცუთ-ენებს ა. ქრისტენენი „ვის ო რამინს“ თავისი ხსიათით, ხოლო ფორმის თვალსაზრისით ისლამური კულტურის პროფეტად მიაჩნია იგი⁷. გ. იმედა-შევილის აზრით, „ვის ო რამინს“ სიუჟეტის სამშობლოა აღმოსავლეთი სპარ-სეთი, ხოლო ეპოქა — აქემენიდურის. ფ. გაბრიელის ვარაუდით, ძეგლის მო-დელი ძელია, განწყობილება წინაური ისლამური, ხოლო სული პოემისა — ახალსპარსული⁸. თუ ფრანგისკო გაბრიელის ყურადღება ძირითადად მაინც ძეგლის მხატვრულმა პრობლემებმა მიიძყრო, ვ. მინორსკი შეეცადა ძელი წყაროების და ძირითადად თვით პოემის მონაცემების გათვალისწინებით გაერკეთ თხზულების შევნის ღრი და ადგილი. პოემის გეოგრაფიული გა-ერმოს, საკუთარი სახელებისა და მმართველობის ფორმების ღრმა ანალიზის შედეგად ვ. მინორსკი მივიდა დასკვნამდე, რომ თხზულება შექმნილია პარ-თულ ანუ აშეანელთა ეპოქაში¹⁰. ამ დროის კულტურის ნაყოფად მიაჩნიათ ძეგლი ზაბაპოლა საფას¹¹, მაპუბის¹² და საპოთა აღმოსავლეთცირქნებს მ. ზანდს, რომლის აზრითაც, რომინი უთუოდ წინარეესილამური ლიტერატურის (ვარაუდით პართული) სიუჟეტზეა შექმნილი¹³. ე. ბერთელის მიხედვით, ლეგენდა „ვისისა და რამინს“ შესახებ შესაძლოა კიდევ არსებობდა პარ-თულ ფოლკლორში, „Но думать, что героя парфянских сказаний могли обладать теми же чертами, какими наделены герои поэмы Гургани, конечно, нельзя. Подобное сопоставление будет иметь характер лишь формального, поверхностного сравнения“¹⁴.

დღემდე საკამათოა საკითხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს გორგანის თბილება: ძველი ფალაური ტექსტის თარგმანია იგი, როგორც ტრადიციულად მიაჩნდა, მისი გადმოჲეთა-დამუშავებაა თუ ორიგინალური, დამოუკიდებელი ნაწარმოები¹⁵.

⁵ F. Gabrieli, Note sul Vis u Ramn di Fahr ad Din Gurgani, Rendiconti dei Lincei di Roma, 1939, VI, vol. XV, 169.

⁶ Р. Р. Штакельберг, Несколько слов о персидском эпосе «Виса и Рамин», Превности Восточные, II, СПб. М., I в. 1896, стр. 21.

⁷ A. Christensen, *ibidem*, 53, 91—92.

⁸ გ. იმედვაწვერი, კოსტანტინი, გვ. 11—12.

⁹ E. Gabrieli, *ibidem*, 58 (1932), 22, 173.

¹⁰ V. Minorsky, *Vis u Ramin a Parthian romance*, BSOAS, vol. XI, part. 4; 1946: vol. XII, part I, 1947; vol. XVI, part I, 1954.

قال يحيى ادريس ابراهيم حالمي تاليف دكتور فخر الله عزها قرآن ٦٣٣١٣٧٤

دوم، دیگر د هر دیجع آنها صفا هرگز نمیگذرد.

ویس و رامین فخر لر نای به اهتمام محمد جعفر هجیوب، تهران، ۱۹۵۹.^{۱۲}

¹³ М. И. Занд, Шесть веков славы, М., 1964, стр. 108.

¹⁵ Б. Э. Бертельс, История персидско-таджикской литературы, М., 1960, стр. 284.

ქართული „ვისტამინის“ ახალი გამოცემის ვეტორები თვლიან, რომ „ვისტამინის“ ფასულის არ უნდა განეცალოს რაიმე არსებითი ცვლილება. რომანში შემორჩენილია მაზდეანური ყოფა და სული, შემორჩენილია მაზდეანური, ფალაური დროის საკუთარი სახელები მოქმედი გმირებისა, თვითონ რომანის ინტრიკებზე რომ არაფერი ვთქვათ, მაგრამ ყოველივე ეს იმსა როდი ნიშნავს, თითქოს გორგანის არაფერი შეეცვალოს... ამბებისა და სიტუაციების, სიუცეტური რგოლების ამოღება მას არ შეეძლო. ეს რომანის თარგმნა (ხაზი ჩვენია — მ. მ.) კი არა, გადაკეთება იქნებოდა, ნაშირა ანუ მიბაძვა გამოვიდოდა”¹⁹.

„უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ „აღმოსავლურ ცივილიზაციაში“ ეს შეხედულებები სუმირებულია ამგვარად: „დღეს „ვის თ რამინის“ სიუკეტის ახალი შესწავლა საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ არა მარტო ის, რომ გორგანი ზედმეტვნით მისდევს ლეგენდის ახალსპარსულ ან ძველ ფალაურ რედაციას, არამედ ისიც რომ მასში (პოემაში) მონაწილეობს უფრო ძველი ეპოქაც — არშაკილების ანუ პართელებისა²⁰.

თუ საბოლოოდ გაირკვა რა ღოზით მონაშილეობს პოემაში ძევლი პარ-
თული ეპიკა თავისი ყოფით, კულტურით და ტრადიციებით, ბუნებრივად
გადაწყვდება პრობლემაც, რომელი კულტურის ნაყოფი უნდა იყოს ძევლი.

2

卷之三

საყოველთაო კეშმარიტებაა, რომ თითოეული ხალხის კულტურული მექანიზმების შესასწავლად გაღამრწყვეტი მნიშვნელობაა ამ კულტურის შემორჩენილ ძეგლთა რაოდენობისა და მათი დაცულობის ხარისხს ენიჭება. ისიც კრიგადაა ცნობილი, რომ ანტიკური ხანის ირანის ლიტერატურულმა ძეგლებმა ჩვენამდე ტრანსფორმირებული სახით მოაღწია. ასე რომ, თანადროულ მეცნიერებას საქმიანო ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ძეგლი ირანის

ويس و رامين، فخر الدين اسعد گرگاني، تصحيح ماگالي تودوا -الكساندر گواخاري، انتشارات نساد فهنگ ايران، ۱۳۴۹، ۱۲-۲۲.

¹⁶ F. Gabrieli, ଲାକ୍ଷଣ୍ୟ, ନାମିତା, ୩୩, ୧୭୩.

¹⁷ Д. И. Комиссаров, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

¹⁸ И. С. Брагинский, Из истории персидской и таджикской литературы, М., 1972, стр. 285.

19 „ვისრამიანი“, ტექსტი გამოსტუმად მოაზიარეს, გამოკლევთა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მაგალითობრივ, თბ., 1962, გვ. 12—13.

²⁰ Le civiltà dell'Oriente, vol. II, Letteratura, Gabrieli—Letteratura persiana, edizioni Casini, Fiereze—Roma, 1970, 362—363.

ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებაზე. ბუნებრივია, ასეთ პირობებებში განსაკუთრებული ღირებულების მქონეა იმ კულტურათა მონაცემების გათვალისწინება, რომელთაც ახლო კონტაქტი ჰქონდათ ძველ სპარსეთან. მით უფრო, რომ არცართ ერთს კულტურას არ ჰქონდა ისეთი სიცარი უნა-რი სხვა ერთა კულტურულ მონაცოვართა აღმდისა და შემდგომ მისი ოცისობ-რივად ახალ სახეობად ტრანსფორმირებისა, როგორც იჩინს (შლოსერი). ამი-ტომ აქვს სწორედ დიდი მნიშვნელობა ირანულისა, და საზოგადოდ, აღმო-საელური და ბერძნული კულტურების შეხვედრას, მათს ურთიერთში განზა-ვებას, რომლის შედეგად შეიქმნა თვისობრივად ახალი, ე. წ. ელინისტური კულტურა.

ალექსანდრე მაკედონელის გამარჯვებებშია სამუდამოდ მოცული ძოლო ძემენიდების თვალზედენსა და უძლიერეს სახელმწიფოს. ეს უზარმაზარი იმპერია დაქუმაცია ცალკეულ სამეფოებად. მის ნაგრევებზე შემდგომში აღმოცენდა ბერძნულ-ბაქტრული და პართული სახელმწიფოები. პართიაში გაიმარჯვა არშავიდების დინასტიამ, რომელიც 5 საუკუნის მანძილზე იღწვო-და ძველი ორანის დაკარგული პოლიტიკური და კულტურული ძლიერების აღსაღენად.

²¹ Р. Н. Фрай, Наследие Ирана, М., 1972, с. 210, 242.

²² G. Rawlinson, The sixth great oriental monarchy on the geography, history and antiquities of Parthian, London, 1873, 399.

²³ Р. Фрай. 1942. 22. 242.

ათ ელინისტური კულტურის შთანმოქმედი გავლენისაგან და შეინარჩუნებული კუთხით, რანცული ტრადიციებიც²⁴.

როგორ მიმდინარეობდა ლიტერატურული ქანტების დიფურნცაცია პართული ეპოქის მშერლობის ისტორიაში და საზოგადოდ, რა ხასიათისა იყო ეს ლიტერატურა, ამის წარმოლევნა ჩვენამდე მოწეული ძეგლების მიხედვით კირს, რაღაც ეს ეპოქა ნაკლებადა დოკუმენტიატული, ხოლო შემორჩენილი ძეგლები ჩვენი წელთაღრიცხვის V—IX საუკუნეების მდგრამა-რეობას სასახელი მხოლოდ. ამას ემატება ისიც, რომ არშავრდების მემკვიდრეებმა — სასანელებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა დაფუარათ თავისი წინაპრების კულტურული საქმიანობის კვალიზ. ესეც რომ არ იყოს, პართული და სასანური კულტურა ისეა ორგეული ერთმანეთში, რომ მათი გამოცალევება და ერთმანეთსაგან გამიზენა ხშირად ძნელდება — ისე აისებს და აგრძელებს ერთმანეთს ეს ორი კულტურა. მაგალითისათვის შეიძლებოდა დაგვესახელე-ბინა დურა-ეკრობოსში ღვთაება მითრას ტაძრის ფრესკული გმირსახლება. ამ კომპონიციაში (მითრა წარმოლევნილია ირმებზე მონაირედ თავისი ამაღლით — გველით, ლომით და გარეული ტაძრით) შეკარად გამოსკვივის ის ნიშნები, რომლებიც ასე დამახასითებელი ხდება შემდგომ სასანური პერიოდის სპარსული ხელოვნებისათვის²⁰. ასევე შეუძლებელია სპარსული თორ-რეგრიეს შესანიშნავი ქმნილებების, „კარენებს განძის“ სახელით რომა ცნობილი, ცოდნის გარეშე სასანური ეტრუკლის შესწავლა და გავება²¹. ასევეა აღრეული ერთმანეთში პართული და სასანური ეპოქის ლიტერატურული ძეგლები. ე. ბერვენისტს კუთვნის ცდა „აიალექარე ზარერანისა“ და „დრახთ ასურიკის“ მეტრული რეკონსტრუქციისა; მის მიერევა გამოვლენლი და ფადგენილი, რომ ეს ძეგლები არის პართული ტექსტები²².

ဒါန်မြတ်စွာ ပေးပို့ဆောင်ရွက်ခဲ့သူများ အားလုံး၏ အကျဉ်းချုပ်မှု အမြတ်ဆုံး ဖြစ်ပါသည်။ မြတ်စွာ ပေးပို့ဆောင်ရွက်ခဲ့သူများ အားလုံး၏ အကျဉ်းချုပ်မှု အမြတ်ဆုံး ဖြစ်ပါသည်။

²⁴ P. Φραν. დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

²⁵ Я. Рипка, բանակ, նամերոմի, թ. 245; Р. Фрай, բանակ, նամերոմի, թ. 244.

²⁶ М. М. Дьяконов, Очерк истории древнего Ирана, М., 1961, 245.

27 0430 32 251

²⁸ Я. Рипка, төсөөлөө, баатарлого, 23. 73.; М. М. Дьяконов, төсөөлөө, баатарлого, 23. 234.

²⁹ М. М. Дьяконов, *Фасады. Башни. Торги*, 23, 251—253; Р. Фрай, *Фасады. Башни*,

— M. M.
pp. 213—214

39 В. Фрали. Глобус. № 37023, лл. 213—214.

ასეთია მოკლედ არშავიდების დროის პართული ირანის რელიგიური კულტურული ყოფის არასრული სურათი. ამ სურათში ჩვენთვის ყველაზე სახნტერებს და მნიშვნელოვანია არშავიდების სწრაფვა ძეგმენიდების მმართველობის ფორმებისა და პრინციპების გაცოცხლებისა და მათი ყოფილი ძლიერების აღდგენისაკენ. სხვა საქმეა, რამდენად მოახერხეს მათ ეს. ბუნებრივია, ეს მისწრაფებები და სურვილები როგორლაც ლიტერატურაშიც ისახებოდა. ამის შესახებ ნაწილობრივ ხდება შესაძლებელ მსჯელობა „ვის ორაშინის“ მიხედვით. ძეგლში აღწერილია პართული სინამდგარისა და ყოფის არსებითი მომენტები, რომელთა ჩაღრმავებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელი გახდება დავასკვნათ, რომ თხზულება პართული კულტურის არეალშია მოქმედული, პირდაპირ ამ კულტურიდანაა იმოზრდილი.

თითქმის ყველა შევლევარი აღნიშნავს პოემის წყაროების პართულობას (ეთე, მაჟუბი, საფა, გაბრიელი, ბაზუანი და სხვ.), მაგრამ მათი დასკვნები ან საერთო შთაბეჭდილების ხსიათს ატარებს, ან მოკლებულია ფაქტობრივ მასალას, ანდა, საერთოდ, ცალმხრივია. პართული წყაროების მოშველიერით ვ. მინორსკი შეეცადა ეჩვენებინა თხზულების შესაძლებელი კაშშირი პართულ სამყაროსთან. მკვლევარმა პოემაში გამოავლინა იმის ნიშნები, რომ ამ-ბავი მოხდა იმ დროს, რომელიც წინ უსწრებდა ორგანიზებულ და ძლიერ შმართველობას — სასანელთა დინასტიის შმართველობის ეპოქას. გვოგრაფიული გარემოს, საკუთარი სახელების და შმართველობის ფორმების მიხედვით ვ. მინორსკი ასკვნის, რომ თხზულება პართულ სამყაროს ეკუთვნის. მკვლევარს ასეთივე ინტერესით აღარ უკვლევია პოემის სხვა რეალიები, რომლებიც ჯრეთვე პართულ სინამდვილესთან ჩანს დაკაშშირებული და სრულიად ამოვარდნილია ისლომური ყოფიდან. ასეთი მომენტები ბევრია პოემაში.

დაცულყოთ იმით, რომ ოხულებაში ღირდანს საჩიოთიროდ ეჩვენებოდათ
და-ძმის (ცისია და ასმინის) შეულების ფაქტი. თანმედროვე ირანელი
მკვლევრები დღესაც თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ ზოროასტრელებს
შორის ნათესაურ ქორწინებას არ ჰქონია ადგილი და რომ ინცესტი სპარსეთ-
ში მაზდაცის მოძრვებას შემობევა. იასიმის და ფირანიას აზრით, ზოროას-
ტრელთა შორის კულტივირებული იყო მხოლოდ ბიძაშვილთა შეულება, ხო-
ლო ინცესტი და-ძმას შორის მაზდაცის ქადაგებათა პროცესებია³¹. მაზაჰერის
აზრითაც, ინცესტის შემოღება იანში მაზდაცის მოძრვებას უკავშირდება³².
საინტერესოა, რომ სწორედ და-ძმის შეულების ამ დასაგმობ ჩვეულების
არსებობას უკითხირენენ ეკლესიის მამები (კერძოდ კი, იანშ აქტოპირი)
და მუსლიმანი მემატიანები ძეველ სპარსელებს და ჰემობდნენ ინცესტის ზო-
როასტრელ კანონებს³³. ცხადია, ეს ჩვეულება გავრცელებული იყო ზოროას-
ტრელთა შორის, თორემ გასაკიცხი, დასაგმობი აღარაფერი იქნებოდა. და,
მართლაც, ექვემდინდება კაბინშია ცოლად შეიჩრთ თავისი ღვიძლი და. დარი-
ოსმა — ნახევარი და, არტაქსერქს II-მ კი თავისი სული³⁴. პლუტიაქს ცნო-
ბით, პერაკლიდე კამელი ირმუნება, რომ არტაქსერქმა მარტო არისა ის ას-

³¹ А. Сулеймани, Семья в сасанидском государстве, Изв. АН Аз. ССР, № 3, Баку, 1961, стр. 72.

32 *edī3o*, 33. 72.

³³ История религий и тайных религиозных обществ древнего и нового мира, III, СПб., 1870, стр. 250.

³⁴ Плутарх, Сравнительные жизнеописания, III, М., 1963, стр. 363.

შეიძლო, არამედ მეორე სულიკე³⁵. არც პართი მეფეები ჩამორჩნენ თვალისწინების წინააღმდეგ. ფრაატება იქორწინა საკუთარ ლაშე — მუზაშე.

გარდა ზოროსტრიზმისა, ეს ჩვეულება გავრცელებული იყო უცველეს ხალხთა ყოფაში, რომლებსაც არავითარი კვშირი არ ჰქონდათ ზოროსტრიზმთან. ჩ. ფრაის აზრით ეს ჩვეულება უნდა წარმოშობილიყო მახლობელ აღმოსავლეთში, აქემენიდებამდე დიდი ხნით აღრა. ირანში ის შეიჭრა ელა-მიდა³⁶.

როგორც არ უნდა იყოს, ინცესტი დადასტურებულია აქემენიდებისა და პართელების ირანში. ოვთ ძველი სპარსული საღვთო წიგნი ავტისტა ადასტურებს ინცესტის ფაქტს. იქ მას ეწოდება Xvétukdat, რაც უსახლვორ სიხარულს ანიჭებს ოჯახს. ინცესტი ვერ ჩაითვლება მატრიარქატის გაზმონაშთად, რადგან მატრიარქატი არ იცნობს და-ძმის შეუღლების ფაქტს³⁷. ჩანს, იგი ნაკარნახვი იყო გვაროვნული სიმდიდრის შენარჩუნების სურვილით³⁸. ა. ქრისტენები ფალაური წყაროების შესწავლის საფუძველზე ასკენიდა, რომ „Брак между близкими родственниками рассматривается не как несчастный, а как акт благочестивый и достойный с религиозной точки зрения³⁹“.

მითოლოგია გვიდასტურებს, რომ ადგინანდისათვის მიუღებელი ინცესტი ღმერთებს შორის იყო გავრცელებული, ხოლო კაცობრიობის ისტორია კი გვაუწყებს, რომ დაძმის შეულლება ღვთაებრივი კანონია ძველი მონარქებისათვის (ეგვიპტის ფარაონებისათვის, პერს ინკაბისათვის და სხვ.).

³⁵ Плутарх, Сравнительные жизнеописания, III, М., 1963, стр. 363.

²⁶ Р. Фрай, Հայան, Եամուսնութեան, զ. 168.

³⁷ М. М. Дьяконов, фасб. башк. 365.

38 0139.

³⁹ А. Судеймани, բանակ, ԽՄՀԹՁ, 23, 72,

⁴⁰ Э. Б. Тейлор, Первобытная культура, I, СПб., 1896, стр. 257.

⁴¹ А. М. Клитин, История религии, Одесса, 1910, стр. 225.

⁴² З. Фройд, Лекции по введению в психоанализ, М., 1923, §§. 11, 125.

მავზოლი იყო ძმა და ქმარი არტემიზიასი, რომელმაც თავისი ქმრის სახელზე გამოიკვეთა ასეთი მსოფლიოს ერთ-ერთი 7 სასწაულთაგანი — მავზოლეუმი)⁴³.

ძეველ სპარსულ რელიგიურ და სიტყვაუძიშვილ მწერლობაში ინცესტი „ავესტას“ გარდა დამოწმებულია „აიაღვარე ზარერანში“ (საღაც მეცე გოშ-თაბს ცოლად ჰყავს საკუთარი და)⁴⁴ და აგრეთვე „ვის ო რამინში“.

თუ ხალხთა განვითარების აღრეულ საფეხურზე ინცესტის არსი იყო ლეთაებრივი (ადამიანი ქაც ბაძავდა ღმერთებს) და ამდენად რელიგიური მომენტით იყო განპირობებული, შემდგომ იგი კარგავს თავის ძირითად ნიშან-თვეისებას და იქცევა კულტურული ხალხების ყოფით ჩეულებად, რომელ-საც საფუძვლად დაედო რასის სისხლზე, ე. წ. სამეფო სისხლის სიწმინდეზე ზრუნვა. ინცესტის ამგვარი ნიშნითაა ძირითად მოტივირებული „ვის ო რა-მინის“ და-ძმის, ვისისა და ვიროს, შეუღლების ფქრი: „რა ლედამან ესრე შეენება-მოჟარებული ნახა თავისი ასული, ეკრე არქვა: „ჰე, ყოვლისა ქვეყნისა შაშვენებელო! შენი მამა — ხელმწიფე ხვასროვი, და შენი დედა — ხელმწიფე დედოფალი გვარიანი, — შენ ესეთი უბარო იყო და მე შენი შე-საფერი ქმარი მიწასა ზედა არა ვიცი; და რათან შენი სწორი შესაფერი ქვე-ყანასა ზედა არავინ არის, ჩემგან უფეროსა ზედან შენი გაცემა არ ეგბის. არა რომელსა ქვეყანასა არის შენი ჭუთი და სწორი ჩემისა ძისა ვიროსა-გან კიდე. შენ ეცოლე მას და ნატამალი გაგვიძრავლე და ამა მზახობისაგან მე გმიასაჩენ. ვიროს ცოლი იყვა სეჭებარი და მისა, საძლო ჩემი იყავ — შეენიერი ასული ჩემი“ (გვ. 15). შპპროს საზრუნვა მხოლოდ ის როდია, რომ უებრი ვისა შეუფერებელ საქმროს არ მისცეს. ვისიმ და ვირომ „ნატა-მალი უნდა გამრავლონ“ — სამეფო სისხლის სიწმინდე უნდა დაიცვან — მსგავსმა მსგავსი უნდა შობოს. მიტომ ლეთისაგანაა მოწონებული და წი-ნასწარე გამითნული ეს შეუღლება: „თქვენ არცა უცხონი ხართ და არცა უმეცარი ერთმანერთისანი — ეუბრება შაპრო შეილებს — არცა სძალსა შეკ-აზმა უნდა — თვით ღმერთსა შეუკაზავს: არცა ზითვე უნდა. თქვენ ორნი ხართ, არცა ვინმე მოწამე მინდა, არცა შუამდგომელი, — ღმერ-თი კმა თქვენდა მოწმად და ანგელოზი მისნი“ (გვ. 15—16).

ახლა შოუშმინოთ თავად ვისის, რა პასუხი გასცა მან მოაბალის მო-ცუქულს ზარდს: „ეგვ თქვენი წესი არის საძაგლი და მოსაყივნებელი, რო-მელ გათხოვილსა ცოლსა შეირთავთ. ბრმა ხარ, ვერ ჰედავ მაემანსა და სმა-სა ქორწილისასა... ს ვიან იმცა არის ეს ე ქორწილი, რო მე ლ ს ძალი ა სული არის და ძე — სიძე“ (გვ. 20). ვისის ეს სიტყვები გარკვევით ეხმეურება ავესტას Xvetukdat-ს. ეს შეფარვით ინცესტის არსე-ბით, რელიგიურ მომენტზე უნდა იყოს მინიშნება. როგორც შპპროსათვის, ასევე ვისისათვისაც ბუნებრივი, დასაშეები და „სვიანია“ ეს ქორწინება. ასეთად ჩანს იგი ძეგლის ავტორისათვისაც, რომელიც მრავალგზის გახაზავს ამ მომენტს პოემაში. ამგვარად, „ვის ო რამინის“ მიხედვით შესაძლებელი ხდება მსჯელობა ძეველ სპარსულ ყოფაში და-ძმის შეუღლების ჩეულების ჭერ კიდევ მყარ საფუძველზე. ინცესტი ოფიციალურად დაშვებულია სასა-ნურ ირანში; ისლამში ამ წესს ვერ ვხვდებით.

⁴³ История религий..., 23. 72.

⁴⁴ باب حجوة..., ۲۱*



„ვის ო რამინში“ ასახულია იგრეთვე ძველი სპარსული რელიგიების მიერ საფეხური, როდესაც მაგია ჭერ კიდევ ცოცხალია და წარმოადგენს პეტრებული ცოდნასა და ძალას, როდესაც ის ჭერ კიდევ კულტივირებულია ყოფაში. ძეგლში ვხვდებით მაგიის თითქმის ყველა ცნობილ სახეობას: ჭადოს, თოლისმას, შელოცვას, გათვალვას და მისთ. მაგიის ასეთი გავრცელება თითქოს გასაგები და ბუნებრივიცაა ისეთ რელიგიაში, სადაც დიდი ადგილი ეთმობა ივი სულების არსებობას და მათ გავლენას აღამიანის ცხოვრებაზე. ძველ ხალხთა რელიგიაში ფართოდ იყო გავრცელებული დისტანციური და კონტაქტური მაგია. „მოაბადის მამაცობის შესაკრავად“ თილისმას დამზადება ძიძის მიერ დისტანციური და პარციალური მაგიის სახეობაა, ხოლო კონტაქტური მაგიის გამოვლენაა ძეგლში სხვადასხვა სახის შელოცვები გათვალვისაგან დაცების მიზნით. შავრომ რომ პირველად იხილა ძიძისაგან მოყვანილი უებრი ვისი: „ხელ-აპურობით მადლი მისცა ღმერთსა და მისითა სახელითა შეულოცა და პირსა შეპბერა, რომელ თვალი არ ეცესო“ (14)⁴⁵. გრძნეული ძიძა ხშირად მიმართავს ამ ჭადოს: მორწმუნე და ღვთისმოშიში ვისი არ შეისმენს ძიძის რჩევას; შეიყვაროს აამინი. მაშინ ძიძა გადაწყვეტს: „აწე ჩემი ღონე გრძნეულობა არის, რომელ შელოცვითა ნუთუ რამე ვემნაო“ (80). ძიძის ჭადომ გასტრი, ვისი გამიჯნურდა: „იკოდა გრძნეულმან ძიძამან, რომელ ისარი მართლად შესტყორუა, დამფრთხებალი კანგარი ბადესა შეაბა და შელოცვითა და გრძნებითა ქარი დაებორკილა“ (86). ძიძის ასეთი „გრძნების“ ძალის იმედი ჰქონდა რამინს, როცა სთხოვდა მას: „პატითაგონ მფრინველსა ჩამოიყვანებენ, ხერელთაგან გველსა გამოიყანებენ, შელოცვითა დამშვიდებენ და შენ თვით შელოცვა უკეთ იცი ყოვლისა კაცისაგან, ღონისა აგება მიშვით შენი ხელია“ (66—67). სხვაგვარად სრულდება დისტანციური მაგია: როგორც წესი, ის წარმოებს ჩრდილში, ტყეში, ბეჭელ და ნოტიო ადგილას და უკილებლად სიბნელეში⁴⁶. ამის საინტერესო მაგალითებს ეპოულობთ ვ. ვუნდტთან, სადაც ამ სახის მაგია ყოველთვის კვანძის შეკვრით სრულდება⁴⁷. ასეთი მაგიის ძირითადი ობიექტებია: ქვა, რკინა და წყალი. ამიტომ იღებს ძიძა „მოაბადის შესაკრავად“ სპილენძსა და რვალს, შეჭედებს მათ რკინით და დაპლუავს წყალში. ამგვარად, ძეგლში მაგიის მოელი რიტუალი დაცული: „ძიძამან სპილენძი და რვალი მოილო და გრძნებითა რაითამე ტილისმი შექმნა ორი... შეულოცა რამე და რკინითა ერთმანეთსა ზედა მაგრად შეჭედა... ძიძამან ესე საქმე დაიურვა, წავიდა დილასა აღრე ცისკრისა უამსა და წყლისა სპირსა ჩაფლა“ (56). ძიძა აღუთქამს ვისის მოაბადის კვლავ გახსნას: „რა გული დასდგა და მოაბადს თანა პამოდ იყო სიყვარულით, მე მას ტილისმსა მუნით გმოვილებ, და ვკლეწ, გავხსნი და ცეცხლითა და ვსწვავ და თქვენ ორთავე გაიხარენით. ვირემდის იგი ნამსა შიგან არის, მოაბად შეკრული იქმნების“ (57); და ძიძა იქვე უმარტავს ვისის, რა-

45 ევი თვალის ცემა, გათვალვა 6. მარს ქართული ჩანამატი ევონა, რადგან ივი შესაბამის ადგილს არ ჩას სპარსულ ტექსტში (იხ. H. Я. M a r p. Из грузино-персидских литературных связей, ЗКВ, I, 1925, 123). მაგრამ როგორც ქვემოთ დაენახეთ, გათვალვა და სხვადასხვა ჭურის ჭადო უცხო არა ძეგლისათვის. ქართულ თარგმაში ამ ადგილს დამოწმება იმის გვაფტერებინებს, რომ ივი იყოთხბოლდ მთარგმებლის სპარსულ ნუსაში.

46 Исследования и материалы по вопросам первобытных религиозных верований, М., 1959, II, 11.

47 В. Вундт, Миф и религия, СПб, 1911, стр. 193.

ტომ იქნება წამში შოთარა შეკრული: „წყალი სიგრილისა კერჭენდა არის და სიგრილითა შეიკვერის მამაცი და კელა რა მას ცეცხლითა დავსწავ, გახურდების მოაბად და გაიხსნების“—⁴⁸ (57). ძიძის ეს გრძელება მაგის კლასიურ ნიმუშად გამოღვება. (ცეცხლისა და რკინის ამ კავშირს მითოლოგიასთან აღნიშნავს შტაკელბერგი და მიუთითებს გათებ-ზე (51,9—10).

ორდალის ძველი წესი იყო ცეცხლში გავლა, ცეცხლით განწმენდა. ამ მხრე ცეცხლი წყალში უფრო სრულყოფილი და უცველესი საშუალებაა. ცე-ცხლში გამოიცდა თვით ზორიასტრი⁴⁹. საფიქრებელია, რომ სწორედ ამის შემდეგ დაკანონდა ზორიასტრიზმი ადამიანთა სიმართლისა და სიწმინდის გამოცდა ცეცხლის საშუალებით. ყოველ შემთხვევაში, მითრას საიდუმლო მისტერიების ზიარების მსურველს გამოცდის დიდი და მძიმე გზა უნდა გაევ-ლო, რომელთან ერთ-ერთი სწორედ ცეცხლში გავლა იყო⁵⁰. მაგრამ ინცეს-ტისა არ იყოს, არც ცეცხლით გამოცდა და განწმენდა იყო მხოლოდ ზორიას-ტრული რელიგიისათვის დამახასიათებელი წესი. ბერძნული ისტორია მოგვი-თხრობს იმ გმინოსოფისტების შესახებ, რომლებიც იგივე ბრამანები (ინდო-ელი ვანაპრასტები) იყვნენ. მათი თაყანების ხილული ობიექტი იყო მზე და ცეცხლი. ვარაუდობენ, რომ ზორიასტრი მათ უნდა დასესხებოდა თავის მოძ-ლვებას⁵¹. ინდოეთში ცეცხლი უსსოვრი დროიდან გამოიყენება განწმენდის საშუალებად: „ბრალმდებელი პურავიტა და ბრამინები იკრიბებოდნენ და ნიშნულ ადგილს. მიწაზე ცხრა წრეს შემოხაზავდნენ აღმოსავლეთიდან და-სავალეთის მიმართულებით. ეს წრეები პლანეტებს და მათ სფეროებს ანხორ-ციელებდნენ; ბრალდებულს ყველა წესის დაცვით ამზადებდნენ გამოცდი-სათვის. ამასობაში მცედელი ახურებდა შანთს. პურავიტა ანთებდა ცეცხლს და ლოცვით განწმენდდა მას. გახურებულ შანთს წყალში უშვებენ; მეორეჯერ მას უქვე ღვთაებრივ ცეცხლშე ახურებდნენ. ამ ცეცხლშე გახურებულ შანთს პუ-რავიტა დამნაშავეს ადგებს ხელებზე. ამ შანთით უნდა შემოუჩინოს გამო-საცდელმა პირმა ყველა წრეს და როცა მეცხრეს მიაღება, შანთი თივაზე უნდა დააგდოს—თვითა აბრიალდება. თუ ბრალდებულის ხელები უცნებელი დარჩება—იგი გამართლებულია, როგორც უცოლველი⁵². ასეთი იყო ცეცხ-ლით გამოცდის ერთ-ერთი წესი. „რამიანანში“ ვევდებით ცეცხლით გამოც-დის მეორე სახეობას, პირველთა შედარებით უფრო მარტივსა და ყოფილს. რავანას ხელიდან დახსნილი სიტა, რამას აზრით, უთუოდ უნდა განწმენდი-ლიყო ცეცხლით. ამზადებენ კოცონს, რომელშიც სიტას უნდა გაევლო. სიტა უახლოვდება კოცონს და ასე მიმართავს აგნის, ცეცხლის ღვთაებას: „О, Аг-ни, да будешь ты свидетелем перед народом тому, что сердце мое никогда не отвращалось от Рамы“—ცეცხლის აღში გამოჩნდება აგნი, რომელსაც გამო-ჰყავს უწესებელი სიტა და მიმართავს რამას შემდეგ სიტავებით: „О, Рама, вот твоя Сита. Она чиста перед тобою, грех не коснулся ее,—я, бог огня, свидетельствую о том перед народом. Возьми ее,—я повелеваю тебе“. ბედნიერი რამა განუმარტავს იქ შეკრებილთ, რომ მშვენიერი სიტა დიდხანს

⁴⁸ История религий..., стр. 124, 128.

⁴⁹ იქვე, გვ. 239.

⁵⁰ იქვე, გვ. 96.

⁵¹ იქვე, გვ. 113—114.

მიყოფებოდა რავანას ტყეობაში და მისთვის აუცილებელი იყო ეს განწმენის ხალხის წინაშე⁵². ასევე გამოიცადა იზოლდა მეფის კარზე (იგივ იღებს ინტენსიუმისა) ლით გავარავარებულ შანთს და რჩება უცნებელი); ასეთივე უბრალო გამოდის ცეცხლით გამოცდიდან სიამში⁵³. იგრევ გამოცდის წესსა ცხვდებით „ვის ო რამინში“, სადაც მოაბადი თხოულობს ვისის სიმართლის დამტკიცებას ცეცხლში გავლით; ფიცის მნიშვნელობა რომ დიდი იყო ძველ სპარსეთში, ეს ჩანს დარის მეფის სიტყვებიდან: „Если человек обвиняет (другого) человека, то это не убедит меня до тех пор, пока он не согласится на соответствующую клятву“⁵⁴. უნდა ვითქმიროთ, რომ ასეთი ფიცის თანხმლები ან ცეცხლში გავლა იყო, ან რაღაც მისი მსგავსი გამოცდა. ამიტომ შესთავაზა მოაბადმა ვისის: „აწ შენ შემომფიცე, რომელ შენ მუნ რამინს არა ჰყოლიარ, რად გემინია? შეცულდებერმან ფიცითა გამოაჩინე შენი სიმართლე... აწ მე დიდისა ცეცხლსა დავაგიცებ, ალესა და მუშქს დავაკამლებ და ამა ყოველთა დიდებულთა და ლაშქართა წინა შემომფიცე ცეცხლითა და მას შეა გამოიარე“ (გვ. 122). მართლაც, მოაბადი უბრმახს ცეცხლის მსახურთ და მოედნის შუალედში მთის ოდენა ცეცხლს აგიზგისებს, სადაც უველა წესის დაცვით უნდა შესრულებულიყო ცეცხლის განწმენდის რატუალი, როგორც ეს „რამიანამა“ და „შაჰ-ნამეშია“ აღწერილი. მაგრამ თუ იქ სიტაცა და სიამშიც უცნებელი გამოდიან ცეცხლიდან, როგორც უცოდველნი, ვისი ვერ ბედავს ამ ნაბიჯის გადადგმას, რადგან იცის, რომ უბრალო არა. ვისი და რამინი გაურბიან ამ გამოცდას. ისინი გარბიან არა იმიტომ, რომ „უარყოფენ საზოგადოებრივ მსჯავრს“⁵⁵ — მიკნურნი გარბიან იმიტომ, რომ მოაბადის მოტყუებას ისინი ახერხებენ (და კვლავაც მოახერხებენ), მაგრამ ვერ მოატყუებენ ღმერთს. ასე რომ, საკუთარი ცოდვის შეგრძნება გააქცევს ვისის მარავიდან. ცეცხლის გამოცდის ეს წესიც იმაზე მიუთითებს, რომ პართულ ყოფასა და რელიგიაზე ზორასტრიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებული ეს ჩვეულება ჯერ კიდევ ცოცხალია და ქმდითი. ცეცხლით გამოცდისა და განწმენდის ეს წესიც უცხოა ისლამური ყოფისა და რელიგიისათვის.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამულეტებისა და თილისმების გამოყენება, ძილისა და სიზმრის ასენა, ვარსკვლავებზე მეტთხობა, ანუ ასტროლოგია მცირე აზიაში, სირიულ კულტსა და მითოს რელიგიაში ბაბილონიდანაა შეკრილი. მიუხედავად იმისა, რომ ასტროლოგია საპატიულ რელიგიაში შემოიტანეს სემიტებმა, იმის უარყოფა მაინც არ შეიძლება, რომ ამ კულტს საწყისები ჯერ კიდევ ავესტაში აქვს⁵⁶. ციურ სხეულებს ძველი სამყარო უხსოვარი დროიდან ანიჭებს განსაკუთრებულ ძალასა და მნიშვნელობას. აღმიანსა და ბუნებაზე მათი გავლენის გამო. პლატონების ხელო იყო ძველი ადამიანის შარმოდევნით აღმიანის სული და მთელი მისი ცხოვრება. პლანეტებს გარდა თაყვანისცემის ობიექტი იყო უძრავ ვარსკვლავთა სფერო და ზოდია-

52 Рамаяна, М., 1965, გვ. 405—407.

53 Р. Штакельберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

54 Р. Фрай, დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

55 გ. იმ და შვილი, ვისრამიანი, ქართული ლიტ. ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 69.

56 Р. Штакельберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

ქოს ნიშნები⁵⁷. პლანეტათა ეს თაყვანისცემა ძველ სპარსულ მხატვრულური მიერთების გადას შე „შაპ-ნამესა“ და „ეის ო რამინში“ აისახა. „ვის ო რამინში“ შესავალ-შევება ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ პლანეტები მოახადის „მინისტრები“ არიან (აპურამაზდას შეიღი აშშასპანდის ანალოგით), რომელთაგან ჰერმესი მეფის ბრძანების შემსრულებელი პლანეტაა⁵⁸:

دییر او شده تیر جهند
ازین شد امر و نهی او رونده (۳۲)^{۵۹}

შაპის მწერალი მერქური იყო, რომლის საშუალებით ვრცელდებოდა (შა-პის) ბრძანებები.

გორგანის პოემაში მთელი თავი ეძღვნება „ღამის აღწერას“, სადაც ცა გამოყენებულია, როგორც მხატვრული ფონი იმდროინდელი ასტროლოგიური ცოდნის გამოსამუღლებელია: ცის ამ სურათის წარმოდგენილან ჩანს, რომ პოემის ფალაური ტექსტის ავტორი შესანიშნავად იცნობს თავის თანა-დროულ ასტროლოგიას, რომელიც კველა ნიშნის მიხედვით ბერძნული ასტ-როლოგის კვალს ატარებს.

„ვის ო რამინის“ სპარსული ტექსტის ერთ-ერთი გამომცემები ირანელი მეცნიერი მ. მაპგუბი საგანგებოდ ეხება თავისი გამოცემის შესავალ წერილ-ში „ღამის აღწერის“ ამ სურათს. ოღონდ მისი მიზანი და ინტერესები სცილ-დება ჩევნისას. მკვლევარი თავის ყურადღებას ძირითადად იმ ფაქტზე ამახვი-ლებს, რომ გორგანი არ მიმართავს ვარსკვლავთა და პლანეტათა არაბულ სა-ხელწოდებებს, რომლებიც იმ დროისათვის ასე გავრცელებული იყო მუსლი-მანურ სამყაროში⁶⁰. მკვლევარი ანალოგის ატარებს ნიზამის „ლეილი ვო მაჯნუნის“ შესაბამ თავთან.

„ვის ო რამინში“ წარმოდგენილი „ღამის აღწერის“ გამო ირანელი მკვლევარი მაპგუბი ფიქრობს, რომ პოეტის უბირველესი მიზანი იყო ცის ას-ტრონმიულ-ასტროლოგიური ცოდნა გამოყენებინა მხატვრულ ფონად, ერ-თვეარ პოეტურ სამეცალად. ამას გარდა მკვლევარი განსაკუთრებით ამახვი-ლებს ყურადღება იმ ფაქტზე, რომ გორგანი ზოდიაქოსა, პლანეტათა და უძ-რავ ვარსკვლავთა არაბულ ტერმინოლოგიას კი არ იყენებს ცის აღწერისას, არამედ მათ სპარსულ შესტყვისებს. თან ახეთ ვარაუდსაც უშვებს, რომ შე-საძლოა სპარსული ტერმინოლოგია გორგანის დროს კიდეც იქმარებოდა. მი-სი აზრით, გორგანისეულმა „ღამის აღწერამ“ დიდი კვალი დატოვა შემდეგ-დროინდელ სპარსულ პოზიაში, კერძოდ, ნიზამი განჯელის მხატვრულ აზ-როვნებაზე, ნიზამის „ლეილი ვო მაჯნუნის“ ამავე ხასიათის აღწერის ანალი-ზის შედეგად მკვლევარი დასკვნის, რომ ნიზამის ძირითადად აინტერესებდა მთვარის მოძრაობა ზოდიაქოთა სარტყელში (ეს დასკვნაც იმის საფუძველზე ჩანს გაკეთებული, რომ ყველაზე ხშირად, მაპგუბის შენიშვნით, ამ აღწერაში მთვარის სახელებია ღასახელებული — პ. ۳۲).

⁵⁷ М. А. Куп, Предшественники христианства, М., 1922, стр. 131.

⁵⁸ Р. Штакельберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

⁵⁹ ეს აღგილი მოგვაქვს ალ. გვარაშვილს და მ. თოდეუს მიერ გამოცემებით სპარსული კრიტიკული ტექსტის მიხედვით, რადგან იგი არ იყიდხება მოჭაბა მინვეის გამოცემაში.

⁶⁰ حجوج ... ۳۲.*



აზრი, რომ გორგანი იმ დროის ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ცენტრის ერთგვარ პოეტურ საქაულად იყენებს, თავისთვალი გართებულია, ჰუგინის ისიც ცხადია, რომ მხოლოდ ეს შეიძლება ყოფილიყო პოეტის მიზანი. მაპ-ჭუბი აღარ მსჯელობს ჟკვე იმაზე, რატომ არა პოემაში გამოყენებული სისტემის სახით არაბული ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინოლოგია (როგორც ეს ნიზამისთანა). ეს ის დროა, როდესაც ასტრონომია საცხებით ჩამოყალიბებული და გაფორმებული იყო არაბებთან, როგორც მეცნიერება და გაბატონებული იყო მთელს აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ამიტომ გარაუდი, თითქოს სპარსული ასტრონომიული ტერმინოლოგია გამოიყენდობა გორგანის დროს პოეზიასა და მეცნიერებაში, რეალური არა ჩანს.

„ვის ო რამინისა“ და ნიზამის „ლეილი ვი მაჯნუნის“ ლამის აღწერის ანალოგიური სურათების შედარებით შესწავლიდან ირკვევა, რომ ისლამური ხანის სპარსული კლასიკური მწერლობის ეს ორი დიდი წარმომადგენერალი სხვადასხვაგარად ხედავს ცას და, შესაბამისად, სხვამათვის ცის აღწერის მიზანიცა და ხასიათიც. ნიზამი „ლეილი და მაჯნუნის“ ლამის სურათის აღწერაში ერთიანი სისტემის სახით აყალიბებს თავის ცოდნას სამყაროს შესახებ. „ლეილი და მაჯნუნის“ ეს თავი ძირითადად 3 ნაწილისაგან შედგება: მნათობთა რიგის პროლომაიონის სისტემით წარმოდგენა, ზოდიაქეობის აღწერა და ცაზე ყველაზე დიდი და კაშაშა ვარსკვლავების ჩამოთვლა-დახასიათება.

„ლამის აღწერაში“ ნიზამი ასტრონომიისა და ასტროლოგიის ბრწყინვალე ცოდნას მეტად იყენებს, რასაც იგი პოეტურ ფონად იყენებს თავისი თეოლოგიური კონცეფციის გასაშლელად. ასტრონომიულ-ასტროლოგიური ცოდნა, როგორც კაცობრიობის კულტურული მონაპოვარი, საყოველთაო ხასიათს ატარებდა და, ცხადია, იმდროინდედ მნატვარ-მოაზროვნეთა შემოქმედებაში სავსებით ბუნებრივიდ აისახებოდა. ამიტომ არაფერია გასაოცარი და მით უფრო მოულოდნელი იმაში, რომ ნიზამი ასე კარგად იცნობს ამ მოძღვრებას და ასე ლადად ოპერირებს პოეზიაში ასტროლური სახეებით. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნიზამი ასტროლოგიურ წარმოდგენებს არ რთავს სიცემურ კონსტრუქციაში, არ ცდილობს ცალკეული ეპიზოდების გაშლას ასტროლური მითოსის გამოყენებით. მისი მიზანია წარმოადგინოს შეასუკუნებს ცის სურათი გეოლოგიურული სისტემის მიხედვით და მუსლიმანური სამყაროს უპირველესი ლეთაება-მნათობის მთვარის მოძრაობა — ზოდიაქოთა სარტყელში. ერთი სიტყვით, თეორიულ ასტრონომიას პოეტი წარმოგვიდგენს, როგორც მეცნიერებას და ასტროლოგიას, როგორც თეოლოგიურ კონცეფციას.

ნიზამის ყურადღების არში შემოდის აგრეთვე ცის ასტროლოგიური ბუნება. „ლამის აღწერაში“ მაჯნუნის ვეღრება სწორედ ამ თვალსაზრისითაა საანტერესო. პლანეტები ზუპრა და მუშთარი (ცენტრა და იუპიტერი) თავისი ასტროლოგიური ბუნების მიხედვითაა დახასიათებული. ზუპრა „მცირე ბედის გარსკვლავია“, მას მოაქვს ლხინი და სიხარული. ბედის ამ მცირე ვარსკვლავის შემდეგ მაჯნუნი მიმართავს „დიდი ბედის ვარსკვლავს“ — მუშთარის. მუშთარი, ბედნიერების მომტან ვარსკვლავს გარდა, არის ბრჭე, სამართლიანი, მიუდგომელი და მართლად გამითხავი. როცა გამთენისას მუშთარი გაუქრება მაჯნუნს, იგი თავის ლოცვას უშუალოდ ცათა უფალს მიმართავს; მიმართავს მას, ვინც თავისუფალია, ვინც უხილავია, ვინც ერთია და ვისაც



მორჩილებენ ციურნი; ვინც განაგებს მიწასა და ზეცას. მაჯნუნი მიმართავს კრისტენის ღმერთს, რომელშიც შენივთულია ექვსი მხარე და ვისაც ემორჩილება შვიდში მაჯნუნის ამ ვედრების მიხედვით.

აღმოსავლური რენესანსის პოეზიაში პირველად ნიზამისთან არის მოცემული მნათობთა ველებების პოეტური მოდელი, სადაც ასტროლოგია სავსებით მორგებულია მონოთეისტურ ისლამს. ასე შეაგუა ნიზამიშ ცის ისლამური წარმოდგენა ორთოდოქსალურ ისლამს.

ახლა დაუგბრუნდეთ გორგანის „ლამის აღწერას“ და ვნახოთ, როგორ გამოიყურება იგი ამ პრობლემათა ფონზე.

„ვის ო რამინის“ ფალაური ტექსტის შემთხვეველის წინაშე არ მდგარა ასეთი ამოცანა და, ბუნებრივია, არც გორგანის წინაშე შეიძლებოდა დამშულიყო იგი, როგორც მთარგმნელის წინაშე (გორგანი რომ დამოუკიდებელი თხზულების ავტორი ყოფილიყო, იგი, რა თქმა უნდა, ამ ამოცანას თავს ვერ აარიდებდა). ამიტომ საცემით ბუნებრივია, რომ ამ სახით ვერც ვხედებით მას ძეგლის შესაბამ ადგილის.

გორგანის „ლამის აღწერა“ ნიზამის ანალოგიური სურათის შესაბამისად 3 ნაწილისაგან შედგება: ზოდიაქოთა აღწერა, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ცის თანაერსკვლავედთა სურათების დახატვა და მნათობთა (პლანეტების) დახასიათება (ერთ კონკრეტულ მომენტში).

მაგრამ „ვის ო რამინის“, „ასტრონომია“ დიდად განსხვავდება ციური სამყაროს ნიზამისეული ცოდნისაგან. ასე მავალითად, ძეგლში საერთოდ არა ჩანს ასტრონომია, როგორც თეორიული მეცნიერება. ძირითადი სიმძმე ნაწარმოებში ასტროლოგიაზე გადატანილი. და, საერთოდ, ცის გორგანისეული სურათის დახატვა პოემაში ერთ მიზანს ემსახურება: აჩვენოს ის ავი ეტელი, რომელზეც წაიყვანა მოაბადმა ვისი და ამით ერთგვარად იმთავითვე განსაზღვრა მიბის მოსალოდნელი დასასრული. პლანეტათა ისეთი ურთიერთდგომა, როცა ბოროტი და ავი მნათობების, სატურნისა და მარსის შუა აღმოჩენილი ვენერა სიკეთის მომტანი ვეღარა, აგის მომასწავებელია და მოაბადისაგან ვისის ამ ეტელზე დანახვა და მისი წაყვანა სასახლიდან, ბუნებრივია, ცუდად უნდა დამთავრებულიყო.

გორგანის მიერ დახატული ცა ბერძნული ასტროლოგიის მიხედვით გააზრებული ცაა. „ვის ო რამინის“ მთელ ამ სურათს საფუძვლად ბერძნული კატასტერიზმი უდევს. როგორც ცნობილია, ზოდიაქოებში ზოომორფული და ანთოლომინორფული ფიგურების გამოსახვა მაშინ დაიწყო, როდესაც ასპარეზზე გამოჩენდა ბერძნული ასტროლოგია. ბერძნებმა მთელი თავისი მითოლოგიური პანთეონი ცაშე გადაიტანეს (სწორედ ამით განსხვავდებოდა ბერძნული ასტროლოგია ქალდეულისაგან). ანტიკური ადამიანისათვის ცა მარტი შანათობელი წერტილები როდი იყო, და აა, ბერძნებმა იგი გასულერეს. ასეთი ასტროლოგია გავრცელდა შემდგომ მთელს აღმოსავლეთში, ამგვარი ასტროლოგია მიიღეს ძეგლმა სპარსელებმაც.

როგორც ითქვა, „ვის ო რამინში“ დახატული ცის სურათი ანტიკური ხანის ასტროლოგიურ წარმოდგენებს ასახავს და ამიტომა დამხასიათებელი მისთვის ცის ჭვრეტა ჰპირატესად ასტროლოგიური თვალსაზრისით; ამიტომა თეორიული ასტრონომია გადასული მეორე პლანეტე. ხოლო თუ უფრო

მეტალის ვიქნებით, თეორიული ასტრონომია არ ჩანს ცის გორგანისეულ წერაში. და ეს ბუნებრივიცაა ამ ძეგლისათვის, რადგან ცნობილია, უკანასკნელი ტროლოგია ასტრონომის განვითარების საფუძველი იყო და ე. ი. მასი განვითარების გზაზე პირველი საფეხურიც. ცხადია, ამ პირველი სტადიის ბატონისა გორგანის პოემაში ამავე დროს თხზულების სიძველეზეც მიუთითებს. გორგანის „ვის ო რამინ“ გაღმოვცემს წინარე ისლამურ ასტროლოგიურ წარმოდგენებს და არა იმ ასტროლოგიურ-ასტრონომიულ ცოდნას, რომელსაც კედავთ ასტროლოგის განვითარების შემდგომ საფეხურზე იმავე ისლამურ საძყაროში, რაც ასე ბრწყინვალედ არის ასახული ნიზამის „ლეილი ვო მაჭნუნის“ ანალოგიურ თაქში.

ამგვარად, პირველი განვითავებელი ნიზანი „ვის ო რამინისა“ და ნიზამის „ლეილი ვო მაჭნუნის“ ღმის აღწერათა შორის ისაა, რომ გორგანისეულ ცის აღწერაში არ ჩანს ასტრონომია, როგორც თეორიული მეცნიერება და ცა აქ წარმოადგენს ანთროპომორფულ და ზორმორფულ ფუგურათა სურათების ილუსტრაციას, სხვაგვარად — ბერძნულ ცას. შეორე მომენტია ის, რომ წამყვანი როლი ძეგლში ენიჭება ასტროლოგიას. და ბოლოს შესამე — „ვის ო რამინში“ უზენავის ღვთაება არის მზე და არა მთვარე (როგორც ეს ნიზამის პოემაშია. სხვათა შორის, პროლომაიოსის სისტემის მიღება და მისი გვერცელება ისლამში ბევრად განსაზღვრა იმ ფაქტორმა, რომ ისლამის უზენაესი ღვთაების მთვარის აღვილი დამტხვე პროლომაიოსის სისტემის მნათობთა რიგს). მთელ პოემში გაძატობებულია მზიური სტილი, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო ძეგლი სპარსეთის რელიგიური სისტემისათვის.

თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ მე-11 საუკუნის სპარსელი პოეტი ფახრედინ გორგანი ციური სამყაროს წარმოდგენისას დაემყარებოდა თავისი ღროის ასტრონომულ-ასტროლოგიურ ცოდნასა და წარმოდგენებს, როგორც ამას აკეთებს ნიზამი. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ შემთხვევაში გორგანი არის მხოლოდ მთარგმნელი ძეგლი პართული ტექსტისა, სადაც შესაბამისად ციურ სამყაროზე პართული წარმოდგენებია ასახული.

ამგვარად, პოემის ასტროლოგიური თვალსაზრისით შესწავლაც იმას გვიდასტურებს, რომ გორგანის „ვის ო რამინი“ პრეისლამური სპარსული კალტურის ნაყოფია.

პოემის კულმინაციური წერტილია ორ ძმას შორის სასიკვდილო შებრძოლება. მოაბადი და რამინი ერთმანეთს უნდა შეჩერინებოდნენ, მხათა შორის სისხლი უნდა დაღვრილიყო. მაგრამ ბრძოლაში თვით განგება ჩაერია და სხვაგვარად გადაწყვიტა ომის ბედი. ის იყო ბრძოლა უნდა დაწყებულიყო, რომ უეცრად ტყიდან გამოვარდა გარეული ტახი, მოაბადი ცენტრაცენტრ დაედევნა მას. ტახი ეძერა შაპინშის და ეშვებით გაუპო გული. როგორ უნდა გავიაზროთ ეს ეპიზოდ? ამის თაობაზე ი. ბრაგინსკი წერს: „В разгаре любовной интриги, когда трагическое и комическое перемешались так, что не разберешь, где начало и где концы, а действие дошло до кульминации, появляется в роли Deus ex machina кто бы вы думали? Свинья, животное отнюдь не почтаемое в мусульманской среде слушателей и читателей поэмы. Жестокий и позорный конец уготовил автор царю царей⁶¹. დასაწყისში მკვლევარი თითქოს მართებულად რევს საქმეში

⁶¹ ფახრი ერკავი, ვის ი რამინი, стр. 12—13.

Deus ex machina-ს (პ. პორნის აზრითაც ღმერთი ერევა საქმეში)⁶². იგი პატიჟის ლელს ავლებს ანტიკურ სამყაროსთან, სადაც ღმერთები განუწყვეტლივ ერევიან მოკედეთა საქმებში და არიგებენ მათ. ოლონდ მეცნიერის შემდგომი მსჯელობა აცდა ამ ხაზს და გარეული ტახის სიმბოლიკა გაუსწენელი დარჩა. „ეს თ რამინის“ შესაბამის ადგილს მუსლიმანურ ღორზე არა ლაპარაკი. მით უფრო, გარეული ტახის ასპარეზზე გამოჩენა და მისი მემვეობით მოაბადის სიკვდილი, რადა თქმა უნდა, „სატირის უკანასკნელი იკორდი“ არაა:

„Последним достойным аккордом замечательной сатиры прозвучал... выход торжествующей свиньи, вершающей суд и распрашув над злем (воистину, неисповедимы пути аллаха, избравшего судебным исполнителем свинью)“⁶³. მაგრამ ი. ბრაგინსკის ამ გაოცებისათვის საფუძველი არ ასებობს. ეს ყველაფერი თვავის ადგილზეა.

საქმე ისაა, რომ ზორასტრის მოძღვრების მიხედვით, მითრა დემონებისა და ავი სულების წინააღმდეგ მებრძოლი დათავაბა; ის, როგორც სინათლისა და სიეთის დათავაბა, ყოველგვარ სიბნელესა და ბოროტებას თრგუნას. მითრა, როგორც დათავაბა, განუწყვეტლად იბრძვის ბოროტების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში „მას თან ახლავს მფარველად გამარჯვების ღმერთი ვერეთრაგანა და „ბრძენთა ფიცი, რომლებიც გარეული ღორის სახით არიან წარმოდგენილი და თავიანთი მახვილი ეშვებით ბოროტ სულებას ჰმუსრავენ“ (ავესტა)⁶⁴. მითრას ცხოველური იპოსტასი იყო გარეული ღორი (ტახი). სხვათ შორის, დემეტრის ცხოველური იპოსტასიც გარეული ტახი იყო. დემეტრას მისტერიებში სამსხვერპლოზე გარეული ტახი იყვლებოდა, რომში კი დათავაბა იანუსს წირავდნენ მსხვერპლად ღორს. გარეული ღორი იყო აღრეთვე ატისის განხორციელება. ლეგნდა იმის შესახებ, რომ ატისი მოკლა ტახმა, ამ ზერს ასაბუთებს⁶⁵. ღორი დათავაბრივი ცხოველი იყო სირიელებისათვის. ის ფაქტი, რომ ღორს არ ჭამდნენ და მას ტაბუდ აცხადებდნენ სირიელები, ევგიპტელები და აღმოსავლეთის სხვა ძევლი ხალხები, იმაზე მეტყველებს, რომ ამ ხალხებს იყი დათავაბად მიაჩნდა⁶⁶. სოლომონ რეინაის აზრით თვით დემეტრა და მისი ასული პერსეფონა ბიბლიის ასტარტას მსგავსად თვავდპირველად ღორები იყვნენ⁶⁷.

როცა გაირევა გარეული ტახის სიმბოლიკა, ვთიქრობთ, სულ სხვა გააზრება ეტლევა მოაბადის სიკვდილის ამ ებიზოდს. გარეული ღორისაგან მოაბადის „შემუსრვა“ იმაზე მიუთითებს, რომ ჭერ ერთი, ეს იყო დათავაბრივი სურვილი — თვით მითრა გამოდის ბრძოლის ველზე თვავისი ცხოველური პოსტრასით, და მეორე, მოაბადი ბოროტების განსახიერებაა, რომელსაც თრგუნავს მითრა. ბოროტების დათრგუნვით, ე. ი. მოაბადის სიკვდილით,

⁶² P. Horn, Geschichte der persischen Literatur, Leipzig, 1901, 177.

⁶³ ფახრი გურანი..., გვ. 12—13.

⁶⁴ H. A. Kun, დასტ. ნოზ. გვ. 116; ს. მაკალათია, მითრას კულტი საქართველოში, სქ. მუზეუმის მომბე, III, ტფ. 1927, გვ. 189; პ. ერემულიძე, ქრისტიანიზმი და მითრაიზმი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 351—352.

⁶⁵ Д. Фрезер, Золотая ветвь, III, М., 1938, стр. 183.

⁶⁶ იქვე, გვ. 185—187. ს. მაკალათია, ახალი წელიწადი საქართველში, ტფ., 1927, გვ. 136.

⁶⁷ С. Рейнак, დასტ. ნაშრომი, გვ. 136.

აღდგება პოემაში დარღვეული ჰარმონია: ვისი და რამინი ერთდებიან, მცხოვრები დებიან და ქვეყნად სიკეთე და სამართლიანობა მყარდება. ი. ბრაგინსკაში ანიანია, რომ პოემის დასასრული სუსტია სწორედ ამ იდილიის დამყარების გამო. მისი აზრით, ამ ბოლო თავებში ჩანს შუასაუკუნეობრივი ქალაქის პლებსის უტოპია სამართლიანი სამეფოს შესახებ, რომელსაც სათავეში სამართლიანი მონარქი უდგას.

ამ ეპიზოდთან ერთად მთელი პოემის ლრმა და სწორი ანალიზი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მქველევრის მიერ გამოთქმული ზემოხსენებული მოსახრება გავიზიაროთ. დაახლოებით ასეთივე აზრი გამოთქვა მ. ზანდმაც. მისი ვარაუდით, როგორც ფირდოსი, ასევე გორგანიც თავის თხზულებებში გადმოვცემენ ხალხის ოცნებას იდეალური საზოგადოებრივი წყობის გამო, რაც მოიახრება როგორც არისტოტელესა და პლოტინის სოციალური უტოპიის გამოძახილი⁶⁸.

სინამდვილეში კი ნაწარმოებში გადმოცემულია იმ საწყისთა გამარჯვება, რომელიც ემაზურება ქემენიდების სახელმწიფოს სამართლიან და ჰარმონიულ იდეალებს. პოემაში არ ჩანს შუასაუკუნეობრივი პლების თავისი იდებებით სამართლიანი სამეფოსა და მონარქის შესახებ. არც არავთარი ტრანსფორმაცია გმირთა ხსიათებში არ მომხდარა. უზფლებო, ხელშეკრული და შებოჭილი გმირები, ვისი და რამინი, განთავისუფლდნენ ტირანისაგან, „საშუალოსა და მტერთაგან უშიშ ქმნილი და მხიარული“ გახდნენ, სრული პიროვნეული თავისუფლება მოიპოვეს. ლვობიური სანქციით (რომელსაც პოემაში ასახერებს სწორედ გარეული ტახი, როგორც მთხოვს ლვთავებრივი იპოსტასი) გაიმარჯვა სიკეთემ და სამართლიანობამ, დიითრგუნა ბორბოტება და აღდგა დარღვეული ჰარმონია. ამიტომ სრულიად ბუნებრივი, კანონზომიერი და ლოგიკურია პოემის ბოლო თავების იდილიური განწყობილება, რომელსაც ამზადებდა ნაწარმოები დასაწყისიდანვე⁶⁹.

მართებულად შენიშვნას ალ. ბარამიძე, რომ „რამინმა გაიმარჯვა როგორც მიწნურმა, გაიმარჯვა ვისის და რამინის სიყვარულმა“. გამარჯვებული სიყვარულის ნიადაგზე სოციალური სამართლიანობა და საყოველთაო ბედნიერება დამყარდა მარავის ქვეყანაში⁷⁰. რაც, ბუნებრივია, სამართლიანიცაა და ამდენად ჰარმონიული. მოაბადის სიყვარული ვისისამი ბუნების საწინააღმდევო აქტი იყო და, ე. ი. უსამართლო. ცხადია, ასეთი სიყვარული ვერ გაიმარჯვებდა, როგორც არაბუნებრივი. ამას გულისხმობს პოემის ეთიკური მრწამისი. „ვის ო რამინის, „ძირითადი მიზანი ბუნებრივი ჰარმონიის დამყარებაა, რასაც პოემაში აპირობებს: „ყრმისათვის ყრმა თქმულა და ბერისათვის — ზერი“ (36). ამიტომ ჰკიცხავს ვისი ზარდა, რომელიც აცნობებს მას მოაბადის უსამართლო მოთხოვნას ცოლად გაჰქვეს მას: „არა ესრე გმართებს, რომელ შენ ბერი გარდასრული ყრმასა ცოლსა ეცილებოდე. თუმცა კაცი იყავ, საუკუნოსა საგზალსამცა იურვოდი სიბერესა, არა ყრმასა ცოლსა“ (21). არაბუნებრივი სიყვარული ბორბოტებად განიცდება ავტორის მიერ. ბორბოტება კი ითრგუნება უმაღლესი სამართლიანობის მსგავრის მიხედვით, რასაც თავიდ ღმერთი ახორციელებს ნაწარმოებში. ბუნების ამ სამართლიანმა კა-

⁶⁸ М. Занд. დასახ. ნაშრომი, გვ. 109—110.

⁶⁹ Р. Р. Штакель ხერ, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

⁷⁰ ალ. ბარამიძე, ნაწკენები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1971, 23. 40.

ნონმა დატოვა ვისი „ორთა ქმართაგან ხელმიუყოფელი“. წინასწარი განვცხავთავა იყო, რამინს რომ უბიშო ხედა ვისი. პირელად განვცხის ძალით დარჩა ვისი ხელმიუყოფელი საცუთარი ძმისაგან — ვიროსაგან. მოაბარეთა მიიჩნია, რომ „ასრე ჩემისა ბედისაგან ქმნილა, რომელ სიძემან მაგისაგან გულის ნება ვერ ჰოვა“, (39). მაგრამ სინაზღილეში სხვა იყო ღვთის განვცხა. ვისი თხოვნით მოაბარეთის მამაცობა შეკრა ძიძამ. ამგვარად, მეორედ გათხოვებისაც უბიშო ზარჩა ვისი. ცხადია, ეს მომენტი შემთხვევით არაა პოემაში. სამართლიანობის კანონი (ის, რომ ვისი უთუოდ რამინის წილხვდომილი უნდა გამზდარიყო) თხზულებაში განვცხამდეა აყვანილი. განვცხამ გააგო ზევით ვისისა და რამინის შეყრა და ასეც მოხდა; ამგვარად, განვცხა ბარონობს პოემაში, მაგრამ იგი ღვთის ხელთაა, მის სურვილზეა დამოკიდებული. მართლია, „ყველი საქმე ბედისაგან მოვა კაცსა ზედა, მაგრამ „ვინცა ავი ქმნა, ავი წაეკიდა“ (74), ე. ი. განვცხა სამართლიანია, ბოროტი ისჭება და კეთილი ხარობს. განვცხას „ვის ო რამინის“ მიხედვით, ღვთის ხელი და აზრი წარმართავს: „ღმრთისაგან ყველა ჩემნა თავსა ზედა განვცხაა დაწერილი“ და მას ვერავინ შეცვლის თვით უფლის გარდა, ყველაფერი ღვთის ნება-სურვილზეა დამოკიდებული: „თუ ღმრთის განვცხაა, გაგიმარცვებს, იცოდი, ვერ აპხდები მისსა საქმესა“ (75). მაშასადამე, განვცხა იგივე ღვთის ნება-სურვილია, რომელიც უმაღლეს სამართლიანობასა და მყარებულია. ამიტომა, რომ მიუხედავად განვცხას გარდუვალობისა, მისი „ვერ შექცევისა“, ძეგლი მთლიანად ოპტიმიზმითაა გამსცვალული⁷¹.

„ვის ო რამინის“ და „შან-ნამეში“ წარმოდგენილი ფატალური ცნებებისა და წარმოდგენების შესწავლამ გვაჩვენა, რომ ბედისა და განვცხას საკითხშიც „ვის ო რამინის“ მთლიანად ბედის ძეველ ირანულ კონცეპციას უკავშირდება⁷². ძეველ ირანულსავე ცხოვრებასა და ყოფები პოლუობს ფესვებს „ვის ო რამინში“ აღწერილი ლხინისა და ღვინის სმის წესი⁷³.

„ვის ო რამინის“ ძირითადი იდეა უმაღლესი სამართლიანობაა, ხოლო თხზულების მთავარი ღერძი — სიყვარული. ბუნებრივი სიყვარულია ის ძალა, რომელიც პოემაში აღადგენს დარღვეულ პარმონიას (ღვთაება მითოს ჩარევით). ამდენად, პოემის უმთავრეს ძალა სწორედ სიყვარულის კოსმიური ძლიერების გამოხატვაში მდგომარეობს. მხოლოდ სიყვარულში ისხნება ადამიანი ბოლომდე. „ვის ო რამინის“ ავტორი ადამიანის ბუნების, მისი ფსიქოლოგიისა და სულის ურთულესი ნიუანსების ღრმა ცოდნას ამეღანებს. პოემის ყველა პერსონაჟი დანახულია და აღმტულია მთლიანობაში, დახატულია შეუფერვად, უშელვათოდ — ავისა და კარგის პირუთენელი ჩვენებით. ავტორი არ ჩემალავს თავისი გმირების ნაკლებად მიმზიდველ, თუნდაც ულიტს თვისებებს, არ ერიდება მათ გამოაშეარავებას. პირიქით, ის თთქოს საგანვცხოდ ამხელს გმირთა ხასიათების მაკლულ მხარეებს, რათა გაღმოვცეც მათი ნამდვილი სახე და გვიჩვენოს ისინი ისე, როგორიც არიან სინამდვილეში. სიყვარული, შურისება, სისასტიკე, გაიძვერობა და თვალთმაქცობა — ყველა

⁷¹ გ. ი მე და შვილი, დასიხ. ნაშრომი, გვ. 72.

⁷² H. Ringgren, Fa alsm im Persian epics, Uppsala universitatis: Acta universitatis, Uppsalo, 1952, 13.

⁷³ Ф. Розенберг, О вине и пирах в персидской национальной эпопее, II, 1918, стр. 376.

ეს ადამიანური თვისება ნაწარმოებში საოცარი რეალიზმითაა აღმეცდებული. ისეთი დაუზოგავი სიმართლითაა გახსნილი გმირთა ბუნება და ხასიათი პერსი, რომ მკითხველს უნებურად ივიწყდება ის დისტანცია, რომელიც არსებობს ამ უძველეს ხანასა და ჩვენს თანადროულობას შორის. ასეთი რეალიზმი არასოდეს ყოფილა უფრო ანტიური შექმნლობისთვის⁷⁴. სინამდვილის ამგვარი ასახვა იყო სწორედ ელანისტური ხელოვნების მოთხოვნა ლიტერატურაში. არისტოტელეს თავის „პოეტიკაში“ მოაქვს სოფოკლეს სიტყვები: „მე უცდილობ ადამიანები დავხატო ისე, როგორებიც უნდა იყვნენ ისინი, ეკრიპტიდე კი ცდილობდა დახატა — როგორებიც არიან ისინი“. მართლაც, სოფოკლეს გმირებს თან სდევთ ეპიური გმირობის ნათელი, რომელიც მითებმა და ლეგენდებმა გადმოულოცეს ადამიანებს. ეკრიპტიდეს კი სწადდა ამ გმირებისაგან ჩვეულებრივი ადამიანები შეექმნა. ამიტომ იგი გმირთა სულიერი ძლიერების ჩვენებაზე არ ჩერდება იმდენად, რამდენადც მათ ვნებათა აღწერაში. ეკრიპტიდემ შემოიტანა პირველად ბერძნულ ტრაგედიაში სიყვარულის მოტივი და პირველმა მან გახადა იგი მოქმედების მამძრავებელ ღერძად. მისთვის ერთნაირად ადვილი იყო ქალის დემონური ხასიათის აღწერა და მისი სულის უფასიშესი და უნაზესი სიმებს აქლერება. ეკრიპტიდე არ ერიდებოდა ადამიანის ბუნების ჩრდილოვანი მხარეების ჩვენებას და ფართოდ ულებდა კარს რეალიზმს ბერძნულ ტრაგედიაში⁷⁵. ცხოვრებისეული წერილმანები, თუ მისი ინტიმური მხარეები, ყოფა და გარემო, მისი „ჩვეულებრივობა“ — ყველაფერი ეს საოცარი ოსტატობით დახატა მან თავის ტრაგედიებში.

ელინიზმის ელემენტების შემოჭრამ ძველი ირანის კულტურაში თვისებური დაღი დამავა საარსული ლიტერატურის შემდგომ განვითარებას. „ვის ო რამინის“ მიჯნურობა თავისი ხასიათი ელინისტური კულტურის ნაყოფია და დიდად განსხვავდება იმ შიჯნურობისაგან, რომელსაც გორგანის თანადროული ისლამური ლიტერატურა იცნობს. „ვის ო რამინის“ მთავარი ღირსება „სწორედ ამ რეალური ადამიანის შემჩნევაა, რომელიც პოეტის ეს-მის, როგორც „მიწისაგანვე დაბადებული, მიწყით ნებისა და სიამოვნის მონატრე“ (82). და მართლაც, ყოველი მისი ტიპი მიწისაგანვე დაბადებული ადამიანია, რეალობის შეგრძნებით დაბადებული ქალი და კაცი, რომელთა დახატვაში პოეტი უმთავრესად მათ მგრძნობელობას უსვამს ხახს, რაც მისი თვალთახედვით განსაზღვრავს მთლიანად ადამიანის არსებობას⁷⁶.

„ვის ო რამინში“ შმინდა ადამიანური, ხორციელი და ბუნებრივი სიყვარულია აღწერილი, სადაც გასაიდუმლოებული არა ჩვეულებრივი ადამიანური სულიერი ტკივილები და პოემის გმირებიც სისხლსაცხე ადამიანები არიან და არა სათმამაშო ტკივინები⁷⁷. ძეგლში არაა დასმული იდეალური გმირის ხატვის პრობლემა. ვისი და რამინი არ არიან იდეალური მიჯნურები იმ აზრით, რომ მსოფლი სულიერ ასპექტში პჰონდეთ გადატანილი გრძნობა. მთელი პოემა წმინდა ადამიანური, მიწიერი სიყვარულის პოლოგია. ერთი სიტყვით, ვისისა და რამინის მიჯნურობა არის ადამიანის უფლების აღიარება ჭანსაღ,

⁷⁴ Г. Ф. Церетели, Герод и реализм в Александрийской поэзии, Юрьев, 1906, стр. 9—10.

⁷⁵ გ. წერეთელი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, ტც., 1935, გვ. 334.

⁷⁶ გ. იმედაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

⁷⁷ جو ... ایم* A. Bausani, Storia della litteratura Persiana, Milano, 1960, 624.

ხორციელ სიყვარულზე. ძეგლი „ისეთი კულტურის პროდუქტია, რომელიც უკავშირდება ხორციელ სიყვარულის ღირებულებაში და აღამიანის უფლებაში, რომ აჟოლოდა მა სიყვარულს“⁷⁸. პოემაში არსად ჩანს ტენდენცია ავტორისა სიყვარულის ზენიტად ცის წვდომა, ღმერთის მიღელება და მაშინ განხვება გამოაცხადოს; იგი არ მოუწოდებს მიგნურებს ანგელოზთა ტახტზე დაკავონ ადგილზე⁷⁹. ასეთი მიგნურობა ახასიათებს გვიანდელი ხანის ისლამურ პოეზიას, როდესაც იწყება ადამიანის გაიდეალება და სიყვარულიც ამის გამო ხორციელის ნაცვლად მისტიური ხდება.

მაგვარად, მცნურობა და გმირთა ხასიათების ჩალისტური ხატვა „ვის ო რამინში“ ელინისტური ლიტერატურისათვის ნაცნობი და დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. სიცრუე, ეგოიზმი, ცბიერება, ამპარტავნება, ღალატი — ყველა მა ნიშნით გმირთა ხასიათები ეხმაურება ელინისტურ ლიტერატურას. ასე რომ, ამ თველსაზრისითაც გორგანის „ვის ო რამინი“ სრულიად განხაკუთრებულ ადგილს იკავებს ახალ სპარსულ ლიტერატურაში. ი. ბრაგინსკის აზრით, პოემა სავსებით განმარტოებით დგას სპარსულ-კლასიკურ პოეზიაში „благодаря ярко выраженной народности, отражающей настроения городских кругов в середине века, расчитанная на среду городской антифеодальной оппозиции⁸⁰“. ი. ნ. ბოლდინევის აზრით კი, ესაა უპრეცედენტო პოემა ახალ სპარსულ მწერლობაში, რომელსაც არც წინაპარი ჰყოლია და არც მემკვიდრე: „Не имеющая precedентов, поэма Бис о Рамил осталась и без преемственности, так как возникла в благоприятный момент кратковременного слабления строгостей церковной цензуры в бурные годы сельджукского завоевания⁸¹. სხვათა შორის, აქედანც კარგად ჩანს, რომ პოემა სავსებით მოვარდნილია მე-11 საუკუნის ისლამური კულტურისა და სარწმუნოებიდან და რომ მისი თარგმანის ფაქტი განაპირობა შემთხვევითმა მომენტმა — საეკლესიო ცენზურის ღროებითმა შესუსტებამ სელჭუქთა და პურობების დროს. სხვაგვარად ის ვერ ითარგმნებოდა ვერც მაშინ და ვერც შემდგომ საუკუნში.

პოემა მოვარდნილია ისლამური სამყაროდან თავისი დამოკიდებულებით ადამიანის ნების თავისუფლების, მისი პიროვნული დამოუკიდებლობისა და ბუნებრივი, თავისუფალი სიყვარულის მოხხვენით (იგივე იდეალებია განხორციელებული, ოღონდ უფრო მაღალ სულიერ პლანში — იდეალური გმირის ხატვის დონეზე — რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“). ასეთი იყო ანტიკური ხანის ელინისტურ და პართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში გამოვლენილი იდეალი. ამ იდეალებისა და პრინციპების დასაყრდენი „ვის ო რამინში“ ყველგან სიმართლე, სამირთლიანობა და სიკეთე გამოდის. პარმონიული მხოლოდ ის საზოგადოება შეიძლება იყოს, რომელიც ამ პრინციპებზეა აგებული.

⁷⁸ ნ. ნათაძე, ველისტყაოსანი და კულტურის ისტორია, მნათობი, 1964, № 1, გვ. 62; გ. იმედაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

⁷⁹ مهجان ... آن*

⁸⁰ И. С. Брагинский, Из истории..., стр. 294.

⁸¹ Краткая история литературы Ирана, Афганистана и Турции, Курс лекций, Ленинград, 1971, стр. 35—36.

მიუხედავად იმისა, რომ სიცრუე, ღვთისა და კაცის მოტუშება და ფუნქციების
გატეხა პოემში აღიმება როგორც ფარიზმის კონცეფციის რღვევა⁸², „ვის თ
რამინის“ მოელი სამიჯნურო თავგადასავალი მაინც სიცრუესა და ცბიერებაზე,
ტყუილსა და ვერაგობაზე დამყარებულია. ამ მხრივ პოემა გაიჩებულია, ერ-
თის მხრივ, დღას საერთო, ზოგადი აქემენიდური მორალური კონცეფცია სი-
მართლისა და სამართლიანობის შესახებ, ხოლო, მეორეს მხრივ — სიცრუე
და ცბიერება. აქაც ზოროასტრიზმის ის ძუალისტური პრინციპია გამოხატუ-
ლი, რომელიც საზოგადოდ უდევს საფუძვლად თხზულების შეატვრულ გან-
ხორციელებას.

პორტუგალი საბოლოოდ იმარჯვებს ქეყლი ფარსული იდეა სინათლისა და სიბეჭდის, ბოროტისა და კეთილის ბრძოლის შესახებ⁸³, რომელიც ნაწარმო-ებში ჩამინისა და მოაბადის დაპირისპირებითაა გამეღავრებული. საბოლოოდ იმარჯვებს სიკეთე, ე. ი. რამინი. იგი ქმნის ისეთ სახელმწიფოს, რომელიც უტოვის კი არაა, არამედ აქემენიდური სამართლიანი სახელმწიფოს ორეუ-ლია.

“ კველაფრიდან ჩანს, რომ ნაწარმოები ძირითადად მანც ქვემნიღური იდეების სამყაროში ტრიალებს, მიუხედავად იმისა, რომ პოემის გმირთა ავან-ტურული პერიდეტიები ხშირად არ ეთანხმება თავისი ხასიათთან აქვემნიღური საზოგადოების მორალურ-ეთიკურ კოდექსს. აი, სწორედ აյ იჩინა თავი პარ-თული ყოფის სინამდვილემ, სპარსული ნაციონალური ფარსიზმის ტრადიციე-ბის რღვევამ ალექსანდრე მაკედონელის გამარჯვებით რომ იყო გამოწვეული. „ვის თ რძინში“ ამ თვალსაზრისით საცხებით კანონზომიერად ისახა ის დაქ-ვეითება ყოფასა და კულტურაზე, რომელიც განპირობა ელინისტური კულ-ტურის შემოწრამ იჩანში და ამ კულტურის სინკრეტულმა ხასიათმა.

ქველ სპარსულ ზორიასტრულ კულტით არის დაკავშირებული პოემაში მზის ბატონობა. ზორიასტრული რელიგიის მიხედვით, მზე არის უპირველესი ღვთაება ბეუნების სხვა ძალთა შორის (შდრ. „ცეფზესტყაოსანი“). მითთა განპირობებული, რა თქმა უნდა, გორგანის პოემაში მზის პირველობა (ისლამში პირველი ღვთაება მოვარეა).

შზის უპირატესობასთანაა დაკავშირებული ძევლი ირალული ტრადიცია ცეცხლის შენახვის შესახებ, რომელიც პოემაში გმონხატულია როგორც ზორაოსტრიზმის გაღმონაშთი⁸⁴. ზორაოსტრიზმის გაღმონაშთია „გის ო რამინ-ში“ ბევრი სხვა ჩვეულებაც, როგორიცაა, მაგალითად, აქემენიდების ტრადიცია — სიცოცხლეშივე საკუთარი, მონუმენტური სამარხებისა და ყულდამების შენება. აქემენიდების კიროსისა და ქსერქსეს მსგავსად, რამინიც წინასწარ აგებულ საკუთარ აყლდამაში იმარხავს თავს⁸⁵; აქემენიდებირია პოემის გმირთა ჩატელობა და მათი წეს-ჩვეულება ლარიბათა და გლახაჟთა დაწყალობებისა და საზოგადოდ — ჩუქება-გაცემისა⁸⁶.

ამგვარად, პოემაში არ დაჩასა არცერთი არსებითი ნიშანი, რომლის მიხედვით ჟესაძლებელი იყოს ძეგლის დაკარგშირება ფაზრედინ გრიგანის დროსთან, ანუ ისლამურ ხიასთან. პოემის ანალიზის დროს ყურადღებას ძირი არ უნდა მოვარდოს.

82 ദിവസം പോഴുമേനോ ഭാഗം, ഭാഗം. ഭാഗം, 83. 68.

83 ०३०, ८३. ६६.

84 0330, 33. 70.

85 0330, 83. 66.

86 0330, 83. 70.

რითადად ვმოახვილებდით არსებით ნიშნებზე, თორემ თხზულება თარგმნების მიერ ახალ სპარსულზე და, ბუნებრივია, პოემის მხატვრული აქსესუარი მუსლიმანური სპარსეთის პოეტური არსენალიდანაა აღებული უმთავრესად⁸⁷, თუმცა აქაც კერ აცდა გორგანი დედნისეულ ძლიერ გავლენას. ფალაური ვერსის თარგმნის დროს გორგანი განიცდა ფენის გავლენა მხატვრულ სტილის თვალსაზრისით და ამიტომ მისი პოეტური ენა და სტილი ისეთივე სადა და უბრალოა, როგორც ოვით ფალაური პრიზაული ტექსტი⁸⁸. სტილის ამ სისადავითა და უბრალოებით გორგანი მარტო თავის თანამედროვეთა შორის კი არ გამოიჩინეა, არამედ მისი მომდევნო თაობის სპარსელ პოეტთა შემოქმედებისაგანაც.

თუ წინარე ისლამური კულტურისა და ლიტერატურის გავლენა ძეგლში ხშირად აშეარადა გამოვლენილი, ისლამური კულტურის ნიშნები ასე რელიეფურად როდი ჩანს თხზულებაში. მათი ძებნა და მიკვლევა პოემაში მხოლოდ ქვეტექსტების საშუალებით ხერხდება⁸⁹. ასე, მაგალითად, მითითება აღამიანის პირველ ცოდვაზე, მისი სამოთხიდან გამოძევება ეშმაკის წყალობით ძველი ებრაული გადმოცემაა, რომელიც ყურანშია დადასტურებული. ისლამური სარწმუნოებიდან შეიძრა აგრეთვე გორგანის თხზულებაში წარმოდგენა სამოთხის შესახებ, ქოსერი და მისთ. ხშირად პოეტი იმოწმებს ადგილებს ყურანიდან, თარგმანის არაბულ ჰადისებს და არაებს⁹⁰. მხატვრულ საშუალებათა გარდა, გორგანისეულია პოემის დასაწყისი და ბოლო თავები⁹¹.

სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი. პროზით შესრულებული ფალაური ტექსტის თარგმნისას, მისი პოეტური დამუშავებისას, მე-11 საუკუნის მუსლიმან პოეტი, ცხადია, თავისი დროის წინაშე მოიხდიდა ხარჯს და საკუთარ პოეტურ არსენალს დაესესხებოდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ პოემაში, ნებით თუ უნებლიერ, ისლამური რეალიებიც აისახა გარკვეული დოზით, რომელთაც ახლა ქვეტექსტებში ეძიებენ მკვლევარნი.

М. Г. МАМАЦАШВИЛИ

«ВИС О РАМИН» — ПАРФЯНСКИЙ РОМАН

(Резюме)

Работа ставит целью дать возможно подробный анализ поэмы Гургани под углом выявления в ней основных морально-этических и идеологических принципов и охватить тот культурный ареал, в котором создавался памятник.

Поскольку в научной литературе все еще не решен вопрос относительно принадлежности памятника к какой-либо определенной культуре, мы постарались внести некоторую ясность в данную проблему, выдвинув несколько новых аргументов в пользу высказанного ранее В. Минорским положения о принадлежности поэмы к парфянской эпохе.

В работе по возможности раскрыты реалии отображающие парфянскую действительность, ее быт и культуру (инцест, древний обычай ордальи, магия, астрология, символика дикого кабана и др.).

⁸⁷ F. Gabrieli, დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

⁸⁸ مَحْجُوب ... ۲۴*

⁸⁹ مَحْجُوب ... ۲۹*

⁹⁰ مَحْمَود ... ۲۱—۲۲*

⁹¹ مَحْمَود დასახ. ნაშრომი, ۳۷۷*

ელექტრონული აზრობის მიზანი

ଲୋହିନ୍ଦୀରୁଣ୍ଟ-କଣ୍ଠରୁଣ୍ଟ କିମ୍ବା ଲୋହିନ୍ଦୀରୁଣ୍ଟିଆରୁଣ୍ଟି
ଶ୍ଵରପାତ୍ରରୁଣ୍ଟିଆରୁଣ୍ଟି

სწრაფეა ლეგენდებისა და ზუპრემისაკენ მწერლის თავისტცური შემოქმედებითი ხედვით უნდა აცხსნათ: ნ. ლორთვილიანძე მხატვართა იმ ჯვეფს ეკუთვნის, რომელიც დაუფარავდა აძლევნებს თავის ემოციურ დაზოკიდებულებს დასინუშვავებლად გამიზნული მასალისაღმი. ამდავგარემა სუბიექტურ ემოციურმა მიღვომავ მის მხატვრულ პრიზაში წარმოშვა არა მარტო ლირიკული და სატირულ-იუმორისტული თხზულებან, ფანტასტიკური ხსიათის ნაწარმოებებიც ლეგენდებისა და ზღვპრების სახით, რომელთა სპეციფიკური ზუნება მწერლის მისწრაფებებს, იდეალების, სურვილებისა თუ ცონებების გამოხატვის განხაფუთრებულ შესაძლებლობას იძლევა.

5. ლორტქიფანიძე შევითად თუ იყენებს თვალის ნაწარმოებში ხალხური ლეგენდებისა და ზღაპრების სიუკეტს. ამ მხრივ აღსანიშნავია ზღაპრი „დედის გული“ და მოთხრობა „ეკედუხრელნი“, რომელშიც მწერალს ოსტატურაზ ქებს ჩართული ლეგენდა სურამის ციხის შესახებ.

სალენური შემოქმედების ზეგავლენით აქვს დაწერილი 6. ლორთქიაფინი-
ძეს აგრძელებული ზღაპრები: „შეგვბრძები“, „ავთანდილ ბრძენი“ და „გრძნობის
ტალღებმა გზა გაიკათა“. მსგავსება 6. ლორთქიაფინიძის ამ ნაწარმოებებსა და
ფოლკლორულ ზრდას შორის შეიძინება მორტებში, სახეცებში, გამოთქ-
მებში, თხრინის მანერაში, რომელიც გულუბრყვილობითა და სისაღავით ხა-
სიათდება და, რაც განსაკუთრებით თვალში საცემია, ზღაპრისათვის დამახა-
სიათდებელ თავისებულ კონსტრუქციაში (სტანდარტული, ტრადიციული და-
საწყისი და დაბოლოება, სიუკეტის თავისებული გაშლა, მსგავსი სიტუაციე-
ბის პერიოდული განმეორება, გამოხატული თითქმის ერთსა და იმავე სიტუ-
კიერ მასალაში და სხვა). მაგალითისათვის მიღმართოთ „ავთანდილ ბრძენს“.

სიუკეტი ამ ზღაპრისა სრულიად შარტვითა და ფანტასტიკური. ავთან-
დიოს დაეკარგება ხარები და მიღის საძებრად. გზაში მას შეხვდება თევზი და
ჩიტი, რომელთაც ის სიყვდილისაგან გადაარჩენს, სამაგიეროდ, ეს უკანასკ-
ნელინი თავიანთი ამხანაგების წყალობით ავთანდილ ორჯერ ისხნან განსაკ-
ულისაგან. დიდი დაბრკოლებების გადაალისვის შემდეგ ავთანდილი მიაგ-
ნებს თავის ხარებს ერთ ოჯაში სწორედ იმ მომენტში, როდესაც მათ დაქ-

ვლას უპირებენ. აქ იგი გამოიჩენს დიდ „მოხერხებულობას“ და „წინდახედულობას“, გამორჩევას თავის ხარებს და გამარჯვებული ბრუნდება შინ.

უშუალო კონტაქტი ადამიანებს, თევზებს, ფრინველებსა და პირუტყებს შორის, საგანგებოდ შექმნილი წინააღმდეგობანი, რომელიც სულ უფრო და უფრო სახითაო ხდება, დაბრკოლებების გადალახვა ზებუნებრივი ძალების საშუალებით და ბოლოს ბედნიერი დასასრული — ყველაფერი ეს ხალხურ ზღაპრებთან დიდ მსგავსებას ამჟღანებს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ანალოგიურად ხალხური ზღაპრებისა, ნ. ლორთქიფანიძის ეს ზოაპარიც მთლიანად მოქმედებას ეყრდნობა. არავითარი გარემოს აღწერა, ტექსტი თავისუფალია ყოველგვარი დეტალიზაციისა თუ ფსიქოლოგიური მომენტებისაგან. წამყვანი პერსონაჟი ამ ზღაპრისა ავთანდილი მხოლოდ და მხოლოდ მოქმედებაშია წარმოდგენილი და, საზოგადოდაც, აქ ყველაფერი გარეგნულისაენაა მიმართული.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ „ავთანდილ ბრძენი“ კომპოზიციურად ზუსტად იმდაგვარადვეა ავებული, როგორც ხალხურ ზრაპართა უმეტესობა. იწყება ის ტრადიციული თავსართით: „იყო და ორა იყო რა“, ხოლო უშუალოდ ამბის თხრობა ისეთი წინააღმდებით, რომელსაც ქართულ ხალხურ თხზულებებში გაერცელებული ფორმა აქვს მიცემული: „ლავარდ ცაზე მიმურავ მთვარეზე ულამაზესა რა იქნებოდა, მზეზე უფრო ნაყოფიერი რა გაჩნდებოდა და ავთანდილზე უფრო გონიერი „ვინ დაიბადებოდა!“ და მთავრდება ტრადიციულივე ბოლოსართით: „ჭირი იქა, ლნინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“.

გარდა ამისა, ისე როგორც ხალხურ ზღაპრებში, „ავთანდილ ბრძენშიაც“ ერთმანეთის მსგავსი სიტუაციები მეორდება. სრულიად ერთგვარად გამოიყურება ავთანდილის შევეღრა ჯერ თევზათან და შემდეგ ჩიტათან. ორივე ავთანდილს შევლის სთხოვს, თანაც ორივე გამოთვამს იმედს, რომ სამაგიეროს გადაუხდის. ხოლო ავთანდილს, თავის მხრივ, არც ერთი მათგანის დაპირებისა არ სჭრა, მაგრამ სიკვდილისაგან როგორც ერთს, ისე მეორეს მაინც იხსნის.

მართალია, ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებებში ნ. ლორთქიფანიძე ხალხური ზღაპრების ზედმიშვევნით ცოდნას ამჟღანებს და ნიჭიერადაც აღადგენს ქართული ხალხური ზღაპრის ტრადიციებს, მაგრამ მათში მაინც იმ ძალით არ არის გამოხატული ის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, რომელმაც მის ლიტერატურულ ზღაპრებსა თუ ლეგენდებში იჩინა თავი. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ფანტასტიკურ თხზულებებზე, რომლებშიაც ის უჩვეულო ოსტატობით ამერყველებს არასებულ სულებსა და ბუნების უტყვ შილებს და რომლებშიაც იგი, თითქოს და რეალობს მოწყვეტილი, მაინც ამჟღეყნიურ ამბებსა და მიწიერ ცრდნობებზე გვესაუბრება (მხედველობაში გვაქვს: „ულუმბოს მთაზე“, „მოწყვენილი ანგელოზი“, „უკვდავი გველი“, „მგლოვარენი გულითა“, „ჯან ტიკო და ჯან ბაჭარა“).

საინტერესოა, რომ ლეგენდარულ-ზღაპრული ხასიათის მასალას მწერალი ისეთ თხზულებებშიც კი ამუშავებს, რომელთა წამყვან მიზანდასახულობას ყოველდღიური ცხოვრების დახატვა წარმოადგენს („არ მეძინება, მითხარ ნანინა“, „ბეღნიერება“). ლეგენდარულ-ზღაპრული ამბებია შეჭრილი აგრეთვე ნ. ლორთქიფანიძის ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებშიც, რომ ლეგებშიაც ამავე დროს გარკვევით შეიმჩნევა მწერლის ტენდენცია, რაც შეიძლება მართლად, სინამდვილესთან ასახოს ფეოდალურ საქარ-

တော်လောင်စိုး အဆောက်လွှာ ရောက်လွှာ ဒါတာရော မြတ်စွာပေါ်လောင်စိုး („နှေ့ဇူးလျှော်လောင်စိုး“, „လျှော်လျှော်လောင်စိုး“)၊

საგულისხმოა ისიც, რომ კველა ამ შემთხვევაში ლეგენდარულ-ზღაპრული ამბები მოქცეულია ნაწარმოების შეგნით, სხვა ხისიათისა და სხვა შინაარსის მეონე სიუცხვეტურ ჩარჩოში, რომელშიაც სინამდვილისეული სურავები საგანგებოლდა წინ წამოწეული. ასე მავალითად, მოთხოვობა „ბედნიერების“ პირველ ნაწილში მხოლოდ და მხოლოდ ყოფითი მასალაა განსხვიერებული. თხზულების პირველსავე ფრაზებს გაჭირვებული ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში შევყავართ:

„სულტანზე თუ საწოლ ოთხში, — კითხულობთ ნაწარმობებში, — მულმ ისმოდა დედ-მამის თუ სტუმრების:

— მოელი ბაზრი დავიარე — ყველს ვერ მიეკარები, კაერტხი გაძვირებულა, ხორცი არც მიიკთხავ — რა გინდა, შეშეს ვერ აუხვალ...“

ტექსტის მომღევონ სტრიქონებშიც კლავ ცხოვრებისეული აჩებია ხაზგასმული: პატარა დიტომ „მოსებან დაეანგული ლურსმნები, ფეხმოტენილი სათამაშო ცხენი, ნახევრი ჯანჯუხი და ჭიშკარზე დაჭდა... იმედი ჰქონდა, რაღაცას გაყიდდა... მერე ერთ დიდ ქათამს იყიდდა და დედას ეტყოდა: — აწი კვერცხი ბევრი, ბევრი გვექნებაო“.

ნაწარმოების პირველი ნაწილის მოლო ფრაზებში კი გადმოცემულია იმედებული ბავშვის მძიმე განცდები და მისი ავადმყოფობის დასაწყისი.

თხულების შეორე ნაწილის პირველი სტრიქონები კვლავ ყოფითი დე-
ტალების ასახვას ემსახურდა: ავადმყოფი ბავშვი თხოულობს რძეს და
პორს, რაზედაც რეად უპასუხებს:

— ხელი, ჩემი ბიჭუნი, ხვალ წამალსაც მოგიტან, პუსაც და რძესაც... დოვიდეთ, აბა, ყორება...“

დესირე ამ ფრანგის შემდეგ იწყება სხვა, ზღაპრული ამბავი, რომელის მოკლე ჰინაარსა ასეთია:

ბერნიერების, რომელსაც თავზე, ზევით, მხოლოდ ერთი ლურჯი თვალი ჰქონდა, შეეძინა შვილი, რომელიც მას თავდაგრწყებით უყარდა. ის „ხშირად აიკანდა ბავშვს მაღლა-მაღლა ცისკენ, თავის ზევით, რომ დამტკარიყო მისი ცეკვრით...“ მაგრამ ერთ დღეს დედას შვილი დაკარგა... მას შემდეგ დაძრწის „ბედნიერება“ ქვეყნიერებაზე, ეძებს თავის პირშობს, ვისაც კი შეხვდება, აიტაცებს ზევით, „მაღლა-მაღლა ცისკენ“, მაგრამ ამაღლ, იგი ვერ პოულობს შვილს.

ეს ზღაპარი ოხულებაში არ იკითხება გამჭით. დედის თხრობას გზადა-
ვზა ბაგშის ცნობისმოყვარეობით სავსე შეკითხვები წყვეტს. ასე რომ, ეს
ორი სხვადასხვა ბუნების მქონე ნაკადი — სინამდვილისეული და ზღაპრუ-
ლი — გარკვეულ მომენტამდე თითქოს და ერთმანეთის პარალელურად მიე-
რინება.

ზღაპარი თავდება შინაგადებით: „ბელნიერება“ ხელიდან გააგდებს ზეაყვანილს და გარბის...“ რომელსაც უმას მოსდევს ბავშვის შეკითხება: „მე რომ არ მინახავს, დედა, „ბელნიერება“? — ასე ვუგრძნებით ქვლავ სინამდვილეს უკვე თხზულების დასასრულობრივ.

ରୂପାଳୁକ କ୍ଷେତ୍ରଙ୍ଗେ, ଏହି ଅନ୍ତର୍ଭାବରେ କାରଣମୁଣ୍ଡ ଦେଇଲୁ
କିମ୍ବା କିମ୍ବା ମନୋଶ୍ଵରଙ୍ଗରେ ଥିଲା ଏହା ଏକ ଦେଖାଇବାର
ପାଇଁ ଆମିରିବାରେ ଏହାର କାରଣମୁଣ୍ଡ ଦେଇଲୁଛି।

© 2019 მეცნიერება
საქართველო

უფრო გამჭველოს ცხოვრების ის მხარეები, რომელთა დახატებისაც ისახავდებია
პირველ რიგში მწერალი მიზნად.

ანალიზიურადვე განხორციელებული სინამდვილე და ზღაპრული მოთხ-
რობაში „არ მეძინება, მითხარ, ნანინ!“ ამ ნაწარმოების მოქმედი პირებიც
დედა და ავადმყოფი შვილია. ოღონდ ამჯერად შვილი მოუთხრობს დედას
ზღაპარს, რომელიც ასევე თხელულების შიგნითაა მოქცეული. აქაც, მოთხ-
რობის დასატყიში, ზღაპრული არაფერია: ახალგაზრდა ვაკი, რომელიც
აგრე ორი თვეა, რაც რაღაც გამოუცნობი ავადმყოფის გამო ლოგინალაა
ჩავარდნილი. სთხოვს დედას, უთხრის „ნანინა“. შვილის ამ თხოვნას მწერალე
დედა თხოვნითვე უპასუხებს: „შენ თქვი, შვილ, შენ უფრო ტკბილი ენა
გაქვს“. შვილი თანხმდება და იწყებს ზღაპარს ტრადიციული „იყო და არა
იყო რა“-თი და მკითხველაც უკვე სხვა სამყაროში გადადის, თუმცა ქაც
დედა-შეუძლის შეუკარგული, მაგრამ შრავლისმეტყველი შეკითხვები და პასუ-
ხები დროდადრო წყვეტს ზღაპრის ტექსტს და მკითხველაც კვლავ ცხოვრე-
ბისეულ ამბებში ეგმება. სინამდვილისეულისა და ზღაპრულის ერთმანეთში
გადახლართვა ნაწარმოებში ამდაგვარადა წარმოდგენილი:

„იყო და არა იყო რა, ღოთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი წყვილი
მერცხალი. გააკეთეს მათ ბუდე: დაგდა ბუდეში ერთი, მეორეს საყვარელი
არსებისათვის საზრდო ნისკარტით მოჰკონდა...“

- დედა, ძლიერ კარგია, არა, ასეთი ალერსი: ნისკარტით სატრიულს კვება?
- ჰო, შვილო, ჰო, — ჩიტებისათვის საამო უნდა იყოს.
- დედა, შენ ჩემი აზრი ვერ გაიგე! — ღიმილით ეუბნება შვილი.
- შეიძლება, შვილო, მოეხუცდი კიდეცა, მაგრამ გააგრძელე შენი ზღა-
პარი.

— გამოჩეეს ბარტყები. ახლა ორივე დარბოდა, ორივეს მოჰკონდა საკ-
ვები შვილებისათვის. ოფლს ღვრიდნენ, იქანცებოდნენ, მაგრამ ნეტარებას
ჰგრძნობდნენ...

- მართლა, დედა, ასეთია „შვილებისათვის ზრუნვა-შრომა?
- ჰო, შვილო, ჰო.
- ყველაფერს ავიწყებს ადამიანს?
- ყველაფერს, შვილო, ყველაფერს.
- თვით შვილის მწერარებასაც კი?...“

თხელულების ეს მონაცემი და ფაქტიურად შემდგომი აბზაცებიც ნა-
წარმოების დასასრულადე ქვეტექსტებით იკითხება. თვით ზღაპრის შინაარ-
სი, შვილის ორაზროვანი შეკითხვები და დედის უყიდურესად თავშეკავებუ-
ლი და ამავე დროს დაფანტული პასუხები მკითხველს გარკვევით აგრძნო-
ბინებს, რომ შვილი ამ ზღაპრით თავის განუხორციელებელ ოცნებებზე და
ტრაგიულ ბეღძე მოუთხრობს დედას.

ზღაპარი გრძელდება: მშობლებმა ასწავლეს შვილებს ფრენა, „მეზობ-
ლის ეზოშიაც კი გადააფრინეს“. შეორე დღეს, დედ-მამის უკითხვად, გათა-
მამებულმა მერცხალმა დატოვა მშობლიური ბუდე და გაფრინდა საღაც
შორს, შორს. მოძებნა თავისაეთ „მალხაზი ჩიტი“, მასთან დარჩენა ამჯობი-
ნა და შინ ალარ დაბრუნებულა. დედამ ვერ გაძლო უშვილოდ და გამწარე-
ბულმა დაიწყო ძებნა. „ყველ მონავარდე მერცხალში იგი თავის შვილს ხე-
დავდა. მაგრამ ბოლოს ჩირგვებუჩქნარსაც დააჩერდა და გაიგონა მკენესარე
ხმა: „დედა, დედა, სად ხარ, ჩემი დედა?“.



და, ამ მომენტიდან ფანტასტიკური ისე ოსტატურად გადადის ერთოვანია
ლობაში, რომ უკვე სრულიად ცერ გრძნობ, სად იწყება და სად მთაგზრდება
ზღაპარი თუ სინამდვილე.

თუ მოთხრობებში „ბელინიერება“ და „არ მეძინება, მითხარ ნაინა!“
ზღაპრულია შექრილი სინამდვილეში, სამაგიეროდ, ნაწარმოებებში „ქედუ-
რელნი“ და „დავით აღმაშენებელი“ ნ. ლორთქიფანიძეს ლეგენდარული ამ-
ბები შეაქვს. „დავით აღმაშენებელში“ ჩართულია ლეგენდა მყინვარის შესა-
ხებ, რომელიც ხალხის ფანტასიით, სამშობლოსათვის თავგანწირული, ყინუ-
ლად ქცეული აღმიანის სიმბოლოს ჭარმოადგენს, ხოლო მოთხრობაში
„ქედუხელნი“, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, — მცელი ჭართული თქმულება
სურამის ციხეზე.

ზემოთ დასახელებულ მოთხრობებში გარკვევით შეიმჩნევა ორი დინება:
სინამდვილისეული და ზღაპრული და სინამდვილისეული და ლეგენდარული,
რომელთაგან პირველი, ე. ი. სინამდვილისეული, გაცილებით უფრო ქლიე-
რია. მაგრამ ნ. ლორთქიფანიძის მოელ რიგ თხზულებებში წამყვანი სწორედ
ლეგენდარულ-ზღაპრული ნაჯადია. ასეთ ნაწარმოებებს უმეტესად სათაურის
შემდეგ თვით ავტორის განმარტება აქვს დართული: „ლეგენდა“, „შექმნილი
ლეგენდა“, „ზღაპარი“.

საგულისხმოა, რომ ამდაგვარ თხზულებებსაც, განსაკუთრებით ეს ეხება
ლეგენდებს, ზოგჯერ ისეთი შინაარსეული ჩარჩო აქვს, რომელშიაც კვლავ
სინამდვილეა ასახული, ასე მაგალითად, ლეგენდა „ერთ ტავაში“ იწყება და
მთავრდება კიდევაც საპატიმროს ცხოვრების ჩვენებით. ერთ საკანში შეკრი-
ლი „სხვადასხვა მიმართულების, სახის, მდგომარეობისა თუ ხსიათის ხალხი“
სხვადასხვა საკითხზე მსჯელობს. საუბრის მთავარ თემას სიყვარული შეად-
გენს. კამათში. აქტიურ მონაწილეობას იღებს ყველაზე უფრო ხანდაზმული
და დინიგი პატიმარი, ვინე თავადი. ეს უკანასკნელი დაბოლოს მოუთხრობს
კიდევაც პატიმრებს თავის რომანტიულ თავგადასავალს, რომელსაც ის ლეგენ-
დის სახეს აძლევს. ნაწარმოების ძირითად ბირთვს სწორედ ეს ლეგენდა ჭარ-
მოადგენს, რომელსაც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ფაქტიურად აღარა-
ფერი აქვს საერთო თხზულების დასაწყისთან, თავის სიუჟეტურ ჩარჩოსთან.
თხრობა აქ ჭარმოებს მესამე პირში. ნაწარმოების პერსონაჟები უკვე სულ
სხვა პირებმ არიან და, რაც მთავრია, მოქმედება გადატანილია შორეულ
წარსულში. სრულდება ლეგენდა და მოქმედება ისევ საპატიმროში გრძელ-
დება და ახლა უკვე სხვა პატიმარი, ბელეტრისტი, იწყებს თავისი დაუბეჭდა-
ვი ლეგენდის „ამაყის“ კოთხვას. ასე რომ, ერთ ჩარჩოში ორი სულ სხვადა-
სხვა შინაარსის ლეგენდაა გერმანიული. ერთ ლეგენდა სიყვარულის თე-
მაზეა აგებული, ხოლო მეორე — პატიმორულზე და, რაც ამეგად ჩვენთვის
უფრო საგულისხმოა, ორივე მათგანი ცხოვრებისეულ ამბებზეა გადაჭავუ-
ლი. ამ მანერითვე აქვს დაწერილი ნ. ლორთქიფანიძეს ლეგენდები „ვარდი“
და „ვენერას პარველი ნაბიჯი“.

რაც შეეხება ნ. ლორთქიფანიძის ზღაპრებს, უმეტეს მათგანს, ასე ვთქვათ,
მხოლოდ გარე სამოსი აქვს ზღაპრული. რეალურის, ფანტასტიკურის შთაბეჭ-
დილების ფაქტიურად აქ მხოლოდ ის გარემოება ქმნის, რომ მათში პერსონი-
ფიცირებული არასებული სულები, ან არადა ცხოველები, ფრიველები თუ
მცნარეები მონაწილეობენ. თვით ტექსტი კი ამ ზღაპრებისა, თითქმის
მთლიანად, სრულიად ჩვეულებრივი და ყოველდღიური ცხოვრების დეტალე-

ბის გადმოცემას ემსახურება. ასე რომ, რეალური და ირეალური, ფანტაზიური და ნამდვილი თითქოსდა ერთდროულადაა მოცემული ნ. ლორთქინის წარმომადგენის ზღაპრული შინაარსის მქონე თხზულებაში, რაც უთუოდ მწერლის შემოქმედების ერთ-ერთ საცულისხმო მხარეს შეადგენს.

ნ. ლორთქინის ლეგენდებისა და ზღაპრების თემატიკა არ გამოიჩინება არც მრავალფეროვნებით და არც რაიმე განსაკუთრებული სიახლით. მიუხედავად ამისა, მათი გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება სრული და ნათელი წარმომადგენა შეგვეძნეს მწერლის როგორც მორალურ-მსოფლმხედველობრივ პაზიციებში, ისე მის მხატვრულ სტილში.

სამშობლო, სიყვარული, ცხოვრების უსამართლობა — აი, ის თემები, რომელთაც ამუშავებს ნ. ლორთქინის თავის ლეგენდებსა და ზღაპრებში.

სიყვარულის საკითხს ეხება მწერალი ლეგენდებში: „ერთ ტაფაში“, „ძლიერნი სულნი“, „რაინდი“, „გარდი“, „ვენერას პირველი ნაბიგი“. ნ. ლორთქინის ამ თემაზე დაწერილ თხზულებებს ყველას ერთი შიზანი აქვს: დაანახვოს მკითხველს ძალა ჰეშმარიტი სიყვარულისა. დაახლოებით ერთი აქვთ უკრეთვე მათ დედაზრიც — ნამდვილი სიყვარული ძლიერი სულის ადამიანების ხვედრია. სიყვარული ყველა გრძნობაზე უფრო მაღალია. ისაა, რომ უზიდებს ადამიანებს მომოქმედონ ჩაღაც უჩვეულო და გაუგონარი.

ამ ჩანაციქრის განსახორციელებლად მწერალს დასახელებულ ნაწარმოებში შემოჰყავს მძაღვრი ემოციებისა და განსაკუთრებული ნებასყოფს მქონე ძალამიანები, რომლებიც თავიანთი ამ თვისებების გამო არაჩეულებრივსა და არანაულ საქმეებს ჩადიან. ამიტომ ამ თხზულებათა სიუკეტები, უკლიბლივ ყველა, განსაციფრებელ და ზოგჯერ სასწაულებრივ ამბებზედაცაა აგებული. ასე მაგალითად, „ძლიერნი სულნის“ სიუკეტი ამდაგვარად გამოიყერება:

სიყვარულისაგან ცეცხლშოდებულმა აფხაზმა, სატრფოსავე სურვილით, ქარიგის ქალშევილი, სლომაზით განთქმული რუსულანი გაიტაცა. შეუვარებულებს გზად დაწერია ათასისთავის ვაჟი — ცხენლოგინა, რომელიც ფარულად იყო გამიჯნურებული რუსულანზე.

ვაჟა-ცეცხლი სამკედრო-სასიცოცხლოდ შეეჭახნენ ერთმანეთს. გულწასული აფხაზი მიწაზე დაეშვა. გაბარჯვებულმა მოწინალიდებემ რუსულანს მიაშერა: ემუდარებოდა, წუთიერი სიტებოება მაინც მიერიშებინა მისთვის. სიყვარულისაგან გახელებული ვაჟი ერთ ამბორს სთხოვდა მშვენიერ ასულს. რუსულანი დაანი დაანხმდა მხოლოდ იმ პირობით, თუ ვაჟი მას თავს მოაკვლევინებდა. შეთანხმდნენ.

ქალმა ჩუმად ამოუძრო თავის სატრფოს ქარქაშიდან პატარა ხანგალი და, როდესაც ცხენლოგინა მთელის ვნებით დაეწაფა მის ბაგებს, ხანგლის წვერი ნელ-ნელა შეუყარა გვერდებში. ის-ის იყო, საბოლოოდ უნდა მიეღწია რუსულდან თავისი მიზნისათვის, რომ გონზე მოსული აფხაზი მიეპარა მას ჩუმად და როგორც მოღალატეს ზურგიდან ხანგალი ჩასცა. რუსულანი გარდაცვალა. სიყვდილის წინ ქალის მიერ თითო-ოროლა, შემთხვევით წამისროლიმა სიტყვაშ გააგებინა. ქვრივსა და აფხაზს მთელი სინამდვილე: რუსულანს თავისი სატრფოსათვის არ უღალატნა.

კირისიულებმა გადაწყვიტეს რუსულანის სახელის უკვდავსაყიფად ეშენებინათ მიუვალ ქლდებზე შენობა სხვების დაუხმარებლად, უიარალოდ, ისე; რომ ხელით ეთხარით ქვა და პეშვით მოეტანათ წყალი, შენობაში მათვის

უსაყვარლესი ოდამიანის ცხედარს დასკენებდნენ. გადაწყვეტილება ს მინისტრის მიერ დასკენების მოიყვანეს. დილხას ისმოდა ამ საოცარი შენობიდან სამი ოდამიანის „გალობა თუ ზარით ტირილი, სანაც ისინიც არ გარდაიცვალება“.

მოქმედ პირთა მსგავსი თავგანწირული სიყვარულია ასახული ნ. ლორთქიფანიძის სხვა ლეგენდებშიც: მთავრის შვილი გელევანი, რომელიც უიმედოდაა გამიჭნურებული ქვრივ დელფინზე, უყოფამანდ სწირავს თავს დელფინების სახელის დაცვას („რაინდი“), ხოლო შტირის მთავრის ასული ჭალათის ტანსაცმელში გადაცმული მიაცილებს თავის სატრუოს, იტალიელ მხატვარს, სახლის მინისტრების საკუთარ თავს და დასჭირს წინ საჭაროდ, ყველას თანადასწრებით, ხევენა-ალერსით ემშვიდობება მიგნურს, რის გამოც უყვარებულებს ხალხი ჩაქვლიავს („ვარდი“); ლეგენდის „ერთ ტაფაში“ მოქმედ პირებსაც — თავად გაიოზს და დადიანის ჭერკიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილს თეონას — გაგრებით უყვართ ერთმანეთი. მაგრამ გაიოზს მოულოდნელად სპარსეთში აგზავნიან. თეონას, მისი სურვილის წინააღმდეგ, მამა გავლენან პარს — ფრდიონს მიათხვებს. სამშობლიში დაბრუნებული გაიოზი გაიტაცებს თეონას მცირეწლოვან ბავშვს და უზომო სიყვარულით უვლის მას. ამ ამბიდან თხუთმეტი წლის შემდეგ ფრდიონი იძიებს შურს და გაიოზს მოკლავს. ტრაგიულად იღვუპება თეონაც, რომელიც სიყვდილის წინ გაუმჯდავნებს გაიოზს, რომ მას ცხოვრების მანძილზე შხოლოდ ის უყვარდა.

ზემოთ დასახელებული ლეგენდები გარევეულ შემოქმედებით პრინცის გმყარება, სახელდობრ, ყველა მათგანში მხოლოდ ერთი თემთა გაშლილი. ნიორიგთა სხვადასხვა შენაკადები მათში არ შეიმჩნევა, მდენად ისინი ერთპლანინანები არიან. ამასთანევე ყველა მათგანი სრულიად კონკრეტული მიზნის, კერძოდ, სიყვარულის მოტივის განხორციელებას ემსახურება. ამ ერთი მეზნის ირგვლივ კონცენტრირდება ლეგენდებში, სახოგადოდ, ყველაფერი.

ისე როგორც ხალხურ ლეგენდებსა და ზღაპრებში, ნ. ლორთქიფანიძის ამ ლეგენდების ცენტრშიაც ამბავია მოქცეული, ამბავი არაჩვეულებრივი, გაუგონარი და გასაოცარი. მაგრამ, განსხვავებით ფოლელორული უანრებისაგან, მწერალი თავის თხზულებებში, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, შედარებით მეტი ადგილს უთმობს გარემო ფონის აღწერას, თუმც საგანგებო დეტალიზაციისა და ისტორიული დასაბუთებისაგან ისიც შორს დგას.

გარემოს აღწერას აყტორი, პირველ რიგში, იმ მიზნით მიმართავს, რომ მის მიერ გადმოცემულმა ამბავშია რაც შეიძლება უფრო მეტად დატოვოს. სინამდვილეში მომხდარი ფაქტის შთაბეჭდილება. მწერლის ეს წრნასწარი განხილება განსაკუთრებით შეიმჩნევა ლეგენდებში „ერთ ტაფაში“, რომელშიაც გადმოცემულია საქართველოს მდგომარეობა სპარსელების ბატონზის დროს.

„მოწვევებითი“ ხასიათის ისტორიული ფონია წარმოდგენილი ნ. ლორთქიფანიძის სხვა თხზულებებშიც: „ვარდი“ და „რაინდი“, რომელებშიაც ერთ ერთ ისტორიულად ცნობილ პიროვნებას თუ ისტორიულად დადასტურებულ ფაქტს ვერ შეხვდებით. დამაჯერებლობის, ამიერქორბის გაძლიერების მიზნითვე ლეგენდაში „ვარდი“ მწერალს შემოაქვს გეოგრაფიული სახელებიც: „შტირია“, „იტალია“, „ვენეცია“, „გრაცია“, „მური“. მაგრამ ამდაგვარი დეტალების მოცემით ატორი ვერ აღწევს იმ მიზანს, რომ ლეგენდებში განსხვავებული დრო და ადგილი რეალურისა თუ კონკრეტულის შთა-



ბეჭდილებას ტოვებდეს. ამ მხრივ, ნ. ლორთქიფანიძის ლეგენდები ნათესავარჯიში თავას პოულობენ ხალხურ ლეგენდებთან, რომელიც გამოგონილსა და ფანტასტიკურ ამბებს ისე გამოსცემენ, როგორც სინამდვილეში მომხდარ ის-ტორიულ ფაქტს.

ფანტასტიკურის ელემენტები განსაკუთრებით საგრძნობია თხზულებებში „ვარდი“ და „ძლიერნი სულნი“, რომელთა დასასრული სცილდება თითქოსდა ისტორიულს, ანუ ლეგენდარულს და მყითხველისათვის სრულიად შეუმნიერებლად ზღაპრულ ფანტასტიკაში გადაღდის.

„ვარდში“ ეს ახალი ნაკადი იჭრება იმ მომენტიდან, როდესაც თხზულებას ძირითადი ამბავი ფაქტიურად ჟევე მომთავრებულია. ლეგენდის მთავარი პერსონაჟები აღარ არიან მდ ქვეყნად. დარჩა მხოლოდ მათი საფლავი წარწერით: „აქ განსახვენებენ ორნი მისანი, ეშმაკეულით ძლიერნი, ხალხის მიერ ჩაქოლილნი“. მაგრამ მწერალი აქ არ სვამს წერტილს და იგი კვლავ განაგრძობს თხრობას, თხრობას, რომელიც ჯერ კიდევ სასწაულებრივს არაფერს მოიცავს. გავიდა დრო. წაიშალა საფლავის წარწერა. ტყემ დაპფარა ის ადგილი. „ორი ჩაქოლილი მიაცემუდა ხალხს“.

თხზულების შემდეგი სტრიქონები კი ასე იყითხება: „ხეებთა შორის მოჩანდენ ტურფანი, იმშოდა ხმა საამო სიმღერისა და მგზავრთ ეშანდათ ახლო გარება“. თოთქოს არც ამ წინადადებებშია რაიმე გასაოცარი, მათში სრულიად ჩეცულებრივი და ყოფითი ამბებია გადმოცემული. მაგრამ იგვე წინადადებები, განსაკუთრებით სიტყვა „ეშინდათ“ სუსტად, მაგრამ მაინც ჟევე გაგრძნობინებს არალი დინების დასაწყისს. ლეგენდის შემდგომ ფრაზებში ეს ახალი დინება თანდათანობით უფრო ძლიერდება და რამდენადმე მისტიკურის ფორმას იღებს.

„იქ იძლერიან ტკბილად, გამჭველოთ იტყუებენ, იქიდან დაბრუნებული ზოგი ჭერაზე ირევა, ზოგი ნელ-ნელა დნება და კვდება, — ჭიუტობდა ხალხი.“

ბრძომ დაიჩემა უშმინდურისაგან ადგილის გაწმენდა.

გასტეხეს ტყე, მიუსვლელი, ყელიანი, დასტოვეს შხოლოდ კეისარიზები იმ გორაკის ირგვლივ ჩამწყრივებული, ვითა დარაჭნი აქლდამისა, დასტოვეს დაფნა და აქა-იქ ყვავილი. თუ წინათ საშიში იყო, ახლა მავნებელი გახდა ადგილი იგი.

იქიდან დაბრუნებულთ თვალები აღსწენებული ჰქონდათ, თმა აძებვილი, სახე მკრთალი...

— სუფეს ძალა ეშმაკისა. დავდგათ ხატი“, — გადაწყვიტა ხალხმა და დაიწყეს ძებნა აღმინისა, რომელიც შეთვეს ხატს დახატავდა.

სამოქმედო ასპარეზზე ახლა ახალი პერსონაჟი გამოდის, მხატვარი, „ლრმა სულისა და მაღალი გონების. ნამდვილი, კარგი და კეთილი აღმიანი“, რომლის უკან თვით მწერალია ამოფარებული. მან უნდა დაანახეოს ხალხს თავისი სისასტიკე, გააგებინოს ის, რაც მისთვის გაუგებარია და მიუწვდომელი და აი, ხატავს მხატვარი ხატს — გარდათ ხელში ლეთისმშობელს, რომელსაც „კეთილი“, „სათნო“, „მოწყალე“ და „სიყვარულით გამომეტაველი“ სახე აქვს, „შეგნებით საცხე შუბლი“ და აცრემლებული თვალები.

ხალხმა მოწიწებით დაასვენა ეს ხატი იმ ადგილის სიახლოეს, საღაც მათ ოდესლიც დაუნდობლად ჩაქოლეს სიყვარულისაგან თავგანწირული ადა-



მიანები. ამ მომენტიდან ტექსტში გარკვევით იჭრება ახალი დინება, რომელიც მისამართის სახეს იღებს. ლეგენდარულსა და „ჩვეულებრივს“ სასწაული ცვლის:

„ლეგისტრმობელი ხორცებში გადმოვიდა ხატიდან... დარჩა მხოლოდ ცარიელი ტილო და ჩარჩო ხატისა... ავიდა გორაზე და, სწორედ იქ, სადაც დამიანთა მიერ ჩაქოლინი ღვთით განისვენებდენ, თლილი ქვის ოავში დარგო ყვავილი... დაჟყარა ორი ცრემლი სამარადისო ცვარიდ ვარდის ფოთოლზე, შეხედა ბრძოს, დალოცა იგი და ისევ წყნარად გაპქრა ტილოზე“.

ლეგისტრმობელი შემდეგი მონაცემი ამ სასწაულის დამსწრეთა რეაქციას გამოხატავს და თიქმის შეუმჩნეველ მინიშნებას იმაზე, რომ მათ ფსიქიკური ბუნდოვნად, მაგრამ მაინც რაღაც გარდატეხა ხდება:

„განცემულება...“

ღუმილი...“

მოწინებით შინჯავენ ხატს, რომელზედაც ვარდი აღარ ეჭირა ღვთის-შობელს ხელში.

წყნარი, ჩუმი დაშილა ხალხისა.

მორიდებით, კრძალვით იმეორებენ:

— სასწაულია!..

— რაღაცა შეუგნებელი, მაგრამ მაღალია.

— თვით ღვთისმშობელმა!

— სწორედ იქ, სადაც იდგნენ ჩვენ მიერ ჩაქოლვილი“...

და კვლავ ირეალური, ფართსატიკური — მარად უჭირნბი და ფერულელი ვარდი, როგორც სიმბოლო ჩაუქრობელი სიყვარულისა:

„ყვავის ის ვარდი — საჩუარი ცისა მიწისაღმი უფესვოდ, უკუნითი უკუნისამგე. უჭირნბია ეს ვარდი, ფერს არ იცვლის, ფოთლები არ ხმება, სურნელოვანია მუდამ, ზაფხულშიაც და ზამთარშიაც, დარში და ავდარში. ყველას არ უნახავს იგი, მაგრამ ყველა სტებება მითის.“

ასე ცვლის ერთმანეთს „ლეგენდარული“ „ზღაპრულს“ და „ზღაპრული“ „ლეგენდარულს“ ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში, რაც უთუოდ გარკვეულ მიმზიდველობას ანიჭებს მის თხელულებებს.

დასახულებულ ლეგენდებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. ლორთქიფანიძეს თავისი წერის მანერაში გარკვეული სიახლე შეაქვს, კერძოდ, აძალებული სტილი. ლეგენდათა მთელი ტექსტები, შეიძლება თქვას, აწეულ პათოსში იკითხება. აწეულ პათოსშია განხორციელებული როგორც პერსონაჟი, რეპლიკები, ასევე აგრორისული რემბრენდიც. მაგალითისათვის მოგვაქვს რუსულანის რეპლიკა, რომელიც წარმოადგენს პასუხს ცხენლოვანს შეკითხვაზე, თუ როდის მოასწრო აფხაზმა ქალის მოხიბელია:

„როცა მისი ფშვენა ჩამესმა ძილში, როცა შემეხო ათრთოლებული ხელით... როცა უნაგირზე ჩამიერა გულში... როცა გაშმაგებული მეოცნიდა და ჯურადებასაც არ აქცევდა მდევართა ისრებს და გახელებულ ქროლვას ცხენის უგზო-უკვლიდ მთა-ლრეში... როცა გამედა და ჩემთვის დაარღვია სტუმართ კანონი და მომვარდა წასაყვანად... შენ ვერ გაბედავდი! გულიც მოგიკვდეს!“

არა მარტო ცალკეულ პირთა რეპლიკები, არამედ მთლიანად დიალოგი-ბიც კი ამავე სტილში აქვს განხორციელებული ნ. ლორთქიფანიძეს. ამ მხრივ

საგულისხმოა ის ადგილი, სადაც რუსუდანის გარდაცვალებით დამგლოვიარტკებულის
ბული ქრისტი, აფხაზი და ცხენლოვინა თათბირობენ: ჩა მოიმოქმედონ ისე-
თი, რომ სამუშაომდე უკვდავჭყონ მათთვის საყვარელი ადამიანის სახელი.

— რა ვქნათ ისეთი, რაც არც ერთ ადამიანს არ ექმნას? რით დავსტო-
ვოთ სამარალისოდ რუსუდანის სახელი? — იყითხა ერთხელ აფხაზმა.

— მეც მაგას ვფიქრობდი! — თითქოს ძლიერ წარმოსთქვა წყნარად ჭერ
კიდევ ფირჩმი გართულმა დედამ.

— მეც!

— ავაშენოთ მეჩეთი!

— ათასი აუშენებიათ!

— ავაშენოთ მხოლოდ ჩვენ სამმა!

— ჩვენ — სამმა...

— ისე, რომ არც ერთი ადამიანი არ დავიხმაროთ!

— არ დავიხმაროთ...

— მიუვალ კლდეზე...

— კლდეზე...

— უიარალოდ, რომ ხელით ვთხრიდეთ ქვას და პეშეით მოგვქონდეს
წყალი.

— კეთილ!

— არ ჩავიდეთ ქვემოთ, ადამიანებთან. შეკერილი არ ჩავიცვათ, მოხარ-
შული არ ვჭამოთ.

— ამინ!

— მეჩეთი არ ვარგა.

— ჩემთვის სულ ერთია.

— ჩემთვისაც!

— ჩემთვისაც, ოლონდ რუსუდანი ღვთის მოსავი იყო.

— რომელის?

— რომელის?

— რომელის?

— ავაშენოთ ამის საღიდებლად დიდი მშვენიერი გუმბათით სადგომი,
მისდა კვარცხლბეკად, მისი ტრაპეზი... მას ვუგალობოთ, იმაში — ყველა
ღმერთს, ყველა ძალას.

— ამინ.

— ამინ.

— ამინ“.

უორესობამდე თავშეკვებული რეპლიკები, მოკვეთილი და ლაკონიუ-
რი წინადაღებები, ერთი და იმავე ფრაზების თუ სიტყვების განმეორება, ძა-
ნილის და კითხვითი წინადაღებების მონაცელეობა, მკვეთრად საგრძნობი
შინაგანი რიტმულობა — ყველაფერი ეს თათქოსდა ერთდროულად, ერთ
ხმაში, ერთ საგანგებოდ ამაღლებულ ინტონაციაში სამი ერთნაირი ბუნების
ადამიანის ერთგვარად ღრმა მწუხარებას გადინსცემს.

ჩანს, ნ. ლორთქითანიდე შეგნებულად ამეტეცველებს ლეგენდის მოქმედ
პირებს სრულიად განსხვავებული მანერით. ცტერალი უთუოდ საგანგებოდ
არღვევს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვეულებრივი, სასაუბრო მეტყველე-
ბის ნორმებს, რათა ამ გზითაც განასხვას ლეგენდარული გმირები ჩვეუ-
ლებრივი ადამიანებისაგან.



ამაღლებულ პათოსშია წარმოდგენილი აგრეთვე, როგორც ზევითაც ასეთი განვითარება გნისწევთ, თვით მწერლის რეზარკებიც. აგრძორის აღფრთოვანება და თაყვანის ცენტრის ცენტრის ამ განსაკუთრებული აღმამიანების მიმართ, პირველ რიგში, შეორედ მისი თავისებური ინტონაციით მიღწეული, ასე მაგალითად, ლეგენდა „ძლიერნი სულნის“ ექსპოზიციაში ვკითხულობთ:

„დიახ! იყვნენ აღმამიანები ძლიერნი სულით, ამაყნი, ქედმოუხრელნი, დაუდგრომელნი. თვით ზე-კაციდ მიაჩნდათ. თვისი ნება წმინდა კანონად, პიროვნების გამოჩენა — უმაღლეს მიზნად. სულდათ და უყვარდათ არა გრძნობით — მთელი სხეულით, აზრით, სიხარულის ცრემლებით და ტანგვის ხარხარით.“

„დიახ! — თხრობის ასე მოწყვეტილად დაწყება და ის აწეული პათოსი, რომელიც თვით ამ ნაწილაკითა და ძახილის ნიშნითაა გამოხატული, უნებურად კარნაბოს მკითხველს, რომ ის, რის შესხებაც უნდა მოვკითხროს მწერალმა, მისი განსაკუთრებული განცდისა და თაყვანის ცენტრის საკანია. თხზულების შემდეგი სტრიქონები ამ წინათვრების დადასტურებას წარმოადგენს. ერთმანეთზე მიგრილი ეპითეტები: „ძლიერნი“, „ამაყნი“, „ქედმოუხრელნი“, „დაუდგრომელნი“ კიდევ უფრო ამკვეთრებს მწერლის დაძოიდებულებას ამ უჩვეულო სულის მქონე აღმამიანების მიმართ.

ამაღლებული პათოსი შესავლის მეორე აბზაცში კიდევ უფრო იზრდება, მეტყველ ეპითეტებს აქ უკვე პიპერბოლური გამოთქმები ცვლის: „აზროვნებდნენ არა წუთებით — წლობით იყვნენ განმშვევლული ერთი საკითხით. ყველას თვით მეფედ ესახებოდა და ქვეყანა — თავისი ცხენის სათელად“. „

ექსპოზიციის შესაბამის ნაწილი ავტორის ემოციათა გამოხატვის კულმინაციას წარმოადგენს. მარჯვედ მოხმობილი შედარებებისა და შეპირისის ირებათა გზით იგი საბოლოოდ გამოკვეთს თავის პოზიციებს არა მარტო ძლიერი პიროვნებების, არამედ მათი საჭინაომდეგო ბუნების მქონე აღმამიანების მიმართაც. აღფრთოვანება და ზიზღი ერთლროულად და ერთნაირი სიძლიერითაა გამოხატული ამ აბზაცში:

„ნაქანდაკები შეხედულებით, ისავით მგრძნობიარე, გველივით მახვილეობირი — არ გვაგდენ ჩვენ, ლოკომინასავით მოლოდიალე ხალხს, მატლებს ამა ქვეყნისას. არ ეშინოდათ უჩვეულო გრძნობის, არ ეძიებდნენ მუდაზ თანამოაზრეს“. „

ექსპოზიციის ეს ადგილო ყველაზე უფრო მეტ უურადლებას იმსახურებს, რაღაც მის იქით მწერლის მიზანი, მისი სურვილი იმაღლება: არ ხედავდეს თავის თანამედროვეობაში „ლოკომინასავით მოლოდიალე ხალხს, მატლებს ამა ქვეყნისას!“ (მიზნის საბოლოო წვდომისათვის გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ნაწარმოები დაწერილია რეაქციის ხანაში, კერძოდ, 1911 წ.).

საგანგებოდ აწეული პათოსის გარდა, ამაღლებული სტილის შესაქმნელად მწერალი ამავე დროს შიგადაშიგ საგანგებოდვე მიმართაც ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელ სიტაქსურ წყობასა და არქაულ სიტყვებს, ასე მაგალითად:

„უტახოდ შთენილი დედოფალი ხშირად დაიჩოქებდა ხატის წინ. მას აევდრებდა სულს მიცვალებულის საყვარელ ქმრისას, ემუდარებოდა, მიეღო მოწყალება და ისიც მაღლ წაეყვანა აღგილსა

შის ყვავილოვანსა, რომ ცოდვას ქვეყნისას არ დაუყენებია იგი გზასა განსაცდელისას „რაინდი“, ან:

„აქ იყრიდა თავს უამსა მას, აწსამარადისოდ წარსულსა, იმერეთის უმაღლესი წოდება...“ „დრო იგი უკნაური, გაუცდელი, დაუცდობელი და დაუღვრომელი იყო“ („ერთ ტაფაში“) და სხვა.

ასეთი ამოლებული სტილით მშერალი თითქოსდა შესაფერის ატმოსფეროს უქმნიდა თავის ლეგენდათა პერსონაჟებს — ამაღლებული სულის ადამიანებს.

მძღვანელსაც სტილში აქვს განხორციელებული ნ. ლორთქითანიძეს პატრიოტულ თემაზე დაწერილი ლეგენდები: „ამაყი“ და „მამულის სული“, რომლებშიც ერთი დედააზრია გატარებული: ერს არ უწერია გაღაშენება, თუ კი მას ჰყავს ერთი თავვანწირული გმირი მაინც. მიზანდასახულობის ასეთმა დამთხვევამ წარმოშეა ამ ნაწარმოებთა მსგავსი ფაბულები — ერთი ადამიანის თავვანწირვის მაგალითი ხდება სამშობლოს გამარჯვების საწინარი.

ამ ლეგენდებს არა მარტო მსგავსი თემატურობა, მიზანდასახულობა და ფაბულა აერთიანებს, არამედ მსგავსი კომპოზიციური აღნაგობა, სიუკეტური გაშლა და თითქმის ერთნაირი გამოხატვის საშუალებანიც. ორივე მათგანისათვის დამახასიათებელია სრულიად სადა კომპოზიცია ძუნწად მოცემული მატტიი ეპიზოდებით, სცენებით, სიტუაციებითა თუ დიალოგებით (განსაკუთრებით ეს ეხება „მამულის სულს“). აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ამ ნაწარმოებს, მსგავსად ხალხური თხზულებებისა, ბეჭნიერი დასასრული აქვს — ქართველი ხალხი ზეიმობს გამარჯვებას.

რამდენადმე ერთგვარად არის დამუშავებული ავტეტვე ამ თხზულებათა სიუკეტებიც. არც ერთ მათგანში არ არის მოცემული ისტორიულად დადასტურებული ფქრი და არც ისტორიულად ცნობილი პირები იღებენ მითში მონაწილეობას. არ არის დაკონკრეტებული ასევე მოქმედების დრო (თუ მხედველობში არ მივიღებთ ლეგენდა „ამაყის“ შემდეგ მწერლის მინაწერს: „მონლოლთა მონობის დროიდან“) და ადგილიც. გარდა ამისა, ტექსტი სრულიად თავისუფალია ყოველგვარი გარემოსა და ბუნების სურათების აღწერისაგან. თვით ბატალური სცენებიც კი უკიდურესად შეკუმშული სახითაა წარმოდგენილი. თითქმის არავითარი გამარტება, არავითარი ფსიქოლოგიური მომენტები, მხოლოდ შემვეღლი მოქმედება და საგნები, რთაც ეს ნაწარმოებები უთუოდ უახლოვდება ხალხურ ლეგენდებსა და ზღაპრებს. ასე მაგალითად, ნაწარმოებში „ამაყი“ კვითხულობთ:

„ციხის კარს ვიღაცომ ძალუბად დაუკაუნა.

— ვინ ხარ?

— გააღე!

— ხვალ მოდი!

— ახლა გააღე!

— ვისთან გაქვს საქმე?

— შენთან.

— ვერ გიცონძ.

— გაულე! ერთია, რას გვიზამს! — მოისმა მეორე დარაჯის ხმა.

კარის გაღებაზე ახლათ შემოსულმა ხმალი შეაბრიალა; ერთი დარაჯთავანი წაიქცა.

— ეს ერთი, — წაილაპარაკა შემოსულმა.

— ესეც მეორე, — დააყოლა შემოსულმა.

ციხეში ჩოჩელი შეიქნა...“.

სიუკეტან დაქავშირებით კიდევ ერთ გარემოებაზე ცვინდა გავამახვილოთ ყურადღება: როგორც ერთ ლეგნდაში, ისე მეორეში მსგავსი სიტუაციები და ერთნაირი წინადადებებიც კი მეორდება, რითაც ისინი გარკვევით ენათესავებინ ფოლკლორულ თხზულებებს, კერძოდ, ზღაპრებს.

აღსანიშნავია აგრეთვე მსც, რომ იმდენად ერთმანეთის მსგავსი მოქმედი პირები მონაწილეობენ როგორც ორივე ლეგნდაში, ასევე თითოეულ მათგანში, განსაკუთრებით „ამაყში“, რომ შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ერთ ლიტერატურულ გმირთან გვქონდეს საქმე. ამ „ერთი“ გმირის შესახებაც მეითხველის წარმომადგენა ჰალზე ღარიბია. მისთვის მხოლოდ და მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მას თავდაკიწყვებით ყუვარს თავისი საქშობლო. ისიც საგულისხმოა, რომ თხზულებაში ლეგნდის მოქმედი პირები მოცემული არიან მარტომდენ ერთ კონკრეტულ მოქმედებაში, სახელდობრ, მტერთან ბრძოლაში. თანაც, როგორც ზევითაც აღვინიშეთ, მწერალი ბრძოლის სურათების დეტალიზაციას არსად არ იძლევა. ამდენად, ამ ლეგნდათა პერსონაჟების კონკრეტული წარმომადგენა ჭირს. მკითხველის მესხისრებიდან ისინი ჩქარა ქრებიან, სამაგიეროდ, რეხება ის იდეა, რომლის მატარებელინიც ისინი არიან. ნ. ლორთქიფიქნიძის სხვა ხასიათის თხზულებებში კი მოქმედი პირები იმდენად ხორცებსხმულადაა განხორციელებული, რომ მკითხველში ისინი წარუშლელ კავალს ტოვებენ. ამის საუკეთესო მაგალითია მოთხრობა „ქედუხრელნი“, რომელშიაც მწერალს ზუსტად იგივე იდეა აქვს გატარებული, რაც „ამაყში“ და „მამულის სულში“, მაგრამ, სამაგიეროდ, აქ გმირის დახატვის სხვა ნიმუში აქვს მოცემული. ამ მოთხრობაში, როგორც არა ერთგზის აღვინიშეთ, ჩართულია თავისებურად გადასუშავებული ლეგნდა სურამის ცრის შესახებ: ზურაბი, რომელიც, დეტალიზაციისა და კონკრეტიზაციის მეტ შესაძლებლობას იძლევა და ზურაბის პიროვნებასაც იგი სხვადასხვა კუთხითა და სხვადასხვა ხერხებით წარმოადგენს. ამ გმირის შესახებ ლაპარაკობს თვით მწერალი, ლაპარაკობს მისი დედა — სალომე, აქებენ მეზობლები, ზურაბს კეცნობით საქუთარი რეპლიკებითა და, რაც მთვარია, მას მოქადების პროცესში ვხედავთ, როგორც ვარკვეული თვისებების მქონე პიროვნებას. ამის გამო მეითხველმა გაცილებით მეტი იცის ზურაბის შესახებ, ვიღრე „ამაყისა“ და „მამულის შეილის“ მოქმედ პირებზე.

გარდა ამისა, მწერალი იშვიათი ლსტატობით ხატავს იმ სცენებს, რომლის ცენტრშიაც ზურაბი დგას, ასე მაგალითად, სცენს, რომელიც გმოხატავს ზურაბის თანასოფლელთა აღფერთვანებასა და თანაგრძნობას, როდესაც ისინი თავის გმირს სამსხვერპლოსაცენ მიაცილებენ, და სცენას ზურაბის ჩაიკვისას, რომელშიაც განსაკუთრებული დახელოვნებით დედის, ქვრივის

სალომეს, ტრაგედია გადმოცემული. ჰელაფერი ეს ოცნებებს ზურაბის
სახეს და მკოთხველის მექსიერებაშიც ის სამუდამოდ აჩება.

ეს ერთი კონკრეტული მაგალითიც კი ცხადყოფს, რომ ნ. ლორთქიფანიძე სხვადასხვა ხსიათის ნაწარმოების წერისას სხვადასხვა მოთხოვნილებას უცენებს თავის თავს და სხვადასხვა შემოქმედებით მეთოდსაც მიმართავს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მიერ განსილულ ლეგენდებში, როგორც ჩანს, ის შეგნებულად უხვევს გვერდს პერსონაჟთა მოქმედების გარემოს დეტალურ აღწერას, მათ პორტრეტს, მათ საერთო დახასიათებას, სულიერი განცდების გადმოცემას და მთელ თავის შემოქმედებით ენერგიას, პირველ რიგში, იქითვენ წარმართავს, რომ შისთვის საინტერესო იდეა გააცოცხლოს და შეველი სახით, მაგრამ გამახვილებულად მიიტანოს ქიოთხველამდე. ამიტომაც ნ. ლორთქიფანიძის ლეგენდათა მოქმედი პირები, შეიძლება თქვენს, რამდენადმე სქემატურობით ხასიათდებიან. იდეა, რომლის მატარებელნიც ისინი არიან, თითქოსდა ფარავს მათ. ამით ეს ნაწარმოებები ერთგვარად უახლოვდებიან ფოლკლორულ თხზულებებს, რომელთათვისაც უმეტესად გმირთა სქემატურობა შესამჩნევი. ამ მხრივ, კიდევ უფრო მეტ მსგავსებას პოულობს ხალხურ ნაწარმოებებთან ნ. ლორთქიფანიძის დიდაქტიკურ-მორალური ხასიათის ლეგენდები: „ჭრშმარიტების მაძიებელი“ და „დადიანის ქალი და მათხველი“, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ იდეურ-თემატიკური თვალსაზრისით იქცევენ და ამავე დროს პერსონაჟთა სქემატურობით გამოიჩინებიან.

„ჭრშმარიტების მაძიებელში“ მწერალი მიზნად ისახავს გაარევიოს, თუ რაში მდგომარეობს ადამიანის დანიშნულება ამ ქვეყნად, რა უნდა განსაზღვრავდეს მის ცხოვრებას. ამ საკითხის გასაშუქრებლად ავტორს ლეგენდაში შეტაცებას მხოლოდ ორი პერსონაჟი: ბავშვი-ალი და მოხუცი. ალი თხზულებაში წარმოდგენილა მხოლოდ ერთი თვისებით — უსასრულო ცნობის-მოყვარეობით. ყველაფერზე უფრო მეტად მას აინტერესებს, გაიგოს, თუ რაში მდგომარეობს ჭრშმარიტება. მოხუცი კი დაახატულია როგორც იდეალური პიროვნება, „ადამიანი სულით წმინდა და გონებით მაღალი“. ნაწარმოების იდეის მატარებელი სწორედ ეს მოხუცია. ლეგენდის მეორე პერსონაჟი — ალი და მასთან ერთად მკითხველიც ამ მოხუცისაგან ელის პასუხს შეკითხვაზე: რა არის ჭრშმარიტება? მაგრამ არსი ჭრშმარიტებია, როგორც ეს მოხუცის სიტყვებიდან იჩკვევა, აუსნელი დაზინდილა მისთვისაც. „როცა მივედი, მივუახლოვდი ჩადრით დახურულს ჭრშმარიტებას, — მოუთხრობს მოხუცი ალის, — სიხარულს ჩემსას არ ჰქონდა საზღვარი. მაგრამ როდესაც ჩადრი ჩამოეხსენ, განახ მხოლოდ-ღა ჩინჩხი და არა სული. სათვალმაქცო-ოდ ის იცვლებოდა, დღეს ერთი სახე ქონდა, ხვალ კი მეორე“. სასოწარკვე-თილ ადამიანს მთისთვის შეუფარებით თავი, სადაც იგი სრულიად განმარტო-ებით ცხოვრობდა, უხალისოდ და უშინაარსოდ. მხოლოდ ერთმა შემთხვევაში გამოიყვანა იგი ამ მძიმე მდგომარეობიდან და დაუბრუნა მას პზრი ცხოვრებისა. მასთან მოვიდა პატარა ბავშვი და შეევეღრა, ეხსნა მისი ობლად დარჩენილი და-ძმა შიმშილით სიკვდილისაგან. კეთილმა ადამიანმა, რაც კი ება-და, ყველაფერი ბავშვს გაატანა. მეორე დღეს მადლიერი პატარები ეწვივ-ნენ თავიანთ მხსნელს და ალერსითა და სიყვარულით ავსეს იგი. იმ დღიდან შეიცვალა მისი ცხოვრება. ის ახლა გმირდებით ზრუნავდა პატარებისათვის.



მუშაობდა, ოფლს დერიდა, რათა ბავშვები დაეპურებინა. ასე გაჩნდა მისურველი გვის მიზანი.

„— იმ დაბლობ ადგილს, — ეუბნება მოხუცი მასთან მოსულ ახალგაზრდას, — საიდანაც მოდიოდი გულარეული, რამდენსა შია, რამდენს სწყურია, რამდენის გრძნობა შებდალულია. იმათი ბეღნიერება, მათი განცრომა, კი-თილდღეობა ქეშმარიტების უდიდესია“... და შემდეგ: „რამდენადაც საჭიროა, სიჩართლეს პოებს შერმელი ყაცი“.

მსგავსი იდეა აქვს გატარებული ნ. ლორთქიფანიძეს ლეგენდაში „დადიანის ქალი და მათხვერი“. დედამიზრი ამ ნაწარმოებისა ასეთია: ადამიანური ურთიერთობანი, დაყრდნობილი უანგარო სიკეთესა და ერთმანეთის თანაგრძნობაზე — აი, რა არის უველაზე უფრო ძეირფასი ამ ქვეყნად. ეს არის ის ერთადერთი, რომელსაც შეუძლია ადამიანში ადამიანური ღირსებები გაალვიძოს, დაცემული ფეხზე წამოაყენოს.

ასეთია ის თემები და იდეები, რომლებიც საფუძვლად უდევს ნ. ლორთქიფანიძის ლეგენდებს და რომლებიც ისებენ და ამევერებენ მწერლის მიერ დასმულ საკონტენტო თუ პრობლემებს მის სხვა ხასიათის ნაწარმოებებში.

ამგვარად, ნ. ლორთქიფანიძის ლეგენდებში უმეტესად სინამდვილე, ლეგენდარული და ზღაპრული ერთადაა მოცემული. წამყვანი შათ შორის ლეგენდარული ამბავი — საუცხოო, გასაოცარი და არაჩეულებრივი, ამავე ღრმს თითქოს ისტორიული, ერთ ღრმს, უველეს წარსულში მომხდარი. ლეგენდათა შთავარ ესთეტიკურ წყაროს სწორედ მათი უჩვეულო შინაარსი წარმოადგენს და ის მაღალი ჰუმანური იდეები, რომლებიც, როგორც წესი, იმ ზომამდისა გამოკვთილი და გაცოცხლებული, რომ შეიძლება ითქვას, იდეაა პირველ რიგში ამ თხზულებებში პერსონიფირებული.

ლეგენდათა კომპოზიცია სადა და მარტივი. მწერალი იმდაგვარად შლის სიუჟეტს, რომ, მიუხედავად მათში მოთხრობილი ამბის არაჩეულებრიობისა, მითობელისათვის აქ თითქმის არაფერია მოულოდნელი.

თხრობა ლეგენდებში მთლიანად აწეულ პათოსში მიღის, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს თხზულებები თითქმის ერთ ტემპში და ერთ ინტონაციაში იყიდება, ამიტომაც ისინი რამდენადმე მონოტონურნი არიან. ყოველ შეზოგვეაში, ინტონაციურ მხვივილთა ის ვიზუალული ვარიეტება, რაც ესოდენ დამახასიათებელია ნ. ლორთქიფანიძის ლირიკული ნაწარმოებებისათვის. აქ თითქმის შეუმნიერებელია, რის გამოც დაბაბულობა ამ ნაწარმოებებში საქმიანდ შესუსტებულია და კულმინაციაც მათში ყოველთვის არ არის მკაფიოდ გამოხატული.

ლეგენდათა მოქმედი პირები მხოლოდ ერთ ასპექტში არიან წარმოდგენილი: მწერლის მიერ მძაფრად იდეალიზირებულნი, არაჩეულებრივები და, რაც მთავარია, ლეგენდარულნი, პირველ რიგში, გრძნობების გამოხატვაში. თუმც ისიც აღსანიშნავია, რომ განცდა ამ თხზულებებში არ წარმოადგენს მწერლის საგანგებო დეტალიზაციის საგანს. პერსონაჟთა გრძნობათა სიძლიერე მხოლოდ მათი მოქმედებითაა გამოხატული. გმირთა სულიერი მოძრაობა, განცდათა შინაგანი პროცესები აქ თითქმის არც კია შოცემული.

გრძნობების თავშეკავებული განსახიერება და მათი მოცემა მომეტებულად გარეგანი ნიშნების გამოხატვის გზით საზოგადოთაა დამახასიათებელი.

6. ლორთქიფანიძის შემოქმედებითი სტილისათვის. ამ მანერით ქვეს მას დაუგავით წერილი მთელი რიგი მოთხორბებისა თუ ნოველებისა: „გული“, „თავსაფრიანი დედაცაცი“, „ცხოვრება სალომიკასი“, „ტრაგედია უგმიროლ“, „სანახავად“ და სხვ. ამ ნაწარმოებებშიაც 6. ლორთქიფანიძე კი არ მოგვითხორბს, თუ რას და როგორ განიცილან მისი პერსონაჟები, არამედ ძალზე ძუნწალ გვაძლევს მათი ფსიქიური მდგრადარების მხოლოდ გარეგან გამოხატულებას. მაგრამ, განსხვავებით ლეგნდებისაგან, ამ თხზულებებში მწერალს შემოქვებს ემოციურად დატვირთული ისეთი ქვეტექსტები, რომლებიც არაჩვეულებრივი სიცხველით სწორედ განცდათა შინაგან პროცესებზე მეტყველებს. ამიტომაც ამ გრძნობათა მატარებელი გმირებიც გაცილებით ხორციელებულად გმოიყურებიან, ვიდრე ლეგნდის პერსონაჟები. მეტობელის თანაგრძნობაც მათ მიმართ შეუდარებლად დიდია მიუხედავად იმისა, რომ ლეგნდათმ მოქმედი პირები ბევრად უფრო ტრაგიულ სიტუაციაში ექცევიან. მართალია, ლეგნდის პერსონაჟთა გმირული მოქმედებანი უთურდ გრძევებულ ემოციებს აღძრავს მეტობელში, კერძოდ, აღფრთვანებას, მაგრამ თვით ამ საქმის ჩამდენნა მაინც შორეული და, ვეტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნაქანდაკარნი“ ჩეხებიან მისთვის. ყოველ შემთხვევაში, ისინა აშენად მოკლებული არიან იმ დიდ სიცხველეს და მომხიბვლელობას, რაც ესოდნენ დამახასიათებელია 6. ლორთქიფანიძის მოთხორბათა და ნოველათ პერსონაჟებისათვის, სრულიად შეუმჩნეველი ადამიანებისათვის (თვასაფრიანი დედაცაცი, დათიყა, ეჭვთიმე, ქეთო, პასიკა, სალომიკა, გრიგოლა), რომლებიც არავითარ საგმირო საქმეს არ ჩადიან და რომლებსაც მწერალი მხოლოდ თავით ყველდოიურ ცხოვრებაში გვიჩვენებს.

ქვე გვინდა შევნიშნოთ: გამოვინილი, ლეგნდარული შინაარსის მქონე შესალაში თავისითავადაც ქვეს რაღაც ამაღლებული, შესანიშნავი და გამორჩეული, შით უფრო, თუ იგი ტრაგიულის შემცველიცაა. ასეთი შესალა თვით არის უკვე თოთქოსდა ემოციურად დამუხტული. ამიტომ ამდაგარი მასალის მხატვრული დამუშავებისას სათანადო ემოციურ ეფექტის მწერალი უფრო აღვილად უნდა აღწევდეს. მიუხედავად ამისა, 6. ლორთქიფანიძის ეს ლეგნდები, რომლებშიაც სწორედ ასეთი შინაარსის მასალა განხორციელებული, შედარებით ნაკლებ ემოციებს იწვევს, ვიდრე ის მოთხობებით თუ ნოველები, რომლებშიაც სრულიად ჩეცულებრივი და ყოველდღიური აქტებია გადმოცემული.

გარკვეულ მიმზიდველობას 6. ლორთქიფანიძის არც ეს თხზულებები არიან მოკლებული. უთურდ მათშიაც ჩანს დიდი მხატვრის ხელი, მაგრამ მაინც არ შეიძლება არ დავინახოთ ის სხვაობა, რომელიც არსებობს 6. ლორთქიფანიძის ეს თხზულებებსა და მის დანარჩენ, განსაკუთრებით კი ლირიკულ ნაწარმოებებს შორის. აქმანავე უცილებლად გასათვალისწინებელია თვით ლეგნდისა და ზღაპრის სპეციფიკაც და ისიც, რომ მწერალი სულ სხვა მოთხოვნილებებს უყენებს თავის თავს ლეგნდარული თხზულებებს შექმნისას. მაგრამ მაინც ჩანს, რომ 6. ლორთქიფანიძის, როგორც შემოქმედის მოწოდებას, შედარებით ნაკლებად წარმოადგენს ისეთი ობიექტებისა თუ მოვლენებს დახატვა, რომლებც იმ ზომამდის აქარად დასანახი და „თვალისმომჭრელი“ არიან, რომ ყველგვარი საგანგებო ანალიზის გარეშეც, თვით „ყველიან“ საკუთარი თავის შესახებ. ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არაფრი ცხადად გამომჟღავნებული, არაფრი თვალში საცემი თუ



„ბრძყვიალა“ არ არის ის, რისი განსახიერებაც მწერლის პირველად შენაგონ მოთხოვნილებას უპასუხებდეს. უთუოდ ამიტომაცა, რომ ნ. ლორთქისფარის ძე მაშინაც კი გვერდს უვლის ისტორიულად ცნობილ პირებს, როდესაც ის საქართველოს წარსული ისტორიის გადმოცემას ისახავს მიზნად („მრისხანე ბატონი“, „უამთა სიავე“, „ქედუხელნი“).

არც თავსატურიან დედაკეცის ექსპიზიციის სტრიქონები უნდა იყოს შემთხვევითი: „ნუ დამიშუნებთ! არ შემიძლია გრძნობა-გონება შევაჩერო და იდ პიროვნებებზე... მე ვწერ თავსაფრიან დედაკაცზე“.

გარდა ამისა, ლეგენდები და ზღაპრები აუცილებლივ რაღაც მმბის განსახიერებას შეითხოვს. ნ. ლორთქიფანიძეს კი განცდასთან, გრძნობასთან შედარებით ამბავი თავისთავად ნაელებად იზიდავს. ის პირველ რიგში მწერალი პოეტია და ამიტომაც მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა, მისი შეუდარებელი ნიჭი, როგორც ლირიკოსი მწერლისა, უპირველესად ყოვლისა, იმ თხზულებებში მეაღვნებდა, რომლებშიაც შიშველი გრძნობები ყოველგვარი ფაბულის გარეშეა აშერეცველებული, ან ისეთ ნაწარმობებებში, რომელთა ცენტრში ამბავი კი არ არის, არმედ განცდა. ამიტომაცა, რომ ნ. ლორთქიფანიძის სწორედ ის ზღაპრები ხასიათდება განსაკუთრებული მიმზიდველობით, რომლებშიაც, მიუხედავად ზღაპართა სპეციფიკური ბუნებისა, მწერალი მაინც ახერხებს აქცენტირებული იყოს გრძნობა და არა ამბავი.

საზოგადოდ, ნ. ლორთქიფანიძის ზღაპართა ეს ნაწილი თავისი მხატვრული ბუნებით საგრატობლად განსსვაგდება როგორც მისი ლეგენდებისა-ვან, ისე ქართული ხალხური ზღაპრებისაგანაც. მათში არ არის წარმოდგენილი ბრძოლა ბოროტსა და კეთილს შორის, დადებითსა და უარყოფითს შორის. უარყოფითი მოქმედი პრეცენტი აქ თითქმის სრულიად არ ჩანაა. აღსანიშნავა ისიც, რომ ძალზე უმნიშვნელო გმირნაკლისის გარდა, მათში არ მონაწილეობენ ფოლკლორული ზღაპრისათვის აუცილებელი პერსონაჟები: დევები, ქაჯები, ქონდრის კაცები, ჭუჭები, გრძნეული დედაბრები, კაღოქ-რები, მისნები. არც ერთ ზღაპრებში არ შეხვდებით აგრეთვე მფრინავ ხალიჩასა თუ ნატერის თვალს. ნ. ლორთქიფანიძის ზღაპრებში მოქმედებენ ან სრულიად ჩვეულებრივი ადამიანები, ან არადა არარსებული სულები, ცხოველები, ფრინველები და მცენარეები. უმეტესად სწორედ ეს უკანასკნელი არიან თხზულებათა წამყანა პერსონაჟები.

საგულისხმოა, რომ ამ გმირთა შექმნისას ნ. ლორთქიფანიძე მიმართავს განსსვაგდებულ მხატვრულ სშუალებებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია განსახიერებელი ობიექტების კონკრეტიზაცია. ამ ხერხს მწერალი, პირეველ რიგში, მოქმედ პირთა გარეგნული პირტერების დახატვისას იყენებს. გარკვეული დეტალების კონკრეტული ჩვენების გზით ის ხორცის ასხამს არარსებულ, თუ უსულო ქმნილებებს და სრულიად თვალსაჩინოდ წარმოადგენს მათ.

ნ. ლორთქიფანიძის ფერიებს თაფლისფრი იშები აქვთ ფრძელი წამწა-მები და ცისფერი თვალები; ქაჯებს — მევრივი სხეული, შავი თმები, დიდრონი თვალები; ახმახი დევები; „ადამიანური“ ბალნით არიან შემოსილნი, ხოლო „ტიტველი“ სირინოზები „ტანის განსაკუთრებული სიმშევინერით“ გამოირჩევიან. მათ თეთრი ნაკვთები აქვთ და „დაამთროსელი“ ხმა.

ადამიანური გარეგნობის გარდა, ყველა მათგანი აღამიანურ თვისებებსაც ატარებს: ფერიები გულკეთილები არიან, ანგელოზები ჩუმები და მორ-



ცხვები, ქაფები „ძლიერნი, მომჯადობელნი და ვნებათა ომძღვრელნი, მაჭვილებელნი...“ („მოპკლეს დმეტოთი“).

ასევე, თუ უფრო მეტად არა, გაადამიანურებულები არიან ნ. ლორთქიანისინიც მითიური გმირებიც: ქაოსი, გვა, ათინა, ზევსი, აპოლონი, არესი, ჰერმესი („ულუმბოს მთაზე“). ამ მითიური ზღაპრის მიხედვით, ქაოსი ბოროტია, ზევსი — მედიურური და მიუკარებელი, გვა — „განიერ გულმეტრიანი“ და დაუბერებელი, აფრონიტე — მშვენიერი და თანაც მოარშიყე, ათინა — გონიერი, აპოლონი — „შუქმფენი“. ცველა მათ ადამიანის სახე ქეთ და თვისებები, ისინი ამავე დროს ადამიანებიცით აზროვნებენ, მოქმედებენ და ლაპარაკობენ. ცველას თავისი საფუქრალი ქეთ და საზრუნავი. ცველაზე უფრო დიდი საზრუნავი კი მაინც ქაოსს ხედა წილად. ღმერთებმა ისე გადაინაწილეს ცველაფერი ერთმანეთში: „ზურმუხტი ცა“, „ზღვის ტალღები, ლექმთ წყობის ნიჭი, სიყვარული ჭეშმარიტებისადმი და მშვენიერება“, რომ ქაოსს მხოლოდ მტვერი-და დაჩჩა, მტვერი — „ღმერთთა ფეხებიდან დაცუვინული და იდამიანის ჭუჭყიანი იფლით შეზელილი“... და დარწუსის გამწარებული ქაოსი ულუმბოს მთაზე, სადაც ამჟამად ღმერთები სხედან სრულიად უსაქმურად და ემუდარება მათ, გაათავისუფლონ ამ სამარტინებინო ქონგბისაგან. ამაოდ. ღმერთთაგან არავინ არ გამოდგა ისეთი მოწყალე, რომ ქაოსის უბედურება გაეზიარებინა. მაშინ იმედგადაშვერილი და დორბლობრეული ქაოსი „მივიდა ულუმბოს კიდეზე და ცოდვილ მიწაზე გადმოყარა, გადმოსახა მტვერი, თხლე, ჭუჭყა...“

ცველასაგან უარყოფილი დავარდა მიწაზე“.

აქ მთავრდება ეპიზოდი ღმერთების ცხოვრებიდან და იწყება სულ სტაამბარი, გაცილებით უფრო პიკნიტური და, რაც მთავარია, ღრმასაზროვანი. ღმერთების საზიაროდან უეცრად დედამიწაზე ვეშვებით და პირველს, ვისაც აქ ვხვდებით, ეს არის ვირი და ისიც ბრმა. გაოცების ზრდნობა თანდათანთბით ძლიერდება.

„ბრმა ვირმა, — ვკითხულობთ ნაწარმოებში, — სუნი იქრა ადამიანის ოკლისა; იფიქრა: აქ ადამიანი არისო. მივიდა და დაუწყო ალერსი: ჩილიქებით შემოავლო ხაზი იმ ადგილს, სადაც უნდა ყოფილიყო სხეულის სხვადასხვა ნაწილები — ხელ-ფეხი, თავი... ჩაპერა სული, სადაც ტუჩები ეგულებოდა: ბოლოს დაწვა და ძუძუ ჩაუდვა პირში...“

და მოხდა სასწაული...

ვირმა შექმნა რაღაც ადამიანის მსგავსი“.

დაბაბულობა იღმავალი ხაზით შეიმართება და ნოველის მსგავსად ნაწარმოები კულმინაციაზე ჩერდება:

„შექმნილი წამსა ღმერთების მოწყენისას; შექმნილი ღმერთების ფეხთა მტკერიდან, ადამიანთა ოფლიდან და ღმერთების ნაფურთხიდან; შექმნილი ჩლიქებით, სულიადგმული და აღზრდილი ბრმა ვირის მიერ, დღესა ტროალის გმირობისასა იწოდებოდა — ტერსიტესად; უამსა საშინელსა წარლვნისასა — ხამის შვილებად იყვნენ გადარქმეულნი; დღეს კა, საქართველოს დაცემის ასი წლის თავზე, ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, ლოდაშვილის დროს, სახელი მთი არის... ლეგიონი“.

მსგავსი შწვავე სატირა რეაქციის დროინდელ საქართველოზე არავის დაუწერია.



6. ლორთქიფანიძის ზღაპრების სრულფლებიანი მოქმედი პირები ატრიცხავიანი ან აგრძელებელი დანგი ხარი, კეკლუცი ძროხა, ყოყლობინა მშეალი, ეშმაკშეულიანი, მედიდური არწივი, ბორბოტი და გესლიანი გველი, უწყინარი და ჩუმი მუდო; კეთილშობილი თეთრი ზამბახი, მაძინია, ბზა და მიმოზა — მარადიული სიყვარულის სიმბოლოები, „კორიკანა მთვარე“, დინჯად მცურავი ღრუბლის ნაფლეთი და სხვანი და სხვანი...

ცხოველებს, ფრინველებს, თვეშებსა და ქვემძრომთ განსაკუთრებული ადგილიც კი აქვთ შერჩეული თავშესაყრელად ტბის გამოღმა ნაცირზე, („მგლოვიარენი გულითა“). „სამასლაათო ოთახად“ „გამხმარი წიფელა“ გამოყენიათ. „აქ ხედებიან ერთმანეთს მოსისხლე მტრები, საყვარელი შევობრები და დიდი ხნის მიჯნურები. აქ პერებრენ ცნობებს მტრის დაძაბუნებაზე, მოყვრის გაძლიერებაზე, ასე შევყავართ 6. ლორთქიფანიძეს ჩვენთვის სრულიად უცხო სამყაროში.

შეტრლის თხრობა სადაა და უბრალო, ყოველგვარი პათოსისა და ამაღლებული სტილის გარეშე. მოგვითხრობს ისე, როგორც მისოვის ძალიან ახლობელ ადამიანებზე და მკითხველიც სრულიად თვალნათლივ ხედავს სადარბაზო ოთახს, სავსეს თრითინას სტუმრებით: ტოტშე ჩამომჯდარ ძერას, ყველაზე უფრო საპატივცემულო წევრს დამსწრე საზოგადოების, ჩხიკვს, წამდაუშუმ ფრთხებს რომ ისწორებს, ხეზე შემოხეულ, ბოროტიზრავებისაგან სულგანაბულ გველს, შეშინებულ ბაყაყს, ბუს, რომელიც იყვესებს თვალებს, გაძვივებულ ჭუდოს, ქრძალვით მაცერალს ცისქენ, კიბოს, რომელსაც ნახევრად ამოუყვია თავი ტბიდან და რომელიც უხმოდ შეპხარის ძლიკვის ეკრანისფერ ტანს.

არა მარტო ხედავ, თითქოს გესმის კიდევაც მათი ხმა, ხმა კი ყველას სევდიანი აქვს. ყველა თავისი მოუნელებელი დარღდითა შოსული ამ წვეულებაზე: კიბო წუხს, რომ არ შეუძლია დატებეს ბუნების შრავალფეროვნებით; მუდო განიცდის იმსა, რომ არ ძალუს მიუახლოვდეს მზეს და ცის ლავგარდს; ბუს თვალების ტკიფილი აწესებს; კუს — თავისი „ხობოკურა“, „კავიერით მაგარი“, „განუშორებელი ტანსაცმელი“, რომელიც უშლის ხელს მოძრაობაში და საკუთარი თითებიც, ზიზღის გრძნობას რომ პევრის ყველას.

სევდიან განწყობილებას კიდევ უფრო ამძაფრებს ძერას მონაყოლი არწივისა და პატარა ბავშვის ტრაგიკული სიყვარულის შესახებ. ამ შემთხვევის დამსწრე თვით ძერა ყოფილა.

აი, ეს არწავიც: გზად მიმავალ ძერასა და არწივს პატარა ბავშვი უნახავთ. არწივი მოჯადობებულა ბავშვის საიცარი სილამაზით, სათნოებითა და გულუბრყვილობით. დაბოლოს, ფრინველთა მეფეს შეუსამს იგი ფრთებზე და თავის „სახლში“ წაუყვანია. ძერა იმის მოწმეც ყოფილა, თუ სიყვარულისაგან გაეკთილშობილებული არწივი, როგორ ფაქიზად უვლიდა პატარას და როგორ ტქებოდა მისი სიახლოვით. მაგრამ ეს ზღაპრული ბეღნიერება დიღხანს არ გაგრძელებულა. ადამიანის მეტ გასროლილ ტყვიას არწივიცა და ბავშვიც სასიკვდილოდ განუგმირავს. — ვერ გავბედე მათი შერყევა. ეკრან ფიჩი მივაყარე. ლავგარდმა ცამ უყუროს მათ, მზემ თავისი სხივები მათში დამარხოს, — დამთავრა ამბავი ძერამ“.

ძერას მონაყოლმა კიდევ უფრო დაამწუხრა თრითინას სტუმრები. „ყველა გაჩუმდა. ისევ ფიჩს მიეცნე. მოუთმენელი მწუხარება უფრო და უფრო სეველ ნისლად აწევბოდა იქაურობას“.

როგორც ვხედავთ, წინა პლანზე ამ ნაწარმოებში ემოციებია წამოწეული. თანაც ეს ემოციები მხოლოდ სევდიანი განწყობილების გამომხატველია. სევდიანი, მწუხარე ატმოსფეროს შექმნას მწერალი ნაწარმოების სათაურიდანვე იწყებს: „მგლვიარენი გულითა“; თხზულების პირველი აბზაცი კი ასე იქითხება: „გამხმარ, ფოთლებისაგან გაცრცყილ წიფელას დიდი ტოტებიდა შერჩენოდა, ზოგიერთი ცათა აღეპყრო, უზენაესს შეკლაღადებდა: სიყმწვილის სამოსელი რად ჭამართვი, ისევ დამიბრუნე, მომასხიო; ზოგი ტბისკენ გადაეზნიქა, წყალსა სთხოვდა: ფესვები დაშიპურე, გამინედლე, მივველო“.

გამხმარი და ფოთლებისაგან გაძარცვული წიფელი და მარტოოდენ მისი სულიერი ტრაგედია, მის აუხდენელ ოცნებად გაძაქცეული სტრილები — ესაა მხოლოდ აქცენტირებული ნაწარმოების პირველსავე სტრიქნებში და აი, ეს გამხმარი და გაძარცვული წიფელაა, სადარბზო რთახად რომ გადაუქცევიათ ზეპრულ გმირებს. ასეთ შესაფერის ფონს უქმნის ნ. ლორთქი-ფანიე თავის მწუხარე პერსონაჟებს სამოქმედოდ.

სევდიან განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებს: „ნაცრისფერი ცადა „ფერმიხდილი“ მთვარე და შემდეგ სრულიად უბრალო, მაგრამ მრავლის-მეტყველი ფრაზები: „სადარბაზო ტყის პირი სავსე იყო მოწყენილი სტუმრებით…“ „თვით სამასლაათო რთახში სრული სიჩუმე სუფევდა. ტოტზე ძლიერ იჯდა ჩევეულებრივზე უფრო დალილი, მოთხოვთილი ძერა…“

„გამხმარი“, „გაცრცყილი“, „აღეპყრო“, „შეპლაღადება“, „რად ჭამართვი“, „დამიბრუნე“, „სთხოვდა“, „მიშველე“, „ნაცრისფერი“, „ფერმიხდილი“, „მოწყენილი“, „სიჩუმე“, „ძლიერ“, „დაღვრემილი“, „მოთხოვთილი“ — ეს სიტყვები მხოლოდ იმისთვისა აქვს შერჩეული მწერალს, რომ რაც შეიძლება, წინ წამოწიოს ყველაფერი ის, რაც სულიერ სამყაროს უკავშირდება და თანაც გვაგრძნობინოს, რომ იგი ეხება არა ემოციებს, საზოგადოდ, არამედ სწორედ ისეთ განცდებს, რომლებიც სევდანალველითაა საკვე.

არა მარტო თხზულების დასწყისი, არამედ მთლიანად ტექსტიცა და მისი დასასრულიც მხოლოდ და მხოლოდ განცდათა გამოხატვას ემსახურება. ამ მხრივ განსაკუთრებით შთამბეჭდავია ნაწარმოების ფინალი: „—არწივები! — უკანასკნელად ერთი კიდევ დაიკვლა ბუმ.“

და ამ სასომიხდილ ყვირილმი იყო გამოთქმული მთელი სინაული ფუჭი, უღიმდამი სიცოცხლის გამო. მასში იყო ჩაქსოვილი ნატვრა სინაულისა, სიტყბობებისა და სიხარულისა“.

როგორც ვხედავთ, ავტორისეული რემარკები მთლიანად ემოციური ლექსიკის შეშველია. განცდათა გამომხატველი სიტყვებითაა ასევე დატვირთული თითოეული პერსონაჟის რეპლიკაც. „მელოვიარენი გულითა“ მხოლოდ გრძნობათა ენაზე შეტყველებენ.

გრძნობებია ამეტყველებული აგრეთვე ნ. ლორთქიფანიის სხვა ზღაპრული შინაარსის შეორენ თხზულებებშიც: „ვადმყოფი დედა“, „მოწყენილი ანგელოზი“, „უკვდავი გველი“, „გან ტიკო და ჭან ბაწარა“. ტხოვრებისა თუ ბედის უკულმართობა — ესაა თემა ყველა ამ ნაწარმოებისა, თემა, რომელიც განსაკუთრებით აღელვებდა ნ. ლორთქიფანიებს და რომელიც გამსაკუთრებული ისტატობითვე აქვს განხორციელებული მას მინიატიურაში „ცხოვრების სამართალი“, მოთხოვთაში „პატარა კაცი“, ნოველაში „თავსაფრიანი დე-

¹ Н. Я. Марр, К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, Материалы по яфетическому языкоизнанию, V, С-Пб., 1912, гл. 29; абр. № 970530, № 970530. ფუბის უკვლევი ავტორება ჭართველურ ენგბში, 1942, гл. 129—130; гл. როგ-ვა ჭუპა უკბის შედეგნილობისათვის, აფაზეთის ენის, ლიტ. და ისტორიის ინსტ. მუ., XXIV, 1951, гл. 96—97; Г. А. Климонов, Этимологический словарь картвельских языков. М., 1964, гл. 237.

କୁମାର, ମୁଣ୍ଡା, ୧୯୫୪, ପୃୟ ୨୩୮।

ოშეის ბიბლიაში გვხვდება ჭაპრი. გ. ოთვავაშ ეს სიტყვა შინიჩნია ქართ. წერის „ზანურ შესატყვისად. ო ქართულში სუფიქსად შეიძლებოდა ჩავვეთვალა“ (შდრ.: ქართ. სურ-ი (სურ-ო): ზან. სუში) და მა დაკავშირებას თითქოს წინ არაფრი უდგას, მაგრამ არსებითი ხასიათის დაბრკოლებას წარმოადგენს ჰ, რომელიც „ზანურ“ ჭაპრი ფორმაში გამოვლინდება. არა გამორიცხული ჭაპრი ნასესხები იყოს (ბ. გიგინე იშვილი).

მეგრულ-ჭანურიდან (უფრო ჭანურიდან) ნასესხებად მიგვაჩნია ფუცხუ, რომელიც რამდენხერმე გვხვდება ძეველ ქართულ ტექსტებში: და ფუცხუთა სუჯტილთა მოყუდავებისა სიზრქე განაგდეთ, პარაკლიტ. 52r, 19—20; იხილა ნეტარმან ამან, რომეთუ სამირითა ფუცხუთა წარპერადა ანგელოზმან სული მისი, დიდი სკნაქს. 239, 10—12 და მისთ.

ფუცხუს განსაზღვრებად ახლავს რკინისა:

და მერმე დამოჰკიდეს და ფუცხუთა რკინისა თა ხუეტეს, დიდი სკნაქს. 453, 18—19; და გამოვიდიოთ ფუცხუთათვს რკინისა თა, იოანე აქრიონ. ასკეტ. 104, 12—13b.

ფუცხუ არსებითი სახელისაგან იწარმოება ზედსართვი სახელი ფუცხოვანი <(ფუცხურვანი):

გინამცა ესხნეს რქანი და ფუცხოვანინ ფრჩხილნი, გრ. ნისელის კაცისა იგებ. 153; და კუალად რენამცა კაცისათვს უმკუცოւლეს არს და უფიცხლეს რქათა და ფუცხოვანთა ფრჩხილთა, იქვე 153, 25—27.

ფუცხუ, როგორც ზემოთ მოყვანილი ადგილებიდან ჩანს, აღნიშნავს საგვემელ, სატანჯველ ხელსაწყოს, რომელიც, ჩვეულებრივ, რკინისაგანაა დამზადებული³. საყურადღებოა, რომ ფუცხუს სინონიმად გვაქვს ფრჩხილი:

და შეგუშარნეს ლწუნი მისნი და დამოჰკიდეს და ფრჩხილებითა რკინისა-თა ხუეტნეს გუერდნი მისნი, დიდი სკნაქს. 17,31—33; რომელმან უბრძანა ძელსა დამოკიდებამ და ფრჩხილებითა რკინისა თა ხუეტა გუერდთა მისთა, იქვე 26, 3—5; და დამოკიდებული რკინისა ფრჩხილებითა ძლიერად იხუეტა, იქვე 243, 20—21 და მისთ.

ამ კროტექსტებით კიდევ უფრო ზუსტდება ფუცხუ სახელის მნიშვნელობა: ფუცხუ ისეთი რკინის ხელსაწყოა, რომელსაც რკინისა ვე მასკილი „ფრჩხილები“ აქვს. ჭანურსა და მეგრულში ქართული ფოცხის მნიშვნელობით გვაქვს ბუცხი:

ბუცხით დოფუცხუფან (ჭან.) — „ფოცხით დაფოცხავენ“; ბუცხით მობუცხარე (ჭან.) — „ფოცხით მოვფოცხავ“⁴. ბუცხისაგან ჭანურში იწარმოება ზენა: ბუცხუფს „ფოცხავს“⁵. მეგრულ-ჭანური ბუცხ ძირისათვის „ფოცხის“ აღნიშვნა მეორეული უნდა იყოს. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანა-

³ საბა აღნიშნავს ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობასაც: „ესე არს კავოედი რკინა ქვაბით კორცა ამოსალებელი“ (ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 360). ფუცხუსთვის ეს მნიშვნელობა მეორეულია. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა გვხვდება ოშეის ბიბლიაში: კელთა აქუნდა ფუცხ სამპირი და ჩაყვის იგი სიახსა გინა ქოთანსა, II მეტ. 13, 14 0.

ფუცხუ, მეგრულიდან ნასესხები, გვხვდება სვანურშიც.

⁴ არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 164.

⁵ არნ. ჩიქობავა, დისახ. ნაშრომი, გვ. 256.

და ერთმანეთთან დაკავშირებული ქართული ფრცხილ/ფრცხილ: ქანტრის-ილ: ქანტრის-ილ:

ბუცხ-ა. მეგრული ბირცხა?

მეგრულ-ქანური ბუცხის უფრო არქაული სახე ფუცხუ შემონახულია ძეველ ქართულში. ფუცხუ საერთო-ქართველური *ფრცხელ/ფრცხილ ფუძის კანონზომიერი ქანურ-მეგრული შესატყვისა.

ძეველ ქართულში დადასტურებული ფრცხ-ილ წარმოადგენს *ფრცხ-ელ ფუძის რედუქციის საფეხურს. „ზანურში მარცვლოვანი“¹⁰ [რ.] ელემენტის ვოკალიზაციის შედეგად მივიღეთ დიალექტური ვარიანტები: მეგრ. ბირცხა, ჭან. ბუცხა (ხმოვნის მომღევნო რს დაკარგვით, შლრ.: ზემოთ მეგრ. შყართა// ჰყითა)“¹¹.

ირკვევა, რომ მეგრულ-ქანური ფუცხუს თავდაპირველი მნიშვნელობა „ფრჩხილი“ უნდა ყოფილიყო. შემდგომში მას მნიშვნელობა გაუფართოვდა. იგი ორნაშინავს აგრეთვე ფოცხს (რკინის ფრჩხილს). ქართული ფოცხი მეგრულ-ქანური ფუცხ ძირის სახესხვაობა ჩინს. ამ სიტყვის ნახესობაზე ზანურიდან არნ. ჩიქობავამ მიუთითავ.

* * *

სეანიზმების ძეველ ქართულში ძიება ნ. მარის სახელს უკავშირდება. იგი თვლიდა, რომ თავდაპირველად ქართველთა სალიტერატურო ენა სვანური იყო¹². ამიტომ მას ბუცხებრივად მიაჩინდა ძეველ ქართულში სვანიზმთა არსებობა. ნ. მარი ამ რიგის სამ ფაქტზე მიუთითებდა: მსგვაც-ი, ერგ-/ ერგასიი/, სტევა.

ქართული შვადის სვანური შესატყვისია იშვაიდ (ლენტეხურში — იშ-ქუიდ). ნ. მარის აზრით, სვანურში უნდა გვეთნოდა *სგიბდ ან *გვიბდ (ამ რეკონსტრუქციისათვის ამისავალია ქართ. შ: ზან. — სვან. სგ რეგულარული შესატყვისობის არსებობა!)”。 ნ. მარი წერს, სვანურად კვირა არის მა-გზი< შა-გვი, სადაც შვადის სვანური შესატყვისი გვაქვსო წარმოდგვნილი¹³. მისი უარისულით, ძეველი ქართული მსგვაცი სვანურიდანა ნახესხები: მაგზი<*მა-გვი<*მა-გვი.

ამ ვარაუდს რამდენიმე არსებითი ხასიათის დაბრკოლება ეღობება: პირველი, სვანურში რეალურად გვაქვს იშვაიდ, რომელიც ქართული შუადის კანონზომიერი შესატყვისია. მეორე, რომ დავუშვათ კიდეც, რომ სვა-

⁶ ბუცხ-ა მეგრულშიც დასტურდება: ავ-ბუცხ-ა „ციცნა“.

⁷ ა. ნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 61—62; თ. გამყრელი ძე, სიბილანტთა შესატყვისობან და ქართველურ ენათ უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, 1959, გვ. 21; 77; Г. А. Климонов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 191; თ. გამყრელი ძე, გ. მაკავარიანი, სონანტა სისტემა და ამლაური ქართველურ ენებში, 1965, გვ. 96.

⁸ თ. გამყრელი ძე, გ. მაკავარიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 96.

⁹ არ ნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

¹⁰ Н. Я. Marr, Из поездок в Сванию (Летом 1911 и 1912 г.), Христианский Восток, II, СПб., 1913, გვ. 24.

¹¹ სვან. ხგუს შესატყვისი ქართული შუ კომპლექსის შესახებ, იხ. თ. გამყრელი ძე, სიბილანტთა შესატყვისობან და ქართველურ ენათ უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, 1959, გვ. 17 და შედგ.

¹² Н. Я. Marr, დასახ. ნაშრომი, გვ. 18—20.



ნურში ამ სიტყვაში ხგ გვეონდა (ზგ-ს პოსტულირება სრულიად გამორიცხულია), ვერ ავსნით ბ-ს წარმომავლობას: *სგიძლ. ვერ ვიტყვით, რომ იგი შოშდინარეობს უ-საგან (ჯერ მეტათეზისი და შემდეგ: უ>ბ? ამგვარი პროცესი არა დამახასიათებელი სვანურის ფონეტიკისათვის); მესამე, განმარტებას მოითხოვს „სვანური“ მზგებს ფუძის სუფიქსაცია -ებ/იბ-ს; მეოთხე, სვანურში მაგზი კვირის მნიშვნელობით არ გვხდება (არის ნაგზი). ნ. მარს მაგზი რეალურ ფორმად მიაჩნია. ეს ასე რომ იყოს, მაშინ უნდა ავხსნათ, რატომ შეიცვალა თავკიდური მ სვანურში ნ-დ: (მაგზი>ნაგზი)?

თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ მსგეფს სიტყვის სვანიზმად ჩათვლისათვის საქმაო საფუძველი არ არსებობს.

მეორე სიტყვა, რომელიც ნ. მარს სვანური წარმომავლობისად მიაჩნია, არის ურგ: ერგაბასი-ი. ერგაბასოვის ამისავალია სვანური ესგ, ს-ს რ-თი გვანდელი შეცვლით¹³. ეს ვარაუდის გაზიარებაც შეუძლებელია: სვანურში არის იხგ (იხგ-ლეთ „შუალამე“), რატომ შეიცვლებოდა ე ი-დ? ეს მოვლენის მიზეზი არ ჩანს. ნ. მარს მსჯელობიდან ძნელი გასაგებია, ს-ს რ-დ გადაეცევა სვანურშის სავარაუდებელი, თუ ქართულში. თუ ს>რ სვანურში მოხდა, მაშინ რატომძა გვაქვს შემონახული ხგ კომპლექსი სხვა შემთხვევებში (უისგუ „ვაშლი“, უსგუ „უქვესი“) და თვით ამ მორცემაშიც — იხგ. ხოლო თუ ეს პროცესი ქართულშია საგულვებელი, მაშინ ისმის კითხვა, რატომ შეიცვლებოდა ს რ-თი გ-ს წინ¹⁴? ან როგორ მოხდა, რომ ქართულში გვაქვს მსგეფსი და მისგან არ მივიღეთ მრგვეფი.

მესამე სვანიზმად ნ. მარმა სტევი მიიჩნია, რომელიც ქართული თმა-სა და ზანური თომა-ს სვანურ კანონშომიერ ფონეტურ შესატყვისადაა კვალიფიცირებული. ჯერ — ერთი, თვით სვანურში ეს სიტყვა არ ჩანს (მაგრამ არაა გამორიცხული შესაძლებლობა, პირიქით, სავარაუდოა, რომ თმა-ს შესატყვისი ძირი სვანურში იყო, რომელიც შემდგომში ნასესხებმა ფათუ სიტყვამ გამოიდენა). რასაეკირველია, შეიძლება გვივარაუდოთ, რომ სვანურისაგან ეს სიტყვა ისესხა ძევლმა ქართულმა (და სომხურმაც), ხოლო თვით სვანურში იგი დაიკარგა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამგვარ დაშვებას ხელს უშლის რიგი ფონეტიკური ფაქტორებისა: ქართული თ-ს შესატყვისად სვანურში გვაქვს თ, ან შდ¹⁵, მაგრამ არა სტ; ქართ. ა-ს შესატყვისად რატომ არის სვანურში ე? და ბოლოს, რატომ გადაიქცა ქართული მ-ს შესატყვისი მ ვ-დ? გასათვალისწინებელია აზრი ამ სიტყვის უცხო ენობრივი სამყაროდან სესხების შესახებაც¹⁶.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაჩვენებია, რომ უკვე სტრაბონის დროიდან სვანები დასავლეთ საქართველოს ბარის ტერიტორიაზე ჩა-

¹³ H. Marr. დასტ. ნაშრომი, გვ. 22.

¹⁴ ს>რ პროცესი ქართულში წინაერთშემოერ თანხმოებებთან ხდება: ხთული>რთველი, ხდე>რდე.....

¹⁵ ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, 1: მითომნილველი, 1926, გვ. 201; Г. А. Клинов, Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка — основы: ИАН СССР. ОЛЯ, т. XIX, вып. I, 1960; თ. გამყრელი, გ. აკადემიური სისტემა და მდლაური ქართველურ ენებში, 1965, გვ. 136.

¹⁶ გ. ანდრიაშვილი, ნაჩვენები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, 1966, გვ. 65; შდრ.: ა. შანიძის რეცენზია ამ მონოგრაფიაზე; თუ ძევლი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, 1968, გვ. 156.



ნან, საიდანაც ისინი სხვა ტომთა ზეგავლენით მთებში იქნენ განდევნილნი¹⁷ ერთოვანი ეს კი საფუძველს აცლის ნ. მარის ზემოთ განხილულ თეორიას, რომელიც ეჭია ყარება სეანური ეთნიკური ელემენტის არსებობას აღმოსავლეთ საქართველოს ბარში სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ეპოქაში.

სეანიზმის შენიშვნულია რაჭა-ლეჩებუმის, იმერეთის¹⁸, სამეგრელოს¹⁹ ტოპონიმიკასა და მეტყველებაში. ამ დიალექტებში სეანიზმთა არსებობა ეჭია არ უნდა იწვევდეს. ოლონდ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ რიგის ფაქტებს ლინგვისტური დასაბუთება სჭირდება. სამეცნიერო ლიტერატურაში კამოთქმულია მოსაზრება, რომ სიტყვა ზილი („რძალი რძლის მიმართ“), რომელიც გვხვდება რაჭულ, ლეჩხუმურ და იმერულ დიალექტებში (ესე იგი, იმ ენბრივ არაელში, რომელიც ესაზღვრება სეანურს), ნასესხებია სეანურიდან და წარმოადგენს ქართ. ცოლ-ისა და ზანური ჩილ-ის სეანურ ფონეტიკურ შესატყვევის²⁰. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა ტელი ქართულის მისთვის ცნობილ ძეგლებში არ გვხვდება.

ა. შანიძემ შემდგომში გამოაქვეყნა ამ ნაშრომის დამატება „ეტიმოლოგიური შენიშვნები, ნათესაობის აღმიშვნელი „შილ“ ტერმინისათვის“²¹, სადაც მითოებულია, რომ ეს სიტყვა გვხვდება პარიზის ლექციონარში. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსება მანიც სეანიზმად ითვლება.

ამ შემთხვევაში დიდ დაბრკოლებას ქმნის ის, რომ, ჯერ-ერთი, ზილი სეანურში არ დასტურდება; მეორე: როგორც ცნობილია, ქართული ო-ს შესატყვევისად სეანურში ო უნდა გვერნდეს (შესაძლოა, მეორეულმა კომბინატორულმა ცვლილებამ — უმღლაუტმა — მოვცეს მ, მაგ.: ქართულიდნ ნასესხები: გოჭი>გუჭი>გაჭ, და არა ი!): ქართ.თოხი: სეან. უოშთხ; მესამე: სეანურში წარმოადგენილია ქართული ცოლ-ის სეანური შესატყვევის ჩილ²²; მეორე, ქველ ქართულში დასტურდება ზილ ლექსება. როგორც ა. შანიძემაც აღნიშნა, პარიზის ლექციონარის (X I. ს.) რუთის წიგნის საკითხავებში ზილი ნიშნავს მაზრის ცოლს (იმავეს, რა მნიშვნელობითაც შემოინახა ეს სიტყვა ზოგვა ზემოთ ნასესხებმა ქართულმა დიალექტმა):

და პრეჯუ ნომინ რუთს: აპა ეგერა უკუნიქცა ზილი შენი ერისა თვისისა და ღმერთთა თვესთა, მიიქეც აშ შენცა ზილისა შენისა, 55r, 30b—55v, 3a.

ამდენად სავარაუდოა, რომ ზილი, რომელიც დღეს ზოგ ქართულ დიალექტია დაცული, წარმოადგენს არქაზმს, ძველი ქართულიდან მომდინარე ლექსებას, ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივი მნიშვნელობის დაცვით*.

¹⁷ Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959. С. 91—93; მისიერ, საქართველოს, კავკазიასა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, 1965, № 63—68.

¹⁸ ა. ქ-ლ-დ-ა ნ, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა — ი-ზ / სულიქისის საკითხისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 1963, С. 67—77.

¹⁹ გ. ვ-ლ-ი-ქ-რ-შ-ვ-ი ლ ი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის..., გვ. 63 და შემდეგ.

²⁰ ა. შანიძე. ეტიმოლოგიური შენიშვნები, ნათესაობის აღმიშვნელი ერთი ტერმინი ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მომბე, XX, № 2, 1958, С. 253—256.

²¹ საქ. სსრ მეცნ. აკად. მომბე, XXV, № 5, 1960, С. 639—640.

²² Г. А. Климон. Опыт реконструкции... С. 27; ა. ლ. ონიანი, ქართველურ ენათა ბეკრატშესატყვევისობის ზოგი საკითხი, საქ. მეცნ. აკად. მომბე, I, 1962, С. 219 და შემდეგ.

* განსაუზოდებო აღნიშნავა, რომ ზილ სიტყვა გვაქმნა შესსურ და აჭარულ დიალექტებში, სადაც სეანურის ზეგავლენი გამორჩეულია.



ზემოთ ჩვენ უარყავით სვანიზმთა არსებობა ძველ ქართულში. ეკატერინემ არ ნიშნავს, თითქოს გმოვრიცხავდეთ სვანეთის წარმომადგენელთა პრინცესების ლეონბას საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ქართული სალიტერატურო ენა ოდითგანვე საერთო იყო ქართველ ტომთათვეს. ვფიქრობთ, რომ ძველ ქართულ ხელნაწერებს შორის არაერთია სვანის გადაწერილი. ზოგჯერ ალბათ სვანი გადამწერი იმდენად იყო დაუფლებელი სალიტერატურო ენას, რომ მისი წარმომავლობის დაღვენა მისი ნახერის მიხედვით შეუძლებელია, მაგრამ არის შემთხვევები, როცა სვანიზმები ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ზოგიერთ ხელნაწერში, H—1889 (ნაწყვეტი საგალობლებიდან—X—XI სს.), H—1831 (ცერუსალიმის განჩინება—X—XI სს.), A—1562 (საწელიწდო იადგარი), ძალზე ხშირია ვ-ს უ-თი შენაცვლების ფაქტები. ალიძერის ეჭვი: ხომ არ არის ხელნაწერები სვანის მიერ დაწერილი²³. როგორც ცნობილია, სვანურს არ აქვს კბილ-ბაგისმიერი სპირანტი ვ. მაგრამ მოქმედება წყვილბა-გისმიერი უ, ამიტომ ბუნებრივია, რომ სვან გადამწერს თავისი მეტყველები-სათვის დამახასიათებელი ფორმები გავტაროდა.

რამდენიმე ნომრში:

და წარვიდნენ ესვნი სატანეცელსა საუკუნესა, იერუს. განჩინ. 21 გ; თავს-იდევ ჭუარცუმა, დაცლუა და აღღომა, იქვე 57 ვ; ჭუთა განეტუნენეს იქვე 36 რ; ღირს — ჰყაუ იგი სასუფლებელსა შენსა, საწელიწდ. იადგ. 54 და მისთ.

ამ ფორმათა გვერდით ამავე ხელნაწერებში არის შემთხვევები უ-ს ვ-თი შენაცვლებისა: ხვიძლიდით ქუენ ჩინებასა მას ქუენსა, იერუს. განჩინ. 35 გ; რომელმან მძლავრი იგი განაციორვე, რომელი სარწმუნოებით იტყოდა: სამთა ვხედავ /დ/ მეოთხისა მის ბრწყინვალებად დამიკვირდების, იქვე 56 გ; განუს-ვენ ყოველთა მიცვალებულთა, იქვე, 57 რ; შენ, მცნელო სახიერო, ფრიად უშმიულო, საწელიწდ. იადგ. 54 გ და მისთ.

ანალოგიური ფაქტები სვანეთის ისტორიულ დოკუმენტებშიც შეინიშნება²⁴:

მთავარმოწმინდისა სეტისა თაუსდებობითა და შუამდგომლობითა დავიდე-ვით დაწერილი ესე მტკიცე და უქეცველი კვისია სამაგრებელი, 9, 1—3; ამა პირსა ზედა გაუამაგრეთ კეობა, თუ ზემო კეუმან გაგიტეხოთ კეობა, იქვე 9, 4—5; ხვაშიადი არ გაიმულავნო, იქვე 13, 22; ოდეს პატრონმან გვილალატეს ხერგიანთა, იქვე. 15, 22.

სვანურში ვ სპირანტის უქონლობის გამო სვანი გადამწერი (ისტორიულ დოკუმენტთა დაწერილი) ქართული სალიტერატურო ენის ვ და უ გრაფემებს (როცა უ უ-ს უდრის) იყენებს თავისუფლად, ერთიმეორის ნაცვლად²⁵.

ზომიერობათა განვართითა

გრ. ნოსელის კაცისა აგმ.: უქეცველი რედაქციები ბასილი კესარიელის ექსუსთა დღეთასა და გრიგოლი ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულები-სათვის“, გამოსცა ილ. აბულაძემ, 1964.

²³ ჩით უმეტეს, რომ ზოგი მათვანი (A—1562) სვანეთიდანაა ჩიორანილი (სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერ. ალწერ. (A კოლექცია), ტ. V, 1955, გვ. 76). თუმცა შეიძლება ხელ-ნაწერი სხვაგან იყოს გადაწერილი და შერე სვანეთში ატანილი.

²⁴ კ. ინგორუ ყ ვ ა, სვანეთის სისტორიის ძეგლები, II, 1941.

²⁵ ამის საფუძველი ისაა, რომ მისთვის ქართული /ვ/ და /ტ/ ერთმანეთისაგან არ გა-ნიჩევა.

დიდი სვინაქს.: დიდი სვინაქსარი, Ier.—77 (XI—XII სს.).
იერუს. განჩ.: იერუსალიმის განჩინება, H—1831 (X—XI სს.).
პარაკლიტ.: პარაკლიტონი, A—93 (1093 წ.).
საწელიშვ. იადგ.: საწელიშვლო იადგარი, A—1562 (X—XI სს.).
იოანე ოქროპ. ახცეტ.: იოანე ოქროპირის ახცეტიკონი, A—143 (XIII ს.).

З. А. САРДЖВЕЛАДЗЕ

ГРУЗИНСКИЙ ЛИТЕРАТУРНЫЙ ЯЗЫК И КАРТВЕЛЬСКИЕ ЯЗЫКИ

(Резюме)

Грузинский литературный язык издревле использовался представителями всех картвельских племен. Он оказывал огромное влияние на развитие мегрело-чанского и сванского языков, одновременно испытывая некоторое воздействие этих же языковых систем.

В древнегрузинских текстах имеется слово ფუტყ, которое, по мнению автора, заимствовано из мегрело-чанского. Засвидетельствованное в некоторых рукописях (A-1562, H-1831, H-1889) чередование графем ვ/ფ указывает на то, что они переписаны сваном.

© 2023 GeeksforGeeks

၅၃-မဒေသရုပ်သာရေး ဗွဲောက်ဂါ ဣက္ခာဆောင်

1973 წლის გაზაფხულზე პარიზის „ბიზანტიის ისტორიას და ცივილიზაციის შემსწავლელი ინსტიტუტის“ თანამშრომელმა ბატონნა J. Lefort-მა, რომელიც ათონის აქტების გამოკვეყნებაზე მუშაობს, გამოგზავნა ივირინის ბერძნულ აქტებს შორის მის მიერ მიკვლეული და გადაღებული ერთი ქართული დოკუმენტის ფოტოპირი და მთხოვა ამ დოკუმენტის შინაარსი გამეცნ მისთვის.

დოკუმენტის გაცნობამ დამარტინუნა, რომ ეს იყო ნავ-კუარყვარეს დღემ-
დე უცნობი შეწირულობის წიგნი, დიდად მნიშვნელოვანი და საინტერესო.
განვიზრახეთ მისი გამოქვეყნება. ბ-მა J. Lefort-მა გამოქვეყნების ნება დაგ-
ვრთოთ და მოვაწოდა დოკუმენტის ტექნიკური აღწერილობა, რისთვისაც უღ-
რჩეს მაფლობას მოვახსენებთ.

დოკუმენტის შიფრას: Iviron IV 115. დაწერილია სბოზთი ძალიან თხელ
და თეორ ერტატშე. შეღება შვილი კეცისაგან. კეცები ერთმანეთზე გადაკე-
რებულია წითელი ძაფით. დოკუმენტის სიგანეა 18,7 სმ.; სიგრძე — 219 სმ.;
დასაწყისი სტრიქონი დაწერილია სინგულით; ტექსტი — შავი მელნით; ტექს-
ტი დაწერილია კალიგრაფიული დახვეწილი მხედრულით, რომლისთვისაც და-
მახასიათებელია სასოთა თავისებური გადახმა, მოყვანილობა და სართა სტრილ-
ზაცალი. განკვეთის ნიშნად იხმარება ერთი, ორი და სამი წერტილი; ტექსტი იწ-
ყება F-ზე და გრძელდება V-ზე. T-ს ზემო თავისუფალ კიდეზე მიწერილია გვი-
ანდელი მხედრულით: „ესცე მარილის შეწირულობის წიგნი არის“. V-ზე მი-
ნაწერები გვიანდელი მხედრულით: ა) „დავთარი ყვარყვარე თაბაგის, ახალ-
კიხის ბაზონის შეწირულობისა“.

ბ) „მე ულისს ხერი, მდაბალი მონაზონი ლავრენტი მოველ აქა ამ ქონიკონს ჩიყბ მთა ჭავას¹.

— 5-ს ქვემო კიდეზე — ბერძნული მინაწერია, რომელიც ამ ღვთების მიკეც შინაარსს გადმოსცებს. მინაწერს ბოლოში აქვს თარიღი: დასაბამიდან „7040, 5 მარტი“, რაც ბერძნული წელთაღრიცხვით უდრის 1532-ს (7040 — 5508).

1 ეს ის ლავრენტი ოქრიძელია, რომელმაც 1805—7 წლებში იერუსალიმში იმოგზაურა ჭმიდა აღგილებასა და ქართულ სიცვლეთა მოსახლეობად (იხ. ე. ლ. მეტრეკველი, იერუსალიმში ერთი ხელნაწერი; ს. ჯანშეიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV B, გვ. 39—40), ხოლო 1812 წლის იცო ათონზე, მისი მოსახლეობელი 1812 წლის თარიღით ჩანსრილია „ათონის კრებულში“ (იხ. ათონის იერუსალიმის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღმაგით, 1901, გვ. 277).

၁၃၈

Հայոց լուսաւորութեան պատմութեան մասին

առաջին կամաց առաջին առաջին առաջին առաջին

առաջին առաջին առաջին առաջին առաջին առաջին

Baach

Das ist ein kleiner Ort im Landkreis Göppingen. Er liegt an der Bahnlinie Stuttgart-Baden-Baden und hat eine Fläche von ca. 10 km². Die Bevölkerungszahl beträgt ca. 1500 Einwohner. Der Ort ist bekannt für seine Weinberge und seine Weine. Es gibt eine kleine Kirche, die St. Peter und Paul geweiht ist. Die Kirche wurde im 13. Jahrhundert erbaut und ist eine romanische Pfeilerbasilika. Das Dorf hat eine eigene Schule, die Grundschule Baach. Die Schule wurde im 19. Jahrhundert erbaut und ist eine zweistöckige Holzschule. Es gibt auch eine Kindergarten, die Kindertageseinrichtung Baach. Die Einrichtung wurde im 19. Jahrhundert erbaut und ist eine einfache Holzhütte. Das Dorf hat eine eigene Feuerwehr, die Freiwillige Feuerwehr Baach. Die Feuerwehr wurde im 19. Jahrhundert gegründet und hat eine eigene Feuerwache. Das Dorf hat eine eigene Polizei, die Ortspolizei Baach. Die Polizei wurde im 19. Jahrhundert gegründet und hat eine eigene Polizeiwache. Das Dorf hat eine eigene Post, die Poststelle Baach. Die Post wurde im 19. Jahrhundert gegründet und hat eine eigene Postfiliale. Das Dorf hat eine eigene Bibliothek, die Bücherei Baach. Die Bibliothek wurde im 19. Jahrhundert gegründet und hat eine eigene Bücherei. Das Dorf hat eine eigene Turnhalle, die Sporthalle Baach. Die Halle wurde im 19. Jahrhundert erbaut und ist eine einfache Holzhalle. Das Dorf hat eine eigene Sportanlage, die Sportanlage Baach. Die Anlage wurde im 19. Jahrhundert erbaut und ist eine einfache Sportanlage. Das Dorf hat eine eigene Freizeitanlage, die Freizeitanlage Baach. Die Anlage wurde im 19. Jahrhundert erbaut und ist eine einfache Freizeitanlage. Das Dorf hat eine eigene Freizeitstätte, die Freizeitstätte Baach. Die Stätte wurde im 19. Jahrhundert erbaut und ist eine einfache Freizeitstätte. Das Dorf hat eine eigene Freizeitstätte, die Freizeitstätte Baach. Die Stätte wurde im 19. Jahrhundert erbaut und ist eine einfache Freizeitstätte.

შეწირულობის ქართულ ტექსტს თარიღი არ უზის. ბერძნული მინაწერები და ფრაგმენტები თანადროული უნდა იყოს. საფიქრებელია, ამ თარიღით გატარდა ეს დოკუმენტი ათონის ივერთა მონასტრის კანცელარიაში. აյ შეცდომა თარიღში ძნელი დასაშეგნია, ვინაიდან საქართველოდან მისული შეწირულობანი მონასტრის არსებობის ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო, ამიტომ ამგვარი შემოწმირულობათა წიგნების ზუსტად ორიცხვებში მონასტერი დიდად იყო დაინტერესებული. შეწირულობის წიგნი დაწერილია „კელითა ჭაყელის შვილის ცოდვილის ი ა კ თ ბ ი ს ი თ ა“. დოკუმენტის ბოლოში ორი ხელრთვაა: ერთი ყვარელი და მეორე — ან ნას ი. ხელრთვები რთული ხლართოთა გამოყვანილი და ძნელად ამოსავითხია.

დოკუმენტი მრავალმხრივ არის საყურადღებო. ეს არის შეწირულობის წიგნი, გაცემული ათონის ივერთა მონასტრის კრებულის სახელშე. დოკუმენტის გამცემი არიან: პატრიონი ყვარელარე, მისი თანამეცხედრე პატრიონი ანნა და ძენი მათინი: პატრიონი მზეჭაბუკი და პატრიონი ქაიხოსრო.

ქრ. შარაშიძის წიგნის „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალების“-ს გამოწვევენების შემდეგ საბოლოოდ ბოლო მოელო „ყვარელარეთა“ თანმიმდევრობაში არსებულ არევ-დარევას. გაირკვა ათაბაგთა ქრონოლოგიის ძირითადი საკითხები. ამიტომ ჩვენს დოკუმენტში მოხსენიებული პირების ვინაობის დაღვენა დღეს სიძნელეს აღარ წარმოადგენს. ესენი არიან: ნავ-ყვარელარე, ეკ ქაიხოსრო ათაბაგისა, შეილიშვილი დიდი ყვარელარესა და შეისვეონი მზეჭაბუკ ათაბაგისა. მისი თანამეცხედრე ანა და მისი ვაჟიშვილები — მზეჭაბუკი და ქაიხოსრო. სამეცნიერო ლიტერატურულში ნავ-ყვარელარეს გარდაცვალების თარიღიდან მიღებულია 1535 წელი. ე. ი. დოკუმენტი შედგენილია 1535 წლამდე. პატრიონმა ყვარელარემ და ძისმა ოჯახის წევრებმა ათონის პორტატის ღვთისმშობლის ტაძარს მათი სულის „სასწარად და შესანდობელად“ შესწირებს „ხახულს, თორთომს მარილის ბაჟად გამოსავალი თეთრი სრულობით“. ამის უშუალო მიზეზი გამხდარა ფეოდალთა ბრძოლის ერთი ეპიზოდი, რომელიც დოკუმენტში შემდეგნაირად არის გადმოცემული: „უკეთურნი იგი და ეშმავისა მიმსავასებულნი საქმითა და ყოვლითა ღონისძიებითა მათითა ყმანი ჩუენი ქურ რ ც ი ნ ა ს შვილნი ა ზ ა ნ ზ ე რ ა დ ა ი ბ ა შ ე რ განდგეს სიტუაციანგნ ჩუენთა და ურჩ ექმნეს მორჩილებასა ჩუენსა და აღიჭურნეს, ვითარეცა ძუელ-ოდესმე უსჯულო იგი და განდგომილი, ყოვლითა უკეთურებითა ასახეს წყეული ფორა მცედარი უფალსა და მეუესა თუისსა ზედა მავრი იკვს და დაიყრა მეფობა მისი; ეგრეთვე შურიდგზის დაწყეულთა ამათ ინებეს და ურჩ გუექმნეს და აღილესნეს ჩუენ ზედა კელნი მათნი, რათმცა დაიპყრეს ზავეით საქელმწიფო ჩუენი სრულიად ხახულის თემი; ესრეთა დაიპყრეს, ვითარმცა ყოვლადვე არა ყოფილი ჩუენი, და მრავალჯერ გვემოქენით თუთო თავითა, რომელ არა დაგვიშთა არა ეპისკოპოზი, არა თავადი, არა დარბაზის ერა, არა უცხო, არა მეცნიერი, არა მტერი, არა მოყუარე, ვითარმედ: ნუ დაიპყრობ საქელმწიფოსა ჩუენსა, ხოლო მან არათდესრა გუისმინა და აღზუავნა ჩუენ ზედა და დამორჩილდა ნებასა ბოროტისა ცოლისა თუისსა და სრულიად ექუსორია გუვენა ხახულის თემისაგან და დაიჭირნა ციხენნი ჩუენი და დღივ და ღმე ჩუენისა წაკლენის მეტსა აღარას ღონისძიებდა. და ფიცი

2 ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), თბ., 1961.

გუთხოვა; ჩუენცა და მომორჩილდითა და მივეცით ფიდისა მიჭირა ვებისათვის. და გარდა ვკედით მცნებასა, ვითარცა პირველი იგი კაცი, მამა ჩუენი ადამი და კელთა და ვიზირების, და ჩუენგან მიცემული ფიცი გატყდა, და ფიცი გაუტეხთა და წაუხუნ ციხენი, სოფელი და თემი სრულობითა ხასული ის ა, და მისდა საქსრად და შესანდობელად მოგვიყენებია თორთომს მარილის თუალი".

დოკუმენტი ფერდალური კირთობის ნათელ სურათს გვიხატავს. თუ დოკუმენტში "შედარებისათვის გამოყენებულ მავრიკისა და ფოკას ისტორიას ოეალური საფუძველი ჰქონდა, მაშინ უნდა ვიგიჯროთ, რომ ნავ-ყვარაყვარეს აჯანყებისა და ბრძოლის შედეგად დაატვებინეს (ექსორია უყვეს) ხახულის თემი თავისი ციხეებითა და სოფლებით. საფიქრებელია, რომ ის აჯანყებულებდა შეიძყრეს კიდევ, რაფი მას ფიცი ჩამოართვეს „დიდისა მცვირვების“ დროს. ცხადია, ამ აჯანყების მესვეური, ხახულის თემის მცვიდრინი ჭურუინას ძენი — აზანშერა და იბაშერი — მსხვილი ფერდალები და წარჩინებული მხედრები იქნებოდნენ, რომელთაც სპაც ჰყავდათ და ძალაც შესწევდათ ყვარევარესთან ბრძოლისას და მისი „საკელმწიფო“ ხახულის თემიდან გაძევებისა. ძალადობის ამ ფაქტს ნავ-ყვარაყვარე არ შერიგებია. თვითონაც აზაერთხელ უცდია და შეუძავალნიც მრავლად გაუგზავნია მორიგებისა და თავისი უფლებების დაბრუნების მიზნით, მაგრამ უშედეგობ. ფიცი, რომელიც მიუცია ნავ-ყვარაყვარეს ქურცინას ძეთავის, ალბათ, ხახულის თემზე მათ ახლად მოპოვებული უფლებებისა და მათი პირადი ხელშეუხებლობის დაცვას გვლისხმობდა. ყვარევარეს ხელსაყრელი შემთხვევა რომ მისცემია, გაუტეხია ფიცი, შეუპყრია უზურპატორები და წარუთმევია მათთვის ხახულის თემი თავისი ციხეებითა და სოფლებით. საფიქრებელია, რომ ის მარტო შეპყრობას არ აკმარებდა აღზევებულ ფერდალებს და დედიან-ბუდინად ამოაგდებდა მათ. ფიცის გატეხის ამ დიდი ცოდვის მოსანნიებლად და თავისი სულის საოხად შესწირა ყვარევარემ დიდი შესაჭირავი („თორთომს მარილის თუალის ბაჟად გამოსავალი თეთრი სრულობით“) პორტაიტის ეკლესიას.

„ცნობებს ქურცინას ძეთა აზანშერისა და იბაშერის შესახებ ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 4 ქართულ ხელნაწერში, რომელიც თისლის მნისტრის სეინქასრს წარმოადგენს, XIV—XVII საუკუნეების მრავალი აღამოსახსენებლია ფურცლის კიდევბზე მიწერილი. აქ შეხედებია თაბაგთა, მათი ოგახის წევრებისა და მსხვილი ფერდალების შეწრიულბათა წიგნებს, აღამებსა და მოსახსენებლებს. მათ შორის არის XV—XVI ს. ხელთ დაწერილი აღამები ვიმე ქურცია ხასიათისა. „თა იანვარას თ. ალაპი ხცემისა ქურცია ის არის (62 v, ვარი ქირაგის გარეშეა დაწერილი). შესაძლოა, ქურცია იყოს ხ(ურ)ცისის გვარის კაცი (ხურციენი მსხვილი ფერდალები იყვნენ. მცენტოს საყათლიკოსო საყრდის მარელური ბის ნუსხაში ხურციენი (ჩორჩანელი) მოიხსენებიან, თუმცა არც ის არის გამორი-

³ დოკუმენტის დასაწყისში დასახელებულად არი შეამბოხე — ქურცინას ძენი, აზანშერა და იბაშერი, ხოლო შემდეგ საუბარია ერთ პირზე (საფიქრებელია პირველზე — აზანშერზე), და თავისი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 31. თისლნაწერი და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 31. თისლის სეინაქასრის აღამ-მოსახსენებლები ლითოგრაფიულად გამოცემული აქვს მ. ბრისეს.

Chronique géorgienne, Paris. 1830. pp. 113—118.

⁵ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნარიმი, გვ. 347.

ცტული, რომ ქურუკია იყოს ხე ცის ძ. მით შეტებს, რომ ამავე სვინაქსარში ეს გვარი რამდენიმე და ღამისტურებული: „აღაპი სიცისისა ზექარისი“ (24 გ), „აღაპი ხუცის ძისა ანტონისი“ (53 ვ) და სხვ. ამავე სვინაქსარში ქურუკია მოხსენებულია მა-მაშველობით: ის მზევინს ძე ყოფილა (64 ვ—65 რ). აღაპი კი დადებულია ქურუკის ძის მახარის/მახარებისთვის (77r).

არის თუ არა ყვარელების დოკუმენტის ქურუკია და თისლის სვინაქსარის ქურუკია ერთი და იგივე პიროვნება, ძნელი სათქმელია. მათ აახლოვებს მათ მოღვწეობის ქრისტოლოგიური ჩარჩობი (XV—XVI სს.) და ის, რომ ორივე სამცხე-სათაბაგოს მცვიდრია.

ვერ მივაკლებ ცრაბებს ქურუკიას ქეთა აზაშერსა და იბაშერის შესახებ. შეიძლება ითქვას მხოლოდ, რომ იბაშერი ამ სუუზნებში, უფრო გვიანაც, გავრცელებული სახელი ყოფილა როგორც სამცხეში, ასევე საქართველოს სხვა კუთხებშიც. სახელი იბაშერი გახვდება ხელნაწერ A-1-ისა და ე.წ. „კლარჯული სვინაქსარის“ (A—97) მინაწერებშიც.

ნავ-ყვარელების ათაბაგობის წლები (1516—35) მღელვარე წლებია სამცხე საათაბაგოს ისტორიაში. ქართლისა და იმერეთის მეფეთა ცდა საათაბაგოს შეკრისებულთხოვდისავენ იყო მიმართული, ვინაიდან „სამხრეთ საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა ამ დროს (განსაუთხებით ამ კუთხის დასუსტების გამო) დიდ საფრთხეს უზიშადებდა როგორც ქართლს, აგრეთვე იმერეთს, და აიძულებდა ამ ორი სამეფოს მეთაურებს იზრუნონ თურქეთის მოსალოდნელი თავდასხმისათვის გზის დახმისათვის. ასეთი გზა საათაბაგოში მდებარეობდა⁶.

შშეიძლა, როგორც ჩანს, არც საათაბაგოს შიგნით სუფევდა. შიდაფეოდალური ბრძოლის ერთი მწვავე ეპიზოდი აღწერილია ნავ-ყვარელების ამ ახალ დოკუმენტში. საფრთხებელია, რომ ეს ბრძოლაც და ამის შედეგად შეეყინის დასუსტება გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმ დიდი მარცხისა, რომელიც განიცადა ნავ-ყვარელები 1535 წელს მურჯახეთის ბრძოლის დროს, რამაც საათაბაგოს 10 წლით დამოუკიდებლობა დააკარგვინა.

ეს დოკუმენტი სხვა მხრივაც არის საინტერესო. ქ. კვლავ გამოჩნდა გა- ყ ე ლ ი ს შ ვ ი ლ ი ი ა კ ო ბ ი, რომლის ვინაბის შესახებ დიდების არაფერი ვიცოდით. „კოპასძეთა მოსახსენებლების“ (Q—969) საფუძველზე კი ქრ. შარაშიძემ გაარევია, რომ ი ა კ ო ბ ი იყო მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ა თ ა ბ ა გ ი ს ბ ე- რ ი ბ ი ს ს ა ხ ე ლ ი⁸. მშეჭაბუკის მოსახსენებლებში (რომელიც მოსდევს მისი ძმის ქაიხოსრო ათაბაგის მოსახსენებლს) კვითხულობთ: „...და შემდგომი- სა და საყუარელისა ძმისა მისისა, ღრთვი განდრინობილისა, მქნედ მქედრისა და მრავალთა და ძლიერთა და სახელდებულთა ფალვანთა დამამკობელისა და ქვედისა შემმუსირეველისა, საქრისტიანოსა ზრულისა, სრულისა ჩიხოსნობისა და ანგელოზებრივისა ს ქ ე მ ი ს ა ლ ი რ ს ა დ მ ი მ ლ ე ბ ე ლ ი- ს ა პ ა ტ რ ი ნ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა მ ზ ე ჭ ა ბ უ კ -ყ თ ი ლ ი ს ა ი ა კ ო- ბ ი ს ი ს ი ს უ კ უ ნ ი მ ც ა ა რ ე ლ ე ლ ი ს ა დ ა კ უ რ თ ხ ე ვ ა დ მ ი ს ი⁹.

იაკობი კიდევ რამდენიმე დოკუმენტში ჩანს. იაკობს გადაუწერია პატ- რონ ქეთაონ-ყოფილი ქრისტინეს¹⁰ შეკვეთით საბას ლავრის ტიპიკონი (A—

6 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), I, 1973.

7 ქ. შარაშიძე, დასახ. წიგნი, გვ. 149.

8 იქვე, გვ. 94—95.

9 იქვე, გვ. 16.

10 პატრიარქ ქეთაონ-ყოფილი ქრისტინე იყო მშეჭაბუკის დისმისი.



647). ხელნაწერის გადაწერით თავის თავს უწოდებს „ჭ აყ ე ლ ი ს შ ჭ ა ღ ლ ი ს ი ა კ ო ბ ს:“ „გათავდა ჩელითა ფრიად ცოდვილისა ჭ ა ყ ე ლ ი ს შ ვ ი ლ ი ს ი ა კ ო ბ ი ს ი თ ა ციხესა შინა ოლორისასა¹¹, ბრძანებითა მეფეთ-მეფისა შვილისა პატრიონისა ქეთაონ-ყოფილისა ქრისტინებითა. მრავალმცა არიან წელნი სუფევისა მცირებანი და ძეთა მისთა ელისპარ და იოთამისნი“¹² (A—647, 120v).

იმავე ხელნაწერის მეორე ანდერშში ჩანს ამ ხელნაწერის გადაწერის თარიღი: „დაიწერა წმიდა ესე და სულთა განმანათლებელნი!“ წიგნი ტვპიკონი ბრძანებითა მეფეთ-მეფისა გიორგის ასულისა პატრიონის ქეთაონ-ყოფილისა ქრისტინებითა. მრავალმცა არიან წელნი სუფევისა მისისანი აქესა მას მსხე-მობასა მზეგრძელობით და მას საკუნოსა სასუფეველსა მოკვენებითა და ძეთა მისთა ელისპარ და იოთამისნი, უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

დაიწერა ქრისტინებისა ასოთხოცდა ცხრამეტსა (1511), მონასტერსა ძე-ლია კეშმარიტებისასა ბ ა ნ ა ს“ (220v)¹³.

გარდაცვლილი იაკობის მოსახსენებლებს ვოოულობთ ქეთაონ-ყოფილი ქრისტინების მოსახსენებლის მერმინდელ მინაწერებში: „მოსახსენებლის“ II ვარიანტს ერთი ჩანამატი კიდევ აქვს. აქ ქაიხოსროს სახელის შემდეგ ჩამატებულია: „მმაა მეათსა ი ა კ ო ბ ს“¹⁴.

ის მოხსენიებულია უკელა თავისი ტიტულებით ე. წ. „კლარჯული სვინაქ-სარის“ (A—97) მინაწერშიც: „სულსა სულურთხეულისა, სახელგანქმული-სა დიდისა ათაბაგისა პატრიონისა ი ა კ ო ბ ი ს ა, შ ნ ს ღ წ“ (71r)¹⁵.

ამრიგად, თუ ამ ცნობებს დაკავშირებთ, ნავ-ყარყვარეს ღოյუმენტის შემდგენელის ვინაობა თითქოს არ იწვევს ეძღვს: ეს უნდა იყოს ჭ ა ყ ე ლ ი ს შ ვ ი ლ ი ი ა კ ო ბ ი, იგივე ა თ ა ბ ა გ ი მ ზ ე ჰ კ ა ბ უ კ ი. მაშასადამე, მზე-შეაბუქის ზეობით შეიძლებოდა განკვეთაზღვრა ნავ-ყარყვარეს შეწირულობის წიგნის დაწერის დრო, რაც, თავის მხრივ, გაარკვევდა ღოյუმენტში აღწერილი შიდაფეოდალური კონფლიქტის ქრისტიანოგიურ ფარგლებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მზექაბუქის გარდაცვალების თარიღიდ მიღებულია 1515 წელი (ქრ. შარაშიძე; 1516 — ვახუშტი და ივანე გავახიშვილი). უკანასკნელ ხანებში ქრ. შარაშიძის მიერ გამოვლინებულმა და შესწავლილმა ისტორიულმა ღოյუმენტმა და სულთა მატრინებმა შესძლებლობა მისცას ავტორს ათაბაგთა რიგისა და ქრისტიანოგიის ბუნდოვან საკითხებში წესრიგი შეეტანა. კერძოდ, მზექაბუქის გარდაცვალების ზუსტ თარიღს (1515 წელს) გვაწვდის 1474—1515 წლების „ათაბაგთა ქრისტია“ (ხელნაწერი H—1717)¹⁶.

იმ ქრონიკში „ყოველი ცალკე ცნობა გარდაცვალების თარიღის აღნიშვნით იწყება. თარიღების აღნიშვნას განსაკუთრებული ზედმიწევნილობა ახა-

¹¹ ოლთისი ითელუბოდა ათაბაგთა მეორე რეზიდენციად. ეახუშტი ამის თაობაზე წერს: „ჭორობის აღმოსავლეთის კიდეზე არს ილთისი, ქალაქი კარგი და კეთილ-პაოვანი. აქ არს ციხე მავარი და დიდშენი. არს შეორე საჭდომი ათაბაგისა, კითარუა ახალციხე“, ქართლის ცხოვრება. ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 683-ი¹⁷.

¹² ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII ს.), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 211.

¹³ ქრ. შარაშიძე, ივევ, გვ. 212.

¹⁴ ივევ, გვ. 210.

¹⁵ ივევ, გვ. 211.

¹⁶ ივევ, გვ. 197—198.



სიათებს. აღნიშნულია გარდაცვალების წელი („დასაბამითგანი“), შემდეგ კავშირის თვე, რიცხვი და დღე. ამასთანავე ყოველი ცალკე ცნობა გარდაცვალების უამასაც აღნიშნავს, გარკვეული დღის ფარგლებში¹⁷. ამის საფუძველზე მკვლევარი ასკენის: „მდგრად, ჩვენ ხელთ არის ყვარყვარე ათაბაგის სახლობის ხუთი წევრის გარდაცვალების ეჭვმიუტანელი თარიღები“¹⁸. ამ ხუთეულის უკანასკნელი წევრის მზეჭაბუკ ათაბაგი, რომელიც, თანახმად „ათაბაგთა ქრონიკისა“, გარდაიცვალა 1515 წლის ივნისის 5, სამშაბათ დღეს.

ეს თარიღი თითქოს ასევე ეჭვმიუტანლად უნდა ათარიღებდეს ჩვენ დოკუმენტს (1515 წლამდე), ვინაიდან იგი დაწერილია გა ყ ე ლ ი ს შ ვ ი ლ ი ს ი ა კ ო ბ ი ს ხ ე ლ ი თ. მაგრამ ამ თარიღს ზოგიერთი წინააღმდეგობა ელობება, რომლის მოვლაც გახდა საჭირო. ჯერ ერთი, და ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ნავ-ყვარყვარეს დოკუმენტის ბერძნულ მინაწერს აქვს თარიღი 1532 წელი, რაც, როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, მეტაც ანგარიშგასწევი ფაქტია. გარდა ამისა, ნავ-ყვარყვარეს დოკუმენტში მოხსენიებული პირების მიხედვით, ეს დოკუმენტი დაწერილია მზეჭაბუკის ბერძნის წლებში და ამავე დროს ყვარყვარეს ათაბაგობის დროს. ყვარყვარეს ათაბაგობის წლებად მიჩნეულია 1516—35 წლები¹⁹. ხოლო მზეჭაბუკი გარდაიცვალა ბერძნის 1515 წელს. ეს ორი თარიღი ერთმანეთს არ ხვდება.

ამავე დროს დოკუმენტის შედგენის დროისათვის ყვარყვარეს ჰყოლია ორი ვარი — მზეჭაბუკი და ქაიხოსრო. ცოცხალი იყო მისი მეულე ანაც. „მესხურ ქრონიკას“ შემოუახავს ცნობები ნავ-ყვარყვარეს ძის ქაიხოსროს შესახებ: „...დაუტევა მდენ ეს საწუთო ენკენისთვის კთ, დღესა სამშაბათსა, ცხრა უამს, მოვარესა ბ, და მიიცვალა წლისა ნა, თებერვალსაც იგ გათავ-დებოდა. სუკუნომცა არს საქანებელი და კურთხევამ მისი, ქუსა სხა“²⁰.

ქრონიკა ისეთი სიზუსტით ასახელებს ქაიხოსროს გარდაცვალების წელს (1573 წ.), თვესა და დღეს, რომ მის სისწორეში ეჭვის შეტანა ძნელია. ამ „მოსახსენებლიდან“ იმასაც ვვებულობთ, რომ გარდაცვალების უამს (1573 წ.) ქაიხოსრო ყოფილა 51 წლის. ამ ცნობასთან დაკავშირებით ქრ. შარაშიძე წერს: „მესხური მატიანის“ ცნობების წყალობით შეგვიძლია ზედმი-წევნით გვარკვიოთ რამდენი წლის დარჩენია მამას ქაიხოსრო. იგი გარდა-იცვალა 1573 წლის ენკენისთვის 29-ს. გარდაცვალების თარიღთან ერთად „მესხურ მატიანები“ აღნიშნულია ქაიხოსროს წლოვანებაც; აქ ნათევამია, რომ „ქაიხოსრო მიიცვალა (1573 წ.) წლისა ნა (51)“. მაშიალამე, ქაიხოსრო 1522 წ. დაბადებულა (=1573—51), 1535 წელს, როცა მისი მამა გარდაცვ-ლილა, ქაიხოსრო ცამეტი წლისა უნდა ყოფილიყო²¹.

თუ ამ ცნობას სარწმუნოდ მივიღებთ, მაშინ ჩვენი დოკუმენტი 1522 წელზე ადრე არ უნდა იყოს დაწერილი, ვინაიდან დოკუმენტში მოხსენებული არიან ნავ-ყვარყვარე, პატრინი ანა და ძენი მათნი მზეჭაბუკი და ქაიხოს-რო.

17 ქ. შარაშიძე, იქვე, გვ. 197—198.

18 იქვე, გვ. 198, 202.

19 ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), გვ. 138.

20 იქვე, გვ. 41.

21 იქვე, გვ. 76.



შეორე მხრივ, „ათაბაგთა ქრონიკისა“ და სხვა ნარატიული წყაროების შემთხვევაში მიხედვით მზეპაბუკ ათაბაგი, ჩვენი დოკუმენტის მიხედვით ჭაყელი შევიღი ი აკობი, გარდაიცვალა 1515 წელს. ე. ი. ერთმანეთთან შესა-თანხმებელია სამი თარიღი: ბერძნული დოკუმენტის თარიღი 1532 წელი, მზეპაბუკის ვარდაცვალებისა — 1515 და ქაიხოსროს დაბადების — 1522 წე-ლი.

თუ სწორია ცნობა, რომ ნავ-ყვარყვარეს უფროსი ძე ქაიხოსრო დაბა-და 1522 წელს, მაშინ არაფრით არ შეძლება სწორი იყოს მზეპაბუკის გარ-დაცვალების თარიღი 1515 წელი. ან არა და, ნავ-ყვარყვარეს დოკუმენტის შემდგენელის — ჭაყელის შევიღი ი აკობისა იდენტიფიკაცია არ შევეფერება სი-ნამდვილეს. პირველ რიგში ამ უკანასკნელი საკითხის შემოწმება მივიჩინეთ საჭიროდ, ჩვენ წინაშე დასმული დილემის გადასაწყვეტად.

ნავ-ყვარყვარეს დოკუმენტის შემდგენელი, დიდად ერუდირებული მწიგ-ნობარი, თავის თავს უწოდებს გაყელის შვილს იაკობს: „დაწერა პელითა ჭაყელის შვილის ცოდვილის იაკობისითა, ლოცვასა მომიჯსე-ნეთ“.

ზუსტად ასევე უწოდებს თავის თავს ქეთაონ-ყოფილი ქრისტინეს განკარ-გულებით 1511 წელს გადაწერილი საბაწმიდის ტიბიკონის (A—647) გადამ-წერი: „გათავდა პელითა ფრიად ცოდვილისა ჭაყელის შვილისა იაკო-ბისითა ციხესა. შინა ოლთისა“.

ზემოთ განხილულ სხვა წყაროებში იაკობს ახლავს მზეპაბუკის საერო ტიტულების აღნიშვნაც: „სულსა სულკურთხეულისა სახელგანმქულისა, დიდისა ათაბაგისა პატრონისა იაკობის ა“²². ანდა: „...სქე-მისა ლირსად მიმღებელისა პატრონისა ჩუენისა მზეპაბუკ კუ-ფილისა იაკობისი საუკუნომცა არს საქსენებელი და კურთხე-ვად მისის“²³.

უკანასკნელი მოსახსენებლები მზეპაბუკ-ყოფილ იაკობს პატრონად და ათაბაგად მოიხსენიებენ. გაყელის შვილი იაკობი კი მოკლებულია ამ ტიტუ-ლატურას. ჩვენს დოკუმენტში იგი ნავ-ყვარყვარეს აცხადებს თავის პატრო-ნად: „დაუკეშებელი კანდელი მაცხოვრის ხატის წინაშე ჩემ პატრონის ყუ-არყუარეს სულის საქსრად“ (სტრიქ. 93).

ეს სხვაობა უკეთ საკმარისი იყო ეკვის ალექსათვის, რომ აქ სხვადასხ-ვა პირთან, სხვადასხვა სოციალური მდგრმარეობის ადამიანებთან უნდა გვქონდეს საქმე. ეს ჩვენი ეკვის საქსებით დაადასტურა ზემოთ მოყვანილმა ქეთაონ-ყოფილი ქრისტინესთვის გადაწერილი ხელნაწერის მეორე ანდერძ-მა, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილი გამოიქვეყნა ქრ. შარაშიძემ თავის გა-მოკვლევაში²⁴. ანდერძის მეორე ნაწილი, რომელიც ქრ. შარაშიძეს არა აქვს გამოქვეყნებული, დაზიანებულია. აღვილები ცუდად, ზოგჯერ სულ არ იკა-თხება, ალბათ, ამიტომ ალარ მიაქცია მას სათანადო ყურადღება განსვენე-ბულმა მკვლევარმა. მოგვყავს ამ ანდერძის სრული ტექსტი.

²² იბ. ქართული ხელნაწერების (A კოლექცია), ტ. I, 1973, გვ. 434; 53.

²³ ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), თბ., 1961, გვ. 16.

²⁴ ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), გვ. 212.

„დაიწერა წ(მიღა)დ ესე და სულთა გ(ა)ნმ(ა)ნ(ა)თლ(ე)ბელნი(!) წიგნი პიკონი ბრძანებითა მეფეთ-მეფისა პატრიონის გ(იორგ)ის ასულის პატრიონისა ქეთაონ-ყოფილისა ქრისტინებითა. მრ(ა)ვალმცა არიან წელნი სულევებისა მისის(ა)ნა აქ' სა გრ/ს მსხვმბ(ა)სა მზეგრძელობით და მ(ა)ს ს(აუ)კ(უ)ნოსა სასულეველსა მოქსენებითა, და ძეთა მისთა ელისბ(ა)რ და ოთამისნი. უკი უცე, არ 6.

დღის მეტერა ქრონიკას ასთხმოცდა ცხრამეტსა მონასტერსა ძელისა ცემის გვარის (ა) სა ბაზა [ა] ს „... ... „ ესესთა (1) ჭ [ა ყ ე ლ] ი ს 25 შ ვ ი ლ [ი ს ა] ხუ-ცეს-მონაზონისა ი (ო) ს ე ბ-ყ ო ფ ი ლ ი ს ა ი (ო ა) ნ ე ს შ ვ ი ლ ი ს ა ი (ა) კ (ო)-ბ ი ს ი თ ა. უცებ(ა) დ წერისათ(3) ს ნუ ვინ დამწყევთ, ლ(მრთო) სათ(3) ს გ(ევე)-დრ(ე)ბი, ი (ა) კ (ო) ბს და დედა-მ(ა) მ(ა) თა მისთა შ(ეუნდო)ნ(ე)ს ლ(მერთმა)ნ, ვინცა ბრანოთ, თქ(ლე)ნცა შ(ე)გინდ(ც)ნეს ლ(მერთმა)ნ ა ნ, ა ნ. სიმართლესა მიმხრებია (!), ლ(მერთმა)ნ უწყის, ვამე ც(ო)დვ(ი)ლსა და საწყალობ-ელსა. ო(მერთო) მილხინე, მიშრელე“ (221v—222r).

ამ ანდერძით შესაძლებელი ხდება იაკობის ვინაობის დადგენა. ანდერძით ში იაკობი მოხსენებულია მამა-შვილობით. ის ყოფილა გაყელის შვილის ხუცეს-მონაზენის იოსებ-ყოფილი იოანეს შვილი. მაშესადამე, გაყელის შვილი იაკობი არაფრით არ შეიძლება იყოს მზეპაბუ-ყოფილი იაკობი, ვინაიდან ამ უკანასკნელის მშობლები იყვნენ ყვარყვარე დიდი და დედისიმედი. მაშესადამე, სამხრეთ-საქართველოს ხელნაწერთა და ისტორიულ დოკუმენტებში ჩანს ორი იაკობი, თითქმის ერთდროულად მოღვაწე. პირველი — ყვარყვარე ათა-ბაგისა და დედისიმედის ძე, თაბაგი, პატრიკი მზეპაბუ-ყოფილი იაკობი, ხოლო მეორე — გაყელის შვილი იაკობი. პირველი გარდაიცვალა 1515 წელს, ხოლო მეორე, თუ მივიღებთ მხედველობაში ნავ-ყვარყვარეს დოკუმენტის თარიღს, 1532 წელს ჭერ კიდევ ცოცხალია. ის შესანიშნავი კალიგრაფი და მწიგნობარია და მოღვაწეობს როგორც გადამწერი და შეღიან-მწიგნობარი ქეთაონ-ყოფილ ქრისტინესა და ნავ-ყვარყვარეს კარჩე. საფიქრებელია, რომ ის, როგორც გაყელის შვილი, ნათესავილა ქეთაონ-ყოფილი ქრისტინესი და ყვარყვარესი და მათვე კარის მდივან-მწიგნობარი.

რაკი გაირევა, რომ გაყელის შეილი იაკობი და მზეპაბუკ-ყოფილი იაკობი სხვადასხვა პირია, და გადამწერი ნავ-ყვადრევარეს საბუთისა არის გაყელის შეილი იაკობი და არა მზეპაბუკი, ნავ-ყვადრევარეს ღოყველნის თარიღის სა-კითხიც ადგილად გადაწყვდა. ღოყველნის, როგორც ითქვა, თარიღი არ უზის. სამძგეროდ ჭუსტი თარიღია მოტნილი ამ ღოყველნის ბერძნულ მინაწერში, სადაც ღოყველნის მოკლე ზინაარსია გადმოცემული. მინაწერი მონასტრის კრებულის სარეგისტრაციო ჩანაწერს წარმოადგენს და ამ ღოყველნის მიღების თარიღზე მიუთითებს, რაც, რა თქმა უნდა, დიდად არ იქნებოდა დაცილებული ღოყველნის შედგენის ღროისაგან. ამდენად ღოყველნი შედგენილი უნდა იყოს 1532 წელს.

အမြတ် ဇွန်ဖြစ်ရှုတ် ဖော်ဆောင်လွှာတွေကို ပေါ်လေ့ရှိခဲ့ပါ။ အမြတ် ဇွန်ဖြစ်ရှုတ် ဖော်ဆောင်လွှာတွေကို ပေါ်လေ့ရှိခဲ့ပါ။

* აქედან ქრ. შარაშიძეს გამოქვეყნებული არა აქვს.

25 სიტუაცია „გაყენელის“ ანდერტში ძალისუბრივი დაზიანებულია. გარკვევით იყოთხება „გა“ და „ის“. დანარჩენ ასოებს თავი აქვთ დაზიანებული, მაგრამ შემორჩენილი ქვემო ნაწილებით ადვილოდ აღდგება მოცელ სიტუაცია „გა კ ე ლ ი ს“. კვადრატულ კავეშში ჩაწერილი ასოები ცვლდე იყოთხება და ჩეკინ მიერ არის აღდგენილი.



1535 წელს გარდაიცვალა. „1535 წლიდან ოღარ ჩანს მისი უფროსი ვაჟის მარიამი მზეჭაბუის სახელი. ქვედა ცხადით, რომ ნავ-ყვარცყვარეს ხე მზეჭაბუი 1535 წელზე აღრე გარდაიცვალა“ — წერს ქრ. შარაშიძე²⁶.

ვინაიდან ჩვენი დოკუმენტის მიხედვით 1532 წელს მზეჭაბუი ცოცხალია, ამიტომ მისი გარდაცვალების სავარაუდო დრო შეძლება შემოიფარგლოს 1532—1535 წლებით. შესაძლოა, მზეჭაბუი დაიღუპა მურჯახეთის ბრძოლაში, სადაც „მოსწყდნენ როგორივე ურიცხული“²⁷.

ამ ვრცელი დოკუმენტის დიდი ნაწილი უცირავს შესავალს, სადაც მწიგნობარმა გამოიჩინა თავისი განათლება და მწიგნობრული ნორმების კარგი ცოლნა.

შესავალი აგებულია გარკვეული წესითა და მიზანდასახულობით. იწყება „გარეშემოწერელი“, „უცალებელი“ და „გონებით მიუწვდომელი“ ლოთისასამი მიმართვით, რომელიც არის სამყაროს შემქმნელი. ამას მოსდევს სამყაროს შექმნის ბიბლიური ისტორია, რომელიც მთავრდება „ხატად და მსგავსად ღმრთისა“ ადამ და ევის შექმნის ისტორიით. შემდეგ — მათი სამოთხეში დამკვიდრება და პირველი ცოდვა, რომელიც მათ ჩაიდინეს იმის გამო, რომ „გარდაყდას მცნებას“. „მიერიდან აღამანს დაესაჭა სიკუდილი და ცოდვა“, მაგრამ ღმრთმა მანც არ დაივიწყა აღამიანი და სსინისათვის მოუვლინა ძე თვისი, რომელმაც „პატიონითა სისხლითა თვისითა“ იქნა დაცობრიობა ცოდვათა სიბნელისაგან, ამცნ აღამიანს ჭეშმარიტი სარწმუნოება; ქართველებს მთავრელად მისცა შშობელი თვისი, ქრისტიანობის მქადაგებლად — ანდრია მოციქული, ხოლო შემწედ — აწყურის ღმრთისმშობლის ხატი.

შესავლის შემდეგ მოთხოვნილია შიდაფერდალური ბრძოლის ზემოთ მოყვანილი ამბავი, რომლის დროსაც ნავ-ყვარცყვარემ გატეხა მტრისადმი მიუემული ფიციი და შეიძყრა ივი. ამის გამო ყვარცყვარე „გარდახდა მცნებას, ვითარება პირველი ივი კაცი, მამა ჩუენი ადამი“. აქ გამოჩნდა, თუ რისთვის დასჭირდა ლოკუმენტის შემდგენელს შესავალში ვრცლად მსჯელობა სამყაროს და ადამიანის შექმნის ბიბლიური ისტორიის შესახებ და ყურადღების გამახვილება ადამის პირველ ცოდვაზე, ხოლო შემდეგ ცოდვათა მონანიებასა და ცოდვათა შენღობაზე. ამ გზით გაიბა კავშირი ვრცელ შესავალსა და მის მოძღვნო ნაწილებს შორის.

ცოდვათა მონანიების მიზნით, ყვარცყვარე სწორავს პორტატის ღვთის-შობელს დიდ ძლევებს: „...გულს-ვიდგინეთ და შემოგწირეთ ჩუენ პატრონ-მან ყუარყუარე და თანამეცხედრებან ჩემმან პატრონმან ანნა შენ, საშინელ-სა და კელითა უქმნელსა... მიუწდომელსა, საშინელსა ბორტიატისა²⁸ ღმრთის-შშობელსა... შესაველებლად ჩუენთა მცირედი ესე ქლუენი ხსხულს, თორ-თომს მარილის ბაჟათ გამოსავალი თეთრი სრულობით სულისა ჩუენისა საქ-სრად და სალოცველად...“.

თორთუმის მარილის ბაჟას გამოსავალი, ეტყობა, დიდი თანხა იყო, ვინაიდან დიდია ის ვალდებულებები, რომლებიც ამ შემოწირულობის სანაცვ-

26 ქ. შარაშიძე, სახერთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 76.

27 ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 712.

28 პორტატი ასევე დანარჩენებული ფორმით გვხვდება ამავე პერიოდის ათონის ერთ-ერთ აღმასში: „აღმირდილი პატრონის ქანქსროსი ამბროსი დიდად შეეწია ამა მონასტერის პორტატი ი ს. ა. ღუთისშობლისა ხატი მოკედა მძიმედ“: (ათონის ივერის მონასტრის 1074 წ. ხელნაშერი აღმებით, 1901 წ. № 163).

ლოდ უნდა ეკისრა მონასტრის ძრობას: წლიდან წლამდე ერთი „დაუცხებული კანდელი“ უნდა ნოებულიყო „თავსა საყდარში“ მაცხოვრის ხატის წინაშე უკარევარეს სულის სახსრად, „ყოვლად წმიდასა წინაშე დაუცხებული კანდელი პატრიკის ანას სულის საჯსრად, და ორი კანდელი — ორთავესთუუს ბორტიატისა ღმრთისმშობლის წინაშე“. მას გარდა, მთელი წლის მანძილზე კარგაღებული ორი უნდა გადახდილიყო ყოველი თვის პირველ შაბათს მღვდელთა წირვითა და მონაზონთა ლოცვა-კურთხევითა და სხვ.

დოკუმენტი მთავრდება პორტატის ლვთისმშობლისადმი მიმართული (დიდი ექსპრესით დაწერილი) ცოდვათა შენდობის ეფლებით და იმ პირთა შეჩერებით, ვინც შეცვალოს და უკარევარეს სულის საჯსრად დადგენილი განგება „არ გაუთაოს“.

გაყელის შვილი იყობი დახელოვნებული კალიგრაფია. მისი კალიგრაფიული ხელოვნება მხატვრულობის დონემდეა აყვანილი. ორ მეტრზე მეტი სიგრძის ეტრატის გრანილი დახვეწილი ერთგვაროვანი მხედრულითა ნაწერი ისე, რომ მწიგნობარს წერის მანერა არსად შეუცვლია. სტილიზებული ასოები სამკაულის ფუნქციასაც ასრულებენ და მთელ დოკუმენტს საზეიმო სახეს აძლევენ.

ამჩინად, დოკუმენტი Iviron IV 115 მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი და საინტერესო: ა) ის გვაწვდის ახალ ცნობებს ნავ-უკარევარეს ათაბავობის პერიოდში მწვავე შიდაფეოდალური ბრძოლებისა და წინააღმდეგობების შესახებ. ბ) შესაძლებლობას იძლევა გაიმიჯნოს აქამდე ერთ პიროვნებად მიჩნეული ათაბავი მზეჭაბუკ-ყოფილი იყობი და ათაბაგთა კარის მღვივან-მწიგნობარი ჭაყელის შვილი იყობი. გ) გვაცნობს მღვივან-მწიგნობრის ჭაყელის შვილის იყობის მაღალ პროფესიონალურ ასტატობასა და ხელოვნებას.

ქ. შ, ფამთა და ყოველთა საუკუნეთა უბირატესო¹, დაუსაბამოო, დაუსრულებელო, გარეშემოუწერელო, უსაზღვე²/როო, უცვალებელო, ძალგანუზომელო, გონებით მიუწოდომელო, /მამათ უსილაო და ანგელოზთაგ(ა)ნცა თუალთშეუდგამო, შენ/³თანავე თანა-დაუსაბამოსა ძისა მშობელო, რომელმან/მოავლინე მხოლოდ შობილი მე შენი შენივე საუკუნითგან თანა-მარსი და შექმზადე მის მიერ განუმზაღებელი ესე ბნელი/საგან დაბყრობილი ესე სოფელი, და განკიავ შორის ნათლისა⁴ და ბნელისა და გ(ა)ნ(ა)წესნ რონი ესე მნათობნი: მზე — მფლობელად/⁵ დღისა, რათა წნათობდესა დღესა, და ნათელი ესე უმრწემესი/მთოვარე — კელმწიფებად დამისა; და გ(ა)ნუჩინე წესი და საზღვარი დ/დღებად, ღამეცებად და ჭამებად. და აღიღე წყალი პირისაგან ქუეყანისა/და შეპმზადე ცა შენა კერძო სამყაროსა. ეგრეთვე ზღუასა/დაუდევ წესი და საზღვარი, რათა არა გარდავდეს ბრძა/ნებასა შენსა და შეპმნენ ანგელოზნი შენი სულად და მსახურნი შენი/ალად ცეცხლისა. და შე(ა)მკვე ცა და ქუეყანა ყოვლით სამკაულით მა/თით. და ოდეს იგი გ(ა)ნკმ(ა)დებდი ცასა და ქუეყანასა, ანგელოზნი შენ/გ(ა)ნ ქმნილნი შენ გაქებდეს და თაყუანის-გცემდეს. და მოგონება შენი/საქმე იქმნა. და დაპბადენი პი-

* დედანშია: ნათილისა.


 რუტკენი* და ყოველნი ქუეწარმა/¹⁹ვალნი, მფრინველნი ფრთოვანნი, იუვენი ზღუისანი და რავოდენი ვლე/²⁰ნან აღაგებსა მას ზღუათასაც და დასას ედემი და სამოთხე, და შექმენ კაც/²¹ხატად და მსგავსად შენდა კელითა შენითა. და შთაუბ (ე) ოე სული ცხოველი და/²²ყოველივე დამორჩილვე ქუეშე ფერტა მისთა, და დააძინე და აღმოულე/²³ფერცხალი გუერდისა მისისა და შეპქმენ დედაკაცი და მიეც მას/²⁴და ამცენ, რათა არა გარდა და მცნებასა შენსა და უბრძანე ხისა მის/²⁵მცნებულისა ყოვლადვე არა შეხება. და ჭამეს და არა დაიმარსეს მცნე/²⁶და შენი და შეიტყუვნეს გუელისა მიერ ბოროტისა და გარდაჯდეს მცნებასა/²⁷შენ დამბადებელისასა, და სუეს სასუშ[ე] ლი მწარე სიკუდილისა და დაესაჯა მიეცვა/²⁸მუნვე მიწად, რომლისა მიერ მიღებულ იყუნეს და დაბადებულ. და ექსორია/²⁹ ჰყუვენ სამოთხით მართლმსაჯულობითა შენითა. და მიერითგან დაგუესაჯა/³⁰ სიკუდილი და ცოდვა. ხოლო ვინათგან არა დაივიწევ ქმნული კელთა შენ/³¹თა და არცა გარე მიიქცი პირი შენი მისგან, არამედ უკანასკნელ/³²თა უამთა მეტრახე ჩუენ თავადისა და დაუსაბამოსა ძისა შენისა მიერ/³³და მოავლინე მხოლოდ შობილი ძე შენი, ღმერთი და უფალი ჩუენი იესო/³⁴ ქრისტე. და განკორციელდა და კორცი შეისხნა ჩუენთუის სულისაგან წმიდისა/³⁵და ღ(მრ) თისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარაიმისგ(ა)ნ ქსნისათუის ჩუენისა, და/³⁶გამოგუიქსნა უბიწოთა მით შობითა თუისითა და გუიჯსნნა მონებისაგ(ა)ნ და/³⁷საცურისაგ(ა)ნ** ქრისტასა, და ჯუარს ეცუა ჩუენთუის, დაეფლა და აღდგა მეს(ა)მესა/³⁸დღესა და მოგუიყიდნა პატიოსნითა სისხლითა თუისითა და მიგუცა წილა/³⁹დ მშობელსა თუისა, ოდეს იგი გ(ა)ნიგდებდეს წილსა, და მოგუიყლინა ერთი ათო/⁴⁰რმეტთაგ(ა)ნი, ძმა სიმონ-პეტრესი, პირველ-წოდებული ანდრია მოციქული,^{/41}და პირით მისით აღმონატუიფი ხატი ყოვლად წ(მიდ)ისა, დიდებული მცელი და/⁴²მფარველი, განმანათლებელი და მეოხი და ნუგეშინის-მცემელი, ყოველთა დე/⁴³დათა უდიდებულესი, საშინელი აწყური ისა ღ(მრ)თის მ შობ ძ ე ლ ი, რომლისა მეოხებითა/⁴⁴დ(ა)გუიცვენინ უფალმ(ა)ნ უშოოთველად, ვიდრე უკანასკნელად დღემდე. ეგრე/⁴⁵თვე ძლი(ე) რებითა ცხოველს მყოფელისა, ჯ(ო)-ჯ(ო) ხეთისა წარმომტყუენველისა/⁴⁶და დამარღვეველისა და ეშმაკთა შემაძლწუნვებელისა, რომლისა გამოსახვასა გამოსა/47 ხვითა უკუნ და ბნელ იქმნებიან და ივლტიან მთავარნი იგი ბნელისანი,^{/48} ყოვლად ბოროტნი ძალნი ეშმაკთანი ქრისტეს სისხლითა სურებულისა ჯუ/⁴⁹არისა პატიოსნისათა. ეგრეთვე თანა-დგომითა, შეწევნითა და მეოხებითა/⁵⁰წ(მიდ)ისა, დიდებულისა წინასწარმეტყუელისა, უფროს უმეტეს ყოველთა დედათა/⁵¹ ნაშობთასა, ქმისა მისგან საუფლოსა წოდებული წინაშორბედისა და ნათლის/⁵²მცემელისა იოვანესითა. ეგრეთვე შეწევნითა, მეოხებითა და ძალმწეობითა,^{/53}თ(ა)ნა-დგომითა წმიდათა მოციქულთა, წინასწარმეტყუელთა, მღდელთ/⁵⁴მოძღუართა, მოწამეთა, ნეტართა მამათა, მამათ-მთავართა, ქალწუ/⁵⁵ლთა, მესუეტეთა, მეუდაბნოეთა, შორად გ(ა)ნშორებულთა, ყოველთა წ(მიდა)თა/⁵⁶ღ(მრ) თისათა ზეცისა და ქუეყანისათა, კორციქლთა და უკორცოთათა, რომელნი/⁵⁷ საუკუნითგ(ა)ნ სათნო ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესოს ქრისტეს, ჰეშმარიტსა/⁵⁸ ღ(მერ)თსა, და კუალადცა სათნო-ყოფად

* დედანშია: პურისტუნი.

** დედანშია: საცუთირისაგან.



რაც შეეხება შტაბსკაპიტან ფათა ალი ბეგისა და მისი მიმდევრების მსრიდან შმართველ ჩემბერისადმი ფარული მტრობის მიზეზს, ის იყო, რომ მას (ჩემბერს) არ ესმოდა არც ამ მხარის და არც სხვა რომელიმე მხარის ენა. არც მისი ესმოდათ ისე, როგორც ხაშს, (და რომ) მასაც სურელი არა ჰქონია (ამისი), რომ განუკითხავად ენდობოდა ზოგიერთ ენის მომგანს. რომ ჩემბერს აღმოეფხვრა მასშე დამოკიდებული ის საქმეები, რომლებიც ამ მხარეს ესხბა, ნამდვილად არ შეხვდებოდა იგი უხეშობას, სიტრანქეს და სიჯიუტეს მათი მსრიდან. ადამიანი კი თავის საწადელს მიაღწევს მხოლოდ ლმითიერებით და სირბილით, რასთანაც შეუთავსებელია სიუხეშე და სიფიცხე.

ღუმუჟის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ კნიაზ მელიქოვი გაემართა სულრათლისაკენ, ამბოხების კერისაკენ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული. როდესაც გავჩერდით სულრათლის ქვემოთ მდებარე ხევში, დაიწყო მისმა ხალხმა მტრობა და წინააღმდეგობის გაწევა, ისინი განლაგდნენ ძლევა-მოსილი ფალიშაპის ჯარების პირისპირ და გადაწევს აულის ირგვლივ მდებარე დამუშავებული მიწები ყოველივე იმით, რაც იქ იყო — ხოჩაბლი, თივა და ჩალა, რათა ჩვენ არ გვესარგებლა მაგალითად ამით. ამასთან მათ დაივიწყეს ჩვევა მოგზაურისა: იგი არ წავა სამოგზაუროდ პროვინციისა და აქლემის გარეშე. განსაკუთრებით (ეს ითქმის) ძლიერი იმპერატორის ლაშეარზე. შემდეგ, იმ დღეს, როდესაც გზა შოეჭრათ შათ, გავემართეთ და ავედით მთაშე, რომელიც გადმოიჰქოებს აულს და დავბანაკდით იქ. აულის მოსახლეობა და დანარჩენი მხარეებიდან მათკენ ლტოლვილები გამაგრდნენ ციხეში, რომელიც ააშენეს ჩვენს (განლაგებულ) ჯარსა და აულს შორის. ჩვენ დავუწეუთ ციხეს ცეცხლის დაშენა ორივე მსრიდან, ისე რომ იგი უმოკლეს დროში დაევანგრიოთ. სალდათები თავს დაესხნენ ციხეს სხვა მხრიდან. დაიხოცა იქ გარკვეული რაოდენობა. გადარჩნენ ზოგიერთები, ვინც აულისაკენ გაიქცა. ხოლო დანარჩენები გამოცხადდნენ მორჩილნი კნიაზ მელიქოვთან. მოიყვანეს პაჯი ალი ჩანელის ბიძა — ოსმალების შუამავალი მეამბოხებებთან — დაჭრილი და მისი ოჯახის დანარჩენი წევრები ბავშვებითა და ქალებით. ხოლო მოსხენიებული ალი ბეგ პაჯი ამის წინ გაიქცა ლამით. მოიყვანეს ჩვენს ბანაგში აწ განსვენებული პაჯი აბდ არ-რაპმანი²⁸, მათი იმამის პაჯი მუჰამმადის მამა, ხის კიბით, რაღგან დაუძლურების გამო სიარული არ შეეძლო. როდესაც დააყენეს ეს მოხუცებული კნიაზ მელიქოვის წინაშე, მან უარყო თავისი კავშირი ავანებულებთან, მაშინ როცა თვით იყო მიზეზი დაღესტანში ავანებულის აფეთქებისა და მისი (ზე) მოსხენებული შვილის, რომელიც ამ ამბის შემდეგ ღუ-

* იგვენ სულრათლი.



ნიბში იქნა ჩამოხრჩობილი, იმამად დანიშვნისა შამუილის მაჟერილის (წელზე) შემორტყმით. და მან არ იცოდა, რომ ყველა, ვინც შამუილის შემდეგ ჩვენში იმამი გახდებოდა, (წელზე) შემორტყმული იქნებოდა თოკის რაღაც ნაკუწით. შემდეგ, როცა ნახა კნიაზ მელიქოვმა იმამის მამა დაჩა-ჩანაკებული მოსუცი, რომელსაც ჭკუა-გონება გამოლეული პქონდა, პასუხი არ მოსთხოვა მას, დატოვა იგი დაუსჯელად. შეიძყრო ზოგი ურჩნი, რომლებიც გადასახლებულ იქნენ რუსეთში²⁹.

1881 წელს ჩვენა მმართველი გახდა გენერალ-ლეიტენანტი კნიაზ ნიკოლაი ზურაბოვის ჭავჭავაძე³⁰, ცნობილი ჩვენში ყველა საქები თვისებით. ჩვენ დღემდე მოსვენებული ვართ (მისი) პოლიტიკის წყალობით. ამის მერეც ასე ვიქენებით. ერთი სიტყვით, როდესაც ციმბირში გადასახლებულთ სამშობლოში დაბრუნების იმედი გადაუწყდათ. ალლაპმა, მაღალიმც არს, წყალობა მთაღებინა მათზე 1882 წელს დიდ იმპერატორ ალექსანდრე მესამეს³¹. ალლაპმა, მაღალიმც არს, ერთ დღეს გააღებინა მათვის დიდი მოწყალების კარი, გამოაბრუყინა იმპერატორის ვრცელი გული ღვთაებრივი გულუხვობითა და სამეფო გვირგვინით, რომლის საფუძვლი მტკიცეა. მისი (მეფისა) და მის შთამომავალთა მიმართ (გადასახლებულთა) ლოცვა-კურტხევით მან განამტკიცა თავისი მმართველობა ყოველგვარი სიკეთით, რათა სამარადისოდ უკვდავეყო თავისი დიდება ქრონიკებში. ამასთან მათ (გადასახლებულებმა) გააღვიძეს იგი (ძალა-უფლება) მსგავსად მცენარის განვითარებისა წვიმიან ადგილას. ჭეშმარიტად, მეფე ძვირფასი ქვებით სავსე სუფთა ზღვაა, რომელსაც ვერც ქარიშხალი და ვერც მუნანათური აზრები ვერ აამღვრევენ. და თუ აიმღვრა, მიახლის დამღუბველ და გამანადგურებელ ტალღებს ყველას — უპატიოსნოსა და პატიოსანს. აյ მოხსენიებულ ვითარებებთან ერთად ხამს, რათა არ დაივწყოს არავინ, ვისაც სურს დაღესტანს იცნობდეს, რომ იგი იყო შეფოთის ადგილი იქ სამი იმამის — ღაზი-მუჟამმადის³², პამზათ ბეგის³³ და შამუილის გამოჩენამდე, იქამდე, რომ (როგორც) შევიტყვეთ მოსუცი შეიხებისაგან, რომლებიც გადმოცემებს ეყრდნობიან, მოგზაურს არ შეეძლო ერთი აულიდან მეორეში მშვიდობიანად გადასვლა. როდესაც გამოჩენენ (იმამები), აღმოფხვრეს ეს უმსგავსობა და საფუძველი ჩაუკარეს ჩამოყალიბებულ სისტემას, და დაიწყეს კიდეც ბრძოლა რუსეთის სახელმწიფოსთან დამოუკიდებლობისათვის, (რომელიც გრძელდებოდა) მრავალი წლის მანძილზე, არ უწევდნენ რა ანგარიშს თავიანთ უძლეურებას ჯარის ოდენობისა და საომარი საჭურვლის მხრივ, ჩვენ ვფიქრობთ ამ ბრძოლის შესახებ, რომ იგი დიდხანს გაგრძელდა და გამოავლინა დამოუკიდებლობის ძლიერი სურვილი. როდესაც დღით-დღე დაბრწმუნდა (დაღესტანი), რომ მისი თოკი გაწყვეტაზე, მიუშვა წინააღმდეგობის სადავებს, დაფუძნებულს ერთიანობაზე და წარუდგა თავის გამანადგურებელს გენერალ-უფლდმარშალ კნიაზ ბარიათინსკის. როგორც მოის მსხვერპლი. ამასთან, ეს (დაღესტანი) არის ადგილი განუწყვეტელი იჭვიანობისა, რაც მუდამ ჩანდა მისი უძველესი სურათიდან. აქედან წარმოიშობა რელიგიური ფანატიზმი და მიზანდასახული განკერძოება. დღეისთვის მათი ფესვები ამოძირკვულია. ამ თრი ვითარებიდან უეჭველად დაიღუბება განკერძოება ბედისწერის გამო. ჭეშმარიტად, ბედისწერა ბატონობს თავის მემკვიდრეებზე, რომელთა კისრები მოდრეკილია მის ბრჭყალებქვეშ. ამბოხება, რომელიც ძალას დაუბირისპირდება,

დამარცხება. ისე როგორც მოხსენიებული იმამები მაგალითი გაცდილების შემთხვევაში მათ ნერწყობის საყრდენად ყოფნისა და რუსეთის სახელმწიფო სამართლებრივი მინისტრის მინისტრის დამართვისა, ასევე მათი აღიმებიც* არ ჩამორჩნენ მათ დაღესტნისა და ჩანწერის დაცემისათვის პირობის შექმნაში (მაშინ), როდესაც მათ ნება დართეს იმ მუსლიმთა სისხლისა და ქონების ხელყოფისა, ვინც არ გადავიდოდა მათს მხარეზე, (და) რომლებიც თავიანთ სამშობლოში რუსეთის მორჩილების ქვეშ იქნებოდნენ. როდესაც გაიგეს მათ (ამ მუსლიმებმა), რომ იმამების მიმდევრებმა არ დაზოგეს მათი სისხლი და ქონება მათზე გამარჯვებისას, ჩათვალეს ისინი გზის ცალკეულ მონაკვეთებად, რომელთა საზრუნავი სხვა არა იყო რა, თუ არ ამ ნამსხვრევთა შეგროვება და სისხლის ღვრა. ამან დააშინა ისინი და უარყოვეს სარწმუნება, რომელსაც აღმასრუებლობდნენ თავიანთ სამშობლოში. მათ არჩიეს მათთან (რუსებთან) ჯოჯონხეთი მიურიდებთან³⁴ სამოთხეს. ნეტავი, რომ იმამებს ყური არ ეთხოვებინათ ალიმებისათვის, რომლებიც ავიწროებდნენ სამწყსოს თავის მხრივაც და თავიანთი მეთაურების გულისთვისაც. (ნეტავ). არ დაედგინათ სამწყსოსთვის შარიათის³⁵ ზღვრები უკიდურესი სიზუსტით და არც ნება დაერთოთ სარწმუნოების სახელით სისხლის ღვრისა და მათი იმ მომენთა ქონების დატაცებისა, რომელნიც რუსებს დამორჩილდნენ. შემდეგ, არ დაევიწყებინათ ზრდილობა, სიტყვით და საქმით მათი მიწების მოშურენ სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოთა მიმართ, რის გამოც დარღვეულია (ქვეყნის) ხელშეუხებლობა დღეისთვის. იმამებმა და ალიმებმა გადაწყვიტეს, რომ მფარველობის (ქვეშ) და სამოთხეს შესვლა შესაძლებელია რუსებთან ჯიპადის³⁶ წარმოებით და მათ მიერ იმ დანარჩენი მუსლიმების მოკვლით, რომლებიც პრივილეგიით სარგებლობდნენ რუსებთან. (მაგრამ) არა, პირიქით, მათ ანგარიში უნდა გაეწიათ ამასთან ერთად სხვა გარემოებებისათვის, რომლებშედაც დამოიდებული იყენენ სხვა ევროპული მეცეთა სახელმწიფოები საუკეთესო წყობილებით (sic). ხამს გავისხმოთ აგრეთვე, რომ სამწყსოს მართვა-გამგებლობა ნიშამის კანონებით წინ დგას შარიათის გადაწყვეტილებათა დაცვასთან შედარებით. როდესაც შეცადნენ დაღესტნელი იმამები და მათი აღიმები დაეცვათ ეს უკანასკნელი, უგულებელყველი რა პირველი, გაუსხლტათ ხელიდან ორივე სარგებლი. იმამებს არ გამოადგათ არც ერთი დაღესტნელი, (რადგანაც) მათ მოუკლეს (იმამებმა) გული. ამის დამატებიცებლია (ის). რომ გურჯისტანის ოქეს, მისი რუსეთის სახელმწიფოს მფლობელობაში შესვლამდე, ათამაშებდა ბარბაროსული პოლიტიკით ორი სახელმწიფო — ოსვლამდე, ათამაშებდა ირანი, არ ზრუნავდნენ რა ამ ქვეყნის (მდგომარეობის) გაუმარეთი და ირანი, არ შრუნვლდნენ მას. როცა არ იცოდნენ მათ (ორმა), კიდრე მთლიანად დაიპყრობდნენ მას. როცა არ იცოდნენ მათ (ორმა), თუ რა სახით დაეპყროთ იგი, (ამასობაში) გურჯისტანმა სთხოვა დახმარება თავის მოძმეს სარწმუნოებაში რუსეთის სახელმწიფოს. ხოლო რუსეთი მმართველობს მას საუკეთესო პოლიტიკით, პეტიანს ხდის მის ცხოვრებას და ადამიანის მოთხოვნილებებთან დაკავშირებულ სხვა პირობებს ისე, რომ არ მიმართავს უძველესი დროიდან არსებული მისი ადათების შეცვლას. მას (გურჯისტანს) ახლა ბევრად ჩამორჩნენ აზიის დანარჩენი მცხოვრებნი, რომელთადმიც ვერ მიაღწია მოხსენიებული სახელმწიფოს

* სწავლული, მეცნიერი.



(რუსეთის) ძლიერებამ. შემდეგ, ზემოხსნებულმა ორმა სახელმწიფომ უმცირესი ტერიტორია ჩატარდა რამ გამო მრავალი რაზ დაკარგა და ამის შემდეგ უფრო შეტყიც დაკარგავენ. არ იცვლება (მათი) ველური ბუნება სამწყსოსთან დამოკიდებულებაში.

შემდეგ ცნობილია, რომ დაღესტანი არის ადგილი მუდმივი გზებისა და სიმამაცისა, და მას შესწევს ძალა, რომელიც საქმარისია მშობლიურ ნიადაგზე განვითარებისათვის, განსაკუთრებით იმამების გამოჩენის შემდეგ, თუნდაც რომ არ მიაღწიოს ამ მხრივ დანარჩენ სახელმწიფოთა დონეს. ასევე, ჰემშარიტად, მთიელი — ვეროპელთა შორის მოქცეული, ველურია მრავალ შემთხვევაში, (და) იგი ვერ გახდება ვეროპელი, მათს დონეზე განათლებული. ეს ველურობა კარგავს აღმოსავლეთ კავკასიაში მისოვის (მთიელისთვის) დამახასიათებელ მგზებარებას. წვენი წინასწარმეტყველის მუპამადის, ალლაპი, მაღალიმც არს, აკურტხებს და მიესალმება, მექადან მედინაში გაქცევის შემდგომ, 508 წელს sic მიორუნცებულ იქსოს, მშვიდობა იყოს მასზე. დაბადებიდან, არაბთა მიწა ბრწყინავდა ცოდნით, ზრდილობითა და განათლებით ვიდრე ომარ ალ-ფარუსი³⁷ აღსასრულმდე, რომელიც აღმატებული იყო სხვა ხალიფებზე თავისი ცნობილი დაყრობებით. ისე, რომ მიაღწია მისმა ძალამ ბალხს³⁸, ბუსარას³⁹, სამარყანდს⁴⁰, ფარისს⁴¹, რუმსა⁴² და აზერბაიჯანს, როგორც ეს ცნობილია ძველი ქრონიკებიდან. როდესაც მოკვდა ომარი, დაიმარხა მეცნიერება და სამართლიანობა მასთან ერთად, არაბთა მიწა იმ დღიდან ბნელით იქნა მოცული. ამის შემდეგ წამოვიდნენ ჯარით ეგნი ალ-კამზათისა⁴³ და ალ-აბბასისა⁴⁴, მოციქული დაიფარავს მათ, მშვიდობა იყოს მასზე, აღმოსავლეთ კავკასიისაკენ იქ შარიათის გავრცელების მიზნით, ვიდრე მათმა ძალამ არ მოაღწია დაღესტანს. ხაიდაკის⁴⁵, ტაბასარანის⁴⁶ ემირები, შამხლები⁴⁷ ძველი არაბული ქრონიკების მიხედვით აბასელთა და პამზათელთა მხრიდან დანიშნული ნაიბები⁴⁸ იყვნენ. და დაუნიშნეს (ამ) ნაიბებს ერთ-ერთი (პამზათელი) მეთაური. დანარჩენები კი დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყნებში დაღესტანში მურიდობის მახვილით გაერცელების შემდგომ. ბელადი აბუ მუსლიმი⁴⁹ მოკვდა აფარისტანში⁵⁰, აულ ხუნდახში⁵¹. მისი საფლავი იქვეა, რომლითაც ისინი განდიდებულ და კურთხეულ არიან. მას ჰქონდა მახვილი, რომლითაც იგი იბრძოდა და წამოსახსამი, რომლის ზურგზე მოელი ყურანი წერია. შემდეგ, ნაიბებმა უარყვეს სარწმუნოება, რომელიც თავს მოასვიეს მათმა ბატონებმა ძალით და ღალატი ჩაიდინეს. მათმა მეთაურმა, რომელიც სათავეში ედგა მათ აბასელთა მხრიდან, მისწერა (მეფებს): გვიღალატა მავანმა და განგვიღგა. ღალატი ჩაიღინა მავანმა და მავანმა. ამ დღიდან შერჩათ მათ ეს სახელი. ამიტომაც უწოდებენ მათ „ხანს“. ეს არის არაბული სიტყვა. რომლის მნიშვნელობაა „ღალატობდა“. მაგრამ შენ ნუ გვონია, რომ ეს სახელი ეძლევათ მის მფლობელებს ნიშნად პატივისცემისა და გამორჩევისა. მათ თავი მოპერნდათ ამით, მაშინ როცა არ იცოდნენ მისი მნიშვნელობა. თითქოს ისინი მოიხიბლნენ სახელის ფორმით, (ისე) როგორც ვინე მოიხიბლება რაიმესთან მიმსგავსების გამო*. გავამასკილოთ ყურადღება სახელის არსზე იმამისა, რუსეთში ქ. კალუგაში განსვენებულ შეის შამუილისა (sic!).

* ტექსტში სიტყვასიტყვით ასეა: „ისე, როგორც კეშარიტად ზეოდი მოტყუდა მსგავსების (ნაწილავ) ქაფით“.



რამდენიმე ხნის შემდეგ გაძლიერდა სურვილი ორი ემირისა, რომელიც არის მიმდევარი თაც მოისურვეს დაღესტნის დაყრობა. როდესაც ამ მიზნით 1744 წელს ნადირშაპი⁵² წამოვიდა დაღესტანზე დიდი შეკრებილობით, დაღესტნელები უსწრაფესად უკუიცცენ წურჭი-დაღზე⁵³ ჩვენი ქალაქის ღაზი-ღუმუქის ასლოს. იმ დროს ივაჟვაცა მურთაშ ალი ბეგ იბნ ჭულაკ სურსაი ღაზი-ღუმუქელმა⁵⁴. აი, ამ ვითარებაში ცოდნამ და ზრდილობამ არაბებში დაიწყო მაღლა აწევა ერთ დღეს, (მეორე) (დღეს) — დაწევა მეათე საუკუნის (დონემდე). ისლამის ალიმთა სეპარატიზმისა და მათი ფანატიზმის გამო, იმის გამო, რომ მათ მოადუნეს გულისცური სახელმწიფოს კანონების დაცვასთან დაკავშირებული საქმეების მიმართ, (კანონებისა), რომელიც ძეველ წიგნებშია დასაბუთებული, განუჩრევლად ავისა და კარგისა, იწყეს ევროპელებმა მათი გასწრება კველაფერში, რასაც (მათ) აღრე მიაღწიეს, უკიდურეს მიზანსაც კი, ამასთან, ისლამური სამყარო კინაღამ არ დაეცა. ამის დამამტკიცებლად გამოდგება წინასწარმეტყველის, ალლაპიც მაღლამიც არს, აკურთხებს მას და მიესალმება, გამონათქვამი, ისლამი უცხო იყო, ხოლო მომავალში (თვით) წაუძღვება უცხოს. ამ გამოთქმის არს იმაში მდგომარეობს, რომ სარწმუნოება და საერთო აღზრდა ერთი ჯურისანი არ არიან, არ არის აუცილებელი, ერთიმეორისა ესმოდეთ. პირველი (სარწმუნოება) არ უშლის ხელს მეორეს (აღზრდას) და პირუკუ. სარწმუნოება ალლაპის კუთვნილებაა, აღზრდა კი ამ ქვეყნისა. და ურცხვია ის, ვინც უარს ამბობს ორივეზე, ჩერება მარტოობასა და ფანატიზმი და ფიქრობს, რომ მხოლოდ განბანვა და ყიბლასკენ⁵⁵ პირისპირ დგომა და სიყვარული თავივანისცემისა და დგომისა არის საყრდენი ისლამისა და (ამავე დროს) არ არის თავისუფალი ყველა შეგნებული გონიერი (კაცისათვის) ცნობილი საზიღარი თვისებებისაგან: სიცრუის, ქურდობის, მლიქენელობისა და ქედმალობის სისაძაგლისაგან.

ჩვენ მთიელთა სახოგანოება ვართ. როგორ არ გვრცხვენია ალლაპისა, რომ ვლოცულობთ ისლამის სახელით და თან სხვებზე მეტად ჩაფლული ნი ვართ ამ მოსხენებულ სისაძაგლეში. ამასთან ერთად ვკიცხვათ დანარჩენ ხალსს, ვძრახავთ იმის გამო, რაც მათში არ არის, თან (ვკიცხავთ) ტყუილუბრალოდ. გონიერი (კაცი) არ ხედავს სხვაში მას, რასაც არ ხედავს თავის თავში. შემდეგ დაფიქრდება და გაისხენებს. ჟეშმარიტად, განსხენებას სარგებლობა მოაქს მართლმორწმუნეთათვის. ასე წავიდა ეს ცხოვრება და ჩვენ ვერ ვეწიეთ სხვას. ასე.

1884 წ. 18 მაისს, 1301 წლის ჯუმადა აღ-ულას*, შემეკითხენ გაზეთ „ქეშულში“⁵⁶, რომელიც იბეჭდება ქ. თბილისში თურქულ ენაზე, ერთი კაცის შესახებ, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა სუდანის არაბეთში წინამდლობაზე და რომელსაც ერქვა მაპდი. მე აქ ვუთითებ ზოგაერთ მის დამახასიათებელ ნიშანზე მუჰამმად წინასწარმეტყველის, მასზე იყოს მშვიდობა, გაღმოცემის მისედვით**.

* 1301 წლის ჯუმადა აღ-ულა = 1884 წ. თებერვალი-მარტი.

** ამას მოსდევეს გრენალიგი აღ-მაპისა, საღაც აღ-მაპიშულია აგრეთვე, რომ აღ-არამაპიც ჰქონინის (ხალიცა აღისა და მუჰამმადის ასულის ფატიმას ქე) შთამომავალთაგანია. ეს აღვილი თარგმანში გამოროვებულია.



წიგნში წარმოდგენილია აღ-მაპდი⁵⁷. მისი სახელია აპმად იბნ ეზდი სამართლის დროისათვის. იგი არის 40 წლის კაცი თავის სარბილზე გამოსვლის დროისათვის. აქვს მაღალი წარბები, ღრმად ჩასმული თვალები, ბეჭებგანიერია. ყველაზე ჰყვაიანია და კეთილგონიერი. ჰყსანის შთამომავლობისაგანია და როდესაც იგი აღდგა, მისმა მზერამ მოაღწია ამ ქვეყნამდე. დასრულდა. ო, ალლაპ, ნუ გამყიცხავ მოვანილი წიაღსვლის გამო. მოაღდებინე ჩვენს მეფეს ჩვენშე უხვი მოწყალებები. ამინ. 1884 წ. 22 ნოემბერი.

სეიდ აბდ არ-რაპმან იბნ შეის ჯამალ ედ-დინ აღ-ჰუსეინი ღუმუ-ჟელი დაღესტნელი.

შენიშვნები

1. ალ ბეგ ჰაჯი ჩაჩ ნე ლი — 1877 წ. ჩაჩენთში აფანეგბის ხელმძღვანელი. ჩაჩენთში რამდენიმე უშედევო და წარუმატებელი გამოსვლის შემდევ გაღვივიდა და თავშესაფარი იპოვა აუდ სულრათლში. იმავე წელს ჩითახჩჩეს ღუნიბები (იხ. ე. ვიღენ-ბატმის ბიბლიოგრაფიული ლექსიკი), დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში).

2. გუ ბე ბე თი გუნებთი — ყუმშეური სახელი ბაკ თ ლ ი ს ა, მნდის ოლქში შემავალი ერთ-ერთი ხუნძური თების (Е. Козубский. Памятная книжка Дагестанской области. Темир-хан-Шура, 1895, стр. 189).

3. ტილი ტლი — ხუნძური აული ღუნიბის ოლქში (Е. Козубский. დასახ. ნაშრ., გვ. 239).

4. სიტუა კიაზ-ს მთაში ხმარობდნენ მაღალ მოხელეთა და სამხედრო ტიტულის აღნიშვნელ ტერმინად (იხ. И. Ю. Крачковский. Нензданное письмо Шамиля, З И В, 11, 1933, стр. 5; გ. წერ რე თ ე ლ ი, შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი, საქ. სახ. მუშეუმის მთაბე, ტ. IX B (1), თბ., 1936, გვ. 114, სქოლით 15).

5. ბარიათინ სკი ალექსანდრე ივანეს ძე (1815—1879 წ.) — 1856 წლიდან კავკასიის შეიცის ნაცელი, ჯარების სარდალი, კავკასიის მისი აქტიური მონაწილე. 1859 წ. დაატყვევა ღუნიბები შამილი (იხ. ე. ვიღენბატმის ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი; გრ. ორ ბე ლი იან, წერილები, ტ. I, გვ. 304, ა. გუნებულის რედაქციით და შენიშვნებით).

6. 7. კიბიდ მუ ჰამ ბადი — შამილის ერთ-ერთი თანამოღეწერი. უღლ ტილიტუში აფანეგბულებს მეთაურობდნენ კიბიდ მუკამიდის ორი ვერ, შედოგმოქმედი მილიციის ცხენისები და მა პრაპორშეჩირი შურათაზ ა ლ ი, მეტად ენერგიული და მასავით ფანატიკოსი. მურთაზ ალი სულრათლელი იმამის მუკამიდ პარის ერთ-ერთი ალიმი (ცხავლული) იყო (ცსსა, ფ. 1087, აღწ. I, № 567, ფ. 119). ჩამოახტჩჩეს ღუნიბი. შეღერძეს ცრანებით კიბიდ მუკამიდის მთელ გვარი თვისი გევრდით შტროთ გადასახლეს ციმბირში (Р. Магомедов, დასახ. ნაშრ., გვ. 40).

8. ღუნიბი — ხუნძური აული. ავერ ღუნიბის მთაც.

9. ნაკაშიძე — გენერალ-მისრი, ცენტრალური დაღუნის უკელა სახეობის ჯარების უფროსი. განაგებდა ამავე დროს სამოქალაქო საქმეებსაც. (ცსსა, ფ. 1087, აღწ. 1, № 567, ფ. 124).

10. კუ შა — დარგული აული.

11. ლევაშიძე — დაგულული აული.

12. თემირ ხან შურა — ღლევნდელი ბუნაესკი. ქალაქს საფუძველი ჩაეყარა 1832 წელს. 1847 წლიდან კასპიისპირეთის ჯარების სარდალის რეზიდენციაა. მე-19 საუკუნის დასასრულისათვის თემირხანშეურა ერთ-ერთ კულტურულ ცენტრიდ იქცა (გ. ორ ბე ლი იან, წერილები, ტ. I, გვ. 142; Е. Козубский. დასახ. თბ., გვ. 158—159; А. Зинсерман, დამატებით ხანშეურა ერთ კულტურულ ცენტრიდ იქცა (გ. ალექსანდრე მუკამიდი, 1877 წელს მონაწილეობდა დაღუნის აფანეგბის ჩაქრობაში).

13. ლევან ივანეს ძე მელიქოვა, ივანე მელიქი ლევან გუნებული ადგიუტინი, მეფის ნაცელის მთადგალე კავკასიაში, სახელმწიფო სათამაზოს წევზი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1835 წლიდან. 1877 წელს მონაწილეობდა დაღუნის აფანეგბის ჩაქრობაში.



оғар өүр ნөјмәләнш ბარа ташылғылары ғилемнағынан өзгөрдөр. (Краткий путеводитель по Кавказскому военно-историческому Музею. Тифл., 1909, ғз. 86 — 87; ნიკолოზ ბარია 1945, თა ვე 1945, თბ. 109—110; გრ. ორბელიანი, წერილი ბ. I, გვ. 257).

14. ღ ზ ა ღ ღ მ უ კ ი ა ნ ღ უ მ უ კ ი — მდებარეობს ცენტრალურ დაღესტანში. ღაზი-ლუმუქის ყოსის ხეობაში. ცხოვრიბენ ლაქები (Е. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, стр. 351; Е. Козубский, стр. 286).

15. კ ო ი ნ თ რ ა ნ ს კ ი ი მ ი ს გ ი დ ი გ ა ნ გ ს ქ ე ქ ე ლ ი — მაგა აბდ არ-რამანისა, წინა-მდებარე ნარივე ი ა ვ ტ რ ი ს ა მ ი ს ს ტ რ ი ს ა მ ი ს ს ტ რ ი ს მ ი ს გ ა ვ ე ბ ი თ.

16. ს ე ი დ ჭ ე მ ა ლ ე დ დ ი ნ ღ ა ზ ი ღ უ მ უ კ ე ლ ი — მაგა აბდ არ-რამანისა, წინა-მდებარე ნარივე ი ა ვ ტ რ ი ს ა მ ი ს ს ტ რ ი ს ა მ ი ს ს ტ რ ი ს მ ი ს გ ა ვ ე ბ ი თ.

17. ი მ ა მ ი (<ام>) — მეთაური, მლოცველთა ხელმძღვანელი, სახელმწიფოს მეთაური.

18. შ ა მ უ ი ღ ი, ასე უწოდებდნენ მთავი შემილს (1796—1871) — დაღესტანისა და ჩიჩენეთის იმამი (მესამე იმპერატორმამადასა და პატარაბის ხელმძღვანელი, სამხედრო-თეოქრატიული სახელმწიფოს — იმპერატორის ორგანიზატორი და მეთაური, იმამდ იყო 1834—1859 წწ.ში. 1859 წელს დანებდა რუსებს (იხ. С. К. Бушуев, Борьба горцев за независимость под руководством Шамиля, М.-Л., 1939; Р. Магомедов, Борьба горцев за независимость под руководством Шамиля, Махачкала, 1939; Очерки истории Дагестана, т. I, Махачкала, 1957; История Дагестана, Т. II, Москва, 1968 და სხვ.).

19. ს უ ღ რ ა თ ლ ი — ხუნძური აული ანდალუში. 1877 წელს დაღესტანის აჯანყების ცენტრი.

20. ი გ ვ ვ თ ე მ ი რ ხ ა ნ უ რ ა.

21. წ უ დ ა ხ ა რ ი — დარგული აული, 1877 წელს მიწასთან იქნა გასწორებული და გადატანილი დველი ადგილიდან ერთნახვარ ვერსის მნიშვნელები (გრ. ორბელიანი, წერილი ბ. I, გვ. 268).

22. ა ბ დ ა ღ მ ა წ ი დ პ ე გ ი — დაღესტანის 1877 წლის აბონების ერთ-ერთი მეთაური. თავდაპირველად რუსების სამსახურში იყო კავალერიის როტმისტრად. 1877 წელს გადატი თავდაპირველად რუსების სამსახურში იყო კავალერიის როტმისტრად. 1877 წელს გადატი აჯანყებულთა მხარეზე, იმვე წლის 16 დეკემბერს ჩამოახრის ლუნიბში (ე. ვეიდენბაумის ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი).

23. ა რ ღ უ ც ი ღ ს კ ი ღ ღ ღ ღ ღ ღ ღ ღ მ ი ს ე ზ ა ქ ა რ ი ს ა ქ ი (1797—1855) — გენერალ-ადილტანტი, კასპიისპირა მხარის გრძების სარდალი. დაღესტანში ეცირა სხვადასხვა მაღალი ადგილის მხარის გრძების სარდალი. დაღესტანში ეცირა დაღესტანის მხარეს და სამხედრო-ადმინისტრაციული თანამდებობა. საფუქვლისანდ იცნობდა დაღესტანის მხარეს და მის ხალხს (იხ. ე. ვეიდენბაუმის ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი; Акты, т. IX, стр. XV; Указатель по Кавказскому военно-историческому Музею. Тифл., 1907, стр. 20—22).

24. ფ ა თ ა ღ ი ბ ე ვ ი — მულარის ნაირი, მილიციის შტაბ-კაპიტანი, ღაზი-ლუმუქის ბან-თავერდით შტაბის წარმოაღენებელი. აბდ ალ-მაჯიდთან ერთად გადავიდა აჯანყებულთა მხარეზე და გახდა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. დაღუპა ლექსისთან ბრძოლაში (ქსა, ფ. აღწერა, აღწ. I, № 567, ფ. 119; ჩ. მაგომ ბ ე დ თ ვ ი, დასახ. ნაშრ, გვ. 5—13; История Дагестана, ბ. II, გვ. 153—154).

25. წ ე ბ ე რ ი ლ ე ვ ნ ი კ ლ ი ნ ი ს ა ქ ი, — პოლკოვნიკი, ღაზი-ლუმუქის ოლქის უფროსი. მის ბრძოლაში (1877 წ. 7/IX) ღაზი-ლუმუქის მილიცია კავალერიის როტმისტრი აბდ ალ-მაჯიდის მეთაურობით გაგზავნეს სულჩალისაკენ, რათა ას მიეცა საშუალება აჯანყებული სულჩალოელებისათვის დარჩელიყვნენ ლემუქებისაკენ. მაგრამ გადამწყვეტი მიმერბში აბდ ალ-მაჯიდის უდალატი რუსებს, უერერთდა აჯანყებულებს და გაუძირა მათ ლუმუქებისაკენ, სიღაც იყო გიღმის დროს ლოქის მმართველობა. რუსებსა და აჯანყებულებს შორის მოხდა გაღმმწყვეტი ბრძოლა და ასე ამ ბრძოლაში დანით იქნა აუწევლი ჩემბერი („Кавказ“, 1878, 20 მაისი, № 114).

26. ა დ ა თ ი (تادالا) თავდაპირველად ხარური წერილებანი, რომელთა საფუძველზე ცემლებში ჩემლებითი სკული აღმოცენდა. ფაქტურად ადათი იყო დაუწერელი კავალეც შემლებში ჩემლებითი სკული აღმოცენდა. სარგებლობდნენ მთიელები საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში ნონები, რომლებითაც სარგებლობდნენ მთიელები საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში

Зб-19 №-6 Шея წლებამდე (А. В. Комаров. Адаты и судопроизводство по ним. ССКЛ სიკრიტუა) Въп. I, Тифл., 1868; Ф. И. Леонтьевич. Адаты Кавказских горцев, Материалы по обычному праву Северного и Восточного Кавказа, т. I. История Дагестана, т. II, стр. 76, 77, .).

27. რა გა ზანი — (رمضان) — მუსლიმური წლის შეცხრე თვე, მარხვის თვე.

28. ა ბ დ ა რ-რა 3 მ ა ნ პაჭი — სულრათლელი, მამა მუქამდა-პაჭისა, დაღესტნის ერთ-ერთი იმამისა. 1877 წლის ავანგების დროისათვის იგი ლრმად მოუცემული იყო, იმიტომ უშუალოდ მონაწილეობა გასში არ მიღლია, მაგრამ მის ირგვლივ თავი მოყარა კვლა ფანანიერობაში, რომელთათვის „ლაზეთი“ უცილებლობას წარმოდგენდა. მას თვლიდნენ უმინდონად. შემილის დროს იგი უკვე იყო ცნობილი, როგორც შეტად განათლებული პიროვნება (ე. ვერდენბაუმი, ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი).

29. 1877 წლის 3—5 ნოემბრის მელიქურთონ მოჩჩილებით წარსლენენ სულრათლელები, მათთან ერთდა ყველა არგანიზაციი და ხელმძღვანელი ავანგებისა, რომელიც სულრათლები იყვნენ იუნი იუნი იმდე ალ-მაკიდი, აბას ფაშა, იმამი პაჭი მუქამდა, უმა პაჭი ლუკი, დადა ზალმავე და სხვანი. სსტრიად გუსტორდენ ავანგებულებს: 300-მდე კაცი ჩამოახრის. მათ შორის ზემოსხერებული პირებიც სულთათასამდე კაცი, დაახლ. 1000-მდე ოჯახი, გადასახლეს ციმბირში, ან რუსეთის შეგა გუბერნიებში მუდმივ საცხოვ-ჩებლად (იხ. ჩ. მაგომედოვის დასახ. ნაშრ., გვ. 48—49; История Дагестана, т. II, 160—162).

30. ნ ი კ თ ლ ი ზ ზ უ რ ა ბ ი ს - კ ვ ა კ ვ ა ვ ა ძ ე — გენერალ-მაიორი, შეა დაღესტნის სამხედრო ხელისუფალი. მონაწილეობა 1853 წელს ყირიმის იმში. 1877 წელს ჩაქრი ავანგები დალესტრანში. ვ. პოტთ-ს დახასიათებით, იგი იყო კვეიანი და რუსის ნებისყოფის აღმინისტრატორი („Кавказ“, 1897, № 66).

31. ა ლ ე ქ ს ა ნ ღ რ ე 1 1 1 — რუსეთის იმპერატორი (1845—1894 წწ.).

32. ლ ა ზ ი ბ უ ჰ ა მ მ ა დ ი, იგივე ყაზი-მოლა, დალესტრის პირველი იმამი. მოკლეს სულ გიმრთან ბრძოლაში 1832 წელს (История Дагестана, т. II, გვ. 88—90).

33. ჰ ა მ ზ ა თ ბ ე გ ი — დალესტრის მეორე იმამი 1832—1834 წწ-ში. მოკლეს 1834 წილს. (იქვე).

34. მ უ რ ი ღ დ ი (مرید) — მიმდვერი, მოწაფე, სუფის მოწაფე. მურიღები გაერთიანებული იყვნენ რელიგიურ-პოლიტიკურ მოძრაობაში, რომელსაც მურიღისმი ჰქვად და რომლის მთვარი მიზანი იყო „ურამშენოთა“ წინააღმდეგ ბრძოლა (იხ. Н. А. Смирнов. Миориализм на Кавказе. М., 1963).

35. შ ა რ ი ი თ ი (الشيعة) — მუსლიმური სამართლის რელიგიურ და იურიდიკულ მუდმივად დაფენილ ნორმთა ერთბლიობა (История Дагестана, т. II, 1968, გვ. 86; გრ. ორ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, ტ. I, გვ. 279).

39. „კ ი კ ა ღ ი“ იგივე ლ ა ზ ვ ა თ ი — „სალეთო“ ომი „ურამშენოთა“ (ქრისტიანთა) წინააღმდეგ.

37. ო მ ა რ ი ბ ა ლ ა ლ ა რ ა ბ ი — შეორე „მართლმოწმუნე“ ხალიფა (634—644 წწ.) (იხ. Е. А. Беляев. Арабы, ислам и арабский халифат в раннее средневековье. Москва, 1966, стр. 144—145). „ა ლ -ურაუე“ — ის, ვინც კარგად აჩერეს კეთილსა და ბოროტი — წესაბლობა შეერლის მიზრ მიმატებული ეპითეტი იყოს მომარისა.

38. ბ ა ლ ხ ი — ქალაქი ხორავანის პროვინციაში, ამჟ-დარის ზემო წელის მახლობლად.

39. ბ უ ს ა რ ა — შეა აზის უძველესი ქალაქი, მდ. ზერავისის ველზე.

40. ს ა მ ა რ ყ ა ნ დ ი — შეა აზის უძველესი ქალაქი, თემორლენგის (1336—1405 წწ.) მმერისის დედაქალაქი.

41. ფ ა რ ი ს ი — სპარსეთი.

42. რ უ მ ი — ბიზანტიის გადამდებარები.

43. ა ლ -კ ა მ ზ ა თ — იბნ აბდ ალ-მუტტალიბი — მუქამდალის ერთ-ერთი ბიბი (Hitti, History of the Arabs, London, 1946, p. 189).

44. ა ლ -ა ბ ა ს ი — მუქამდალის ბიბი. „ძენი ალ-აბბასისა“ — იგულისხმებაინ აბასიდები, ალ-აბბასის შთამოვლები.



45. ხაიდაკი — იგვე ყაითალი, მხარე სამხრეთ დაღესტანში.

46. რაბასარანი — მხარე სამხრეთ დაღესტანში. გასული საუკუნის 50-იან წლებში ეს მხარე მურიდების თავშესაჭარი იყო (იხ. გრ. ობდლიანი, წერილები, ტ. I, გვ. 287).

47. ჟაბალი — უმაღლესი ფორდალი დაღესტანში. ამავე რანგისა იყვნენ მისუმი და უცვი (История Дагестана, стр. 108).

48. ნაიბი (نایب) — უმცილესი, ნაცვალი, მოდილი.

49. აბუ მუსლიმი — არაბი მხედარმთავარი, თელიან ისლამის გამარცელებლად დაღესტანში (История Дагестана, стр. 158).

50. აკარისტანი, — იგვე აკარი — ურდალური სამულობელო ცენტრალურ დაღესტანში; ცხოვრობენ ძირითადი ხუნძები.

51. ხუნჯანი — ავარის მთავარი აული. გადმოემის თანამად აქ არის აბუ მუსლიმის აკარისტანი აღწერილი იქნა ე. ი. კოზუბსკის, იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 183.

52. ნადირ ჟაპი — ცინბილი იმპერიი დამყრობა. 1741 წელს შეიჭრა დაღესტანში. განცემის ქედა დაღესტანიდან საბოლოოდ 1745 წელს (История Дагестана, стр. 362—372).

53. ტურკი — მთა (თურქიდან) — მდებარეობს ეულ სალტის სამხრეთით. მთი, როგორც შეტანილი სამეცნიერო წარმოადგენდა აზია-ლუმენის ყოისუს საზის დასუავად. ხელაშერელი ბუნებრივი პირობების გამო იგი მუდმივი საფგომი იყო იმ ჯარებისათვის, რომელიც ცენტრალურ დაღესტანს იცავდნენ (Е. Вейденбаум. Путеводитель по Кавказу. Тифл., 1888, стр. 352; Кавказский сб., т. VI, стр. 683—684).

54. მურთაზ ალი ბეგი — ძე აზია-ლუმენელი სურხანი-ხნინია. ნადირშაპის მიერ ლაზი-ლუმენელის დაპყრობის შემცვევა სურხანი-ხნინი დამორჩილდა ჰაპს, რისთვისაც ჰაპსა მას ხალათი უბოძა. მაგრამ შეტანის ალი ბეგი წინალუდა მაპს და მთიელებთ ერთად ვანგრძლდა პრიმოლას ირანული წინალუდი (История Дагестана, стр. 363, 367).

55. ყიბლა (قبلة) — მხარე, სითკენაც მიმართული არიან მუსლიმანები ლოცვის დროს.

56. ქაშკოლ (الشکول) — ვაზითის სახელწოდება. გამოდიოდა თბილისში გასული საუკუნის 80-იან წლებში აზირბაიჯანულ ენაზე — 1. მითხვერი; 2. დიდი ჯამი, რომელიც გამოთლილი იყო ქაქისის ხელფისავან ან გოგრისავ და რომელსაც ატარებდნენ მათხოვები, უფრო დიდები. იხ. Л. В. Будагов. Сравнительный словарь турецко-татарских наречий. Т. II. Гв. 129). მისი რედაქტორი იყო ჯელა-უფენი უნი-ზაფ, რომელსაც თბილისში სკულპტურული პერსიანული სტილის ქრისტიანული მონუმენტი (Словарь кавказских деятелей. Тифл., 1890, стр. 34).

57. المهدى — მაჰმდ (— მაჰმდი — სწორი გზით შეუკანილი). აქ ლაპარაკია მადი სუდანელს, რომელიც ხელმძღვანელობდა სახალხო აჯანყებას 1881 წელს სუდანის არაბეთში. აჯანყება მიმართული იყო ინგლისელ კოლონიზაციონთა წინააღმდევე. მისი ნამდვილი სახელია მუჰამედ ალ-აჰმედ (БСЭ, III изд., т. IV, стр. 523).

Н. Г. КАНЧАВЕЛИ

«ПАДЕНИЕ ДАГЕСТАНА И ЧЕЧНИ ВСЛЕДСТВИЕ ПОДСТРЕКАТЕЛЬСТВА ОСМАНОВ В 1294 Г.»

(Резюме)

Сочинение Абд ар-Рахмана Казикумухского «Падение Дагестана и Чечни вследствие подстрекательства османов в 1294 г.» представляет собой небольшой нарративный первоисточник, мало известный в дагестанской арабской литературе. В памятнике даны сведения, сообщаемые очевидцем о восстании горцев в 1877 году.

Написанное приподнято-напыщенным стилем, с многочисленными отступлениями, произведение Абд ар-Рахмана является типичным образцом арабской литературы.

В настоящей статье публикуется текст сочинения с грузинским переводом, исследованием и комментариями.

ელექტრონური გადახდების მიზანი

თოვა არარუნისა და ანონიმი ისტორიკოსებს ცნობაზე
საქართველოს შესახებ

IX საუკუნისათვის სომხეთის ტერიტორია, ისევე ჩოგორუც საქართველოსი, წვრილ ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად იყო დაყოფილი, რომლებიც მუდმივ წინააღმდეგობაში იმყოფებოდნენ ბაგრატუნიანთა დინასტიის წარმომადგენლებთან.

აღნიშვნულ პერიოდში პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ წრეებს, რომელთა მიზანი ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა იყო, უპირისიპირდებოდნენ ცალკეული მთავრები და გამგებელები. ისინი აშერა წინააღმდეგი იყვნენ მათვების არასასურველი და შემბოჭველი ერთიანი ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოქცევისა. განსაკუთრებით შევაცვედ იგრძნობოდა არაეთოლგანწყობილება შირაკის ბაგრატუნიანთა მიმართ სომხეთის ორი ძლიერი სამთავროსი — ვასპურაკანისა და სიენიეთისა, რომლებიც თავიანთი შესაძლებლობებით არც დიდად ჩამოსუბორდნენ ბაგრატუნიანთა ხელისუფლებს. მათი გამგებლების მთელი ყურადღება საკუთარი მიწა-წყლის გაფართოებისა და ხელისუფლების განმტკიცებისაეკნ იყო მიმართული. ისინი არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ სახელმწიფოს ერთიანი ინტერესებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებოდნენ ურჩი მთავრების სეპარატისტულ მისწრაფებებს. საშინაო კითარებაში ასეთ ცვლილებებს, კერძოდ, ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდევე ფეოდალური გაერთიანებების წარმოქმნას და მათ აეტიორ ბრძოლას დამოუკიდებელი უფლებების მოსამართობლად ხელი შეწყო საგარეო ფართორმაც — არაბთა ბატონობის შესუსტებამ საერთოდ ამიერკავკაშიაში და მათი გავლენისა და ძლიერების თანდათანობით აღვევთამ. სომხეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა პოლიტიკურმა წრეებმა ისარგებლეს სახალიფოს დასუსტებით და შეძლეს შეფობის აღდგენისათვისაც კი მიეღწიათ. 885 წელს სომებთა ქვეყანას ბაგრატუნიანთა დინასტია ჩაუდგა სათავეში. IX—X საუკუნეების სომხეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ვითარებამ თავისებური ასახვა ჰპოვა სომხურ საისტორიო მშერლობაში, რომელიც აღნიშვნული პერიოდისათვის ორი ძირითადი მიმართულებით განვითარდა: ისტორიკოსთა ერთმა ჯვეულმა ცალკეულ სამეფო-სამთავროთა ისტორიის აღწერას მიმყო ხელი, ხოლო ნაწილმა შირაკის ანუ ანისის ბაგრატუნიანთა სამეფოს ისტორიის გადმოცემა დაისახა მიზნად¹. ფეოდალური სამეფო სამთავროთა ისტორიკოსების რიცხვს განვითარება IX—X საუკუნეების სიენიეთისა თომა

¹ Մանուկյան Արեգակաց, Երևան, Հայտով Գ, Երեվան 1968, էջ. 494—498.

არწირუნი, რომელმაც დაწერა ვასპურაკინის, ანუ არწირუნთა სამეფოს დაშტარი რილებითი ისტორია.

თომა არწირუნის „არწირუნთა სახლის ისტორიის“ შექმნის აუცილებლობა გარკვეულმა ისტორიულმა პირობებმა წარმოშვა. მისი წარმოქმნა შეიძლება ჩაითვალოს იდეოლოგიურ გამოხატულებად იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებისა, რომელსაც აღიღილი ჰქონდა სომხეთში IX—X საუკუნეებში.

როგორც საისტორიო წყაროებიდანაა ცნობილი, არწირუნთა ფეოდალური საგვარეულოს სამფლობელოს წარმოადგენდა ჭერ სამთავროდ აღიარებული (IX საუკ.—ის II ნახევარში), შემდეგ კი — სამეფოდ ქცეული (X საუკუნის დამდეგს) ვასპურაკინი, ძველი ქართული წყაროების მიხედვით გვასპურაკინი. მან ვანაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია გრიგოლ დერენიკისა და ძის შეილს გაგიდას მთავრობის დროს.

როგორც თომა არწირუნის თხზულების შესავლიდანვე ირკვევა, გრიგოლ მთავრიმა (მოკლეს 886—887 წწ.) უბრავნა თომას დაეწერა არწირუნთა საგვარეულოს ისტორიის ამსახველი თხზულება დასაბამიდან მის დრომდე². იმავე „არწირუნთა სახლის ისტორიის“ VI თავში იგტორი მიუთითებს, რომ თავის თხზულებას წერს „სომხეთა სარდლისა და ვასპურაკინის მთავრის ვაგიის ბრძანებით“³. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, იყო მეორე ვაჟი გრიგოლ დერენიკისა.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე მანუკ აბელინი ვარაუდობს, რომ თომა არწირუნიმ დაიწყო თავისი თხზულების წერა თავდაპირიველად გრიგოლ დერენიკის ბრძანებით, შემდეგ განაგრძო მისი ვაჟის ვაგიის დავალებით. „არწირუნთა სახლის ისტორიის“ წერა სხვა ისტორიკოსს უნდა დაესრულებინა არა უადრეს 930—31 წლისა, ვინაიდან თხზულებაში მისი თნამედროვე ისტორიკოსი, იოანე დრასხანავერტელი, რომელიც 930-31 წწ. გარდაიცვალა. უკვე „ნეტარად“ არის მოხსენებული⁴.

თომა არწირუნის ჩვენამდე მოლწეული თხზულება 3 ნაწილისაგან შედგება, ხოლო მასალის მიხედვით იგი ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ძველი ისტორია, დამიდან 850 წლამდე და ახალი ისტორია, ე. ი. ავტორის თანადროული ხანა, 850 წლიდან მის დრომდე.

„არწირუნთა სახლის ისტორიაში“ თავბოლო ნაკლული ხელნაწერის სახით მოაღწია გამომცემლებამდე, მაგრამ არა დედანმა, არამედ ვინმე დანიელ ბერის ძიებ 1303—1304 წელს XII საუკუნეში განახლებული ნუსხიდან გადმონაწერმა. აღნიშნული დანაკლისის შევსება ვერც იმ ორი ნუსხით მოხერხდა, რომელებიც ამ თხზულების პირველ გამოცემასთან (კონსტანტინოპოლის 1852 წ. გამოცემა) ერთად გამოიყენა ამ ძეგლის მეორედ გამომცემელმა ქ. პატეანიანმა (პეტერბურგის 1887 წ. გამოცემა); პირველთან შედარებით მეორე გამოცემა კრიტიკულად უფრო დაგენილ ტექსტს გვაწვდის. მეორე გამოცემისათვის ამ ნუსხათა გარდა გამოყენებულია აგრეთვე ზემოთ აღნიშნული დანიელის ნუსხის გადმონაწერიც. მესამედ თომა არწირუნის თხზულება თბი-

² მოქმედების ქადაგის და მის გამოცემის თარიღი 1887 წელი არის დანართული, უ. ქსოვებელი, 1887, გვ. 3—4.

³ მოქმედების ქადაგის და მის გამოცემის თარიღი 1887 წელი არის დანართული, უ. ქსოვებელი, 1887, გვ. 45, 76.

⁴ თანამდებობა არის მოხსენებული.

თომა არწიუნის თხზულებაში თავიდანვე მკვლევართა ყურადღება მი-
ციკორო შემდეგია გარემოებამ: გარკვეული აქცების თხრობა (ქ. პატკანიანის
გამოცემის 225—259 გვ.) განმეორებულია იქვე სულ რამდენიმე გვერდის
შემდეგ (გვ. 262—282) საერთოდ მოკლედ. მაგრამ ზოგჯერ ისეთი დაწერი-
ლებით, რომ პირველისაგან სხვაობს. ეს მოკლენა პირველიდ სომეხმა მკვლე-
ვარმა ღუჯას ინკიტიანმა შენიშნა, რომლის აზრითაც, თომამ თავისი თხზუ-
ლების დასრულების რამდენიმე წლის შემდეგ ხელმეორედ მიპყო ხელი
გრიგოლ — დერენიკისა და შიის შვილების თავადასაცლის აღწერასთ. ამრი-
გად, ლ. ინკიტიანმა თომა არწიუნის ნაშრომის ბოლო ნაშილი (ქ. პატკანიანის
გამოცემით 262—305 გვ.) ამ თხზულების მეორე ნაწილად გამოაცხადა. იგი
თომა არწიუნის კალამს მიაწერს „არწიუნთა სახლის ისტორიის“ მთელ
ტექსტს, ოლონდ სხვადასხვა დროის ქმნილებად იღიარებს მას. ასეთივე
აზრის იყანენ ამ ისტორიის გამომცემლებიც.

ხოლო რაც შეენება აღტორის, მისი ვინაობა უცნობია. მას პირობითად „უსახელო არწრუნი“ შეიძლება ეწოდოს და მისი ნაშრომის ხასიათის მიხედვით ვასპურაკანელი, ვარდამეტად იქნეს მიჩნეული. ამასაც, თომა არწრუნის მსგავსად, თავისი ისტორია რომელიც არწრუნი მთავრის შეკვეთით აქცი დაწერილი. ეს აზრი, მ. ბროსეს შეხედულების გაუცნობლად ნორაირ ბიუზანდაცის ჭერ კიდევ 1887 წელს დაპარადებია და გამოუტვამს კიდევ შენიშვნის სახით ერთ-ერთ თავის ნაშრომში (*წნაასტერ.* II. უასტრუმ 1887, 33—63—64). მისი სრული დასაბუთება კი ბიუზანდაცის გამოვეყუნებული აქცი მონოგრაფიაში: «*ენასაკან თასის მასამასიტამიქისტონდ* ჩამ ნაწინება რწავრა მ. მიუმა საბრონი ე საანონ საბრონი ალ ა ალ ათამატიტონ ჩა». (*წადმასტეფ.* 1905. გვ. 227 — 233. 264 — 271. 328 — 337. 398 — 407). და მართლაც ამ ორივე ავტორის — თომა არწრუნისა და ანონიმის — ნაშრომთა ერთმანეთთან საფუძვლიანი შედარების შედეგად პჟარად შეიმჩნევა მკვეთრი სხვაობა წერის განერასა და სტილში. ბიუზედავად უკველვე ზემოთ აღნიშნულისა, რატომდაც, ამ ორი ავტორის ნაშრომები ერთი ავტორის, სახელდობრ, თომა არწრუნის თხზულებად იყო ძევლად მიჩნეული და სამი-ვაჟირ შემდეგი სათაურით იყო გამოვეყუნებული: «*მ. მიუმა ალ ათამატიტონ*

⁵ Պ. Անդրեասյանը, Ստորագրութիւն նից Հոյաստանեաց. Վենետիկ..., 83. 146—153.

⁶ M. Brosset. Collection d'historiens arméniens, t. I. introduction. 28. XVI—XVII.
SPB. 1874.

თომა არწიუნი მის წინამორბედს სხვა სომებს ისტორიკოსთა მსგავსად, წარლენიდან იწყებს თხრობას და ასათანადოროული ხანის შესახებ ცნობებს სწორედ მათ ნაშრომთაგან კრებს. მაგრამ, სამწუხაძოდ, გამოყენებულ წყაროთაგან ყველა როდი აქვს დამოწმებული. თომა არწიუნის თხზულების წყაროების კვლევას ხშირად ის გარემონტაც ართულებს, რომ მისი თხზულების ზოგიერთ აღგილს სუსტად ატყვავი წყაროს კვალი. თომა არწიუნის „არწიუნთა სახლის ისტორიის“ წყაროთაგან უმრავლესობა მწიგნობრულია, მაგრამ მას ხალხური ზეპირისიტყვაობაც უნდა ჰქონდეს ვამოყენებული. იგი, როგორც სასულიერო პირი, კარგად იცნობდა საღვთისმეტყველო ლიტერატურას და იყინებდა კიდევ თავის თხზულებაში.

როგორც ირკვევა, თავის თხზულებაში წინარე ხანის ისტორიის გამდონა-
ცემად, ყველაზე ფართოდ და ხშირად თომა არწრუნი მოსე ხორენელისა და
ელიშეს ნაშრომებს იყენებდა. აშკარად იგრძნობა, რომ მას ბევრი გამონავონი
და სინამდვილისგან საქმიანდ დაშორებული მასალა ჩაურთავს თავისი თხზუ-
ლების წინა ნაწილში, რაც ამცირებს, „არწრუნთა სახლის ისტორიის“ ამ ნაწი-
ლის ღირებულებას და მნიშვნელობას. ისიც შესამჩნევია, რომ არწრუნთა
გვარის განადიდებისათვის მას ცოტა გადაჭარბებული ქება-დიდებით აქვს
გამოცემული მათი ოდრინდელი ისტორია, ხოლო მისი აკეთი მოქმედება,
როგორც თვითონვე წერს, გაპირობებულია დამკვეთის — გაგიკ არწრუნის —
სურვილითა და მოთხოვნით, რაც შეიძლება დაწვრილებით ისახოს არწრუნთა
სავარეულოს წარმომადგენელთა მონაწილეობა სომხეთის ისტორიულ ფაქ-
ტებსა თუ მოკლებში.

მოსე ხორცენელისა და ელიშეს გარდა, ოოგორც ჩანს, მას გამოუყენებია აბრამი აღმასარებლის, მამბრე და თეოდორე ქერძოლთა შრომები. თომა არ-ჭრუნი ცუცხო წყაროებსაც ასახელებს: ევსევი კესარიელს, ფილონ ალექსანდრიელს, ეპიფანეს, ჰეროდოტესა და სხვ. იგი თანამედროვე და ხშირად თვით შეიღველი თავისი ნაშრომის II ნაწილში აღწერილი ამბებისა, რის გამოც მისი თხზულება სანდო წყაროს წარმოადგენს IX—X საუკუნეების ოოგორც სომხეთის, ასევე მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიისათვის.

ზოგვერ თომა არწიუნის თხელებაში დაცული ცნობების სანდოობის შემოწმება ხერხდება სხვა წყაროთა (ქართული, არაბული) მონაცემების საფუძველზე. ამასთან ერთად, არწიუნის ნაშრომში აშერად შეინიშნება შემდეგი გრძელობება: ისტორიები ხშირად გვერდს უხვევს ისეთი ფაქტების აღწერას, რომელიც რაიმეთი ჩრდილო აყენებს არწიუნთა საგვარეულოს წარმომადგენლებს. მი დროს, როდესაც თომა არწიუნის თანამედროვე, ბაგრატუნიანთა საგვარეულოს ისტორიები, იოანე დრასხანავერტელი, ერთიანი ცენტრალური ხელისუფლების დამცველ და ყოველგვარი პატრიციულაზული მისაწარმოებების მოწინააღმდეგ პიროვნებად გვევლინება, თომა არწიუნის მოელი გულისყური არწიუნთა, ანუ გასპურაკანის სამეფოს გამგებელთა განდილი გულისყური არწიუნთა, საქართველოს და მათი საქართველოს ხშირად გაზიადებული ფორმით წარმოდგენისაკენ არის მიმართული. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულის, თომა არწიუნის „არწიუნთა სახლის ისტორია“ მაინც შეტად საყურადღებო საიტორით წყაროა.



ეროვნული
ბიბლიოთი

ასევე ინტერესს მოკლებული არ არის არწრუნთა საგვარეულოს შეცვალებული ინტერიერის თომას თანამედროვეს ნაშრომიც, რომელიც პირობითად, ანონიმი ისტორიერისად იწოდება. მისი თხზულებაც ნაკლულია. როგორც ირკვევა, თომა არწრუნისა და ანონიმი ისტორიერის ნაწარმოებები ერთ ხელნავა, თომა არწრუნისა და ანონიმი ისტორიერის შემდეგ, მისი შესაბამისი შედევები ნაკლული დარჩა თხზულება. ვფიქრობთ, ორივე ამონევესი შედევები, ნაკლული დარჩა თხზულება. ვყიდვით, ორივე ნაშრომის ყურადღებით წაკითხვაც კი დაარწმუნებს მკითხველს, რომ ისინი ორი სხვადასხვა ავტორის შემოქმედებაა. თომა არწრუნისთვის შედარებით მისი ორი სხვადასხვა ავტორის შემოქმედებაა. თომა არწრუნისთვის შედარებით მისი ორი სხვადასხვა ავტორის შემოქმედებაა. ანონიმი ავტორიც საქაოდ სტილი უფრო მსუბუქი, ნათელი და გასავგბია. ანონიმი ავტორიც საქაოდ განსწოვლული და მცოდნე პიროვნება ჩამოს. მის მიერ მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე (X საუკ.) ისტორიაა აღწერილი. იგი განაგრძობს თომა არწრუნის მიერ 910 წელზე შექმნებილ ისტორიას და მოჰყავს 938 წლამდე. ანონიმი ავტორი ახლო წარმომადებლადაგან ითანე დრასხანაცერტების ისტორიით სარგებლობს, რის შესახებაც თვითონვე წერს. ფაქტების შემოწმებას არც ის გაუჩინს, მაგრამ, როგორც მკვლევარი ნორაირ ბიუზანდაცი შენიშვნას იგი თომასთან შედარებით უფრო „მოყვარულია მრავალმეტყველებისა და სიჭარბისა, და არც იმზომად წრფელი და მართლგამსჯელია“ («ესტრუ ძნელი სიჭარბისა, და არც ამზომად წრფელი და მართლგამსჯელია»).

როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ, ცნობილი არ არის დამკვეთი ანონიმი ისტორიერისის ნაშრომისა; უფრო კი სავარაუდებელია ასეთად გაგიყ არწრუნის მიჩნევა, რომელიც ვერ დაემაყოფილდა თომა არწრუნის ნაშრომით და მეორე ისტორიერის დაავალა თავისი დროის ისტორიის დაწერა. ამ ახალ თხზულებაში უნდა სახელიყო მისი მამის, თვით გაგიყისა და მისი ძმების ისტორია. აღნიშნული ნაშრომის პირველ ნაწილს ბოლოში ჟეთი შენიშვნა აქვს დაცული: „დასრულდა სახელივანი და მამაცი მთავრის გრიგოლის 3 ვაჟიშვილის შთამომავალთა რიგი“⁷. გაგრძელება კი, მეორე ნაწილი, მხოლოდ და მხოლოდ გაგიყ მეფის ისტორიას ეხება. საფიქრებელია, ავტორი სწორედ მას (ე. ი. გაგიყ მეფეს) მიმართავს, როდესაც წერს: „ო, საოცნებო გმირო და მხენა წინაპართა შთამომავალო, შენ, რომელმაც მოითხოვე ჩემგან ეს ისტორია; მე ვწერ მას არა სხვათაგან აღებული ცნობებით, (რაღაც იგავებით, ცრუ სიტყვებით შემკულით) არასედ მხოლოდ და მხოლოდ იმს, რაც თვით ვიხილე, ვისმინე და საკუთარი ხელით შევეხე. იმ რას მოგითხობ შენ სარწლე, განსაციფრებლად“⁸.

ანონიმი ისტორიერისი ყოველფის ქება-დიდებით მოიხსენიებს მეფე გაგიყის საქმიანობას და ატრატაკანის ოსტრიერის იუსუფის მიერ სომხეთის გურაშევრის მიზეზად ბაგრატუნიანთა მეფეს სუმბატის ახასწორ პოლიტიკას მიიჩნევს. იგი განსაკუთრებული აღფრთვოვანებით აღწერს იუსუფ ისტიკას მიერ გაგიყის სომხეთის მეფედ (უფრო ზუსტად სუმბატის საპირისპირო მეორე მეფედ) კურთხევის ფაქტს. ანონიმი ისტორიერის არ ესმოდა, ანდა არ უნდოდა შეეგნო, რომ ასეთი აქტით სუსტდებოდა სომხეთის ცენტრალიზებული ხელისუფლება და იქმნებოდა სახელმწიფოს დალუპვის საშიშროება. ზემოთ აღნიშნული და თხზულებაში აღწერილი კიდევ სხვა ანალოგიური მაგალითებით მტკიცდება, რომ ანონიმი ისტორიერისი ისეთივე პარტიულა-

⁷ მოქმედება სამართლის სამსახურის მიერ ვარდის გვ. 268.

⁸ მოქმედება სამართლის სამსახურის მიერ ვარდის გვ. 269.

რსული მისწრაფებებითა ალექსანდროლი, როგორც არწრუნთა სამეფოს მფლობელი მთავრები. მასთან გაგიკ მეცე სხვაგარად არ იწოდება, თუ არა „ბრძენი და გონიერი საქმისანი“, „დიდი და სახელგანთქმული მთავარი სომხეთისა“, „შეუდრეველი, აღმშენებელი ქვეყნისა, შევიღობის მოყვარუ, შეზრუნველი, ღარებული და დიჩაგრულთა მფარველი, ქვრივ-ობოლთა ინტერესების დამცველი“ და სხვ. განსაკუთრებით დაწვრილებით და საინტერესოდ აღწერს ანონიმი არწრუნი გაგიკ არწრუნის სააღმშენებლო სემინარის სომხეთში. როგორც ცნობილია, გაგიკ არწრუნის მეფობის შე-2 პერიოდი ემთხვევა სომხეთში დიდი კულტურული აღმშენებლობის ხანის დასაწყისს, რომელშიც არანაკლები როლი ითამაშა ვასპურაკანმა. მა მნიშვნელოვანი ფეტიობრივი მმალის გადმოცემით გართულ ისტორიოსს, სამწუხაროდ, თარიღების მითითება დავიწყებია, ან აღარ მიუჩინებია საჭიროდ.

ରୁଗ୍ରାନ୍ତରୁ ଶେମିଟ ଉପରେ ଅଲ୍ବନିଶ୍ଚର୍କେ, ତମିଥା ଏହିରୁଣ୍ଡିଲା ଦା ଅନନ୍ତିମିଥି ଏହିରୁଣ୍ଡିଲା ନାଶିରୁଣ୍ଡିଲା ପାଇଁ ଗାରିଦା ଗାପିଲୁରାଯାନିଲା ଦା ସମ୍ଭେତିଲା ଇତ୍ତମରିଲା, ସାନ୍ତିରୁଣ୍ଡିଲା ମାଲାଲାଲା ଧାରୁଣ୍ଡିଲା କ୍ଷେତ୍ରରୁଣ୍ଡିଲା, ସାନ୍ତିରୁଣ୍ଡିଲା, ସାନ୍ତିରୁଣ୍ଡିଲା ଶେଶାକ୍ରେଦାପୁ. ତମିଥା ଏହିରୁଣ୍ଡିଲା „ଏହିରୁଣ୍ଡିଲା ସାକ୍ଷଳିଲା ଇତ୍ତମରିଲା“-ଶି ଶାଖାର ପ୍ରକଳ୍ପିତ ମିଳିମୁଦ୍ରାବାର ରୁଗ୍ରାନ୍ତରୁ ଫ୍ରେଲ୍‌ମାରି ଧରିଲାଦା, ରାତ୍ରି ଛିନାନ୍ତରୁଣ୍ଡିଲା ଇତ୍ତମରିଯୁଗିମିତାଗାନ୍ତ ହାନି ନାଶେକ୍ଷେତ୍ରି, ଆସିଲେ ମିଳି ତାନାଧରୁଣ୍ଡିଲା କାନିଲା ଶେଶାକ୍ରେଦାପୁ. କେଲାନ ଅନନ୍ତିମିଥି ଇତ୍ତମରିଯୁଗିମିଲା ପ୍ରକଳ୍ପିତ ମିଳିମୁଦ୍ରାବାର ମିଳିଲାଦିନିଲା ସାନ୍ତିରୁଣ୍ଡିଲା ଶେଶାକ୍ରେଦାପୁ. ସାଗୁଣ୍ଯିଲିଲାମର ନରିଜୀବିତାକୁ ଉପରେ ମାତି ତାନାଧରୁଣ୍ଡିଲା କାନିଲା ଅମିଶାକ୍ରେଲା ମାଲାଲେବାର, ଗାନ୍ଧିଶାକ୍ରୁତର୍କେତିପିଠା କି ଏହାବତା ଲାଶ୍ଵରିନା ଅମିରିକ୍‌ପ୍ରାଯାନିଲା କ୍ଷେତ୍ରରୁଣ୍ଡିଲା ଦା ମାତି ତାନାଧରୁଣ୍ଡିଲା ଶାଲକ୍ଷେତ୍ରି ମିଠାରିତ.

თომა არწირუნისა და ანონიმი არწირუნისათვის საქართველოს შესახებ ცნობების გადმოცემა ძირითად მიზანს არ ჟეადგენს, მაგრამ მათ, როგორც თვითმხილველთ და თავიანთ თხზულებებში აღწერილი ამბების თანამედროვეებს, ქართველების ცხოვრებაც არ დაუტოვებიათ ყურადღების გარეშე და სომხეთისა და ვასტურაკანის თავგადასავლის პარალელურად, მათთან უშუალო კავშირში საქართველოს შესახებაც გარკვეული მასალები შემოუნახავთ. მათი ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ განსაკუთრებით იმით არის საყურადღებო, რომ, ჯერ ერთი, ხშირად დამატებით მასალის გვერდებიც საქართველოს ისტორიის ზოგიერთი სფეროში გასარკვევად, ხოლო ზოგჯერ სრულიად ახალ მასალას გვაწვდიან, რომლებსაც ვერ ვხვდებით ქართულ წერილობით წყაროებში.

თომა არწირუნისა და ანონიმი არწირუნის თხზულებებში საქართველოს შესახებ დაცული მასალა ძირითადად პოლიტიკურ ისტორიასა და საქართველოში არაბთა სარწმუნოებრივ პოლიტიკას შეეხება.

როგორც სხვა ისტორიულ წყაროებიდანც პრის ცნობილი, ქართველები არაერთხელ ყოფილან მონაწილენი დამხმარე ძალად სომებთა ჯაში საერთო მტრისა, თუ საკუთრივ სომებთა მოწინააღმდეგებთან ბრძოლში. ამის დამადასტურებელი მასალა თომა აჩწრუნის ნაშრომშიც მოიპოვება. ცნობა ეხება მიზიდულთა მეფის აუდაპაკის სომებთა მეფის ტიგრან დიდის წინააღმდეგ გამოლაშექრებას. „ტიგრან დიდმა, — წერს ისტორიკოსი, — შეიტყო აუდაპაკის ურყყეობა და შეკრიბა სხვადასხვა ერის მამაცურად მებრძოლ კაცთა რჩეული მხედართმთავრები — კაპადოკიელთა, ქართლისა და ალბანეთის ძალები და აირარატის მხეცების მებრძოლი უზომით ოშექართა ყველა გუნდითა და სენეკერიმის შვილებითურთ, ყოვლად შემცული მზადებითა და უსაზღვრო სიმ-



რავლით, რომ აჩქარებულიყვნენ და არ დაეყოვნებინათ აედაპეკის მომარტინული მიზანისა და მიზანის საფუძვლის, რათა პაიკაზებზე უფრო გულადი არ გამოჩენილიყო მარი». როგორც ირკვევა, ზემოთ მოტანილი ცნობა თომა არწრუნის პირად ფანტაზიაზე კი არ არის აგებული, არამედ რაღაც მწიგნობრულ წყაროს ან წყაროებს ეყრდნობა, რაზედაც მიუთითებს ისტორიულსს შემდეგი შენიშვნა: „ა დ რ ე უ ლ ი ხ ა ნ ი ს ი ს ტ ი რ ი კ ი ს თ ა გ ა დ მ ი ლ ი ც ე მ ი მ ი თ მ ა ნ შ ე ნ ი შ ე ნ ა რ ი ...“ ამ ისტორიულსთა ვინაობის გარკვევა კერძერობით არ ხერხდება. შესაძლებელია ესენი არიან სწორედ ის ისტორიულსბი, რომლებსაც თომა არწრუნი ისენებუს (აბრამ აღმსარებელი, მამხრუ და ოოდორე ქერძოლები). ანალიგური ცნობა ქართულ წყაროებში არ დასტურდება და სწორედ ამიტომ იგი განსაკუთრებით საყურადღებოა. ასევე ინტერესს მოიქმებული არ არის ერთი ეპიზოდი VI საუკუნის საქართველოს ცხოვრებიდან. თომა არწრუნისათვათ დაცული ცნობის თანხმად, სპარსთა მეფე ხოსრო (590—627 წწ.) შემწედ ჯარს სთხოეს ბიზანტიის კეიისას მავრიკეს (582—602) მტრების დასათვაზნავად, სანაცვლოდ კი პირდება შემდეგს: „მოგცე შენ ასურეთის მხარეები და მთელი არევასტანი. მწუნის ქალაქამდის და სომხეთის ქვეყნიდან სატანუტერო მთავრობის ქვეყანა აირარატამდის, ქალაქ დვინითა და ბზნუნთა ზღვის კიდეს დაბა არქსტამდის და დიდი ნაწილი ქართლის ქვეყნისა ქალაქ ტფილისამდის. ვიცყრათ ალქემა მშევიდობისა ჩვენსა და ჩვენს შეილთა შორის ჩვენი გამეცების შემდგომ“. იმავე ისტორიულსის მითითებით მავრიკე კეიისარს გაუგზვნია ხოსროსათვის დამხმარე ჯარი, რომლის შემაგენერობაში იყვნენ ქართველებიც. თითქმის ასეთივე შინაარსის ცნობა დაცულია სებეოსთან. შესაძლებელია თომა არწრუნიმ მისი მასალები გამოიყენა.

როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ, საქართველოს შესახებ თომა არწრუნის ცნობათაგან სანდოა და განსაკუთრებით საყურადღებო მისი თანამედროვე ხანის ამსახველი მასალა. ამ მასალებიდან გამოიკვეთება სამი ძირითადი საკითხი: ბუღა თურქის ლაშქრობა ამიერკავკასიაში, ჭანართა ისტორიიდან და არაპთა საარმენოებრივი პოლიტიკა საქართველოში (კონსტანტინეპოსტანი წამება).

უნდა აღნიშნოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ამ სამი საკითხის შესახვა-ლად თომა არწრუნის თხზულებაში განსაკუთრებით ბევრი სანდო ცნობაა შემონახული, რომლებსაც სხვა წყაროებში ვერ ვხვდებით.

როგორც ცნობილია, გარდა არაბული წყაროებისა, ცნობები ამიერკავკასიაში ბუღა თურქის ლაშქრობის შესახებ ქართულ და სომხურ საისტორიო და ლიტერატურულ ძეგლებშიც გვხვდება.

სომხურ წყაროთაგან ამიერკავკასიაში ბუღა-თურქის ლაშქრობის ამსახველი მასალები, გარდა თომა არწრუნისა, დაცულია იანანე დრასხანაკერტელთან, მოსე კადანკატუელთან, სტეფანოს ტარონელთან, ვარდან აღმიოსავლელთან. მაგრამ თომა არწრუნის ცნობებში ყველაზე გრულადა გადმოცემული საქართველოს თავს დამტყდარი უბედურება. სწორედ ძირითადად თომა არწრუნის ნაშრომში დაცული მასალისა და არაბული წყაროების (იაკუბის, ბალამორის, ტაბარის) ცნობების შესწავლისა და ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზე შესაძლებელია ბუღა თურქის საერთოდ ამიერკავკასიაში ლაშქრობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხის დაზუსტება და გარკვევა⁹.

⁹ ამის შესახებ ი. ე. ცაგარე ი შვილი, „საქართველოში ბუღა თურქის ლაშქრობის საკითხისათვის“, „მაცნე“, 1968, № 4, გვ. 105—114.



საინტერესო ცნობებია აგრეთვე დაცული თომა არწრუნის თხზულებაში და მისი მიმღები მიმღები ქართველი ტომის წანარების ისტორიის უფრო სრულყოფილი ლად შესასწავლად. აქ მათ ცალკე თავი ძევთ დამობილი — „წანართა თვეგა-დასავლის შესახებ“.¹⁰ (*უანარები აჭათამოქანდაკის*). სომხურ საისტორიო წყაროთავან „წანარები“ (*უანარები*) პირველად იხსენიებიან სომხურ ანონიმურ გი-ოგრაფიაში, რომელსაც ანანია შირაკელს მიაწერენ (VII ს.). ცნობა ასეთი შინაარსისაა: „მავე მთასთან ცავასისი მთასთან — ე. ც.)... ბინადრობენ რაჭ-ველები, დვალები... ოსები, წანარები, სადაც მდებარეობს ალანთა კარი და შეორე კარი, რომელიც წელქანა იწოდება იმავე სახელწოდების ტომის [შესაბამისად]. შემდევ არიან თუშები, ხუნძები... ქისტები, შემდევ ცხავატელნი, გუდამატელნი, ღურძეუნი, ღიდოელნი, ლექნი“¹¹. მოტანილი ნაწყვეტილან ირკევა, რომ წანარები სხვა შეზობელი ტომებისაგან გამოიჩინებიან, როგორც თერგისა და არავის ხეობებში გაბატონებული ტომი, რომელიც ფლობს ალანთა (ანუ დარიალის) კარს და აგრეთვე ე. წ. წელქანის კარს (*ყოსი ირ ასთ ბეჭერი*), რომელსაც აქად. ი. ჯავახიშვილი წილკანის კარად კითხულობს¹².

წანარები რომ საქმაოდ გავლენიან და ძლიერ ტომს წარმოადგენდა არა მარტო VII საუკუნეში, არამედ უფრო აღრეულ პერიოდშიც, ამაზე „მოქცე-ვად ქართლისად“-ს შემდევი ცნობაც მიუთითებს: „და ვითარცა მეფობაა და ეს სირულა ქართლსა შინა, სახასინი განძლიერდეს და ერთი და სომხითი დაიპყრეს, ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვესთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვესთვე და ოჩნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დურძუებითისასა და იგი მთიულნი გომარდად დაადგინეს და სხუად ვინმე კაცი დაიღვინეს მთავრად წანარეთისა კევსა და მორჩილებაა დასდგვეს მისია“¹³.

ზემოთ განხილული ცნობები ანონიმური გეოგრაფიისა და „მოქცევად ქარ-თლისად“-ს წანართა გავლენისა და მფლობელობის საქმაოდ დიდ ტერიტორიაზე გაგრცელებაზე მიუთითებს, მაგრამ ასეთი ვითარება ყოველთვის როდი შეინიშნება.

სომხური წყაროების შესწავლისა და მათი ერთმანეთთან შეერების შე-დეგად ირკევა, რომ წანარების ქეყუანა ძირითადად ალანთა (ანუ დარიალის) კარის მიღამოებში ლოკალიზდება. წანართა მიერ წილების, ანუ წელქანის კა-რის მფლობელობის შესახებ სხვა სომხურ წყაროებში (განსაკუთრებით კი თომა არწრუნისთან) არაფერია თქმული. იოანე დრასახანაკერტელთან ისინი ასე არიან მოხსენებულნი: „წანარნა ალნთა კარიდის და მათი მცველი კა-რის სიმაგრე“¹⁴. კავკასიის მთის ძირის მოსახლე ტომად მიიჩნევენ წანარებს აგრეთვე თომა არწრუნი და ვარდან დიდი.

თომა არწრუნის ცნობით, წანარები ცხოვრობენ ჩრდილოეთის მხარეში, „ქვეყანაში, რომელსაც წანაკი ეწოდება. ისინი დამკვიდრებულნი არიან

¹⁰ ს. ხ რ ხ მ კ ა ნ. პაյასონ წოთ „არქარება ავენევ“-ի. ხელქან. 1963, გვ. 102.

¹¹ ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1965, გვ. 43.

¹² „მოქცევად ქართლისად“, იხ. ძევლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძევლები, წიგნი I, თბ., 1963, გვ. 94—95.

¹³ ი. თანე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ე ლ ი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლეულით და სამიებლებით გამოსცა ე. ცაგარებიშვილმა, თბ., 1965, გვ. 64.



მთის სიმაგრეებში, უზრუნველად და მშვიდად გარეშე მტრების [საფრანგულობაში საგნ]. სამეფო ხარკი და გადასახად მათვე რჩებათ, მხოლოდ თავიანთი სურ-გილისამებრ თავის გამგებლად ერთ კაცს აყენებენ. ისინი შეთანხმებითა და ერთსულოვნად ცხოვრობენ ურთიერთ შორის. ტომი ტომთანაა დამკვიდრებული ერთმანეთისაგან მოშორებით. მათ ახლოს არის კავკასიის მთა, სადაც დამკვიდრებული არიან ტომები, რომლებიც ენების მიხედვით განიყოფებიან 72 ტომად და ცხოვრობენ წინამდოლის გარეშე¹⁴.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, არაბულ წყაროებში წანარეთის (სანარიად წოდებულის) ადგილმდებარეობა სწორედ კავკასიის მთის ძირის, დარიალის კარის მიდამოებში აღინიშნება¹⁵. ქართულ წყაროთაგან „მოქცევად ქართლისამ“ წანართა საცხოვრებელ ადგილად წანარეთის კევს ასახელებს, რის გადმონაშოთაც მიაჩინა პროფ. ს. კაკაბაძეს შემდეგდროინდელ წყაროებში მოხსენებული მხოლოდ „კევი“¹⁶.

მართლაც, მოგვიანო ხანის ისტორიულ ძეგლებში მოხსენიებული კევის ადგილმდებარეობას შეესაბამება „მოქცევად ქართლისამ“-ს, „წანარეთის კევი“. მართალიც ცხადიდეს უნიკალური ცნობით „...შევიდეს გზასა ხუარაზმის კევისასა და განვიდეს მთასა შორის ცხავატსა და ცხრაზმის კევთა, რომელ არს ლომისა. და ვითარ ცნა დავით ორგულობა შალვა ქუენიფლეველისა, შედგა ციკარეს, რამეთუ ციკარე მტერთაგან შეუვალ იყო. ჩავლო ხუტლუბულა, და განვიდეს კადას, და გარდვიდეს კევსა“¹⁷. ბერი ეგანარაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება-შიც მოხსენიებული იგრე კევი „რამეთუ მაშინ ის ქალი არშას ციხეში ჰყვანდათ, რომელ არს ციხე კევისა“¹⁸. უფრო ვრცლად და ზუსტად კი ვა-ხუშტი იძლევა „კევის“ ადგილმდებარეობას: „ხოლო გუდამაყრის კევის შესართავს ზეით, დასავლეთ ჩდილოს შუა, არს მთიულეთი... ხოლო მთიულეთის ჩდილოთ არს კევი. გარდავალს გზა კევს, ვადის დასავლეთიდამ, კავკასია ზედა... მდინარესა კევისასა ეწოდების არაგვივე ჩერქეზამდე და მუნ ლომეების — მდინარე ძევლადევ და აშ უწოდებენ თერგსა. გამოსდის ქურთაულისა, ზანისა და მალრინ-დვალეთისა შუათს, აღმოსავლეთიდამ, კავკასიის მკრიდამ, დის აღმოსავლეთად ჩასავალიდე“¹⁹. იმავე ვახუშტის სხვა ცნობაში კი პირდაპირა მითითებული, რომ „კევი“ შეცვლილი სახელია „არამედ კევი — ვკითხულობთ იქ,— რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა, არს დვალეთისავე, გარნა ვინაოვნ მტკიცედ დაიპყრეს მეფეთა ქართლისათა, იგი უწოდეს შეცვლილითა სახელითა კევად, ვინათვან არს კევი შევნერის“²⁰.

ამრიგად, როგორც წყაროთა შესწავლისა და მათი ერთმანეთთან შედარებიდან ირკვევა, სომხური წყაროების მონაცემებს წანართა საცხოვრებელი

14 წინამდებარე ნაშრომი, გვ. 270.

15 მარიამ ლორთქი თუანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გერთანება, თბ., 1963, გვ. 139.

16 С. И. Какабадзе. О племени цанар. „Саисტორიო კრებული“. წიგნ III, ტც., 1928, გვ. 112.

17 ეამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 305.

18 ბერი ეგვატა შევილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 409.

19 ეახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის ჩედაცემით, თბ., 1941, გვ. 65—66.

20 იქვე, გვ. 107.

ადგილის ალანთა, ანუ დარიილის კარის მიღამოებში ლოკალიზების შესახებ წყაროები. მხარს უჭერენ როგორც ქართული, ასევე ოაბული წყაროები.

წანართა შესახებ არაბულ წყაროებში დაცული ცნობები, სომხური წყაროების ცნობებთან შედარებით, უფრო მრავალმხრივი და მრავალრიცხოვნია და მეტ შესაძლებლობასაც იძლევა ამ ხალხის ისტორიის მთელი რიგი საკითხების შესახვავლიდ. ეს ცნობები განხილული აქვთ ჯერ კიდევ დაზარიანს, ივ. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას, მ. ლორთქიფანიძეს. არაბულ წყაროებში მათი თავგადასავლის აღწერისათვის ასე ფართოდ ადგილის დამობა არც არის მოულოდნელი, რადგანაც VIII საუკუნის შეა წლებიდან არაბებს საქართველოს მთიანეთის დამორჩილებისა და დახარკვისას ერთ-ერთ ძლიერ მოწინააღმდეგი ძალად წანარები ხვდებიან. სწორედ ამიტომ არაბთა წინააღმდეგ წანარების ბრძოლის ფაქტებით საქამოდ მდიდარია არაბული წყაროები. სომხურ წყაროებში საქართველო არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი ცნობები არც თუ ისე ცოტაა, მაგრამ არაბთა წინააღმდეგ წანართა ბრძოლის ეპიზოდები მცირეა. მხოლოდ თომა არწრუნი იძლევა უფრო ვრცელ აღწერას წანართა ბრძოლისას არაბებთან, მაგრამ იქვე უნდა შევნიშვნოთ, რომ თომა არწრუნისთან მოხსენიებული წანარები საკუთრივ „წანარებს“ არ უნდა ნიშნავდნენ. ქართული წყაროს „მატიანე ქართლისა“-ს იმავე შინაარსის შემცველი ცნობა წანარების ნაცვლად ასახელებს გარდაბნელებს და ამასთან ერთად მთიულებს. რამდენად შესაძლებელია თომა არწრუნის „წანარების“ ქართველი მემატიანეს „გარდაბნელებთან გაიგივება? ორივე ცნობაში გამოყენებულია საქართველოში ბულა თურქის ლაშქრობის ამბავი. „მატიანე ქართლისა“-ის ცნობით უკუქცეულ არაბებს „დაუდგეს წინა გარდაბნელნ ჯუარის გუერდა და ავნეს დიდად ლაშქარია. ვითარ ცნა ბულა, ალიყარა მუნიდ და მოვიდა ქართალეთს, და დადგა მუნ შინა; ალიყარნა მთიულთაგან შეგვალნი, კაცი სამასი, და ლამოდა შესლეასა ოქსეთად, და შევიდა ცხავატამდის, ხოლო ამულაბაზ სომეხთა ერისთავმან და გუარამ აშოტის ძემან მიუწერეს მთიულთა, რათა არა შეუშუან. ხოლო მათ გაწირნეს მეგვალნი მათნი. უშეულა ღმერთმან: რამეთუ მოვიდა თოვლი, დაუდგეს წინა და შეებნეს. მოსცა ღმერთმან ძლევა, და მოკუდა ურიცხვ ერი სარკინოზთა; და ცხენმან მათმან ძოვა იელი, და დაიკიცა ფრიად ხოლო სიმრავლისაგან ლაშქრისა არა აჩნდა დაკლება, რამეთუ იყო სიმრავლე მისი ვითარცა ასოცი ათასი²¹. ალსანიშნავია, რომ „მატიანე ქართლისა“-ში მოხსენიებულ მთიულთა ნაცვლად, თომა არწრუნი ხშირად წანარებს ასახელებს. ორივე წყაროს თანახმად ბულა თურქი მიემართება საქართველოს ჩრდილოეთისაკენ, მას რაღაც გარკვეული მოლაპარაკება სურს აწარმოოს მთიულებთან (თომა არწრუნის მიხედვით წანარებთან), მაგრამ ისინი მაინც არ ემორჩილებიან მას (თომა არწრუნის თანახმად მათ იუქადრისეს კიდევ ბულას ქედმალლური წინადაღება მორჩილების შესახებ და არაბთა სარდალს პასუხიც კი არ შეუთვალეს, ხოლო მის მიერ გაგზავნილი მოციქულები, ლანძღვითა და გინებით სასტიკად ნაცემი უკან გამოისტუმრეს)²². ორივე წყაროს თხრობის მიხედვით საბოლოოდ ბულას და მთიელთა ჯარები ჩაებნენ ბრძოლაში, სარკინოზთა ჯარები დამარცხ-

21 „მატიანე ქართლისა“, გვ. 256.

22 წინამდებარე ნაშრომი, გვ. 270.



დანგრ და, თომა არწრუნის ცნობით, უკუიქცენ „სირცხვილეულნი, გაწმილერიაზე
ბულნი, აბუჩად აგდებულნი და ძლიერ დამტვრეულნი“²³.

თომა არწრუნის ცნობების შესრულებით იჩვევე, რომ წანართა შესახებ
გადმოცემული ამბებიდან ზოგი რამ სხვადასხვა გადმოცემიდან, თუ წარო-
დან აქვთ ავტორს აღეცული. იგი ხან ზოგადად მთიელი ტომების შესახებ ლა-
პარაკობს, ხან კი წანარებს ახსენებს. ყოველ შემთხვევაში ისეთი შთახეჭდი-
ლება იქმნება, რომ ავტორის მიერ გარკვევით არ არის გამიჭნული ტერმი-
ნები „წანარები“ და „მთიელი ტომები“. ნათელსაყოფად მოვიტან შემდეგ
ნიჭყვეტს. „ისინი დამტვრებულნი არიან სიმაგრეებში, უზრუნველად, მშვი-
ლად გარეშე მტრების [საფრთხოსაგან]. სამეფო ხარკი და გადასახადი მათვე
რჩებათ. მხოლოდ თავიანთი სურვილისამებრ განმეობლად მხოლოდ ერთ
კაცს აყენებენ“²⁴.

შემდეგ კი თომა არწრუნი ისევ წანარებს ახსენებს, გადმოვცემს მათი
გაქრისტიანების ამბავს. როგორც ჩანს, თომა არწრუნიმ ზეპირი გადმოცე-
მით, თუ რაიმე წერილობით წყაროზე დაყრდნობით იცოდა ერთ დროს წა-
ნართა სიძლიერისა და სხვა მთიელებს შორის მათი გავლენის შესახებ, ამი-
ტომ ხშირად სხვა ტომების ამბის გადმოცემის დროსაც, ძველი ტრადიციით,
ისევ წანარებს მიაწერს ყველა საქმეებს. რა თქმა უნდა, არ არის გასაყვირი,
თუ სომები ისტორიებს არ ეცოდინებოდა წანართა როლის დაქვეითება და
გარდაბნელების მიერ მათი ხელისუფლების წართმევა და მცირეოდენ უზუ-
ტობას დაუშვებდნენ ამა თუ იმ ამბის გადმოცემისას. მაგარამ ამსთანავე დგება
საკითხი, იქნებ „მატიანე ქართლისა“-ის ცნობა არ არის ზუსტი და იქ მოხ-
სენიებულ გარდაბნელებისა და მთიელთა ნაცვლად სწორედ წანარები უნდა
იყვნენ მოხსენებულნი? თუ თვალს გავადევნებთ ქართულ წყაროებში წანარ-
თა შესახებ ცნობებს, დავითახავთ, რომ წანარები IX საუკუნის II ნახევრამდე
კიდევ ჩანან როგორც ცალკე თენიკური ერთეული, შემდეგ კი მათი ხეკნება
ქრება და, როგორც ეს გარკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში²⁵, მათ აღ-
გილს გარდაბნელები იძერენ. ისინ მოხსენიებულნი არიან ლეონტი მროველის
თხზულებაში „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი რომელი
იყო მეცე ქართლისა“: „მაშინ უკუ წარმოდგა წინაშე ასიმისა მთავარი ერ-
თი გარდაბნელი, მიქცეული საკუნიოზად, რომლისა მამის ძმა მოეკლა წა-
ნართა და მკვლელნი მისი განვირინენს მშვიდობით პაპასა არჩილისისა, ადარ-
ნასე მეფესა“²⁶. როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ, „მატიანე ქართლისა“-ის ავ-
ტორი თავის თხზულებაში ბულა თურქის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის
ასახელებს გარდაბნელებს და შემდეგ მთიელებს და არსად არ ახსენებს წა-
ნარებს. ქართველი მემატიანის „მთიელებში“ წანარებს ვერ ვიგულისხმებთ,
რადგანაც იგი თავის თხზულებაში არსად მთიელებს წანარებთან არ აიგივებს.
როდესაც მას უნდა წანართა შესახებ რაიმეს გადმოცემა, მათ წანარებისვე
სახელით მოხსენიებს, ასე მაგალითად, ბულა თურქის ლაშქრობის დროიდან
არც თუ ისე ადრე, სახელდობრ XI საუკუნისას 20—30-იან წლების ერთ-ერთი
ბრძოლის აღწერისას მომქმედ პირებად ასახელებს როგორც მთიელებს, ასე-
ვე წანარებს. „მას ჟამსა — წერს მემატიანე — გამოილაშერა აშორაპა-

²³ წინამდებარე ნაშრომი, გვ. 270.

²⁴ იქვე.

²⁵ იხ. მარიამ ლორთქიცანიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 152—161.

²⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 246.

ლატმან, და უშუელა თევდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისმანი რომელი იგი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა. მოვიდა გრიგოლ კახეთით, და გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წანართა და ამირამან ტფილელმან და შეიძნეს ქანსა ზედა აშოტ და გრიგოლ...“²⁷.

გარდა თომა არწრუნისა, სომხურ წყაროთაგან ტერმინის „წანარების“ არა საკუთრივ წანარების, არამედ უფრო ფართო მნიშვნელობით ხმარების ფაქტი იოანე დრასხანაკერტელთანაც გვხვდება. ცნობა ეხება სომხეთის მეფის აშოტ ერკავად წოდებულისა და უტიელი მთავრის მოსეს ბრძოლას. „სანამ მეფე უტიის გავარში იდგა, რომ დაემორჩილებინა ქედფიცხელი და ავაზაკი ხალხი ამ ქვეყნისა, — წერს ისტორიისი, — მოსე უცრად გამოვიდა სისაკანის მხარეებიდან და განიჩრახა წანართა დიდ ქორებისკოპოსთან წასვლა. სიკეთის ალტემით [მოსეს] სურდა იგი თავის მოკავშირედ ექცია და ამით ეხსნა სამფლობელო“²⁸. მოტანილ ცნობაში „წანარებში“ კახელები იგულისხმებიან. ამაზე მიუთითებს დიდი ქორებისკოპოსის მოხსენიება, ასევე ამ ფაქტის თარიღიც. ონიშნულ ბრძოლას 919—920 წლებში ჰქონდა აღგილი. ამ დროს კახეთის სამთავროში მთავრები, რომლებიც ქორებისკოპოსის ტიტულს ატარებენ, ხელისუფლებას ხელთ იღებენ და ქართულ წყაროებშიც ამ დროიდან უკვე ისინი არიან მოხსენიებულნი, გარდაბანელთა და წანართა ხსენება კი თანდათან ქრება. ხოლო რაც შეეხება თომა არწრუნისა და სხვა სომხურ წყაროებს, როგორც დავინახეთ, მათთან საკუთრივ წანარების, გარდაბანელებისა და კახელების აუსანიშნავდ ყველგან წანარები ისხენიებიან და ტერმინის მნიშვნელობის დადგენა მხოლოდ შინაარსისა და სხვა წყაროების (ქართული და არაბული) მოშველიერით ხერხდება. ანალოგური ვითარება შეინიშნება არაბულ წყაროებში²⁹, სახელდობრ, არაბული წყაროების სანარია-წანარეთი უდრის ქართული წყაროს წანარეთს, გარდაბანია და კახეთს.

მტრიგად, სომხური წყაროების „წანარებით“ ქართული წყაროს გარდაბნელებისა და კახელების მონაცვლეობა შემდეგი გარემოებით შეიძლება აიხსნას: კახეთის სამთავროს შექმნის აღრეულ პერიოდში წანარები წამყვან და აქტიურ როლს თამაშობენ, როგორც ძლიერი და გავლენიანი ტომი. სომეხმა ისტორიკოსებმა ეს, როგორც ჩანს, იცოდნენ წყაროებიდან, თუ ზეპირი გადმოცემით და ძველი ტრადიციით შემდეგშიც, როდესაც უკვე წანარებს თავიანთი გავლენა დაკარგული ჰქონდათ, ისევ მათ სახელებენ მოქმედ პირებად კახეთის ისტორიის ამა თუ იმ ფაქტის გაღმოცემისას. ისიც შესაძლებელია, რომ სომეხი ისტორიკოსები ამას აკეთებენ არაბული წყაროების მიბაძვით.

წანართა მიერ „სირცხვილეულნი, გაწმილებულნი, აბუჩად აგდებულნი და ძლიერ დამტკრეულნი“ ბუღას ჯარები, თომა არწრუნის თანაბმად, ალბანეთისაკენ მიეგართებიან. ისტორიკოსს საგმაოდ დაწვრილებით აქვს ილწერილი ბუღა თურქის მოელი შემდგომი საქმიანობა, ქართველების, ალბანელთა და სომეხთა ბრძოლა მისი ჯარების წინააღმდეგ. საყურადღებოა აგრეთვე არაბთა მეაცრი სარწმუნოებრივი პოლიტიკის ის მთლიანი სურათი, რომელიც „არწრუნთა სახლის ისტორიაშია“ მოცემული. ბუღა თურქის მიერ წამებით დასჭირდა შორის თომა არწრუნი კახა ზენა სოფლელს ასახელებს, რო-

27 მატიანე ქართლისა, ვგ. 252.

28 იოანე დრასხანაკერტელი, „სომხეთის ისტორია“, ვგ. 234.

29 იხ. მარიამ ლორთქიფანიძე, დასახელებული ნაშრომი, ვგ. 136—148.

მელიც კონსტანტინე კახას შეესაბამება³⁰. როგორც თანამედროვე, იგი მეტად ჟანრის ხატოვნად, დაწვრილებით აღწერს ამ ქართველი წმინდანის გამზელურს,
მის მოწამეობრივ ღისასრულს³¹.

თომა არწრუნის თხზულების გამგრძელებელი, ანონიმი არწრუნი, როგორც სკვერ აღვნიშნეთ, მხოლოდ თვისი თანადროული ისტორიის აღწერით იყალება. მთელი მისი ყურდალება ძირითადად გაგიც არწრუნის საქმიანობის დაწვრილებით აღწერისაკენაა მიმართული. ამ სკანას კენელმა გარემოებამ განაპირობა მის თხზულებაში საქართველოს შესახებ ცნობების სიმცირე. აღნიშნული მასალა შეეხება აფშინ და იუსუფ ოსტიანების მიერ სომხეთისა და საქართველოს დალაშქერის აბებს და თითქმის საესებით ეთანხმება იოანე დღისხსანაკერტელის „სომხეთის ისტორია“-ში დაცულ იმავე შინაარსის შემცველ ცნობებს. მიუხედავად მისა, სისრულისათვის მაინც საჭიროდ ვცანით თომა არწრუნის მრავალმხრივ საგულისხმო და უხვი მასალის გვერდით ანონიმი არწრუნის შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი ცნობების გამოქვეყნაშაც.

თომა არწრუნი. „არწრუნითა სახლის ისტორია“

ნაზილი I, თავი V

ბრძოლა გააჩარა მართა მეფემ აედაპავბა² ტიგრან დიდ³ ჰაიკაზნთან⁴. ადრეული ხანის ისტორიისთვის გადმოცემით მან შეაღვინა ცხენოსანთა ლაშქარი, რომ მოეღწია და შემოსულყო სომხეთში და ისე მოემოქმედა, როგორც ამას მისი ბოროტი განზრახვა სკარნახებდა. ტიგრან დიდმა შეიტყო აედაპავის ურყეობა და შეკრიბა სხვადასხვა ერის მამაცურად მებრძოლ კაცთა რჩეული მხედართმთავრები — კაპადოკიელთა, ქართლისა და ალბანეთის ძალები და აირარატის მხეცები მებრძოლი უზომო ჭარი ლაშქართა კველა გუნდებითა და სენექერიმის შეილებითურთ, ყოვლად შემცული მზადებითა და უსაზღვრო სიმრავლით, რომ აჩქარებულიყვნენ და არ დაეყოვნებინათ აედაპავის მომართვისათვის, რათა ჰაიკაზელებზე უფრო გულადი არ გამოჩენილიყო მარი.

თავი VIII

და როცა დაასრულა ქალაქის მშენებლობა, და უშიშარი სიმაგრე გაამზადა, უწინდა სახელიად სიმაგრეს ზარდი, ე. ი. ბრწყინვალება უბრწყინვალესად შემცული ნაშენისა და მოიყვანა დედოფალი სათენიკ განცხრომისათვეს შემოღვიმის უამს, შემცულ, ციხის მშენებრად ნაშენ საზაფხულო სასახლეში, ხოლო ქალაქს უწინდა სახელიად არტამატი, რომელიც ითარგმნება და ზუსტად ნიშნავს არტაშესის ხელით ნაშენს, ანდა არტაშესის მოსვლას, რადგანაც სპარსული ენით მატი მოსვლად გადმოითარგმნება, ვინაიდან არტაშესის წასვლისას ამ ადგილიდნ, ერვანდმა³ ვეღარ შესძლო შევიწროება. მაგრამ აქედან წასვლისას მარეთსა და სპარსეთს, კვლავ დაბრუნდა დიდი ძალითა და მეფებრი სიდიადით. მან დაიპყრო დიდი სომხეთი და ბარბაროსული მისნობის მსგავსად პატივი სცა ამ ადგილს. ამრიგად, მისგან დაიწყო და შეცვალა ყველა უმდაბლესიდან უმაღლესამდის.

ხოლო წმინდანები, რომლებიც იმყოფებოდნენ სუკავეტის მთაზე, რადგანაც სათენიკის⁹ თანამეტმამულები და ერთგული იყენენ, მოვიდნენ მის უკან და

³⁰ ხ. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 296, 299, 407; კ. კოკილიძე, ერთ-ერთი გველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1956, გვ. 133—146.

³¹ წინამდებარე ნაშრომი, გვ. 275.

გაგზავნეს ერთი ვიწმე მოწესეთაგანი დედოფალთან კერპების ამაო და უსარებელობის სამსახურის სამხილებლად, ისევე როგორც წმინდა ქრეისტიანული სამსახურის არტაშეს-თან. ხოლო სათენიკიმა მოისმინა წმინდათა სწავლა, არ განშორდა კერპთაგან ასტლიკის¹⁰ სახელგანთქმულ გამოსახულებას, რადგანაც ეჭვი ჰქონდა მეფისა და შეილებისა, მით უფრო, რომ წინათ მეფესაც სურდა მოქცევა კერპთაგან ჰქონდა ლენინის შრისტეს თაყვანისმცემლობაზე, მაგრამ როგორ დასრულდა ამბავი, ჩვენთვის არა ცნობილი.

თავი X

ხოსრო მცირის¹¹ შემდგომ მეფობს მისი ძე ტირანი¹². იმ დროს სომხეთის ჰაზარაპეტობა¹³ ეპყრა ბოროტი ქცევისა და გონჯ კაცს, რომელსაც მამა მარტეპეტი¹⁴ ერქეა. იგი მივიდა ტირან მეფესთან, დაუწყო შესმენით ლაპარაკი საიდუმლოდ არწრუნთა და რშტუნთა¹⁵ სახლის შესხებ... და უთხრა: „თუკი არ აღმოფხვრი და ამოწყვეტ მაგ ორ ნახარარობას¹⁶, ისინა სიკეთეს არ განიზრახვენ შენთვის, რადგანაც მათი ხელი შაპუშ¹⁷ მეფეთა მეფესთანაა“. ასეთი არა განიზრახა მარტეპეტმა და სთქვა: „თუ ამ განზრახვის შესრულება შევძლოს, მაშინ იქნებ მამიკონიანთა სანახარარო სახლის მოსპობაც შევძლონ“. ეს გაიგო ტირანმა. მან გასცა ბრძანება, რათა სისრულეში მოეყვანათ ურჯულო და ლვოს მოძლულ კაცის განზრახვა. ეს უგუნური გადაწყვეტილება შეიტყო მამიკონიანთა სპარაპეტობამ¹⁸. ბრძოში მხედვ შეიკრენ ხმალ-ამოწყვდილი და შეიარაღებული არტავზდ და ვასაკ მამიკონიანები, მრავალი ზაანარცხეს თავიანთი ხმლებით, მიიტაცეს შავასპი, ვაჩე არწრუნის შეილი და მეტედაკ რშტუნი, რადგანაც ისინი ყრმები იყვნენ. აიყვანეს და წავიდნენ ტაოს სიმაგრეში. როცა მომწიფებულენ ასაკით, მისცეს ამ ყრმებს თავიანთი ასულები ცოლად. მათგან აღორძინდა ორივე ტომი არწრუნთა და რშტუნთა და არ გაერეულან სომხეთის საქმეებში მრავალ წელს...

არშავი¹⁹ გამეფდა თავისი მამის ტირანის ნაცვლად მეფეთა-მეფის შაპუ-ჰის ბრძონებით და შეკრიბა თავისითან სომხეთის ნახარარობა, შეიტყო ამბები არწრუნთა და რშტუნთა ტომის შესახებ და მამიკონიანთა იმ ნახარარობის შესახებ, რომლებიც წავიდნენ, მიაღწიეს და განმტკიცდნენ ტაოს სიმაგრეებში და გამოიძია არ მიზეზი, მისწერა ამატუნთა ტომისაგანის ვინმე ვაპანის ხელით, რომ დაბრუნებულიყვნენ, მოსულიყვნენ და დამკვიდრებულიყვნენ უშიშარი ცხოვრებით და თვითეული მათგანი დაწინაურებულიყო დიდებითა და პატივით. სამიცე ნახარარობამ მოუსმინა ბრძენ კაცს ვაპან ამატუნის. ისინი დაბრუნდნენ უშიშარი გამბედაობით, რადგანაც არავითარ ზიანს არ ელოდნენ თავიანთა თავის მიმართ. ისინი შეწყარებულ იქნენ არშავ მეფისაგან ვაპანის მიერ დაწერილის თანახმად და დაღნენ უშიშრად.

გამეფდა შაპუჰ მეფეთა-მეფე და მრავალი ბოროტება თავს დაატეხა სომებთა ქვეყანას.

მაგრამ მეტულანი²⁰ არ დაემაყოფილდა ბოროტების შესრულებით, რომელიც გამოამელავნა ქრისტიანებისა და უმეტესად სომხეთა ქვეყნის მიმართ, არამედ აიყვანა სპარსთა ჭარი და შაპუჰ მეფის ბრძანებით წამოვიდა სომხეთში გასამეფებლად. მას თან ჰყავდა ვაპან მამიკონიანი. იგი მოვიდა და შევიდა სომხეთის ქვეყანაში უშიშარი გამბედაობით და ისეთი არ განიზრახა, რომლის განხორციელება ვერ შესძლო, რადგან ვაპანის შვილი სამუელი წინ აღუდგა თავის მამას. ვაპანს ეეჭვებოდა, რომ დაიმორჩილებდა თავის შვილს.



განაცალკევა სამუელმა თავისი მამა ვაჰანი, ვითომც ბჭობდნენ იმაზე, რომელიც გისაც იყვნენ შოსული. როგორც კაშორიახლო გასცილდნენ სპარსთა გუმრის, აღმართა სამუელმა ხმალი და სასტიკი ჭრილობები მიაყენა მას და მაშინვე წოჭევეთა იგი სიცოცხლეს. მოძრუნდა იქიდან და მოკლა თავისი დედაც, ტა-ჭატუში, რაღანაც ორივენი უარყოფილ იყვნენ ქრისტესაგან. თვითონ იგი წავიდა ლტოლვილი სპარსთაგან ქალდიის მხარეს.

ნაზილი II, თავი III

მავრაკე²¹ შეფეს გაუგზავნეს დიდებულები უდიდესი ძლვნითა და მისართ-მევლით და ხოსროს²² მიერ დაწერილი წერილი:

„დიდო მეფეო, ზღვისა და ხმელეთის მთავარო, მომეც მე შემწედ ჯარი და განმამტკიცე მე ჩემი მამების სამეფო ადგილს, რომ შევძლო დავცე ჩემი მტერი და ალვადგინო ჩემი მეფობა და ვიქმნე შენდა ძე მორჩილებისა და მოგცე შენ ასურეთის მხარეები და მთელი არევასტანი²³. მწუინის²⁴ ქალაქიამ-დის და სომხეთის ქვეყნიდან სატანუტერო²⁵ მთავრობის ქვეყანა აირარატამ-დის, ქალაქ დეინითა და ბზნუნთა ზღვის²⁶ კიდეს დაბა არესტამდის²⁷, და დი-დი ნაწილი ქართლის ქვეყნისა ქალაქ ტფილისამდის. ვიძყრათ აღოქმა მშვი-დობისა ჩვენსა და ჩვენს შვილთა შორის ჩვენ გამეფების შემდგომ“, მავრიკე კეიისარი დაეთანხმა მას, გაუგზავნა მას თავისი სიძე ფილიპე და გაატანა წასა-ღებად მასთან შეწყვარების წერილი. აიღო მისგანაც ფიცი. მისცა მას შემწედ კეიისრის ჯარი და იოანე პატრიკი სომხეთის მხრიდან, ნერსეს სტრატელიარი ასურეთიდან, მუშელი, კაცი მხნედ მეომარი და ძლიერი ჯარით და მთელი ჯა-რი საბერძნეთისა და სომხეთისა, ქართლისა და ალბანეთისა. მოვიდა გუნდი ურიცხვი სიმრავლით ატრატაკანის²⁸ მხარეს, ვარარატის გვარში.

ნაზილი III, თავი IV

...და ჯარი, რომელიც გამოუდგა გურგენს, მოვიდა და მოაწერა ქვეყნის სახლგრებს, საღაც იდგა გურგენი თავისი ჯარით და დაბანაკდა ზავად წოდე-ბული მდინარის ნაპირს. მხედართმთავრებად იყვნენ: მუქადმი, იუსუფი ქალაქ ტფილისიდან, იუსუფი ძე რაშისა და პუჟეშმი ელის უფალი. მათთან იყო სპარსთა ამირა ჰამდოის ჯარიც.

თავი IX

[ბულამ] ყველას მისცა ბრძანება, რომ სასწრაფოდ მზად ყოფილიყვნენ ქალაქის ველზე. შეკრიბა [ისინიც], რომლებიც წინათ თან ჰყავდათ — ტომები თავიანთი ჯარით, ხოლო აღმოსავლეთის სხვა მთავრებმა მიატოვეს იგი, გა-ვიდნენ და დაიპყრეს მტკიცე აღგილები — ციხეები, ქალაქები და მთები. თან შეკრიბეს ჯარი და თავიანთი ქვეყნების მოსახლეობა. ხოლო სუმბატმა²⁹ და ოროპლაბასმა³⁰ [აბლაბასმა], სომეხთა სპარაპეტმა, როცა შეიტყო, რომ არა-ვითარი სარგებელი არ მოაქვს მის ბრძანებათა გარეშე ყოფნას, ისწრაფა და მოვიდა მასთან. მან შეიწყნარა იგი, დაბინავდა თვით და მისიანები მამულე-ბითურით ეჭვის გარეშე. მით უმეტეს, რომ წინასწარ მოემზადა, მიენდო ქა-ლალდითა და ძლვნით მეფებსა და მხედარმთავარს, რომ წავიდოდა მათი

ბრძანებისამებრ და არაფერს არ განიზრახავდა ან მოიმოქმედებდა მათი ნუკლუსობრივი ბის გარეშე. გაზაგილი იქნა წინასწარ მისი შეინიჭებული აშოტი³¹ მის შესახვედრად, მისი გამოსვლისთვანევ მეფისაგან. მისი წინამდლოლი ბრძოლის საქმეებსა და ქვეყნების შესვალ-გასაცლებში სპარაპეტი იყო. აცნობდა თითოეული ქვეყნის ძალას, მათ სიმაგრეებსა და მათი ბრძოლების სიძლიერეს ტომების მიხედვით.

ამის შემდეგ [ბუღამ] შეკრიბა დიდალი ჯარი, უფრო მეტი, ვიდრე პირველად, გამოვიდა და გაემართა, რომ მიერწია აღმოსავლეთის ქვეყნისათვის. მან ბრძანა თავს დასხმოდნენ ქალაქ ტიფლისს, რომელსაც ადრე ფართაურას³² ეძანდნენ. ხისგან იყო ნაშენი მათი მთელი ქალაქი: ზღუდები, კედლები, სასახლეები, ქალაქის მცხოვრებთა ყველა სახლი და მათი კარმიდან.

ზედმეტად დაფარი სათითაოდ აღვწერო ქალაქის ბორიტებით აღსავს ის ურალულება, რომელიც სოდომისა და იერიქონს აღემატებოდა. ბუღამ მოაღწია და გადავიდა გაზაგულის წყალდიდობის გამო აღიდებულ დიდ მდინარეზე, რომელსაც მტკვარი ეწოდება, ჯარმა ქალაქის ირგვლივ დაიბანავა... ამავე დროს ცეცხლით გარემოიცვა ქალაქი, ააგიზებიზა ხანძარი ტყისა და ლიის შთანთქმით, ხოლო ქალაქის თავი საპაკი³³ გავიდა კარით, რომელიც მიემართება სამშილდის ციხისაკენ. მან მოისხა სისამური, ხელთ იპყრო კვერთხი და გონებადაკარგულმა დაკარგა გასაქცევი [აღილი], მას კი [ადრე] შეეძლო წასულიყო იქ, სადაც სურდა. [საპაკმა] გაგზავნა [კაცები] სარდალ უირაქთან³⁴ და შეუთველა „იჩქარ ჩემს შესახვედრად“-ო. ხოლო [კაცებმა] არ დაუგერა მოსულ მაწვეველთ, სანამ მეორედ და მესამედ [არ განუმეორეს]. ჟირაქი წავიდა, შეიძყრო იგი და წაიყვანა, მიძვარა ბუღას. [საპაკის] ავანებაზე უფრო მეტად [ბუღა] მასთან [საპაკის] უახრო მისვლამ განაციფრა. როდესაც საპაკის ცოლმა შეიტყო [ქმრის] შეპყრობის [ამბავი], რადგნაც ლამაზი ქალი იყო, იჩქარი, გაემართა და ეახლა ბუღას, რომ უგებ თავისი სილამაზით და დიდალი განძიო ეხსნა თავისი ქმარი. მაგრამ მას [თავისი ქმარს] ამითაც კერ უშეელა. [საპაკს] თავი მოჰკვეთეს და სამეფო კარზე გაგზავნეს, ხოლო [საპაკის] ცოლი ბუღამ ცოლად შეირთო. ქალი კი კვლავ კივილით გაიძახდა: „ჩენ ჩემი გულისათვის მოჰკვალი ჩემი უფალი. მე შენი ცოლობა კი არ შემფერის, არამედ დიდი მეფისაო“. ბუღამ ეს ქალი თავისთან დატოვა, შემდეგ კი მეფესთან გაგზავნა, რათა მას ცოლად შეერთო. ქალი მოვიდა მეფესთან და უაბბო, რაც მოხდა — თავის გულისწყრომის არაფრად მიჩნევა და მოწმეებიც დაუსახელა [ნათევამზე]: შენი ცოლობა კი არ შემფერის, არამედ დიდი მეფისაო. რაც კი მოხდა, მიზეზი შეიქნა ბუღას დალუპვისა, რასაც თავისი რიგით მოკლედ გადმოცემო...

თავი X

მაგრამ რადგანაც ვერსად ვერავინ ვერ შესტლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ყველა საქმეში, რაც კი მათ სურდათ, [ბუღამ] ხელი მიპყო აღმოსავლეთის ქვეყნების [დაპყრობას] და უშიშრდადა და გაბედულად ზვიადობით საგესმ მარბილი მოპფინა მათი სამეფოს ყველა მხარეს. წავიდა და მიაღწია ჩრდილოეთის მხარეებს, ქვეყანას, რომელსაც წანაკი ეწოდება. ისინი დაქა.

ვიდრებული არიან მთის სიმაგრეებში, უზრუნველად და მშვიდად განცხადების მტრების [საფრთხისაგან]. სამეფო ხარე და გადასახადი მათვე ჩეხებათ. მხოლოდ თავიანთი სურვილისამებრ თავის გამგებლად ერთ კაცს აყენებენ. ისინი შეთანხმებითა და ერთსულოვნად ცხოვრიბენ ურთიერთ შორის. ტომი ტომ-თანა დამკეიდრებული ერთმანეთისაგან მოშორებით. მათ ახლოს არის კავკა-სის მთა, საღაც დამკეიდრებული არიან ტომები, რომლებიც ენების მიხედვით განიკონებიან 72 ტომად და ცხოვრობენ წინამძღოლის გარეშე, ყველას პირადად აქვს [შემუშავებული] თავისი წეს-ჩვეულება, ვისაც როგორ სურს და დედებთან და დებთან ქორწინდებიან.

მათთან წავიდა ერთანესის³⁶ უფროსი შვილი გრიგორი³⁵, უქადაგა მათ სიცოცხლის [მომცემი] სიტყვები, რომლითაც ბევრნი კიდეც მიემხრენ მას და იწამეს ქრისტე, როგორც წანარებმა, ასევე იყრიპახებმა, ხოლო ნაშილი არ დაემორჩილა და ამ დრომდე დაიღუპა, რის შესახებ საუბრისათვის დრო არ გვაქვს. ვატრიანის³⁷ ველზე ზოგიერთების მოწამეობრივი აღსასრული ბარბაროსაგან აღიარა წმინდა გრიგორმა.

ხოლო როდესაც ბუღა დიდალი ჯარით მიუახლოვდა მათ საზოგადოს, სამშენებლო მიმართვა მიწერა მათ, [რომელშიც მოითხოვდა], რომ სიყვარულითა და ერთგულებით მიბრუნებულიყვნენ მეფის მორჩილების ქვეშ, მიელოთ პატივი და მისი საშუალებით დაუფლებოდნენ ძლიერ ხელისუფლებას. მაგრამ ისინი თავშეფარებული იყვნენ სამედო ციხე-სიმაგრეებში და ჯართა სიმამაცესა და მებრძოლ კაცთა სიმხნეებზე [დანდობილი] მცირედითაც არ დაეთანხმდნენ მის სიტყვებს და არ გასცეს პასუხი. არამედ უკან გაბრუნეს მოციქულები ლანძლვა-გინებით, სასტიკად ცემეს [ისინი], თვითონ კი მთებში გადავიდნენ, დამკეიდრდნენ მთების კალთებზე და განემზადენ საბრძოლველად. მათ დაიკავეს და ჩაეკრეს ციხე და ხეობების გასასვლელები, რომ თავიანთ ქვეყანას განშორებოდნენ და ციხე-სიმაგრეებში შეეფარებინათ თავი.

მაშინ სარდალმა ბუღამ უბრძანა თავის ჯარებს [წანარებთან] საბრძოლველად გამოსულიყვნენ. როცა [ბუღა] მათ მიუახლოვდა, განაწყვეს და გაამზადეს ჯარები და ბრძოლა გაუმართეს წანართა ჯარებს. მათ ჩაეკრეს მთის კალთები, როგორც ზღვა გარშემო. ზევით აზიდა ჯართა ქროლების სიძლიერისაგან ტალღების გროვა და საერთოდ მთელი ქვეყანა გრიალებდა, როგორც ტალღებად აქაფებული ზღვა. მძვინვარებდა ბრძოლა გათენებიდან დღის და-სასრულმდე 12 საათის განმავლობაში. დამარცხდნენ სამეფო ჯარები და დაბრუნდნენ თავიანთ ბანებში, მთიელები კი თავიანთ სადგომებს დაუბრუნდნენ. ერთი დღის [შესვენებას] შემდეგ კვლავ გაჩაღდა ბრძოლა და დამარცხდნენ სამეფო ჯარები. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შეიქნა ბრძოლა და სასტიკად დამარცხდნენ სამეფო ჯარები. და დიდად დამშუბრდნენ. მათ არ სურდათ უკან დაბრუნება, რადგანაც უაღრესად დიდ სირცეებილად ითვლებოდა მომხდარი საქმე, მათ წინააღმდეგ დგომა და გაძლება კი მათ არ შეეძლოთ, რადგანაც მათი ჯარებიდან ბევრი დაეცა. შემდეგ კი გადაწყვიტეს კვლავ ეწარმოებინათ ბრძოლა. აღმართეს სანგრები, ააშენეს სადგომები და აქციეს საცხოვრებელ სახლებად, შეჩერდნენ იქ 9 დღე და შეებრძოლენ წანარებს 19-ჯერ უფრო მეტჯერ... დამარცხდნენ, ამოწყდენ და შემცირდენ სამეფო ჯარები წანართა ჯართაგან და გაბრუნდნენ სირცევილეულნი, გაწმილებულნი. აბუჩად აგდებული და ძლიერ დატვრეული.

და იყო მიახლოებული და აღსასრულს მიღწეული მისი მოსკლის შეფასებითაც რე წელი, როცა იგი აღბანთა მხარეებში წავიდა. მაშნ აღბანეთის დიდ მხარეს ვინე აცმუს ფლობდა... ხოლო როგორც კი შეიტყო მან, რომ ბულამ აიყვანა თავისი ჯარი მასზე გამოსალაშერებლად, უბრძანა მთელ თავის ქვეყანას, რომ გამოსულიყო და დაეკავებინა მთის მხარე, დაედგა გული, სიძლიერითა და გულადი სიმამაცით წინალდგომოდა, მით უფრო წანართაგან რომ იხილეს იგი დამარცხებული და ძლეული. „ნუ ვიქწებით წანარებზე უარესი — ეუბნებოდა, რადგანაც ამაზე უფრო უძლიერესი, უმაღლესი და აღვილოდ დასაკეტი სმაგრეები გვიპრია ჩვენ გასავალთა შესავლების დასაჭერად, მხოლოდ ერთგულებით დავდგეთ და მივენდოთ ღვთის შემწეობას. და თუ სიკვდილიც ვინე ეწევა, იგი თავისი თავისა და თავისი ერთ სასიქადულოდ მიიჩნევა და მოწამეობრივ გვირგვინსაც მიიღებს ქრისტესაგან, რადგან იგი არა თუ სარწმუნოებით განსაზღვრული სიკვდილია, არამედ წმინდა ეკლესისა და ღვთის ხალხისათვის“. ასეთსა და ამაზე უფრო მეტს ეტყოდა თავის ჯარს აღბანეთის ღვთისმოყვარე მთავარი. ხოლო ბულამ აიყვანა თავისი ჯარის სიმრავლე, ჩავიდა გაგარელთა ველს³⁸, მიშვართა და შევიდა დიდ ქალაქ ბართავში. იწყო მან ბრძლვინვა და განიზრახავდა ბოროტების გესლის დანთხევას აღბანთა მთავარზე. გაუგზავნა მას მოწოდება დამორჩილებისათვის, მაგრამ მან მისი სიტყვები არად მიიჩნია, რადგანაც კარგად იცოდა მისი მატყუარა ქცევა. შეკრიბა ქვეყნის მცხოვრებლები, მამაკაცები, დედაკაცები და სხვებიც აღბანთა ქვეყნიდან — სიმრავლე უბრალო გლეხებისა და ჯარისკაცთა მცირედი ლეგიონი მაგარ მთაზე, რომელსაც ქთიში³⁹ ეწოდებოდა. მის შესაბამისად საზრდოს მარაგიც [შეკრიბა]. ბულამ რომ შეიტყო აღბანელთა მთავრის საზადისის შესახებ, შეუშორთდა გონება, რადგანაც მრავალჭერ იძრბოლა სხვადასხვანაირი ბრძოლით და ვერაფრით ვერ შეძლო მიუდგომელი სიმაგრეებისა და იქ მყოფ კაცთა სიმამაცის დაძლევა, [ამიტომ] მლიქვნელური სიტყვებით მოუწოდა [მას] დასამორჩილებლად.

და მან შეუთვალა ამნარი პასუხი: „წესია ქვეყნის შეყრობელთა, რომ მეფური მზრუნველობით მიყიდნენ ქვეყანასთან, როგორც მორჩილთან და როგორც მზრუნველებმა აიღონ და ადვილად ახალონ უბედურთ ჭირი და არა ავაზაურად ათხრონ, მახვილითა და ტყვეობით ნაოხარად აქციონ [იგი]. და შენ თუ შევიდობიანი ოსტიკანი⁴⁰ იყავ მეფისაგნ მოსული, აღორჩინებდი ამათ და არა შფოთსა და ათხრებას მიაყენებდი. და ახლა გიცხადებ, რომ რამდენადც კი შეყოფა ჩემი ძალა და ცოცხალი ვიქნები, წინააღმიადგები უფალი ღვთის ძალითა და ღრინით, და არ გხილო შენ შევიდობის სიყვარულით, არამედ იარაღით, შვილდითა და მახვილით. მხენ კაცებითა და რჩეული ცხენებით გიხილო შენ. და თუ სათნოდ მიიჩნევ, რომ გადარჩე შენ და შენი ჯარი, ადეგ და გადი აქედან, წადი ჩემი საზღვრებიდან. ხოლო თუ ისწრაფი ამ ცხოვრებიდან გასელას შენი სიცოფის გამმქინებარებისათვის, [მაშინ] ძვლებსაც დაყრი უდაბნოებში და გახდები ქვეყნის მხეცთა და ცის ფრინველთა შესაჭმელი. ნება შენი იყოს და მე უდანაშაულო ვარ შენი სისხლის დაღვრაში, მით უფრო რომ დიდ კეთილმსახურებად მიმაჩნია ამოვწყვიტო ღვთის შტრები... ახლა დასტულდა ჩემი მრავალმეტყველება შენთან, შენს ხელთაა მშვიდობაც და შფოთიც; უკეთუ როგორც ვთქვი, გახვალ ჩემგან — მშვიდობაა, და თუ არა — ბრძოლა, ჩემი და ბრძოლის ასპარეზია. შენ მიზანი და მე მშვილდი გამგირავი, შენ გმირი და ჩემი ბავშვები მომრევნი, შენ მოდავი

და ჩემი ჭარი ბრალმდებელი, შენი ბრძოლა და ჩვენი ძლევა, შენი სხულები და ჩემი შები, შენი ქედი და ჩემი მახვილი, შენი მონაგარი და ჩვენ მემკვიდრენი, შენი ნატყვენავი და ჩვენ ნატყვენავის ამღები, შენ ავაზავი და ჩვენ მძარცელნი, შენ ლერწამი და ჩვენ ადვილად მწველი ცეცხლი, შენ მშე და ჩვენ ქარნი ადვილად მძერავნი, შენ ყვავილი და ჩვენ წამხდენი სეტყვა. შენ საფუძვლის უქონელი ნაგები და მე საფუძვლის დამჭვევი, შენ მძრო და ჩემი ჭარი მხეცის დამგლევი, რომელბიც დაწევენ შენი გულის ფარდას, შენ სათამაშო და ჩვენ ბავშვები, — ხელთ ავიღებთ შენ ძალას, სასაცილოდ აგიღდებთ შენ და შენი თაეხედობის ყოველ სილალეს, შენ გარეული ნადირი და ჩვენ მონადირენი, შენ ფრინველი და ჩვენ მალლობიდან ძირს ჩამოვიღებთ და ბადეში ჩავიკერთ; შენ ზღვის ვეშაპი და ჩვენ ანკესი შენს სასაში, — შენი ამომგდები ლრმა უფსკრულიდან, და შენ ირემი ურქო და ჩვენ არწივნი შენ ზედა, — შენი თვალების დამაბრმავებელნი და შენდა მძროს დამგლები ბარტყათაგან ჩემთა და ხერელებში მობინადრე მელათაგან. და ი, კვლავ ვამზობ, — არა არის რა შენი და, რომ არ იტვრით ის, რაც ვუთხარი შენს ზოციქულებს. ასადენიც არ უნდა იღონო ჩვენი [სისხლით] მორწყვი-სათვის, მასეთსავე სავნებელს მიიღებ“.

როდესაც ტირანმა გაიგო ეს ძლიერებითა და უაღრესად დიდი შეურაცხოფით აღსავს საბასუხო თქმა, თვთ დიდი ნაღვლით აივსო და შედგა დიდი გავეირვებისაგან შეპყრობილი. წახდა და გაიფარტა ყველა მისი განზრაპვა. რა უნდა მოემოქმედა, არ იცოდა. შემდეგ საგონებელში ჩაცივდნენ დიდი გამოიხით და გამოარჩიეს ურიცხვსა და უშერტს აზრთაგან ის, რომ მიეწერათ და შეეტყობინებიათ მეფისათვის ამ კაცის შესახებ. გაგზავნეს დესპანები მეფესთან და თვითონ კი დასხდნენ მთის გარშემო, სანამ საჩქაროდ მოუვიდოდათ რაიმე ბრძანება სამეფო კარიდან.

ხოლო ასუმუსე შეიკაზმა და შეიარაღდა მთელი თავისი ძლიერებით. აღიძრა და დაესხა მათ თავს და დიდი დამარტება განაცდევინა. აიღო მრავალი ნადავლი და მბრძუნდა თავს ადგილს, თავის ბანაუში. ამის შემდეგ ველაზ შეძლო ბუღამ დამდგარიყო გაბედულად და შორიახლოს მოეწყო თავისი ბანაკით. თავისი ჭარის ნახევარს განუწესა მთავრი და განალაგა ჩრდილოეთ მხარეში, ხოლო თვითონ ჭართა სიმრავლით აღმოსავლეთის მხრით დადგა. ააგეს დიდი სასახლები და მტკიცედ შემოზღუდდეს. აღმართეს სანგარი და დააგრივეს ქვები, გამართეს მანქანები და შეუდგნენ მზადებას, მცირეოდენი ხნის შემდეგ გასცა ბუღამ ბრძანება, რომ გასულიყვნენ საბრძოლველად. გააწყვეს რაზმი და ცალცალკე გუნდ-გუნდად ჩარი. დაახშეს შეგნით ის მთა და აღმართეს მეტად მაღალი და ფართოდ გაშლილი დროშები და ნაშენები. დაუწესეს ყოველ გუნდს, [ე. ი.] 500 კაცს, ერთი ნიშანი. სათითაო დასახელებით ვერ ჩამოითვლება იარაღის სიხშირე და ცხენთა და მათი მხედრების აკაზმულობის საჭურველი. არინ ამის მცოდნე მამაცი კაცები და [მათ], რომლებიც ნიადაგ ბრძოლებში დაეხეტებიან, შეჭამებული ყავთ ყოველი ჭარისაც სალაროში, მეფის ხაზინაში, რაც აქლემებში აკიდებული თანვე დააქვთ. გავიდნენ საბრძოლველად და იბრძოლეს, რითაც გაფიცხდა ომი, და გახშირებული შეტევით მიპმართეს ერთმანეთს. მოისრა სამეფო ჭარი დიდი ამოწყვეტით და ლტოლვილი დაბრუნდა თავის ბანაუში. და შევიდნენ სასახლებში, რომლებიც აეშენებინათ. ასუმუსეს მთის ჭარი მისდევდა უკან ლტოლვილებს. ჩამოვიდა იგი მთიღან და იქცა მცვდართა მძარცელებად.

მიაშურეს [ისევ] თავის ბანაკს დიდად გამარჯვებულებშია [და] უდარდელი ჭირობისა
ხარულით გამხიარულებულებმა, ჩასცდნენ თავიანთი საცავებისა და თავისი
სამულობელოს მცხოვრებთა დასაცავად.

იმის შემდეგ, რაც უცხო ტომები მეორედ დამარცხდნენ, კვლავ გასცა
ბრძანება გასულიყვნენ საომრად და მიჰყოლოდნენ მათ. და ას, 1000-ოდე
რჩეული აღანგელი შეხვდა მათ, დაცნენ მათ და უკუაქციეს ლორმვილი
ბანაკს, ხოლო თვითონ მრთელნი დაბრუნდნენ [უკან] და არავინ ჰყოლიათ
დატრილი. მივიღნენ თავის მხედართმთავართან დიდი გამარჯვებითა და მრავა-
ლი ნადავლით.

ხოლო მხედართმთავარი ბულა დალუპვის პირს იდგა, შეიძყრო სასოწარ-
კვეთილებამ, ბრაზობდა თავის გულში, გონებამიხდილი იყო და ცდილობდა
ეჭვოვნა გამოსავალი ამ საქმეთაგან. ჩაეტა კარავი, ვერ ცხრებოდა და ისვე-
ნებდა. გაუკრთა მას ძილი თვალთაგან. ვერავინ შედიოდა და გამოლიოდა
მსაგან 10 ღლეს, რადგანაც შესული იყო სირცხვილეული ოთაში, თუმცა
შიშიც არა ნაელები ჰქონდა მას, რის გამოც მრავალი ხმლოსანი გუნდი გა-
რემოციადა მას. ხოლო ათი ღლის გასვლის შემდეგ ითხოვა სპარაპეტმა მას-
თან შესვლა, შეახო ხელი და დაუწყო საუბარი და უთხრა: „რატომ აუძლუ-
რებ შენს ხელს და მათ სიმხეში შერევ უძლურებას, ქმნა შენზე გაძლიერე-
ბულს მთელ ქვეყანას და შენი სიმამაცის სახელს შენვე ღუპავ, რომლითაც
ზარდაცემული მთელი ქვეყანა შეძრწუნდა და ვერავინ დაგიდგა წინ. შენს
ძლიერ მკლავთა და ხელო დასასტუსტებ. ნუთუ შენ პირველი დამარცხდი
მტერთაგან? ანდა მარტო შენი ჯარი დაეცა და შენი ნადავლი დანაწილდა?
არ შეგიტყვია, რომ დასაბამიდან დღევანდელ დრომდე ყველგან, სადაც კი
შეიყრება ჯარი და იმართება ბრძოლა, მახვილი და ბრძოლის ასპარეზი, ზოგ-
ჯერ იმარჯვებენ და ზოგჯერ დამარცხებას განიცდათ. აბა ვინ, ქვეყნის
მპყრობელთაგან არ მიეცა მახვილს, [მაგრამ] არიან ტომ-ნათესავთა მთავ-
რები. არის [ხოლმე] რომ ზოგან ძლიერდებიან და არის ხოლმე, რომ ზოგან
სუსტებიან“. განაგრძო საუბარი სპარაპეტმა მხედართ-მთავართან და აქა-
და მის გულს გულმოსულობის საბურავი. გამოვიდნენ ოთახიდან გარეთ და
დასცდნენ სალხინოდ.

მაშინ მოაღწია ბრძანებამ სამეფო კარიდან, [რომ] არ შეწუხებულიყვ-
ნენ და გული გატეხოდათ, და არ გამდგარიყვნენ მასთან შებრძოლებისაგან,
სანამ არ მოვიდოდა წებსით [თუ] უნებლივით მეფის მორჩილებაზე.

მაშინ მისცეს ბრძანება მთელ ჯარს, გასულიყო საბრძოლველად. და აი
აღმოხდათ ღალადისა. გაისმა საყვრის, ქნარისა და საშანდარის ხმი; და შე-
ძრა იარაღითა და მახვილით და ყოველივე მოკაზმულობით უზომო ჯარი,
თითქოს მთის საფუძველთაგან გადასაგორებლად, და გაიყვანა ჯარი მთის
შწვერვალის ახლოს და მასთან ერთად მრავალი ნიშანი, 1000-ოდე რჩეულ
კაცთა მხნე ცხენებითურთ. და თითქმის სრულიად არსად არ ვამოჩენილა ასე-
თი საშიში ხილება ჯარისა და შეჭრუვილი წყობისა, ვყელა [იმ] მეფეთა შო-
რის, რომლებიც იდგნენ მსოფლიოს კიდეებში, როგორიც იყო სასტიკი და
საშინელი შექა-ქუხილი და სპეურველთა ელვარება, რითაც შემკული, შე-
ჭრუვილი და გამზადებული იყო ტაპიკთა ჯარი, ერთიმეორეს მიყენენ გუნდე-
ბი საქართველო და სასწრაფოდ ყველა, ვინც კი ხედავდა [იმათ], დიდი ში-
შით იყო შეპყრობილი. იქდა იქ შორით, ერთი ბორცვის [თავზე] უფალი მუ-
შელი⁴¹, სპარაპეტის შვილი, და გაოცებული იყო საშინელი და ღიალი სა-

ოცრებით... როცა შეიქრიბა ერთ ადგილს ჯართა მთელი სიმრავლეზე 200000-ზე მეტი [კაცი] და შეადგინა რაზმი, გაწყო ფრინხტი და მისცა კაცი კაცს ხმა, [რომ] გასულიყვნენ გმირულად, მაშინ აპუმუსე, რომელიც უძუცესის შეიძლად იყო ცნობილი, გამოვიდა მათ პირისამი საბრძოლველად და გამოცხადდა მათ წინაშე. იყო ისე, როგორც ბორცვი რაიმე რკინისა, ანდა ანდამატის ლოდი, გარსშემორტყა ხშირი გუნდი [და] იდგა შემჭიდროებული, როგორც ერთი კაცი. შემოიკრა ტაქითა ჯარი და გარშემო ჩაეტა ალბანთა გუნდი, მიმმართა მათ ცხარედ, ხოლო ისინი იდგნენ უძრავად... და მიკმართეს მათ ოთხერ ზედიზედ... ეკვეთნენ ფრინხტს და გააძეს რაზმი, მიაქციეს თავშვე და გადაუშვეს იმ მთიდან. დაამარცხეს უდიდესი შემუსვრით. როგორც ქარისაგან წადებული ბზე, ანდა ქარიშხლისაგან გაფანტული კვამლი, ისე გადაიკარგნება [და] წავიღნენ ალბანთა ჯარის თვალთვაგან, მიბრუნდნენ [და] შეაგროვეს ნადავლი, რომელიც არ დაითვლებოდა... გაგრძელდა ამათი ომი დაახლოებთი ერთი წლის ბოლომდის და არც ერთფრინტზე არ მიაქცია თავისი პირი ბულს პირისაგან აპუმუსებ. როგორც მოგვითხრობენ, მათი ბრძოლა 28 გზის იყო და ამწყდა სამეცნ ჯარი ამდენ შეხვედრებსა და ჩხუბში.

მაშინ, როცა შეიგნო ორივე მხარემ, რომ ასად ჩანს ღონე ვითარება-თაგან გამოსავლის პოვნისა და შევიღობის მოცემისა, სათნოდ მიჩნიეს და ღათანხმდნენ, მოეწერათ შეფისათვის, რადგნაც თქვა ალბანელთა შედართმთავარმა: „ნურეინ ფიქრობს, რომ მე განმდებარი ვიყო მეფისაგან და მისთვის შეწყვიტდე ასურესტანის ჯარს“.

შეაგროვა [და] დადგა ბულს [კისერზე] განდგომის ზიანი და ჯართა და-მარცხება, რაც მისწერა კიდეც მეფეს და აცნობა: „ხოლო უკეთუ მომივიდეს წერილი სამეფო [კარიდან], დაბეჭდილი მეფის ბეჭდით და ჩაიწეროს მასში ბრძანება, რომ მოვიდე შენთან, ანდა წავიდე სამეფო [კარზე], არ გადავიდე მის ბრძანებაზე. ხოლო თუ ეს ასე არ იქნება, როგორც ვთქვი, უფრო მეტი ნახო [მასზე], რაც გინახავს — ბრძოლა და მახვილი“.

შემდეგ მათ ორივემ გაუგზვნენ შეფეს დესპანები სანდო კაცთაგან... მისწერეს და აუწყეს შეფეს, რაც რამ მოიმოქმედეს და როგორ დაამარცხეს სა-შეფეო ჯარი. დაჯდა ორივე მხარე დიდი სიტრთხილით თავისი თავის დასაცავად. უსმინეს ერთმანეთს, [რომ] არ გასულიყვნენ საბრძოლველად, სანამდის მოვიდონენ შეფისაგან მოციქულები. როცა ისინი იდგნენ [და] ელოდნენ სამეფო [კარიდან] რაიმე ბრძანების მიღებას, მობრუნდნენ და მოვიდნენ სასწრავო მოციქულები. მოტრანე აუმუსეს შეფის წერილი, [რომ] გაღმოსულიყო მათ მორჩილებაზე და წასულიყო ბულასთან. ეწერა მასში ბრალის, ჯარის დახოცვისა და მრავალი ნადავლის მიტევება; აგრეთვე [იყო] ნათევამი სიმტკიცის ფიცი, ძღვენი საპატიოსა და დიდფასიან ტანსაცმელთა, ჩაფხუტი ყვავილისა და მახვილი, ოლონდ მოსულიყო სამეფო [კარის] სიტყვაზე და არ გამდგარიყო შეფის ნებათა გარეშე. მოეწერა ბულასათვისაც, რომ არ განეზრახა და მოემოქმედდებია რაიმე ბოროტება იმ კაცისათვის, არამედ გმოეტანებინა იგი შეფესთან დიდი პატივითა და კრძალვით.

ხოლო წაიკითხა თუ არა ალბანელთა მხედართმთავარმა შეფის წერილი, ისწრაფა [და] გადმოვიდა იმ მთიდან, მოვიდა და წადგა ბულს წინაშე. გერკიდე არ მიეღწია მხედართმთავართან, [რომ] მიაგებეს მას იარაღით შემურვილი და რჩეულ ცენტრიანი გუნდები. წააყვანინა მათ მასთან მეტად მორ-

თული და საჩინო რაში, მომლერალნი და მეხოტბენი და მრავალი მუსიკალური იარაღი წინ და უკან, სანამ არ შევიდა მათ ბანაქში. ცუდი რამ არ უთქვაშას ბუღას მისთვის და არც მოუხსენებია ის საქმეები, რომლებიც [მან] ჩაიდინა. მწუხარებაც არ დაჩინია თავის სახეზე, არამედ შეიწყნარა იგი მშვიდობით, სიყვარულით და ბრწყინვალე პატივითა და ძლვნით მეფის ბრძანები-სამებრ. ხოლო რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ წააყვანინა იგი მეფესთან და მასთან ერთად [გამზაგნა] შეჭრული ჯარისკაცთა და ცხენოსანთა გუნდები. მიღილა უშიშერი გამბედაობით, გამნენებული გონებითა და ზრახვით, თავისი სიმამაცის სიმტკიცისამებრ მხნე მოღვაწე აპუმუსე.

თავი X I

მსგავსადვე, ანდა უფრო საკირველად, სამგზის ნეტარი სოლომონი⁴², რომელიც სევორდად იწოდებოდა და კახა⁴³ ზენა სოფლელი, არ დაეთანხმენ მეფის სიტყვას და უცრიც არ დაუგდეს იმ ნიღველ-ნარევსა და მყრალ სიტყვებს, [რაც] დამსკდარი საფლავიდან გმოდენილ დამპალ სურნელებას [ჰგავდა], რომლითაც მრავალნი შეარყიეს ღვთის სჭულისაგან და ღვთის ძის თაყვენისცემისაგან. ისინი ეწამნენ მხნედ და პასუხი მისცეს მეფეს დიდი გამბედაობით. მოიმედეებმა მხოლოდ ერთი მეფეთა-მეფისა და უფალთა-უფლისა, ღვთისა ძის იქსოსი უთხრეს მეფეს: „უმჯობესია ჩვენთვის სიკვდილი ქრისტეს სახელისათვის, ვიდრე ვიყოთ შენთან. როგორი სიკვდილითაც კი გსურს, მოგვიღე ბოლო, მზად ვართ ყოველგვარი სატანჯველისათვის, რაც კი უსწავლება შენთვის ბოროტებათა მოძლვას, შენს მამას — ეშმაქს. ჩვენ არ განცუდგბით ქრისტეს სიყვარულს და არც გავშორდებით სამარადისო ცხოვრებას და არ გავხდებით მემკვიდრე სამარადისო ტანხვისა“. მაშინ გაცოლებულ შეცსახვით განრისხდა ის მძლავრი, გაემართა კრავებზე, რომ მძორებად დევყარა ისინი. ბრძანა, გაეკრაო ისინი პალოებზე ხელ-ფეხ შეკრული. მოატანინა ქაცვებინი ჯონი მათ საცემად, ხოლო [ისინი] მაღლობდენ ქრისტეს გამოუთმელსა და უხვად მომადლებულ ძღვენს, რომელმაც ღირსყო რაინი მომკვდარიყვნენ ქრისტეს სახელისათვის და მიეღოთ მოწამეობრივი გვირგვინი.

და სანამ ცოცხლები იყვნენ... უფრო ნეტად განრისხდა მეფე, ანთებულ სანთელივით იეგზნო. მოატანინა ძელი და დადგა მასზე ნეტარი სოლომონი, ხოლო ძელის ახლოს დაადგინეს წმინდა კახა, რომ ეგების ერთმეორის ტანჯვით შეშინდნენ და დაემორჩილონ მეფის ბრძანებასო... მაშინ გამოვიდა ბრძანება სამეფო [კარისისაგან], რომ იმავე ძელზე მოკლან წმინდა სოლომონი და ისრით განგმირონ იგი. მძლავრის ბრძანებისამებრ მიუშვეს მასზე მტარვალებმა ისრები. განუტევა სული ღვთის სადიდებლად ქრისტეს ნეტარმა მოკვაწემ. ბრძანა წმინდა კახს მახვილით მოკვლა. წაიყვანა მტარვალმა ეს წმინდანი, სცა ნეტარს [მახვილი] და მოპკვეთა მას თავი...

თავი X II

[ბუღამ] ტომ-ნათესავთა მიხედვით, სომეხ უფალთა რიცხვისამებრ, შეაღვინა ჯარისკაცთა შეჭრული, შეიარაღებული და მომზადებული გუნდები და დილაადრიან, ჯერ სანამ თითოეულ მათგანს ეძინა კარავში, გარემოადგა მათ ჯარი მახვილებით, ფარებით, შუბებითა და ანთებული სანთლებით. შევიდა შიგნით მათი მხედართმთავრის ბრძანებისამებრ, ღააღვა მათ ფეხებზე

ბორკილები რეინისა, დასვა [ისინი] იქტემებზე და ფაძრა სამარისკენ. ამათი სახელებია: უფალი სუშბატი — სპორტთა სპარაპეტი, გრიგოლ ჭურდიის ძე — მამიკონიანთა უფალი, ატრევერს — ალანელთა მთავარი, გრიგოლ — სივნიერის უფალი. საპლ სუშბატის ძე — შაქის უფალი, რომელმაც შეაბყრო ბაბანი, მთავარი ვასაკ — ვაიოც ძორის⁴⁴ უფალი. ფილიპე — სივნიერის მთავარი, ნერსეჟ — გარიბამანის⁴⁵ მთავარი, ესაია პუმუსე, რომელმაც მრავალი ბრძოლა გამართა, დარჩა მხოლოდ აშოტი, სპარაპეტის შვილი, მუშელი და სუშბატი⁴⁶, მათ აშოტისა, რომელებიც დატოვა ბულამ მათი ქვეყნის საპატიონო წინააღმდეგი ერთგულებისათვის მათი მამისა, მეფისა და შენდართ — მთავრისადმი, რადგანაც წავიდა მათ ნებაზე მთელი ძლიერებით თავისი გონებისა.

თავი X III

ამავე დროს [მათ], რომელებიც დარჩენილიყვნენ არწრუნთა სახლიდან, როვორც კი ესმათ სამეფო ჯარის დამარცხება წანართაგან, მოვიდნენ ერთ ადგილს, შეადგინეს გუნდი ქვეით თანამებრძოლებისა უბრალო ხელის მასათან ერთად, [სადაც] დაითვლებოდა 4000 კაცი. დაადგინეს თავიანთ წინამძღვრად პუჭაფრ არწრუნი და მასთან ერთად საპაკ პუმედემი, პუჭაფრის დისტული, კაცი მხნე და მეომარი... ოთხი წლის გასკლის შემდეგ, როდესაც უფალ ზაქარიას ეპირა სომეხთა კათალიკოსობის სამამამთავრო⁴⁷ საყდარი, მობრუნდა ვასპურაკანის მთავრის აშოტის ძმა გრიგოლი აფხაზთა ქვეყნიდან, მათი შემწეობით და ქართველთა ჯარის ჩრეულებით მოვიდა [და] შემოვიდა ვასპურაკანის ქვეყანში, რათა გაემართა ბრძოლა გურგენთაბ⁴⁸, მაგრამ, რომ შეიტყო იმ ჯარმ, რომელიც მასთან ერთად მოსულიყო, მისი მხნე მამაცობა, ამა თუ იმ მიზეზით გაბრუნდა [თავის] ადგილს.

ხოლო გრიგოლი, როცა ვერ შეძლო მისი წინააღმდეგობის დაძლევა, ალაპარაკდა მასთან შშვიდობითა და სიყვარულით. გაიყვეს ქვეყანა ორად და ჩამოაგდეს ურთიერთშორის შშვიდობა.

თავი X IV

ამის შემდეგ გავიდა [და] წავიდა, მიპართა, რომ მიმოევლო ბერძნული მხარეები...

და როცა მან მიაღწია თეოდოსის ქალაქს ქარინის კუთხეში, მიაღწია მისია ამბავშა კეისართა — საბერძნების მეფე მიქეალთან. ჩქარობდა იგიც, რომ მოსულიყო მასთან დაუყოვნებლივ, რომ მიენიჭებია მისთვის ვიპატიოსობის დიდი პატივი და დაეგილოდებია ჭრის სახის ღროშით. როდესაც ამ საქმეს განიზრახვნენ, მიეიდო მასთან ორი ქალაქის თავი, ერთი სახელად შშირი და მეორე — ზიქრი. შეაბყრეს წმაყვნად იგი სპარაპეტის შეილთან — აშოტათან. იგი თუმცა შეწუხდა მომხდარი ამბის გამო, მაგრამ მაინც შიშობდა [იმისთვის], რომ გაეშვა იგი წასასულელად. ერიდებოდა ბოროტის მაძიებლის ისმაელის, ტომ-ნათესავისა, რადგანაც ჭრ კიდევ მძლავრობა სულულა და ტყვეებიც და მამა მისიც — სპარაპეტი სამეფო [კარზე] იყვნენ. შეატყობინა ტფილისის ქალაქისთვის და სთხოვა მასთან [მოსვლა]. აიძულებდა და აჩქარებდა შიშის მოგვრით, დაეტოვებია ქრისტიანთა ჩული და წასულიყო მოსვენებით. მან სასაცილოდ აიღდო იგი, იირჩია ბორკილი და საპყრობილე, აგრეთვე ქრისტესათვის სიმნით სიკვდილი, ვიდრე სინდისის მქენენავი სიცოცხლე.

შაგრამ რადგანაც სომხეთის ქვეყნის ზედამდგომლობა მინდობილი ჰქონდა აშოტს, რომელიც ერისთავთერისთვი [იყო], ხელი მისყო [მან] სომხეთა, ქართველთა და ოლბანელთა მთავრების დამორჩილებას.

თავი x v

როცა ბუღა დაბრუნდა სამეფო [კარზე], იყო იგი წარბ-შეკრული, გა-
ბერილი [და] გასიებული, სავსე სილალით. ამაყობდა ჩაგრძნილი დიდი საქმეე-
ბით, ფიქრობდა თავის ძალით განმტკიცებას სომხეთის ნაოხარზე და დაცვიშ-
ებით, [რომ ეს იყო] ჩვენი ცოდვების სანაცვლო უფლისაგან...

[ამბავი] ისმაელის ძის საპარის ცოლისა, რომლის შესახებ ვითარება [უკვე]
ვაჩვენეთ: სიკვდილი საპარისა და საქვეყნი ბერშაობა მისი ცოლისა, [და] რა
მიჩინისათვის მოიკლა მასი ქარი, დაწვრილებით უაშეს ტაჭიფა მეთაურს
ჯაფარს. ხოლო მან ჩვეულებისამებრ გულის წადილის მოყვარე [და] უწმინ-
დურებით აღსავს გაუმაძრობით მოისურვა განძვინვარებულმა, მხეცებრ
ჭარბად აღვისლმა გვსლით [და] დამწველი აღით აგზნებულმა, დაენთხია სა-
სიკვდინე გესლი ბუღაზე. განცხადებულად არ სურდა აესრულებია ის, რაც
უნდოდა.

ჯერ ერთი, დიდად სახელოვანი [და] გამარჯვებული საქმის გმო თავისი თა-
ვის უკედრებად მიიჩნია [იგი] და მეორეც — რაზმის სიძლიერის გამო. შემ-
დეგ გაგზავნა იგი ხორასანის [და] მიანდო მას იმ ქვეყნის ზედამდგომლობა. თვით
ჯაფარი კი ცდილობდა ნელ-ნელა მოეცილებია მისთვის ჯარი, სოფელ-
სოულ გაშლილი ლაშქრობის გზით. მაშინვე მიაღწია ბრძანებამ ფარულად ზო-
გიერთისამდე — მოელოთ ბოლო მისი სიცოცხლისათვის და მართლაც ნაბრ-
ძანევი მოიყვანეს სისრულეში.

თავი x x i i

როგორც ზემოთაც მოკლედ აღვინიშნეთ აპატის შესახებ, [მან] დაიწყო
ტარონის ქვეყნის დაპყრობა და გამორიშავდა სომხეთის სამთავროს. სუმბატი
მრავალჯერ სწერდა აპატს, დაეტოვებინა ახლავე ის ქვეყანა და გადაეცა და-
ვით მთავრის შეილის აშოტისათვის. აღუთვამდა მას სომხეთის პაზარპეტო-
ბას სამეფო [კარის] ბრძანებით [და აგრძელე] სომხეთის მორჩილებას. მაგრამ
აპატმა ყური არ დაუგდო ნათევამს, შეურაცხყოფილმა ნამოციქულევით.
მაშინ მეფემ დესპანები დაგზავნა სომხეთის სამფლობელოს, საქართვე-
ლოსა და ოლბანეთის საზღვრებში მოქალაქებთან, პაზარპეტებთან, მხა-
რეთ-მცყრობელებთან და [ყველა მათთან], რომლებიც სიყვარულით მის
მორჩილებას ხარქს უხდიდნენ. მოვიდა [და] მოაღწია მასთან ქართველთა
მთავარმა ატრნერსებ. და, როგორც იტყვიან, შეკრებილი ჯარის რიცხვი
100000-მდე იყო. წავიდა ბზნუნიქის ზღვის ნაპირით, აპატუნიქის კუთხით და
დაბანაჯდა ვდინარის ნაპირას, რომელიც მოდის აღნიერის ხევიდან, რომ შე-
იტყო მისი მოსვლა, აპატმა შემოიქმიბა თავისი ოლქის ჯარი შუამდინარეთი-
საცა და გეთელნიც, და მოვიდა [და] მოაღწია მის პირდაპირ.

თავი x x v i i

იმ დროს სომხეთა მეფემ სუმბატმა შეკრიბა ჯარი აპატუნიქის ქვეყნის
[წინააღმდეგ], (რადგანაც აბდარაპენის შეილები, რომლებსაც კაისიკები ერ-



ქვათ, გამდგარიყვნენ მეფის სამთავროსაგან), რომ მიეცათ ხარჯი და შეკვეთულის დღებულიყვნენ როგორც წესი იყო. სომხეთის, საქართველოსა და ალბანეთის თითქმის ყველა მთავარი მოსულიყო სომხეთის ჭართან აპაპუნიქის ქვეყნის [წინააღმდეგ]... და თვით დაბრუნდნენ დიდი გამარჯვებით [და] უზომთ სიხარულით. მოხდა ეს სომებთა წელთაღრიცხვის ტნა (351) წელს და სომებთა კათალიკოსის ითანეს მამამთავრობის მე-4 წელს.

“უცნობი ავტორი

„არწილეთა სახლის ისტორია“

თავი I I

ხოლო აფშინი გამოვიდა სომხეთის ქვეყნიდან უსაზღვრო ჭარითა და იარაღით, მოვიდა [და] მიმართა სუმბატს. ლტოლვილიყო [იგი]. ძლიერ დააღწია თავი. [და] გადავიდა ქართველთა ქვეყანაში, იქიდან [წავიდა] და დაიპყრო ქარის ციხე; გააღო საუნჯეთა საცავი სახლები [და] წაიღო მრავალი ნადავლი.

თავი I I I

გამოიძიებდა მისგან მეფებისა და დიდი თანამდებობის მთავართა სახლსა და ტახტს, თოთოეული ქვეყნის საზღვრებს, დაწყებული მძრეოთიდან და სპარსეთიდან, ურიასტანიდან და იერუსალემიდან, სირიიდან და ეგვიპტიდან, საბერძნეთიდან და ჰინდოეთიდან, მთელ სომხეთს, ალბანთა და კასპიის კარამდე, რომელიც იყო მეფეთათვის ფრიად მშვენიერი და ჰპოვა იგი ყოველ მხრივ მეცნიერი და გონიერი.

თავი I V

იმ დროს ქერ კიდევ ძალით ფლობდა სპარსეთსა და სომხეთს აპუსაჭის შევილი იუსუფი, რომელმაც ვერ შეძლო ვაეძლო მეფის სიმხნისა და სიბრძნისათვის; მიატოვა მხეცებრივი ბოროტი საქმე [და] დაუბრუნდა მშვიდობიანობისა და სათნოების სიყვარულს. მისცა მეფეს ხელთ სომებთა და ქართველთა ქვეყანა, დასდო საშვიდობო აღოქმა [და] წავიდა სპარსთა ქვეყანაში.

თავი I X

ხოლო სუმბატის ძე აბასი, გაამაყებული წამოვიდა [და] მიერიდა ქალაქ ვალარშაპარის ველზე. მან მოისურვა სომხეთის დიდ მეფეზე გაგიკზე იდრე პირადად თვით ჩაედინა სასიქაღულო საქმე. ხოლო, რაღაც უცხო გვარის კაცმა იცოდა მის შესახებ, რომ არ იყო იგი გამოცდილი ომში, წიმოვიდა მასზე მცირედი ჭარით, დაამარცხა იგი და უკუაქცია. გასცვითა ბასრი მახვილით ისის ჭარის 400-მდე კაცი, აიღო ჭარისა და ქვეყნის მკვიდრთაგან ნატყვენავი, ცეცხლს მისცა მთელი ქვეყანა, მიიქცა ქალაქს დიდი გამარჯვებითა და მრავალი ნადავლით, აბასი კი ამიერიდან გაიქცა, ძლიერ დააღწია თავი [და] გადავარდა ქართველთა ქვეყანაში.



- ერთად წაიყვანა ბალდაღს, სადაც მისცეს წინადალება უარეყო ქრისტეს რგულუაზე მოწვევის ამჟერებაზე განაცხადა, გარდაიცალა იქ 855 წ., რის გამოც აღმსარებელი ეწოდებოდა მის აღმართობის დროის დამატებითი მიზანი.
30. ო რ თ პ ლ ა ბ ა ს ი — იგივე უნდა იყოს, რაც აბლაბისი, ამ სახელით ცნობილია სუმბატ სპარაპეტი. „ქართლის ცხოვრებიში“ მოხსენებულია „აბულბაზ სომეგთა ერისთავი“.
31. ა შ ო რ ი — აშორ I ბაგრატუნი, მეფე, შეიღო იყო სუმბატ სპარაპეტისა, მთავართა-მთავრად დაგრინის 859 წ., ხოლო მეფედ — 885 წ. გარდაცალა 891 წ.
32. ფ ა ი ტ ა კ ა რ ა ნ ი — ტულისის სახელწოდება, დახლოებით IX—X საუკუნეებში. ამას მოწმობს სომხურიან ქველად ქართულად ნათარგმნი უწამებად... არისტაესი, ორთა-ცისი, ისიძისი, გრიგორისი და დანიელისი“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქველი სომხური ხაისტორიო მწერლობა, I, ტუ., 1935, გვ. 29).
33. ს ა რ ა კ — ტულისის ამირა, ხალიფის ურჩი მოხელე, რომლის დასასჯელად თბილის რამ-დენჭერებ მოაღვა არაბთა ფარი, უკანასკნელად ბუღას სარდლობით.
34. კ ი რ ა ქ ი — ქართული წყაროებით ზირაქი, არაბთა სარდალი, ბუღას ხელქვევითი.
35. გ რ ი გ რ რ ა ს ი — ლეგენდარული გამდიცემით გრიგოლ სომეგთა განმანათლებლის შეი-ლიშვილი იყო. სომხური სისტორიო წყაროებით ჯერ ეპისკოპოსი იყო აღმანეთისა და ქართლის, შემდეგ კი აღბანთა კათალიკოსი. მოყლეს 337 წ.
36. კ ა რ ა ნ ი ს ი — გრიგორ გამმანათლებლის შეიღლი, კათალიკოსი (331—341 წწ.).
37. კ ა რ ნ ი ა ნ ი ს კ ე ლ ი — მოსე ხორენელის ცნობით კაპიის ზღვის ახლოს მდებარეობდა.
38. გ ა გ ა რ ე ლ თ ა ვ ე ლ ი — შევლი სომხეთის ჩრდილოეთთა და ქვემო ქართლის აღმო-სავლეთთა მდებარე უტის ქვეყნის ველი, საღაც მდებარეობდა ქალაქი ბარდავი. სომ-ხური წყაროების მიხედვით გაგარენი აღბანთა ტომთავანი არიან.
39. ქ თ ი შ ი — აღმანეთის სამხრეთი საწილში (ტრიში) მდებარე მთა.
40. ს ა ტ ი კ ა ნ ი — არაბთაგან სომხეთში დაგენერილი მმართველის სახელწოდება, სიტუა-ტუაზურია, რომელიც ნიშნებს სარწმუნოს, სანღლოს.
41. გ უ შ ე ლ ი — შეიღლი სუმბატ სპარაპეტისა.
42. ს ო ლ ი მ ა ნ ი — თანამწიმე ქახისი, სოლომონ სევორდიელი, სევორდიელობიდან ჩანს, რომ იგი უტიინი იყო, არაგანაც ამ სახელწოდების ხალხი უტიაში მცხოვრებ ხალ-ხაღ ისხევინება სომხურ სასტორის მწერლობის.
43. კ ა ხ ა — კოსტანტინე-ჯიხი, ქართველი ერისთავი. ატენის სიონის 853 წლის წარწერიდან ჩანს, რომ იგი შეიძირა ზირაქმა 853 წ. 26 ავგისტოს. თომა არწიუნის ცნობით და ქართულა არსებული კონსტანტინე-ჯიხის წმინდა წიგნით იგი უწამებით არაბებს ქა-ლაქ სამარაზი. თომა არწიუნი კახას ქართველობაზე არაფერს არ ამბობს. მისი გად-მოცემით, იგი „ზენა სოლულია“, ხოლო ქართლი წამების წიგნის თანხმად, იგი „იყო... ქუეყანასა ქართლისასა სანახებას ზენა სოლულისასა... რომელსა ეწოდა კა ი ნ ი მამულისა მის, ქუეყანასა“. მასაქი არმანისი, რომელმაც არ იყოდა ქართული წყა-რობის არსებობა, კახას შესხებ, იგი სომხეთი გვინია და სომხური ეკლესიათვეის თავდაღებული. წრობედ ამიტომ უკვირს, რომ სომხურმ ეკლესიაზ არ დაუწესა მას სახელწერებლი და სემს საყოთხს, რომ სხვა დაეიშვებულ წმინდანებთან ერთად დაწეს-დეს კახას სახელწერებლიც (იხ. Մ. Օրբაშვილ, Ազգოւათოւ, გვ. 739).
44. ვ ა ი ო ც ძ ო რ ი — სიენითის ხეობათაგანი. „ძორი“ (ძორ) = ხევი, ხოლო „ვაიოც“ (ვაյაც) = გოდებათა, ვაებათა, ე. ი. „გოდებათა ანუ ვაებათა ხევი“. საფიქტებელია, ასეთი სახელწოდება ამ ხევს აქ მომხდარი რაიმე დიდი უბედურების გამო შეერქვა.
45. გ ა რ ი თ მ ა ნ ი, ა ნ უ გ ა რ დ მ ა ნ ი — კუთხე იყო უტიაში.
46. ს უ მ ბ ა ბ რ ი — შეიღლი სუმბატ სპარაპეტისა.
47. ზ ა ქ ა რ ი ა — ზაქარია I ბაგრელი, სომეგთა კათალიკოსი 854—876 წლებში.
48. გ უ რ გ ე ნ ი — გასპურავანის მთავარი, რომელსაც სამფლობელოს ეცილებოდა ვასტურა-კანის მთავრის აშორის ძმა გრიგოლი.



Е. В. ЦАГАРЕЙШВИЛИ

СВЕДЕНИЯ ТОВМЫ АРЦРУНИ И АНОНИМНОГО ИСТОРИКА О ГРУЗИИ

(Грузинский перевод с исследованием и комментариями)

(Р е з ю м е)

В работе собраны и переведены на грузинский язык сведения о Грузии, имеющиеся в сочинениях армянских историков X века — Товмы Арцруни и анонима. Перевод с армянского на грузинский язык, выполнен впервые и сопровождается предисловием и комментариями.

Изучение сведений Товмы Арцруны и анонима, а также сличение их с другими армянскими и грузинскими источниками дали возможность автору работы по-новому рассматривать некоторые вопросы политической и экономической истории Грузии.

გ. ვან ესპროპის გამოკვლევები ჩართულ „მრავალთავებზე“

უკანასკნელი წლების მანძილზე როგორც ჩვენთან, ასევე საზღვარგარეთაც საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი ქართული „მრავალთავებისადმი“.

„მრავალთავი“ ჰომილეტიკური შინაარსის უძველესი ლიტურგიკული კრებულია. დღეისათვის ცნობილია ქართული „მრავალთავის“ რამდენიმე შესანიშნავი ნუსხა, რომელთაგან უძველესი VIII საუკუნით თარიღდება. „მრავალთავის“, როგორც კრებულის ჩამოყალიბება, ქართული მწერლობის განვითარების ადრეულ პერიოდში — V—VII საუკუნეებში — იყარაუდება. მა კრებულებმა შემოგვინახა ქრისტიანული ეკლესიის „წმიდა მამებისა“ და მრავალი ცნობილი ბიზანტიელი ავტორის ჰომილია, მათ შორის: იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნაზიანელის, გრიგოლ ნისელის, ფრიდემ ასურის, ეპიფანე კვიპრელის, შელეტი ანტიოქელის, სევერიანე გაბალონელის, ამონიოსის, კირილე იერუსალიმელისა და სხვათ. უფრო გვიან „მრავალთავებში“ შეიტანეს ქართველი ავტორების ჰომილიებიც (იოანე ბოლნელის) და ჰომილეტიკურ მასალის დაურთეს აგიოგრაფიულიც (როგორც ნათარები, ასევე ორიგინალური).

შორელი წლის საუცლლ და დიდ დღესასწაულთა ჰომილიების შემცველი „მრავალთავები“, როგორც წესი, დიდი ფორმატის ხელნაწერებია და, ჩვეულებრივ, ისინი კათედრალური ეკლესიებისა და დიდი მონასტრების საკუთრებას წარმოადგენნდნენ¹.

„მრავალთავებში“ დაცული ტექსტები მრავალმხრივ იზიდავს სპეციალისტთა ყურადღებას. პირველ რიგში, როგორც უძველესი ქართული მწერლობის ნიმუშები ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, როგორც უძველესი თარგმანები ბერძნული ჰომილიებისა, რომელთა ორიგინალები, რიგ შემთხვევებში, დღეისათვის დაკარგულად ითვლება. ზოგჯერ ქართული „მრავალთავების“ მასალა ჰომილიის შედგენილობის თვალიდირველ სახის აღდგენისა, ან მისი ავტორის დადგენის საშუალებას იძლევა. ყოველივე ეს დიდად ზრდის მეცნიერთა ინტერესს ქართული „მრავალთავებისადმი“. ამიტომ მათ გამოქვეყნებასა და შესწავლას კარგა ხანია შეუდგნენ ცნობილი ქართველოლოგები და ორიენტალისტები.

¹ მელქისედეკ კათალიკოსმა 1040 წელს მრავალ ხელნაწერთან ერთად სვეტიცხოველს უსწირა „სათანაო მრავალთავი“ (ა. შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა, თბილისი, 1959, გვ. 289), ხოლო გრიგოლ ბაკურიანისძემ მის მიერ დაარსებულ პეტრიწონის მონასტერს შესწირა „წიგნი ერთი დიდ მრავალთავი“ — ბერძნული რედაქციის მიხედვით: მთბერის ტალიანის (ა. უანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტაძირონი, თბ., 1971, გვ. 119; გვირგვა, მიზანიერი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩეშვილის რედაქციით, ტ. 5, თბ., 1963, გვ. 242).



ნ. მარი იყო პირველი, რომელმაც გადაწყვიტა „მრავალთავების“ მთლიანობის შემთხვევაზე. მან გამოაქვეყნა კიდეც ათონის „მრავალთავის“ პირველი ნაკვეთი ფრანგული თარგმნით².

1927 წელს აკ. შანიძემ გამოსცა უძველესი ქართული კრებული — „ხან-შეტი მრავალთავი“³. კრებული ძალზე ნაკლულია, მაგრამ ეს მანც არ მცირებს მის დიდ ღირებულებას.

მოგვიანებით აკ. შანიძის რედაქციითვე გამოვიდა 864 წლის „სინური მრავალთავი“⁴.

„მრავალთავების“ მიხედვით უძველესი ავტორებისა და მათი შრომების წყაროთა შესწავლას საფუძველი ჩაუყარა აშ განსვენებულმა პროფ. ილ. აბულაძემ. ამ კრებულებში შემონახულ საკითხავებს ივე ძირითადად სწავლობდა სომხეულ წყაროებთან შეპირისპირებით.

გარდა ქართველი მეცნიერებისა, ქართული „მრავალთავებით“ დაინტერესებულია მხარეალი უცხოელი ქართველოლოგი. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბელგიელი მეცნიერების — ეურარ გარიტისა და მ. ვან ეს-ბრკის ღვაწლი.

1971 წლიდან მოყოლებული მ. ვან ესბრკი სისტემატურად ქვეყნებს ქართულ „მრავალთავებში“ დაცულ ტექსტებს ლათინური თარგმანებითურთ. საკითხებს თან ერთვის გმირებულები, რომლებშიც მეცნიერი ეხება ამ თხზულებათა ავტორების საკითხს, რედაქციებს, მათ წყაროებს და, ამრიგად, ცდილობს სრულად განიხილოს მთელი რიცი საკითხებისა, რომლებშიც „მრავალთავების“ სტატიათა შესწავლისას წამოიჭრება.

ჩვენ პირველად შევეხებით მის ნაშრომს მელიტონ სარდელის ერთი პომილის შესახებ⁵.

1963 წელს რ. ბლეიკის ათონურ ხელნაწერთა კატალოგში მ. რიშარმა აღმოაჩინა მელიტონ სარდელის აღდგომისაღმი მიძღვნილი თხზულება⁶.

² Le Synaxaire géorgienne, rédaction ancienne de l'union arméno-géorgienne, publié et traduit d'après le manuscrit du couvent Iviron du Mont Athos, par N. Marr: Patrologia Orientalis, t. XIX, fasc. 5, Paris, 1926, გვ. 629—743.

³ ა. კ. შანიძე, სანქტ-პეტერბურგი, თბილისის უნივერსიტეტის მთამბე, VII, 1926.

⁴ ა. კ. შანიძე, სინერგიული მრავალთავი...

⁵ ი. აბგულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო, თსუ შრომები, ტ. VI, თბ., 1938, გვ. 329—347; ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები; „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო: III. „მარტკოლაძე თეკლავის“, „ენიმეის მთამბე“, ტ. VIII, თბ., 1940, გვ. 71—137; „მრავალთავი“, „ენიმეის მთამბე“, XIV, თბ., 1944, გვ. 241—316; ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო, IV, მარტკოლაძე ორმეტოა. ხელნაწერი. მთამბე, № 4, თბ., 1962, გვ. 111—114; ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო, V, სებერიანე გაბალვნელი: მოცემულთა საქანიერებელი. ხელნ. ინტ. მთამბე, ტ. V, თბ., 1963, გვ. 85—102; ძეგლი ქართულის ლექსიკოდან: 8. სინერგიული მრავალთავის „არშებრ“ და „მხერვალი“. ფილოლოგიური ძეგლი, I, თბ., 1964, გვ. 61—66; ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო. VI, მარტკოლაძე ანდრიანცისა და ანატოლის. ტექსტები, გამოკვლეული. კრებული — „ძეგლი ქართ. მწერლობის ოთხი ძეგლი“, თბ., 1965, გვ. 171—236.

⁶ M. van Esbroeck, Le traité sur la Pâque de Méliion de Sardes en géorgien, Le Muséon, 84 (1971), გვ. 373—395.

⁷ M. Richard. Rapport sur une mission d'étude en Grèce et à Chypre. Institute de recherche et d'histoire des texts, Bulletin № 13, 1964—1965, გვ. 50.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკი

შელიტონ სარდელის ამ პომილის პირველი ნაწილი, „ათონის მრავალთავი“ თავში¹⁰ დაცული, 1967 წელს გამოქვეყნა ი. ბერძოლმა¹¹.

„ათონის მრავალთავის“ შესწავლის შედეგად მ. ვან ესბროკი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ქრებულის საკითხავი „ჯუარცუმისათვს უფლისა“ (ბლე-იკის აღწერილობის № 24)¹², რომელიც ითან იქრიბის მიეწერბა, წირ-მოადგენს მელიტონ სარდელის ზემოთ აღნიშნული საკითხავის გაგრძელებას. მ. ვან ესბროკის აზრით, „ათონის მრავალთავი“ ერთადერთი ხელნაწერია, რომელშიაც სრულად არის შემონახული მელიტონ სარდელის ეს საკითხავი. ამ ლიტურგიკული ხასიათის კოლექციაში მელიტონ სარდელის პომილის ორივე ნაწილი მოთავსებულია 34-ე და 32-ე ადგილებზე.

ერთი და იგივე საკითხავის ორ დამოუკიდებელ ნაწილად არსებობა მკელევარს აფიქრებინებს, რომ ამ მოვლენის საფუძველი საჭიროა ბერძნულ პატირუსებში დაიძებოს.

მელიტონ სარდელის თხზულების ქართული თარგმანის წყაროს დასაღ-გენად მ. ვან ესბროკი ქართულ ტექსტს უდარებს ბერძნულ, სირიულ და სომხურ ვერსიებს, რის შედეგადაც დასკვნის, რომ ქართული თარგმანი სომ-ხურიდან უნდა მომდინარეობდეს.

ბელგიელი მეცნიერის მეორე სტატია შეეხება კვლავ მელიტონ სარდე-ლის საკითხავის ახალ ფრაგმენტებს¹².

„კლარჯულ მრავალთავში“ (A-144, X საუკ.) შემონახულია ერთი თხზუ-ლება, რომელიც ქ. ათანასე ეპისკოპოს მიეწერება: „საკითხავი თხზული ათა-ნასე ეპისკოპოსისა კეშმარიტებისა წმიდისა ჯუარისათვს და რომელსა ზედა იცნო ქრისტეგმან“ (გვ. 208v—212v). პომილის შესწავლის შედეგად დადგინ-და, რომ ეს ნაწარმოები არ მიეკუთვნება ათანასე ეპისკოპოსს, იგი ძალზე დამოკიდებულია მელიტონ სარდელის თხზულებაზე „სულსა და ხორცზე“. ქართული ვერსიის წყაროს დადგენის მიზნით, მ. ვან ესბროკი ამ საკითხავის ტექსტს უდარებს მელიტონ სარდელის თხზულების ფრაგმენტებს, რომელ-ბიც შემონახულია ედესის კრებულში (VI საუკ. ბრიტანეთის მუზეუმის № 729 სირიული ხელნაწერი) და მელიტონ სარდელის თხზულების კვლა-გადამუშავებას, რომლებიც ცნობილია ალექსანდრე ალექსანდრიელის, ათა-ნასესა და ეპიფანეს სახელით. კვლევისას ავტორი ასევე ითვალისწინებს ამ თხზულებათ თეოლოგიურ მხარესაც. სხენებული საკითხავის განხილვის შე-დეგად ბელგიელი მეცნიერი აღნიშნავს, რომ კვლევის ამ ეტაპზე ვერაცხო-ბით ძნელდება იმის დადგენა, რომ „კლარჯულ მრავალთავის“ 208v—212v გვერდებზე მოთავსებული ტექსტი წარმოადგენდეს ერთი მთლიანი თხზულე-ბის ფრაგმენტს. იგი ჩვენ ყურადღებას მახვილებს მ. რიშარის ერთ წერილ-ზე, რომელშიაც ფრანგი მეცნიერი ვარაუდობს, რომ „კლარჯულ მრავალ-თავში“ მოთავსებული ჩვენოვის საინტერესო ტექსტი შესაძლებელია წარმო-ადგენდეს მელიტონ სარდელის ორი თხზულების ფრაგმენტს, რომელთაგან

¹⁰ I. N. Birdsall, Melito of Sardis, *Περὶ τοῦ πάσχα* in a georgian version, Le Muséon, 80 (1967), გვ. 121—138.

¹¹ R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la laure d'Iviron au Mont Athos, dans Revue de l' Orient Chrétien, 28 (1931—1932), გვ. [61], n°. 24.

¹² M. van Esbroeck, Nouveaux fragments de Méliton de Sardes dans une hymélie géorgienne sur la Croix, Analecta Bollandiana, 90 (1972), გვ. 63—99.

ერთი, თავნაკლული, არის საკითხავი „სულსა და ხორცე“ (209r—211v), მე-
ორე კი — წმ. ჯერისაღმი მიძღვნილი ჰომილია (208 v და 212 rv).

მ. ვან ესბროეს მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად დადგენილია,
რომ მის მიერ განხილული ჰომილის ავტორია არა თანასე ეპისკოპოსი,
არამედ მელიტონ სარდელი და ქართული თარგმანის წყარო მხოლოდ და
მხოლოდ ბერძნულია.

მესამე ნაშრომში ავტორი განიხილავს „კლარჯულ მრავალთავში“ შემო-
ნახულ „მიძინების“ ახალ პოვრიტის¹³.

„კლარჯული მრავალთავი“ თავისი შედგენილობითა და შინაარსით ძა-
ლზე საინტერესოა. მასში ურცად არის წარმოდგენილი ლიტურგიული
წლის მეორე ნაწილი. კრებულის აგებულება და მასში შემავალ თხზულება-
თა რიგი, შენიშვნას ავტორი, ასახეს პალესტინურ-ქართული კალენდრის
რიგს, რომელსაც შეესაბამება იოანე-ზოსიმეს კოლენდარიც.

„მიძინების“ დღესასწაული „კლარჯულ მრავალთავში“ წარმოდგენილია
შვიდი საკითხავით: ერთი განეკუთვნება 13 აგვისტოს, მეორე — 14 აგვის-
ტოს და ხუთი უკანასკნელი — 15 აგვისტოს. ანალოგიური მონაცემები, ავ-
ტორის აზრით, ყველაზე უფრო ხშირი დამახასიათებელია იმ ეპოქისათვის,
რომელიც წინ უსწრებს წმ. მიწაზე (პალესტინურში) ლოთისმსახურების ბიზან-
ტინიზაციას.

ავტორი ამ ნაშრომში ეხება მხოლოდ ერთ პოკრიფს, რომელიც 13 აგ-
ვისტოს განეკუთვნება: „აგვისტოსა იგ, კრებად ბეთლემს, ოდეს მოციქულთა
ღმრთისამშობელი <ბეთლემით> სიონდ წარპევანდა. საკითხავი თქმული
იერემია წინასწარმეტყველისათვის. სახლ კიდობნისა ძუელისა და ახლისა
შეულისა“. მისი აზრით, იერემიას აპოკრიფი თუმცა კი მოთავსებულია 13 აგ-
ვისტოს, მაგრამ თავისი სათაურით იგი უფრო მიძინების დღესასწაულს გა-
ნეკუთვნება. ჰომილის შინაარსი იმდენად ახლოსაა კათეზმასა და შობის თე-
მასთან, რომ შესაძლებელია ბერძნული ლექციონარის მონაცემების მიხედ-
ვით იგი მიიჩინით 15 აგვისტოსათვის განსაზღვრულ ტექსტულ. ამ პოკრი-
ფის მე-9 პარაგრაფში, მართლაც, დადასტურებული ერთადერთი ციტატა
ფსალმუნიდან, რომელიც ბერძნულ ლექციონარით სწორედ 15 აგვისტოს მი-
ეკუთვნება (ფს. 131,8). მაგრამ ამისდა მიუხედავად, ავტორი აქვე აღინიშნავს,
რომ მხედველობაშია მისალები ის გარემოებაც, რომ VI საუკუნის შემდეგ
„კათეზმას“ ძველი დღესასწაული 15 აგვისტოდან გადმოტანილ იქნა 13 აგ-
ვისტოს, ასევე იგი ჩაწერილი თვით ქართულ კალენდარსა და ჰომილიებ-
შიც.

ჩვენთვის საინტერესო თხზულების ავტორი საკუთარი ნწარმოების
შექმნისას ყყრდნობა როგორც იერემიას ცხოვრების ფსევდო ღოროთე ტი-
რელისეულ რედაქციას (BHG 1586), ასევე ფსევდო ეპიფანეს რედაქცია-
საც (BHG^a 778e).

სტატიას ერთვის ზემოთ შესწავლილი ჰომილის ქართული ტექსტი ლა-
თანური თარგმანით. აქვე გათვალისწინებულია ასევე იერემიას ცხოვრების
შექმნისეული გამოცემაც (გვერდების მითითებით), რათა მცითხველისათვის
ნათელი გახდეს, თუ როგორ არის გამოყენებული ხსენებულ თხზულებაში
იერემიას ცხოვრების ტექსტი.

¹³ M. van Esbroeck, Nouveaux apocryphes de la Dormition conservés en géorgien,
Analecta Bollandiana 90 (1972), გვ. 363—369.

ნაშრომში ავტორი განიხილავს „მიძინების“ ორ აპოკრიფს, რომლებიც შემონახულია „კლარჯულ მრავალთავში“ (A—144): — არასრული გვ. 201—202... 203... და თავნაცლული აპოკრიფი გვ. 204—205.

„მიძინების“ საკითხავთა ყველა არსებულ წყაროთა გაცნობის შედეგად და მას შემდეგ რაც ავტორისათვის ხელმისაწვდომი გახდა „მიძინების“ ეთიობური საკითხავების კრებული — Liber Requiel — ავტორი გამოთქვას ვარაუდს, რომ ქართული „ტრანზიტუსი“ მისდევს ეთიობურს; ქართული თარგმანის შესწავლა აფიქტებინებს, რომ იგი შესრულებული იყო ბერძნულიდან, თვენაცლული აპოკრიფის წყარო კი სემიტური ჩანს, კერძოდ — ეთიობური. ნაშრომის დასასრულს ვატორი აღნიშვნას, რომ ქართული აპოკრიფების წყაროს დასადგნად ჭრ კდევ საჭიროა ზემოთ ხსნებული აპოკრიფების ეთიობური ტექსტების დაწვრილებითი შესწავლა, რაც მხოლოდ მათი გამოქვეყნების შემდეგ გახდება შესაძლებელი.

1973 წლის ბოლოს გამოქვეყნდა მ. ვან ესბროკის სტატია ღმრთისმშობლის გენეალოგიის შესახებ¹⁵.

ავტორი აქ განიხილავს „პარხლის მრავალთავში“ (A—95) მოთავსებულ ერთ საკითხავს, რომელიც 2 თებერვალს განკუთვნება: „თქუმული მიმათ-მთა-გართა სახახებისაგან სულისა წმიდასა მიერ მთხ და ლუკასაგან საკითხავი“. წყაროს გარევევის მიზნით, ავტორი ამ საკითხავს უდარებს ღმრთისმშობლის გენეალოგიებს, რომელიც შემონახულია ბერძნული, სირიულ და სლავურ ენებზე, ესენია: 1. იულიუს აფრიკელის წერილი (=IA); 2. ბერძნული გენეალოგია (=NG); 3. იოანე დამასკელი (=ID); 4. სლავური ცნობები (=NSI); 5. სირიული ცნობები (=Nsy). ავტორი მოკლედ ავგიწერს ამ წყაროებს, შემდეგ აქვეყნებს ქართულ ტექსტს ზუსტი ლათინური თარგმანით და ბოლოს კომენტარს უკეთებს ქართული ტექსტის თითოეულ პარაგრაფს დასახელებულ წყაროებთან შეპირისირებით.

ქართული თარგმანისა და მის წყაროთა შესწავლის შედეგად, ავტორი ადგენს, რომ ქართული საკითხავი არის ერთ-ერთი უძველესი თარგმანი ღმრთისმშობლის გენეალოგიის ტექსტისა, რომლის ბერძნული და სირიული წყაროები დღესათვის დაკარგული უნდა იყოს.

მ. ვან ესბროკის სტატიების ასეთი მოკლე განხილვითაც კი ნათელი ხდება, თუ რა დიდი სამუშაო აქვს მას ჩატარებული ქართული „მრავალთავების“ შესწავლის მიზნით.

მართალია, მისი კვლევის საგანი ძირითადად „ათონის მრავალთავი“, მაგრამ იგი ამ კრებულს შეისწავლის სხვა ქართულ უძველეს კრებულებთან შეპირისპირებით, რის შედეგადაც მის მიერ გარკვეულია ამ უძველესი ლიტურგიკული კრებულის სტრუქტურა, კალნდარი, თხზულებათა რიგი, ცალკეულ თხზულებათა ავტორები. ამასთანავე ავტორი დიდ ადგილს უთმობს იმის კვლევის, თუ რა ენიდანაა შესრულებული ქართული თარგმანები. ამის-თვის ის იშველიებს იმავე ტექსტებს ბერძნულ, სირიულ, არაბულ, კოპტურ

¹⁴ M. van Esbroeck, Apocryphes géorgiens de la Dormition, Analecta Bollandiana, 91 (1973), გვ. 55—75.

¹⁵ M. van Esbroeck, „Généalogie de la Vierge“ en géorgien, Analecta Bollandiana, 91, (1973), გვ. 347—355.



და სომხურ ენებზე. პარალელური შესწავლით და ქართული ტექსტის გრაფიკული ძიგი მონაცემებით აღგენს ქართულის დედანს იმ შემთხვევაშიაც, თუ ის დღეისათვის დაკარგულია. ამ გზით მ. ვან ესბროკი შესანიშნავად წარმოგვიდგენს იმ წრესა და გარემოს, სადაც ეს თარგმანები სრულდებოდა და იმ ინტენსიურ კულტურულ ურთიერთობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ უძველესი ლიტურგიული ძეგლების თარგმნის პერიოდში ქართველებსა და ქართველთა აღმოსავლეთის სხვა ხალხებს შორის.

თამილა გგალოგლიშვილი

B. OUTTIER, LES ENSEIGNEMENTS DES PÈRES, UN RECUEIL
 GÉORGIEN TRADUIT DE L'ARABE, BEDI KARTLISA, REVUE DE
 KARTVÉLOLOGIE, XXXI, 1973, p. 36—47

დაახლოებით მეოთხედი საუკუნე გრძელდება ქართული ასკეტიკური კრებულის, ე.წ. „მამათა სწავლანის“ შესწავლა. კრებულში შემავალი ზოგიერთი თხზულება უფრო დიდი ხანია იყორობს მეცნიერთა ყურადღებას. მთლიანობაში იგი წარმოადგენს ასკეტიკური ტექსტების კრცელ კომპილაციას, რომელთა ავტორები არიან: იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური, ბასილი კესარიელი, მარკოზ მონაზონი, მარტინი მონაზონი, საპავ მონაზონი, აბრა-ჰაბე მონაზონი, ამონა, მაკარი, ყველაზე მეტი ოდენობით დასტურდება იოანე ოქროპირისა და ეფრემ ასურის თხზულებანი.

„მამათა სწავლანი“ კრებულის პირობითი სახელშოდებაა, შერქმეული ილ. აბულაძის მიერ. მან იგი გამოაქვეყნა 1955 წელს 3 ხელნაწერის მიხედვით: 1. S 1139 (930—940 წლებში ტაო-კლარჯეთში გადაწერილი ნუსხა), 2. A 1142 (თორჩე დაცული 977 წლის ოშკური ხელნაწერის — ათ. 9-ს პრი, შესრულებული 1915 წელს) და 3. H 1662 (ხარიტონის ლავრის 1040 წლის ხელნაწერი)¹.

1955 წელს ილ. აბულაძეს ხელი არ მიუწვდებოდა ანალოგიური ხასიათის ქართულ კრებულებზე, რომელიც სინას მთაზე ინახება. მას ხელი არ მიუწვდებოდა აგრეთვე ამ ტიპის კრებულებზე, რომელიც სხვა ქრისტიანი ხალხის მწერლობას დაუტავს (ამ მხრივ გამონაცლისი, აღბათ, მხოლოდ სომხური იყო). მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი დასკვნები კრებულის წარმომავლობასთან დაკავშირებით ძირითადად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. მან კატეგორიულად გამორიცხა სომხური. მოტანილი მსჯელობის საფუძველზე ჩანდა, რომ ირიცხებოდა ბერძნულიც. ხელნაწერების ენობრივი ანალიზის საფუძველზე იგი ასკვნიდა: „ვდიქრობ, არ შევცდები, თუ დავასკვნი, რომ ის წარმოგვიდგენს ქართული ენის ისტორიის არა აღრეულ საფეხურს, არამედ რამდენადმე ახალს, იმ ეტაპს, რომელიც არაბების საისტორიო ასპარეზზე გამოჩენისა და საქართველოსა და მეზობელ შესარეებში მათი ჩამოდგომის შედეგად აღიძეჭდა ჩევნს მწერლობაში, რომლის ენაშიც, უმთავრესდ ლექსიკში, აისახა კიდევ ახლო აღმოსავლეთის ცხოვრებაში მომხდარი ახალი ძვრები. შექმნილ ვითარებას ქართულ მწერლობაში შეიძლება გამოძახილი ეპოვა

¹ მამათა სწავლანი IX და X ს-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძე,
 თბ., 1955.

² იქვე, გვ. XV—XVI.



IX ს-დან, როგორც ქართლის, უმთავრესად ტაო-კლარჯეთის სამწერლობრივი მუზეუმი, ისე უპირატესდ პალესტინის სალიტერატურო კერძოში. ამტენდანდან ჩენ ის ძეგლები, რომელიც ჩენს ხელნაწერ კრებულშია მოთავსებული, მივგაჩნია პალესტინის ანდა ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო წრებში წარმოშობილად, ე. ი. თარგმნილად³.

„მამათა სწავლანის“ ხელნაწერების შემდგომი შეწავლა ჟ. გარიტის სახელთან არის დაკავშირებული. მან ფართო სამეცნიერო წრებისათვის ცნობილი გახდა ამ ძეგლის სინური ნუსხები — სინ. 36, სინ. 35, სინ. 50. ჟ. გარიტმა აღწერა ეს ხელნაწერები „ქართული ლიტერატურული ხელნაწერების კატალოგში“ და 44 ტექსტიდან 15 ტექსტის ბერძნული ეკვივალენტის დაძებნა შესძლო⁴. სინ. 36 „მამათა სწავლანის“ თანხვედრილი ხელნაწერი აღმოჩენდა, მიუხედავად მათ შორის არსებული გარკვეული განსხვავებებისა. ამ ხელნაწერის აღწერილობა ჟ. გარიტმა ცალკე გამოაქვეყნა აღნიშნულ განსხვავებათა მითითებით.

ჟ. გარიტმა და ა. პალმ გარკვეული კვლევა ჩიატარეს კრებულში შემავალი ერთი ტექსტის, კერძოდ, მარტვირი მონაზვნის „სინანულისა და სიმღაბლისათვეს“ მოდელის დადგენის მიზნით. კვლევის შედეგი შემდევი იყო: დასახელებული ქართული ტექსტი წარმოადგენს სირიელი მარტვირის, საპდონის თხზულების Perfectionი-ის ექსცერპტულ თარგმანს⁵. ეს დასკვნა არ გაიზიარეს მ. თარხნიშვილმა⁶ და პ. ჩერელიძემ უკანასკნელი თვეიდა, რომ „სინანულისა და სიმღაბლისათვეს“ ქართველი მარტვირი მონაზვნის ორიგინალური თხზულებაა⁷.

მთელი „მამათა სწავლანის“ მოდელთან დაკავშირებით, ჟ. გარიტი აღნიშნავდა: მისი ტექსტები „უფრო ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი, რათა დადგინდეს მათი წარმომავლობა“⁸.

„მამათა სწავლანის“ ტექსტების წარმომავლობის კვლევას ახალი მიმართულება მისცა ბ. ტრიქმ, რამაც იგი არაბულ მოდელთან მიიყვანა. ამის შესახებ მან ჯერ ცნობა გმოაქვეყნა¹⁰, შემდევ კი სტატიაში წარმოადგინა თავისი კვლევა-ძიების რეალური სურათი¹¹. არაბულთან იგი მიიყვანა სომხური, ბერძნული და აგრეთვე სირიული წყაროების გამორჩევამ. მისთვის ნიშანდობლივი აღმოჩენდა ქართულ ტექსტში გამოვლენილი არაბიზმები: საკუთარ სახელთა არაბული ფორმით ჩხარება, ბიბლიის ციტაცია არაბული და არა

³ იქვ. გვ. XXII.

⁴ G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï. Louvain, 1956.

⁵ Le Muséon, 72, 1959, გვ. 454—456.

⁶ G. Garitte et A. De Halleux. Le sermon géorgien du moine Martyrius et son modèle syriaque. Le Muséon, 69, 1956, გვ. 243—312.

⁷ M. Tarchnišvili. Publications récentes relatives à la littérature géorgienne, II, Le Muséon, 71, 1958, გვ. 179—185.

⁸ მარტვირი ქართველი (VI—VII) და მისი შრომა „სინანულისა და სიმღაბლისათვეს“ კველიდის რედაქციითა და გმოკვლევით, ლიტერატ. ძიგანი, III, 1946, გვ. 261—313; კ. კაკალიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 126.

⁹ Le Muséon, 72, 1959, გვ. 456.

¹⁰ B. Outtier. Le modèle arabe d'une collection ascétique géorgienne. Bedi Kartlisa, Revue de Kartvelologie, XXIX—XXX, 1972, გვ. 357—358.

¹¹ B. Outtier. Les Enseignements des Pères, un recueil géorgien traduit de l'arabe;

ბერძნული ტექსტის მიხედვით და სხვ. ქართულ-არაბული ტექსტების შესახებ რეპიონი შესწავლამ კი დადადასტურა მისი თავდაპირველი გაჩაუდები.

ბ. უტიემ ქართულ ხელნაწერთაგან შესახერებლად გამოყენა იღ. აბულაძის გამოცემით ცნობილი ნუსხები და სინური ხელნაწერები — სინ. 36 (924—925 წლების საბაშმილური ნუსხა), სინ. 50 (X ს.) და სინ. 35 (X ს. სხვათ) შორის, ბ. უტიემ ვარაულობს, რომ ეს ნუსხაც საპაშმილურია — მასში დასტურდება ისეთივე ქართულ-ბერძნული პაგინაციები, რომელიც გვხდება არაბულ საბაშმილურ ნუსხებში: Vat. ar. 71 და Str. ar. 151. არაბულ ხელნაწერთაგან იგი ეყრდნობოდა სტრასბურგის ნუსხებს — Str. ar. 150 (901 წ., სინური) და Str. ar. 151 (885—886 წწ., საბაშმილური); ითვალისწინებდა ჰმილეტიურ კრებულს Ambrosianus X, 198 Sup., აღწერილს J.-M. Sauguet-ს¹² მიერ და აგრეთვე სხვა ხელნაწერთა აღწერილობებსა და გამოცემებს; იყენებდა კარშუნის ხელნაწერსაც — Paris B. N. Syriaque 239 (1493 წ.).

მიუხედავად შესაღარებელი მასალის დიდი ოდენობისა, ხელნაწერებში არსებული ვითარება ნათლად არის ასახული ბ. უტიემ სტატიაში. წარმოდგენილი ორი ტაბულის მიხედვით აშერა ხდება, თუ რა ხარვეზი აქვს ამა თუ იმ ხელნაწერს, რომელი ტექსტია შესრი წარმოდგენილი და რომელი — გამოტოვებული. ტაბულებს ერთფის ტექსტებთან დაკავშირებული შენიშვნები, რომლებიც გამოკვლევის ღირებულებისაა.

ბ. უტიემ მიერ ქართულ-არაბულ თანხედრილ ტექსტებზე ჩატარებულ მუშაობის შედეგად ვლინდება, რომ ნაწილი ქართული ტექსტებისა არაბული წარმომავლობისაა. ძალიან მეტყველია მოტანილი მაგალითები: ქართულ-არაბული ტექსტები ზუსტ ფრაზეოლოგიურ დამთხვევებს გვიჩვენებს ზერძნულთან განსხვავებულ ადგალებში. ყოველივე ეს განსაკუთრებით ვლინდება სტრასბურგის ხელნაწერებთან მიმართებაში. ზოგჯერ აშერა ხდება ქართულის მომდინარეობა სირიულიდან ნათარგმნი არაბული ტექსტიდან. მეზე საკუთარი სახელებიც მიკვანიშნებენ (მაგალითად, აბრაჰამ მონაზვის ტექსტი). როგორც ჩანს, ასეთ გზას ვარაულობს ბ. უტიემ მარტვირი მონაზვის ტექსტის შემთხვევაში არაბი კომპილატორების მუშაობის მეთოდთ უნდა აიხსნას ქართულ და სირიულ ტექსტებს შორის არსებული შეუსაბამობანი.

მიღებული შედეგები მოული იმ ქართული ასკეტური კრებულის არაბული წარმომავლობის საბუთი ხდება. ამასთან დაკავშირებით ბ. უტიემ აღნიშნავს: „...ჩვენი აზრით მიღებულად უნდა ჩათვალოს, რომ ამ ტექსტებს გააჩნიათ უშუალო არაბული მოდელი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის არაბული ხელნაწერი, რომელიც ორიგინალს წარმომავლენდა ქართული კომპილაციისათვის, არ იქნება მიკვლეული“. მისივე აზრით, კრებულის თავდაპირველი სახისა და მოცულობის შესახებ მსჯელობისათვის არაბული სინური ხელნაწერების სპეციალური შესწავლა იქნება საჭირო.

ილ. აბულაძის დასკვნა „მამათა სწავლანის“ IX საუკუნეში შექმნის შესახებ ბ. უტიესათვის დამაჯერებელი რჩება. მართლდება აგრეთვე იღ. აბულაძის ვარაუდი „მამათა სწავლანის“ პალესტინური წარმომავლობის შესახებ, ოღონდ აღვილი უფრო კონკრეტდება — აქ უკვე წმ. საბას მონასტერი იგუ-

¹² G. M. Sauguet. L'homéliaire arabe de la Bibliothèque Ambrosienne. Analecta Bollandiana, 88, 1970, pp. 391—474.

ბ. უტიეს მიგნება მრავალმხრივ არის საყურადღებო. მას შეაქვს წვლილი აღმოსავლეთის ქრისტიანი მოსახლეობის ლიტერატურული კონტაქტების შესწავლის საქმეში, კერძოდ, ფართოვდება ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების სფერო. ექმდე ეს ურთიერთობანი ძირითადად მცენარეულ მწერლობაში იყო გამოვლენილი. მცენარე მათ რიცხვს ემავიონგრაფიულ მწერლობაში იზრდება საბას მონასტრის როლი. იგი ტება ასკეტური ხასიათის ძეგლებიც; იზრდება საბას მონასტრის როლი. იგი წარმოგვიდგება როგორც ცენტრი, სადაც აღნიშნული კონტაქტები მყარდებოდა და ქრისტიანული მწერლობის სხვადასხვა დარგი ვითარდებოდა. დასასრულ, როგორც ბ. უტიეს აღნიშნავს და აღრე გ. გარიტიც მიუთითებდა, არაბულიდან თარგმნილი ქართული ძეგლების გაზრდილი ოდენობა მეტ საშუალებას იძლევა ქართულ-არაბული ტექსტების ლინგვისტური დაპირისპირებისათვის. ეს დაპირისპირების შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს კრიტერიუმი, რაც სხვა ტექსტების მოდელის დადგენაში დაგვეხმარება¹³.

რუსულან გვარაშია

¹³ G. Gariette, La vie géorgienne de saint Cyriaque et son modèle arabe, Bedi Kartlisa, XXVIII, 1971, ვ. 105.

ლაგარა ჩაჯაიბა

ხელნაწერთა ინსტიტუტი ზემოსული ახალი მასალა

1970—73 წლებში ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებს შეემატა ახალი ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები და პირადი არქივები:

1. ხელნაწერთა ინსტიტუტმა მოქ. ფ. კილაძისაგან შეიძინა XVII—XVIII საუკუნეების ხელნაწერი კრებული, რომელიც შეიცავს გალექსილ „უთრუთ-საამიანს“ (ფრაგმენტი), მამუკა თავაქარაშვილის „ზაქიანს“ მთლიანად, პრო-ზაულ „ზაქიანს“ და ბარძმ გაჩნაბის მიერ გალექსილ „საამიანს“, Q—1440.

კრებულში შესული პროზაული „ზაქიანის“ მისდევს ალ. ბარამიძის მიერ შესწავლილ და გამოკვლეულ ლენინგრადის საჭარო ბიბლიოთეკის ნუსხას. იგი ლენინგრადისეული ნუსხის შემდეგ ჩიგით მეორეა. ერთ ადგილს ის ავსებს ლენინგრადის ნუსხის ნაკლულ ტექსტს (იხ. მ. მამაცაშვილი, შაპინაშეს ქართული ვერსიების ახალი ხელნაწერის გამო, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, 3, გვ. 67—78).

2. იყად. გომრგი წერეთელმა იმსტიტუტს შემოსწირა ხელნაწერი — „ბალავარიანის“ პოეტური ვერსია, Q—1451, რომელიც 1962 წ. შემთხვევით მოიძია აღმოსავლეთმცოდნეობის იმსტიტუტის თანამშრომელმა ალ. ციბულევსკიმ რაჭაში, სოფ. ძეგლევში მდგარე ეკლესიის ხეივნის ერთი ბებერი ურთხვის ხის ფულუროში. ხელნაწერი ნაკლულია და ძლიერ დაზიანებული. აჩავინ იცის, ვინ და როდის შეინახა იგი. „ბალავარიანის“ გალექსილი ტექსტი მოკლე რედაქციას მისდევს. ის გალექსილი ჩანს ამ უკანასკენელის საფუძვლზე. თარიღდება XVIII ს. (იხ. გ. წერეთელი, ქართული ბალავარიანის უცნობი, პოეტური ვერსია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 108, 1964, გვ. 45—56).

3. ხელვენების დამსახურებულმა მოღვაწემ, მხატვარ-პოლიგრაფისტმა ბ. გორდეზიანმა, ინსტიტუტს გადმოსცა ხელნაწერი „სპილენძის ქალქიანი“, Q—1453. ტექსტი თავისულია, გადაწერილია 1828 წ. დღეისათვის ეს თხულება სულ ორი ნუსხითა ცნობილი. ერთ-ერთი ამათგანი, რომელიც თავის დროზე ალ. ხახანაშვილის საკუთრებას შეადგენდა, დღეს დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში (იხ. გ. მიქაელ, ალ. ხახანაშვილისეული ზოგიერთი ხელნაწერის შესახებ, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966, გვ. 377—384).

4. მოქ. ელ. ქუთათელაძისაგან ინსტიტუტმა შეიძინა იოანე ბატონიშვილის „ბუნებისმეტყველება“ (გადაწერილი 1814 წ. პეტერბურგში, Q—1454) და ლათინურ-ქართული საბუნებისმეტყველ ლექსიკონი (XIX საუკუნისა, Q—1455). ამ სახის ნუსხა ჩვენს ფონდებში სხვა არ მოიპოვება.

5. ივ. გავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა ხელნაწერთა ინსტიტუტს გადმოსცა პროფ. ვარლამ დონდუს (თანახმად მისივე სურვილისა) ბიბლიოთეკაში დაცული 9 ქართული ხელნაწერი:

ა) კრებული, XIII—XIV სს., ეტრატი, შედგება 10 ფურცლისაგან. შეიცავს: „კურთხევანს“ და „განგებანს მსოფლიოთ მღვდელთათვს“, Fr.—215;

ბ) ოთხთავი, XII ს., ეტრატი, 1 ფ., Fr.—217;

გ) კრებული 1822 წ. გადაწერილი, მასში შედის: „თიმისარიანი“, სულხან-საბა თრბელიანის „საბრძნე სიცრუისა“, „საეტლო და სამთვარიო“, Q—1445;

დ) ამნიშვერები სხვადასხვა სასულიერო ხასიათის თხზულებიდან, 1878—1890 წწ. ტექსტს დართული აქვთ გადამწერის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და ცნობები იმერეთის ეპისკოპოსის გამრიცელის, რუსეთ-თურქეთის 1879 წ. ომისა და ალექსანდრე იმპერატორის მკვლელობის შესახებ, Q—1444;

ე) პოვთეგმატა, XIX ს. Q—1446;

ვ) კრებული, XIX ს. მასში შედის: „დარღუცვა კონსტანტინუპოლისა“ და „დარღუცვა იერუსალიმისა“, Q—1447;

ზ) კრებული XV—XVI სს., Q—1448;

თ) ავგაროზი, XIX ს., Q—1449.

12 ისტორიული დოკუმენტი, ქედან ორი საბუთი სომხურია. ალნიშნული დოკუმენტები XVIII—XIX საუკუნეებს განკუთვნება (იხ. თ. ენუქიძე, პროფესორ ვარლამ დონდუს არქივში დაცული ქველი ქართული ხელნაწერები და საბუთები, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1971, I, გვ. 133—138).

6. ზემოაღნიშნული ინსტიტუტის ბიბლიოთეკამ ხელნაწერთა ინსტიტუტს გადმოსცა ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ცნობებს რუსეთში მყოფ ბაგრატიონთა მეფების შესახებ. დაწერილია რუსულ ენაზე, იმერეთის თავად ნიკოლოზ კონსტანტინის ძის მიერ 1885 წ., Ros—736.

7. ინსტიტუტმა მოქ. თ. მაისურაძისაგან შეიძინა XVIII საუკუნეში გადაწერილი ძლისპირთა სრული კრებული, Q—1456.

8. იმ ბოლო ხანებში საგრძნობლად იზჩრდება ჩვენი ინსტიტუტის მიკროფირების ფონდი უცხოეთის წიგნთაცავებში დაცული ქართული და უცხოური ხელნაწერებით. საფრანგეთიდან, ბერნარ უტიესაგან, მიღებულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ორი ხელნაწერის მიკროფირი:

ა) იერუსალიმის ლექციონარი, X ს., Georg. 3;

ბ) ბერძნული პატერიკი, XI ს., Coislin 126.

9. პროფ. ელ. მეტრეველმა საფრანგეთიდან ჩამოიტანა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული შემდეგი ხელნაწერების მიკროფირები:

ა) იოანე ოქროპირის ცხოვრება (არაბულ ენაზე), Par. ar.—266, 1287

წ). გადაწერილი და Par. ar.—267, XIII ს;

ბ) მარხვანი, XI—XII სს., Georg.—5;

გ) კრებული, 1725 წ., Georg. 1;

დ) ფრაგმენტი X საუკუნის იადგარიდან, 4 ფ., Georg. 30;

ე) ფრაგმენტი ხანებტი ლექციონარისა, VII ს., 1 ფ., Georg. 30. ეს ორი ხანებტი ლექციონარის დასაწყისი, პირველი ფურცელი, რომელიც 1883 წ. სი-



ნას მთაზე უნახავს ალ. ცაგარელს, ხოლო შემდგომ, XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც ხანჩეტი ლექციონარი სინას მთიდან წამოუღიათ და გაუყიდებია ვენაში, მას აღნიშნული ფურცელი ჟკვე აყლდა. როგორ და რა გზით მოხვდა ის პარიზში, გაურკვეველია (იხ. გვ. რ. ნ. რ. უ. ტ. ი. ე, ქართული ხანჩეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, I, გვ. 173—175).

10. აკად. გიორგი წერეთელმა ხელნაწერთა ინსტიტუტს გადმოსცა ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების 4 მიუროფირი:

- ა) ოთხავი, X ს., Georg. 1;
- ბ) თებერვლის თვენი, XI ს., Georg. 3;
- გ) კრებული, 1160 წ., Georg. 4;
- დ) ოთხავი, XIII ს., Georg. 5. ეს უკანასკნელი გ. ფერაძის 1940 წ. გამოცემულ აღწერილობაში არ არის შეტანილი (იხ. G. Peradze, über die georgischen Handschriften in Österreich, Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, 1940, Bd. 47, H. 3—4, ss. 219—232).

როგორც ჩანს, ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკას ის 1940 წლის შემდეგ შეუძინა.

11. პარიზში ტექსტების შემსწავლელი ინსტიტუტიდან პროფ. მ. რიშარისაგან მიღებულია ათონის ივერიის მონასტერში დაცული ოთხი ქართული ხელნაწერის მიუროფირი:

- ა) მაკარი მეგაბეტელის ეპისტოლენი, 1030 წ., Iver. 21;
- ბ) ავიოგრაფიული კრებული, X ს., Iver. 25;
- გ) ავიოგრაფიული კრებული, 1003 წ., Iver. 28;
- დ) ბასილი დიდის პომილიები, 981 წ., Iver. 32.

12. ამავე ინსტიტუტიდან მიღებულია იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრების მიუროფირი, დაწერილი ბერძნულ ენაზე 1758 წ. Ath. 6.

13. ინსტიტუტმა პროფ. უერარ გარიბისაგან, ბელგიიდან მიიღო Selly Oak Colleges-ს (ბირმინგემი) ბიბლიოთეკაში დაცული მინგანას კოლექციის რვა ეტრარტის ფურცლის ფოტოპირი. აღნიშნული ფურცლები განეკუთვნება X საუკუნის იმ ქართულ ხელნაწერებს, რომლებიც დღეს სინას მთაზეა დაცული.

Ming. 1—კურთხევანი — Sin. 66;

Ming. 2—ეფრემ ასურის სწავლანი — Sin. 97;

Ming. 3—ეპისტოლენი — Sin. 25;

Ming. 4—პომილია — Sin. 93;

Ming. 5—ლიტურგიული კრებული — Sin. 12;

Ming. 6—სახარებანი საცისკრონი — Sin. 47;

Ming. 7—იოანე ზოსიმეს ავტოგრაფი, ანდერძი. იგი განეკუთვნება ხანგერი ლექციონარს.

Ming. 8—იოანე ზოსიმეს ავტოგრაფი, ანდერძი —? (იხ. უ. გ. ა. რ. ი. ტ. ი, მინგანას კოლექციის ქართული ფურცლები Selly Oak-ში (ბირმინგემი), მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, 3, გვ. 170—182).

14. გეორგმა გ. ტოვონიძემ ინსტიტუტს გადმოსცა სულხან-საბა ორბეგლიანის ქართული ლექციონის (XVIII ს.) მიუროფირი. თვით ხელნაწერი დაცულია ტომსკის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

15. ექვთიმე თაყაიშვილის საარქივო ფონდი შეიცვა ახალი მასალით: ა. თაყაიშვილის პირადი წერილები და მოგონება — „სამუზეუმო განძეულის გადასაცემისთვის“ მასალა გამოგზავნილია პარიზიდან პროფესორ კალისტრატე სალიასაგან (ექ. თაყაიშვილის ფონდი №№ 2298, 2299, 2300, 2301, 2302).

16. პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის ოფაზმა ინსტიტუტს შემოსწირა ლ. ანდრონიკაშვილის პირადი არქივის ნაწილი. აღნიშნული მასალა შეუერთდა ინსტიტუტში არსებულ ლ. ანდრონიკაშვილის არქივი.

17. უაღრესად მნიშვნელოვანი შენაძენია ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის აკად. ნ. ბერძენიშვილის პირადი არქივი. არქივი ინსტიტუტს ქ-ნმა ნინო შერძენიშვილმა გადმოსცა.

18. ინსტიტუტმა ი. მარის მეულლისაგან, ს. მარისაგან, შეიძინა ი. მარის გამოცემული და გამოუქვეყნებელი შრომები, ფეროგრაფები და ი. იაგელოს სპარსულ-რუსული ლექსიკონი, ირანისტ კ. ჩაიკინის მრავალრიცხვოვანი ჩამარებებით.

19. მოქ. თ. ქარუმიძისაგან ინსტიტუტმა შეიძინა XIX—XX საუკუნეების მოღვაწეთა ი. მანსვეტშვილის პირადი არქივი.

20. დღეისათვის ინსტიტუტის ფონტო და მიქროფირების ფონდს შეემატა მოსკოვის არქივებში მოპოვებული 617 დოკუმენტის ასლი, ქართულსა და რუსულ ენებზე.

სარჩევი

— დაცა ჭანკიე ვი, ვანის, ლაბსყალდისა და ეჩმიაძინის ოთხთავთა მიმართებისათვის	5
— ცლენე მაჭავარიანი, გადამწერსა და მხატვარს შორის შრომის განაწილების საკი- თხისათვის ხელნაწერი წიგნის მხატვრული კომპოზიციის შექმნის ღროს	15
— ლილი ათანე ლივი ლი, ქართული კიბიტოგრაფიანი გამოცემები	35
— თამილა მგალობლიშვილი, ალექსანდრე კვიპრელი მონაზენის ჭვრის საკითხა- ვი — „მოქცევად ქართლისად“-ს ერთ-ერთი წყარო	57
— მჭექალა შანიძე, ეფრემ მცირის ზოგიერთი ცნობა ქართული და ბიზანტიური ფილოლოგიის შესხებ	66
— ნიკოლოზ ჭანაშია, „შუშანიის წამების“ ანტონისეული რედაქცია	73
— ლილი ქუთათე ლიანე, დავით რექტორისეული ანთოლოგია 1821—1823 წწ.	100
— მამაცაშვილი, „ვის ო რამინი“ — პართული რომანი	122
— ელისო აბრამიშვილი, ლეგნიზარულ-ზღაპრულ ნიკო ლორთქიფანიის შემოქმე- დებაში	144
— უნი ცინ ე ლიანი, ჯარა წინდებულის ეკვივალენტები „მეცეთა“ წიგნების ქარ- თულ თარგმანში	171
— ზურაბ სარჯვე ლაპე, ქართული სალიტერატურო ენა და ქართველური ენები (სა- კითხის დამისათვის)	185
— ელენე მეტრევალი, ნივ-ყვარცვარებს უცნობი დოკუმენტი	192
— მიხეილ ქავთარია, XVII—XVIII სს. ქართული პიმნოგრაფიის ისტორიიდან 6. რომანოს ერისთავის პიმნოგრაფიული მოლვაშეობა	206
— 7. ნიკოლოზ მაღალშვალის პიმნოგრაფიული მოლვაშეობა	216
— ცისანა აბულაშვილი, ორი ფირმენი ერასტი მდივანებებს	224
— ნანა ყანჩაველი, „დალესტნისა და ჩაჩენის დაცემა ოსმალოთა წაქეზებით 1294 წლს“	230
— ცლენე ცაგარე იშვილი, თომა არწიუნისა და ანონიში ისტორიების ცნობები საქართველოს შესახებ	254
— თამილა მგალობლიშვილი, მ. ვან ესბროკის გამოკვლეულები ქართულ „მრავალ- თავებზე“	282
— რუსულან გვარამია, B. Outlier, Les Enseignements des Pères, un recueil géorgien traduit de l'arabe	288
— ლამარა ჭავარია, ხელნაწერთა ინსტიტუტში შემოსული აზალი მასალა	292

СОДЕРЖАНИЕ

Л. А. Чанкиева, О взаимоотношении Ванского, Лабскадского и Ечмиадзинского четвероглавов	14
Е. М. Мачагариани, К вопросу о разделении труда между переписчиком и художником при создании художественной композиции рукописи	33
Л. А. Атанелишвили, Грузинские загадки, раскрытые в криптограммах	56
Т. Г. Мгалоблишвили, Чтение Александра Кипрского как источник «Обращения Грузии»	65
М. А. Шанидзе, Некоторые сведения Ефрема Мцире о грузинской и греческой филологии	66
Н. С. Джанашia, «Мученичество Шушаник» в редакции Антона Багратиони	98
Л. И. Кутателадзе, Антология Ректора Давида	121
М. Г. Мамацашвили, «Вис о Рамин» — парфянский роман	143
Э. М. Абрамишвили, Легендарно-сказочное в творчестве Нико Лордкипанидзе	169
У. Е. Цинделiani, Предлог <i>ჯატა</i> и его эквиваленты в грузинских переводах книг «Царств»	184
З. А. Сарджвеладзе, Грузинский литературный язык и картвельские языки	191
Е. П. Метревели, Неизвестный документ Нав-Кваркваре	205
М. Н. Кавтария, Из истории грузинской гимнографии XVII—XVIII вв.	216
6. Гимнографическая деятельность Романоза Эристави	223
7. Гимнографическая деятельность Николоза Магалашвили	223
Ц. А. Абуладзе, Два фирмана карталинскому мдиванбегу Эрасти Капланишвили	229
Н. Г. Канчавели, «Падение Дагестана и Чечни вследствие подстрекательства османов в 1294 г.»	253
Е. В. Цагарейшвили, Сведения Товмы Арцруни и анонимного историка о Грузии (Грузинский перевод с исследованием и комментариями)	281
Т. Г. Мгалоблишвили, Исследования М. Ван Есброка о грузинских Многоглавах (рецензия)	282
Р. В. Гварамия, B. Outtier, Les Enseignements des Pères, un recueil géorgien traduit de l'arabe (рецензия)	288
Л. Р. Каджая, Новые поступления Института рукописей им. К. С. Кекелидзе АН Груз. ССР	292

ელ. მაჟავარიანის სტატიის ილუსტრაციები დაიბეჭდა ფერადი ბეჭდების სტამბაში პლეხანოვის 50

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქტო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიმშელაშვილი
ტექნიკური ნ. თკუ ჭავა
მხატვარი გ. ნიდირაძე
კორექტორი ლ. ჭავი

გადაეცა წარმოებას 21.5.1975; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.1.1976;
ქაღალდის ზომა 70×108; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბაზი 27.73;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 23.50;

უ. 01410;	ტიტანი 1000;	შეკვეთა № 1856
-----------	--------------	----------------

ფასი 2 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
ნაკადული სამსახური, თბილისი, 380060, ულ. კუტუზოვის ქ., 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

МРАВАЛТАВИ, IV
(на грузинском языке)

გამომცემლობა „მეცნიერებაში“ გამოსცა:

1. გურჯიშვილის „თბილისის დაპყრობის წიგნი“.
2. ი. აბულაძის შრომები, ტ. I.

გამომცემლობა „მეცნიერება“ უახლოეს საწმი გამოსცემს შემდეგ წიგნებს:

1. „მრავალთავი“, V.
2. იმანე დამასკელი, ღიალექტიკა.

ՊԵՇԱՐԱՐԱԿԱՆ ՄԱՍԻՆ ԱՐԴՅՈՒՆՈՒՅՆԱԳՐԻ ՑԱՆԿԱՐԱՐՈՒՅՆ

ՀՀ.	ՏՐՈՒՅՆՈՒՅՆ		ԱՐԴՈՒՆԱԿԱՆ	ՇՐՋԱ ԸՆԿԱՆՈՒՅՆ	ՎՐԱՆԻ ՇՐՋԱԾՈՎԱՅՐ
	ՆՈՅ.՝	ՀՅՈՅ.՝			
6	10	V		V	ՏՐԱՄԲԱ
8	1	տացո մա		տացո մա	ԿՈՆ.
13	6	լայվուննակն (Քած. VIII)	լայվուննակն (Քած. VIII)		ԱՎԵՐՈՐՈ
16	17	քանձոնշըրօս.	քանձոնշըրօս (Քած. VIII).		ԱՎԵՐՈՐՈ
28	5	(Ա—643)	(Ա—648)		ԿՈՆ.
57	2	mesaventures	mésaventures		ԱՎԵՐՈՐՈ
69	4	ԽՈԼՈԽՅԱ.	ԽՈԼՈԽՅԱ		ՏՐԱՄԲԱ
79	5—6	“ՏԱՄԱՐԱԿԱՆ ԹԱՐԱՓՐԱԾՈ”	“ՏԱՄԱՐԱԿԱՆ ԹԱՐԱՓՐԱԾՈ”		ՏՐԱՄԲԱ
83	8	ՃԱՐԺԱԾ	ՃԱՐԺԱԾ		ԿՈՆ.
83	22	11, 15—19	11, 15—19		ԿՈՆ.
96	23—24	ԺԵՂՈՎՐԴ	ԺԵՂՈՎՐԴ		ՀՐԵԴ.
99	7	ԿԱՏՈՂԻԿԸ	ԿԱՏՈՂԻԿԸ		ԿՈՆ.
103	2	“ԵՄԿԻՆՈՒՅՆ”	“ԵՄԿԻՆՈՒՅՆ”		ՏՐԱՄԲԱ
104	17	ՃՌՇՎՈՐԱԼԵՅՅԱՅ ՏԱՎՈՐՄԱՆ	ՃՌՇՎՈՐԱԼԵՅՅԱՅ ՏԱՎՈՐՄԱՆ		ՏՐԱՄԲԱ
109	19	Թ Ա Զ Ա Զ Ա Տ	Թ Ա Զ Ա Զ Ա Տ		ԱՎԵՐՈՐՈ
110	16	ԽԵՂԵՑՅՈ ՑԱԳԱՆ	ԽԵՂԵՑՅՈ ՑԱԳԱՆ		ԱՎԵՐՈՐՈ
111	2	Շ. ԱԼ. ՔԱՐՎԱՎԵՅՆ	2. ԱԼ. ՔԱՐՎԱՎԵՅՆ		ՏՐԱՄԲԱ
134	3	ԵՍ ՄԵՇԽԵՅՅԱ	ԵՍ ԺԵՇԽԵՅՅԱ		ՀՐԵԴ.
139	3	Uppsalo	uppsala		ԿՈՆ.
139	4	im	in		ԱՎԵՐՈՐՈ
178	14	զոր	զոր		ԿՈՆ.
181	1	թեղ դորս	թեղ դորս		ԿՈՆ.
181	3	զուր	զուր		ԿՈՆ.
181	5—17	դիւրոզ	դիւրոզ		ԿՈՆ.
182	16	զերկիրն	զերկիրն		ԿՈՆ.
184	6	օճու	օճու		ԿՈՆ.
196	14	յե՛Շահութեասասա	յե՛Շահութեասա		ԱՎԵՐՈՐՈ
198	21	ռուտուսա	ռուտուսա		ԱՎԵՐՈՐՈ
201	2	եաբուս	եաբուս		ՀՏԵՐՈՐՈ
201	3	ֆոնախ ճապակեալո	ֆոնախ ճապակեալո		ԱՎԵՐՈՐՈ
201	4	որդացեստուցես	որդացեստուցես		ԿՈՆ.
205	17	ալսրշւեյթունն (I)	ալսրշւեյթունն (I)		ԿՈՆ.
205	25	ելլորտցա!	ելլորտցա!		ԿՈՆ.
246	20	ցալցոնցէս	ցալցոնցէս		ԿՈՆ.
256	22	ան սեցա և ուսպանութ	ան սեցա և ուսպանութ		ՀՐԵԴ.
		ցանցորհյանս	ցանցորհյանս		
264	7	XI և ուսպանութ	IX և ուսպանութ		ԿՈՆ.
294	13	նիեր	Über		ՏՐԱՄԲԱ

